

თ ა მ ა რ კ ა ჭ ა რ ა ვ ა

საქართველოს სამკურნალო,
არომატული, საღეპარი, თაფლოვანი,
საცელეპელი და შხამიანი მცენარეების
გიორგავალფეროვება

სახელმძღვანელო

განკუთვნილია აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულებების
ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, ქვეყნისთვის
ისტორიულად ტრადიციული პრიორიტეტით დაინტერესებული
ფერმერებისა და ფართო საზოგადოებისათვის.



გამომცემლობა „კიბელსალი“
თბილისი 2020

უკა: 633.88.+615.322

ქ-367

განხილული და მოწონებულია გამოსაცემად სა-ქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექ-ნოლოგიის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ, სხდომის ოქმი N1, 20 თებერვალი, 2020წ.

საქართველოს მდიდარი და უნიკალური ფიტოგენოფონდი ბუნებრივ-ის-ტორიული და სტრატეგიული სიმდიდრეა, რომელიც მუდმივ კონსერვაცია-აღდგენას საჭიროებს, რადგან ნადგურდება ან იცვლება სხვადასხვა სტიქიუ-რი თუ ანთროპოლოგიური ზემოქმედებებით. პრობლემა აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც მრავალი კულტურული მცენარეებისა და მათი ვე-ლური წინაპრების წარმოშობის კერას წარმოადგენს. აქ გავრცელებულია სამკურნალო, არმომატული, თაფლოვანი, სალეპარი, სანელებელი და შესამიან მცენარეთა ის უნიკალური სახეობები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ბევ-რი მათგანი დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების პირას არის მისული, მიმდინარეობს გენეტიკური რესურსის ეროზიული პროცესები, უკონტროლო ექსპორტი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბიომრავალფეროვნების შე-ნარჩენების *ex-situ* და *in-situ/on farm* უზრუნველყოფა.

გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შესანარჩენულად უდიდეს აუცილებლობას იძნეს მომავალი მოხმარებისათვის საქართველოს უნიკალური ფლორის სახეობების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე ინფორმირების ამაღლება, ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია და მდგრადი გამოყენება, მიღებული სარგებლის განაწილების პრინციპების ინ-ტეგრირებით ბიომრავალფეროვნების იმ კონვენციით მინიჭებული უფლებე-ბით, რომლის წევრიც არის საქართველო.

რეცეზენტები: ვასილ ლლილგაშვილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
მაია კუხალევიშვილი – ეკოლოგიის დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი: პროფესორი ავთანდილ კორახაშვილი – საქართველოს მეც-ნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

© თამარ კაჭარავა

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
გამომცემლობა „**ანივრსალი**“

თბილისი, 0186, ა. პალიაძოვანას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-728-4

T a m a r K a c h a r a v a

**BIODIVERSITY OF MEDICINAL, AROMATIC,
DYE, MELLIFEROUS, SPICE AND
POISONOUS PLANTS OF GEORGIA**

TEXTBOOK



Publishing House “**UNIVERSAL**”

Tbilisi 2020

UDA: 633.88.+615.322

K-367

The rich and unique phytogenetic fund of Georgia represents a natural-historical and strategic treasure, requires permanent conservation-rehabilitation, as it progressively exterminates or changes under the influence of various natural disasters, genetical erosion or anthropological impact. **The problem is important to our country**, as many the numbers of cultural plants and their wild relatives originate in Georgia. There are spread the unique medicinal, aromatic, dye, melliferous, spicy and poisonous plants in Georgia which cannot be found anywhere in the world. Due to their current state, most of these plants are on the verge of extinction. The erosive processes of genetic resources and their uncontrolled export are going on. Therefore, it is necessary to preserve a biodiversity through ensuring *in-situ and ex-situ/on farm*.

For the purposes of further consumption, raising awareness in conservation of genetic and varietal diversity and rational usage of the unique flora of Georgia is gaining the most importance. This can be observed along with intensification and sustainable use of ethno-botanical traditions and promotion of phytoproduction, based on the rights acquired from the on Georgia biodiversity convention, through integration of the benefits distribution principles.

Reviewers: Doctor Sciences ((Agricultural), Professor

Vasil Ghlighvashvili

Doctor Sciences (Ecological), Professor

Maia Kukhaleishvili

Editor: Professor **Avtandil Korakhashvili**, Georgian National Academy Academician

© Tamar Kacharava, 2020

© Georgian Technical University

Publishing House “UNIVERSAL”, 2020

4,A. Politkovskaya st., 0186, Tbilisi, Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-728-4



უნიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კა-
თოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპის-
კოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლი-
ტის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით იბეჭდება წიგნი



ბორჯომის მუნიციპალიტეტი,
ტიმოთეს უბნის ლვოისმშობლის ტაძრის მიდამო



ჩემი სტუდენტები და მე თბილისის სასულიერო სემინარიაში

სარჩევი

შესავალი	13
Biodiversity of Medicinal, Aromatic, Dye, Melliferous, Spice and Poisonous Plants of Georgia.....	17
სამკურნალო, არომატულ, სალებარ, თაფლოვან, სანელებელ და შხამიან მცენარეთა კულტურა საქართველოში	19
სამონასტრო მედიცინა საქართველოში	19
სამკურნალო, არომატული, სალებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეები ძველ ქართულ მედიცინაში.....	31
ღვინით მკურნალობის ხალხური ტრადიციები საქართველოში.....	40
სამკურნალო, არომატულ, სალებარ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ბიომრავალფეროვნება, არეალი, დამოკიდებულება ეკოსისტემის პარამეტრებთან, ფიტოგენეტიკური რესურსის მარაგების განსაზღვრა და რაციონალური ექსპლოატაცია.....	47
სასარგებლო მცენარეების რესურსთმცოდნება	57
კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დივერსიფიკაცია და ალტერნატიული მცენარეები	59
სამკურნალო, არომატულ, სალებარ, თაფლოვან, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ინტროდუქცია და ადაპტაცია.....	74
სასარგებლო მცენარეთა სასიცოცხლო პროცესები და მექანიზმები.....	75
სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, სალებარი, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებანი ფენოლოგიური სეზონების მიხედვით	96
ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, სასარგებლო მცენარეთა ქიმიური შედგენლობა – წყალი, პირველადი სინთეზის ნივთიერებანი, მეორადი სინთეზის ნივთიერებანი, მინერალური ნივთიერებანი, მთავარმოქმედი, თანმხლები და ბალასტი ნივთიერებები.....	98
მძიმე ლითონები და სამკურნალო, არომატული, სანელებელი, სალებარი, შხამიანი და თაფლოვნი მცენარეები	104
ცილების შემცველი მცენარეები და ნედლეული	107
ნახშირნყლების შემცველი მცენარეები და ნედლეული	110

ლორწოები	119
გუმფისი.....	120
ლიპიდები.....	120
ორგანული მჟავეების შემცველი მცენარეები და ნედლეული	123
ალკალინიდების შემცველი მცენარეები და ნედლეული.....	125
გლიკოზიდების შემცველი მცენარეები და ნედლეული	129
საპიონინები	132
ლაქტონები	133
ფენოლური ნაერთების შემცველი მცენარეები და ნედლეული	134
მთრიმლავი ნივთიერებების შემცველი მცენარეები და ნედლეული	136
ფლავონონიდების ნაერთების შემცველი მცენარეები, გამოყენება და მნიშვნელობა	137
ანტოციანების შემცველი მცენარეები, გამოყენება და მნიშვნელობა	142
მწარეები.....	150
ეთერზეთების შემცველი მცენარეები და ნედლეული	151
ფისები	152
ფიტონიციდები და ანტიბიოტიკები	153
ვიტამინების შემცველი მცენარეები და ნედლეული	154
ფერმენტები.....	165
ჰორმონები.....	167
ფიტონედლეულიდან სამკურნალო საშუალებათა მიღების ტექნოლოგიები	168
სამკურნალო საშუალებათა ხარისხის გაუარესების მიზეზები და ფარმაკოპეით ანალიზის თავისებურებანი	169
სამკურნალო საშუალებათა სტაბილურობა და ვარგისიანობის ვადები.....	170
სამკურნალო საშუალებათა სტაბილურობის გაუმჯობესების გზები	171
სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შეამიანი მცენარეების სამრეწველო პლანტაციების შექმნის ტექნოლოგიები.....	172
გარემოსა და ნიადაგის შერჩევა – დიაგნოსტიკა.....	175
სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელ და შეამიან კულტურათა ჩართვა თესლბრუნვებში	177
ნიადაგის დამუშავება.....	179
ნიადაგის ნაყოფიერება	182

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი,	
სანელებელი და შხამიან მცენარეთა თესლის	
შერჩევა და თესლის ბანგის შექმნა	185
სამკურნალო, არომატული, საღებარი, სანელებელი და	
შხამიანი მცენარეების თესვა და დარგვა	196
განოყიერების სისტემა	199
მინერალური სასუქები	200
ორგანული სასუქები	204
ვერმიკულტურა	205
ბიოპუნქტურა	206
მორჩყვა	207
დაავადება – მავნებლები და მათთან ბრძოლის	
ბიოლოგიური ლონისძიებანი	209
მავნებლებები და სასარგებლო ენტოფაუნა	210
სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარ,	
სანელებელ და შხამიან მცენარეთა ბიონარმოების	
თავისებურებები	214
სამკურნალო, არომატული, სანელებელი, საღებარი და	
შხამიან მცენარეთა ბიონარმოებისათვის საჭირო	
ტექნოლოგიური რუკების შედგენა	215
ნედლეულის ბაზა და დამზადების პროცესის მარკეტინგი	219
მცენარეული ნედლეული	220
ნედლეულის მიღების და შეგროვების წესები	221
შრობის ტექნოლოგიები	224
მცენარეული ნედლეულის ტენიანობის განსაზღვრა	227
ნედლეულის დახარისხება, შეფუთვა, მარკირება,	
ტრანსპორტირება და შენახვა	228
სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებავი,	
სანელებელ და შხამიან მცენარეთა გენეტიკური	
რესურსი	231
აბზინდა (<i>Artemisia Absinthium</i>) – Wormwood –	
Полынь Горькая	231
ალისარჩული (<i>Carthamus Tinctorius</i>) – Safflower –	
Сафлор Красильный	235
ანწლი ჩვეულებრივი (<i>Sambucus Ebulus</i>) – Elder –	
Бузина Черная	236
ანგელოზა სამკურნალო (<i>Angelica officinalis</i>) – Garden	
Angelica – Дягиль Лекарственный	237
არნიკა მთის (<i>Arnica Montana</i>) – Mountain Arnica –	
Арника Горная	239
ასკილი (<i>Rosa Canina</i>) – Brier – Шиповник	241

ასფურცელა (<i>Tanacetum Vulgare</i>) – Tanacetum – Пижма	245
ასისთავა (<i>Centaurium Minus Moench</i>) – Centaury – Золототысячник	247
ბაბუანვერა სამკურნალო (<i>Taraxacum Officinale Wigg</i>) – Milk Gowan – Одуванчик Лекарственный	249
ბალბა (<i>Malva Silvestris</i>) – Mallow – Мальва	252
ბარამბო (<i>Melissa officinalis</i>) – Lemon balm – – Мелисса	253
ბირკავა (<i>Agrimonia Eupatoria</i>) – Agrimony – Репейник	256
ბუერა (<i>Petasites</i>) – Coltsfoot – Белокопытник	257
ბეგერდარა ჩვეულებრივი (<i>Thymis Vulgaris</i>) – Thyme – Тимьян Обыкновенный	258
გველის ხავსი (<i>Lycopodium clavatum</i>) – Common Club Moss – Плаун Булавовидный	260
გვირილა სამკურნალო (<i>Chamomilla Recutita</i>) – German Camomile -Ромашка Лекарственная.....	261
გლერდა (<i>Astragalus Microcephalus Willd</i>) – Locoweed – Астрагал	264
გოგრა (<i>Cucurbita Pepo</i>) – Cucurbit – Тыква.....	266
გულყვითელა სამკურნალო (<i>Calendula officinalis</i>) – Calendula – Ноготки	269
დიდგულა (<i>Sambucus Nigra</i>) – European Elder – Бузина Черная.....	275
დანდური (<i>Portulaca Oleracea</i>) – Purslane – Портулак	277
ენდრო (<i>Rubia Tinctorum</i>) – European Madder- Марена Красильная	278
ვარდკაჭაჭა (<i>Cichorium Intybus</i>) – Succory – Цикорий Обыкновенный	280
ვაშლი (<i>Malus Mill</i>)- Apple – Яблоко.....	283
ვირისტერფა (<i>Tussilago Farfara</i>) – Farfara – Мать-и-мачеха	287
ზაფრანა – (<i>Crocus</i>) – Crocuses – Шафран	289
თავშავა სამკურნალო <i>Origanum vulgare</i> (<i>Origanum</i>) – Обыкновенная Душица	290
მურყანი (თხმელა) (<i>Alnus Incana</i>) – Alder- Ольха.....	293
კამა დიდი (<i>Foeniculum Vulgare</i>) – Fennel – Фенхель Обыкновенный	295
კატაბალახა (<i>Valeriana officinalis</i>) – Valeriana – Валериана.....	298
კატაბალახას სამრეწველო პლანტაციების გაშენების წესი.....	299
თესლის ბანკის შექმნა	302

მოსავლის ალება და შენახვა	305
კვლიავი (<i>Carum Carvi</i>) – Caraway –	
ტმინ Обыкновенный	306
კოთხუჯი (<i>Acorus Calaus</i>) – Sweet flag – Аир.....	309
კუნელი (<i>Crataegus Oxyacantha</i>) – Hawthorn –	
Боярышник.....	310
კრაზანა (<i>Hypericum</i>) – Tutsan – Зверобой	312
მაჟალო (<i>Malus orientalis Uglitz</i>) – Crab Apple –	
Яблоня Дикая	315
მოცხვარი (<i>Ribes Nigrum</i>) – Currants – Смородина.....	316
მოცვი (<i>Vaccinium</i>) – Vaccinium Myrtillus – Черника.....	318
მთის პიტბა (<i>Calamintha Grandiflora Moench</i>) – Душевик	
крупноцветный	327
მთის ღანბილი (<i>Allium Victorialis</i>) – Victory Onion –	
Лук победный	328
ნიახური (<i>Apium</i>) – Graveolens – Celery- Сельдерей	330
ნიორი (<i>Allium Sativum</i>) – Garlic – Чеснок.....	332
ოხრახუში (<i>Petroselinum</i>) – Parsle – Петрушка	337
პანტა კავკასიური (<i>Pýrus Communis</i>) – Wild Pear Tree –	
Лесная Груша	340
პიტბა ბალის (<i>Mentha Piperita</i>) – Peppermint –	
Мята Перечная	342
სალბი სამკურნალო (<i>Salvia Officinalis</i>) –	
შალფეй Лекарственный.....	347
სამყურა (<i>Trifolium Pratense</i>) – Marsh Trefoil –	
Вахта Трёхлистная	349
ტუხტი სამკურნალო (<i>Althaea Officinalis</i>) – Mortification	
Root – Алтей Лекарственный	352
უთხოვარი (<i>Taxus Baccata</i>) – Common Yew –	
Тис ягодный	356
ფითრი (<i>Viscum Album</i>) – Viscum – Омела	358
კავკასიური ფიჭვი (<i>Pinus Caucasia</i>) – Caucasian Pinus –	
Сосна Кавказская	361
ქინბი (<i>Coriandrum Sativum</i>) – Coriander – Кориандр.....	363
ქონდარი ბალის (<i>Satureja Satureja hortensis</i>) – Savory-	
Чабер.....	366
მთის ქონდარი (<i>Satureja montana</i>) – <i>Satureja montana</i> –	
Чабер горный	367
ქრისტესისხლა (<i>Chelidonium Majus</i>) – Greater Celandine -	
Чистотел Большой	369

ლვია (<i>Juniperus sabina</i>) – Juniper – Можжевельник.....	371
შავბალახა (<i>Leonurus uinquelobatus Gilib</i>) – Leonurus – Пустырник.....	373
შვიტა მინდვრის (<i>Equisetum Arvense</i>) – field horsetail - Хвощ Полевой.....	375
ცირცელი (<i>Sorbus Aucuparia</i>) – Rowan Tree – Рябина Обыкновенная.....	377
ნაბლი (<i>Castanea Sativa Mill</i>) – European Chestnut – Каштан Посевной.....	379
ნალიკა (<i>Polygonum Hydropiper</i>) – Water Piper – Горец Перечный	383
ჭიაფერა (<i>Phytolacca – Pokeberry</i>) – Лаконос.....	386
ჯინქარი (<i>Urtica Dioica – Common Nettle</i>) – Крапива Двудомная	387
ხახვი (<i>Allium Cepa – Bulb Onion</i>) – Лук Репчатый.....	389
ჯორისძუა (<i>Urtica dioica</i>) – Common Nettle – Крапива Двудомная.....	391
ანტიბიოტიკების შემცველი სამკურნალო, სანელებელი და არომატული მცენარეები, არეალი, გენეტიკური რესურსის მარაგები, დაცვა-კონსერვაცია, ბიოლოგიური თავისებურებანი, მათი გამოყენების პერსპექტივები	393
სალებრების შემცველი სამკურნალო, სანელებელი და არომატული მცენარეები, არეალი, გენეტიკური რესურსის მარაგები, ბიოლოგიური თავისებურებანი, დაცვა-კონსერვაცია, გამოყენების პერსპექტივები.	405
ნარკოტიკული მცენარეები	414
თამბაქო (<i>Nicotiana tabacum</i>), წევო (<i>Nicotiana rustica</i>)	414
შეხამიანი მცენარეები და მათი სამეურნეო გამოყენება	430
დეზურა (<i>Delphinium Elatum</i>) – Larkspur – Живокость.....	433
ტილჭირი (<i>Aconitum – Aconitum</i>) – Аконит.....	434
ლენცოფა (<i>Hyoscyamus Niger</i>) – Black Henbane – Белена Черная	437
ლემა (<i>Datura Stramonium</i>) – Thorn Apple – Дурман.....	438
შმაგა (კავკასიური ბელადონა) (<i>Atropa Belladonna</i>) – Black Cherry – Беладонна.....	440
სასარგებლო მცენარეთა მრავალფეროვნება საქართველოში (ფოტოები – თ.კაჭარავა).....	443
გამოყენებული ლიტერატურა	455

შ ე ს ა ვ ა ლ ი

უნმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კა-
თოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოს-
მა, ბიჭვინთისა და ცხეუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეო-
რემ ბრძანა: „ჩვენთან ბრძანდებიან სახალხო ექიმები, თქვენ
იცით, რომ სახალხო მედიცინა ჩვენთან უძველესი საუკუნეები-
დან იყო და არის. განვითარებული იყო კარაბადინი, ხანდახან
ამას ეწოდებოდა ხალხური მედიცინა, ხანდახან სატაძრო მედი-
ცინა, ან სამონასტრო მედიცინა. მე მინდა რომ ჩვენმა ახალგაზ-
რდობამ ისწავლოს ხალხური მედიცინა“

მართლაც, ლოცვებით გაჯერებული წამლების, განსაკუთ-
რებით კი თუ ეს წამლები მცენარეული წარმოშობისაა, სამკურ-
ნალო შესაძლებლობები ძლიერდება, ამასთანავე მათ არ ახასი-
ათებთ გვერდითი არასასურველი მოვლენები და გართულებები.
არ ძველდება ნაკურთხი წყალი, რადგან წყალი ლოცვების
ლვთიური მაღლით იმუხტება. სამონასტრო მედიცინის უპირა-
ტესობაც სწორედ ამ ლვთიური მაღლით არის განპირობებული.

საქართველოს მდიდარი და უნიკალური ფიტოგენოფონ-
დი ბუნებრივ-ისტორიული სიმდიდრეა, რომელიც მუდმივ დაც-
ვასა და კონსერვაცია – აღდგენას საჭიროებს, რადგან ნად-
გურდება ან იცვლება სხვადასხვა სტიქიური თუ ანთროპოლო-
გიური ზემოქმედებებით. პრობლემა აქტუალურია ჩვენი ქვეყ-
ნისათვის, აქ გავრცელებულია სამკურნალო, არომატული, სა-
ღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების ის
უნიკალური სახეობები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ბევრი
მათგანი დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების პირას არის
მისული, მიმდინარეობს გენეტიკური რესურსის ეროზიული
პროცესები, უკონტროლო ექპლუატაცია. აქედან გამომდინარე,
აუცილებელია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების *ex-situ*
და *in-situ/on farm* უზრუნველყოფა.

მომავალი მოხმარებისათვისთვის და გენეტიკური და სა-
ხეობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად უდიდეს აუ-

ცილებლობას იძენს შემდეგი პარამეტრების დარეგულირება:

- საქართველოს მასშტაბით, განსხვავებული ეკოსისტე-მის პირობებში, დომინანტი სამკურნალო, არომატული, საღება-რი, თაფლოვანი, შხამიანი და სანელებელ მცენარეთა, მათ შო-რის ენდემური ან იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი გენ-პლაზმის მოძიება-კატალოგირება, მონიტორინგი, არეალი, მდგომარეობა, კონსერვაცია, ბიომორფოლოგიური, საჭიროე-ბის შემთხვევაში კი ქიმიური შედგენილობის კვლევა, არსებუ-ლი მონაცემთა ბაზის გამდიდრება;

- საქართველოს უნიკალური ფლორის სახეობების დაც-ვისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე ინფორ-მირების ამაღლება;

- სამრეწველო პლანტაციების გაშენება ინოვაციური ტექნილოგიებით ეკოლოგიურად სუფთა ან ბიონედლეულის მისაღებად;

- ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქტი-ს პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია და მდგრა-დი გამოყენება;

- ნატურალური საკვები დანამატების დასამზადებლად საინტერესო მცენარეთა პლოკების შერჩევა (ცხოველთა კომ-ბინირებულ საკვებში დასამატებლად ფიტოდანამატების შერ-ჩევა, მცენარეული საღებავები, ფიტოსამკურნალო საშუალებე-ბი, არომატული ფიტოსანელებლები);

- სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სა-ნელებელი და შხამიან მცენარეთა დამზადების, გაშრობის, გა-დამუშავების, შენახვის პირობების დიფერენცირება მათი რა-ციონალური გამოყენების მიზნით;

- ფიტონდუსტრიისათვის ეკოლოგიურად სუფთა სანედ-ლეულო ბაზის შექმნა;

- მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების პრინ-ციპების ინტეგრირება ბიომრავალფეროვნების იმ კონვენციით მინიჭებული უფლებებით, რომლის წევრიც არის საქართველო.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერე-

სი სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარეებისადმი, მათი გამოყენების პოტენციალი სულ უფრო და უფრო იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინაში, კოსმეტიკასა თუ კულინარიაში უხვად მოიპოვება სინთეტიკურ – ქიმიური საშუალებანი. ეს პროცესი არც არის გასაკვირი, რადგან მათ გამოყენებას თან ახლავს მრავალი თანმდები გართულება, რასაც ადგილი არ აქვს მცენარეული საშუალებების მოხმარებისას. მცენარეთა ონთოგენეზის პერიოდში მეტაბოლიტური პროცესების მიმდინარეობისას წარმოიქმნება ისეთი მნიშვნელოვანი და ძვირფასი ნაერთები, როგორიცაა ეთერზეთები, ალკალინიდები, გლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ვიტამინები ანუ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომელთა მოქმედება რბილი და ხანგრძლივია ადამიანთა ორგანიზმზე, მაგრამ შედეგიც სტაბილურია. მათი მოხვედრა ორგანიზმში იწვევს დადებით ფიზიოლოგიურ ეფექტს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარეები ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შეიცავენ მკაცრად ლიმიტირებული თანაფარდობით და რაოდენობით ეკონისტემასთან კავშირში. ამასთანავე მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში აიკრძალა ანტიბიტიკების მოხმარება ბავშვთა და ცხოველთა კვებაში, ამ ფონზე ნატურალური, ბიოლოგიურად აქტიური ფიტოდანამატები ადამიანისა თუ ცხოველთა კვებაში შეუცვლელ ადგილს დაიკავებენ მსოფლიო ბაზარზე, რითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნის ბიომრავალფეროვნება.

სასარგებლო (სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი, შხამიანი) მცენარეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას და სამრეწველო პლანტაციების შექმნას საქართველოსათვის მრავალმხრივი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს:

• **ეკოლოგიური** – სასარგებლო მცენარეთა კულტივირება და ბუნებრივი მცენარეული რესურსების მიზნობრივ – რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის უმდიდრესი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და უნიკალური გენოფონდის დაცვას;

● **ფარმაკოლოგიური** – სასარგებლო მცენარეთა სასაქონლო ფასას ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის სიდიდე და ეკოლოგიური სისუფთავის ტესტები განსაზღვრავენ. ინტენსიური აგროტექნიკური ღონისძიებების დადებითი გავლენით კულტივირებული მცენარეების ხარისხობრივი მაჩვენებლები ბევრად აღემატება შესაბამისი ველურად მოზარდი ფორმების ტესტებს. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის ეკოსისტემა ნაკლებ დაბინძურებულია მძიმე ლითონებით და რადიოუკლიდებით.

● **ეკონომიკური** – სასარგებლო მცენარეთა ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის, პროდუქციისა და სტანდარტული თესლის წარმოება უზრუნველყოფს სტაბილურ და გარანტირებულ შემოსავალს, რადგან დიდი მოთხოვნით სარგებლობს, პროცესი სულ უფრო შეუქცევადი ხდება. მოქნილი მარკენტინგული მოდელის შემუშავებით შეიქმნება ადგილობრივი წარმოების იაფი სამკურნალნამლო საშუალებები, განვითარდება პრიორიტეტული ფერმერული მეურნეობები და ფულად-საკრედიტო ურთიერთობები. ამასთან, ამ პრიორიტეტს ექსპორტის უდიდესი პოტენციალი გააჩინა.

მაღალპროდუქტული, ეკოლოგიურად სუფთა სასარგებლო მცენარეების სამრეწველო პლანტაციების და თესლის ბანკის ბიომოდელის შექმნა აუცილებელია, რადგან მცენარეებში წარმოდგენილია ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მთელი სპექტრი, რომლებიც წარმოიქმნებიან ონთოგენეზის პერიოდში მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით, რაოდენობით და თვისიობრივი შემცველობით, ისინი დადებით და სტაბილურ ზეგავლენას ახდენენ ცოცხალ ორგანიზმზე ნაკლები უკუქმედებების გარეშე, ანუ ეს პროცესი ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საწინდარია.

„მედიცინის ისტორია ითვლებოდა და ითვლება ერის კულტურის ერთ-ერთ საზომად, ვინაიდან არსთა მეუფისა და გვირგვინოსნის – ადამიანის ჯანმრთელობა ქვეყნად ყოველი სიკეთის დასაწყისია“ – აღნიშნავდა შუა საუკუნეების ფილოსოფოსი და მკურნალი არნოლდ ვილანოველი

Biodiversity of Medicinal, Aromatic, Dye, Melliferous, Spice and Poisonous Plants of Georgia

A rich and unique phytogenetic fund of Georgia represents a natural-historic treasure and requires permanent conservation-rehabilitation, as it progressively exterminates or changes under the influence of various natural disasters or anthropological and erosion impact. The problem is important to our country while the number of cultural plants and their wild ancestors originate in Georgia as it is their primary and secondary source hearth of origin. There is spread the unique medical, aromatic and spicy plants in Georgia, which cannot be found anywhere in the world. Due to their current state, most of these plants are on the verge of extinction. The erosive processes of genetic resources and uncontrolled export is going on. Therefore, it is necessary to preserve a biodiversity through ensuring *in-situ and ex-situ/on farm*.

Development of infrastructure of medical, aromatic, spicy and poisonous plants and the establishment of production plantations has many-sided effect in Georgia:

Ecological factors – Cultivation of medicinal, aromatic and spicy herbs and rational usage of natural herbal recourses will promote maintenance of biodiversity of the country and protection of its unique gene pool.

Pharmacological factors – Commodity price of medicinal, aromatic, spicy and poisonous plants are assigned according to the concentration of pharmacologically active substances and tests for ecological purity. Due to the positive influence of intensive agro technical polices, quality indicators of cultivated herbs greatly exceed the test results of correspondent wild forms. Moreover, our ecosystem is less polluted by heavy metals and undesirable tests.

Economical factors – production of ecologically pure products and standard seed from medicinal, aromatic, spicy and poisonous plants provides for stability and guaranteed income due to great demand, and the process becomes more and more irreversible. Development of flexible marketing model will promote the production of cheap local medications, development of priority farms and monetary and credit relations. At the same time, this priority implies a huge potential for export.

In the future Medical, aromatic, spicy, dye and poisonous

plants medications of organic origin and a base for the pharmaceutical industry will be established in the purposes of production-technology, management and scientific-research; ecologically pure, high quality products will be produced through via organic agriculture;

The areas and numbers of populations of medicinal, aromatic, spicy and poisonous plants have decreased in recent years in Georgia, owing to the following factors: loss of areas of distribution, excessive use of pastures causing variations in the vegetation cover, erosion and uncontrolled collecting of medicinal, aromatic, spicy and poisonous plants. It must be noted that areas and populations of wild medicinal plants have not been inventoried in recent years.

One of the major priorities regarding medical, aromatic, spicy and poisonous plant production is the creation of a standard of high-capacity Seed Bank. This modern bank of germ plasm is now in the process of development in Georgia. Selection of medical, aromatic, spicy and poisonous plants is desirable to supply the domestic market with highly productive, standardized and comparatively cheap seeds, and to maintain the seeds of the unique endemic varieties in seed banks.

An "artificial diversity" has been obtained through the use of genetic methods such as hybridization, mutation, genetic and cellular engineering, and leading to the creation of new varieties.

The preservation of biodiversity includes conservation of crop plants with their allied wild forms along with the whole ecosystem. Preservation and management of plant genetic resources in Georgia are possible through their conservation and sustainable use.

We have elaborated recommendations for Georgia on historically traditional priority – growth and production technology of ecologically sound standard raw materials and products of medicinal, aromatic, spicy, poisonous plants: forms of Valeriana: Valeriana officinalis, Valeriana Colchica Utk, Valeriana Alliariifolia, Origanum vulgare, Tymus vulgaris, Calendula officinalis, Melissa officinalis, Carum carvi, Salvia officinalis, Chelidonium majus officinalis and etc. – having no analogue in the country in terms of scale and character of scientific research works. A highly productive model for diagnostics has been created in the block of earth- environment- plant-fertilization-harvest, and impact of ecosystems on productivity, quality of raw materials and production has been differentiated.

სამკურნალო, არომატულ, საღეპარ, თაფლოვან, სანელებელ და შხამიან მცენარეთა კულტურა საქართველოში

სამონასტრო მედიცინა საქართველოში

საქართველოსა და ქართველი ერის უძველესი 30 საუკუნო-ვანი ისტორია და კულტურა მჭიდროდაა დაკავშირებული წამალ-მცოდნეობასა და სამკურნალო მცენარეებით მკურნალობასთან, აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთის არმაზთან ახლოს, მდინა-რე კავთურას ხეობაში, დღევანდელი სოფელი წინარეხის მახ-ლობლად, ქვათახევისა და მაღალანთ ეკლესის მახლობლად გა-შენებული ყოფილა ედემის ბალი – წალკოტი – ყვავილნარი, სადაც მრავალი უნიკალური სამკურნალო და არომატული მცენარე ხა-რობდა – გვამცნობს მემატიანე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღ-რიცხვამდე პირველ საუკუნეში.

ამჟამად საქართველო პატარა ქვეყანაა, ოთხ მილიონამდე მოსახლეობით და დაახლოებით 70 ათასამდე კვადრატული კილო-მეტრი ფართობით, სადაც აგრარული მიმართულება ტრადიციუ-ლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს, რადგან ქვეყნის მრავალფეროვანი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგები ძვირფასი კულტურების მოყვანის საშუალებას იძლევა. საქარ-თველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები უძველესი დროიდან მისდევდნენ მიწათმოქმედებას. ჯერ კიდევ ბრინჯაოს შუა ხანაში პრიმიტიული მიწათმოქმედების და მომთაბარე მეცხოველობის მიერ გამოფიტულ მიწებს მოსახლეობა ტოვებდა და ზემოთ, ტყის ზონაში გადაინაცვლებდა ხოლმე. აქ ისინი აწყობდნენ საახოვე მი-წათმოქმედებას, არჩევდნენ უფრო შემოსავლიან კულტურებს, მათ საკვებში დიდ ადგილს იქერდა მცენარეული წარმოშობის პროდუქტები. დროთა განმავლობაში ადამიანმა დაიწყო დაკვირ-ვები მცენარეთა სასარგებლო თვისებებზე, ყალიბდებოდა არ-სებული პირობების შესაბამისი მიწათმოქმედებისა და მეცხოვე-ლეობის სისტემა, ფართოვდებოდა ახალი, საჭირო მცენარეების

მოყვანა-წარმოების პრიმიტიული, მაგრამ სპეციფიკური ტექნოლოგიები, ამ პროცესს ხელს უწყობდა ქვეყნის უნიკალური ადგილმდებარეობა, კლიმატი, ნიადაგები, წყლის რეზიმი, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება.

საქართველოს მცენარეული გენეტიკური რესურსის შემადგენლობაში წარმოდგენილი სამკურნალო, არომატული, საღებარი, სანელებელი, თაფლოვანი და შხამიანი მცენარეების მრავალფეროვნების განხილვის დროს მიზანშენონილად ვცანით თანამედროვე მასალებთან ერთად წარმოგვედგინა ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში არსებული მონაცემებიც მცენარეთა რესურსის გამოყენების შესახებ.

საქართველოში ისტორიულად ვითარდებოდა მედიცინა. მსოფლიო მედიცინის ისტორიის პირველი ტომის პირველი ქვესათაური „უძველესი კოლხური მედიცინა“-თი იწყება. კოლხურ-იბერიულ მედიცინას მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორია და სახელოვანი ტრადიციები აქვს. ქართულ ეპოსში „ამირანიანი“, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულს ეკუთვნის, მითითებულია მცენარეებისა და მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებთან ერთად მათი გამოყენების მეთოდებზეც. საინტერესოა, რომ ამირანის მითს უკავშირებენ პრომეთეს მითსაც. ბერძნულ ლიტერატურაში პრომეთე ითვლება მკურნალობის მამამთავრად. ესქილეს (525-456 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) „მიჯაჭვულ პრომეთეში“, რომელიც ასახავს ბერძნული ფილოსოფიის განვითარების ამ ეტაპს, „იგრონი“ გვხვდება „ჰიდროსის“ ნაცვლად. „იგრონი“ ქართული ყოფის აღმნიშვნელია და გულისხმობს ჯადოსნური წყლის მფლობელ მეფეს, რომლის სამკვიდრო კოლხეთია. პირველი ათასწლეულის დასაწყისში, დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კოლხეთის მძლავრი სახელმწიფო, სადაც განვითარებული ყოფილა მედიცინა, ამაზე მიუთითებს მითი არგონავტების შესახებ. კოლხეთში არსებობდა, როგორც ზემოთ ავლიშვილები, ჰეკატეს ტაძარი, რომლის ეზოშიც სამკურნალო და არომატული მცენარეები იყო მოშენებული, ჰეკატეს ქურუმი ქალები ერთდროულად სახალხო მკურნალე-

ბიც იყვნენ. ჰეკატე ხომ სახალხო მკურნალთა მფარველად ითვლებოდა. კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილი მედეა მცენარეების წვენისაგან ისეთ ჯადოსნურ წამლებს ამზადებდა, რომ მკვდარსაც კი აცოცხლებდა. მის სახელთანაა დაკავშირებული ყველაზე აღრეული მითითება „სისხლის გადასხმისა“ და „გაახალგაზრდავების“ შესახებაც. ჰეკეტეს ბალში გაშენებული ყოფილა ცერცველა, ვენერას თმა (გვიმრა), ძალლყურძენა, პაპირუსი, ცოცხანა, ფრინტა, ბალის სალბი, გორგოლა, ყოჩივარდი, ლავანდი, იორასალები, პიტნა, მანდრაგორი, ურცი, ალისარჩული, თავშავა, ზაფრანა, ილი, ეკალლიჭი, გვირილა, ყაყაჩო, ძირთეთრა, ბალბა, ნარდი ანუ ინდური ვალერიანა, კატაბალახა, დეზურა და სხვ. არსებობს ცნობები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სამეფო კარზე აშენებდნენ ე.წ. „სავარდეებს“, სადაც დეკორატიულ მცენარეებთან ერთად სამკურნალო და არომატული მცენარეებიც მოიპოვებოდა.

კოლხეთი და იბერია ცნობილი იყო, როგორც უნიკალური სამკურნალო – არომატული საშუალებებისა და შხამების წარმოება-გავრცელების მხარე. საქვეყნოდ არის ცნობილი პონტოს მეფის, მითრიდატე პონტოლის (132-64 წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) შხამები და იმუნიტეტი, რომელიც მან გამოიმუშავა საკუთარი ორგანიზმის მონამვლისაგან თავდაცვის მიზნით. მითრიდატეს სახელთანაა დაკავშირებული ცნობილი სამკურნალო საშუალება მითრიდატუმი.

ძველი ბერძნული მითოლოგის მიხედვით კოლხეთში, მედეას მამის – მეფე აიეტის საბრძანებელში ზღაპრულ ბალში ხარობდა უჩვეულო მცენარე კოლხიკონი – უცუნა (*Colchicum speciosum* Stev.) შროშანასებრთა (Liliaceae) ოჯახის წარმომადგენელი. ეს მრავალწლოვანი ტუბერბოლქვიანი მცენარე შეიცავს ტროპოლონურ ალკალოიდებს: ფოთლებში – 0,60%-მდე, ტუბერბოლქვებში – 0,25%-მდე, თესლებში – 1,20%-მდე; ალკალოიდებს – კოლხიცინსა და კოლხამინს და სხვ. ალკალოიდების საერთო რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს ფოთლების ფორმირების დასაწყისში, ხოლო კოლხამინის შემცველობა მერყეობს 0,010-

0,072%-ის ფარგლებში. დადგენილია, რომ თესლებში ალკალი-დები ლოკალიზებულია გარსის მესამე ფენაში და ენდოსპერმში. კოლხიცინი და კოლხამინი კარიოპლასტური შხამებია, ისინი წარ-მატებით გამოიყენებიან მედიცინაში ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებისას.

წინაპრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ნამარხებში საქართვე-ლოს ტერიტორიაზე, კერძოდ თრიალეთში, აღმოჩენილია უალრე-სად ძვირფასი და განსაკუთრებული სინატიფით შესრულებული ოქროს ნივთები გველის გამოსახულებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ჭურჭელი სამკურნალნამლო საშუალებათა შესანახად იხ-მარებოდა, რადგან გველი, როგორც ჩანს, იმ დროსაც კი უკვე სიბრძნისა და სიკეთის მფარველად ითვლებოდა. ქართულ არქეო-ლოგიურ მასალებში მოპოვებულია ბრინჯაოს ქირურგიული ია-რალები, რომლებიც მეორე ათასწლეულის შუა ხანით თარიღდება.

„საეკლესიო და საერო მედიცინა“ ერთმანეთს ავსებდნენ და მათი განცალკევება შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ „სენთა კურნება“ ეკლესიის მსახურთა კომპეტენციაში შედიოდა და „სა-ეკლესიო მედიცინა“ გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე „საერო“. შემთხვევითი არაა, რომ „კარაბადინები“ უმეტესად სასულიერო პირების ღვაწლის შედეგად იქმნებოდა.

სამედიცინო საქმე ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ეკლესიის პრეროგატივა გახდა. ეკლესიებთან მოეწყო სასნეუ-ლოები, თავშესაფრები, ფსიქიკურად დაავადებულთა საავადმყო-ფოები. ყველა საეკლესიო მოღვაწე გარკვეულ სამედიცინო ცოდ-ნას ფლობდა. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ქართველი წმინდანი – წმინდა ნინო, წმ. შუმანიკი, ცამეტი ასურელი მამა, მსოფლიოში სახელგანთქმული ილარიონ ქართველი, მარტვილი საბანმინდელი (VII ს.), იოანე ზედაზნელი, აბიბო ნეკრესელი, შიო მლვიმელი (VI ს.), ილარიონ ქართველი (IX ს.), გრიგოლ და ეპიფა-ნე ხანძთელები (VIII-V ს.ს.), ათონელი მამები – მკურნალებიც იყვნენ. მათ მიერ მოხდა საქართველოს ეკლესიაში სამედიცინო ტრადიციების დაფუძნება შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებებით:

- უვერცხლო მკურნალობა – ანუ მკურნალობა გასამრჯელოს გარეშე;
- ავადმყოფის მოვლა, მის გვერდით ყოფნა და თავგანწირვა.

ქველ აღთქმაში აღნერილია, თუ რამდენი ხნით უნდა მომხდარიყო სხვადასხვა დაავადების დროს ავადმყოფის თემისგან გარიდება. მკაცრად იკრძალებოდა მიახლოებაც კი. ეს ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული ჩანდა, მაგრამ მეორე მხრივ, ავადმყოფის ბედის ანაბარა მიტოვებაც იყო. ქრისტიანობამ აქაც მეტად გაბედული ნაბიჯი გადადგა. ჭეშმარიტი მამა და მოძღვარი არასდროს ტროვებდა გაჭირვების უამს, თუნდაც ეპიდემიების დროს თავის მრევლს. ეკლესიამ თავის წიაღში ადგილი მიუჩინა ისეთ მძიმედ დაავადებულ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ კეთროვანები და ფსიქიური პრობლემის მქონე ავადმყოფები. სამოქალაქო საზოგადოება მათზე ზრუნვას თავის თავზე მხოლოდ შეა საუკუნეებიდან იღებდა.

სავადმყოფოები იქმნებოდა როგორც ქალაქებსა და ადმინისტრაციულ ცენტრებში, ისე მონასტრებთან, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ცნობილი იყო საუკიმო საქმიანობით ათონის ივერთა მონასტერი. XI საუკუნიდან მოყოლებული, იქ რამდენიმე საავადმყოფო შეიქმნა, მათ შორის სპეციალიზებული საავადმყოფო კეთროვანთათვის – ლეპროზორიუმი. მონასტრის ხელმძღვანელი ექვთიმე ჩორჩანელი – ხურციქე იყო საექიმო საქმისა და საავადმყოფოთა მშენებლობის ორგანიზატორი. ამ პერიოდს ეკუთვნის პეტრინონისა და გელათის მონასტრებთან საავადმყოფოების აშენება, ვარძის აფთიაქისა და ვანისქვაბის მონასტრის სასწაულოს დაარსება. აღსანიშნავია საბანმინდის (იერუსალიმი) ქართველთა ლავრისა და ხანძთის სავანეების საექიმო საქმიანობა, ასევე ილარიონ ქართველის საექიმო მოღვაწეობა.

მეხუთე საუკუნიდან დასტურდება, სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო განათლების კერების არსებობა, წერს თავის ნარკვევებში პროფ. ა.გელაშვილი. მისივე თქმით, საქარ-

თველოში ყოფილან მედიცინის ამა თუ იმ დარგში დახელოვნებული ექიმები: მკურნალი (თერაპევტი), დასტაქარი (ქირურგი), მეშირიმე (უროლოგი), ტატბერი (მეან-გინეკოლოგი) და სხვ.

დავით გარეჯში შემორჩენილია „საეკლესიო მედიცინის“ არსებობასთან დაკავშირებული მრავალი ფაქტობრივი მასალა. განსაკუთრებით ხაზი გაესმის იოანე ზედაზნელის, დავით გარეჯელის და მისი მოწაფის ლუკიანეს მოღვაწეობას. მემატიანეს ცნობით, ასურელი მამები დახელოვნებულნი ყოფილან „სენთა მკურნალობაში“. ისინი არა მხოლოდ „სასწაულებითა“ და „საკვირველებით“ მოქმედებდნენ, არამედ იყენებდნენ იმ დროისათვის რაციონალურ სამკურნალო საშუალებებს, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნაწარმს. მაგ. ირმის რძეს. ამას მოწმობს ლუკიანეს მიერ ირმების მოწველის ამსახველი ფრესკა. ასევე ფართოდ იყენებდნენ ნიახურის თუ სხვა მცენარეთა თესლებს, ღეროებსა და ფესვებს სითხოვანი წამლის ფორმების მოსამზადებლად, რომლებიც გამოიყენებოდა ღვიძლისა და თირკმლის დაავადებათა სამკურნალოდ. დავით გარეჯის გამოქვაბულში შეინიშნება წამლების დასალაგებელი თაღჩების ნანგრევთა ნაშთები.

წმინდა ნინოს ქართლში წარმატებული მოღვაწეობის ერთერთი განმსაზღვრელი მისი სამედიცინო ცოდნაც გახლდათ. თავიდან მან მკურნალის სახელი მძიმედ დაავადებული ბავშვის განკურნებით მოიპოვა, შემდეგ განკურნა მებალის ოჯახი და დედოფალი ნანაც კი. კაბადოკიელი ქალწული ღვთისაგან მონიჭებული ძალით სამკურნალო საშუალებით სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ანიჭებდა ხალხს. ამავე დროს ქვეყანაში არსებობდნენ მეცნიერნი კურნებისა „ხელოვანნი მკურნალნი, რომელთაც მავანი ავადმყოფი, შეისწავლეს იგი ყოველთა, მაგრამ აროდეს ჰპოვეს სარგებელი კურნებისა ყრმისათვის და ბოლოს ისევ წმინდა ნინოს მიაკითხეს“. წმინდა ნინომ მრავალი ავადმყოფი განკურნა, მაგრამ თვითონ სრულიად ახალგაზრდა დასნეუნებულა და 31 წლის გარდაცვლილა.

უძველეს ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში „წმინდა შუშანიკის წამება“ აღნერილია ვარსქერ პიტიახშის მეუღლის, შუშა-

ნიკის მოწამეობრივი ცხოვრება და ღვაწლი. ნაწარმოები შექმნილია კარის მოძღვრის, იაკობ ხუცესის (ცურტაველის) მიერ, რომელიც, როგორც ავტორი გადმოგვცემს, საქმის საქმეშიც ყოფილა განაფული. ხუცესმა ნაგვემ-ნატანჯი შუშანიკი მოინახულა, შესთავაზა შესაბამისი წამლები და სალბუნების დადება. „და მე ვარქუ წმინდასა შუშანიკს: „მიბრძანე და მოვპანო სისხლი ესეე პირსა შენსა და ნაცარი, რომელიც თუალთა შენთა შთაცეულ არს, და სალბუნი წამალი დაგდვა, რაითა ჰე, ღამე თუ განიკურნე“. აქ „სალბუნი“ – მალამო გაიგივებულია წამალთან. წამებაგამოვლილი შუშანიკი მალე თვითონ ხდება მკურნალი და სასწაულმოქმედი. ეს ბუნებრივიცაა, მთლიანმა სულიერმა კათარზისმა მასში ღვთის მიერ მინიჭებული და მიძინებული ძალები აამოძრავა, გონი გაუხსნა და სხვისთვის მიუწვდომელი შესაძლებლობები აღმოაჩინა. შუშანიკი საბოლოოდ სპარსელ ქალს რვულსაც კი შეაცვლევინებს და ისე მოარჩენს სწორულებისაგან.

პეტრე იბერი ქართლის მეფე ვარაზ-ბაქარის შვილი იყო. ერისკაცობაში პეტრე იბერს მურვანოზი ერქვა. ვარაზ-ბაქარმა თავისი 14 წლის მემკვიდრე მძევლად გაგზავნა კონსტანტინოპოლში, კეისრის კარზე. იქ ალიზარდა მურვანოზი, მიიღო ღრმა ფილოსოფიური, თეოლოგიური და როგორც ჩანს, სამედიცინო განათლებაც. შემდგომ პეტრე იბერი ეპისკოპოსი გამხდარა, საავადმყოფო გაუხსნია და ავადმყოფებსაც ღებულობდათ. პეტრე იბერის საექიმო მოღვაწეობაზე ქართლის ცხოვრებაც მოგვითხრობს. მას სამშობლოზე ზრუნვა პალესტინაში მოღვაწეობისაც არ შეუწყვეტია, აუშენებია მონასტერი, რომელსაც „ჰელიან ქართველისა მონასტერი“, იერუსალიმში კი დაუკარსებია „სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა და განუსვენებდა მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძნთა“. უძველეს ქართულ წყაროებში შემონახულია ცნობები პეტრე იბერის დედის, დედოფალ ბაკურდებტის სამედიცინო მოღვაწეობის შესახებ. პეტრე იბერის ცხოვრების აღმწერი ზაქარია ქართველი წერს, რომ პეტრე იბერის დედას ბაკურდებტს მოგზაურთათვის სასტუმროები და საავადმყოფოები აუშენებია.

„კლდეში ნაკვეთი ქალაქის“ – უფლისციხის მონოგრაფიის ავტორი და ხახუტაშვილი ადასტურებს, რომ სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს დაცულია კლდეში ნაკვეთი დარბაზი, რომელშიც მოწყობილია მცირე ზომის თაღჩები, რომლებშიც წამლებს ინახავდნენ. არაა გამორიცხული, რომ დარბაზი აფთიაქის მოვალეობას ასრულებდა.

XII-XIII საუკუნეებში საქართველოს ეკონომიკურმა და დაპოლიტიკურმა ძლიერებამ აღმოჩნდების გზაზე დააყენა ქართული „საეკლესიო“ და „საერო“ მედიცინა.

XII საუკუნეში წამალთმცოდნეობა და წამლის მომზადების ტექნიკა ძალზე განვითარებული ყოფილა. ამაზე მეტყველებს ვარძიის ციხე – ქალაქი, სადაც ასევე აღმოჩნდილია კლდეში გამოკვეთილი თაღჩებიანი აფთიაქი წამლის შესანახად. უფლისციხისა და ვარძიის კომპლექსში არსებული თაღჩებიანი გამოქვაბულის ანალოგიური ნაგებობა აღმოჩნდილია „მაღალაძიანთ ეკლესიაში“.

შატბერდის მონასტერში XII საუკუნეში მოღვაწეობდა ცნობილი „ექიმი სამცხისა“ გრიგოლ ვაჩაძორელი, რომლის სამედიცინო ხასიათის ხელნაწერები 1462-66 წლებში მშობლიურ ენაზე თარგმნა სომეხმა ბერმა მარქარმა. ხელნაწერი ეძღვნება წამალთმცოდნეობას, პათოლოგიასა და თერაპიას.

საქართველოში სამკურნალო მცენარეების გავრცელებაზე მიუთითებენ ბერძნ და რომაელ ავტორთა ნაწარმოებებიდან შემორჩენილი ფრაგმენტებიც, ამ მხრივ საინტერესოა დიოსკურიდე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნე), ჰორაციუსი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 395 წ.წ.), პლინიუსი (ახალი წელთაღრიცხვით 29-79 წ.წ.), ფსევდო-პლუტარქე, ამიანე მარცელინე (ახალი წელთაღრიცხვით IV საუკუნე) და სხვ. ისინი თავიანთ ნაშრომებში მაშინდელ საქართველოს წარმოგვიდგენდნენ, როგორც სამკურნალო მცენარეების, წამლებისა და შესამების ქვეყანას.

საქართველოს კულტურულ აღმავლობას ხელი შეუწყო საეკლესიო-სამონსატრო მშენებლობამ ტაო-კლარჯეთში, რომელ-საც სათავეში ედგა საეკლესიო ბრნებინვალე მოღვაწე გრიგოლ

ხანძთელი. ეს მონასტრები შემდგომში კულტურულ-საგანმანა-
თებლო კერძი გახდნენ. აქ ითარგმნებოდა მრავალი უცხოური
ნაწარმოები, ინერებოდა წიგნები. ამ მონასტრებმა ხელი შეუწყვეს
ქართული მედიცინის განვითარებასაც. ტაო-კლარჯეთის სავანე-
ებში – ხანძთაში, იშხანსა და შატბერდში ითარგმნა ანატომიურ-
ფიზიოლოგიური ტრაქტატი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა
ქართული ბიოლოგიური და სამედიცინო აზროვნების გაღრმავე-
ბაში. ქართველთა დახელოვნება სამკურნალო საქმეში კარგად
ჩანს ლიტერატურულ წყაროებიდან: იაკობ ცურტაველის „შუშა-
ნიკის წამება“, „წმინდა წინოს ცხოვრება“, მარტვილი საბა წმინდე-
ლის „სინანულისათვის სიმდაბლე“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვ-
რება“, „ილარიონ ქართველის ცხოვრება“. ამ ნაწარმოებებიდან
ირკვევა, რომ V-XI ს.ს. ქვეყანაში მაღალ დონეზე იმყოფებოდა
სამკურნალო მცენარეთა მოძიება-გამოყენების საქმე. XI-XII საუ-
კუნეების განმვლობაში საქართველომ არნახულ აღმავლობას
მიაღწია, განვითარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ფიზი-
ოლოგია, მედიცინა, გაჩნდნენ პროფესიონალი ექიმები, წამლები
კი ამ დროისათვის ძირითადად მცენარეული წარმოშობის იყო. სა-
ყურადღებოა ისიც, რომ საბუნებისმეტყველო, ბიოლოგიური და
სამედიცინო ტერმინები გვხვდება მოსე ხონელის, სარგის თმოგ-
ველის, შოთა რუსთაველის, ჩახრუხაძის, იოანე შავთელისა და XI-
XIII ს.ს. სხვა მოღვაწეთა ნაწარმოებებში. საქართველოში მედი-
ცინისა და წამალმცოდნების განვითარების შესახებ ცნობებს
გვაწვდიან არქანჯელო ლამბერტი, შარდენი, ტურნეფორი, სხვა
უცხოელი ავტორები. ქართველი მეფეები: დავით აღმაშენებელი,
თამარი, ლაშა-გიორგი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ V, ვახტანგ
VI, ერეკლე II, სოლომონ I ხელს უწყობდნენ მედიცინის განვითა-
რებას. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ვახტანგ VI-ის ღვაწლი.
მის მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა „უსწორო კა-
რაბადინი“, „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ და სხვ. იგი ეწეოდა
სამკურნალო მცენარეთა მოშენებასაც, ხოლო სულხან-საბა ორ-
ბელიანს „სიტყვის კონაში“ მრავლად აქვს განმარტებული სამ-

კურნალო მცენარეთა სახელები. ერეკლე II-საც ჰქონდა მოშენებული სამკურნალო მცენარეები.

საქართველოში სამკურნალო მცენარეთა შესახებ მასალა ფართოდაა წარმოდგენილი უძველესი დროიდან ხალხურ ფოლკლორში – ლოცვებში, ზღაპრებში, თქმულებებში, ანდაზებში, ლექსებში თითქმის ყველა მცენარე სამკურნალოა. ხალხური მკურნალებისა და წამალმცოდნეთა სიმრავლე საქართველოში და მათ მიერ მრავალ სამკურნალო მცენარეთა გამოყენების ფაქტები მათი უძველესობის ძლიერი დამადასტურებელი ფაქტია, ისევე როგორც საქართველოს ველური და კულტურული ფლორის მრავალფეროვნება და დივერსიფიკაცია, რაც აპირობებს კიდეც ხალხურ წამალმცოდნეთა სიმრავლეს, მონმობს ქვეყნის უძველეს, უდიდეს და ტრადიციულ ეროვნულ კულტურას ამ დარგში.

უკვე აღმოჩენილი და ცნობილი ფილოსოფიური საექიმო ძეგლების მიხედვით საქართველოს მედიცინის ძველი ისტორია შეიძლება გავყოთ სამ კლასიკურ პერიოდად:

- პირველ პერიოდს ეკუთვნის IX-XII საუკუნეები და უფრო ადრეც, როდესაც ქართულმა ფილოსოფიურმა საექიმო მსოფლმხედველობამ განიცადა საბერძნეთის მძლავრი გავლენა;
- მეორე პერიოდი მოიცავს XII-XV საუკუნეებს, როდესაც არაბულ-ირანული საექიმო მსოფლმხედველობა უდიდეს გავლენას ახდენს ქართულ საექიმო აზროვნებაზე. ამავე პერიოდში ქართულ მედიცინაში მტკიცედ მკვიდრდება არაბულ-ირანული პროფესიული გავლენა და ტერმინოლოგია;
- მესამე პერიოდი იწყება XVI საუკუნიდან და გრძელდება XIX საუკუნის დასასრულამდე. ამ პერიოდში სუსტდება არაბულ-ირანული გავლენა და ქართული საექიმო აზროვნება უკვე განიცდის დასავლეთ ევროპის გავლენას.

XIX საუკუნე მკვდარი პერიოდია ქართული მედიცინის ისტორიაში, როცა არც ერთი ლირშესანიშნავი საექიმო თხზულება არ შექმნილა.

ცნობილია, რომ ყველა უძველეს კულტურულ ერს აქვს თა-

ვისი საექიმო აზროვნება, ორიგინალური თუ ნასესხები სხვა უფრო კულტურული ერისაგან. საქართველოს კი აქვს თავისი საექიმო-ფილოსოფიური ორიგინალური მსოფლმხედველობა სიცოცხლის, ავადმყოფობისა და სიკვდილის მიზეზების ახსნა-განმარტების მიზნით. სწორედ ამ ორიგინალური საექიმო ფილოსოფიური აზროვნების შედეგია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის უდიდესი ძეგლები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება. საყურადღებო და მნიშვნელოვანია ასევე აგიოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და სახვითი ხელოვნების უძვირფასესი ძეგლები, რომლებიც თავიანთი პროფესიული დონით თანამედროვე მკვლევართა განცვიფრებას იწვევნ. გასაგებია, რომ გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა და მტკიცე რწმენის გარეშე არც ერთი ამ ძეგლის შექმნა არ შეიძლებოდა საქართველოში. ხალხური მედიცინის ისტორიული განვითარების მაჩვენებელია ისიც, რომ თუ გერმანელებს XVI საუკუნეში ჰყავდათ სახელოვანი პარაცელზი, დიდი ფილოსოფოსი და მედიცინის რეფორმატორი (1493-1541), ჩვენ კი XV საუკუნეში უკვე გვყოლია ბრძენმთავარი მეურნალი, მოაზროვნე, პოლიტიკური მოღვაწე და პროგრესის მესიტყვე, ყინწვისის სამედიცინო ცენტრის მეთაური ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, რომლის სახე ყინწვისის ტაძარში ფრესკის სახით შემორჩენილა (1430 წ.), ხოლო მის სამედიცინო ენციკლოპედიას „კარაბადინი“, მოცულობითა თუ მნიშვნელობით კლასიკური მედიცინის ისტორიაში ძნელად თუ რომელიმე ძეგლი გაუტოლდება.

- სალერნოს ცნობილი კოდექსი დაახლოებით 1300-იან წლებში დაიწერა შესანიშნავი სტილის პოემის სახით ესპანელი ფილოსოფოსისა და მეურნალის არნოლდ ვინალოველის მიერ, რომლის რეცეპტებსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა სამკურნალო, ჰიგიენური თუ დიეტური მოთხოვნების მიმართულებით. მას შუასაუკუნეების მედიცინის ჰიმნსაც უწოდებენ. კოდექსში გამოყენებულია როგორც ქართულ-კოლხური მედიცინის „ჰეკატეს და მედეას ბალების მცენარეების, ასევე პონტოს მეფის მითოდატე პონტოელის რეცეპტებიც. კოდექსის დამსახურებაა

ისიც, რომ XIV საერთაშორისო მსოფლიო კონგრესი მედიცინის ისტორიის მიმართულებით გაიმართა რომსა და სალერნოში.

- ქართული „უსწორო კარაბადინი“ – XI საუკუნის ძეგლია.
- ფანასკერტელის „კარაბადინი“ – XV საუკუნისა.

„სამკურნალო წიგნი“ (ქართულად), „კარაბადინი“ (სპარსულად და არაბულად) და „ფარმაკოპეა“ (ბერძნულად და ლათინურად) იდენტური ცნებებია. კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხი ევროპელი მეცნიერებისათვის პირველად გაარკვია გერმანელმა პროფ. კურტ შპრენგელმა (იხ. მისი „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის ცდა“ მეორე ტომი გვ. 347, 1800 წელი).

XVI საუკუნეში ქართული სამედიცინო ლიტერატურა გამდიდრდა ისეთი უნიკალური ძეგლით, როგორიცაა საქართველოს მეფე დავითის – დაუდხანის შვიდასგვერდიანი სამედიცინო ენციკლოპედიით – „იადიგარ დაუდი“. ცხადია, არც ამით იზომება ქართული მედიცინის სიძველე და სიდიადე. საკმარისია ისევ და ისევ გავიხსენით „პეკატეს ბაღი“, „მედეას ბაღი“, ბერძენ ავტორთა ცნობები, გერმანელი სწავლული კურტ შპრენგლი, რომელიც თავის კაპიტალურ შრომას – „მედიცინის ისტორიის პრაგმატული ცდა“, ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის უამს კოლხური მედიცინის ისტორიით იწყებს. დიდი ჰიპოკრატე, ასკლეპიოსის შთამომავალი, თავის აფორიზმებში წერდა: „სიცოცხლე მოკლეა, ხელოვნება გრძელი; ხელსაყრელი შემთხვევა სწრაფმავალია, ცდა – ცრუ და მატყუარა; მსჯელობა ძნელია. ამიტომ არა მარტო ექიმმა უნდა გამოიყენოს საქმეში ყველაფერი, რაც აუცილებელია, არამედ ავადმყოფიც და ყველა ირგვლივ მყოფიც, ყველა გარემოებაც უნდა დაეხმაროს ექიმს მის მოქმედებაში“. ამ გარემოებათა შორის რა თქმა უნდა, მედიცინის ისტორიისა და პრაქტიკის გააზრებულ ცოდნას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება.

სამკურნალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხახიანი მცენარეები ქველ ქართულ გედიცინაში

საქართველოში სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეების შესახებ არსებობს მკვლევართა და მოგზაურთა შრომები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან შევიმუშავოთ წარმოდგენა ამ მიმართულების განვითარების შესახებ. ირკვევა, რომ საქართველოში მოხმარებულ სამკურნალო მცენარეთა შორის მრავალი სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელია, მაგრამ უფრო მეტად გვხვდებიან პარკოსნების, ქოლგოსნების, ვარდნაირთა, ტუჩოსნების, შროშანისებრთა, რთულყვავილოვანთა, ხვართქლისებრთა და სხვ. ოჯახების წარმომადგენლები. აღსანიშნავია მარცვლოვნების როლი, რომელთა წარმომადგენლები მრავლად გვხვდება ძველ ქართულ მედიცინაში: ბრინჯი, ქერი, ხორბალი, ფეტვი და სხვ. ყველა ეს სასარგებლო მცენარე წარმოადგენს, როგორც საკვებად ფართოდ მოხმარებულს, ისე სამკურნალოდ გამოყენებულ მცენარეებსაც. საქართველოში ბრინჯის მოყვანას რაც შეეხება, შესაძლებელია დაბლობ ადგილებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც იგი ისტორიულად მოყავდათ კიდეც.

საინტერესოა, რომ ძველ ქართულ მედიცინაში გვხვდება არომატული ანუ ეთერზეთოვანი მცენარეები, რომელთაც სპეციფიკური და სასიამოვნო სურნელება ახასიათებთ. ძველ მედიცინაში ავადმყოფის მკურნალობის დროს დიდი ყურადღება ექცევიდა ავადმყოფის ლოგინზე სურნელოვანი მცენარეების დალაგებას ან მათ სასუნებლად მიცემას. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ია. მძიმე ავადმყოფს ურჩევდნენ: „ის ძირი, ხატმი, ვარდი და ია საგებელსა ზედა მოიყაროს, და ისუნებდეს, რაცა სურნელი არის“. გარდა იმისა, რომ ია სასიამოვნო სურნელით ხასიათდება, იგი ითვლებოდა მრავალმხრივ სასარგებლო სამკურნალო მცენარედ, შარდმდენად, გულის დაავადების, ხეელის, სიყვითლის სამკურნალოდ და სხვ. იის შესახებ არსებობ-

და წარმოდგენა, რომ „ია... ყოვლის სენისა და ჭირის წამალი და აქიმი არისო და მწოდ მარგე ყვავილი არის“. საერთოდ, ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ორმოცამდე ეთერზეთოვანი მცენარეა სამკურნალოდ ხმარებული, მათ შორის უფრო მეტად ქოლგოსნებისა და ტუჩინსნების ოჯახების წარმომადგენლები გვხვდება. მაგალითად, ტუჩინსნებიდან გვხვდება: თავშავა, პიტნა, რეჟანი, ურცი, შავბალახა, ბარამბო, ზოფა ანუ უსუპის ყვავილი, ქონდარი. ქოლგოსნებიდან – ზირა ანუ კვლიავი, დიდი კამა, ნიახური, ოხრახუში, ტყიურა, ქინძი, ფერულა. საყურადღებოა, რომ სამკურნალო-არომატულ მცენარეებს მიეკუთვნება ცნობილი უძვირფასები სანელებელი კულტურები, რომლებიც როგორც საჭმლის შესანებლად, ისე საკვებადაც იხმარება: კამა, ნიახური, ოხრახუში, პიტნა, რეჟანი, ტარხუნა, ქინძი, ქონდარი. ყველა ეს მცენარე გამოყენებული იყო ძველ ქართულ მედიცინაშიც.

დიდი კამა (*Foeniculum vulgare Mill*) – ქოლგოსანთა (*Apiaceae* ანუ *Umbelliferae*) ოჯახის მრავალწლოვანი წარმომადგენელი, ფართოდ გავრცელებული და გამოყენებადი მცენარეა, იხმარებოდა მხედველობის დაქვეითებისას. ამ მხრივ შემორჩენილია თქმულება, რომ „გაზაფხულის პირზედა, მთვარი-ანსა ლამესა გველი ვეღარაფერს დაინახავს და თვალთა დაუბნელდების და თვალნი აუჭრელდების, მერმე ამა კამის ფოთოლსა თვალზე მიისვამს, მოისვამს და მას უკან როგორც დღისით, ისევე ლამით დაინახავსო“. ამჟამად კამა ვიტამინების შემცველ ეთერზეთოვან მცენარედ არის ცნობილი, იგი ძვირფასი სანელებელია. კამის თესლი და ზეთი ამოსახველებელი საშუალებაა. თესლი შედის მეტეორიზმის სანინაალმდეგო წაკრებში, წარმატებით გამოიყენება ამავე დანიშნულებით დიდი კამის წყალი ჩვილი ბავშვებისათვის, იყენებენ ვეტერინარიაშიც. ჯერ კიდევ პიპოკარატე და ავიცენა აღნიშნავდნენ მის სამკურნალო და კულინარიულ თვისებებს.

პიტნა (*Mentha*) – ტუჩოსანთა – (*Lamiaceae*) ოჯახის წარმომადგენელია, ჯერ კიდევ დიოსკორიდის დროიდან მას მეტად მრავალმხრივ მოქმედ სამკურნალო მცენარედ თვლიდნენ. ჩვენში გავრცელებულია მდელოებზე, საშუალოდან ალპურ სარტყელამდე. პიტნაც ფასდაუდებელი სანელებელი მცენარეა.

უგრეხელი (*Vicia ervilia*) პარკოსნების (*Fabaceae* ან *Leguminosae*) ოჯახს ეკუთვნის. საქართველოში გავრცელებულია ქვან ადგილებზე, მთების ქვედა და შუა სარტყელის ფერდობებზე. ზოგჯერ გვხვდება ნათესებშიც. იგი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ქუშნას და ბურჩაყის სახელწოდებით მოიხსენიება. „ბურჩაყი ვითომცდა ქუშნაო“, ანდა „ვინცა ბურჩაყი მოხარშოს ვითამცა და უგრეხელი ცერცვიო, რომე ქუშნას ეძახიან“. მის შემდეგ ვკითხულობთ: „თვითონ მწარე არის, ძროხას აქმევენ, ესე ბურჩაყი მხურვალი და ხმელი არის, მკერდსა დაალბობს, ფირტუსა არგებს და ხულასა უშველის, კაცმან, რომე ამა ქუშნას ფქუილი პირზედა შეიცხოს კაცსა პირის ტყავსა და ელფერსა ორსავე გაუკეთებს და თუ კაცსა ან ჭორფლი და ან ლაქა აჩნია ორსავეს უშველის“.

ტყემალი (*Prunus divaricata*) – ვარდისებრთა (*Rosaceae*) ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ტყემალი მოხსენიებულია უშხუნისა და ალუჩის სახელით. გვხვდება აგრეთვე შავი ტყემალი, რომელიც შესაძლებელია ღოღნოშოს წარმოადგენდეს. იხმარებოდა ტყემლის წვენი, შარაბი, გომიზი, აფშარა. ამ მცენარეს იყენებდნენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს ენიშნებოდა მუავე საჭმელები. ტყემლის გომიზს აძლევდნენ სიქანგუბინთან ერთად (სიქანგუბინი წარმოადგენდა ძმრის და თაფლისაგან გარკვეული წესით დამზადებულ წარეცს). ტყემალს აწერდნენ შემდეგ თვისებებს: „ტყემალი გრილი და რბილი და რომელიცა მუავე არის ისი უსქე არის და წყურვილი მოკლას, ზაფრა დასვას, და რაც ტყემალი ტკბილი იყოს სტომაქი და გული დაალბოს, და ხმელი ტყემალი

პირშიგა დაიჭიროს წყურვილი მოკლას, ტყემლისა ჭამასა ნედლი ხილი არ უნდა ჭამოს“.

კვლიავი – ზირა – ძირაკი – (*Carum carvi*) – ქოლგოსანთა (Apiaceae or Umbelliferae) ოჯახის წარმომადგენელია, ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება ასურული და ქირმენული ძირა, სამკურნალოდ იხმარებოდა კვლიავის ზეთი, ზირას წყალი, მთლიანად მცენარე. სამედიცინო ხასიათის ძველ წერილობით წყაროებში ზირას შესახებ ვკითხულობთ: „ზირა მეორეს წელშიგა მხურვალი და ნედლი არის, ყოვლისა გრილის სენისათვის, ყოვლის ბალღმისა და წამალი არის“. ამის გარდა, ზირას ურჩევდნენ შემდეგი დაავადებების მკურნალობისათვის: „ვინცა ზირა, ჯავაშირი ჯალინოზითა ჭამოს, თირკმელსა მწოედ გაახურებს..., ვინცა ზირა დაჭეჭკოს, მოხარშოს და განუროს და ამისი თბილი (სვას), ქარსა გაუგდებს და გულის ფეთქასა და თრთოლვასა ორსავე უშველის“. მიაჩნდათ, რომ „სისხლის დროს სასარგებლოა ზირა კევსავით ღეჭონ“. იგი ჭიის საწინააღმდეგოდ ხმარებულ წამლებში გვხვდება „აიღე კულიავი და სამკელი სწორი, ღუინითა ადუღე. შეასუი და უშველის“. ზირას წყალს თვალში აწვეთებდნენ თვალის ჩანითლების და ტკივილის დროს, ხოლო მისი ზეთი იხმარებოდა დასაზელად. სამკურნალო დანიშნულების გარდა, ზირას საჭმლის შესაზავებლადაც იყენებდნენ, როგორც ძვირფას სანელებელს.

ტყიურა (*Laser trilobum*), მას აგრეთვე ზირას და კვლიავს უწოდებენ. ძველ ქართულ მედიცინაში ის ცნობილი იყო შემდეგი სახელწოდებებით: ყურდმანა და ურტმანა. სამკურნალოდ იხმარება თვით მცენარე და მისი თესლი, რომელსაც ყურბი მონა ეწოდებოდა. ამ უკანასკნელის შესახებ იადიგარ დაუდში ვკითხულობთ: „ყურბი მანა ვითამცა და ტყიურა ბალახის თესლით, ესე ტყიურას ბალახის თესლი მესამეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის ყოვლის გრილისა და ნედლის სენისათვის წამალი არის. სიცხიანსა კაცსა რომე ან ასრე აჭამოთ და ან მაჯუნშიგა გაურიოთ და ისრე აჭამოთ, მწოედ კარგი წამალი

არის, ქარსა დალენს და გააგდებს. ციებასა და გრილს ხაფაყან-სა ორსავე არგებს...“. ის გვხვდება ყურის დაავადების შემთხვე-ვაში ხმარებული პატრუქის შემადგენლობაში. დანაყილს ან აბის სახით მას აძლევდნენ ხველისა და ხორხიდან სისხლის დე-ნის დროს და სხვ. ამჟამად ცნობილია, რომ ტყიურა შეიცავს გე-რანიოლის შემცველ ეთეროვან ზეთს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალოდ არ იხმარება.

ურცი (Ziziphora) – ტუჩისანთა (Labiatae or Lamiaceae)
ოჯახის წარმომადგენელია, იგი იხმარებოდა, როგორც ამოსახ-ველებელი საშუალება, შედიოდა რთული წამლების შემადგენ-ლობაში, რომლის ორთქლს ისუნთქავდა ავადმყოფი ძლიერი ყელის ტკივილის დროს, ხოლო თირკმელების ტკივილის დროს მოიხმარებოდა ურცისაგან დამზადებული ცხელი საფენები და სხვ. ეს მცენარე ახლაც იხმარება ამოსახველად, არომატული აბაზანებისათვის, იგი ტიმოლის მისაღებ ნედლეულსაც წარმო-ადგენს.

არომატულ მცენარებს მოიხმარდნენ, როგორც შინაგა-ნად მისაღებ წამლებს გულის, ფილტვების, ღვიძლის, კუჭ-ნან-ლავის დაავადებათა დროს, ისე გარეგან წამლებად ანუ დასა-ზელად, ასევე მათგან მზადდებოდა არომატული აბაზანები. ეთერზეთოვანი მცენარეებიდან ძველ მედიცინაში იხმარებოდა: აბზინდა, ტარხუნა, ადხარი, დაფნა, ზამბახი, ზარდანჩო, მიხაკი, ნარგიზი, სანდალი, საკპინაჭი, ხოლინჯანი, ჯავზი და სხვ.

ზეთოვანი მცენარეები ერთ-ერთი საინტერესო ჯგუფია, რომლებიც გვხვდებიან ძველ ქართულ მედიცინაში. ეს ისეთი მცენარეებია, რომელთა სხვადასხვა ორგანოებში, უმთავრესად კი თესლებში გროვდება ზეთები. ეთეროვანი ზეთებისაგან გან-სხვავებით ზეთების დაგროვება მცენარის განსაზღვრულ საცა-ვებში კი არ ხდება, არამედ ზეთის წვეთები გაფანტულია უჯრე-დის პარენქიმაში. მცენარეული ზეთები სხვადასხვა ხასიათისაა. ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყელის მცენარეებში ეს ზეთები უშრობია და თხელი კონსისტენციით გამოირჩევა. ძველ

ქართულ მედიცინაში ასეთი უშრობი ზეთების შემცველი მცენა-
რეებია: ნუში, ატამი, გარგარი, ზეთისხილის ხე, ქუნჯუტი, ბამბა,
ქაფური და სხვ. ზეთოვანი მცენარეები მრავალმხრივ გამოსაყე-
ნებელ სამკურნალო და ხშირად საკვებ მცენარებად ითვლებოდ-
ნენ. ძირითადად მათი ზეთი იხმარებოდა დასაზელად და მალა-
მოების დასამზადებლად. სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ
სამკურნალოდ ხშირად იყენებდნენ მცენარის სხვადასხვა ორგა-
ნოებსაც. მაგალითად, მარილში მოდულუბული ზეთისხილის ნა-
ყოფი კბილის ტკივილის დამაყუჩებლად ითვლებოდა; ხოლო ზე-
თისხილის ხის მოხარშული ფოთოლი პირის ღრუს სამკურნა-
ლოდ იხმარებოდა. „ვინცა ზეთისხილის ფოთოლი ისრიმითა მო-
ხარშოს და ამდენი ხარშოს, რომე თაფლსავითა მოსქელდეს და
ბამბით კბილის ღრზილზედა დაიკრას, ღრძილს გაუმთელებს და
დამპალსა ღძილს ამოიყუანს“. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზეთო-
ვან მცენარედ ითვლებოდა ქაფურის ხე. მისი ზეთი უმთავრესად
გამოყენებული იყო ნერვული დაავადებების მკურნალობის
დროს. „ასოთა დაბუჟებისას, რომელსაც ჰქვიან არაბულად ჰიდ-
რი“, საჭიროდ მიაჩნდათ ქაფურის ზეთით დაზელა. ქაფურის ზე-
თი იხმარებოდა აგრეთვე დამწვრობის სამკურნალოდ.

საქართველოში სამკურნალოდ გამოყენებულ მცენარეთა
შორის, რასაკვირველია, უმეტესად ქვეყანაში გავრცელებული
მცენარეები გვხვდება, მაგრამ უძველეს დროში მკურნალობისათ-
ვის გამოყენებული იყო სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ზოგიერთი
მცენარეც. დროთა განმავლობაში ზოგიერთმა შემოტანილმა მცე-
ნარემ საქართველოს ბუნებრივ პირობებში ფეხი მოიკიდა და ისე
შეეთვისა, რომ თავს სავსებით კარგად გრძნობს. ძველად შემოტა-
ნილი მცენარეებია: ალილა, ბადიონი, სანდალი, ქაფურის ხე, გუნ-
დრუკის შემცველი ბოსველია, ზარდანჩო ანუ ყვითელი კოჭა, ჯავ-
ზი ანუ ხეხა, ფუთუთას ხე ანუ სინამაქი და სხვ.

ჯავაშერი – ამ სახელწოდებით ძველ ქართულ მედიცინა-
ში ცნობილი იყო *Opopanax chironium Koch* – დან მიღებული
პასტის მაგვარი გუმფისი. ქართულად ჯავაშერს თაგვის საკ-
მელს უწოდებდნენ, იგი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახს ეკუთ-

ვნის, მრავალწლოვანი მცენარეა, გავრცელებულია სამხრეთ ევროპასა და მცირე აზის მშრალ ადგილებში, ახასიათებს გრძელი, დატოტვილი, გარედან რუხი, შიგნიდან თეთრი ფესვი და საქმაოდ მაღალი დერო, რომლის ძირთან და ფესვის ყელ-თან მცენარის ქერქს სერავენ, საიდანაც გამოდის გუმფისი, რომელსაც ჯავაშერი ეწოდება. ამ გუმფისს იყენებდნენ ხვე-ლის, ნერვული დაავადებებისა და სხვადასხვა ხასიათის ტკივი-ლის დროს, იგი გვხვდება თვალში მოსაფრევევი წამლების შე-მადგენლობაშიც. ჯავაშერის პასტა კბილის ტკივილის დროს იხმარებოდა გარედან შემოსადებად ან დაზიანებული კბილის ღრუში ჩასადებად.

ალსანიშნავია, რომ ძველად საქართველოში არაფერი არ იცოდნენ მცენარეების ქიმიური შედეგნლობის შესახებ, მაგრამ ემპირულად ამ მხრივ გარკვეული შეხედულებები შემუშავებუ-ლი იყო, მაგალითად, შხამიან მცენარეთა სამკურნალოდ გამო-ყენების შემთხვევაში დაცული იყო ნორმა, მაგ. უსწორო კარა-ბადინში ვხვდებით ასეთ განსაზღვრებას: „შხამიანი წამლები დავსწერეთ, რომე რიცება უნდა და მიცემა არ უნდა... თუ ამ წამლებისაგან დაამეტებ და ან მარტოსა მისცემდე, შხამათ შე-ერგების, თუ ღონე არ ჰქონდეს და მისცემდე, სიფრთხილით მი-ეც: მაზარიონი, სინამაქი, აფიონი, ფარფიონი,... ჯაზვი, ხარბა-ყი, ქუნდუსა,... საყამუნია...“. ჩამოთვლილ მცენარეებში შემავა-ლი ნივთიერებები ჭარბი რაოდენობით მავნედ მოქმედნი არიან. მაგალითად, მაზარიონი და ფარფიონი ეწოდება რძიანას. ამჟა-მად ცნობილია, რომ რძიანების რძენვენი შეიცავს შხამიან ნივ-თიერებას, სახელდობრ ეუფორბინს, ხოლო სინამაქის ფოთოლი შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს (A და B სენიდინებს, რეინს, ალოე ემოდინს), რომელთა არსებობაც ფოთლებში განაპირო-ბებს მცენარის ბიოლოგიურ აქტივობას. მცენარის გლიკოზი-დების ძირითად აგლიკონს წარმოადგენს ალოე – ემოდინი. გარდა ამისა, მცენარეში აღმოჩენილია ორგანული მჟავები (პალმიტინი, ლინოლინი, სტეარინი და სხვ.), გლიკოზიდები —

კემპფეროლი და კემპფერინი, ალკალოიდები, სტერინები. მათი ჭარბი რაოდენობით მიღება იწვევს ნაწლავების ტკივილებს. ამფიონი იგივე ოპიუმია. ყველასათვის ცნობილია, რომ ოპიუმის ჭარბად მიღებას უარყოფითი შედეგები მოსდევს. ხარბაყი მეტად შხამიან მცენარეა. იგი შეიცავს შხამიან ალკალოიდებს და მისი მოხმარება თანამედროვე მედიცინაში ზუსტად ნორმირებულია. ქანდუსას უწოდებენ ხარისძირას. ხარისძირა თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება, რადგან ეს მცენარეც შეიცავს შხამიან გლუკოზიდებს.

საკმევლის ხე ანუ ბოსველია (*Boswellia*), ოჯახი (*Burseraceae*), საინტერესო სამკურნალო მცენარეა. იგი საქართველოში არ ხარობს. ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძულ სოკოტრაზე გვხვდება ბოსველიას ოთხი სახეობა – *Boswellia Sacra*, *Boswellia frereana*, *Boswellia papyrifera*, *Boswellia serrata*. ბოსველია ფართოდ გამოიყენება სახსრებისა და რევმატიზმით დაავადებული პაციენტების სამკურნალოდ. ბოსველიის ფისის გამოიყენებით შესაძლებელია თირკმლის გარკვეული დაავადებების თავიდან აცილება. მისგან მიღებული სამკურნალო საშუალებები აუმჯობესებენ კაპილარებში სისხლის მიმოქცევას, ამაგრებენ და ნაწილობრივ აღადგენენ სისხლძარღვების კედლებს. ბოსველია – ბუნებრივი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაცაა, არ იწვევს გვერდით მოვლენებს. მისი ეფექტურობა რევმატიზმის დაავადებების დროს მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგადაა დამტკიცებული. ბოსველია ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც შესანიშნავი და სრულიად ბუნებრივი სახსრების გამომაჯანმრთელებელი და იმუნიტეტის გამაძლიერებელი საშუალება. მცენარის ფისი გამოიყენება ღია ჭრილობების, ნყლულების, ათეროსკლეროზისა და ართრიტის სამკურნალოდ. ბოსველია ეფექტურად ეწინააღმდეგება ხრტილის დაშლას, სწრაფად აყუჩებს და ამაგრებს ძარღვებს. რეკომენდებულია: სახსრების დაავადებების, ხერხემლისა და სახსრების დეგენერაციული-დისტროფიული პათოლოგიების, ან-თებითი პროცესების, წელის ტკივილის, ვარიკოზული ვენების

სამკურნალოდ. ბოსველიას ახასიათებს ანტისიმუზნური აქტი-
ვობა ეპიფერმალურ კარციომასთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ *Burseraceae* ოჯახის მცენარეები გამო-
იმუშავებენ ძალიან სურნელოვან ფისს ან უბრალოდ რომ
ვთქვათ ლადანს, უძველეს საკმეველს. მირონთან ერთად იგი
რელიგიური ცერემონიებისთვის გამოიყენება. ბოსველიის ფისი
ფსიქოაქტივობით გამოირჩევა და ამსუბუქებს დეპრესიას. მისი
თერაპიული თვისებები განპირობებულია მასში შემავალი აქ-
ტიური ბოსველის მჟავებითა და ეთერზეთებით. კუნძულ სო-
კოტრას სახელი გაუთქვა სწორედ საკმევლის ხემ, ანუ ბოსვე-
ლიამ (*Boswellia sakra*), მისი ფისისგან გუნდრუკს ამზადებდნენ
ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის ქურუმები, სოკოტრის საკმევ-
ლის ფისი ძველ რომში ოქროზე ძვირად ფასობდა. აქვე იზრდე-
ბა ასევე კარგად ცნობილი სურნელოვანი ფისის – მურის ხის,
ანუ კომიფორას 3-4 სახეობა. მური ადრე მიცვალებულთა ტრა-
დიციულ სურნელოვან საცხებად და ასევე მირონის ხარშვისას
იხმარებოდა (ამჟამად, მირონის ხარშვისას სხვა კომპონენტებ-
თან ერთად საკმევლის ფისი იხმარება).

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ამ დიდ საქმეში, რასაც ადა-
მიანის უძვირფასესი განძის – ჯანმრთელობის – შენარჩუნება
და გაუმჯობესება ჰქვია, წონად ადგილი უნდა დაიჭიროს სამ-
კურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი
და შხამიანი მცენარეების და მათგან დამზადებული პრეპარა-
ტების გამოყენებამ, რომელთა მიმართ მოთხოვნა დღითი-დღე
იზრდება და ეს არც არის გასაკვირი, XXI საუკუნეს ხომ „მწვა-
ნე მედიცინის“ საუკუნეს უნიდებენ.

ლვინით გაურნალობის ხალხური ტრადიციები საქართველოში

ლვინის ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები, მისი ქიმიური შედგენილობა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს იგი სამკურნალო მიზნით. ბიბლიაში ლვინო მოხსენიებულია 450 -ჯერ. საქართველოში, ვაზისა და ლვინის კლასიკურ ქვეყანაში, ლვინის სამკურნალოდ გამოყენების ტრადიციას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რასაც ადასტურებს როგორც ეთნოგრაფიული მასალა, ისე წერილობითი წყაროები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ხალხურ მედიცინაში ლვინით მკურნალობა ძირითადად მევენახეობის გავრცელების ზოლშია მოქცეული, თუმცა ვაზის კულტურა არც მთის მოსახლეობისთვის იყო უცხო – მათ ბარში ჰქონდათ ეგრე წოდებული „ხატის ვენახები“ (თოფურია, 1984: 30; 60-75).

ყურძნით, ან მისი წვენით მკურნალობას ამპელოთერაპია, ლვინით მკურნალობას კი, ენოთერაპია ეწოდება. ფრანგმა ექიმებმა შემოიღეს ეს ცნება „ენოთერაპია“. ყურძნის წვენისა და ლვინოების სასარგებლო თვისებების გავლენით კაუდება ადამიანის ჯანმრთელობა, ძლიერდება სხეულის სისტემების ფუნქციონირება.

მედეა ბურდულის კვლევების მიხედვით, ქართულ ხალხურ მედიცინაში ლვინოს მრავალმხრივი დანიშნულება ჰქონდა. იგი გამოიყენებოდა როგორც პროფილაქტიკური, მასტიმულირებელი და სამკურნალო საშუალება მრავალი სხვადასხვა სახის (ბავშვთა ასაკში გავრცელებული ზოგიერთი სახის დაავადებების "სიმჭლე", "საყმანვილო"; გინეკოლოგიური, ტრამკული, თერაპიული და სხვ.) დაავადებათა სამკურნალოდ, როგორც ცალკე, ისე სხვა ინგრედიენტებთან (რთული შემადგენლობის ნამლებში) ერთადაც.

მრავალფეროვანია ლვინით მკურნალობის სპექტრი ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების მიხედვითაც (ქანანელი, 1940: „წიგნი სააქიმო“, 1936; დავით ბაგრატიონი, 1985; ზა-

ზა ფანასკერტელ-ციციშვილი, 1988). ენოთერაპიას, ანუ ღვინით მკურნალობის თემატიკას დიდი ადგილი უჭირავს ქართულ სამედიცინო შინაარსის ხელნაწერებში, მაგალითად, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნ-კარაბადინში. საინტერესო ცნობებია მე-13 საუკუნის სამედიცინო კრებულში "წიგნი სააქიმო", სადაც ხშირად გვხვდება ფრაზები: "ღვინით შეიზილოს", "ღვინო წყალსა გაურიოს", "ორთქლი ღვინისაი", "ჰურსა ღვინითა დამბალსა სჭამდეს" და სხვ....

ღვინით მკურნალობა სახარებაშიცაა აღწერილი. მაცხოვრის მიერ მოთხოვობილ იგავში ნათქვამია, რომ ყაჩალების მიერ გაძარცვულ და დაჭრილ მგზავრს ჭრილობები ზეთისა და ღვინის დასხმით მოუშენდა. ალბათ, გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება ამ იგავსა და დიდმარხვის მიწურულს მართლმადიდებელ ეკლესიაში შვიდგზის ზეთისცხებას შორის, რომლის დროსაც სულიერი და ხორციელი განკურნებისათვის მრევლს სწორედ ზეთსა და ღვინოს სცხებენ.

ცნობილია, რომ არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა მევენახეობა-მეღვინეობის ორიგინალური კულტურა (ჩიტაია, 2001:137). მევენახეობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, რომ ქვეყნის მთად და ბარად დაყოფა ვაზის არეალზე იყო ორიენტირებული (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973). ვაზი იყო საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის წყარო, ამიტომ შემოსეული მტერი პირველ რიგში ვაზს ჩეხდა. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ წმინდა ნინო ვაზის ჯვრით ხელში უქადაგებდა ქართველებს ქრისტეს რჯულს. ერთი ქართული ლეგენდის მიხედვით კი ღმერთმა ადამიანი ვაზის ცრემლებით მოზელილი მიწისაგან შექმნა ვენახის მოსავლელად (შამანიძე, 1973: 30). ისიც ცნობილია, რომ ძველ ცივილიზებულ სამყაროში, სადაც კი არსებობდა ვაზის კულტურა, ღვინის სამკურნალოდ გამოყენებას უდევლესი ტრადიცია აქვს. ჰომეროსი „ილიადაში“ იხსენიებს ორ მეომარ ექიმს – მახაონსა და პალადირს, რომლებიც დაჭრილებს ღვინოს ასმევდნენ, ღვინით უმუშავებდნენ ჭრილო-

ბებს (სალუქვაძე, 1987: 371). ცნობილი რომაელი ექიმი კლავ-დიუს გალენი (201-13166. ჩვ. ნ. აღ-მდე) დაჭრილი გლადიატორების სამკურნალოდ ღვინის ხსნარში დასველებულ საფენებს იყენებდა (სიხარულიძე, 1979: 92).

საქართველოში ღვინოს ოდითგანვე სულისა და სხულის-თვის მარგებელ სასმელად აღიქვამდნენ. სხვა მრავალი დანიშნულების გარდა, მას სისხლნაკლულობის, სისუსტისა და უმაღლობის წამლადაც იყენებდნენ. ყანაში წასული გლეხი, სამწყე-სად წასული მესაქონლე თუ სამუშაოდ წასული ხელოსანი მძიმე შრომას ღვინით იმსუბუქებდა. დიდმარხვაში მრევლიც და საეკლესიო პირებიც ღვინოში ჩამპალ პურს, ე. წ. ბოლლიწოს მიირთმევდნენ. ძველ ღვინოს ასმევდნენ მეძუძურ ქალებს და მცირე დოზებით ჩვილ ბავშვებსაც. შეძლებული ხალხი ახალშობილს ღვინოში განპანდა. ბავშვის განსაბანი წყლის წითელი ღვინით შეფერვის ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი. ღვინოს, როგორც ჯანმრთელობისთვის აუცილებელ პროდუქტს, საქართველოში ძველად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პატიმარსაც კი გარკვეული ნორმით აძლევდნენ.

ღვინის ბიოგენური სტიმულატორად გამოყენების შესახებ წერილობით ცნობას ვხვდებით V საუკუნის ლიტერატურულ ნაწარმოებში "შუშანიკის წამება". იაკობ ხუცესი სთხოვს შუშანიკს, რომ მან საკვებად ღვინოში ჩამპალი პური მიიღოს. "მაშინ მივიღე მცირედ ღვინო და პური. დავალბე და მცირედ გემო იხილა" (იაკობ ცურტაველი, 1986: 47.).

ღვინის სმის კულტურას, მისი სამკურნალოდ გამოყენების ხალხურ ცოდნასა და გამოცდილებას თუ შევადარებთ კარაბა-დინებში აღწერილ ცნობებს, საინტერესო სურათს მივიღებთ. ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ხალხი ღვინის სასარგებლო თვისებებთან ერთად, მისი გადაჭარბებული სმის შედეგად გამოწვეულ უარყოფით მხარეებზეც ამახვილებს ყურადღებას, - „გადამეტებული ღვინის სმა და ლოთობა თავად იწვევს სხვადასხვა დაავადებებს"-ო. იგივე თვალსაზრისია გატარებული კარაბადინში: „....თუ კაცი ცოტასა სვამს და ზომიერსა, კაც-

სა კარგა დააშუნდების, თუ კაცი ბევრსა სვამს მოწედ აწყენს და კაცი ღვინის თრიაქი (ლოთი) შეიქმნების" (ბაგრატიონი, 1985: 185.). ან „მაგრა თუ კაცი ბევრსა ღვინოსა სვამს, კაცსა აწყენს და ღვიძლს დაუკოდს, თავსა და ხელებს აუთრთოლებს, თუალ-თა ცრემლსა და წუნსა მოადენს" (ბაგრატიონი, 1985: 185.). სამ-კურნალო წიგნში ვკითხულობთ „რასაცა კაცსა ანდაზითა ღუი-ნო ესუას და თავი შეენახოს მისგან, სიმრთელე ჰქონდეს. თუ მერმე დაიწყოს ჭარბობა ღუინისა იმა ანდაზაზედა, რაცა პირ-ველად სიმრთელე ყოფილიყოს, ისი ყუალა სენად და სნებად შე-ექნას" (ფანასკერტელ-ციციშვილი, 1988: 773.).

ღვინისა და ალკოჰოლის მომეტებული მიღებისაგან გა-მოწვეულ უარყოფით შედეგებზე განსაკუთრებულ ყურადღე-ბას ამახვილებს ბიბლია, რომლის მიხედვითაც ღვინის უზომოდ სმამ შეიძლება გამოიწვიოს მრავალი სხვადასხვა დაავადება და სიკვდილიც კი (რასელ თომსენი, 1991: 88-91.). თუმცა იქვე დი-დი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ალკოჰოლის (ღვინის), „სამკურნალო მიზნებისათვის გამოყენებას და სათანადო რე-კომენდაციებს. როგორც წამალი, ალკოჰოლი სწორადაა „გამო-წერილი" ბიბლიაში (რასელ თომსენი, 1991: 91-92.).

ენოთერაპიული მკურნალობა ძველ საქართველოში სხვა-დასხვა ფორმით გამოიყენებოდა. კარაბადინების მიხედვით სხვადასხვა დაავადებების დროს ღვინო განსხვავებული წესით გამოიყენებოდა: „ღვინითა შეზილოს" (მაგ. მალამო), „ღვინითა დაალბოს", „ღვინო წყალსა გაურიონ", „ორთქლი ღვინისა", „ცოტაი ღვინო დიდსა წყალსა გაურიონ" და სხვ.

ანალოგიურია ღვინის სამკურნალოდ გამოყენების გზები ხალხურ მედიცინაშიც. მკურნალობენ სუფთა ღვინით, წყალგა-რეული ღვინით, ღვინის ორთქლით – ინჰალაციით, ღვინოზე ცივად შეზელილი წამლით.

აღსანიშნავია, რომ ხალხურ მედიცინაში უპირატესი გა-მოყენება შავ ღვინოს აქვს, მას უფრო მეტ სასარგებლო თვისე-ბებს მიაწერენ. კარაბადინების მიხედვით კი სამკურნალოდ ყველანაირი ღვინო გამოიყენებოდა, უფრო კი „ძუელი ღვინო".

„წიგნი სააქიმოს“ მიხედვით სამკურნალო წამლები მზადდებოდა – „ძუელითა ღვინითა“, ძნელისა ღვინისა ძუელისა“, „ღვინო ესეი ყველა“, „ყოველითა ღვინითა“, „ძალიანისა ღვინისა“, „კარგსა ღვინოსა“, „ღვინოისა წყალრეულსა“.... და სხვ.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის კარაბადინში ვხვდებით ღვინოზე შემზადებული წამლის სხვადასხვა ფორმებს – მალამოს, ნახარშ წამალს, შესანახ აბებს, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში წყალში გახსნილს აძლევდნენ ავადმყოფს. ხალხურ მედიცინაში კი შესანახი აბების დამზადების ტრადიცია არ არსებობდა.

ღვინის გამოყენებას ჭრილობების დასამუშავებლად ვხვდებით ბიბლიაშიც. მაგ: ქრისტეს იგავი კეთილ სამარიელზე, როდესაც ის მომაკვდავ ადამიანს დაეხმარა „ზეთითა და ღვინით მოჰპანა ჭრილობები და შეუსვია“ (სახარება ლუკასი, 10:34). ალკოჰოლი (სპირტი) თანამედროვე მედიცინაშიც ჭრილობების დასამუშავებელი ანტისეპტიკური ხსნარების მთავარი შემადგენელი ნაწილია (რასელ თომსენი, 1991: 92.).

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში, სადაც მოსახლეობა ცხიმიან საკვებს მიირთმევს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა რიცხვი სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სწორედ წითელი ღვინის რეგულარული გამოყენება იწვევს ამ შედეგს, რადგან ცნობილია ფრანგების განსაკუთრებული სიყვარული წითელი ღვინისადმი. როგორც ჩანს, წითელ ღვინოში არსებული ფლავანოიდები მნიშვნელოვნად ამცირებენ თრომბების წარმოქმნის რისკს. თეთრ ღვინოში და სხვა მაგარ ალკოჰოლურ სასმელებში ფლავანოიდები თითქმის არ გვხვდება. მათ შეიცავს ძირითადად შავი ყურძნის კანი, რბილობი და წიპწები, ღვინის დამზადებისას ისინი თითქმის არ იშლებიან. სწორედ მშრალი წითელი ღვინო და მთლიანად შავი ყურძნი (და არა მხოლოდ ყურძნის წიპწები, როგორც ადრე თვლიდნენ) შეიცავს ყველაზე ძლიერ ანტიოქსიდანტებს და სხვა სასარგებლო ნივთერებებს. წითელ ღვინოში არსებულ მთრიმლავ ნივთიერე-

ბებს აქვთ უნარი აღადგინონ დაზიანებული ლორწოვანი ადგი-ლები, განაპირობებდნენ ჩირქოვანი ინფექციებისა და ანთები-თი პროცესების პროფილაქტიკას. ადამიანის ორგანიზმის ცხო-ველმოქმედებისათვის აუცილებელი 20 ამინომჟავიდან წითელ ღვინოში გვხვდება 19. სადღესოდ ცნობილია 4,5 ათასზე მეტი სახეობის წითელი ღვინო და უამრავი სახეობის წითელი და შავი ყურძნი. სხვადასხვა ქვეყნის მეღვინეები ცდილობენ გამოიყვა-ნონ ყურძნის თავიანთი ჯიშები, ამიტომაც სხვადასხვა რეგიო-ნის ღვინოები განსხვავდებიან გემოთი, არომატით, ფერით, მა-თი სარგებლიანობაც განსხვავდებულია, თუმცა, ზოგადად, სა-სარგებლოდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა წითელი ღვინო. არ-ცოდუ ისე დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს, რომ ღვინის მუხის ბოჭ-კებში შენახვისას, ალკოჰოლის ზემოქმედებით, მუხიდან ხდება მთელი სასარგებლო ბუკეტის ექსტრარგირება ღვინოში, მათ შორის ტანინების, რომლებიც ღვინოს ანიჭებენ განსაკუთ-რებულ გემოსა და არომატს. უშუალოდ სიმსივნის საწინააღ-მდეგო მოქმედება აქვს აკუტისიმინ ა-ს, რომელიც ასევე შედის წითელი ღვინის შემადგენლობაში და რომლის მოქმედებაც კი-ბოს საწინააღმდეგო კლინიკურ პრეპარატ VP-16-ზე 250-ჯერ ძლიერია (ნანა მეგრელიშვილი). ჩვენს ორგანიზმში ყოველდღი-ურად გროვდება უამრავი არასაჭირო და ზედმეტი ნივთიერება, მაგალითად, უჯრედებში რადიაქტიული ნივთიერებები, წითე-ლი ღვინო კი გვანთავისუფლებს მათგან. ღვინის ის შემადგენე-ლი ნაწილი, რომელსაც „ბუკეტს“ უწოდებენ, წარმოიქმნება რთული ეთერებიდან და ეთერზეთებიდან, რაც თითოეული ხა-რისხის ღვინოს აქვს თავისი, მისთვის დამახასიათებელი. სწო-რედ ისინი ანიჭებენ ღვინოს განსაკუთრებულ და განუმეორე-ბელ არომატს, მოჰყავთ ტონუსში ნერვული სისტემა, ამაგ-რებენ გულს, ხოლო მაღალი თუ დაბალი არტერიული წნევა კი მოჰყავთ ნორმაში. ზოგიერთი ხარისხის წითელი ღვინო გვეხმა-რება ალერგიისაგან განთავისუფლებაში უფრო ეფექტურადაც კი, ვიდრე თანამედროვე სამკურნალო საშუალებები, იცავს ჩვენს კანს მზის სხივების აგრესიისაგან, აახალგაზრდავებს ში-

ნაგანი ორგანოებისა და ქსოვილების უჯრედებს, აუმჯობესებს კანისა და თმის მდგომარეობას. კანადაში, ალბერტის უნივერსიტეტში ჩატარებულმა უახლესმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბოკალი წითელი ღვინო ისეთივე სასარგებლოა, როგორც სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიში ერთი საათის განმავლობაში, ეს კი იმიტომ ხდება, რომ წითელ ღვინოში შემავალი რესვერატროლი იწვევს გულის კუნთის მუშაობის გაუმჯობესებას, შრომისუნარიანობის ამაღლებას, კუნთების გამაგრებას, ანუ აქვს ვარჯიშის ეფექტი, ამიტომ, კვლევების ხელმძღვანელის, ჯეისონ დაიკის აზრით, ის ადამიანები, რომლებიც ვერ ახერხებენ სპორტდარბაზში სიარულს, წითელი ღვინის დახმარებით შეძლებენ მუდამ ფორმაში ყოფნას. ასევე რესვერატროლი არეგულირებს სისხლში შაქრის დონეს და აქვს ანტიასკობრივი ეფექტი.

წითელი ღვინის შემდეგი თვისება განსაკუთრებით საინტერესო იქნება მანდილოსნებისათვის – ის ხელს უწყობს გახდომას და კარგი აღნაგობის შენარჩუნებას. როგორც ჩანს, წითელი ღვინის გავლენით სისხლში ნახშირნყლების შენოვის პროცესი ნელდება, ხოლო კუჭი შედარებით ნელა ინელებს ცილებს, ეს კი საბოლოოდ იწვევს მაღის დაქვეითებას. ღვინის სმა ხელოვნებაა, მისი დალევა არ შეიძლება ისე, უბრალოდ, მთავარია მისი მოხმარების კულტურა, და ბოლოს, ღვინომ რომ სარგებლობა მოგიტანოთ და არ გავნოთ, საჭიროა ზომიერი დოზით და აუცილებლად ჭამის შემდეგ მისი მიღება.

სამკურნალო, არომატულ, საღებარ,
თაფლოვან, სანელებელ და შეამიან მცენარეთა
პიომრავალფეროვნება, არეალი,
დამოკიდებულება ეკოსისტემის პარამეტრებთან,
ჟიტოგენეტიკური რესურსის გარაგების
განსაზღვრა და რაციონალური გამოყენება¹

საქართველო ზომიერი კლიმატის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უმდიდრესია ფლორისტული თვალსაზრისით. საქართველოს ფლორის შემადგენლობაში ჭურჭლოვან მცენარეთა 4 100-ზე მეტი სახეობაა (მთელს კავკასიაში 6 350-მდე სახეობაა აღნერილი). ფლორის დაახლოებით 21%, ანუ 900-მდე სახეობა ენდემურია (600 კავკასიის, 300 საქართველოს ენდემი). მაღალია საქართველოს ფლორის გვარობრივი ენდემიზმიც. აქ 16 ენდემური და სუბენდემური გვარია წარმოდგენილი. საქართველო კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და მრავალფეროვნების ერთ-ერთი ცენტრია. აქ ჩამოყალიბდა ვაზის, მარცვლოვნების, ხეხილისა და სხვ. მცენარეთა მრავალი შესანიშნავი ჯიში. ამრიგად, საქართველოს უნიკალური ფიტოგენოფონდი ქვეყნის ბუნებრივ-კულტურული მემკვიდრეობის „ცოცხალი ძეგლია“, რომლის შესწავლას, დაცვას, კონსერვაციასა და აღდგენას საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ხელი მოეწერა „ბიომრავალფეროვნების კონვენციას“, რითაც მსოფლიო საზოგადოებამ აღიარა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უდიდესი მნიშვნელობა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის. კონვენცია ძალაში შევიდა 1993 წლის 29 დეკემბერს და დღეისათვის იგი მსოფლიოს 180 ქვეყანას აერთიანებს.

ბიომრავალფეროვნების კონვენცია არის ჩარჩო-გარემოს-დაცვითი კონვენცია, რომელიც მოიცავს ბიომრავალფეროვნების ყველა კომპონენტს, კერძოდ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემების დონეზე.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მიზნებია:

- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი-ინვენტარიზაცია, დაცვა-კონსერვაცია, მონაცემთა ბაზის განახლება;
- ბიომრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი და გონივრული გამოყენება, გენეტიკური რესურსების ექსპორტისა და იმპორტის მარეგულირებელი და კონტროლის მექანიზმების დიფერენცირება;
- სტიმულირების მექანიზმების შექმნა *ex-situ* და *in-situ/on farm* კონსერვაციის ხელშესაწყობად, გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული მდგრადი სარგებლის თანაბარი და სამართლიანი განაწილება, რაც პრიორიტეტულია;
- გენეტიკური რესურსის მისაწვდომობა, მოგების სამართლიანი განაწილების ის საკითხები, რომლებიც მიიღება ბიოლოგიური რესურსების გამოყენებით კომერციული მიზნებისათვის, მაგალითად ფარმაცევტულ, კულინარულ თუ კოსმეტიკურ წარმოებაში.

მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების უდიდესი ნაწილი თავმოყრილია განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც მას განიხილავენ, როგორც რესურსს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. ისტორიულად, მცენარეული წარმომობის გენეტიკური რესურსები, კომერციული მიზნებისათვის გამოიყენება მათი წარმომობის რეგიონებს გარეთ. მეცნიერები ეძიებენ ბუნებრივ ნივთიერებებს ახალი კომერციული პროდუქტების, მაგალითად სამკურნალო, არომატული, საღებარი, შეამიანი და სანელებელი მცენარეების პრეპარატების შესაქმნელად. უმეტესწილად ეს პროდუქტები იყიდება და დაცულია პატენტით ან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სხვა ფორმებით, რესურსის წარმომობის ქვეყნებისადმი სამართლიანი ანაზღაურების გარეშე.

ბიომრავალფეროვნების კონვენციით აღიარებულია სახელმწიფოთა სუვერენული უფლებები მათ ტერიტორიებზე არსებულ გენეტიკურ რესურსებზე და წამოყენებულია მოთხოვნა, რომ

მათი გამოყენება სხვა მხარეების მიერ ხორციელდებოდეს „ურ-თიერთხელსაყრელი პირობების“ დაცვით და ამ რესურსის წარმოშობის ქვეყანასთან „წინასწარი შეთანხმების“ საფუძველზე. მიკროოგანიზმების, მცენარეების ან ცხოველების კომერციული მიზნით გამოყენების შემთხვევაში, ქვეყანას, სადაც ეს ორგანიზმებია მოპოვებული, აქვს უფლება მიიღოს მოგების წილი. ეს წილი შეიძლება იყოს ფულადი სახით, შეგროვებული მასალის ნიმუშების ფორმით, სამეცნიერო პოტენციალის გაზრდით, ბიოტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუს გადაცემით, ან წილი იმ შემოსავლებში, რომლებიც მიიღება ამ რესურსის გამოყენებით.

საქართველო შეუერთდა ბიომრავალფეროვნების კონვენციას 1994 წელს და აიღო ვალდებულება დაიცვას ფლორის, ფაუნის, ეკოსისტემების მრავალფეროვნება საკუთარ ტერიტორიაზე, ამით ხელი შეუწყოს გლობალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ამასთანავე, მიიღო ის უფლებები, რასაც კონვენცია აძლევს მის მხარეებს გენეტიკური რესურსებიდან მიღებული მოგების სამართლიანი განაწილების საკითხებში.

მცენარეული რესურსთმცოდნეობა ერთ-ერთი უძველესი მიმართულებაა. ადამიანი ძველთაგანვე სულ ახალ-ახალი მცენარეების ძიებაში იყო. იგი პოულობდა საკვეპს, სამკურნალო თუ საყოფაცხოვრები მიზნებისათვის საჭირო მცენარეებს, ველური ფლორიდან გადმოქმნდა კულტურაში.

საქართველოში სამკურნალო, არომატული, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარეული ნედლეულის ბაზის ჩამოყალიბება ძირითადად ხდება ველურად მოზარდი და კულტივირებული მცენარეების დამზადების საფუძველზე. პირველი დამოკიდებულია ბუნებრივი ფლორის სიმდიდრეზე, ხოლო მეორე მიმართულება ბოლო პერიოდში განიცდის რესტავრაციას და ბაზრის კონიუნქტურაზეა დამოკიდებული. ამასთანავე ველურად მოზარდი სამკურნალო, არომატული, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების დამზადებისას ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ეთნოტრადიციების უგუველყოფამ შეიძლება ზიანი მიაყენოს უნიკალურ გენეტი-

კურ რესურსებს, მის რაციონალურ ექსპლოატაციასა და ეკო-ლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.

ამასთან გასათვალისწინებელია, ბუნებრივად გავრცელებული მცენარეებით სარგებლობას აქვს თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები:

- ეკონომიკური და შრომითი რესურსების დანახარჯების გარეშე შეიძლება დამზადდეს მაღალხარისხოვანი და ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული;
- ანთროპოლოგიური ზემოქმედებებით შეიძლება დაზიანდეს გენეტიკური რესურსები და ვერ მოგროვდეს საჭირო რაოდენობისა და სახეობის ნედლეული;
- ნედლეულის მომწიფებას და მოგროვებას შეიძლება ხელი შეუშალოს გარემო ფაქტორებმა და მისგან გამომდინარე ფიზიოლოგიურმა ეტაპებმა (უამინდობა თუ მასთან დაკავშირებული ვეგეტაციის პერიოდის ცვლილება);
- ხდება მცენარეთა უგეგმოდ, ბარბაროსული დამზადება და გენეტიკური რესურსების კერების მოსპობა;
- რეგიონის ეკოლოგიური დაბინძურება (გამონაბოლქვი, რადიაცია, მტვერი, მძიმე ლითონების ნარჩენები);

აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალო, თაფლოვანი, არომატული, სანელებელი, სალებარი და შხამიანი მცენარეთა სამრეწველო პლანტაციების შექმნა არის ფიტონედლეულის ბაზის გამდიდრების და ეკოსისტემის გადარჩენის ერთ-ერთი გზა. ამასთან შესწავლილ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ანთროპოლოგიურ დაბინძურებაზე თითოეული სახეობის რეაქცია, ასევე მცენარეთა სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში ტოქსიკანტების დაგროვების ხასიათი.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის თანახმად სამკურნალო, არომატული, სალებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების სახეობები წარმოადგენენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების იმ კომპონენტს, რომელთა განსაზღვრა (იდენტიფიცირება) მათი *ex-situ* და *in-situ/on farm* შენარჩუნებისა და თანაბარზომიერი გამოყენების მიზნით კონვენციის

მხარეთა ერთ-ერთი ვალდებულებაა. *ex-situ* (ანუ მათ ბუნებრივ ჰაბიტატში ანუ ადგილსამყოფელოებში) შენარჩუნებისათვის მხარეები ვალდებული არიან:

- შექმნან დაცული ტერიტორიების სისტემა, სადაც განხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის;

- უზრუნველყონ იმ ბიოლოგიური რესურსების რეგულირება და რაციონალური გამოყენება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის;

- ხელი შეუწყონ ეკოსისტემების, ბუნებრივი ადგილსამყოფელოების და სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების დაცვას ბუნებრივ პირობებში;

- ხელი შეუწყონ დაცული ტერიტორიების მიმდებარე რეგიონების მდგრად განვითარებას;

- მდგრადი გამოყენების სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების გზით ხელი შეუწყონ დეგრადირებული ეკო-სისტემებისა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღდგენას;

- შეიმუშაონ და განახორციელონ აუცილებელი საკანონმდებლო აქტები საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და პოპულაციების დასაცავად;

- აღკვეთონ უცხო სახეობათა ინტროდუქცია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკოსისტემებს, ადგილსამყოფელოებს ან ადგილობრივ სახეობებს;

- არეგულირონ, აკონტროლონ და შეამცირონ თანამედროვე ბიოტექნოლოგიებით მიღებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება და გამოთავისუფლება ბუნებაში.

მხარეებმა *in-situ/on farm* ღონისძიებებთა დამატებით უნდა უზრუნველყონ ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების *ex-situ* (ბუნებრივი ადგილსამყოფელის გარეთ) შენარჩუნებაც. კერძოდ, მიღლონ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღდგენისა და მათ ბუნებრივ ადგილსამყოფელებში რეინტროდუქციის ზომები. ამასთანავე შენარჩუნების მიზანი არის მათ ბუნებრივი ადგილის დაცვა, რომელიც განვითარებული იყო მათ ბუნებრივი გადაშენების შემთხვევაში.

ბის ლონისძიებები უპირატესად გატარებული უნდა იქნას გენე-ტიკური რესურსის წარმოშობის ქვეყანაში.

კონვენციის ერთ – ერთი მიზანია გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის თანაბარ და სამართლიან საფუძველზე განაწილება. ტერმინი „გენეტიკური რესურსები“ კონვენციის მიხედვით შემდეგნაირად განიმარტება: „გენეტიკური რესურსი“ ნიშნავს გენეტიკურ მასალას, რომელსაც ფაქტობრივი ან პოტენციური ლირებულება აქვს, ანუ მცენარეები, რომლებიც შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, გამოიყენებიან ფარმაციაში, ან ქიმიურ-პარფიუმერულ-კულინარული წარმოების სფეროებში, წარმოადგენენ გენეტიკური რესურსებს, მათ ბაზაზე შესაძლოა კომერციული პროდუქტების წარმოება. ტრადიციულად გენეტიკური რესურსები განიხილებოდა, როგორც უფასო და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი. ამჟამად სახელმწიფოები გენეტიკურ რესურსებთან დაკავშირებით გარკვეულ დაინტერესებას გამოხატავენ და მათზე სუვერენიტეტს აცხადებენ.

კონვენციის მე-15 მუხლი, რომლითაც ეს საკითხი რეგულირდება, აღიარებს სახელმწიფოების სუვერენულ უფლებას მათ კუთვნილ გენეტიკურ რესურსებზე. უფლებების სუვერენული ხასიათი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს გააჩნია გენეტიკურ რესურსებთან ხელმისაწვდომობის ფარგლების განსაზღვრის უფლებამოსილება ანუ „გენეტიკური რესურსების მისაწვდომობის განსაზღვრის უფლება აქვთ ეროვნულ მთავრობებს და რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით“. იქ, სადაც დაიშვება ასეთი ხელმისაწვდომობა, ის უნდა განხორციელდეს ურთიერთშეთანხმებული პირობებით: რესურსის მიმწოდებელი სახელმწიფოს მხრიდან თანხმობის საფუძველზე, მისთვის ასეთ გენეტიკურ რესურსებზე სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობის მიღებისა და გენეტიკური რესურსების კომერციული თუ სხვა მიზნით გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის თანაბარი და სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფით.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მიხედვით, კონვენციის მონაწილე თითოეული ქვეყნის მთავრობას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი სუვერენული უფლებები და შექმნას ეროვნული კანონმდებლობა გენეტიკური რესურსების მისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის თანაბარ და სამართლიან საფუძველზე განაწილების უზრუნველსაყოფად. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების წინაშე დგანან განვითარებადი ქვეყნები, რომელთა გენეტიკურ რესურსებზე მაღალი მოთხოვნაა განვითარებული ქვეყნების მხრიდან. სწორედ სათანადო ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა არის ის ბერკეტი, რომლითაც ქვეყანას შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა ამ მიმარულებით.

ზემოთ აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს და განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

- ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული მკვიდრი და ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ცოდნისა და პრაქტიკის შენარჩუნება და დაცვა. ასევე ამ ტრადიციული ცოდნისა და პრაქტიკის გამოყენებით მიღებული სარგებლის თანაბარ/სამართლიან საფუძველზე განაწილება და ამ უკანასკნელში მკვიდრი და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება;

- აგრობიომრავალფეროვნების განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნა, გენეტიკური რესურსების ექსპორტ-იმპორტის მექანიზმების დარეგულირება;

- არსებული კოლექციების რეაბილიტაცია/განახლება/სრულყოფა, ენდემური სახეობების და აბორიგენული ჯიშების აღწერა, დოკუმენტირება და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება;

- გენეტიკური რესურსების მისაწვდომობის ეროვნული მარეგულირებელი პრინციპები;

- გენეტიკური რესურსების მიმწოდებელ და მომხმარებელ მხარეებს/ქვეყნებს შორის დასადები ე.ნ. „ურთიერთშე-

თანხმების პირობების შემუშავების მექანიზმები“;

უკანასკნელ წლებში არსებითად შეიცვალა სამკურნალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, შხამიანი და სანელებელი მცენარეების არეალები და პოპულაციათა რიცხოვნება, რაც ძირითადად განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- არეალების ათვისება სამეურნეო მიზნებისათვის;
- საძოვრების გადაჭარბებული ექსპლუატაცია, რაც ინ-ვეს ბალახოვანი საფარის შემადგენლობის ცვლილებებს;
- ეროზიული პროცესები;
- მცენარეთა უკონტროლო მოპოვება.

1982 წელს გამოცემულ საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია ზოგიერთი სამკურნალო მცენარე, რომელთაც დაემუქრათ გადაშენების საფრთხე ან გადაშენდნენ სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო. მაგალითად, მრგვალი წამალი (*Gymnospermium smirnowii*), კავკასიური დიოსკორეა (*Dioscorea caucasica*) ოქროსფერი ბონგარდია (*Bongardia chrysogonum*), ქართული კონახური (*Berberis iberica*), გლერძი (*Astragalus*), მრგვალფოთოლა დროზერა (*Drosera rotundifolia*), ზღვის შრომანი (*Pancratium maritimum*). აღსანიშნავია, რომ „წითელ წიგნსა“ და „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სამკურნალო მცენარეებიდან დაცვის გარკვეული ღონისძიებები გატარებულია მხოლოდ ზოგიერთი მათგანის მიმართ. აუცილებელია, ყურადღება მიექცეს საქართველოს ფლორის მცენარეებს, განსაკუთრებით ენდემურ, იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, არსებული რეალობიდან გამომდინარე „წითელ წიგნსა“ და „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სამკურნალო მცენარეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. ქართველი ბოტანიკოსების მიერ შემუშავებულ ნუსხაში იშვიათი და შემცირებადი სახეობების კატეგორია აქვთ მინიჭებული და შესაბამისად განსაზღვრულნი არიან „წითელ ნუსხაში“ შესატანად შემდეგი მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარეები: კოლხური კატაბალახა *Valeriana colchica*, კავკასიის დათვის კენკრა (*Arctostaphylos caucasica*). კავკასიის ცირცელი (*Sorbus*

caucasica), კავკასიური შმაგა (*Atropa caucasica*), ძირტვბილა (*Glycyrrhiza glabra*).

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ფაქტიურად არ მომხდარა ველური სამკურნალო მცენარეების არეალებისა და პაპულაციების მდგომარეობის აღწერა-შეფასება, მათი მარაგების განსაზღვრა, რაც იწვევს რესურსის არამდგრად გამოყენებას. აუცილებელია სამკურნალო მცენარეთ (პირველ რიგში ენდემური, იშვიათი, აგრეთვე იმ სახეობებისა, რომლებიც ინტენსიურად მოიპოვებიან) სტატუსის განსაზღვრა IUCN-ის კატეგორიების მიხედვით და სახეობათა იდენტიფიცირება წითელ წუსხაში შესატანად¹.

საქართველოს მდიდარი და უნიკალური ფიტოგენოფონდის დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა ითვალისწინებს გარკვეული კონსერვაციული ღონისძიებების ჩატარებას უახლოესი ათი წლის მანძილზე, რადგან ქვეყანა არის მრავალი ერთნოლოგანი და მრავალწლოვანი კულტურის (ვაზი, მარცვლოვნები, პარკოსნები, ხეხილი), მათი ველური წინაპრების წარმოშობის პირველადი და მეორადი კერა. საქართველოში გავრცელებულია სამკურნალო, არომატულ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ის უნიკალური სახეობები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ბევრი მათგანი დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების პირას არის მისული, მიმდინარეობს გენეტიკური რესურსის ეროზიული პროცესები, უკონტროლო ექსპორტი და იმპორტი¹.

მიუხედავად იმისა, რომ ეკოსისტემების დაცვის სასიცოცხლო მნიშვნელობა, ზოგადად, საზოგადოებისათვის ეჭვს არ იწვევს, ჩვენში მოსახლეობას მაიც ბუნდოვანი და პრიმიტიული წარმოდგენა აქვს ბევრ საკითხზე, როგორიცაა: ეკოსისტემების კონსერვაციის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ეკონომიკური მნიშვნელობა (საკვებით, ენერგიით, აგრეთვე ფარმაცევტიული და სხვა სახის სამრეწველო პირველადი პროდუქტებით უზრუნველყოფა; ეკოტურიზმი, რეკრეაცია და ა.შ.); როლი კლიმატის რეგულირებაში, ნარჩენების ბუნებრივ უტილიზაციასა და დეტოქსიკაციაში, წყლის და ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის,

მარცვლეულის დამტვერვასა და თესლის გავრცელებაში, მავნებლების და დაავადებების კონტროლისათვის და ა.შ.

ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება და არასაკმარისი ინფორმირებულობა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მისი სარგებლიანობის შესახებ, რომლის ძირეული შეცვლა რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს, ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საქართველოს უნიკალური გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად გარემოსდაცვით ღონისძიებებთან ერთად უდიდეს აუცილებლობას იქნება მისი დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე ინფორმირების ამაღლება, ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია და მდგრადი გამოყენება, რაც შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საფესურების დაცვით:

გენეტიკური რესურსის მოძიება-კატალოგირება



გარემოსდაცვითი ღონისძიებები



საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება
ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მეტი პასუხისმგებლობით
მდგრადი გამოყენების თვალსაზრისით



ადგილობრივი თემების მობილიზების ხელშეწყობა
კონკრეტული გარემოსდაცვითი პრობლემის გადაჭრისათვის



ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ განვითარებაში
ჩართვის ხელშეწყობა

წყარო¹ - ბიომრავალფეროვნების კონვენცია და ეროვნული საკანონ-მდებლო ბაზის ანალიზი ველური სამკურნალო მცენარეების დაცვისა და სარგებლობის სფეროში.

სასარგებლო მცენარეების რესურსთმცოდნეობა

სასარგებლო მცენარეების ნედლეულის დაცვა ბუნების დაცვის გლობალური პრობლემის შემადგენელი ნაწილია. მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი იწვევს ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაზრდას, მათზე ანტროპოლოგიური და სტიქიური პროცესების ზემოქმედებას, ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, რაც იწვევს შეუქცევად პროცესებს. მცირდება სასარგებლო მცენარეთა საფარი და არეალი. აღნიშნულს ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების უსისტემო, ხშირ შემთხვევაში აგრესიული დამზადება.

საფრანგეთში, ქალაქ ფონტენბლოში 1948 წელს ჩატარებულ კონფერენციაზე დაარსდა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი, იგი შემდეგ გარდაიქმნა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირად, ხოლო 1949 წლიდან ჩამოყალიბდა გაქრობის ზღვარზე მყოფი სახეობების გადარჩენის სამსახურის მუდმივმოქმედი კომისია. ამ პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებს ისიც, რომ 1980 წლიდან 5 ივნისი იუნესკოს გაადაწყვეტილებით გარემოს დაცვის მსოფლიო დღედ გამოცხადდა.

სამკურნალო მცენარეების რაციონალური გამოყენების ძირითად მიმართულებებში შედის:

- ნედლეულის დამზადების სწორი დაგეგმვა და რაიონირება;
- სამკურნალო მცენარეების ბიოლოგიური თავისებურებების დადგენა;
- დამზადების რეალური ნორმირება;
- დამზადების ვადების და წესების დაცვა;
- მედიცინისათვის პერსპექტიული ახალი სახეობების ძიება-გამოვლინება;

- შეზღუდული მარაგის სამკურნალო მცენარეების ლი-ცენზირებული დამზადება და კულტურაში შემოტანა.
სამკურნალო მცენარეული მარაგის განსაზღვრისათვის მიღებულია ცნებები და ტერმინები:
- **ნედლეულის ბიოლოგიური და საექსპლოატაციო მარაგის გამოთვლას** საფუძვლად უდევს მარაგის სიმჭიდროვის განსაზღვრა სამკურნალო მცენარეთა დამზადების უბანზე;
- **ნედლეულის მარაგის სიმჭიდროვე** – ესაა ნედლეულის საშუალო მასა ფართობის ერთეულზე. გამოიხატება მასის ერთეულში ტერიტორიის ერთეულის მიმართ (g/m^2 , $\text{კგ}/\text{ჰ}$);
- **ბიოლოგიური მარაგი** – ფიტომასის რაოდენობა, რომელიც შეიძლება შეგროვდეს სამკურნალო მცენარის ნაზარდებში დამზადების უბნის ფართობზე, მისი რეპროდუქციის აუცილებლობის გაუთვალისწინებლად. გამოიხატება მასის ერთეულში (კგ, ტ);
- **საექსპლოატაციო მარაგი** – ფიტომასის რაოდენობა, რომელიც შეიძლება შეგროვდეს სამკურნალო მცენარის დამზადების უბნის ფართობზე, მცენარის რეპროდუქციის გათვალისწინებით, გამოიხატება მასის ერთეულში (კგ, ტ);
- **საექსპლოატაციო მარაგი მოცულობით ნაკლებია ბიოლოგიურ მარაგზე, მარატ გამოანგარიშება მის საფუძველზე ხდება.** მაგ. ბალახოვანი ერთწლოვანი მცენარეებისათვის ექსპლოატაციის მარაგი შეადგენს ბიოლოგიურის მიმართ 50%, ხეების, ბუჩქების, ნახევრად ბუჩქებისათვის 25%, მინისქვედა მასის დამზადებისას ბალახებისათვის ის შეადგენს 25%, ბუჩქებისა და ხე მცენარეებისათვის – ბიოლოგიური მარაგის 10%.
- **შესაძლებელი ყოველწლიური დამზადება** – ესაა ნედლეულის ჯამური საექსპლოატაციო მარაგის ნაწილი, რომელიც შეიძლება გამოიყენონ დამზადების უბანზე ექსპლოატაცი-

ის რიგითობის შემოღებისას. გამოიხატება მასის ერთეულ-ში (კგ, ტ);

სამკურნალო მცენარეების რესურსების კვლევა და მათი მარაგების განსაზღვრა სამი ეტაპისაგან შედგება:

- **პირველი ეტაპი მოსამზადებელია** – ორგანიზაციული სამუშაოს ჩატარება;
- **მეორე ეტაპი არის მცენარეების მარაგების აღრიცხვა,** მას აწარმოებენ 2 მეთოდით:
 - ა) მარაგების აღრიცხვა კონკრეტულ დაჯგუფებებში;
 - ბ) მარაგების აღრიცხვა საკვანძო ნაკვეთებზე.
- **მესამე ეტაპი მონაცემთა კრერალური დამუშავება** – იგი მოიცავს ყველა გაანგარიშებას, რომელიც შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია შესრულდეს საველე პირობებში, ასევე ჩატარებული რესურსთმცოდნეობითი გამოკვლევების ანგარიშის შედგენას.

კლიმატის ცვლილება, პიომრავალფეროვების დივერსიფიკაცია და აღტერნატიული მცენარეები

კლიმატი წარმოადგენს განსაზღვრულ არეალში ამინდის მრავალწლიურ განმეორებად რეჟიმს ან ამინდის საშუალო მდგომარეობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. კლიმატნარმოქმნის ძირითადი ფაქტორობებია: მზის ფიზიოლოგიურად აქტიური რადიაცია, ატმოსფერული ცირკულაცია, დედამიწის ზედაპირი, მათ შორის მცენარეული საფარი, რომელიც შესაბამისად იცვლება კლიმატის ცვლილებასთან ერთად.

ბიომრავალფეროვნების დივერსიფიკაცია მჭიდროდაა დაკავშირებული კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს გავლენა სავსებით გაზომვადია, ყველა მისი უარყოფითი შედეგის სრული განეიტრალება შეუძლებელია. თუმცა გარკვეული კონსერვაციული ღონისძიებები, მაგა-

ლითად, ხმელეთზე თუ ზღვის აკვატორიაში დიდი ფართობის მქონე და მაღალი ხარისხის დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნა, გარკვეულწილად შეამსუბუქებს ბიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილების უარყოფით გავლენას. თავის მხრივ, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებამ შეიძლება წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების შედეგების დაძლევაში – ჯანსაღმა ეკოსისტემებმა შეიძლება მოახდინონ სათბური აირების ლიმიტირება, რადგან ტყეები, ტორფიანი ჭაობები და სხვა ჰაბიტატები ახდენენ ნახშირბადის დაგროვებას. ჯანსაღმა ეკოსისტემებმა ასევე შეიძლება შეაჩერონ უარყოფითი კატასტროფული მოვლენების გავლენა. ბიომრავალფეროვნების დაკარგვასთან ერთად რისკის ქვეშ დგება ეკოსისტემის მრავალი ფუნქციაც. იგივე უანგბადის გამომუშავება, კლიმატის რეგულირება, წყალდიდობების შეჩერება, წყლის ხარისხისა და დაავადებათა კონტროლი და სხვ. პროდუქტებში იგულისხმება საკვები, მტკნარი წყალი, თუნდაც სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელ და შხამიან მცენარეთა ნედლეული. გარდა ამისა, ეკოსისტემების ფუნქციონირება დაკავშირებულია ესთეტიურ, კულტურულ, რეკრეაციულ, ფსიქოლოგიურ და სულიერ ღირებულებებთან.

ევროკავშირმა დაამტკიცა 1998 წელს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია. დღეისათვის ბუნება და ბიომრავალფეროვნება წარმოადგენენ ევროსაბჭოს 2002-2012 წლების მეექვსე გარემოსდაცვითი პროგრამის ოთხი პრიორიტეტიდან ერთ-ერთს. გარდა დირექტივებისა, ევროგაერთიანების ქვეყნები არიან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული გაროს სხვადასხვა კონვენციის წევრები. უპირველესად, ესაა „კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“, რომელსაც ხელი მოეწერა 1992 წელს და რატიფიცირებული იქნა 1993 წელს. ევროკავშირი აქტიურად ასრულებს ამ კონვენციის მოთხოვნებს. ასევე, აღსანიშნავია სხვა კონვენციები და შეთანხმებები: „კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი

ტერიტორიების „შესახებ“ (რამსარის კონვენცია), „კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია“, „კონვენცია საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) და სხვ.

სრულყოფილი და საიმედო კლიმატური მონაცემები ეკონომიკის ისეთი დარგების სწორი მენეჯმენტისა და განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა. ენერგეტიკა, მშენებლობა, ტურიზმი, კურორტოლოგია, წყლის რესურსები, ტრანსპორტი, კომუნიკაციები.

კლიმატის შესწავლა და კვლევა, მისი გავლენა აგრობიომრავალფროვნებაზე დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან გასული საუკუნის ბოლო წლებიდან დაწყებულმა კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ ადამიანებს და ბუნებას უამრავი სიძნელე თუ საფრთხე შეუქმნა.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მონაცემების ანალიზი როგორც გვიჩვენებს, 1990 წლიდან დღემდე მთელი რიგი ბუნებრივი და სტიქიური უბედურება უშუალოდ ამინდის პირობებთან და კლიმატთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კლიმატი არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორსაც წარმოადგენს, ამიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ადამიანი კლიმატის ცვლილების მიმართ იჩენს.

ჩვენს ქვეყანაში პრობლემა – ადამიანი და კლიმატი – მეტად მძაფრად დგას, ვინაიდან საქართველო თავისი რთული ფიზიკა – გეოგრაფიული პირობების გამო განსაკუთრებული მრავალფროვნებით ხასიათდება, მცირე ტერიტორიაზე ვხვდებით კლიმატის თითქმის ყველა ტიპს (გარდა ეკვატორულისა და ტროპიკულისა). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს პოლიკლიმატური ქვეყნის კლასიკურ მაგალითს, სადაც კლიმატური ვარიაციები მტკივნეულად მიმდინარეობს.

დღესდღეობით მსოფლიო გლობალური დათბობის პრობლემის წინაშეა, რაც კლიმატის ცვლილების წინაპირობაა.

კლიმატის ცვლილება უარყოფით გავლენას ახდენს მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ტყეებზე, სოფლის მეურნეობაზე, ფლორასა და ფაუნაზე, მათ შორისაა მცენარეული საფარი, რომლის მნიშვნელობა მართლაც რომ დიდია, თუნდაც იგი გვაძლევს უანგბადს, ყოველივე ამაზე კი დამოკიდებულია ადამინის სიცოცხლე და არსებობა. შესაბამისად კლიმატის ცვლილება ადამიანისა და საერთოდ ჩვენი პლანეტის მომავალს საფრთხეს უქმნის. ადამიანის მიერ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ყველა სახის ენერგია გარდაიქმნება სითბურ ენერგიად, რომლის გასვლას ატმოსფეროდან ხელს უშლის ჩვენი პლანეტის გარშემო არსებული აირების თხელი გარსი. ეს პროცესი არის სათბურის ეფექტი, რაც იწვევს ტემპერატურის მატებას. პროცესი თავისი შედეგით დიდ სიძნელეებს შექმნის და მრავალ ეკოლოგიურ პრობლემას კიდევ ერთი პრობლემა დაემატება. ბოლო 130 წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურამ მთელ პლანეტაზე $1,24^{\circ}\text{C}$ -ით მოიმატა, საქართველოში კი $0,65^{\circ}\text{C}$ -ით.

ადამიანს შეუძლია ხელი შეუწყოს გლობალური დათბობის შემცირებას ტყეების, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებით, მცენარეული საფრის გაზრდითა და გამდიდრებით, ჭაობის ამოშრობით, მორწყვით, ვრცელი ტერიტორიების გაწყლოვანებით. საქართველოს კლიმატის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ზომიერი, ტროპიკული და ზოგჯერ პოლარული ჰაერის მასები, რომლებიც დასავლეთიდან შემოჭრის გამო ტენითაა გაჯერებული.

ბუნებრივი მცენარეებისათვის კლიმატი უმეტესად სასარგებლოა წლის თბილ პერიოდში, როდესაც დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები მცირე რაოდენობის ტენით არის გაჯერებული. საქართველოში მცენარეები ძირითადად ზიანდებიან წლის ცივ პერიოდში. ასე ხდება სხვა ქვეყნებშიც. გერმანიაში ზამთრის დასაწყისში ერთ დროს გამზვანებული გარემო და მცენარეები მუავე არეს მქონე წვიმის მოსვლიდან 10 წლის შემდეგ სრულიად განადგურდნენ და იქ ადამიანთა ცხოვრებაც კი შეუძლებელი გახდა. ამიერკავკასიის მთაშორისი ტყით უხვი ბა-

რო ხელს უწყობს ჰაერის მასების თავისუფალ გადადგილებასა და ვენტილაციას, რის გამო კლიმატოლოგებმა მას „ამიერკავკასიის დერეფანი“ უწოდეს. გაზაფხულზე, როდესაც მცენარე აყვავებას იწყებს, ზოგჯერ ისე აცივდება, რომ მცენარეს კვირტი ეყინება. კლიმატის ნაადრევ ან ნაგვანევმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი ნაზარდების გახმობა და გაფუჭება, რაც დიდ ზიანს მიაყენებს სოფლის მეურნეობას.

კლიმატურ თავისებურებებს მნიშვნელოვნად განაპირობებს ოროგრაფიული ბარიერებიც. მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ბარიერებია ლიხისა და არსიანის ქედები, რომლებიც აფერხებენ დასავლეთიდან მომავალი ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას, რომელიც სასარგებლოა როგორც მარადმწვანე, ისე საკვები, თუ სამკურნალო მცენარეებისათვის. დასავლეთიდან მომავალი ნოტიო ჰაერის გავრცელებას ხელს უშლიან ფიჭვის ტყეები, იმიტომ რომ ფიჭვს ტოტები აქვს მაღლა და ხელს უშლის ნოტიო ჰაერის გავრცელებას. საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატურ განსხვავებას ქმნის მეორეხარისხოვანი ოროგრაფიული ბარიერებიც. ესენია: სვანეთის, ბზიფის, ლეჩუმის, ეგრისის, რაჭის, მესხეთის ქედები. ისინი აკავებენ ნოტიო ჰაერის მასებს, რაც სასარგებლოა ბუნებრივი მცენარეებისათვის. ეს ფერდობები უხვნალექიანია, ხოლო ქარზურგა ფერდობები, მიმდებარე ხეობები და ქვაბულები, სადაც მცირე რაოდენობით არის ისეთი ბუნებრივი მცენარეები, რომლებიც შეაკავებენ ნოტიო ჰაერის მასებს – მცირე ნალექიანია. ამით იქმნება საკმაოდ მნიშვნელოვანი კლიმატური კონტრასტები. კავკასიონიც საკმაოდ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს. იგი ერთგვარად ანელებს სამხრეთიდან მომავალი ცხელი ჰაერის მასების ზეგავლენას, რაც სასარგებლოა ბუნებრივი მცენარეებისათვის. რომ არა ეს ოროგრაფიული ბარიერი, საქართველოში წლის თბილ პერიოდში შედარებით უფრო ცხელი და მშრალი ჰავა იქნებოდა და შეიძლება უამრავი მცენარე განადგურდებულიყო. შეიძლება მათ შორის აღმოჩნდეს საკვები, სამკურალო, არომატული, სალებარი, თაფლოვანი, შხამიანი და სანელებელი

მცენარეები. ამ მცენარეების დალუპვა კი გამოიწვევს ადამიანთა ჯამრთელობის დაზიანებას, სოფლის მეურნეობის შემოსავლების შემცირებას, და რაც ყველაზე მთავარია, ფაუნის განადგურებას.

ბუნებაში სხვადასხვა სახის ეფექტი არსებობს. ერთ-ერთი მათგანია სათბურის ეფექტი. მას იყენებენ მცენარეების გასამრავლებლად. მზის სხივები შედის სათბურში, იქ მყოფი მცენარეები გათბობის შემდეგ გამოყოფენ (ინფრანიტელ) გამოსხივებას, რომელიც სათბურს ათბობს. სითბო შენობაში ნარჩუნდება, რადგან სათბურის მინის კედლები მას გარეთ არ უშვებენ. სწორედ სათბურის მსგავსად არის მოწყობილი დედამიწა. მზის სხივები მოაღწევს დედამიწაზე, ცოცხალი ორგანიზმები (ადამიანი, ცხოველი და მცენარე) კი გამოყოფენ ინფრანიტელ გამოსხივებას და დედამიწა ატმოსფეროსთან ერთად თბება, რადგან (მინის მსგავსად) დედამიწის ირგვლივ არსებული ექვსი ატმოსფერული გაზი სითბოს გარეთ არ უშვებს. სითბო დედამიწაზე სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვანაირად ნაწილდება და წარმოიქმნება კლიმატის სხვადასხვა სახე. კარგად მოგეხსენებათ, რომ კლიმატური სარტყელი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი კომპლექსია. კლიმატური სარტყელის გამოყოფას საფუძვლად უდევს მზისგან მიღებული სითბოს განედურ-ზონალური განაწილება და გაბატონებული ჰაერის მასის ხასიათი. კლიმატური სარტყელი გვხვდება ორგვარი: გაბატონებული და გარდამავალი (მონაცვლე). კლიმატს დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებაზე. აზის კონტინენტზე ჩვენ გვხვდება ყველა კლიმატური სარტყელი: არქტიკული, სუბარქტიკული, კონტინენტური, ტროპიკული და სხვ. თითოეულ კლიმატს თავისი გავლენა აქვს მცენარეებზე. არქტიკულსა და სუბარქტიკულ კლიმატურ სარტყელებში სიცივისაგან წარმოქმნილია უდაბნოები, სადაც სამიზუთი გრადუსი სითბოა. აქ მცენარეებიდან გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ ხავსები და მღიერები. თუ ჩვენ კონტინენტური კლიმატური სარტყელის ცხელი უდაბნოების მცენარეებს: ავ-

შანს, აბზინდას, ალოეს, კაქტუსს არქტიკულ კლიმატურ სარტყელში გადავრგავთ, მათგან მხოლოდ გაყინული და მკვდარი მცენარეები დარჩება. ტროპიკულ სარტყელში გვხვდება უდაბნოები, სადაც ცხელი ჰავის გამო კაქტუსებს ფოთლების ნაცვლად (სახეშეცვლილი ფოთლები) ეკლები აქვთ, ეკლი წყალს მცირე რაოდენობით აორთქლებს, რის გამოც კაქტუსი უდაბნოების სიცხესა და გვალვებს უძლებს. რაც უფრო ვიწრო ფოთლები აქვს მცენარეს, მით უფრო მეტ სიცხეს უძლებს, რადგან მცირდება აორთქლების ფართობი. მეცნიერებმა უკვე შეამჩნიეს მცენარეების ფოთოლთა დავიწროვება, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიმატმა ცვლილება დაიწყო, რაც გამოიწვევს ტემპერატურის ზრდას, დიდ გვალვებს, უდაბნოების წარმოქმნას და მცენარეების გადაგვარებას, როგორც ეს სამი მილიონი საუკუნის წინ მოუვიდა მცენარის ზოგიერთ სახეობას. სამი მილიონი საუკუნის წინ მთელ დედამიწაზე გაბატონებული იყო ერთი კლიმატური სარტყელი თბილი და ტენიანი ჰავით. მთელი წლის მანძილზე ერთი და იგივე სეზონი იყო, ყოველდღე ელავდა, ისმოდა ჭექა-ქუხილი და მოდიოდა თბილი წვიმები (ასეთი კლიმატური სარტყლის სახე დღესდღეისობით აღარ გვხვდება, ბუნებრივი მცენარეებიდან არ გვხვდებოდა ყვავილოვანი და შიშველთესლოვნები, გაბატონებული იყო გვიმრებისა და გვიმრანაირების ტყეები, სადაც ზოგიერთი გვიმრანაირი ხის სიმაღლე-საც აღწევდა. გვიმრების ასეთ მრავალფეროვნებას სწორედ იქ არსებული კლიმატური სარტყელი იწვევდა, რადგან თბილ და ტენიან აღგილს უპირველესი მნიშვნელობა აქვს ამ მცენარეებისათვის. რამდენიმე საუკუნის წინ დედამიწაზე მოხვდა გამყინვარება. სწორედ ამ ყინვებმა, ანუ დედამიწაზე კლიმატის ცვლილებამ მოახდინა უმაღლესი გვიმრებისა და გვიმრანაირების გადაგვარება. აქედან გამომდინარე უკვე ადვილად დავამტკიცეთ, რომ კლიმატის ცვლილებას დიდი გავლენა აქვს ბიომრავალფეროვნებაზე.

ბიომრავალფეროვნებაზე დიდ გავლენას ახდენს კლიმა-

ტის ცვლილება და თბილწყლიანი ხმელთაშუა და შავი ზღვები. ჰავის ეს ტიპი დიდ გავლენას ახდენს ტყეებზე და ტყის საფარზე. ეს ბუნებრივი კომპლექსი გამოხატულია ნახევარკუნძულების – პირინეის, აპენინისა და ბალკანეთის პერიფერიებზე. იქაური მარადმწვანე ტყეები და მცენარეულობა შეგუებულია ზაფხულის სიცხესა და გვალვას. ზოგს სქელი პრიალა ფოთლები აქვს, ზოგს – წვრილი და ბუსუსებიანი, ზოგსაც – ეკლები. თბილ ზამთარში მცენარეები ინარჩუნებენ სიმწვანეს ხშირი წვიმების მიუხედავად. შავი ზღვისპირეთში განვითარებულია მეორადი მარადმწვანე ბუჩქნარები და დაბალი ხეები, ასეთებია: „მარწყვის ხე“, რომლის ნაყოფი მარწყვს მოგვაგონებს, მუხა, ზეთისხილის ხე, კეთილშობილი დაფნა, ადგილობრივი ფიჭვი და სხვ. ბუჩქებიდან დამახასიათებელია: ზღმარტლი, კუნელი, ასკილი და სხვ. აქ გვხვდება ნაყოფიერი ნიადაგები. ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზები უძველესი ცივილიზაციის კერებია, რომლებმაც განსაზღვრეს ბუნების ძლიერი ცვლილება – გაკულტურება. ამ ზონის ტერიტორია წარმატებით გამოიყენება ისეთი მცენარეული კულტურების მოსაყვანად როგორცაა: ციტრუსები, ხეხილი, ვენახი და სხვ. სტეპებს უჭირავს სამხრეთ ევროპის ნახევარკუნძულების შიდა ზეგნები, ასევე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბარის მნიშვნელოვანი ნაწილი – შიდა და ქვემო ქართლი, ივრის ზეგანი, სომხეთის ზეგნები და სხვ. სტეპების მნიშვნელოვან ნაწილზე მისდევენ მეტყევეობას, მიწათმოქმედებას. სუბტროპიკული უდაბნოები და ნახევრადუდაბნოები ზომიერი სარტყელის უდაბნოების და ნახევრადუდაბნოების ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ ჰაერის ტემპერატურა აქ უფრო მაღალია და შესაბამისად სიმშრალეც უფრო მკვეთრად არის გამოხატული. ეს ზონა გავრცელებულია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. მისი ტერიტორია თითქმის მთლიანად საძოვრებადა გამოყენებული. ამ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს კლიმატის ხშირი ცვალებადობა. ამავე სარტყელში მცირე ფართობი უჭირავს ნოტიო ტყეების ზონას. იგი მოიცავს კოლხეთის ბარს და ლენქორანის ვაკეს. ხელსაყრელი ნიადაგურ – კლიმა-

ტური პირობების წყალობით ზონის ტერიტორია თითქმის მთლიანად არის ათვისებული სასოფლო სამეურნეო კულტურებით ჩაი, ციტრუსები, ხილი, ვენახი და სხვ.

სიმაღლებრივი სარტყლების ზონალობა ევროპაში ყველაზე ნათლად და სრულად არის გამოხატული დასავლეთ ალპებში და სამხრეთ – დასავლეთ კავკასიონზე. ალპების მთისძირები წარმოადგენენ ლანდშაფტს, ტყეები თითქმის გაჩეხილია, მაგრამ იქ მაინც გვხვდება წაბლის, წიფლის, მუხისა და ფიჭვის მცირე ზომის ტყეები. 1000-1800 მეტრ სიმაღლემდე, ზომიერი ტენიანი ჰავის პირობებში, წიფლისა და მუხის ტყეები შერეულ, შემდეგ კი წინვან ტყეებში გადადის. ეს ყველაფერი სიმაღლისა და ჰავის ცვლილებებზე დიდად არის დამოკიდებული. ძლიერი ქარის გამო მაღალი მთის ფიჭვი, არყი და სხვა ხეები ტანბრეცილია. ბუჩქებიდან დამახასიათებელია დეკა, ლვია და სხვ. უფრო მაღლა იწყება ალპური მდელოების ზონა, რომელიც გამოყენებულია საზაფხულო საძოვრებად. მდელოების შემდეგ, ზემოთ, მუდმივი თოვლისა და ყინულების ზონაა, რომელსაც ნივალურ ზონასაც უწოდებენ (ნივალი თოვლიანს და ცივს ნიშნავს), რაც უფრო მეტია სიმაღლე, მით უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს იგი მცენარეულ საფარზე და ტყეებზე. სამხრეთ – დასავლეთ კავკასიონზე კი სიმაღლებრივი ზონები იწყება მარადმწვანე ქვეტყიანი კოლხური ტყეებით (მურყანი, მუხა, წაბლი, ლაფანი, ნეკერჩხალი, რცხილა და სხვ.). ამ ყველაფერზე დიდ გავლენას ახდენს იქაური თბილი და წვიმიანი ამინდი.

კლიმატი ბერძნული სიტყვაა და იგულისხმება ძველ ბერძნთა წარმოდგენა, რომ გეოგრაფიულ განედებზე ჰავის სხვადასხვაობის მთავარი მიზეზია დედამიწის ზედაპირის სხვადასხვაგვარი დახრილობა მზის სხივების მიმართ. ჰავა მეტეოროლოგიური ელემენტების, ატმოსფეროს აიროზოლური და აირული შედგენილობისა და მათი შერწყმის მრავალწლიურ პერიოდს მოიცავს, რასაც განაპირობებს მზის სხივების რადიაცია, ატმოსფეროს ცირკულაცია და ადამიანის სამეურნეო-კომერციული საქმიანობა.

ძირითადი კლიმატნარმომქმნელი და კლიმატშემცვლელი ფაქტორებია:

- მზის სხივური ენერგიის შემოსავალ – გასავალი;
- ხმელეთისა და წყლის განაწილება დედამიწის ზედაპირზე;

• ატმოსფეროს ცირკულაცია (ჰაერის მასების გადაადგილება და მასთან ერთად სითბოს, ტენისა და სხვა მინარევების გადატანა);

- ადამიანის სამეურნეო საქმიანობა.

კლიმატზე გავლენას ახდენს – ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა, გრძელი და განედი, სიმაღლებრივი მდებარეობა ზღვის დონიდან, რელიეფის ფორმა, ტენიანობა, მზის სხივების არეკვლის უნარი. გამოირჩევა მიკრო, მეზო და მაკრო კლიმატი, განასხვავებენ აგრეთვე მცენარეთა კლიმატს, როცა მცენარეულობა კი არ განაპირობებს კლიმატს, არამედ თვითონ არის გავრცელებული მისთვის ხელსაყრელი კლიმატის პირობებში. (მაგალითად: სიმინდის კლიმატი, ხორბლის, ვაზის, ტყის, ტუნდრის, სტეპის კლიმატი).

კლიმატზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანიც. ადამიანი თავისი საქმიანობით გამოყოფს დამატებით ენერგიას, რომელიც უერთდება მზის სხივებით გამომუშავებულ ენერგიას და ამით ადამიანს გარემოში შეაქვს 0.02კალ/სმ^2 2ნთ დამატებითი სითბო. მზისაგან მიღებულ სითბურ ენერგიასთან, რომელიც არის 49კალ/სმ^2 3ნთ ეს სიღიდე თითქმის უმნიშვნელოა, მაგრამ ყოველწლიურად გროვდება ორგანულ სამყაროში და ანგარიშგასაწევია. არცთუ ხანგრძლივ ისტორიულ დროში განახევრდა მსოფლიოს ტყეები, მოისპო ცხოველთა მრავალი სახეობა, გვალვებმა და გრიგალისებურმა ქარებმა დააზარალა სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები მარცვლოვანი კულტურების სახით. მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა შეიქმნა როგორც წყალში, ისე ატმოსფეროში მათი ძლიერი დაბინძურების შედეგად. ამ მხრივ კაცობრიობას უდიდესი საფრთხე

ემუქრება, რადგან კლიმატისა და ჰავის შეცვლის შემთხვევაში შეიქმნება ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით კი მინერალურის) და საკვები პროდუქტების ამონურვის საშიშროება, მეორე მხრივ კი ბუნებრივი გარემოს დაბინძურება გამოიწვევს მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას, ხშირ შემთხვევაში კატასტროფასაც კი.

კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია დედამინის ზედაპირის არათანაბარი გათბობა, რაც თავის მხრივ იწვევს ჰაერის მასების მუდმივ გადანაცვლებას. დედამინის ყოველი ადგილისათვის ამინდის გარკვეული ტიპია დამახასიათებელი. ზოგან წელიწადის სეზონებს შორის ძალზე დიდი სხვაობაა, ზოგან კი განსხვავება სულაც არ იგრძნობა. თუ ეს ტენდენცია დაირღვა და კლიმატი სწრაფად შეიცვალა მოხდება ჰავის ფორმირება, რაც არასასურველ შედეგებს იწვევს. ჰავა გავლენას ახდენს ადამიანის ყოფაცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობაზე, ჯანმრთელობაზე, რადგან ადამიანის ორგანიზმი ვერ ეგუება ყველანაირ კლიმატურ პირობებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰავის ცვლილების დინამიკის ცოდნა სოფლის მეურნეობისათვის ნარმატებით განვითარებისათვის, მათ შორის ისეთი სათუთი მცენარეების მოყვანისას, როგორიცაა: სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი, რომელთა შემადგენლობა თავის მხრივ დამოკიდებულია კლიმატზე, შემადგენლობა კი, როგორც ავლიშნეთ, მათ სასაქონლო ფასს განსაზღვრავს.

ამინდი იცვლება დროის მიხედვით, დედამინის სხვადასხვა ადგილას იგი განსხვავებულია. ამინდის ძირითადი ელემენტებია: ტემპერატურა, ტენიანობა და ატმოსფერული წნევა. ეს სამი ელემენტი წარმოქმნის: ქარს, ღრუბელს და ნალექს. ერთერთი მათგანის შეცვლა ცვლის მთლიანად ამინდს. ოკეანეებიდან, ზღვებიდან და მდინარეებიდან წყალი დიდი რაოდენობით ორთქლდება და ჰაერში იყანტება. ორთქლი ცივდება, წყლის წვეთებად გადაიქცევა და წვიმის ან თოვლის სახით უკან, დედამინაზე ბრუნდება. წყლის ბრუნვა მხოლოდ მზის ენერგიით და

წყლის ერთი მდგომარეობიდან მეორეში ადვილად გადასვლის უნარითაა განპირობებული. წყალი ჰაერისა და წყლის გარსს აკავშირებს დედამიწასთან. დედამიწაზე ნალექები ყველგან ერთნაირად არ მოდის, ნალექების ჭარბი რაოდენობა იწვევს მდინარეების ადიდებას, ადიდებული მდინარეები ტბორავენ ქალაქებს და სოფლებს. ზღვასთან შერთვისას კი სანაპირო ზოლს. ბოლო დროს მთელ მსოფლიოში შეინიშნება კლიმატის ცვლილება – დათბობა. ატმოსფეროს დაბინძურებისა და სხვა მიზეზების გამო დედამიწაზე ჰაერის ტემპერატურა გამუდმებით მატულობს. თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში მნიშვნელოვანი ბუნებრივი ცვლილებებია მოსალოდნელი. მშრალ ქვეყნებში წვიმა კიდევ უფრო იშვიათი გახდება და ვრცელი ტერიტორიები უდაბნოდ გადაიქცევა. ამ ადგილების მცენარეულობა უწყლობით გადაშენდება, ცხოველთა ნაწილი დაიღუპება, ნაწილი კი სხვაგან გადასახლდება. ყინული დნობას დაიწყებს, რაც გამოიწვევს ოკეანეში წყლის დონის მომატებას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ატმოსფეროს, ნიადაგს, წყალს, ტყეს დავაპინძურებთ და ბუნებას არ გავუფრთხილდებით, კიდევ უფრო უარესი მოვლენები შეიძლება მოხდეს დედამიწაზე. დედამიწის ზედაპირთან ჰაერი ზოგ ადგილებში თბილია, ზოგან ცივი. ცივი და თბილი ჰაერის არსებობა იწვევს ჰაერის მოძრაობას. თბილ ჰაერს სხვა მხრიდან წამოსული ცივი ჰაერი ავიწროვებს და განდევნის მას.

დედამიწის ზედაპირის მზით არათანაბარი გათბობის გამო ჩნდება ქარი. მას სიძლიერის მიხედვით სხვადასხვა სახელი აქვს: სუსტ ქარს ნიავი ჰქვია, ძლიერს – ნიავქარი, კიდევ უფრო ძლიერს ქარიშხალი, დამანგრეველი ძალის ქარს გრიგალი, მბრუნავ ქარს კი ქარბორბალა. ზაფხულობით ამერიკაში, ავსტრალიაში, აფრიკაში უცნაური ქარბორბალა ჩნდება, იგი ტორნადოს სახელითაა ცნობილი, ტორნადო მბრუნავი ჰაერის სვეტია, რასაც მოერევა ყველაფერს იწოვს და ცაში მიაქანებს. წლების განმავლობაში გაბატონებული ამინდი ქმნის ჰავას.

დედამინის სხვადასხვა კუთხეში ჰავა ერთნაირი არ არის, სადაც ნოტიო ჰავაა იქ ხშირად წვიმს. ცხელ და მშრალ ადგილებში აუტანელი სიცხეა და იშვიათად წვიმს. საერთოდ კლიმატი დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. ძლიერ ქარს შეუძლია: გამოფიტოს ნიადაგი, დააზიანოს სახლები, გაანადგუროს მოსავალი. განადგურება შეუძლია უხვად მოსულ ნალექებს და გაუთანაბრებელ ატმოსფერულ წნევას. ამინდის ცვლილებას მოაქვს მთელი რიგი უარყოფითი შედეგები, ტემპერატურის გაზრდა იწვევს მყინვარების დნობას და ხელს უწყობს ოკეანეების დონის აწევას, სწორედ დათბობის შედეგია ის რომ ზღვის დონემ მოიმატა 15-25სმ-ით ბოლო ასი წლის განმავლობაში. საშუალოდ ზღვის დონის 0,3 მეტრით აწევის შემთხვევაში წყლით იფარება ხმელეთის 15-30 მეტრი. სითბოს მომატების შემთხვევაში ზღვის დონე მომდევნო ასი წლის განმავლობაში კიდევ აიწევს 15-92 სანტიმეტრით. ზღვის დონის აწევის ტემპი ძლიერ მოქმედებს მიწის საერთო ფართის შემცირებაზე, მაგალითად, ოკეანის ადიდებამ დატბორა მანგრუფის ტყის 7500 ჰექტარი გასული სამი დეკადის განმავლობაში, ამ დროს ზღვის დონემ 5,5 მმ-ით მოიმატა. ბოლო წლებში ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის საშუალო ტემპერატურა $0,30^{\circ}\text{C}$ -ით გაიზარდა. ევროპის წამყვან ქვეყნებში კი უკვე შეინიშნება წყალდიდობები, რომლებსაც მსხვერპლიც მოსდევს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კლიმატის ცვლილება დიდ გავლენას ახდენს ამინდზე, იზრდება ტემპერატურა რაც თავისთავად იწვევს გვალვას, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის.

კლიმატის ცვლილების გაანალიზებით შესაძლებელია აიხსნას სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიან მცენარეთა მთელი რიგი აგრობიოლოგიურ თავისებურებათა თანმხლები მოვლენები, განსაკუთრებით ფენოლოგიური და მორფოლოგიურ – ბოტანიკური თვისებების კვლევისას, დადგინდეს არეალი, შედგეს მონაცემთა ბაზა, კლიმატის ცვლილების ფონზე შეიქმნას მცენარეთა საფარის ალტერნატიული მცენარეებით შევსების შესაძლებლობა.

ფენოლოგიური გაზაფხული საქართველოში მთელი წლის დაახლოებით 23%-ია. ეს გახლავთ ლანდშაფტის ზამთრის მდგომარეობის დარღვევა. რადიაციული და რა თქმა უნდა თერმული რეჟიმი განვითარების აღმავლობით სტადიაშია, გაზაფხულის პერიოდზე მოდის რადიაციული ბალანსის 40%, რომლის დიდი ნაწილი იხარჯება ნიადაგის ტემპერატურის მომატებაზე. დღის ნათების ხანგრძლიობა იზრდება, მატულობს საშუალო დღიური ტემპერატურის ჯამი. გამოცოცხლებას იწყებს მცენარეული საფარი, მთლიანად აღდგება მისი ასიმილაციური თვისებები, რის შედეგად ორგანულ ნივთიერებათა დაგროვება იწყება და მაქსიმუმს აღწევს სეზონის ბოლოს, უნდა აღინიშნოს, ეს ტენდენცია დამახასიათებელია სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარეებისათვის.

ფენოლოგიური ზაფხული მთელი წლის დაახლოებით 20%-ია. ბუნების ზაფხულის სეზონის სპექტრი განისაზღვრება მაქსიმალური ბიოლოგიური ცხოველმყოფელობით. ეს გახლავთ ძირითადი და განმსაზღვრელი სეზონი ცოცხალ ნივთიერებათა დესტრუქციისა, პროდუქციის ჩამოყალიბება-დაგროვებისა, ხდება პროცესების ინტენსიური მიმოცვლა ბიოსფერო-ატმოსფერო. ზაფხულზე მოდის წლიური რადიაციული ბალანსის 50%-მდე. დღის ნათების ხანგრძლიობა აღწევს მაქსიმუმს. იზრდება მაქსიმუმამდე საშუალო დღიური ტემპერატურის ჯამი. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესს თან სდევს მცენარის მიერ ტენის დახარჯვა ტრანსპირაციის საშუალებით და აორთქლება აღემატება ტენის შთანთქმის პროცესს. თუმცა გეოსისტემაში ტენის უზარმაზარი მარაგი იწვევს ბალანსის შენარჩუნებას და იცავს მცენარეს გამოშრობისაგან. ზაფხულის ბოლოს რადიაციული ბალანსი მცირდება, იზრდება ნალექების რაოდენობა. ტენიანობის ბალანსი დადებითია. იწყება ფოთლების შეყვითლება. კატაბალახასა და კვლივისათვის დამახასიათებელია ასიმილაციური აპარა-

ტის შეხმობა, თუმცა თუ ოპტიმალური კლიმატური პირობები იქნა, იწყება ახალი ნაზარდების განვითარება.

ფენოლოგიური შემოდგომა მთელი წლის დაახლოებით 28%-ია. ეს არის ლანდშაფტის ზაფხულის მდგომარეობის დაშლის პერიოდი, მცირდება რადიაციული და რა თქმა უნდა თერმული რეჟიმი. უნდა აღინიშნოს, რომ შემოდგომაზე, თუმცა იგი გაზაფხულზე დიდი და თბილია, მოდის რადიაციული რეჟიმის სულ 10%, რომელიც სეზონის ბოლოს უარყოფითია. მცირდება დღის ნათების ხანგრძლიობა და ჰაერის დღის საშუალო ტემპერატურა. იზრდება ნალექების რაოდენობა და რა თქმა უნდა, ტენიანობის ბალანსი დადებითია. უნდა აღინიშნოს, რომ შემოდგომით შეინიშნება კატაბალახასა და კვლიავის მიწისქვეშა ნაწილების ინტენსიური ზრდა, ამ პროცესზე გავლენას ახდენს მაღალი ფარდობითი ტენიანობა და ნიადაგსაც შენარჩუნებული აქვს სითბო. შემოდგომით ხდება კატაბალახას ფესვებისა და ფესურების ამოღება და ახალი პლანტაციის თესვა.

ფენოლოგიური ზამთარი მთელი წლის 17%-ია. რადიაციული ბალანსი დადებითია, თუმცა სულ 3%-ია წლიური ჯამიდან, ჰაერის საშუალო ტემპერატურა 0^0 -სა და $+5^0$ შორის მერყეობს, ხდება ტენის დაგროვება, ზამთრის პერიოდს ემთხვევა ნალექების წლიური ნორმის 40%. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კატაბალახასა და კვლიავის ფესვები და ფესურები რჩება ასიმილაციური აპარატის გარეშე, რადგან უმეტეს სამკურნალო, არომატულ, საღებარ, შხამიან და სანელებელ მცენარეთა მწვანე მასა კვდება, მცენარის ასიმილაცია გრძელდება ნაწილობრივ, ე.ი. გრძელდება “ვეგეტაციური ზამთარი”, ანუ აღინიშნება მიწისქვეშა ნაწილის მატება.

**სამკურნალო, არომატულ, საღებარ,
სანელებელ და შხამიან მცენარეთა
ინტროდუქცია და ადაპტაცია**

ინტროდუქცია ლათინურად ინტროდუცტიონ – შემოტანას ნიშნავს, რომელიმე სახეობის ან ჯიშის შემოტანა მისთვის უჩვეულო კლიმატური პირობების მქონე ქვეყანაში, მხარეში, სადაც იგი მანამ არ იყო გავრცელებული, წარმატებითი ინტროდუქციისთვის აუცილებელია: მცენარის ფილოგენეტიკური თავისებურებების, ახალ ეკოსისტემაში ქიმიური შემცველობის ცვლილების და მათზე ამ პარამეტრთა ზეგავლენის, მცენარის ამტანობისა და მათდამი შეგუების შესწავლა. ერთწლოვანი კულტურების ინტროდუქცირებისათვის საჭიროა 3-4 წელი, ხოლო მრავალწლოვანებისათვის 5-6 და მეტიც.

მცენარეთა ინტროდუქციის სქემა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:

- მცენარეთა კოლექციური შესწავლა და პერსპექტიული სახეობების შერჩევა;
- შერჩეულ სახეობათა მოშენების ტექნოლოგიების დამუშავება, თესლის ბანკისა და საჩითილე მასალის შექმნა;
- შერჩეული მასალის ეკონომიკური და ხარისხობრივი დიფერენცირება და შეფასება-დიაგნოსტიკა.

ბათუმისა და თბილისის ბოტანიკურ ბაღებში ინტროდუცირებულია რამდენიმე ათეული ძვირფასი სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარე: ევკალიპტი, ალოე, იაპონური დარიჩინი, პასიფლორა, ოლეანდრა, ქაფურის ხე, სტეფანია და მრავალი სხვ.

სასარგებლო მცენარეთა სასიცოცხლო პროცესები და მიმართები

მცენარებს ეკოსისტემის პარამეტრებთან შეგუების შედეგად ჩამოყალიბდათ გარკვეული სასიცოცხლო ფორმები, რომელთა მიხედვით გამოყოფენ სამი კატეგორიის სასიცოცხლო ფორმას:

მერქნიანი მრავალწლოვანი მცენარეები – ცოცხლობენ ორ წელზე მეტხანს, ღერო დაფარულია გახევებული კორპის თხელი ფენით, აქვთ მრავალწლოვანი მიწისზედა ყლორტები, მოზამთრე, ანუ მსვენებარე კვირტები. მერქნიანი მცენარეები იყოფა ხეებად და ბუჩქებად. ხე მცენარეს აქვს მთავარი ღერო და ვარჯი.

ბუჩქები – მათ მთავარი ღერო და ვარჯი არ გააჩნიათ; ბუჩქები გავრცელებულია ყველა კლიმატურ ზონაში. გვხვდება ლიანა ბუჩქებიც.

ნახევრადბუჩქი – შუალედი ფორმაა ბუჩქებსა და მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა შორის, რომლის ღეროს ქვედა ნაწილი გახევებულია და ზამთრობით არ კვდება, ზედა ნაწილი კი ბალახოვანია და კვდება. **ყლორტები** ყოველწლიურად განახლდება მოზამთრე ღეროებზე განლაგებული კვირტებით. მცენარეთა ეს სასიცოცხლო ფორმა დამახასიათებელია უდაბნოს კლიმატისა და მაღალმთის მცენარეული საფარისათვის.

ბალახები – არ გააჩნიათ მრავალწლოვანი მიწისზედა ყლორტები, ისინი იყოფიან ერთწლოვან და მრავალწლოვან მცენარეებად. მრავალწლოვან ბალახებში მრავალწლოვანია ღეროს მიწისქვედა ნაწილი (ფესურა, გორგლი, ბოლქვა). ერთწლოვანი ბალახი ცოცხლობს ერთი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ეფემერები, რომელთა სასიცოცხლო ციკლი მხოლოდ რამდენიმე კვირას მოიცავს. ორწლოვანი ბალახი ცოცხლობს ორი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ასეთი მცენარე პირველ წელს ივითა-

რებს ვეგეტატიურ ორგანოებს, მეორე წელს კი ყვავილსა და ნაყოფს.

უმაღლესი მცენარის ყველა ორგანოსათვის, მათ შორის სამკურნალო, არომატული, სანელებელი, თაფლოვანი, საღება-რი და შხამიანი მცენარეებისათვის, დამახასიათებელია გარ-კვეული აღნაგობა და შესაბამისი ფუნქცია, ანუ მცენარეული ორგანიზმის ეკოსისტემის პარამეტრებთან ურთიერთობა – ფილოგენეზური (ისტორიული ანუ ევოლუციური განვითარება) განვითარების პროცესი – უნდა აღინიშნოს, რომ მცენარის დი-ფერენცირება ხდება ვეგეტაციურ და გენერაციულ ორგანოებად. ვეგეტაციური ორგანოებია – ფესვი, ლერო, ფოთლები და მათი სახეცვლილებები. მათი საშუალებით მცენარის კვება და ინდივიდუალური განვითარება ხორციელდება, ხოლო გენერა-ციული ორგანოებით – ყვავილი, ნაყოფი, თესლი მცენარეთა სქესობრივი გამრავლება მიმდინარეობს.

მცენარის თესლში, ჩანასახის სახით მოცემულია სამივე ძირითადი ორგანო: ფესვი, ლერო და ფოთოლი.

ფესვი სუბსტრატზე ამაგრებს მცენარეს და ამარაგებს მის ორგანოებს წყლითა და წყალში გახსნილი საკვები ნივთიე-რებებით. ფესვებზე შეიძლება ნარმოიქმნას დანამატი კვირტე-ბი, დანამატი კვირტებისაგან შეიძლება განვითარდეს ყლორტე-ბი – ფესვის ამონაყარი (ზოგიერთი ბალახოვანი მცენარეები – კატაბალახა). ფესვის ამონაყარის იძლევა არა მარტო ბალახოვა-ნი მცენარეები, არამედ ბუჩქებიც და ხეებიც (ქლიავი, მაყვალი, ალუბალი და სხვ.). ფესვი და ლერო ევოლუციური განვითარე-ბის შედეგად ერთდროულად ჩამოყალიბდებიან და თესლოვან მცენარეთა ჩანასახშივე შეადგენენ მცენარეთა მთლიან სტრუქ-ტურულ ლერძს. აღსანიშნავია, რომ ონთოგენეზის პერიოდში მცენარეთა სხვადასხვა ბუნებრივ ჯგუფს ფესვები სხვადას-ხვაგვარად უნვითარდებათ. შიშველთესლოვანებსა და ორლებ-ნიანთა უმეტესობას იგი ჩანასახოვანი ფესვაკის განვითარების სარჯზე უყალიბდებათ.

ფესვი ასრულებს სხვადასხვაგვარ ფიზიოლოგიურ და მექანიკურ ფუნქციას:

- ნიადაგიდან იწოვს წყალს, მასში გახსნილ საკვებ ნივთიერებებს და აწვდის ღეროსა და ფოთლებს. ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება ფესვის ახალგაზრდა მონაკვეთებს აკისრიათ, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ პირველადი აგებულება;
- მცენარეს ნიადაგში ამაგრებს, თუ რამდენად კარგად ასრულებს ფესვი ამ ფუნქციას, დასტურდება იმით, რომ მცენარეს ნიადაგიდან ძალზე იშვიათად თუ ამოაგდებს ქარი;
- ფესვი ზოგიერთი ორგანული ნივთიერების სინთეზსაც ახდენს;
- მცენარეს ნიადაგში არსებულ ორგანიზმებთან აკავშირებს და ხელს უწყობს სიმბიოზს სოკოებთან და ფესვის ბაქტერიებთან, რომლებიც ასევე მონაწილეობენ ნივთიერებათა შეწოვასა და გარდაქმნაში;
- აგროვებს სათადარიგო ნივთიერებებს, ფესვი ხშირად გარდაიქმნება ხოლმე სათადარიგო ორგანოდ;
- ფესვი მარაგ ნივთიერებათა სათავსოს წარმოადგენს ზოგიერთ მცენარეში, მაგ. ძირშავა, ძირტკბილა, ვარდკაჭაჭა;
- ფესვის საშუალებით მცენარე მრავლდება ვეგეტატიურად.

ფესვების ოთხ ტიპს არჩევენ:

- **მინისქვეშა ფესვები** – მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც ნიადაგში მდებარეობენ. ასეთი ფესვები გააჩნიათ უმაღლეს მცენარეთა დაახლოებით 70%-ს;
- **წყლის ფესვები** – ყოველთვის წყლის სილრმეში მდებარეობენ და არასდროს არ აღწევენ წყალსაცავის ფსკერს (წყლის სურო);
- **საპაერო ფესვები** – განლაგებულია ატმოსფეროში და ვერასდროს აღწევენ ნიადაგამდე, ასეთი ფესვები აქვთ მცენარე ეპიფიტებსა და ტროპიკული ტენიანი ტყეების მკვიდრთ;

- **ჰაუსტორიები** – პარაზიტული მცენარეების მისაწოვარი ფესვებია, მაგ. ფითრი.
 - ფესვების ერთობლიობა ქმნის ფესვთა სისტემებს, რომლებიც სამგვარია:
 - **ბ თ ა ვ ა რ ლ ე რ ძ ა** – მათ კარგად აქვთ განვითარებული მთავარი ღერძი და გვერდითი ფესვები, ამასთანავე ძლიერი გეოტროპიზმი ახასიათებთ, ასეთი ფესვები ორლებნიან მცენარეებს გააჩნიათ;
 - **ფ უ ნ ჯ ა** – მათ მთავარი ფესვი განვითარებული არ აქვთ, ჩანასახიდან განვითარებული ფესვი ზრდას წყვეტს და ღერძიდან წარმოექმნებათ დამატებითი ფესვები, რომლებიც დაახლოებით ერთნაირი ფორმისა და ზომის არიან. ისინი მოგვაგონებენ ფუნჯს და სწორედ აქედან წარმოიშვა მათი სახელწოდება, ასეთი ფესვები უნვითარდებათ ერთლებნიან მცენარეებს.
 - **ძ ა ფ ნ ა ი რ ი** – მათ უნვითარდებათ ძალიან სუსტი მთავარი ღერძი და გვერდითი ფესვები, ასეთი ფესვები დამახასიათებელია ზოგიერთი ორლებნიანი ბალახოვანი მცენარეებისათვის.
- ფესურები ძალიან ჰავავს ფესვებს, განსხვავებით მათ შალითა არ აქვთ. ფესურა მრავალწლოვანი მცენარეების უმრავლესობას ახასიათებს. ფესურა შეიძლება იყოს გრძელი (ჭანგა, ისლი) ან მოკლე და მსხვილი (ფურისულა, ზამბახი). გრძელფესურიანი მცენარეებია: თივაქასრა, თეთრი ნამიკრეფია, ხოლო მოკლეფესურიანი – სათითურა, ტიმოთელა, მინდვრის შვრიელა.
- ტუბერები** შეიძლება იყოს მიწისზედა და არის მთავარი ღეროს ადგილობრივი გამსხვილება (კოლრაბი, კეუურა). ზოგჯერ ტუბერი გვერდითი ყლორტების გამსხვილებაა და ნორმალურ ფოთლებს ინვითარებს (ზოგიერთი ეპიფიტური ორქიდეა). ზოგიერთი მიწისზედა ტუბერი კი უბის სახეცვლილი კვირტია, რომელიც ჩანასახოვან ფოთოლს შეიცავს. ის დედა მცენარიდან ძირს ცვივა და ვეგეტატიურ გამრავლებას ემსახუ-

რება (ცოცხალმბადი მატიტელა -*Polygonum viviparum*). მიწის-ქვეშა ტუბერებს მიეკუთვნება ყოჩივარდას, კარტოფილის, მინავაშლას ტუბერები. კარტოფილის ტუბერების ღეროსეული ბუნება ჩანს მაშინ, როცა მის მიწისზედა ყლორტს მიწაში ჩავ-ფლავთ, სანამ ტუბერები ჩაისახება, მიწისქვეშა სტოლონები მაღლა ამოვა და შეფოთლილ ყლორტებს გაიკეთებს.

ბოლქვები სახეშეცვლილი ყლორტებია. ისინი არახელსაყ-რელი პირობების გადატანასა და ვეგეტატიურ გამრავლებას ემსახურებიან. ბოლქვი შედგება განვითარება დასრულებული, შემოკლებული ღეროსა და მასზე განლაგებული მრავალი ფოთ-ლისაგან. ზოგ მცენარეს ბოლქვის ფოთლები ქერქლებად აქვს გადაქცეული (შროშანი), ზოგს კი გარეთა სიფრიფანა და შიდა ხორციანი ქერქლები აქვს, რომლებიც მათ შემოდგომაზე სცვი-ვათ (სუმბული, ხახვი, ტიტა).

ტუბერიანი და ბოლქვიანი მცენარეები უმთავრესად ერ-თლებნიანი მცენარეებია (შროშანასებრი, ზამბახისებრი, ნარ-გიზისებრი) და ფართოდაა გავრცელებული მშრალ, გვალვიან ქვეყნებში. ასეთივე (მშრალ და გვალვიან) პირობებში ცხოვრო-ბენ ე.წ. ღეროსუკულენტი მცენარეები. მათმა ფოთლებმა რე-დუქცია განიცადეს, ფოთლების ფუნქციას კი ასრულებენ ღე-როები, რომლებიც მდიდარია წყლის შემცველი პარენქიმით. ამ მცენარებს მიეკუთვნებიან კაქტუსისებრნი და მსუქანასებრნი. ზოგიერთ კაქტუსში 1000 ლიტრზე მეტი წყალია. არის შემთხვე-ვები, როცა ასეთი მოჭრილი და სიმშრალეში შენახული მცენარე სამი წლის შემდეგაც აყვავებულა.

ლერო მცენარის მიწისზედა ვეგეტატიური ორგანოა, რომ-ლის ძირითადი დანიშნულება გახლავთ საკვები ნივთიერებების ტრანსპორტირება ორი მიმართულებით:

- ქვემოდან ზემოთ – როცა წყალი და მასში გახსნილი საკვე-ბი აღმავალი დენის საშუალებით გადაიტანება ფოთლებში;
- ფოტოსინთეზის შედეგად წარმოქმნილი ორგანული ნივთი-ერების ტრანსპორტირება დაღმავალი დენის საშუალებით

ზემოდან ქვემოთ, ე.ი. ლერო აკავშირებს მცენარის მიწის-ქვემა და მიწისზედა ორგანოებს ერთმანეთთან.

ლერო ანატომიურად ყველაზე რთული ორგანოა, რომელიც მთლიანად შეესაბამება მის მიერ შესრულებულ ფიზიოლოგიურ ფუნქციებს, სხვადასხვა სტრუქტურის, ძლიერი მექანიკური ქსოვილების სამუალებით ლერო გვერდითი განშტოებების და ფოთლების უდიდეს სიმძიმეს იტანს.

ყლორტი არის ლეროს ის ნაწილი, რომელიც ფოთლებს ინვითარებს; ნაწილს, რომელზედაც ფოთოლი ზის, **მუხლი** ეწოდება; კუთხეს, რომელიც იქმნება ფოთლისა და მის ზემოთ მდებარე ლეროს ნაწილს შორის, **ფოთლის უბე** ეწოდება. ლეროს ახასიათებს როგორც კენწრული, ისე ინტერკალური ზრდა. პირველი მათგანი წვერით მიმდინარეობს. მეორე შემთხვევაში კი ზრდა ძირითადად მუხლთაშორისებში ხდება (მაგ. ვირისტერფა). ლეროებს, რომელებიც გართხმულია მიწაზე, მაგრამ არ ფესვიანდება, **მნოლარე ანუ გართხმულ ლეროებს** უწოდებენ (მაგ. მატიტელა, ქაფუნა, კუროსთავა). ჰორიზონტალური გვერდით ტოტებს, რომლებიც გამოდიან ლეროს მიწისზედა და მიწისქვედა მუხლებში **სტოლონები** ჰქვიათ. ისინი ვეგეტატიურ გამრავლებას ემსახურებიან (მაგ. კატაბალახა).

ფოთოლი ეგზოგენური გამონაზარდის სახით წარმოიქმნება ლეროზე. იზრდება უმთავრესად ინტერკალურად და ბაზიპეტალურად, არასოდეს წარმოქმნის სხვა ფოთოლს. იგი ასრულებს ჰაერიდან კვებისა (ფოტოსინთეზი) და ტრანსპირაციის ფუნქციას. ფოთოლი შედგება ფირფიტისა და ყუნწისაგან. ფოთოლი შეიძლება იყოს ყუნწიანი და უყუნწო, ანუ მჯდომარე ზოგიერთი მცენარის ფოთოლს ქვედა ნაწილი ღარივით აქვს გაფართოებული და ხშირად მიღლის სახით ლეროზეა შემოხვეული. ამ ნაწილს ვაგინა ეწოდება და იგი დამახასიათებელია მარცვლოვნებისათვის, ისლისებრთათვის, ქოლგოსნებისა და ჯადვარისებრთათვის. ზოგჯერ ფოთლების ფუძისაგან წარმოიშობა

წყვილ-წყვილი გამონაზარდი ე.წ. თანაფოთლები: სიფრიფანების, ეკლესია და პატარა ფოთოლაკების სახით.

ფოთოლს მოხაზულობის, ფუძისა და წვერის, შებუსვის, ძარღვიანობისა და სხვა ნიშნების მიხედვით არჩევენ. ამასთანავე არსებობს ნემსისებრი, ხაზური, მოგრძო, ლანცეტა, ოვალური, მრგვალი კვერცხისებრი, რომბული, ნიჩბისებრი, გულისებრი, თირკმლისებრი, ისრისებრი, შუბისებრი ფორმის ფოთლები. ყველა ეს ფორმა მარტივი ფოთლებია. **რთული ფოთოლი** არის ისეთი ფოთოლი, რომელსაც ფოთოლაკები დამოუკიდებლად აქვს საერთო ყუნწიჟე და ცალ-ცალკე სცვივა. რთულ ფოთლებს მიეკუთვნება: სამფოთოლაკიანი, თათისებრ-რთული, წყვილ-ფრთისებრ-რთული, კენტფრთისებრ-რთული, წყვილფრთისებრ-რთული, ორჯერ ფრთისებრ-რთული, სამჯერ ფრთისებრ-რთული ფოთლები. დაძარღვის მიხედვით ფოთოლი შეიძლება იყოს პარალელურძარღვიანი (მარცვლოვანები, ისლები), რკალურძარღვიანი (შროშანა), თათისებრძარღვიანი (ნეკერჩხალი), ფრთისებრძარღვიანი, ბადისებრძარღვიანი. თუ დეროს თითო მუხლზე ერთი ფოთოლი ზის, ასეთი ფოთოლგანლაგება მორიგეობითა, ხოლო თუ თითოეულ მუხლზე, ერთმანეთის პირის-პირ ორი ფოთოლი ზის – მოპირისპირე. ფოთოლგანლაგება შეიძლება იყოს ჯვარედინად მოპირისპირეც. ამ დროს ზედა წყვილის ფოთლები არ ჩრდილავენ მის ქვემოთ მდებარე წყვილის ფოთლებს (ოჯახი ტუჩოსნები, მიხაკისებრნი, ზოგიერთი შავნა-მალასებრნი). თუ მუხლიდან სამი ან მეტი ფოთოლი გამოდის, ამას რგოლური ფოთოლთგანლაგება ეწოდება (ჩვეულებრივი ღვია, შვიტა, ყვავისთვალა). ფოთლები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ჩრდილავენ და მოზაიკურად არიან განლაგებული. ამას განაპირობებს სხვადასხვა ზომის ყუნწები, მათი მოღუნვის სიდიდე, ფოთოლთა უთანაბრო სიდიდე და სხვ.

ყვავილი ფარულთესლოვნებში არის ზრდაშეზღუდული, დამოკლებული, დაუტოტავი ყლორტი, რომლის ფოთლებს სახე აქვთ შეცვლილი სქესობრივ გამრავლებასთან დაკავშირებით.

ყვავილს ფარულთესლოვანებში სქესობრივი გამრავლების ორ-განოს უწოდებენ. იგი არასოდეს წარმოიქმნება ფოთლებზე და ღეროს წვერში ვითარდება. ყვავილის შემოკლებულ ღეროსეულ ნაწილს ყვავილსაჯდომი ანუ ტორუსი ეწოდება. ყვავილის ცენ-ტრალური ნაწილი ბუტკოს ან ბუტკოებს უჭირავთ. **ბუტკო** გან-ვითარებულია ერთი ან რამდენიმე ნაყოფის ფოთლისაგან ანუ მეგასპოროფილებისაგან. ერთი ნაყოფის ფოთლის კომპლექსს გინეცეუმი ეწოდება. მტვრის მარცვლები (მიკროსპორები) ხვდებიან დინგზე. აյ მტვრის მარცვლიდან ვითარდება მტვრის მილი, რომელიც სვეტის გავლით ჩადის ნასკვსა და თესლკვირ-ტში, სადაც კვერცხუჯრედის განაყოფიერება ხდება. ამის შემ-დეგ თესლკვირტი გადაიქცევა თესლად, ნასკვი კი ნაყოფად.

თესლი არის განაყოფიერების შემდეგ განვითარებული თესლკვირტი – მეგასპორანგიუმი, რომელშიც ჩანასახი და საკ-ვები ნივთიერებაა მოთავსებული. თესლებში ენდოსპერმის ან პერისპერმის არსებობა უფრო პრიმიტიულ ნიშან-თვისებად ითვლება. ჩანასახის ფორმა და მისი მდებარეობა თესლში მემ-კვიდრეობით გადადის და კარგ სისტემატურ ნიშანად ითვლება. ზოგიერთ მცენარეს თესლში ორი ან მეტი ჩანასახი უნვითარ-დება. ეს მოვლენა გამონაკლისის სახით გვხვდება და მას მრა-ვალჩანასახიანობა ანუ პოლიემბრიონია ეწოდება. თესლების რაოდენობა ნაყოფებში ერთიდან რამდენიმე ათასამდე ცვალე-ბადობს, იმის მიხედვით, თუ რამდენი თესლკვირტია ნასკვში. ზოგჯერ თესლებისა და ნაყოფების განვითარება განაყოფიე-რების გარეშე ხდება. (ამ მოვლენას პართენოგენეზი ეწოდება. ბერძნული სიტყვიდან – Παρθένος „პართენოს“ – ქალწული, მარმუჭი (*Alchemilla*), ბაბუანვერა (*Taraxacum*) და სხვ.).

ნაყოფი არის განაყოფიერების შედეგად სახეშეცვლილი ბუტკო, რომლის გამსხვილებულ ნასკვში მოიპოვება თესლები. ერთი ბუტკოდან განვითარებულ ნაყოფს ნამდვილი „ნაყოფი“ ეწოდება, ერთი ყვავილის რამდენიმე ბუტკოდან განვითარე-ბულ ნაყოფს კი რთული ნაყოფი, ხოლო ისეთ ნაყოფს, რომლის წარმოქმნაში ბუტკოს გარდა მონაწილეობას იღებს ყვავილის

სხვა ნაწილები (ყვავილსაჯდომი ან ყვავილსაფარი), ცრუნაყოფი ეწოდება.

ნაყოფების და თესლების გავრცელება. თესლების გავრცელების უნარი უზრუნველყოფს სახეობის გავრცელებას და გადარჩენას. თესლების გავრცელებას ააქტიურებს ქარი, წყალი, ადამიანი, ცხოველი და ნაყოფის აგებულების ზოგიერთი თავისებურება. ქარით გავრცელებას ანემოქორია ეწოდება. ამ გზით ვრცელდებიან ისეთი თესლები, რომლებიც პატარა და მსუბუქია (ჯადვარისებრი, ნაღველასებრი, მანანასებრი, კელაპტარასებრი). დიდ ზომის ზოგიერთ თესლსა და ნაყოფს ხშირად უნვითარდება ბეწვები ფრთების მსგავსი გამონაზარდების სახით, რომლებიც ხელს უწყობს ჰერში მათ გადატანას, ტივტივსა და სხვ. (ვირისტერფა, ბაბუანვერა).

მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან და ეკოსისტემის პარამეტრებთან დაკავშირებული, თავის მხრივ ორგანიზმის ან მისი ცალკეული უჯრედის ზრდა – განვითარება ნივთიერებათა ცვლაზე ანუ მეტაბოლიტურ პროცესებზეა დამოკიდებული. ონთოგენეზის პერიოდში მცენარეებში მუდმივად მიმდინარეობს რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები, რომლებიც მოსვენების პერიოდში დროებით წყდება. მთლიანად ორგანიზმის ან მისი ნაწილების სტრუქტურულ, მოცულობით და მასურ მატებას ზრდა ეწოდება. განვითარება კი ორგანიზმის ან მისი ნაწილების თვისობრივი ცვლილებაა. ორივე პროცესი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და როგორც წესი, პარალელურად მიმდინარეობს. ზრდა – განვითარება ფიტოპორმონების საშუალებით რეგულირდება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მცენარის ზრდა უჯრედების დაყოფასა და მათი ზომების მატებაში გამოიხატება.

მცენარის ზრდის პროცესში შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი ფაზა:

- საწყისი მდგომარეობა,
- ინტენსიური ზრდა,
- შენელებული ზრდა,

- სტაბილური მდგომარეობა.

ზამთრის დადგომისას მცენარე ე.წ. მოსვენების მდგომარეობაში გადადის, რომლის დროსაც ხანგრძლივი პერიოდით წყდება ან მკვეთრად მცირდება ზრდის სიჩქარე და ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა. **მოსვენება მცენარის ფიზიოლოგიური მდგომარეობაა**, რომელიც ევოლუციის პროცესში გამომუშავდება გარემოს არახელსაყრელ პირობებთან ადაპტირებისათვის. მცენარე მოსვენების მდგომარეობაში გადადის არა მარტო ზამთარში, არამედ ზაფხულშიც, როდესაც ძალზე მაღალია ჰაერის ტემპერატურა და ადგილი აქვს ტენის დეფიციტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ პირობებში მოსვენების მდგომარეობაში შეიძლება გადავიდეს მთლიანად მცენარე ან მისი რომელიმე ორგანო – თესლი, კვირტი, გორგლი, ფესურა, ბოლქვი, სპორა და სხვ.

ფიზიოლოგონებთან ერთად მცენარის ზრდა – განვითარებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ გარემო ფაქტორები – სინათლე, ტემპერატურა, ტენი და ნიადაგის შედგენილობა. გარემო ფაქტორები ააქტიურებენ ფიზიოლოგონების მოქმედებას ან პირიქით, თრგუნავენ მათ პოტენციალს. მცენარის ზრდა – განვითარებაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კვების ბლოკი – ორგანული და მინერალური, განსაკუთრებით აზოტით და ფოსფორით გამოკვება.

მცენარის განვითარება მოიცავს ორი მნიშვნელოვან პროცესს:

- ფალკეული ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება;
- ორგანიზმთა განვითარების ევოლუციური პროცესი.

ორგანიზმის ინდივიდუალურ განვითარებას ონტოგენეზი ეწოდება, ხოლო ორგანიზმების ევოლუციურ, ანუ ისტორიულ განვითარებას – ფილოგენეზი.

გარემო ფაქტორები (სინათლე, ტემპერატურა, ტენი) მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მცენარის ზრდა – განვითარებაზე. სამივე ფაქტორი ზემოქმედებს თესლების სუნთქვასა და აღმოცენებაზე, ფესურებისა და გორგლების წარმოქმნაზე,

ყვავილების ფორმირებაზე, ფოთოლცვენაზე, კვირტების სვენების მდგომარეობაში გადასვლაზე და სხვ. სინათლის დეფიციტის პირობებში გაზრდილ მცენარეებს ზრდაში ასწრებენ ის მცენარეები, რომლებიც სინათლეზე ვითარდებიან. ინტენსიური განათება ხშირად აძლიერებს ორგანოთა დიფერენცირების პროცესს და აჩქარებს განვითარებას. მცენარეთა თითოეული სახეობისათვის დამახასიათებელია ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო საკუთარი ტემპერატურული რეჟიმი. ამ პროცესებისათვის მინიმალური ტემპერატურა საშუალოდ $5-15^{\circ}\text{C}$ ინტერვალშია მოქცეული, ოპტიმალურია $25-35^{\circ}\text{C}$, ხოლო მაქსიმალური კი $45-55^{\circ}\text{C}$ ფარგლებში. დაბალმა და მაღალმა ტემპერატურებმა შეიძლება დაარღვიოს თესლებისა და კვირტების მოსვენების მდგომარეობა და გამოიწვიოს, შესაბამისად, მათი აღმოცენება და გაშლა.

იაროვიზაცია არის მცენარის თესლების თესვისწინა სპეციალური დამუშავება დაბალი ტემპერატურის მოქმედებით გარკვეულ პერიოდში, რაც აჩქარებს მათ გაღივებას. იაროვიზაციის გარეშე მრავალი მცენარე (ნიახური, საშემოდგომო ხორბალი) ყვავილობას ვერ შეძლებს. ზრდის პროცესისათვის განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს ასევე ტენით უზრუნველყოფას. მისი დეფიციტი იწვევს წვრილი უჯრედების წარმოქმნას და შესაბამისად, მცენარის ზრდაში ჩამორჩენას, რაც თავის მხრივ ამცირებს მოსავლიანობას.

მცენარეზე მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორები მოსახერხებელია დაყოფას ორ ჯგუფად: აბიოტურ და ბიოტურ ფაქტორებად.

აბიოტურ ფაქტორებში იგულისხმება არაცოცხალი ბუნების ყველა ის ელემენტი, რომლებიც მოქმედებს ორგანიზმზე. **ბიოტური** ფაქტორი კი ცოცხალ ორგანიზმთა ურთიერთქმედებაა. ორგანიზმის, პოპულაციის ან თანასაზოგადოების არსებობასა და განვითარებაზე მოქმედებს ფაქტორთა ერთობლიობა. მაგრამ მათ შორის შეიძლება გამოიყოს უმთავრესი ფაქტორები, რომელთა გარეშე საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა არსებობა. სწორედ ეს ფაქტორები ქმნიან საარსებო პირობებს.

სხვადასხვა ეკოლოგიური ფაქტორის მიმართ ორგანიზმებს ბუნებრივი გადარჩევის მეშვეობით გამოუმუშავდათ სხვადასხვაგვარი შეგუება. ფაქტორის იმ ინტესივობას, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია ცხოველმოქმედებისათვის, ოპტიმალური ინტენსივობა, ანუ ოპტიმუმი ეწოდება. ყოველი სახეობისათვის ამათუ იმ ფაქტორის ოპტიმალური მნიშვნელობა სხვადასხვაა. ფაქტორთან დამოკიდებულების მიხედვით სახეობები შეიძლება იყოს სითბოს ან სიცივის, ტენის ან სიმშრალის მიმართ შეგუძული. გარემოს კონკრეტული ფაქტორისადმი ორგანიზმის ოპტიმუმი და გამძლეობის საზღვრები ამავე დროს დამოკიდებულია სხვა ფაქტორების დონეზეც. მაგ. ოპტიმალური ტემპერატურის დროს მატულობს გამძლეობა არახელსაყრელი ტენიანობისა და საკვების სიმცირისადმი, მაგრამ ასეთი ურთიერთკომპენსაცია ყოველთვის შეზღუდულია და სიცოცხლისათვის აუცილებელი არც ერთი ფაქტორი არ შეიძლება შეიცვალოს სხვა ფაქტორით. თუ გარემოს თუნდაც ერთ-ერთი ფაქტორის რაოდენობრივი მნიშვნელობა გასცდა გამძლეობის ფარგლებს, მაშინ, როგორი ხელსაყრელიც არ უნდა იყოს დანარჩენი პირობები, სახეობის არსებობა შეუძლებელი ხდება. მაგალითად, ჩრდილოეთით მრავალი მცენარის არსებობას ზღუდავს სითბოს ნაკლებობა.

მცენარე შეიძლება შეგვხვდეს ყველა ადგილსამყოფელში, თუკი გარემო ფაქტორები შეესაბამება მის ტოლერანტობას. თუმცა რეალურ ფიტოცენოზში განმსაზღვრელი აღმოჩნდა ბიოტური ფაქტორი – კონკურენცია, რომელიც არსებითად ცვლის მცენარეთა სივრცობრივ განაწილებას. ფართო გაგებით, კონკურენცია არის ერთი და იმავე რესურსისათვის ორგანიზმთა მეტოქეობა. არსებობს შიდასახეობრივი და სახეობათშორისი კონკურენცია. შიდასახეობრივი კონკურენცია მიმდინარეობს ნებისმიერი სახეობის ერთი პოპულაციის ინდივიდებს შორის. კონკურენციის ეს ფორმა ძალზე დაძაბულია, რადგან ინდივიდებს ერთნაირი საკვები და თავშესაფარი ესაჭიროებათ, აგრეთვე საშიშროებასაც ერთნაირს ელიან. შიდასახეობრივი

კონკურენციის მკაფიო მაგალითთა ერთასაკოვანი წიწვოვანი ტყის პოპულაცია. აქ მაღალი ხეები მზის სხივების ძირითად ნაწილს იჭერენ. მათი მძლავრი ფესვთა სისტემა ნიადაგიდან შთანთქავს წყალსა და მასში გახსნილ მინერალურ ნივთიერებებს. ყოველივე ეს ზიანს აყენებს შედარებით სუსტ მცენარეებს, რომლებიც იჩაგრებიან და ხმებიან.

შიდასახეობრივ კონკურენციას თან ახლავს ნაყოფიერების შემცირება და სახეობის ინდივიდთა ნაწილის დალუპვა. თუმცა ეს პროცესი თავის მხრივ ხელს უწყობს სახეობის სრულყოფას მრავალი თაობის მანძილზე, რათა იგი უფრო უკეთ შეეგუოს საბინადრო გარემოსა და იმ ფაქტორებს, რომლებიც ასეთ კონკურენციას იწვევენ. სახეობათშორის კონკურენციას ადგილი აქვს სხვადასხვა სახეობის პოპულაციებს შორის. ის, ჩვეულებრივ, ძლიერ მძაფრად მიმდინარეობს, თუ სახეობები მსგავს პირობებს საჭიროებენ და ერთ გვარს განეკუთვნებიან. სახეობათშორისმა კონკურენციამ, მიუხედავად იმისა, თუ რა უდევს საფუძვლად, შეიძლება გამოიწვიოს ორ სახეობას შორის წონასწორობის დამყარება ან, მძაფრი კონკურენციის შემთხვევაში, ერთი სახეობის პოპულაციის მიერ მეორის განდევნა. ახლომონათესავე სახეობები, რომლებსაც მსგავსი ცხოვრების წესი აქვთ, ერთსა და იმავე ადგილზე არ ბინადრობენ. უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტული ურთიერთობის მექანიზმი მეტად მრავალფეროვანია. მაგალითად, **ალელოპატია (ანტიბიოზი)** გულისხმობს ერთი სახეობის პოპულაციის მიერ მეტაბოლიტების გამოყოფას, რომლებიც მავნეა კონკურენტი მეორე სახეობისათვის. სახეობათშორისი კონკურენცია, ფართო გაგებით, გულისხმობს ისეთ ურთიერთობასაც, როდესაც ერთი სახეობა თავის დაუზიანებლად ხდება მეორის ხელშემწყობი (ფრინველებისა და ძუძუმწოვრების მიერ თესლებისა და ნაყოფების გავრცელება), ასევე – სხვადასხვა სახეობების ურთიერთდახმარებასაც (ყვავილები და მათი დამტვერავი მწერები). შიდასახეობრივი და სახეობათშორისი კონკურენცია შეიძლება საზიანო იყოს ცალკეული ინდივიდისათვის, მაგრამ სა-

სარგებლოა მთლიანად პოპულაციისთვის, რადგან ემსახურება სახეობის სრულყოფას, ადაპტაციას და მის გადარჩენას.

ადაპტაციის არსი მდგომარეობს ორგანიზმის მორფო-ლოგიურ-ფიზიოლოგიურ გარდაქმნებში, რაც გარემოს მხოლოდ კონკრეტულ პირობებთან მის თანაფარდობაში გამოიხატება. ყოველგვარი ადაპტაცია ორგანიზმს ეხმარება გადარჩეს მხოლოდ იმ პირობებში, რომლებშიც იგი ჩამოყალიბდა ევოლუციის მამოძრავებელი ძალების ზეგავლენით. მაგრამ ამ პირობებშიც ეს პროცესი შეფარდებითია. სასიცოცხლო ფორმა საარსებო პირობებთან მცენარეთა ხანგრძლივი შეგუების შედეგია, რაც მათ გარეგნულ იერსახეშია გამოსახული (ხე, ბუჩქი, ნახევრად ბუჩქი და ა.შ.).

მცენარის მოძრაობა და განვითარების რიტმი. როგორც ვიცით, მცენარეთა სივრცეში გადაადგილება შეზღუდულია. მცენარეული ორგანიზმისათვის მეტნილად დამახასიათებელია სხეულის ცალკეული ნაწილების აქტიური გადაადგილება, რაც დაკავშირებულია ზრდის, განვითარებისა და ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებთან. მოძრაობის ერთ-ერთ ფორმას ფოტოტროპიზმი წარმოადგენს. **ფოტოტროპიზმი მცენარის მოზარდი ორგანოების რეაქციაა, რომელიც ცალმხრივად მიმართული განათებით არის გამოწვეული.** ღერო ჩვეულებრივ იჩენს დადებით, ფოთლები განივ, ფესვი უარყოფით ფოტოტროპიზმის. მცენარეში ნივთიერებათა ცვლა, ზრდა, განვითარება და მოძრაობა რიტმულ მერყეობას განიცდის, რაც დაკავშირებულია სინათლის დღელამურ (ცირკადული რიტმი), ზოგჯერ სეზონურ პერიოდულობასთან (ფოტოტროპიზმი). ცირკადული პერიოდულობის მაგალითია ღამით ყვავილების დახურვა, ფოთლების დახრა და სიგრძეზე დაკეცვა. ამ პროცესების კონტროლი მეტნილად შინაგანი ქრონომეტრაჟით – ფიზიოლოგიური საათით ხორციელდება. ფიზიოლოგიური საათის მნიშვნელოვან ფუნქციას დღის ხანგრძლივობის და სეზონის რეგისტრაცია წარმოადგენს, რაც ყვავილობის ფაზაში გადასვლას და გამოზამთრებისათვის სამზადისს განსაზღვრავს. ჩრდილოებში

მზარდი სახეობები მეტნილად გრძელი დღის მცენარეებია. მათი მოკლე სავეგეტაციო პერიოდი ზაფხულის გრძელ დღეებს ემთხვევა. საშუალო განედისათვის დამახასიათებელია როგორც გრძელი, ასევე მოკლე დღის მცენარეები. აქ გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოყვავილე სახეობები მოკლე დღისაა, ხოლო შეუადგომაში მოყვავილე სახეობები გრძელი დღის მცენარეებს მიეკუთვნება. ფოტოპერიოდიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა გავრცელების ასახსნელად. ბუნებრივი გადარჩევის პროცესში მრავალ სახეობაში გენეტიკურად განმტკიცდა ინფორმაცია როგორც ადგილსამყოფელის დღის ხანგრძლივობის შესახებ, ასევე მათი ყვავილობის დაწყების ვადებზე. იმ სახეობებშიც კი, რომლებიც ვეგეტატიურად მრავლდებიან, დღის ხანგრძლივობა განსაზღვრავს სეზონურ ცვლილებებს და სამარაგო ნივთიერებების დაგროვების პროცესს. სახეობები, რომლებიც ინდიფერენტულია დღის ხანგრძლივობის მიმართ, პოტენციურად კოსმოპოლიტებს წარმოადგენენ. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ის მცენარეებიც, რომლებიც ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ყვავილობენ. ფოტოპერიოდიზმი მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რადგან მასთანაა დაკავშირებული სამხრეთის მცენარეების გადატანის შესაძლებლობა ჩრდილოეთში და პირიქით.

მცენარეთა ინდივიდუალური განვითარების დროს ერთეული მნიშვნელოვან პროცესს მორფოგენეზი წარმოადგენს, რაც მორფოლოგიური სტრუქტურებისა (გარკვეული ორგანოს ან სხეულის ნაწილის) და მთლიანად ორგანიზმის წარმოქმნას ნიშნავს. მორფოგენეზი განპირობებულია მერისტემის უწყვეტი აქტივობით, რის გამოც მცენარის ზრდა მთელი ონტოგენეზის განმავლობაში გრძელდება, თუმცა განსხვავებული ინტენსივობით. მორფოგენეზის პროცესი და შედეგი ორგანიზმის გენოტიპით, გარემო პირობებთან ურთიერთქმედებითა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებებით (პოლარობა, სიმეტრია, მორფოლოგიური კორელაცია) განისაზღვრება. პოლარობის შედეგად ფესვის კენწრული მერისტემა მხოლოდ ფესვს წარმოქმნის,

ხოლო ყლორტის აპიკალური მერისტემა – ყლორტსა და ყვავილებს. სიმეტრიის წესთანაა დაკავშირებული სხვადასხვა ორგანოების ფორმა, ფოთოლთგანლაგება, ყვავილების აქტინომორფულობა ან ზიგომორფულობა და ა.შ. კორელაცია, ანუ სხვადასხვა ნიმან-თვისებათა ურთიერთკავშირი გავლენას ახდენს თითოეული სახეობის გარეგნულ იერსახეზე. მორფოგენეზის მსვლელობის დროს კორელაციის ბუნებრივი დარღვევა იწვევს აგებულებაში სხვადასხვა სიმახინჯის ნარმოშობას, ხოლო ხელოვნური დარღვევა (მყნობა, გასხვლა და სხვ.) – ადამიანისათვის საჭირო ნიმან-თვისებათა ჩამოყალიბებას. ონტოგენეზის მსვლელობის დროს მცენარე განიცდის ასაკობრივ ცვლილებებს ემბრიონული მდგომარეობიდან სქესობრივ სიმწიფემდე, ხოლო შემდეგ – ღრმა სიბერემდე.

ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით არსებობს მცენარეთა ორი ჯგუფი: მონოკარპული და პოლიკარპული. მონოკარპულში გაერთიანებულია ერთნლოვანი, ნაწილობრივ ორნლოვანი და ზოგიერთი მრავალნლოვანი (მაგალითად, ბამბუკი) მცენარე, რომლებიც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ყვავილობენ და იძლევიან ნაყოფს. პოლიკარპული მრავალნლოვანი ბალახები და მერქნიანი მცენარეებია, რომლებიც მრავალჯერ ყვავილობენ და იძლევიან ნაყოფს. ყვავილოვანი მცენარის ონტოგენეზი შეიძლება დაიყოს შემდეგ ასაკობრივ პერიოდებად, ანუ ეტაპებად:

- ლატენტური (შენიდბული) – მსვენებარე თესლი;
- ვირგინიული (გენერაციულამდე პერიოდი) – თესლის აღმოცენებიდან პირველ ყვავილობამდე;
- გენერაციული – პირველიდან ბოლო ყვავილობამდე;
- სელინური, ანუ სიბერის – ყვავილობის დაკარგვიდან – სიკვდილამდე.

მცენარისათვის მეტად მნიშვნელოვანია ორგანოგენეზის პროცესი, რომელშიც იგულისხმება ფესვების, ღეროების, ფოთლების, ყვავილების ფორმირება და განვითარება. ყოველი სახეობა ხასიათდება აღნიშნული ორგანოების ჩასახვისა და განვი-

თარების საკუთარი ტემპით. მაგალითად, შიშველთესლოვნებში რეპროდუქციული ორგანოების ფორმირება, განაყოფიერება და ჩანასახის განვითარება ერთი წლის განმავლობაში (ნაძვი) ან უფრო დიდხანს გრძელდება (ფიჭვი). ფარულთესლოვნებში სპოროგენეზისა და გამეტოგენეზის პროცესი, განაყოფიერება და ჩანასახის განვითარება სწრაფად მიმდინარეობს; განსაკუთრებით ეს ეხება ეფემერებს, რომლებშიც ეს პროცესები 3-4 კვირაში მთავრდება. ყვავილოვან მცენარეთა ორგანოგენეზის უმთავრესი ეტაპებია:

- ღეროს დიფერენცირება და მეორე რიგის ყლორტების ნარმოქმნა;
- ყვავილების დიფერენცირება;
- თესლებისა და ნაყოფების ფორმირება.

ნივთიერებათა ცვლა, ანუ მეტაპოლიზმი სიცოცხლის ყველა გამოვლინების საფუძველია. არსებობს ნივთიერებათა გარეგანი და შინაგანი ცვლა. გარეგანი ცვლა გულისხმობს ნივთიერებების შთანთქმას და გამოყოფას, ხოლო შინაგანი ცვლა – ამ ნივთიერებების ქიმიურ გარდაქმნას უჯრედში. ნივთიერებათა ცვლა და ცოცხალი სისტემის სტრუქტურული მთლიანობის შენარჩუნება ენერგიის ხარჯვასთან არის დაკავშირებული.

ენერგიის პირველად წყაროს სინათლე (ფოტოსინთეზი) ან ზოგიერთი არაორგანული ნივთიერების დაუანგვით განთავისუფლებული ენერგია (ქემოსინთეზი) წარმოადგენს. მაგრამ ორგანიზმთა უმრავლესობის არსებობა მარაგად დაგროვებული ენერგიის გარეშე შეუძლებელია. ასეთი ენერგია ცოცხალ ორგანიზმებში გროვდება ნახშირწყლების, ცხიმებისა და ნანილობრივ, ცილების ქიმიური გარდაქმნების შედეგად. ნივთიერებათა ცვლის შედეგად ხდება ორგანიზმის სხეულის შენება.

უცხო ნივთიერებების გარდაქმნას ორგანიზმისათვის დამახასიათებელ ნივთიერებებად ასიმილაცია ეწოდება. ასიმილაცია ყოველთვის დაკავშირებულია ენერგიის ხარჯვასთან. ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ნივთიერებების დაშლას შე-

დარებით მარტივ ნივთიერებებად დისიმილაცია ეწოდება. დისი-მილაციის დროს ენერგია თავისუფლდება. ასიმილაცია და დი-სიმილაცია ნივთიერებათა ცვლის ურთიერთდაკავშირებულ პროცესებს წარმოადგენს. გარდა უჯრედში მიმდინარე ნივთიე-რებათა ცვლისა, უჯრედები გარემოსთან მუდმივ ნივთიერება-თა ცვლაში იმყოფებიან. ასეთი ცვლა ხორციელდება თავისუ-ფალი (პასიური) ან აქტიური ტრანსპორტირებით. პასიური ტრანსპორტირება ხდება მოძრავი ნივთიერებების ენერგიის ხარჯზე, რაც დაკავშირებულია დიფუზიისა და ოსმოსის მოვ-ლენებთან. აქტიურ ტრანსპორტირებაზე იხარჯება დისიმილა-ციის დროს წარმოქმნილი ენერგიის განსაზღვრული რაოდენო-ბა. ენერგიის დანარჩენი ნაწილი ხმარდება უჯრედის სტრუქ-ტურული კომპონენტების სინთეზს და მისი, როგორც სისტე-მის, მთლიანობის შენარჩუნებას. ორგანიზმის მიერ გამოყენე-ბული ენერგიის ძირითადი ნაწილი თავისუფლდება დისიმილა-ციის პროცესში, რომელშიც მთელი ორგანიზმის სამარავო ნივ-თიერებებია ჩართული.

ცნობილია დისიმილაციის ორი მთავარი პროცესი: დული-ლი და სუნთქვა. დულილი ევოლუციურად ძველი და ენერგეტი-კულად ნაკლებად ეფექტური ანაერობული პროცესია, რომლის დროსაც ენერგიით მდიდარი ნივთიერებები (მეტნილად ნახშირ-ნყლები) ენერგიით ლარიბ შენაერთებამდე (სპირტები, რძემჟა-ვა, ძმარმჟავა, ერბომჟავა და სხვ.) იშლება. სუნთქვა ენერგეტი-კულად სრულყოფილი აერობული პროცესია. იგი არის ბიოლო-გიური ჟანგვა, რომელიც სპეციალური ფერმენტებით ხორცი-ელდება. სუნთქვა აერობულ პირობებში მიმდინარეობს და მთავრდება ენერგიით ლარიბი ნივთიერებების – ნყლისა და ნახ-შირორჟანგის (CO_2) წარმოქმნით. ქსოვილური სუნთქვა მრა-ვალსაფეხურიანი, ფერმენტული პროცესია, რომლის ყველა რე-აქცია ენერგიის გამოყოფით მიმდინარეობს. გარდა ენერგეტი-კული როლისა, ციკლს აქვს პლასტიკური ფუნქციაც; კერძოდ, ის წყაროა იმ მოლეკულებისა, რომლებიდანაც სხვადასხვა ბიო-ქიმიური გარდაქმნების გზით მნიშვნელოვანი შენაერთები –

ამინომჟავები, ნახშირწყლები, ცხიმოვანი მჟავები და სხვ. სინ-თეზირდება.

ფოტოსინთეზი არის ქლოროფილის შემცველი უჯრედების მიერ მზის სხივური ენერგიის ხარჯზე ორგანული ნივთიერებების ნარმოქმნის პროცესი. ყოველწლიურად ფოტოსინთეზის შედეგად დედამინაზე დაახლოებით 150 მილიარდი ტონა ორგანული ნივთიერება წარმოიქმნება (პირველადი პროდუქტია) და გამოიყოფა 200 მილიონი ტონა თავისუფალი ჟანგბადი. ფოტოსინთეზში ჩართული ჟანგბადის, ნახშირბადის და სხვა ელემენტების წრებრუნვით შენარჩუნებულია თანამედროვე ატმოსფეროს შედგენილობა, რაც ესოდენ აუცილებელია დედამინაზე სიცოცხლის არსებობისათვის. გარდა ატმოსფეროს ჟანგბადით გაჯერებისა, ფოტოსინთეზი ხელს უშლის CO₂ კონცენტრაციის გაზრდას და ამით იცავს ფოტოსინთეზი დედამინას გადახურებისაგან. ფოტოსინთეზი დედამინაზე მიმდინარე ბიოქიმიური ციკლების მთავარი რგოლი და ყველა კვებითი ჯაჭვის საფუძველია. ფოტოსინთეზის პროდუქტებში დაგროვილი ენერგია კაცობრიობისთვის ძირითადი ენერგიის წყაროს წარმოადგენს. ფოტოსინთეზი საბოლოოდ ენერგეტიკულად მდიდარი სამარაგო ნივთიერებების წარმოქმნით მთავრდება. ეს ნივთიერებები მეტაბოლიზმის პირველადი პროდუქტებია, რომლებიც უჯრედის ცხოველმოქმედების საფუძველს წარმოადგენს. პირველადი მეტაბოლიტებიდან ბიოსინთეზის გზით მეორეული მეტაბოლიტები მიიღება. მათი სინთეზი იმ ენერგიის ხარჯზე ხორციელდება, რომელიც სუნთქვის პროცესში თავისუფლდება. ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის ცხოველმოქმედების განმსაზღვრელ ერთეულს უჯრედი წარმოადგენენ. უჯრედის შემადგენლობაში არსებულ ნივთიერებათა შორის ძირითად კომპონენტს წყალი წარმოქმნილი ნახშირწყლები მცენარის ძირითად საკვებს წარმოადგენენ (ჰაერიდან კვება). წყალში გახსნილი მინერალური ნივთიერებები მცენარეში ფესვების საშუალებით ხვდება, რასაც მინერალურ კვებას (ნიადაგიდან კვება) უწოდებენ.

აქედან გამომდინარე, მცენარეში მუდმივად იქმნება სხვადასხვა ნივთიერებათა კონცენტრაციების ორი პოლუსი, რამაც ორ-მხრივი ტრანსპორტირების აუცილებლობა წარმოშვა.

მინერალური კვება არის ნიადაგიდან ქიმიური ბიოგენური ელემენტების (სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტები) შთანთქმის, გადაადგილებისა და ათვისების პროცესთა ერთობლიობა. საკვებში იგულისხმება მცენარის მიერ ათვისებული ის ნივთიერებები, რომლებიც ბიოგენურ ელემენტებს შეიცავს. მცენარეთა მინერალური კვება (განსაკუთრებით აზოტით), მჭიდროდაა დაკავშირებული ზრდისა და განვითარების პროცესებთან და რეაქციის ნორმის ფარგლებში განსაზღვრავს მათ ინტენსივობას. ფესვებში იონთა წყალხსნარების შეღწევის მექანიზმი რთულია და დაკავშირებულია ნიადაგიდან მათი ადსორბციისა და აქტიური შთანთქმის მოვლენებთან. ნიადაგიდან სსნარების შთანთქმის პროცესი ფესვის ბუსუსებში იწყება. მცენარეებში ნივთიერებათა დიდი რაოდენობით გადაადგილების ორი ძირითადი ნაკადი არსებობს:

- ტრანსპირაციული ნაკადი (ალმავალი), რომლის დროსაც წყალი და მასში გახსნილი საკვები ნივთიერებები ტრანსპორტირდება ფესვებიდან ყლორტებამდე;
- საასიმილაციო ნაკადი (დაღმავალი) – ფოტოსინთეზის პროდუქტების გადაადგილება ფოთლებიდან მცენარის სხვა ორგანოებამდე (ღეროები, ფესვები, ყვავილები, ნაყოფები).

ორივე ნაკადი ხორციელდება სპეციალური გამტარი ქსოვილით. ტრანსპირაციული ნაკადის ძირითად მამოძრავებელს ტრანსპირაცია, ანუ წყლის აორთქლება წარმოადგენს. მისი მთავარი ორგანო ფოთოლია, რომელიც წყალს ბაგეების საშუალებით აორთქლებს (ბაგისეული ტრანსპირაცია). ტრანსპირაციის ინტენსივობის რეგულაცია ბაგის მოძრაობით (გაღება და დახურვა) ხორციელდება. მცენარე წყლის ნაწილს კარგავს კუტიკულის საშუალებითაც (კუტიკულური ტრანსპირაცია), მაგრამ მისი ინტენსივობა ბაგისეულ ტრანსპირაციასთან შედარებით 10-20-ჯერ ნაკლებია. წყალი მცენარის გავლით მუდმივად

გაიწოვება ნიადაგიდან ატმოსფერულ ჰაერში. გამწოვი მექანიზმი წყალს ჭურჭლებში 1-დან 100 მ/სთ სიჩქარით ამოძრავებს. ყოველივე ეს შესაძლებლობას იძლევა წყლის ნაკადი 140 მ სიმაღლემდე ავიდეს. ყველაზე მაღალი ხეების მაგალითიდან ჩანს, რომ ამ მაჩვენებლის გადალახვა არც ერთ მცენარეს არ შეუძლია.

მცენარის მიერ ცხოველმოქმედების პროცესში ხდება პირველადი და მეორეული მეტაბოლიტების დაგროვება, რაც სამი მთავარი მიზეზით აიხსნება:

- ენერგეტიკული და პლასტიკური მასალის რეზირვის შექმნის აუცილებლობით (პირველადი მეტაბოლიტები);
- ცხოველისა და დაავადების გამომწვევისგან თავდაცვისათვის (მეორეული მეტაბოლიტები);
- ორგანიზმიდან გასადევნი ე.წ. წილის კონცენტრაციის გაზრდის მიზნით.


ენერგეტიკული და პლასტიკური მასალის რეზირვს პირველადი მეტაბოლიტები (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) წარმოადგენენ, რომლებიც ფოთოლცვენის ან მიწისზედა ორგანოებიან ჭკნობის წინ მიწისქვედა ორგანოებისაკენ გადაადგილდება. ერთწლოვან მცენარეებში აღნიშნული ნივთიერებები თესლებში გროვდება.

მეორეული მეტაბოლიტები (ტერპენოიდები, ალკალოიდები, პოლიფენოლები და სხვ.), რომელთა როლი მეტწილად დამცველობითია, მცენარის ნებისმიერ ორგანოში სინთეზირდება. მათი ჭარბი რაოდენობა მცენარეს ფოთოლცვენით ან გამყოფი ქსოვილის საშუალებით სცილდება, თუმცა რეუტილიზაციით ზოგჯერ თავიდან ერთვება ნივთიერებათა ცვლაში. ნამდვილ წიდას კალციუმის ოქსალატი წარმოადგენს, რომლის რეუტილიზაცია მცენარეში იშვიათად ხდება.

**სამართლო, არომატული, თაფლოვანი,
საღეპარი, საცელებელ და შხამიან მცენარეთა
გიოლოგიური თავისებურებანი ფანელოგიური
სეზონების მიხედვით**

მცენარეული ორგანიზმისათვის დამახასიათებელია სხეულის ცალკეული ნაწილების გადაადგილება, რაც დაკავშირებულია ზრდის, განვითარებისა და ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებთან. აღნიშნული პროცესები რიტმულ მერყეობას განიცდის, რაც დაკავშირებულია სინათლის დღელამურ, ზოგჯერ სეზონურ პერიოდულობასთან.

**ძირითადი პროცესების ურთიერთკავშირი
ონთოგენეზის პერიოდში**



მცენარის განვითარების მორფოლოგიური ფაზები

პირველი ფაზა – გაღვივების ფაზა	მდგომარეობს მცენარის მიწისქვეშა ნაწილის ზამთრის მოსვენების პერიოდში ამონაყრის ნარმოქმნამდე
მეორე ფაზა – აღმოცენება	ამონაყრის ყლორტის წარმოქმნიდან აღმოცენებიდამდე
მესამე ფაზა – ფოთლების განვითარება	ყლორტის აღმოცენებიდან შეფოთვლამდე
მეოთხე ფაზა – გვერდითი ღეროების განვითარება	შეფოთვლიდან გვერდითი ღეროების ჩამოყალიბებამდე
მეხუთე ფაზა – თანაყვავილების წარმოქმნა	გვერდითი ღეროების განვითარებიდან ყვავილობის დაწყებამდე
მეექვსე ფაზა – ყვავილობა – თესლის წარმოქმნა	ყვავილობის დასაწყისიდან მთელი პერიოდი
მეშვიდე ფაზა – თესლის სიმნივეების შესვლა	თესლის მომწიფების დაწყება
მერვე ფაზა – თესლების ტექნიკური ანუ სრული სიმნივე	თესლის ტექნიკური სიმწიფის დაწყებიდან სრულ სიმნივემდე
მეცხრე ფაზა – მცენარის მიწისზედა ნაწილის კვდომა	მიწისზედა ნაწილის ფიზიოლოგიური კვდომის დაწყებიდან სრულ ჩამოყალიბებამდე

**პიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები
სამაურნალო მცენარეთა ეიმიური შეღგანილობა
– პირველადი სიცოცხის ნივთიერებაზი, მორნადი
სიცოცხის ნივთიერებაზი, მინერალური
ნივთიერებაზი, ფყალი, მთავარმოქმედი, თანახლები
და გალასტი ნივთიერებები**

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები აუცილებელია ცოცხალ ორგანიზმში მეტაბოლიტური პროცესების სწორად წარმართვისათვის, ბევრ მათგანს დამცავი ფუნქციაც გააჩნია გარემოს არახელსაყრელი ფაქტორებისადმი (მძიმე ლითონები, რადიონუკლიდები და სხვ.). ორგანიზმიდან ტოქსიკურიკური ნივთიერებების გამოდევნა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. უკანასკნელ წლებში მუშავ-დება მცენარეებიდან ახალი მაღალეფების საშუალებების წარმოების ინვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანტირადიანტული, ან-ტიტოქსიკური აქტიურობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პრეპარატების მიღებას, თუმცა არანაკლებ სა-ინტერესოა ქვეყანაში გავრცელებული უნიკალური გენეტიკური რესურსიდან მცენარეების ჯგუფი, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმებიდან მძიმე ლითონებისა და რადიონუკლიდების ბუნებრივი გამომტანები არიან, ანუ მათში დომინირებს პექტი-ნოვანი ნივთიერებები, ანტოციანები, ფლავონოიდები და სხვ.

ცნობილია, რომ ცოცხალ სისტემებში აღმოჩენილი ქიმიური ელემენტებიდან სიცოცხლისათვის აუცილებელია დაახლოებით ოცი ბიოგენური ელემენტი. ისინი მუდმივად იმყოფებიან ორგანიზმების შედგენილობაში და მათ ცხოველმოქმედებას უზრუნველყოფენ. საშუალოდ ორგანიზმების მასის დაახლოებით 70%-ს შეადგენს ჟანგბადი, ნახშირბადი – 18%-ს, წყალბადი – 10%-ს. შემდეგ მოდის აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი, გოგირდი, მაგნიუმი, ნატრიუმი, ქლორი, რკინა. ისინი ე.ნ. უნივერსალური ბიოგენური ელემენტებია, რომლებიც ყვე-

ლა ორგანიზმის უჯრედების შემადგენლობაშია და მათ ხშირად მაკროელემენტებს უწოდებენ. ელემენტების ნაწილს ორგანიზ-მი უკიდურესად მცირე კონცენტრაციით შეიცავს, მაგრამ ისინი (მიკროელემენტები) აუცილებელია ნორმალური ცხოველმოქ-მედებისათვის. მათი ფუნქცია და როლი ორგანიზმისთვის მრა-ვალგვარია. მრავალი მიკროელემენტი შედის ფერმენტების შე-მადგენლობაში. უჯრედებში მთელი რიგი ბიოგენური ელემენ-ტების არსებობა დამოკიდებულია არა მარტო ორგანიზმის თა-ვისებურებაზე, არამედ საკვებზე, გარემო პირობებზე, კერძოდ, ნიადაგში მარილთა ხსნადობასა და კონცენტრაციაზე. ბიოგე-ნური ელემენტების მკვეთრი დაქვეითება ან სიჭარპე ორგანიზ-მის არანორმალურ განვითარებას ან მის სიკვდილსაც იწვევს. ნიადაგში ბიოგენური ელემენტების დამატება, მათი ოპტიმა-ლური კონცენტრაციის მისაღწევად ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

მცენარეში შემავალი მინერალური ელემენტები რაოდე-ნობითი შემცველობის და მათზე ყოველდღიური მოთხოვნილე-ბების მიხედვით დაყოფილია:

- **მაკროელემენტები** (N, P, K, Fe, Mg, Ca, ...) – მცენარე-ში გვხვდება მეასედ პროცენტებში და სადლელამისო ნორმაა გრამის ფარგლებში;

- **მიკროელემენტები** (მძიმე ლითონები – Mn, F, Zn, Ba, Cu, B...), მცენარეში მოიპოვებიან მეათასედ პროცენტებში, სადლელამისო მოთხოვნილება მილი- და მიკროგრამები;

- **ულტრამიკროელემენტები** (AU, Hg, Pb, Ra...), რომლე-ბიც გვხვდება ძალიან მცირე რაოდენობით.

მცენარე ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც აქვს უნარი არაორგანული ნივთიერებანი გარდაქმნას ორგანუ-ლად. ქლოროფილის შემცველი ნაწილები ახდენენ მზის ენერ-გიის აკუმულაციას. ატმოსფეროდან ითვისებენ CO₂ და გამო-ყოფენ O₂, ამასთან ინარჩუნებენ ჟანგბალის წონასწორობას ჰა-ერში.

პირველადი სინთეზის ნივთიერებები პირველ ეტაპზე წყლის, ნახშირორჟანგისა და არაორგანული ნაერთებიდან წარმოიქმნება, ანუ პირველადი მეტაბოლიზმის პროდუქტები: მჟავები, ნახშირწყლები, ლიპიდები, ცილები, ფერმენტები, ვიტამინები.

მეორადი სინთეზის ნივთიერებები, ანუ უფრო რთული ნივთიერებები მეტაბოლოზირდება ბიოსინთეზის მეორე ეტაპზე: ტერპენოიდები, მათ შორის ეთეროვანი ზეთები, ალკალოდები, გლიკოზიდები, სტეროიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, კუმანირები, ფენოლური ნაერთები მთელი თავიანთი მრავალფეროვანი ქიმიური ჯგუფებით.

სასარგებლო მცენარეებში მინერალური ნივთიერებები მოიპოვება არაორგანული შენაერთების ან ორგანულ მჟავათა და ფუძეთა მარილების სახით ცილების ან ცხიმების კომპლექს-ნაერთებთან. მაგ. მეტალების შენაერთები ნუკლეინის მჟავებ-თან. ყველა ცოცხალი უჯრედის ნორმალური ფუნქციონირება და სტრუქტურა დამოკიდებულია მინერალებზე. ისინი ანესრი-გებენ მჟავა-ტუტოვან წონასწორობას, მონაწილეობენ ჰორმო-ნების, ფერმენტების წარმოქმნასა და ფუნქციონირებაში, განაპირობებენ ორგანიზმის ზრდას, განვითარებას, გამრავლებას, ჯანსაღი ნერვიული სისტემის წარმოქმნას და სხვ.

წყალი

წყალი ის არეა, რომლის გარეშე მცენარე ვერ განახორციელებს სასიცოცხლო ფუნქციებს. მცენარეში წყლის შემცველობა 65-90% -ის ფარგლებში მერყეობს, მეტია წყალი ნაყოფებში, ფოთლებში, ბოლქვებში, უფრო ნაკლები სხვა ორგანოებში. წყლის დიდი ნაწილი თავისუფალი სახითაა და ნედლეულის გაშრობისას ადვილად იკარგება. 100გ ფოთლის გაშრობის შემდეგ რჩება 20გ, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ნედლეულის დამზადებისას. წყლის გარკვეული ნაწილი ბმული სახითაა და მას იჭერს უჯრედების კოლოიდები. ნედლეულის ჰაერზე შრობისას მასში დარჩენილ 10-15% ტენიანობას „სასაქონლო“

წყალს უწოდებენ, იგი ნედლეულის კეთილხარისხოვნობის მა-რეგლამენტირებელი ტესტია და შეტანილია ნორმატულ-ტექ-ნიკურ დოკუმენტაციაში.

ადსორბირებული წყალი (ტენი) – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც იწვევს რთულ გარდაქმნებს. მომატებული ტენიანობის პირობებში აღინიშნება ჰიდროლიზი ან მიკრობთა ზრდა-განვითარება.

ბევრი სამკურნალო საშუალება თუ ნედლეული შეიცავს კრისტალიზაციურ წყალს, ასეთი ნივთიერებანი ჰერმეტულ ჭურჭელში უნდა ინახებოდეს, რადგან დაბალი ტენიანობის პირობებში კარგავენ კრისტალიზაციურ წყალს, ე.ი. იცვლება მოლეკულის სტრუქტურა, აქედან გამომდინარე მოქმედი ნივთიერების რაოდენობრივი შემცველობა. კრისტალიზაციური წყლის დაკარგვა განსაკუთრებით საშიშია შხამ-ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვისას, რადგან იზრდება ტოქსიკურ ნაერთთა კონცენტრაცია.

მთავარმოქმედი, თანმხლები და ბალასტი ნივთიერებები

პირველადი და მეორადი მეტაბოლიტები, ასევე მცენარე-ში არსებული ყველა ელემენტი თუ ქიმიური ჯგუფი განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს მცენარის ცხოველქმედებაში. მიღებულია მცენრები არსებული შენაერთების დაყოფა „მთავარ-მოქმედ“, „თანმხლებ“ და „ბალასტ“ ნივთიერებებად.

„მთავარმოქმედი“ ნივთიერება განაპირობებს მოცემული სახეობის გამოყენებას სამედიცინო პრაქტიკაში, ე.ი. ხასიათდება ფარმაკოლოგიური (ანუ ფიზიოლოგიური) აქტიობით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გადამწყვეტი არ არის ამ შენაერთების დიდი რაოდენობით შემცველობა, არამედ მთავარია იყოს ეფექტური და უვნებელი.

„თანმდევი“ ნივთიერებები ზეგავლენას ახდენენ ძირითადი ნივთიერებების მოქმედებასა თუ ეფექტზე. მაგ. ფუტკარას ფოთლებსა და ბალახში მთავარმოქმედია საგულე გლიკოზიდები, ხოლო თანმხლებია სტეროიდული საპონინები და პოლისაქარიდები, რომლებიც ხელს უწყობენ მთავარმოქმედის ხსნადობას, შეწოვას ორგანიზმში და რაც მთავარია კარდიოტონული ეფექტის დაჩქარება-გაძლიერებას. თუმცა ზოგჯერ თანმხლებმა ნივთიერებამ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე მავნე ზემოქმედება.

მცნება ბალასტური ნივთიერება (ინგ. ბალლასტ) პირობითა. ესაა უმთავრესად პირველადი სინთეზის ნივთიერებები – ცხიმები, ცილები, ლორწოები, ფისები და სხვ., რომლებიც ძირითადად უარყოფით როლს თამაშობენ, მოქმედი ნივთიერებების გამოყოფას უშლიან ხელს ან იწვევენ არასასურველ ეფექტს. მაგ. ცხიმოვანი ზეთის დაგროვება ნუშის, მზესუმზირას, ზეთისხილის თესლებში დადებითი მოვლენაა და ეს ზეთები სასარგებლოა, მაგრამ ჭვავის რქაში ზეთის 40% შემცველობა არასასურველია, რადგან ნედლეულის შენახვისას ცხიმოვანი ზეთი მძალდება, შედეგად ხდება მთავარმოქმედი ალკალოიდების დესტრუქცია და ნედლეულის გაფუჭება.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე ქიმიური ჯგუფი ერთი მცნენარისათვის შეიძლება იყოს მთავარმოქმედი, მეორე-სათვის თანმხლები, სხვებისათვის ბალასტი, რისი ცოდნა აუცილებელია სამკურნალო, არომატული, სანელებელი, საღებარი და შხამიანი მცნენარების ნედლეულის დამზადებისას.

ფარმაკოლოგიური ნივთიერება – ნივთიერება, რომელიც ფარმაკოლოგიური და ტოქსიკოლოგიური კვლევის პროცესშია და ჯერ არ არის ნებადართული გამოყენებისათვის.

სამკურნალო საშუალება – ყველა ის ნივთიერება ან წამლის ფორმა, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ნებადართულია მედიცინაში გამოყენებისათვის, შეტანილია ნომეკ-

ლატურაში. სხვა საშუალებათა გამოყენება მედიცინაში კატე-გორიულად აკრძალულია.

სამკურნალო ნივთიერება – ეწოდება იმ ნივთიერებებს, რომელთაგანაც ამზადებენ სამკურნალო პრეპარატებს, ანუ წამლის ფორმას. როგორც წესი ეს ნივთიერებებიც ნებადარ-თული უნდა იყოს მედიცინაში გამოყენებისათვის ჯანდაცვის შესაბამისი უწყების მიერ.

ნამლის ფორმა ანუ პრეპარატი – ეწოდება კონკრეტულ ფორმას (დრაჟეს, ტაბლეტს, მაღამოს და სხვ.), რომელიც უშუ-ალოდ არის გამოყენებული მკურნალობისათვის.

მინერალური ნივთიერებანი

მინერალური ნივთიერებანი მონაწილეობენ ორგანიზმში მიმდინარე მნიშვნელოვან სასიცოცხლო პროცესებში, შედიან ვიტამინების, ფერმენტების, ჩონჩხის ძვლების შედგენილობაში, მათი დისბალანსი კი იწვევს მძიმე დაავადებებს.

ნატრიუმი – მთავარ როლს თამაშობს ორგანიზმის ოსმო-ტური ბალანსის შენარჩუნებაში, შედის კუჭისა და ნაწლავის წვენის, კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეციის შედგენილობაში. ჭარბი რაოდენობით ხელს უწყობს სისხლის წნევის ზრდას.

კალიუმი – აუცილებელია კუნთების შეკუმშვისა და ფერ-მენტების მოქმედებისათვის, მას იყენებენ გულის უკმარისობი-სას. დღე-ლამები ადამიანმა უნდა მიიღოს 3გ. კალიუმი, მას დი-დი რაოდენობით შეიცავს ჭერმის ჩირი, ქიშმიში.

მაგნიუმი – ააქტიურებს ფოსფორის ცვლას ორგანიზმი, მონაწილეობს ცილების სინთეზში, ხელს უწყობს სისხლის მა-ღალი წნევის შემცირებას, სადღელამისო მოთხოვნილება მაგნი-უმზე 0,3-0,5გ-ია, მაგნიუმით მდიდარია პური, შვრია, წიწიბურა, ხილი, ბოსტნეული.

ფოსფორი ერთ-ერთი სამშენებლო მასალაა ძვლებისა და კბილებისათვის, გვხვდება ორგანული ნაერთების შედგენილო-

ბაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ენერგეტიკულ დანახარჯებს, მონაწილეობენ შინაგანი ორგანოებისა და ტვინის ცხოველქმედებაში, სადღელამისო მოთხოვნაა 1,5-2,0გ., ფოსფორით მდიდარია ხორცი, თევზი, რძე, ბოსტნეული, განსაკუთრებით კი კაკალი, მწვანილი, ლობიო, ბარდა.

კალციუმი – არის ძირითადი მასალა ჩინჩხისა და კბილების შენებისათვის, იგი დიდ როლს თამაშობს უჯრედის მემბრანების გამტარობის და სისხლის შედედების ფუნქციის რეგულირებაში. კალციუმით მდიდარია რძის პროდუქტები, ხოლო მარცვლეულსა და მწვანე ფოთლებში იგი არის უხსნადი სახით.

რკინა – შედის სისხლის ნითელი ბურთულების შედეგნილობაში, სადღელამისო მოთხოვნაა 15გ. რკინით მდიდარია მწვანილი, პომიდორი, ხილი.

სპილენძი, ნიკელი, კობალტი, მანგანუმი – მონაწილეობენ სისხლის წარმოქმნაში, ისინი აუცილებელია ზოგიერთი ფერმენტის შექმნისა და აქტივიზაციისათვის. სპილენძით მდიდარია ალუბალი, შავნაყოფა ცირცელი.

იოდი – მონაწილეობს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის ჩამოყალიბებაში, ზრდის კალციუმისა და ფოსფორის ათვისებას. სადღელამისო მოთხოვნილება იოდზე არის 100-დან 300 მგ-მდე. იოდით მდიდარია ზღვის პროდუქტები, ჭარხალი, ფეიჰო.

ფტორი აჩერებს კბილების კარიესს, ფტორის წყაროდგვევლინება კომბოსტოს ფოთლები, მწვანე ხახვი, ხორბალი.

მძიმე ლითონები და სამკურნალო, არომატული, სანელებელი, საღეპარი, შეამიანი და თაფლოვანი მცენარეები

მძიმე – ტოქსიკური ლითონების სისტემატური მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში განსაკუთრებით სახიფათოა ჯანმრთელობისათვის, რადგან ისინი ხასიათდებიან ორგანიზმში კუმუტაციის უნარით, ახასიათებთ მეტაგენური, კარცენოგენული, ებრიოფოქსიკური თვისებები. დადგენილია, რომ მძიმე ლითო-

ნები აქტიურად მონაწილეობენ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე რთულ მეტაბოლიტურ პროცესებში, მათი, როგორც არა-საკმარისი, ისე ჭარბი შემცველობა შეიძლება სხვადასხვა მძიმე დაავადებათა მიზეზი გახდეს. ამიტომაც სამრეწველო პლანტაციები უნდა გაშენდეს ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში. ქვემოთ მოგვყავს იმ დაავადებათა მოკლე ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს ადამიანის ორგანიზმში ტოქსიკური ანუ მძიმე ლითონების რეგულარული და ჭარბი რაოდენობით მოხვედრის შედეგად.

კადმიუმით (Cd) მწვავე მონამვლები ხასიათდება ჰაერ-გამტარი გზების გალიზიანებით, ძლიერი ხველით, ქოშინით, სუნთქვის დროს გულმკერდის არეში ტყივილებით, გულისრევით, ფილტვების შეშუპებით. კადმიუმი აღიზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ინვევს თირკმელისა და ლვიძლის დეგენერაციულ ცვლილებებს, ძვლის დარბილებას, ჩონჩხის დეფორმაციას, ნეკნების შეზრდას. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მონაცემები კადმიუმის ჭარბი შემცველობით გამოწვეული პროსტატის კიბოს შესახებ.

სტრონციუმის (St) მაღალი კონცენტრაციები თრგუნავენ ძვლოვანი ქსოვილის ნარმოქმნის პროცესებს, შეუძლია გამოიწვიოს სტრონციომული რაქიტი.

ნიკელი (Ni) ინვევს ფარისებული ჯირკვლის გადიდებას, სპერმატოზოიდების მოძრაობის უნარიანობის დარღვევას. ნიკელით გამოწვეული ინტონსიკაციები ხასიათებიან ცხელებით, სისუსტით, თავის ტკივილით, თავბრუსხვევით, ფილტვების შეპუებით, ტოქსიკური პნევმონიით, ცხვირის ლორწოვანი გარსის დაწყლულებით.

რკინის (Fe) ჭარბმა შემცველობამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლძარღვთა სისტემის მოშლა, ლვიძლის ციროზი, ბავშვებში კი ვითარდება მწვავე მონამვლები.

ლითიუმით (Li) ქრონიკული ინტონსიკაციის დროს ადგილი აქვს ნევროლოგიური სინდრომის გამოვლინებებს, როგო-

რიცაა ძილიანობა, თავბრუსხვევა, ტკივილი ყლაპვის დროს, ტრემორი (კიდურების კანკალი), პულსის შენელება.

კობალტის (Co) ჭარბი რაოდენობა ადამიანის ორგანიზმში იწვევს პროფესიულ მოწამვლებს სუნთქვის, სისხლმბადი, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაზიანებით, პნევმონი-ითა და ფარისებული ჯირკვლის გადიდებით.

მანგანუმის (Mn) მნიშვნელოვან ბიოლოგიურ თავისებუ-რებას წარმოადგენს მონანილება ძვლოვანი ქსოვილის ჩამო-ყალიბებაში, ჭარბი რაოდენობით მიღება კი იწვევს ძვლებში რაქიტის ინტენსიურ ცვლილებებს. მანგანუმით მოწამვლის უკიდურესი გამოვლინებაა პარკენსონის სინდრომი, მოძრაობი-თი აქტივობის მოშლა, ფსიქიკური მოშლილობანი.

თუთიის (Zn) ადამიანის ორგანიზმში რეგულარული მოხ-ვედრა იწვევს ანემიის განვითარებას. იგი ხელს უწყობს ვიტამინ A-ს დაშლას და ინაქტივაციას.

სპილენძის (Cu) ჭარბი რაოდენობით ადამიანის ორგანიზ-მში მოხვედრა იწვევს ინტონსიკაციის მოვლენებს, ე.წ. “სპილენ-ძის ცხელების” კლინიკური სურათს, ჰეპატიტს.

ტოქსიკური ანუ მძიმე ლითონები ნიადაგში შეიტანება მი-ნერალურ სასუქებთანაც ერთად. ასე მაგალითად, სუპერფოს-ფატები შეიცავენ დარიშხანის, კალიუმის, ქრომის, კობალტის, სპილენძის, ტყვიის, ნიკელის, ვანადიუმის, თუთიის მცირე, მაგ-რამ სტაბილურ რაოდენობას, ისინი მაღალი მდგრადობით ხა-სიათდებიან, ამიტომ ყოველი ახალი ნორმა ნინა წლებში დაგ-როვილ რაოდენობას ემატება. შერჩეულ ნიადაგებში მძიმე ლი-თონების შემცველობა აბსოლუტურად უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტულ ნორმებს, გარდა ამისა, პლანტაციები საკმაოდ უნდა იყოს დაშორებული ცენტრალური ტრასებიდან, ე.ი. ადგი-ლი არ უნდა ჰქონდეს გამონაბოლქვი გაზების აკუმულირებას მცენარის ორგანოებზე. გარდა ამისა განსაზღვრული უნდა იქ-ნას მაგალითად კადმიუმის შემცველობა, თუ იგი 0,023 მგ/კგ აღნევს, ე.ი. 3-ჯერ ნაკლებია დასაშვებ ნორმაზე.

ცილების შემცველი მცენარეები და ნედლეული

მცენარეულ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის ცალკეული პროცესები ერთმანეთთან მყაცრი თანმიმდევრობითაა დაკავშირებული. წარმოუდგენელია ორგანიზმის არსებობა ამ ურთიერთქმედებებისა და ნივთიერებათა ცვლის ცალკეული მხარეების უმჭიდროესი ურთიერთკავშირების გარეშე.

ცილები ბიოპოლიმერებია, მათი სტრუქტურის საფუძველია პოლიპეფტიდური გრძელი ჯაჭვები, რომლებიც აგებულია α-ამინომჟავების ნაშთებისაგან და შეერთებულია ერთმანეთთან პეპტიდური კავშირებით.

მარტივი ცილა ანუ პროტეინები ამინომჟავათა ნაშთებისაგან შედგებიან. ცხოველებისა და მცენარეთა ორგანიზმში ამინომჟავები გვევლინებიან ცილოვანი ნივთიერებების ცვლის პროდუქტებად. სხვადასხვა ცილებიდან გამოყოფილი და შესწავლილია 22 ამინომჟავა, ყველა ისინი, ისევე როგორც ცილები ამფოტერულ ელექტროლიტებს მიეკუთვნებიან ანუ როგორც მჟავების, ისევე ფუძეების თვისებები აქვთ. ამინომჟავები უპირატესად ცხიმოვანი მჟავებისაგან არიან წარმოქმნილი, მათში ნახშირნყალბადის ერთ-ერთი ატომი ჩანაცვლებულია -NH₂ ჯგუფით. რეაქციები, რომლებიც საფუძვლად უდევს ცილებისა და ამინომჟავების მონაწილეობას ორგანიზმში მიმდინარე უანგვა-აღდგენით პროცესებში, შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ: ამინომჟავებმა შესაბამისი ფერმენტების მოქმედებით შეიძლება განიცადონ დეკარბოქსილება, წარმოქმნან ნახშირორჟანგი და ესა თუ ის ამინი. მეორე მხრივ, ამინომჟავებმა შეიძლება განიცადონ ორგანიზმში უანგვითი დეზამინირება ამიაკისა და კეტომჟავების წარმოქმნით. ამონიაკი ურთიერთმოქმედებს სხვა კეტომჟავებთან და წარმოქმნის ახალ ამინომჟავებს, რომლებიც თავის მხრივ გამოიყენება ცილის სინთეზისათვის. ადამიანისათვის აუცილებელი ამინომჟავების ნაწილი თვით ორგანიზმში სინთეზირდება, მაგრამ არის 10 შე-

უცვლელი ამინომჟავა, რომელთა სინთეზირებაც ორგანიზმს დამოუკიდებლად არ შეუძლია. ცილებს, რომლებშიც არის ასეთი ამინომჟავების საკმარისი რაოდენობა, სრულფასოვან ცილებს უწოდებენ. როგორც წესი, ამ რიგის ამინომჟავებით მდიდარია ცხოველური წარმოშობის ცხიმები. ამინომჟავების შემადგენლობის მიხედვით მათ მხოლოდ ზოგიერთი მცენარეთა (პარკოსნების) ოჯახი უახლოვდება. ცილების ამინომჟაური შედგენილობა შეიძლება დიდ მერყეობას განიცდიდეს. ცალკეულ ამინომჟავათა შემცველობის ასეთი ცვალებადობა ხდება ორგანიზმის განვითარების პროცესში, აგრეთვე გარემოს ცვალებადი პირობების ზეგავლენითაც. უკანასკნელ წლებში დიდ ყურადღებას უთმობენ ამინომჟავებს, როგორც ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ სამკურნალოდ.

როული ცილები – ცილა დაკავშირებულია არაცილოვანი ბუნების ნივთიერებებთან ნახშირწყლებთან (გლიკოპროტეიდები), ლიპიდებთან (ლიპოპროტეიდები), პიგმენტებთან (ქრომპროტეიდები), ფოსფორმჟავას ნაშთთან (ფოსფოპროტეიდები), ნუკლეინის მჟავებთან (ნუკლეოპროტეიდები) და სხვ. ეს უკანასკნელი პირველხარისხოვან როლს თამაშობს ორგანიზმის ცხოველმოქმედების გამოვლენაში, მათ შორის მემკვიდრეობითში. ისინი დიდი რაოდენობით შედიან უჯრედთა ბირთვებში და წარმოადგენენ მეტად დიდი მოლეკულური წონის მქონე ორგანულ მჟავებს, ჰიდროლიზის დროს ნუკლეინმჟავები იძლევიან პურინ- და პირიმიდინ- ფუქსებს, შაქარებს – რიბოზას ან დეზოქსირიბოზას და ფოსფორმჟავას. ნუკლეოპროტეიდების დიდი რაოდენობა მოიპოვება თესლების ჩანასახში – კერძოდ ხორბლის ჩანასახში. ნუკლეოპროტეიდების შემადგენლობაში შედის ჰისტონი, რომელშიც აზოტის დაახლოებით 30% ფუძე ამინომჟავათა (არგინინი, ლიზინი) აზოტს ეკუთვნის. მცენარისა და ცხოველის ორგანიზმში პურინული ფუქსებისაგან ყალიბდება მთელი რიგი პროდუქტებისა, მათ შორის შარდმჟავა, რომელიც პურინული ცვლის საბოლოო პროდუქტია ადამიანებში.

ზოგიერთ მცენარეში წარმოიქმნება კოფეინი (ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში), თეობრომინი (კაკაოს მარცვლებში), თეოფილინი (ჩაიში), ქსანთინი (ბრინჯში, ქერში, სოიაში, ლობიოში, შაქრის ჭარხალში), ვერნინი (ქერის ყლორტებში, გოგრის თესლში, მიწის თხილში და სხვ.), ურაცილი (ხორბალში).

ცილოვანი ნივთიერებანი და მათ რიცხვში ნუკლეოპროტეიდები შეადგენებ ორგანიზმში ყველა პროტოპლაზმური სტრუქტურის არა მხოლოდ საფუძველს, არამედ აღჭურვილი არიან კატალიზური ფუნქციებით და წარმოადგენენ რა ფერმენტთა შემადგენელ ნანილს, ისინი საზღვრავენ ნივთიერებათა ცვლის ცალკეული რეაქციების სიჩქარეს, მიმართულებასა და უმჭიდროეს ურთიერთკავშირს. სასიცოცხლო მოვლენებში ცილის წამყვანი როლი დაკავშირებულია მისი ქიმიური ფუნქციების განსაკუთრებულ სიმდიდრესთან და მრავალფეროვნებასთან, პროტოპლაზმის შემადგენლობაში შემავალ მარტივ და რთულ ნივთიერებებთან ურთიერთქმედებისა და სხვადასხვა სახის გარდაქმნების განსაკუთრებულ უნართან.

ცილოვანი ნივთიერებები ორგანიზმში შემავალ ყველა სხვა ნაერთზე უფრო რთულ ნივთიერებებს წარმოადგენენ. ორგანიზმის ცხოველქმედების სხვადასხვა შხარები, საჭმლის მონელებისა და კუნთების მოქმედებიდან გამრავლებამდე დაკავშირებულია ცილოვანი ნივთიერებების თავისებურებებთან. ცილები შეადგენენ პროტოპლაზმის ძირითად მასას. ყველა ფერმენტი ცილას წარმოადგენს. პროტოპლაზმის ცილა იმყოფება განუწყვეტელი ცვალებადობისა და და განახლების მდგომარეობაში, ერთდროულად მიმდინარე სინთეზისა და დაშლის, ასიმილაციისა და დისიმილაციის მდგომარეობაში. ცილები მცენარეთა უჯრედებში უმთავრესად კოლოიდურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს მაღალმოლეკულური, აზოტისშემცველი ნივთიერებებია, რომელთა შემადგენლობაში შედის ნახშირბადი, უანგბადი, წყალბადი, აზოტი, გოგირდი და ხშირად ფოსფორი. სელენით მდიდარ ნიადაგებზე მზარდ მცენარეთა ცილებში შეიძლება სელენმა შეცვალოს გოგირდი. ცილოვანი ნივთიერებები

მაღალმოლეკულური ნაერთებია. მათი მოლეკულური წონა შეიძლება აღწევდეს რამდენიმე მილიონს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავენ ცილებს ზოგიერთი თესლი, მეტადრე პარკოსან და ზეთოვან მცენარეთა თესლები, მაგ. სოიო, ცერ-ცვი, ლობიო, მზესუმზირა.

ნახშირცყლების შემცველი მცენარეები და ნედლეული

ნახშირცყლები წარმოადგენენ ალიფატურ პოლიოქსიკარბონილურ შენაერთებს და მათ ნაწარმებს. ნახშირცყლებს მონო-მერებისა რიცხვისაგან დამოკიდებულებით ყოფენ მონო-, ოლი-გო- და პოლისაქარიდებად. მონოსაქარიდის რამდენიმე მოლეკულის შეერთების შედეგად გამოიყოფა წყალი და მიიღება დი-საქარიდი (მალტოზა, საქაროზა).

მონოშაქრები ანუ მონოზები – მრავალატომიანი სპირტის წარმოებულებია, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის 2-დან 7-მდე ატომია, ერთი მათგანი წარმოქმნის კარბონალურ ჯგუფს. გლიცერინის დაჟანგვით მიიღება მარტივი მონოშაქარი – ტრიოზა, მონოშაქრებს ოთხი ნახშირბადით ტეტროზები ენოდება, ხუთით პენტოზები, ექვსით ჰექსოზები, შვიდით ჰეპტოზები. მონოშაქრები შეიცავენ ალდეჰიდურ ან კეტონურ ჯგუფებს, შესაბამისად ინოდებიან ალდოზებად და კეტოზებად. მარტივი მონოშაქრები – ტრიოზები – გლიცერინის ალდეჰიდი და დიოქსიაცეტონი ასრულებენ წამყვან როლს ცოცხალი უჯრედის ნივთიერებათა ცვლაში. ტეტროზები ფოტოსინთეზის შუალედური პროდუქტებია. პენტოზათა შორის გვხვდება ქსილოზა და არაბინოზა, ისინი მოიპოვებიან როგორც თავისუფალი, ისე მაღალმოლეკულური ნაერთების სახით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რიბოზას, რომელიც ფურანული ფორმით შედის ნუკლეიინის მუავაში და ძირითადად გვხვდება უჯრედის ბირთვში. ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ნახ-

შირწყლებია პენტოზები და ჰექსოზები: გლუკოზა, ფრუქტოზა, რამნოზა, გალაქტოზა, მანოზა, სორბოზა.

გლუკოზა საფუარის მოქმედებით განიცდის ალკოჰოლურ დუღილს. დიდი რაოდენობით მიიღება სახამებლის მჟავრი ჰიდროლიზის შედეგად და შეადგენს საკონდიტრო ნარმოებაში ფართოდ გამოყენებული ბადაგის ძირითად მასას. თავისუფალი სახით მოიპოვება მცენარეთა მწვანე ნაწილებში, თესლებში, სხვადასხვა ხილში და კენკრაში, თაფლში. განსაკუთრებით ბევრია იგი მწიფე ყურძენში, საიდანაც მიიღო თავისი მეორე სახელწოდება, მისგან წარმოიქმნება სახამებელი, უჯრედისი, ცელულოზა, გლიკოგენი, დექსტრინები, სახაროზა, მალტოზა, რაფინოზა და მრავალი გლუკოზიდი. გლუკოზა ყოველთვის არის ადამიანის სისხლის შედგენილობაში და მერყეობს $0,085\%$ -დან $0,120\%$ -მდე. მცირე დროის განმავლობაში გლუკოზის ჭარბად შემცველი საკვების მიღების დროს მისი შედგენილობა სისხლში მნიშვნელოვნად იზრდება და შარდთან ერთად გამოიყოფა. დიაბეტის დროს სისხლში და შარდში ყოველთვის ბევრი გლუკოზაა.

ფრუქტოზა საფუარის მოქმედებით განიცდის ალკოჰოლურ დუღილს, შედის მცენარეთა მწვანე ნაწილებში, ყვავილთა ნექტარში, ნაყოფებში, თაფლში. იგი ყველაზე ტკბილი შაქარია, შედის საქაროზასა და პოლისახაქარიდების შედგენილობაში, გვხვდება ვარდკაჭაჭაში.

გალაქტოზა არის ლაქტოზას (რძის შაქარი) და მელიბიოზას შემადგენელი ნაწილი, გვხვდება ასევე მცენარეებში არსებულ ტრისახარიდ რაფინოზაში, მოიპოვება მრავალი მაღალმოლეკულური პოლისახარიდისა (აგარ-აგარი) და ჰემიცელლულოზას შედგენილობაში. თავისუფალი სახით გამოიყოფა სუროს ნაყოფებიდან.

მანოზა მცენარეებში დაფიქსირებულია მაღალმოლეკულური პოლისახარიდების – ლორწოებისა და ჰემიცელულოზების შემადგენელობაში, არის მრავალატომიანი სპირტის – მანიტის წარმოებული, რომელიც მოიპოვება სტაფილოში, ხახვში,

ქლიავში, ანანასში, სოკოში, წყალმცენარეებიდან კი განსაკუთრებით ზღვის კომბოსტოში. **სორბოზა** გვხვდება ცირცელის წვენში 7%-მდე. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ვიტამინების წარმოებაში, განსაკუთრებით ასკორბინის მჟავას სინთეზის დროს წარმოადგენს შუალედურ პროდუქტს.

სორბიტით მდიდარია ქლიავი, ატამი, გარგარი, ვაშლი, ალუბალი, მსხალი, ქლიავის ფოთლებში შედის 4,5%-მდე მშრალ წონაზე. სუფთა სორბიტი დიაბეტით დაავადებულთათვის შაქრის შემცვლელია, მას იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის ზოგიერთი დაავადების დროს.

მწიფე ხილში მცირე რაოდენობით გვხვდება პენტოზები: **არაბინოზა** – ფართოდაა ბუნებაში გავრცელებული, როგორც ლორნოების პექტინოვანი ნივთიერებების და პემიცელულოზას შემადგენელი ნაწილი, **რიბოზა** და **დეზოქსირიბოზა** შედის ყველა ორგანიზმის ციტოპლაზმისა და და უჯრედის ბირთვის შედგენილობაში.

ოლიგოზები ანუ ოლიგოსახარიდები – ნახშირწყლებია, რომლებიც შედგებიან მონოზების, ყველაზე ხშირად კი სორბოზების მცირე რაოდენობისაგან. მათგან მნიშვნელოვანია დისახარიდები, რომლებიც აგებულია ურთიერთშეკავშირებული ორი მოლეკულა მონოსახარიდის ნაშთისაგან. **სახაროზა** – ლერწმისა ანუ ჭარხლის შაქარი – შედგება გლუკოზისა და ფრუქტოზის მოლეკულათა ნარჩენებისაგან, გვხვდება ფოთლებში, ღეროებში, თესლებში, ხილში, ფესვებში, ბოლქვებში. იგი უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის კვებაში, ჩვეულებრივ მიიღება შაქრის ჭარხლის ან ლერწმისაგან, რომლებშიც შესაბამისად 20-27%-მდეა.

ლაქტოზა (რძის შაქარი) – წარმოქმნილია გლუკოზისა და გალაქტოზისაგან, გვხვდება ძუძუმნოვართა რძეში, ნაპოვნია ზოგიერთი მცენარის სამტვერე მილებში.

მალტოზა – ალაოს შაქარი თავისუფალი სახით ბუნებაში არ გვხვდება, მაგრამ ყალიბდება საჭმლის მომნელებელ ტრაქ-

ტში ფერმენტ ამილაზის მოქმედებით სახამებლის დაშლის შე-დეგად, იგი წარმოქმნილია გლუკოზისაგან, შედის ალაოში და ალაოს გამონახსნარებში.

რაფინოზა ტრისახარიდია, გვხვდება მრავალ მცენარეში – ევკალიპტის გამხმარ გამონაყოფში, შაქრის ჭარხალში. ჭვავის კაუჭებში, სოკოებში. წყალმცენარეებსა და ზოგიერთ სხვა უმაღლეს მცენარეებში გვხვდება სოკოს შაქარი **ტრეგალოზა**, რომლის ჰიდროლიზის დროსაც წარმოქმნება გლუკოზა. გლუკოზიდან წარმოქმნილია **ცელებიოზა**, იგი წარმოადგენს უჯრედისის (ცელულოზის) ძირითად საშენ მასალას. თავისუფალი სახით კი შედის ზოგიერთ ხის წვენში.

პოლიგოზები – მაღალმოლეკულური ნახშირწყლებია, რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ ნივთიერებათა ცვლაში, ცხოველთა და ადამიანის კვებაში, შედგებიან გლიკოზიდური ბმებით შეერთებული მონოზების ნარჩენების დიდი რაოდენობისაგან, წარმოადგენენ მცენარეთა სამარაგო მასალასა და თა-მაშობენ ჩინჩისის ნივთიერებების როლს. ქიმიური კლასიფიკა-ციის მიხედვით პოლისახარიდები იყოფა სამ ჯგუფად: ფუძე, ნეიტრალური და მჟავე თვისებების მქონე, რომელთაგან ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ჯგუფია უკანასკნელი. ფარმა-ცევტულ პრაქტიკაში გამოიყენებული პოლისახარიდებიდან მნიშვნელოვანია სახამებელი, ლორწოები და გუმფისი.

სახამებელი – მნიშვნელოვანი სამარაგო პოლიოზია. იგი წარმოადგენს მცენარის მწვანე ნაწილებში ფოტოსინთეზის პროცესის პირველ ხილვად პროდუქტს, რომელიც შემდეგ სამა-რაგო ნივთიერების სახით გადალაგდება თესლებში, ფესვებში, ფესურებში, ტუბერებსა თუ ბოლქვებში. იგი ბევრია მარ-ცელოვნებში – რბილი ხორბალი, სიმინდი, მცენარეთა პოლ-ქვებში -კარტოფილი. სახამებელი წარმოქმნილია გლუკოზის უამრავი მოლეკულისაგან. სახამებლის მარცელები მცენარეებ-ში განსხვავდება სიდიდით, ფორმით (სფეროსებრი, ოვალური, უსწორმასწორო), შემადგენლობითა და თვისებებით.

სახამებელს მოხარშული სახით იყენებენ კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს, როგორც გადასაკრავ საშუალებას. სახა-მებლის საუკეთესო სახეებს, მაგალითად ბრინჯის სახამებელს იყენებენ მისაფქვევი ფხვნილის სახით. დიდია მისი როლი ტაბ-ლეტებისა და აპების წარმოებაში. სახამებელი წარმოადგენს გლუკოზის მისაღებ სამრეწველო წყაროს და დიეტურ საკვებს.

ინულინი – მნიშვნელოვანი რაოდენობით შედის რთულ-ყვავილოვანთა ოჯახის მცენარეებში (მაგალითად ვარდაჭაჭა-ჭასა და ბაბუანვერას ფესვებში, არტიშოებში, მიწავაშლას ბოლ-ქვებში) და გროვდება, როგორც სამარაგო ნახშირწყალი.

გლიკოგენი – პოლიოზია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცხოველის ორგანიზმში ნახშირწყლების გარდაქმნი-სას, მოიპოვება ადამიანისა და ცხოველების ქსოვილებში, სო-კოებში, საფუარში, შაქრის სიმინდის მარცვლებში. გლიკოგენის მჟავებთან დუღილის დროს მიიღება გლუკოზა.

უჯრედანა (ცელულოზა) – საყრდენი პოლიგოზია, რომ-ლისაგანაც მცენარეული უჯრედების გარსი წარმოიქმნება. მერქანი დაახლოებით 50% ცელულოზისაგან შედგება, ბამბა კი 90%-საგან, იგი წარმოქმნილია გლუკოზის მოლეკულებისაგან. ადამიანის საჭმლის მომნელებელი ტრაქტი უჯრედისს ვერ ინე-ლებს, ცხოველთა ნაწლავებში კი ფერმენტთა დახმარებით ქუცმაცდება. ამიტომაც ამ ნივთიერების ეს თვისება უნდა იქ-ნეს გათვალისწინებული ზოგიერთი კატეგორიის ავადმყოფები-სათვის კვების რაციონის შედგენისას, მაგალითად საკვები, რო-მელიც მდიდარია უხეში უჯრედისით, სასარგებლოა ყაბზობით დაავადებული ადამიანისათვის, კუჭ-ნაწლავის მიერ შეუთვისე-ბელი ნივთიერება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჭმლის მომნელებელი პროცესების დარევულორებაში. ხილისა და ბოს-ტნეულის უჯრედისი ხელს უწყობს ნაწლავის სასარგებლო მიკ-როორგანიზმების ცხოველქმედების ნორმალიზაციას.

ჰემიცელულოზები – სხეადასხვა მონოზებისაგან წარმოქ-მნილი პოლიგოზებია. მცენარეში ისინი ცელულოზასთან ერ-თად არიან, მაგრამ ადვილად ხდება მათი ჰიდროლიზი, ამ დროს

წარმოიქმნება მანოზა, გალაქტოზა, არაბინოზა ან ქსილოზა, შესაბამისად მათ ენოდებათ მანანები, გალაქტანები ან პენტოზანები. ბევრი ჰემიცელულოზაა თესლში, კაკალში, სიმინდის ტაროში, ჩალასა და მერქანში, ქატოში.

აგარ – აგარი – გვხვდება ზღვის წითელ წყალმცენარეებში, შედგება გალაქტობირანოზასა და რთული ეთერული ბმით შეერთებული გოგირდმჟავას ნარჩენებისაგან, იხსნება ცხელ წყალში, ხსნარის გაცივების დროს წარმოიქმნება ლაბოვანი მასა. იგი გამოიყენება ბაქტერიოლოგიაში მყარი საკვები არის დასამზადებლად. საშაქარლამო წარმოებაში სხვადასხვა სახის ლაბას, პასტილის (ხილის თათარა), მარმელადისა და ჯემების დასამზადებლად.

პექტინები – განეკუთვნებიან მაღალმოლეკულურ ნახშირწყლებს. ისინი ქიმიურად არაერთგვაროვანი ნაერთებია, რომელთა საფუძველს შეადგენს ერთმანეთთან გლუკოზიდური ბმით დაკავშირებული პექტინის მჟავა გალაქტურონმჟავას ნაშთებისაგან აგებული გრძელი ჯაჭვით. პექტინოვანი ნივთიერებები არის ორი სახის – პროტოპექტინი (წყალში უხსნადი) და პექტინი (წყალში ხსნადი). პროტოპექტინი შედის მცენარეული უჯრედის კედლის შემადგენლობაში, ასრულებს უჯრედების ერთმანეთთან შემაკავშირებელ ფუნქციას და განაპირობებს უჯრედის სტრუქტურულ მთლიანობას, ამასთანავე ნაყოფების დამწიფებისა და შენახვისას გადადის პექტოლიტური ფერმენტების ზემოქმედებით წყალში ხსნად ფორმებში, რასაც მოჰყვება კიდეც ნაყოფების გემოვნური თვისებების გაუმჯობესება. პექტინოვანი ნივთიერებების შემცველობა, მათი თვისებები და აგებულება სხვადასხვაგვარია მცენარის სახეობის, მისი აღმოცენების, ნიადაგურ-კლიმატური პირობების, გეოგრაფიული ზონის, ჯიშობრივი კუთვნილების, მცენარის განვითარების ფიზიოლოგიური პერიოდის, პექტინის გამოყოფის ხერხების მიხედვით. პექტინოვან ნივთიერებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ორგანიზმისათვის. ისინი ხელს უწყობენ ნაწლავებში ლპობის გამომწვევი მიკროფლორის განადგურებას, აქვთ ეგ-

ზო- და ენდო- შხამების დეტოქსიკაციის უნარი. დადგენილია, რომ დამცავ ფუნქციას ასრულებენ რადიაციული დაზიანების დროს. პექტინი მძლავრი სორბციული და რადიოპროტექტორული თვისებებით ხასიათდება, ტოქსიკური ნივთიერებების გარდა პექტინს აქვს ორგანიზმიდან ოქსალატებისა და მძიმე ლი-თონების მარილების გამოდევნის უნარი, მათ შორის კობალტის, ტყვიის, სპილენძის. საკვების ათვისების პროცესის დროს პექტინის დემეტოქსილიზაცია ხელს უწყობს მის გარდაქმნას პოლიგალაქტურინის მჟავაში, რომელიც უერთდება გარკვეულ მძიმე ლითონებს და რადიონუკლიდებს, რის შედეგადაც მიიღებიან არახსნადი მარილები, რომელთა შენოვა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან არ ხდება და გამოიყოფიან ორგანიზმიდან განავლოვან მასებთან ერთად. პექტინი აქტივირებულ ნახშირზე მეტად ადსორბციას უკეთებს ძმარმჟავა ტყვიას. მას გააჩნია აქტიური კომპლექსნარმომქმნელი თვისება რადიოაქტიური კობალტის, სტრონციუმის, ცეზიუმის, ცირკონიუმის, რუთენიუმის, იტრიუმის და სხვა ლითონების მიმართ პექტინის მჟავების მარილების წარმოქმნით, რომლებიც შემდეგ გამოიყოფიან ორგანიზმიდან. პექტინების დამცავი თვისება ასევე აიხსნება მათი უნარით, გააუმჯობესონ ნაწლავის პერისტალტიკა, რაც ხელს უწყობს ტოქსიკური ნივთიერებების უფრო სწრაფ გამოყოფას. დიაბეტით დაავადებისას პექტინი ამცირებს სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მომატების სიჩქარეს საკვების მიღების შემდგომ სისხლის პლაზმაში ინსულინის კონცენტრაციის ცვლილების გარეშე. პექტინს გააჩნია შემომგარსველი და დამცავი ფუნქცია, წარმოქმნის რა გელს კუჭის და ნაწლავების ლორნოვანი გარსის ზედაპირზე, იცავს მათ აგრესიული ფაქტორების ზემოქმედებისგან.

პექტინოვანი ნივთიერებები გვხვდება მცენარეთა ყველა ნაწლავში: ფესვებში, ღეროებში, ყვავილებში, ფოთლებში, ძირითადად ნაყოფებში. პექტინშემცველი ნედლეული შეიძლება სამძირითად ჯგუფად დავყოთ.

- პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ბოსტნეული: ტუბერიანები,

(კარტოფილი), ძირხვენები (ჭარხალი, სტაფილო, ტოპინამ-ბური), ფოთლოვანები (კომბოსტო, ხახვი), ღეროსებრი (ნი-ახური), ნაყოფის მომცემი (ბადრიჯანი, პომიდორი), გოგრი-სებრი (საზამთრო, ნესვი, გოგრა), პარკოსნები (ბარდა, ლობიო).

- პექტინშემცველი ნედლეულის მეორე ჯგუფი მოიცავს ხი-ლის ნაყოფებს და იყოფა ქვეჯგუფებად: თესლოვნები (ვაშ-ლი, კომში), კურკოვნები (ბალი), კენკროვნები (ყურძენი, მოცვი, მოცხარი), ცრუკენკროვნები (მარწყვი, ხენდრო), სუბტროპიკული და ტროპიკული ნაყოფები (ლიმონი, ფორ-თოხალი, მანდარინი, ლელვი, ბრონეული).
- მესამე ჯგუფში ჩართულია სამრეწველო ნედლეულის სხვა სახეები პექტინის მაღალი შემცველობით: ჩაისა და თამბა-ქოს ფოთლები, მზესუმზირის ღეროები და ყვავილედ-კალა-თები, ბამბის ნაყოფ-საგდულები, ხეების (ფიჭვი, ნაძვი) წინ-ვოვანი ჯიშების ქერქი.

გემოთი კარგად დაბალანსებული შაქრებისა და ორგანუ-ლი მჟავების, C და P ვიტამინების, პექტინოვანი ნივთიერებების მაღალი შემცველობის გამო მიზანშეწონილია ნაყოფთა ეს ქვეჯგუფები გამოვიყენოთ პექტინშემცველი საკვები ნაწარმე-ბის წარმოებისას. პექტინის სამრეწველო წარმოებისათვის ნედ-ლეულის პერსპექტიულ წყაროებს წარმოადგენენ მზესუმზირის ღეროები და ყვავილედ-კალათები, ბამბის ნაყოფ-საგდულები, ხეების წინვოვანი ჯიშების ქერქები. პექტინოვანი ნივთიერებე-ბი დიდი რაოდენობით მოიპოვება ასევე ძირტკბილას და ტუხ-ტის ფესვებში, ასკილისა და შტოშის ნაყოფებში. მკვახე ნაყოფ-სა და კენკრაში პროტოპექტინი ფერმენტ პროტოპექტინაზასა და ორგანული მჟავების გავლენით გადაიქცევა პექტინად, აძ-ლევს ნაყოფს სირბილეს, განაპირობებს მურაბის, მარმელადის და მათი გადამუშავების სხვა პროდუქტების სქელ კონსისტენ-ციას

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ციტრუსები, მანდარინ უნშიუს ნაყოფები შეიცავს 31,2 – 41,5 მგ C ვიტამინს

ნაყოფის წვენში, ჩვენი მონაცემებით იგი მერყეობდა 33,2-47,8 მგ-მდე. ციტრუსოვანთა სამკურნალო თვისებებს განაპირობებს მათ შემადგენლობაში ტუტე ლითონების, განსაკუთრებით კალიუმის არსებობა, რომელიც მიეწოდება სისხლს, უქმნის მას სუსატ ტუტე რეაქციას, ამიტომაც ციტრუსოვანთა ნაყოფი წარმატებით გამოიყენება ე.წ. აციტოზის, ანუ სისხლის მაღალი მუავიანობის დროს. ეს დაავადება იწვევს რევმატიზმს, ნაადრევ სიბერეს, ათეროსკლეროზს, მაღალ არტერიალურ წნევას და სხვადასხვა დარღვევებს ორგანიზმში მეტაბოლიტური პროცესების მიმდინარეობის დროს. ციტრუსოვანთა ნაყოფი გამოირჩევა დიეტური და გემოვნური თვისებების მაღალი პოტენციალით. ისინი შეიცავენ გლუკოზას, ფრუქტოზას, საქაროზას, მინერალურ მარილებს: კალციუმს, ფოსფორს, რკინას და სხვ., ორგანულ მუავებს, ცილა – პროტეინს. ფორთოხლის ნაყოფი შეიცავს 8,7 % შაქარს, მანდარინისა 8,0-8,2 %-მდე, რაც დასტურდება ჩვენი ექსპერიმენტებითა და მთელი რიგი მკვლევარების მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირწყლებს შეიცავს ციტრუსოვანთა ფოთლებიც. ნახშირწყლები დადებით როლს ასრულებენ ციტრუსების ყინვაგამძლეობის ამაღლებაში. უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიაში მანდარინის ფოთლებში გლუკოზა, ფრუქტოზა და საქაროზა დაფიქსირდა მთელი წლის განმავლობაში, რაფინოზა და სტაქიოზა აღმოჩენილ იქნა ცივ პერიოდში, ხოლო ტემპერატურის აწევისთანავე ისინი იშლებოდნენ მარტივ შაქრებად, რაც შეეხება ასკორბინის მუავას, მანდარინის ნაყოფებში მისი შემცველობა 37%-ია, ფორთოხალში 75%, ლიმონში 72%.

ციტრუსოვანთა ფოთლებიდან მიიღება ძვირფასი ეთერზეთები, რომლებიც გამოიყენება პარფიუმერიაში. ციტრუსოვანთა ყვავილებიდან კი ანარმოებენ ძვირადლირებულ ეთერზეთს ნეროლს. ნაყოფის კანიც შეიცავს ეთერზეთს და პექტინოვან ნივთიერებებს. ნაყოფის რბილობი და წვენი შეიცავს ვიტამინ C-ს 37-38%--მდე;

- მანდარინის მოუმწიფებელი ნაყოფები შეიცავენ 4-6 % ლიმონის მჟავას;
- კანი შეიცავს 0,2-0,5 % ეთერზეთებს;
- მანდარინის კანი შედგება პექტინოვანი ნივთიერებებისან - 70%- მდე, საიდანაც მიიღება პრეპარატი ციტრონი, რომელიც 90,1 % ბოჭკოვან ნივთიერებებს შეიცავს და წარმატებით გამოიყენება მედიცინაში.
- მანდარინის ფოთლები შეიცავს 0,2% ეთერზეთებს, ფისებს, შაქრებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და სხვ.

EV TACIS – ის შეფასებით საქართველოში ციტრუსების და სამკურნალო მცენარეთა წარმოებას მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, რადგან ამის საშუალებას იძლევა ნაყოფიერი ნიადაგები და ეკოლოგიური პირობები.

ამრიგად, დიდია ნახშირწყლების მნიშვნელობა მცენარი-სათვის. ფიზიოლოგიური როლის მიხედვით მათ ყოფენ სამჯგუფად:

- მეტაბოლოტები - მონოსაქარიდები და ოლიგოსაქარიდები, რომლებიც მონაწილეობენ მცენარეული ორგანიზმების ბიოქიმიურ პროცესებში და არიან გამოსავალი ნივთიერებები მეორადი სინთეზისათვის;
- სამარაგო ნივთიერებები – პოლისაქარიდების ზოგიერთი ჯგუფი, ზოგჯერ კი მონოსაქარიდები, დისაქარიდები და ოლიგოსაქარიდები;
- სტრუქტურული ნივთიერებები, ძირითადად უჯრედისი, რომელიც მცენარეული უჯრედის მთავარი მასალაა, მისგან შედგება უჯრედის გარსი.

ლორწოები

ლორწოები უფერო ან მოყვითალო, უსუნო, მოტკბო, ნახევრად თხევადი კონსისტენციის ნაერთებია. ისინი განსხვავებული ქიმიური ბუნების ნივთიერებებია, უპირატესად პოლიგო-

ზები, რომელთა ფუძეს წარმოადგენს გლუკოზის, გალაქტოზის, რამინოზის, არაბინოზის, მანიზის კომპლექსური წარმოებულები კალციუმის, კალიუმის, მაგნიუმისა და ურონმჟავის მარილებთან. ლორნოები თავიანთი ბუნებით ახლოს არიან პექტინებთან და უჯრედისთან. წყალთან დუღილის დროს წარმოიქმნიან ლაბოვან მასას. ლორნოთი მდიდარია სელისა და კომშის თესლი, ჭვავის მარცვალი, მრავალძარღვას ფოთლები და თესლი, ტუხტის ბალახოვანი ნანილი და ფესვები. მის შემომგარსველ თვისებას იყენებენ ხველების, კუჭ-ნაწლავის დაავადებათა მკურნალობისას, გამოიყენება აგრეთვე როგორც დამარბილებელი საშუალება.

გუმფისი

გუმფისი მცენარეებში არსებობს სამარაგო საკვები ნივთიერების სახით, წარმოადგენს ზოგიერთი შაქრის კომპლექსურ შენართებს ურონმჟავასა და მინერალურ ნივთიერებებთან (კალციუმი, კალიუმი, მაგნიუმი), ბლანტი, ნებოვანი სითხეა. იგი გამოიყოფა ბევრი კურკუვანი მცენარის (ალუბალი, ქლიავი, ჭერამი და სხვ.) მერქნის დაზიანებისას სქელი წებოს სახით, ჰაერზე მაგრდება, იხსნება წყალში, არ იხსნება სპირტში. ზოგიერთი მცენარის გუმფის სები ავლენენ აქტიურ ფიზიოლოგიურ ზემოქმედებას. სწორედ გუმფისი განსაზღვრავს ალაოს სასაქმებელ თვისებებს. გუმფისის შენართების ჰიდროლიზის დროს წარმოიქმნება გუმის მჟავები, რომლებსაც აქვთ დამარბილებელი თვისებები.

ლიპიდები

ლიპიდები (ბერძ. λίπος — ცხიმი) — ცხიმები და ცხიმსგავსი ნაერთები მცენარეული და ცხოველური პირველადი სინთეზის ნივთიერებებია, რომლებიც ყველა ცოცხალი უჯრედის შედგენილობაში შედან და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სასიცოცხლო პროცესებისათვის — მოქმედებენ მრა-

ვალი ფერმენტის აქტივობაზე, მონაწილეობენ ნერვული იმპულსის გადაცემაში, კუნთის შეკუმშვაში, უჯრედებს შორის კონტაქტობის წარმოქმნაში, იმუნოქიმიურ პროცესებში. ლიპიდები ქმნან ენერგეტიკულ რეზერვს, მცენარეთა და ცხოველთა ნიალგაუმტარ და ორმომოსაიზოლაციო საფარველს და იცავენ მათ მექანიკური დაზიანებისაგან.

ლიპიდების უმრავლესობა უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების, სპირტების ან ალფეპიდების წარმოებულია. მათ ყოფენ მარტივ და რთულ ცხიმებად.

- მარტივი ცხიმების მოლეკულები შეიცავენ მხოლოდ ცხიმოვანი მჟავების (ან ალფეპიდები) და სპირტების ნაშთებს.
- რთული ლიპიდების მოლეკულები შედგება ფოსფორშემცველი მჟავების, მონო- და ოლიგოსაქარიდების ნაშთების ანუ ფოსფოლიპიდების და გლიკოლიპიდებისაგან.

რთულ ეთერებში შემავალი მჟავებისაგან დამოკიდებულებით ცხიმები იყოფა მყარ და თხევად ცხიმებად, ხოლო ცხიმოვანი მჟავების გაჯერების მიხედვით არჩევენ:

- უშრობი – ძირითადად შედგებიან ოლეინის მჟავის ტრიგლიცერიდებისაგან;
- ნახევრადშრობადი – შეიცავენ ოლეინისა და ლინოლის მჟავების გლიცერიდების მნიშვნელოვან რაოდენობას;
- შრობადი ზეთები – შედგებიან გლიცერინის რთული ეთერებისაგან – ლინოლენის და ლინოლის მჟავებთან.

ცხიმების წარმოქმნაზე დიდ გავლენას ახდენენ კლიმატური ფაქტორები: სითბო, სინათლე, ტენი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ცხიმების გამოსავალი მეტია ჩრდილოეთის ქვეწების ბინადარ მცენარეებში, მაგრამ ზეთები თხიერია, ე.ი მეტია უჯერი რიგის მჟავები და დიდია იოდის რიცხვი. რაც უფრო სამხრეთისაკენ გადავინაცვლებთ, უფრო ხშირად ვხვდებით ნახევრადმყარი და მყარი ცხიმების შემცველ მცენარეებს – ქაფურის, დაფნის, პალმის და სხვ.

ჩვეულებრივი ნუში (*Amygdalus communis*) ვარდისებრთა ოჯახის ნარმომადგენელია, არჩევენ ნუშის ორ სახეობას – ტკბილ ნუშს (*Amygdalus communis forma dulcis DC*) და მწარე ნუშს (*Amygdalus communis forma amara DC*), ისინი ერთმანეთი-საგან განსხვავდებიან თესლების გემოთ.

განსაკუთრებით ძვირად ღირებული პროდუქტია ნუშის ზეთი, რომელსაც ორივე სახეობის – ტკბილი და მწარე – ნუშის-გან ხდიან – შემცველობა 40-60% – მდეა. ის სასიამოვნო გე-მოს მქონე მოყვითალო ფერის გამჭვირვალე, უსუნო სითხეა. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინებს – E, B₁, B₂, გლუკოზას, ფრუქტოზას, კატექინებს, ფლავონოიდებს, ორგა-ნულ მჟავებს და სხვა მნიშვნელოვან ნივთიერებებს, მწარე ნუ-შის თესლები ასევე შეიცავს ციანოგენურ გლიკოზიდ ამიგდა-ლინს. გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა ზე-თებთან კომბინირებულად ცელულიტის სამკურნალოდ. კარ-გად შეიწოვება კანიდან, აქვს ანთების საწინააღმდეგო, რეგენე-რაციული და მატონიზებელი მოქმედება, ამშვიდებს, კვებავს და ატენიანებს კანს. აფერხებს უჯრედთა დაბერებას, ხელს უწ-ყობს ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციის ნორმალიზებას, ხელს უშლის ფორების გაფართოებას, უნარჩუნებს თმას ელასტიკუ-რობასა და ბზინვარებას. რეკომენდირებულია ნაწოლების სამ-კურნალოდ, მშრალი თმის მოსავლელად. მისი რეგულარული შეზელა აუმჯობესებს თმის სტრუქტურას, ავანსალებს და ბზინვარებას მატებს მას. იგი არეგულირებს კანში წყლისა და ლიპიდების ცვლას, ეპიდერმული ბარიერის განვლადობას, ააქ-ტიურებს უჯრედთა რეგენერაციის პროცესს. საუკეთესო საშუ-ალებაა მასაუისათვის.

აბუსალათინი (*Ricinus communis*) რძიანისებრთა ოჯახის *Euphorbiaceac* ნარმომადგენელია, თესლები შეიცავს ცხიმოვან ზეთს 40-60 %-მდე, ცილებს 17%-მდე, რომელთა შემადგენლო-ბაში შედის ძლიერ შხამიანი ტოქსოალბუმინი რიცინი 2-3%, გლობულინი და შხამიანი ალკალოიდი რიცინინი – 0, 1-1, 0%,

აბუსალათინის ზეთი კლასიკური სასაქმებელი საშუალებაა, აბუსალათინი გადამუშავებისას სრულიად იწმინდება ტოქ-სიკური ნაერთებისაგან და სამკურნალოდ მისი გამოყენების სპექტრი ფართოა. აბუსალათინის ზეთი საუკეთესო საშუალებაა თავის მოსავლელად და ძვირი პროდუქციის შესანიშნავი ალტერნატივაცაა.

ორგანული მჟავების შემცველი მცენარეები და ცენტრალური

ორგანული მჟავები ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც ავლენენ მჟავურ თვისებებებს. ისინი შეიცავენ კარბოქსილ – **COOH ჯგუფს**. ორგანული მჟავები შეიძლება მცენარეებში თავისუფალი სახით, მარილების ან ეთერების სახით არსებობენ. სწორედ მათი მეოხებით აქვს ხილს, კენკრას, ფოთლებს და მასიასიათებელი სპეციფიკური გემო. ორგანული მჟავები ხელს უწყობენ საჭმლის მონელებას, აძლიერებენ საჭმლის მომზელებელი წვენების გამოყოფას და პერისტალტიკას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხანში შესული ადამიანებისათვის. სასურველია, ზრდასრულმა ადამიანმა ყოველდღე საკვებიდან მიიღოს 2 გრამი თავისუფალი მჟავები.

მცენარეებსა და მათ ნაყოფებში გაცილებით ხშირად გვხვდება შემდეგი ორგანული მჟავები – ჭიანჭველამჟავა (ვაშლა და უოლოში), ძმრისა (სხვადასხვა ნაყოფში, ხორბალში, სიმინდში), ცხიმისა (რთული ეთერების ან თავისუფალი სახით), რძის (უოლოს ფოთლებში), ღოლოს (გვხვდება როგორც თავისუფალი, ისე მარილების სახით –ყველაზე ხშირად კალციუმის), ქარვის (წითელი მოცხარის, ხურტყმელის კენკრაში, ყურძენში, ბალში, მკვახე ალუბალში, ვაშლში და სხვ.), ვაშლის (სხვადასხვა ნაყოფებში, მარცვლოვნებსა და პარკოსნებში), ღვინის (ყურძენში), ღიმონის (ყველაზე მეტია ციტრუსებში, მოცხარში, უოლოში, მარწყვში). თავისუფალი სილიცილის მჟავა უოლოს ოფ-

ლმდენ თვისებას სძენს, ამასთან ამცირებს სხეულის ტემპერატურას. შტოში და ნითელი მოცვი შეიცავს ბენზოლის მჟავას მნიშვნელოვან რაოდენობას, იგი ბუნებრივი კონსერვანტია, ამიტომ დიდხანს არ ფუჭდება.

ორგანული მჟავები აქტიურად მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლაში. ისინი ნარმოიქმნებიან სუნთქვისა და ნახშირწყლების დისიმილაციის პროცესში. ამასთანავე ამოსავალი საშენი მასალაა სხვადასხვაგვარი ნაერთებისათვის – ნახშირწყლების, ამინომჟავებისა და ცხიმების სინთეზისათვის. ორგანული მჟავები ადვილად განიცდიან ურთიერთგარდაქმნას როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად. ყურძნის მომწიფებისას ტკბილში ღვინისმჟავას შემცველობა მცირდება, ნანილობრივ იზრდება ვაშლმჟავას შემცველობა. უნდა აღინიშნოს, რომ მწიფობაში მყოფ მცენარეთა ორგანოებში ორგანულ მჟავათა შემცველობაში რაოდენობის დიფერენცირება დაკავშირებულია სუნთქვითი აირცვლის ცვალებადობასთან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ერთდროულად წარმოებს მარტივი შაქრების შემცველობის მატება და სახამებლის შემცველობის მკვეთრი შემცირება.

ყველაზე უფრო გავრცელებულია ლიმონ-, ვაშლ- ღვინის- და მჟაუნმჟავები. თუმცა მათი დაგროვება დამოკიდებულია ორგანულ მჟავათა გარდაქმნის მთელ კომპლექსთან მცენარის განვითარების პროცესში, მათ შორის ნივთიერებათა ცვლის ტიპებთან და ეკოსისტემის პარამეტრებთან. შედარებით დაბალი ტემპერატურის პირობებში (10°C და ქვევით) ინტენსიურად გროვდება მჟავები, ხოლო ტემპერატურის $25\text{-}30^{\circ}\text{C}$ - მდე აწევით მათი შემცველობა მკვეთრად მცირდება. ოპტიმალური განათების პირობებშიც მატულობს მათი რაოდენობა.

ალკალოიდების შემცველი მცენარეები და ნედლეული

ალკალოიდები რთული აზოტშემცველი, ფუძე ხასიათის ნივთიერებებია, რომლებიც ძირითადად ბიოსინთეზირდება მცენარეში ამინომჟავებიდან ორგანული მჟავების მარილების სახით. ალკალოიდების კლასიფიკაციით ითვლიან 12 ჯგუფს, გარდა პურინის ჯგუფის ალკალოიდებისა, ყველა დანარჩენი ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებებია. ისინი მონაწილეობენ მცენარეებში მიმღინარე მეტაბოლიტურ პროცესებში და არიან ამ პროცესების თავისებური სტრუქტურული სტრუქტურები.

თავისუფალი ალკალოიდების უმეტესობა უანგბადშემცველი, მკვრივი კრისტალური ნივთიერებებია. აქვთ მნარე გემო, უსუნო და უფეროა. მათი აგრეგატული მდგომარეობა დამოკიდებულია მოლეკულაში უანგბადის რაოდენობაზე. უუანგბადი ალკალოიდები აქროლადი, ზეთისებრი სითხეებია. ზოგჯერ ახასიათებთ უსიამოვნო სუნი, მაგ. ნიკოტინი, ანაბაზინი. ზოგიერთი ალკალოიდი შეფერილია, მაგ. სანგვინარინი ნარინჯისფერია, ბერბერინი კი ყვითელი. ყველა ალკალოიდის საერთო თვისებაა ის, რომ ისინი ნარმოადგენენ ფიზიოლოგიურად მეტად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ ცხოველურ ორგანიზმზე, მრავალი მათგანი ნარმოადგენს როგორც ავლნიშნეთ, შხამს. უმრავლესობა მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. ასე მაგალითად, კოკაინი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, როგორც ადგილობრივი გამაუტკირავებელი საშუალება, მოქმედებს პერიფერიული ნერვული სისტემის დაბოლოებებზე. ყაყაჩოს რძიანას წვენში შემავალი მორფინი მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს ძილს, ის გამოიყენება მედიცინაში როგორც საერთო გამაუტკივარებელი საშუალება, ასევე ფართოდ გამოიყენება ნერვული სისტემის, შინაგანი ორგანოებისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. პაპავერინი, სტრიქნინი, სეკურენინი, გიოს-

ციამინი, სკოპოლამინი, გალანტამინი, ციტიზინი, პილოკარპინი, ფიზოსტიგმინი, ბერბერინი, ლობელინი, ერგოტოქსინი, ტუბოკურარინი, კურანინი, თამბაქოს შემადგენლობაში შემავალი ნიკოტინი ასევე მოქმედებენ ცენტრალურ და პერიფერულ ნერვულ სისტემაზე. ბელადონასა და ლემას ნაყოფში მოიპოვება ატროპინი, რომელიც ძლიერ მოქმედებს თვალის მამოძრავებელ ნერვებზე, აფართოებს გუგას.

ალკალოიდები მცენარეებში განანილებულია არაერთგვაროვნად: ზოგიერთი გროვდება ფოთლებში (ჩაი, ლემა, ლენცოფა), ზოგიერთი ნაყოფებსა და თესლში (ქუჩულა, თავკომბალა), ზოგიერთი ფესვებსა და ფესურებში (იპაკო, ბელლადონა). ზოგიერთი მცენარე შეიცავს ერთდროულად რამდენიმე ალკალოიდს, რომელთაც დაახლოებით ერთნაირი ქიმიური სტრუქტურა გააჩნიათ. ერთი და იგივე ალკალოიდი შეიძლება შეგვხვდეს რამდენიმე მცენარეში. ისინი თავიანთი აღნაგობით სხვადასხვანაირია. მათ შედგენილობაში შემავალი აზოტოვანი ჰეტეროციკლის ქიმიურ ბუნებაზე დამოკიდებულებით იყოფიან შემდეგ ძირითად ჯგუფებად: ალკალოიდები, რომელთაც აზოტი გააჩნიათ გვერდითა ჯაჭვები (კაპსაცინი, ეფედრინი, სფეროფიზინი, კოლხიცინი), პირიდინის წარმოებულები (ანაბაზინი, ლობელინი), პიროლიდინის წარმოებულები (პლატიფილინი, სარაცინი, სენეციფილინი), ქინოლინისა (ქინაქინი) და იზოქინოლინის (მორფინი) წარმოებულები, ინდოლის წარმოებულები (ჭვავის რქის ალკალოიდები), სტეროიდური ალკალოიდები (შხამის ალკალოიდები), პურინის წარმოებულები. ამ უკანასკნელს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ალკალოიდები – კოფეინი და თეობრომინი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალკალოიდების ოქსიდურ ფორმებს შეუძლიათ გასცენ უანგბადი და დაუანგონ სხვადასხვა ნაერთი – ასკორბინმჟავა, ლიმონმჟავა, ჰიდროქინონი, პიროგალოლი. პროცესის მიმდინარეობის მექანიზმი დიფერენცირდება მცენარის ზრდისა და განვითარების ფაზების მიხედვით.

ჩვეულებრივ მცენარეში ალკალოიდების პროცენტული შემცველობა არ არის დიდი, მისი 1-3%-მდე არსებობისას მცენარე ითვლება ალკალოიდებით მდიდარ სახეობად. ლენცოფაში ალკალოიდების შემცველობა 0,05%, თუმცა იგი მეტად მნიშვნელოვანი ნედლეულია ფარმაციისთვის. ძალზე მაღალია ალკალოიდების რაოდენობა ქინაქინის ხის სელექციურ ფორმებში (16-20%). ასევე მაღალია მისი შემცველობა სტეფანიაში (6-8%). როგორც წესი, მცენარეში რამდენიმე, ზოგში კი ბევრი ალკალოიდია. მაგალითად, გველის სუროში – 60, შხამაში – 35, ქინაქინის ხეში -30%.

ალკალოიდები ყვავილოვან მცენარეებშიც გვხვდება. საკვებად ვარგისი ზოგიერთი მცენარის ცალკეული ნაწილები დიდი რაოდენობით შეიცავს მას. ამ მცენარებს ხშირად იყენებენ სამეცნიერო და ხალხურ მედიცინაში ნახარშების, ნაყენების, ექსტრაქტების, ფხვნილებისას და სხვა სამკურნალო ფორმებით. ეს არის მორფინი და სხვა ალკალოიდები ზეთოვანი ყაყაჩოს კოლოფებიდან, პელტერინი ბრონეულის ქერქიდან, პიპერინი შავი პილპილიდან, ბერბერინი კონახურიდან, კოფეინი ყავიდან, თეობრომინი კაკაოდან. რთულყვავილოვანთა ოჯახის მცენარე შენეციო (*Senecio platyphyllus*) შეიცავს ალკალოიდებს პლატიფილინსა და სენეციფილინს.

ალკალოიდები მეორადი სინთეზის ნივთიერებებია, ძირითადად გროვდება ოთხი ტიპის ქსოვილებში:

- აქტიურად მოზარდ ნაწილებში;
- ეპიდერმალურ და ჰიპერდერმალურ ქსოვილებში;
- გამტარი კონების გარსებში;
- ლიტექსების მილებში.

ალკალოიდები ლოკალიზებულია უჯრედის წვენში გახსნილი სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფარმაკოლოგიური აქტიობით მათი მოქმედება მრავალფეროვანია:

- ალკალოიდები გამოიყენება, როგორც ბიოლოგიური მცენარეთა დამცველები ანუ კონტაქტური ინსექტიციდები;

- ალკალოიდები მცენარისათვის სამარაგო ნივთიერებებს წარმოადგენს;
- ალკალოიდები წარმოადგენენ მცენარეულ ჰორმონებს და და ბიოქიმიურ კატალიზატორებს, ზოგჯერ გვევლინებიან, როგორც ზრდის სტიმულატორებიც;
- თანამედროვე მედიცინის სამკურნალო საშუალებების 1/10 ალკალოიდების შემცველი პრეპარატებია, მათ იყენებენ გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, ნერვიული დაავადებების დროს, თვალის სამკურნალოდ და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალკალოიდების შემცველი მცენარე თუ ნედლეული ძლიერ შხამიანია და საჭიროებს სიფრთხილით გამოყენებას. გამონაკლისია, როგორც ავღნიშნეთ, პურინის ჯგუფის ალკალოიდები (კოფეინი, თეობრომინი, თეოფილინი).

ალკალოიდების შემცველობა მერყეობს მცენარის განვითარების ეტაპების მიხედვით და დამოკიდებულია სხვადასხვა პარამეტრებზეც, მათ შორის ეკოსისტემის. შმაგას ფოთლებში მისი შემცველობა ყვავილობის დასაწყისშია, ლენცოფას ფოთლებში მაქსიმუმია დღის განმავლობაში, ხოლო ლობელიას ფოთლებში ღამით. ხაშხაშის თესლებსა და აღმონაცენში ალკალოიდები არ გვხვდება, ორი კვირის შემდეგ გვხვდება ნიკოტინი, იუვენილურ ფაზაში ფიქსირდება მორფინი, ყვავილობისას ნარცინი და თებაინი, ნაყოფის რძისებრ სიმწიფის ფაზაში კი 25-მდე ალკალოიდია. ლიტერატურული მონაცემებით ცნობილია, რომ შვეციაში გავრცელებული ტილჭირი არ შეიცავს ალკალიოიდებს, ან შეიცავს მცირე რაოდენობით, ხოლო ინდოჩინეთის პროვინციებში გავრცელებული ძლიერ შხამიანია. ქრისტესისხლას ბალაზის ალკალოიდების შედგენილობა ძალზე რთულია და თავისი სტრუქტურით მიეკუთვნება იზოქინოლინის ნაწარმ სხვადასხვა ქვეჯგუფს, მაგ. ჰელიდონინი, ჰელერიტრინი, სანგვინარინი – ბენზოფენანტრიდინის ნაწარმია. პროტოპინი, ალოკრიპტოპინი – პროტოპინის, ხოლო ბერბერი-

ნი, კოპტიზინი – პროტოპერბერინის. ქინაქინის ხეში მით მეტია ალკალიიდების შემცველობა, რაც უფრო მაღლა იზრდება იგი ზღვის დონიდან. ალკალიიდების დაგროვებას ხელს უწყობს თბილი ამინდი, ცივი თგრუნავს, მათ დაგროვებას თგრუნავს ნალექების ჭარბი რაოდენობაც.

მცენარის ნედლეულში ალკალიიდების შემცველობაზე ზეგავლენას ახდენს დამზადების და შრობის რეჟიმი. სასურველია მცენარის შრობა $40\text{--}50^{\circ}\text{C}$ -ზე.

თანამედროვე მედიცინის სამკურნალო საშუალებების 1/10 ალკალიიდების პრეპარატებია. ისინი ბიოლოგიური აქტივობის ფართო სპექტრით ხასიათდებიან. როგორც მაღალეფექტურ სამკურნალო საშუალებებს, მცენარეული წარმოშობის ალკალიიდებს არ მოეპოვებათ ანალოგები, თუნდაც იმიტომ რომ, არ გააჩნიათ გვერდითი მოვლენები და სწრაფად მომქმედი არიან, რაც მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა დროს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სინთეზური გზით მიღებული პრეპარატების მოქმედების მექანიზმები ყოველთვის არ არის ექვივალენტური.

ალკალიიდები საინტერესოა, როგორც კონტაქტური ინსექტიციდები მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ, ხოლო პურინის ჯაგუფის ალკალიიდები გამოიყენება, როგორც ძვირფასი საკვები, მაგ. ჩაი, ყავა, შოკოლადი, კაკაო და სხვ.

გლიკოზიდების შემცველი მცენარეები და ცედლეული

გლიკოზიდები მცენარეული წარმოშობის ორგანული არააქროლადი ნივთიერებებია, რომლთა მოლეკულებში აგლიკონთან (ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნაწილთან) ჟანგბადის, ნახშირბადის, გოგირდის ან აზიტის ხილით შეერთებულია შაქრების (მონოსახარიდები ან ოლიგოსახარიდები) ციკლურ ფორმათა ნარჩენები. მათ სხვადასხვა ქიმიური წყობა აქვს. აგლიკო-

ნი განსაზღვრავს გლიკოზიდების ფიზიოლოგიურ აქტიობას და მის ხასიათს. მათზე დამოკიდებულია ზოგიერთი მცენარეული პროდუქტის გემო და არომატი. აგლიკონების ქიმიურ შენებას ემყარება გლიკოზიდების კლასიფიკაცია. გლიკოზიდებს, რომელთა აგლიკონი არის ტერპენოიდული ბუნების, მიეკუთვნებიან ბიოლოგიურად აქტიური შენაერთების შემდეგი ჯგუფები:

•**საგულე გლიკოზიდები** (კარდიოსტეროიდები) – რომელთა აგლიკონებია ციკლოპენტანოპერპიდროფენანტრენის ნაწარმოებები;

•**საპონინები** – რომელთა აგლიკონებია ტრიტერპენული და სტეროიდული სტრუქტურის შენაერთები;

•**მწარე გლიკოზიდები** (მწარეები) – რომელთა აგლიკონებია მონოტერპენული შენაერთები.

მცენარეში გვხვდება ანტრაგლიკოზიდები, ფლავონოიდები, ანტოციანები, გლიკოალკალიოიდები გლიკოზიდების ფორმით, მათ განსაკუთრებით ხშირად იყენებენ მედიცინაში. გლიკოზიდები ძირითადად კრისტალური ნივთიერებებია, უმეტესად მწარე გემთი, უსუნოა, გამონაკლისები სპეციფიკური სუნით ხასიათდებიან (ამიგდალინი), კარდენოლიდები უფეროა, ფლავონოიდები, ანტოციანები, ანტრაქინონები კი შეფერილი.

გლიკოზიდების თავისებური ჯგუფია თიოგლიკოზიდები. ისინი მცენარეში გვხვდება ტუტე მეტალების მარილების სახით, უმეტესად კი – კალიუმთან, მაგ., სინიგრინი – მდოგვის თესლში.

მსხლის, წითელი მოცვის, შვრის ფოთლებში არის გლიკოზიდი არბუჭინი. მის ანტიბაქტერიულ თვისებებს იყენებენ შარდსასქესო გზების ანთებითი დაავადებების მკურნალობის დაავადებათა დროს. ციტრუსოვანთა კანში გვხვდება გლიკოზიდი ჰესპერედინი, რომელიც შემადგენლობით რუთინს უახლოვდება, ხელს უწყობს სისხლძარღვების კედლების გამაგრებას.

ბევრი მცენარე შეიცავს ძალზე შხამიან ანუ ციანოგენურ გლიკოზიდებს, რომლებიც მოლეკულაში შეიცავენ HCN, მაგ., მწარე ნუშის ნაყოფის კურკასა და ფოთლებში არის 3-5 % ამიგ-დალინი, მასთან ერთად გარგარის, ატმის, ქლიავის, ბლის, ცირ-ცელის კურკასა და ფოთლებში ვხვდებით პრუნაზიდსაც. კარ-ტოფილის ნაყოფი, ღერო და ღივები შეიცავს სოლანინს, გლი-კოზიდების ამ ჯგუფს გლუკოალკალიდებსაც უწოდებენ, ისი-ნი შეიცავენ მომწავლელ აგლიკონ სოლანიდინს.

საგულე გლიკოზიდები უმნიშვნელოვანესი ჯგუფია ბუ-ნებრივი გლიკოზიდებისა. ცნობილია 45-მდე ბოტანიკური გვა-რი, რომლებშიც დაფიქსირებულია ეს ნაერთი. იგი წარმოად-გენს ციკლოპენტანოპერპიდროფენანტრენის წარმოებულს, ხოლო აგლიკონი მიეკუთვნება ბუნებრივ სტეროიდებს. სტერო-იდები ბიოლოგიურად აქტიურ შენაერთა უმნიშვნელოვანესი კლასია. სტეროიდებს ეკუთვნის სტეროიდული საპონინები, კარდიოსტეროიდები, სტეროიდული ალკალოიდები, ჰორმონე-ბი, ფიტოსტერინები, D- ჯგუფის ვიტამინები, ნალვლის მჟავე-ბი. ფუტკარას ფოთლებში მოიპოვება კარდენოლიდი, ოლეან-დრის ფოთლებში ოლეანდრინი, ღვედეცის ქერქში გვხვდება პერიპლოცინი, ცხვირისატეხელაში ადონიკოქსინი, შრომანში გვხვდება კონვალლოტოკსონი, კონვალოზიდი, ლოკუნდოზიდი. კავკასიური ხარისხირა შეიცავს კორელბორინისა და გელებ-რინს. უნდა აღინიშნოს, რომ გლიკოზიდების შემცველი სამ-კურნალო მცენარეთა კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი აგ-ლიკონის ქიმიურ აგებულებაზე.

ქვემოთ მოყვანილია რიგი გლიკოზიდები და მათი შემ-ცველი მცენარეები:

- მონოტერპენული გლიკოზიდები – წყლის სამყურა, ბურბუშელა;
- კარდენილიდები და ბუფადიენოლიდები – ფუტკარა, ცხვირისსატეხელა, შრომანი, ხარისხირა;
- ტრიტერპენული გლიკოზიდები – ძირტკბილა, უენ-შე-ნი, მინდვრის შვიტა;

- სტეროიდული გლიკოზიდები – კავკასიური დიოსკორეა;
 - ფლავონოგლიკოზიდები – წითელი მოცვი, დათვის კენკრა;
 - ფლავონოდები – კუნელი, შავბალახა, უკვდავა, ასფურცელა, მატიტელა, ფშნის ეკალი;
 - კუმარინები – ძირთეთრა, კამა;
 - ტანინები – მუხა, მოცვი, ყვანჩალა, თავსისხლა, მურყანი;
- სხვადასხვა ფენოლური ჯგუფის შემცველი გლიკოზიდები – მთის ჩადუნა, სოკო ჩაგა;
- ტიოგლიკოზიდები – მდოგვი;
 - ნიტრილგლიკოზიდები – მწარე ნუში.

გლიკოზიდები და მათი შემცველი მცენარეები მნიშვნელოვანია მედიცინაში. მაგ. კარდიოსტეროიდებს არ გააჩნიათ ანალოგი გულ-სისხლძარღვთა თერაპიაში. სტეროიდული საპონინები გამოსავალი ნივთიერებებია ჰორმონალური კორტიკოსტეროიდული პრეპარატებისს სინთეზისათვის, იგი ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებაა. კიდევ უფრო ფართო ამპლიტუდა აქვთ ფლავონოდურ გლიკოზიდებს – ესაა P-ვიტამინური, სპაზმოლიტური, ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო და სხვ. აქტივობის შენაერთები.

საპონინები

საპონინები მაღალმოლეკულური უაზოტო მცენარეული ნარმოშობის გლიკოზიდების დიდი ჯგუფია, რომლებიც წყალთან ერთად შენჯლრევისას საპნის მსგავსად ქაფის მდგრად ფენას წარმოქმნიან. მათი აგლიკონები საპოგენინები ეკუთვნიან სტეროიდულ (კავკასიური დიოსკორეას ფესურა ფესვებით, კუროსთავის ბალახი, იუკას ფოთოლი) ან ტრიტერპენულ შენაერთებს (ძირტკბილა, შვიტა, საპონას ფესვი, უნშენის ფესვი, არა-

ლიას ფესვი). ქიმიური სტრუქტურების მიხედვით. მათი მოლეკულები შედგება აგლიკონისა და შაქრისაგან, მცენარეებში მოიპოვება უჯრედის ნვენძი. ტრიტერპენულ საპონინებს იყენებენ როგორც ამოსახველებლებს, ზემო სასუნთქი გზების ანთების სამკურნალოდ, უფრო იშვიათად – როგორც შარდმდენს, ხოლო სტეროიდული საპონინები გამოიყენება ათეროსკლეროზის, ანემიის, ანთების სამკურნალოდ. საპონინები და მათი შემცველი ნივთიერებები შინაგანი მიღებისას არ არიან მომწამვლელნი.

ლაქტონები

ლაქტონები ოქსიმჴავებისაგან წარმოქმნილი ნივთიერებებია, უკანასკნელ წლებში მათი სამკურნალო მნიშვნელობა ბევრად გაიზარდა, ოქსიმჴავისფერი კუმარინმჴავის ლაქტონი მცენარეში გლიკოზიდური ფორმით არსებობს. ლაქტონებს ახასიათებს არაციკლური რთული ეთერების თვისებები; მაგ., მჟავებთან ან ტუტეებთან გახურებისას ყოველი ლაქტონები ჰიდროლიზდება სათანადო ოქსიმჴავად, ხოლო ამინთან წარმოქმნის ამიდს. ლაქტონების პოლიმერიზაციის შედეგად მიღება ხაზობრივი პოლიეთერები. მცენარე ხემყრალში მოიპოვება ლაქტონები – სომარუბინი, ტეტეროზინი, გამოიყენება ანტიმიკრობულ საშუალებად, ჭიების დასადენად, დიზენტერიის საწინააღმდეგოდ.

ხის ჭურჭლის გამოყენებით ღვინის დაყენებას, შენახვასა და ტრანსპორტირებას ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე პერიოდში მიმართავდნენ ძველ რომში. ღვინის ამ ჭურჭლის ტრადიციას არც ეხდა დაუკარგავს პოპულარობა. კასრში გამოწვის შედეგად ჩნდებიან სპეციფიკური არომატები, მათ შორის საინტერესოა მუხის ლაქტონი.

ფენოლური შენაერთების შემცველი მცენარეები და ნედლეული

ფენოლური შენაერთები მეორადი მეტაბოლიზმის ფარ-
თოდ გავრცელებული პროდუქტებია, სადაც OH - ჯგუფები მი-
ერთებულია არომატული ბირთვის C ატომებთან. მათი როგორც
მოქმედების მექანიზმები, ასევე ბიოლოგიური აქტივობები გან-
სხვავებულია. მცენარეებში ფენოლები გვხვდებან მონომერე-
ბის, დიმერების, ოლიგომერებისა და პოლიმერების სახით.

ფენოლური შენაერთების შემცველი მცენარეები და მათ
ბაზაზე შექმნილი პრეპარატები გამოიყენებანია, როგორც ანთე-
ბის საწინააღმდეგი, ანტიმიკრობული, სეკრეციის გამაძლიერე-
ბელი, მატონიზირებელი, სედატიური და სხვ.

კავკასიური დათვის კენკრა (*Arctostaphylos caucasica*) კავ-
კასიის ენდემია, მისი ფოთლები შეიცავს ფენოლოგლიკოზი-
დებს, მათგან მნიშვნელოვანია არბუტინი, რომლის შემცველო-
ბა 8-16%-ია, მეთილარბუტინი, ურსოლის, გალის, ქინაქინის და
ელაგის მჟავები, ასევე ჰიდროლიზებადი მთრიმლავი ნივთიე-
რებები 20 %-მდე.

სამკურნალო ნედლეული არის ფოთლები, რომლებსაც
ამზადებენ მცენარის აყვავებამდე გამოზამთრების შემდეგ, ან
აგვისტო-სექტემბერში ახალგაზრდა ტოტებიანად.

დათვის კენკრის ფოთლების ნახარში შარდმდენი, ანტისეპ-
ტიკური საშუალებაა თირკმლებისა და შარდსასქესო გზების პა-
თოლოგიისას. უკანასკნელ პერიოდში მეცნიერებმა აღმოაჩინეს,
რომ არბუტინი ხასიათდება ანთებისაწინააღმდეგო, მათეთრებე-
ლი, ჭრილობის შემახორცებელი, თმის გაზრდის თვისებებით.

ნითელი მოცვის ფოთოლი (*Vaccinium vitis-idaea*) შეიცავს
ფენოლურ გლიკოზიდებს არბუტინსა (6-9%) და მეთილარბუ-
ტინს, ჰიდროლიზის დროს არბუტინი იშლება ჰიდროქინონად,
რომელიც ავლენს ბაქტერიოციდულ და შარდმდენ ეფექტს,
ჰიდროქინონის წარმოებულებს. ასევე შეიცავს ელაგის და გა-

ლის მუავეებს, ტანინს, ფლავონოიდებს – ქვერცეტინს, ქვერციტრინს, რუტინს, კემფეროლს; ტრიტერპენოიდებს, ვიტამინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და სხვ.

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები და ახალგაზრდა ყლორტები, რომლებსაც ამზადებენ ადრე გაზაფხულზე, ბუტონების გაშლამდე, ხოლო შემოდგომით ნაყოფის სრული სიმწიფის ფაზაში.

წითელი მოცვის ფოთლები ეფექტურია როგორც შარდმდენი, ნაღვლმდენი, ანტისეპტიკური და შემომგარსველი საშუალება თირკმლისა და შარდის ბუშტის დაავადებების (პიელიტები, ცისტიტი), ნაღველ-კენჭოვანი დაავადებების, გასტრონეტერიტების, ფალარათის, მეტეორიზმის და ქრონიკული ყაბზობის დროს. წითელი მოცვის ფოთლის ნაყენი კი გამოიყენება მინერალური ცვლის დარღვევით მიმდინარე დაავადებების (ოსტრეოქონდროზი, პოდაგრა), აგრეთვე რევმატიული, ინფექციური არასპეციფიკური ართრიტის დროს. ეფექტურია როგორც A და C ვიტამინების წყარო.

მთის ჩადუნა (*Dryopteris Filix-mas*) მამრობითი გვიმრა – მრავალწლოვანი, ფესურებიანი, სპოროვანი მცენარეა გვიმრა-სებრთა ოჯახიდან. იგი საქართველოში ფართოდ გავრცელებული ტყის გვიმრაა. სამკურნალო ნედლეულს ანუ ფესურებს ამზადებენ გაზაფხულზე ან შემოდგომით.

სამკურნალოდ ფესურა გამოიყენება, როგორც სოლიტერის საწინააღმდეგო ძლიერ მოქმედი საშუალება, ამ მიზნით გამოიყენება მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში, აგრეთვე ვეტერინარიაშიც. ჩადუნა ძლიერშეამიანია. მისი სამკურნალოდ გამოყენება მხოლოდ ექიმის რჩევით და მისი ზედამხედველობით დაიშვება.

გარდა აღნიშნულისა, არის ცნობები იმის შესახებაც, რომ ხალხში ჩადუნა ცნობილია, როგორც სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებაც. ჩადუნას ნორჩი სპირალურად დახვეული ფოთლები ზოგან საჭმელად გამოიყენება მხალის სახით.

მთრიმლავი ნივთიერებების შემცველი მცენარეების და ნედლეული

მთრიმლავი ნივთიერებები ანუ ტანიდები ბუნებრივი წარმოშობის პოლიფენოლური შენაერთობია და თითქმის ყველა მცენარეში გვხვდება. მათ შეუძლიათ წებოვანი ხსნარების კოაგულაცია, ალკალოიდებთან და ტყვიის მარილებთან უხსნადი მარილების წარმოქმნა. ზოგიერთ მცენარეში მათი შემცველობა აღნევს 20-30%.

მთრიმლავ ნივთიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება კატექინები, რომლებიც კონდენსირებული ტანინების წარმოებულებია და განსაკუთრებით ბევრია ჩაის ფოთლებში. მთრიმლავ ნივთიერებებს შემკვრელი და ანთების სანინაალმდეგო თვისებები ახასითებთ, ამიტომაც მათ იყენებენ კუჭ-ნაწლავის მოშლილობის, დამწვრობის, კანისა და სხვა დაავადებების დროს. მთრიმლავი ნივთიერებები გროვდება მცენარის თითქმის ყველა ორგანოში: ფოთლებში (ჩაი, თრიმლი, თუთუბო), ქერქში (მუხა, ბრონქეული), ბალახში (მარწვაბალახა, კრაზანა), ნაყოფში (მოცვი, შოთხვი). ტანინების შემცველობა იცვლება მცენარის ასაკის და განვითარებისა ფიზიოლოგიური ფაზების მიხედვით. მათ შემცველობაზე ზეგავლენას ახდენენ ეკოსისტემის პარამეტრებიც. ჩვენი ექსპერიმერნტებით დადგენილია, რომ რაც უფრო მაღლა იზრდება მცენარე ზღვის დონიდან, მით მაღალია მათში ტანინების რაოდენობა, მაგ, ტყიბულის რეგიონში საქართველოში ყველაზე მაღალხარისხოვანი ჩაი მოჰყავთ. მთრიმლავი ნივთიერებების დაგროვებაზე მოქმედებს განათების ხარისხი, მაგ. თუთუბოს ფოთლებში კარგი განათებისას ტანინების შემცველობა 12%-მდე აღნევს, ხოლო ჩრდილში კი 10%-დე; მთრიმლავი ნივთიერებების სხვადასხვა რაოდენობა გვხვდება მცენარის სხვადასხვა ნაწილებშიც – ჩაის დუებში 23%, პირველ ფოთოლში-26%, მეორე ფოთოლში-22%. ტანინების დაგროვების და განაწილების კანოზომიერებების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლეულის რაციონალური რაოდენობით დამზადებისათვის, რაც თავის

მხრივ ქვეყანაში არსებული მცენარეული გენეტიკური რესურსის დაცვის პირობას წარმოადგენს.

ძახველი (*Viburnum opulus*) ფოთოლმცვივანი ბუჩქები ან პატარა ხეებია ცხრატყავასებრთა (Caprifoliaceae) ოჯახიდან. გავრცელებულია ტყიან ადგილებში თითქმის სუბალპურ ზონაში. საქართველოში ველურად მხოლოდ 3 სახეობა იზრდება; ჩვეულებრივი ძახველი თეთრი ყვავილებითა და წითელი ნაყოფებით, შეიცავს C ვიტამინს. ნაყოფი ღია წითელი ფერისაა, ოვალური ან სფეროსებრი, წვნიანი, 1 სმ-მდე დიამეტრის მსხვილი კურკით. ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს 2%-მდე, ფისებს 6,5%-მდე, ორგანულ მჟავებს, გლიკოზიდ ვიბურნინს, ფლავონოიდებს, ვიტამინებს C და K-ს, ნაყოფში ბევრია ასკორბინის მჟავა, ნახშირნყლები, მთრიმლავი ნივთიერებები, ორგანული მჟავები, კაროტინი, ვიტამინი PP.

ფლავონოიდების შემცველი მცენარეები, გამოყენება და მნიშვნელობა

ფლავონოიდების სახელწოდება წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან „*Flavus*“ – ყვითელი, რადგან მცენარეული ნედლეულიდან გამოყოფილ ფლავონოიდთა უმეტესობა ყვითელი შეფერილობისაა. ადამიანის ორგანიზმში ისინი წარმოადგენენ ეფექტურ ბუნებრივ ანტიოქსიდანტებს. მათ „ნატურალურ ბიოლოგიური რეაქციის მოდიფიკატორებსაც“ უწოდებენ უნარის გამო, შეცვალონ ადამიანის ორგანიზმის რეაქცია სხვა ნაერთებთან, როგორიცაა ალერგენები, ვირუსები, კანცეროგენები. ამაზე მეტყველებს მათი ანთების სანინაალმდეგო, ანტიალერგიული, ანტისიმსივნური, ანტიმუტაგენური თვისებები. ფლავონოიდები ფართოდაა გავრცელებული მცენარეებში, საშუალოდ 0,5-20,0%-მდეც. იგი გვხვდება ბოსტნეულიში, ხილში, მარცვლეულში, პარკოსნებში. ფლავონოიდების მთავარი წყაროა: მცენარის ყვავილი, ნაყოფი, თესლი, ღერო, ფოთოლი; სასმელებიდან კი

ჩაი, ღვინო, კენკროვნებისა და ციტრუსების წვენები, ანუ ისინი განუყოფელი ნანილია ჩვენი ყოველდღიური რაციონისა. დიეტო-ლოგები ზრდასრული ადამიანის ფლავონონიდებზე მოთხოვნას აფასებენ 1,0-2,0 გ/დღე-ლამეში. ფლავონონიდების ბუნებრივი ფუნქციები დღემდე საკმარისად არ არის შესწავლილი.

მე-20 საუკუნის შუა პერიოდში გახდა ცნობილი, რომ მრავალი სამკურნალო მცენარის ფარმაკოლოგიური მოქმედება და მექანიზმი განპირობებულია მათში ფლავონონიდურ ნაერთთა მაღალი შემცველობით. ეს არის ჯგუფი ნივთიერებებისა, რომლებიც თამაშობენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს მცენარის სასიცოცხლო ციკლის რეგულირებაში, განსაზღვრავენ ყვავილებისა და ნაყოფების შეფერილობას. ფლავონონიდები, როგორც ცნობილია, ავლენენ ბიოლოგიური აქტიურობის ფართო სპექტრს, რაც გულისხმობს: ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიულ, ანტივირუსულ, ანტიალერგიულ, ციტოტოქსიკურ, სიმსივნის საწინააღმდეგო, ნეიროდეგენერატიული დაავადებების სამკურნალო, სისხლძარღვების გამაფართოებელ მოქმედებას. ფლავონონიდები ცნობილია ასევე როგორც, ლიპიდების პეროქსიდული ჟანგვისა და თრომბოციტების აგრეგაციის ინჰიბიტორები. ისინი აძლიერებენ კაპიბლარების გამტარობასა და სიმყიფეს, ფერმენტების ციკლოოქსიგენაზისა და ლიპოქსიგენაზის მოქმედებას. ფლავონონიდები ავლენენ ანტიოქსიდანტურ თვისებებსაც, წარმოადგენენ რა თავისუფალი რადიკალების, ორვალენტოვან კათიონთა ენერგოსორბენტებს, აინჰიბირებენ სხვადასხვა ფერმენტებს, როგორიცაა ჰიდროლაზები, ტუტოვანი ფოსფატაზა, არილსულფატაზა, ფოსფოდიესტერაზა, α-გლუკოსიდაზა, კინაზა.

ფლავონონიდების ბიოლოგიური თვისებებიდან ყველაზე ადრე აღმოჩენილი იქნა მათი სისხლძარღვების მედეგობის გამაძლიერებელი მოქმედება. ყველაზე ცნობილი ფლავონონიდი, რომელიც დადებითად მოქმედებს სისხლძარღვებზე – არის რუთინი (მას ვიტამინ P-საც უწოდებენ). თუმცა, როგორც კვლევებმა აჩვენა, რუთინის ანალოგიური თვისებები ახასია-

თებს ათასზე მეტ ფლავონოიდს. ფლავონოიდებს შეიცავს მწვანე ჩაი, კაკაო, კომში, ვაშლი, ატამი, მარწყვი, მოცხარი, ჟოლო, ყურძნის და წითელი ვაშლის კანი, ბრონეული, ალუბალი, ბადრიჯანი, წითელ კომბოსტო, პროდუქტები და ხილი, რომლებიც შეფერილია იისფერად. კვლევებით დადგენილია, რომ მწვანე ჩაისა და ციტრუსის კანს აქვთ ანტიოქსიდანტური მოქმედება. ადამიანის ორგანიზმში ფლავონოიდები ასრულებენ იმავე ფუნქციას, რასაც მცენარეებში – ბოჭავენ თავისუფალ რადიკალებს (რომლებიც წარმოიქმნება ულტრააიისფერი გამოსხივებისა და რადიაციის ზემოქმედებით), იცავენ უჯრედებს მემბრანებისა და უჯრედშიდა სტრუქტურებს რღვევისაგან. ამიტომ ფლავონოიდების ბუნებრივი ექსტრაქტები (მაგალითად, წითელი ღვინო) ზომიერ დოზებში რეკომენდირებულია გამოიყენონ ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობენ მაღალი რადიაციული ფონის რაიონებში. ფლავონოიდებს შეუძლიათ დაიცვან უჯრედები დაზიანებისაგან, რომლებიც გამოწვეულია ე.წ. ჰისტამინის (ნივთიერება, რომელიც გამოთავისუფლდება ანთებითი პროცესების და ალერგიის დროს) ჭარბი ემისისაგან, რაც იძლევა დამატებით შესაძლებლობას ასთმისა და ალერგიული რეაქციების მკურნალობისას.

ფლავონოიდების ანტიოქსიდანტური მოქმედება - დღეისათვის დიდი ყურადღება ეთმობა პოლიფენოლური სტრუქტურის მქონე ნაერთთა დიდ ჯგუფს – ბიოფლავონოიდებს, რომელთაც ახასიათებთ ანტიოქსიდანტური აქტიურობა. მცენარეული წარმოშობის ანტიოქსიდანტები ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და კვების მრეწველობაში ექსტრარქეტებისა და ნატურალური ზეთების სახით. ფლავონოიდები წარმოადგენენ ძლიერ ანტიოქსიდანტებს თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ, ანუ თავისუფალი რადიკალების მენაგვეებსაც უზოდებენ. მათი ეს მოქმედება დაკავშირებულია წყალბადდონორული უნარით. მართლაც ფლავონოიდების ფენოლური ჯგუფი წარმოადგენს წყალბადის ატომების ხელმისაწვდომ წყაროს, ასე რომ, წარმოებული რადიკალები შესაძლოა დელოკალიზდნენ ფლავონოი-

დის სტრუქტურის ირგვლივ. თავისუფალი რადიკალის შემბოჭავი უნარი პიგველ რიგში განპირობებულია მაღალი რეაქციულობით ჰიდროქსილური ჩამნაცვლებლების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ რეაქციაში. ფლავონოიდების ანტიოქსიდანტური ეფექტი რეალიზდება კომპინირებული მექანიზმით და აქვს სინერგიზმის უნარი ასკორბინის მჟავასა და E ვიტამინთან. ისინი რეაგირებენ, როგორც კლასიკური ფენოლური რადიკალური ინჰიბიტორები. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ფლავონოიდურ ნაერთთა უნარს, წარმოქმნას კომპლექსები მძიმე ლითონების იონებთან, რაც არის იმის საფუძველი, რომ ზოგიერთი პოლიფენოლი ანტიდოტის სახით წარმატებით იქნას გამოყენებული მძიმე ლითონებით მოწამვლის დროს.

ფლავონოიდების ერთ-ერთ მთავარ თვისებას წარმოადგენს მათი დადებითი გავლენა ლვიძლის ფუნქციაზე. ისინი ადლიერებენ ნალველის გამოყოფას, აუმჯობესებენ მის დეტოქსიკაციურ შესაძლებლობას ისეთი ნივთიერების მიმართ, როგორცაა ბარბიტურატები, თაგვის შხამი. ორგანიზმის დეტოქსიკაცია შესაძლებელს ხდის ფლავონოიდებმა გამოამჟღავნონ შარდმდენი მოქმედება. ზოგიერთი ფლავონოიდი დადებითად მოქმედებს საჭმლის მონელებაზე, ამცირებს ნაწლავების გლუვი კუნთების ტრონუსსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კუნთების სპაზმოლიტურ მოქმედებას. ფლავონოიდებს კიბოს საწინააღმდეგო მოქმედებაც ახასიათებს. კიბოს დაავადება ატიპიური უჯრედების გაუკონტროლებული ზრდითა და გამრავლებით ხასიათდება. ორგანიზმის ზრდასთან ერთად უჯრედების რაოდენობა იზრდება და ეს პროცესი მკაცრად კონტროლირდება. ზოგიერთი უჯრედი, მასში წარმოქმნილი ცვლილებების გამო აღარ ექვემდებარება ასეთ კონტროლს და უსასრულოდ მრავლდება. ბოლო წლებში ცნობილი გახდა ფლავონოიდების სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედების შესახებ. ისინი ამცირებენ თავისუფალი რადიკალების კონცენტრაციას უჯრედის მებბრანებში. ანტიოქსიდანტური და მემბრანოპროტექტორული ფუნქციების გამო, გავლენას ახდენენ იმუნურ თვისებებზე, იცავენ

რა დნმ-ის მოლეკულას (დაუანგვისას გარდაიქმნებიან ქინოი-დურ ფორმად და ურთიერთქმედებენ დნმ-თან, რითაც ამცირებენ სიმსივნური უჯრედების ლიპიდების ანტიდამუანგავ აქტიურობას. კიბოს საწინააღმდეგო ეფექტურ საშუალებას ფლავონიდებთან ერთად წარმოადგენს პროპოლისი. ასევე კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთ წევრებს ფლავონიდებისა, როგორიცაა კვერცხტინი, აქვთ კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება და შეუძლიათ სიმსივნური უჯრედების ზრდის შეჩერება.

ფლავონოიდების გავლენა ანტიმიკრობულ აქტიურობაზე. პროპოლისი დიდი ხანია გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. მისი სამკუნალო თვისებები მოხსენიებულია ძველ აღთქმაშიც კი. პროპოლისის ანტიმიკრობული აქტიურობა დაკავშირებული იყო მასში ფლავონოიდების მაღალ შემცველობასთან. გალანგინი წარმოადგენს ფლავონოლს, რომელიც ხშირად გვხდება პროპოლისში. შაქრის ფრაგმენტის შემცველმა ფლავონონებმა აჩვენა ანტიმიკრობული აქტიურობა იმ დროს, როცა ფლავონოლებიდან და ფლავონოლიგნანებიდან არცერთს არ გააჩნდა ინჰიბირებადი აქტიურობა მიკროორანიზმებთან მიმართებაში. კვერცხტინი, როგორც ცნობილია, მთლიანად ზღუდავს ოქროსფერი სტაფილოკოკების მოქმედებას. ფლავონოიდების თვისებების ჩამონათვალის დასასრულს აუცილებელია ვახსენოთ მათი ანტიდიაბეტური, ანტიათეროსკლეროზული, სისხლის აღმდეგნი, ფერმენტთა აქტიურობის მარეგულირებელი, ანტიალერგიული, გამოსხივების საწინააღმდეგო, ასევე ერთ-ერთი ჯგუფის – იზოფლავონონების ესტოგენური მოქმედება, რომლებსაც შეუძლიათ ამ თვისების წყალობით იმოქმედონ ორგანიზმის აღდგენით ფუნქციაზე. პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ფლავონოიდებს ჯერ-ჯერობით ძალიან მცირეა. ხშირად ეს ნაერთები არსებობენ მცენარეებში სხვა ნაერთებთან კომპლექსში და გამოიყენებიან ამავე სახით.

ანტოციანების შემცველი მცენარეები, გამოყენება და მნიშვნელობა

ანტოციანები წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან *Anthos* (ყვავილი) და *Kyano* (ცისფერი, ლაუვარდისფერი), რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა ღილილოს ცისფერი პიგმენტის აღწერისას, გერმანელი ბოტანიკოსის ლუდვიგ მარქვარტის მიერ. ანტოციანები წყალში ხსნადი პიგმენტებია. ისინი ფერავენ ნაყოფებს, ფოთლებს, ყვავილის ფურცლებს ვარდისფერიდან შავ-იისფერ შეფერილობამდე.

ანტოციანები გლიკოზიდებია შეფერილი აგლიკონებით. მათში გლუკოზას, გალაქტოზასა და რამნოზას ნაშთები შეერთებულია ანტოციანიდინების ჯგუფის შელებილ აგლიკონთან. უმაღლეს მცენარეებში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია: პელარგონიდინი (*Pg*), პეონიდინი (*Pn*), ციანიდინი (*Cy*), მალვიდინი (*Mv*), პეტუნიდინი (*Pt*), დელფინიდინი (*Dp*). ანტოციანიდინების სამი არამეთილირებული გლიკოზიდი (*Cy*, *Dp*, *Pg*) წარმოადგენს ყველაზე ფართოდ გავრცელებულს ბუნებაში: ამათგან შეფერილ ფოთლებში არის 80%, ნაყოფში – 69%, გვირგვინის ფურცლებში – 50%. მეცნიერები თვლიან, რომ ანტოციანები არ ატარებენ არავითარ ფუნქციონალურ დატვირთვას, მხოლოდ სინთეზირდებიან, როგორც ფლავონოიდური გზის საბოლოო ნაჯერი პროდუქტები, მიიღებიან მცენარისათვის არასაჭირო ფენოლური ნაერთებიდან. მეორეს მხრივ, თვლიან, რომ ანტოციანური ინდუქცია, შეიძლება გამოწვეული იყოს განსაზღვრული გარემო ფაქტორებითაც. ყველაზე მეტად ანტოციანებს აგროვებენ მცენარეები, რომლებიც ხარობენ მკაცრ კლიმატურ პირობებში (არქტიკა, ალპური მდელოები), ასევე ადრეგაზაფხულის ფლორა. ანტოციანები შთანთქავენ სინათლეს სპექტრის ულტრააისფერ და მწვანე უბნებში. შთანთქმული ენერგია ნაწილობრივ გარდაიქმნება სითბურ ენერგიად, რის გამოც ფოთლის, ბუტკოს, მტვრიანას ტემპერატურა იზრდება

1-4°C-ით. ეს ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს, როგორც ფოტოსინთეზისათვის, ასევე განაყოფიერებისა და ყვავილის მტვერის აღმოცენებისათვის დაბალი ტემპერატურის პირობებშიც. ალპური მცენარეების ანტოციანები შთანთქავენ მზის ჭარბ რადიაციას, იცავენ ქლოროფილს და უჯრედის მემკვიდრულ აპარატს დაზიანებისაგან. ნათელი ფერის ყვავილები და ნაყოფები ასრულებენ დიდ როლს დამტვერავი მწერების მიზიდვაში და გავრცელებაში. საინტერესოა, რომ მცენარეები, რომლებიც შეიცავენ დიდი რაოდენობით ანტოციანებს, ამჟღავნებენ მაღალ გამძლეობას სამრენველო სანარმოს გამონაბოლქვ მუავური ოქსიდებით დაპინძურებული ჰაერის მიმართ. ანტოციანები აღწევენ რა ადამიანის ორგანიზმში ხილისა და ბოსტნეულის საშუალებით, ხელს უწყობენ ორგანიზმს შეინარჩუნოს სისხლის წნევის და სისხლძარღვების ნორმალური მდგომარეობა, ახდენენ შინაგანი სისხლდენის პრევენციას. წარმოქმნიან რა კომპლექსებს რადიოაქტიურ ელემენტებთან, ანტოციანები ხელს უწყობენ ორგანიზმიდან მათ სწრაფად გამოსვლას. ამას გარდა, ამ პიგმენტებს შუძლიათ გააუმჯობესონ მხედველობა. ანტოციანები – გლიკოზიდებია, რომლებიც ჰიდროლიზის დროს იხლიჩებიან სხვადასხვა გლიკოზიდური კავშირებით შესაბამის აგლიკონებად – ანტოციანიდინებად და ნახშირნყლად. ანტოციანებისა და ანტოციანიდინების მარილებს აქვთ წითელი შეფერილობა. მათ აქვთ, ასევე ინდიკატორული თვისებები: ნეიტრალურ გარემოში აქვთ მენამული შეფერილობა, ცუტე გარემოში კი ცისფერი. როგორც მონოსაქარიდები-ანტოციანებში გვხვდება გლუკოზა, გალაქტოზა, რამნოზა, ქსილოზა, ნაკლებად არაბინოზა, ხოლო დისაქარიდებიდან ხშირად რუტინზა, სოფოროზა. ხანდახან ანტოციანები შეიცავს ტრი-საქარიდებსაც, ჩვეულებრივ განშტოებულს. ყველაზე უფრო გავრცელებულ ანტოციანს წარმოადგენს ციანიდინ-3-გლიკოზიდი.

დღემდე ბუნებაში იდენტიფიცირებულია 635-ზე მეტი ანტოციანი, რომელიც გამოსახულია ექვსი საერთო აგლიკონით

და სხვადასხვა ტიპის გლიკოზილირებული და აცილირებული აგლიკონებით. ანტოციანების გამოყენება დიდია სხვა ფლავონოიდებთან შედარებით მცენარეულ ნედლეულში მათი ფართო გავრცელების გამო. ანტოციანების თვისობრივი შემცველობა, როგორც წესი, კონკრეტული სახეობის მცენარისათვის სპეციფიკური და საკმაოდ მდგრადია. თუმცა დამოკიდებულია სახეობრივ თავისებურებებსა და მცენარის გავრცელების არეალზე. ანტოციანები შედაინ მცენარის სხვადასხვა ნაწილის თთქმის ყველა ქსოვილში: ყვავილის გვირგვინში, გვირგვინის ფურცლებში, მტვრიანებში, ფესვებში, ლეროებში და ა. შ. ხილსა და ბოსტნეულში ანტოციანები გვხვდება, პირველ რიგში, ეპიდერმალურ ფენაში. ყველაზე უკეთ გამოკვლეულია ანტოციანების გავრცელება ყვავილებში, ფოთლებსა და ნაყოფებში. ხშირად, ფოთლებში ანტოციანიდინის შეფერილობა შენიდბულია ქლოროფილით. ზოგიერთი სახეობის ალუბალში, ბალში, ყურძენში არის მხოლოდ ეპიდერმისში, სხვებში – რბილობშიც, ამასთანავე ეპიდერმისში ისინი უფრო მეტი რაოდენობითაა. ჩვეულებრივ მცენარის ყვავილის გვირგვინი შეიცავს ანტოციანებს, ფლავონებს და ფლავონოლებს. ფლავონები და ფლავონოლები ინტენსიურად შთანთქავენ ულტრაიისფერ შუქს. ამიტომ, ამ პიგმენტებით განსაკუთრებით მდიდარია ტროპიკული და ალპური მცენარეების ყვავილები და ფოთლები. დადგენილია, რომ შთანთქავენ რა ულტრაიისფერ შუქს, ფლავონები, ფლავონოლები და ანტოციანები იცავენ უჯრედის ქლოროფილს და ციტოპლაზმას განადგურებისაგან.

ანტოციანებით განსაკუთრებით მდიდარია მაყვალი, მოცვი, ჟოლო, შავი მოცხარი. ანტოციანები შეფერილი ფლავონოიდების კლასია. სინთეზირდება თავისი აგლიკონიდან, ანტოციანიდინებიდან (პელარგონიდინი, ციანიდინი და დელფინიდინი) გლიკოზილურ, აცილურ და მეთილურ ჯგუფებთან სხვადასხვა კომბინაციით შეერწყმის შედეგად. ანტოციანების ასეთი მოდიფიკაციის სტრუქტურული მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ყვავილების, ნაყოფების და ა.შ. მრავალ-

ფეროვანი შეფერილობა. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ანტო-ციანების ფორმირებას ხელს უწყობს მცენარეულ ქსოვილებში შაქრების მაღალი შემცველობა, შედარებით დაბალი ტემპერატურა და ინტენსიური განათება. შემოდგომაზე ფოთლებში შაქრების შემცველობის გაზრდა ხდება სახამებლის ჰიდროლიზის ხარჯზე. ამას აქვს მნიშვნელობა ძვირფასი საკვები ნივთიერებების ტრანსპორტირებისათვის მკვდარი ფოთლებიდან მცენარის შიგა ნაწილებში. ყოველივე ამის შემდეგ მცენარეში სახამებელი არატრანსპორტაბელურია. დაბალი ტემპერატურის პირობებში ფოთლებიდან ნარმოქმნილი შაქრების ჰიდროლიზის სიჩქარე მცირეა, მცენარის სუნთქვა სუსტდება და შესაბამისად, მხოლოდ შაქრების უმნიშვნელო რაოდენობა იუნგება. ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს შაქრების დაგროვებას მცენარეულ ქსოვილებში, რომლებიც შემდეგ გამოიყენებიან სხვა ნივთიერებების, კერძოდ ანტოციანების სინთეზისათვის. ანტოციანების ფუნქცია მცენარეში: ფოტოლაბილური ნაერთების დაცვა – ანტოციანები უჯრედის ვაკუოლში ჭარბი შუქისგან იცავენ ფოტოლაბილურ მოლეკულებს.

ფოტოსინთეზური აპარატის დაცვა – ძალიან ძლიერი განათებისას ფოთლები ღებულობენ უფრო მეტ მზის შუქს, ვიდრე საჭიროა ფოტოსინთეზის განხორციელებისათვის და ასეთ შემთხვევაში ფიქსირდება პროცესის ეფექტურობის შემცირება. ჭარბი განათების პირობებში მიმდინარეობს უანგბადის რადიკალური ფორმების ნარმოქმნა, რომლებსაც შეუძლიათ მემბრანების ტილაკოიდების რღვევა, დნმ-ის დაზიანება და ფოტოსინთეზურ ელექტრონულ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ცილების დენატურაცია. ნაჩვენებია, რომ ანტოციანები მრავალი სახეობის მცენარეში ამცირებენ ფოტოსინთეზური აპარატის აღდგენას.

ანტოციანების დამცველობითი ფუნქცია – მწვანე პიგმენტის, ქლოროფილის დახმარებით მცენარეებში ხორციელდება ფოტოსინთეზი. მზის სპექტრის შემადგენლობაში არის უხი-

ლავი ულტრაიისფერი სხივები. ისინი მნიშვნელოვნად ახდენენ გავლენას ყველა ცოცხალ ორგანიზმზე. მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან ადამიანს და ცხოველს – მელანინები იცავს, ხოლო მცენარეს – ანტოციანები. მთის მცენარეებს ევოლუციის პროცესში ჩამოუყალიბდათ დამცავი მექანიზმი ქლოროფილის თანმხლები პიგმენტების სახით, როგორიცაა ანტოციანები და კაროტინოიდები. ისინი შთანთქავენ მზის გადაჭარბებულ რადიაციას და გარდაქმნიან მას თბურ ენერგიად. ეს ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს, როგორც ფოტოსინთეზისათვის, ისე განაყოფიერებისთვის და ყვავილის მტვერის აღმოცენებისათვის დაბალი ტემპერატურის პირობებში. შემთხვევითი არაა, რომ მთის მცენარეთა ფოთლები შეიცავენ მეტ ანტოციანებს, ვიდრე ბარის მცენარეებისა. ანტოციანებს შეიცავს ასევე ყვავილის ფურცლები, ბუტკოობი, მტვრიანები, უმწიფარი ნაყოფები და მრავალი მცენარის ფოთლები, აქვთ მნარე გემო და ამასთან, იცავენ მცენარეს ფიტოფაგების შემოტევისგან. კულტურული მცენარის ანტოციანურ ფორმებს ხშირად აქვთ მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-ბიოლოგიური ნიშნები: პროდუქციის ხარისხი, სწრაფად დამწიფების უნარი, გამძლეობა სტრესის, დაავადებების და მავნებლები მიმართ. ანტოციანები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს მცენარის დაავადებების მიმართ პასიური და აქტიური იმუნიტეტის ჩამოყალიბებისას. ანტოციანების მიმზიდველი ეფექტი – ყვავილების ნათელი შეფერილობა ხელს უწყობს მწერების მიზიდვას. ანტოციანებით მდიდარია დელფინიუმის ყვავილები, მუქი ნითელი ვარდები, ზამბახი. მცენარე ორფერას, (როგორც სხვა ლაშქარასებრნი) მჟავიანობა იცვლება თვით ყვავილში, რომელიც გამოიხატება გვირგვინის ფურცლების შეფერილობის ცვლილებაში: კოკრებს და ახლად გამლილ ყვავილებს აქვს ღია-ვარდისფერი შეფერილობა, მაშინ როცა ზრდასთან ერთად ის ხდება ისფერი ან ცისფერი. ეს თვისება ესმარება დამტვერავ მწერებს მოძებნონ ჯერ კიდევ დაუმტვერავი ყვავილები. ორფერას ხანდაზმულ ყვავილებს ფუტკრები უკვე აღარ ეტანებიან: ისინი, როგორც წესი, დამტვერილია და

ნექტარს აღარ შეიცავენ. ამ შემთხვევაში შეფერილობის შეცვლა არის სიგნალი მწერებისათვის. მრავალი ყვავილის შეფერილობა განისაზღვრება ცხიმში ხსნადი ნაერთების არსებობით (კაროტინი, მისი იზომერები და ნანარმები). ხსნარში მათ აქვთ ღია-ყვითელი, ნარინჯისფერი ან ღია-წითელი შეფერილობა. სტრესის მიმართ გაზრდილი სიმტკიცე – ფოთლის ანტოციანების სინთეზის სტიმულირება დაკავშირებულია გარემოს მრავალ განსხვავებულ სტრესულ ფაქტორებზე.

ანტოციანების ფუნქციები მრავალმხრივია, მრავალფეროვანი და ეფექტურად იცავს მცენარეს სტრესულ სიტუაციებში. ანტოციანებით მდიდარია ისეთი მცენარეები, როგორიცაა მოცვი, შტოში, მაყვალი, შავი მოცხარი, შავნაყოფა ცირცელი, ალუბალი, ბადრიჯანი, უოლო, შავი ბრინჯი, ყურძენი, წითელი ჭარხალი კომბოსტო და სხვ. ანტოციანები ითვლებიან მეორად მეტაბოლიტებად. ისინი დასაშვებია, როგორც საკვები დანამატები (E-163), ასევე, ფართოდ გამოიყენებიან საკვებ, სამედიცინო, ფარმაკოლოგიურ წარმოებებში. ნაჩვენებია ანტოციანების გამოყენების უვნებლობა სხვადასხვა კენკრის შემთხვევაში (150-2000 მგ დღეში), შედეგები მიუთითებს ანტოციანების 0,005-0,1% აბსორბციაზე, მაქსიმალური კონცენტრაცია პლაზმაში შეიმჩნევა მიღებიდან 1,5-2 საათის შემდეგ. ცნობილია, რომ ანტოციანების საკვებთან ერთად მიღებისას ისინი აღმოჩნდნენ სისხლის პლაზმაში და თვალის ქსოვილებში. ანტოციანების ზღვარმა პლაზმაში მაქსიმუმს მიაღწია 8 საათის შემდეგ (ადამიანებში). (ცხოველებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში ნაჩვენები იყო, რომ თვალის ქსოვილებში ანტოციანების კონცენტრაცია იყო უფრო მაღალი, ვიდრე პლაზმაში. ანტოციანები აღმოჩნდნენ თვალის ისეთ ქსოვილებში, როგორიცაა შიდათვალის სითხე, რქოვანა, თვალის სისხლძარღვთა გარსი და სხვ. მცირე რაოდენობით ანტოციანები აღმოაჩინეს მინისებურ სხეულში და ბროლში. ასეთი შედეგი ადასტურებს ვარაუდს, რომ ეს ნაერთები თვალის ქსოვილზე დადებითად მოქმედებენ. სწორედ ამ თვისებების საფუძველზე დამუშავებული იქნა ბიოლო-

გიურად აქტიური დანამატი „ანტოციან ფორტე“, „ცოცხალი უჯრედი VII“, „ფოკუსი“, „სტრიქსი“, „ოკულისტი“, „ჩერნიკა – ფორტე“ და სხვ. ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმში ანტოციანების ექსტრაქტს აქვს მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა. ანტოციანების მაქსიმალური ანტიოქსიდანტური აქტივობა ვლინდება ნეიტრალური pH დროს. დელფინიდინს და მის ანტოციანს დელფინიდინ-3-რუტინოზიდს, ასევე დელფინიდინ-3-გლიკოზიდს, დელფინიდინ-3-რუტინოზიდს და ციანიდინ-3-გლიკოზიდს აქვს უდიდესი ანტიოქსიდანტური აქტივობა ანტოციანებსა და ანტოციანიდინებს შორის, რომლებიც მცენარეებში გვხვდებიან. ბუნებრივი ანტოციანების შეფერილობის ხარისხი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ქიმიური აღნაგობა, pH გარემო, შესაძლებლობა წარმოქმნას კომპლექსები ლითონებთან, ადსორბირება პოლისაქარიდებზე, ტემპერატურა, სინათლის ზემოქმედება. ანტოციანებს ყველაზე მუქი წითელი შეფერილობა აქვთ pH 1,5-2,0 დროს; pH 3,4-5,0 დროს შეფერილობა ხდება მოწითალო-მენამული. ტუტე არეში pH 6,7 – 8,0 შეფერილობა ხდება ცისფერი, მოცისფრომწვანე, pH 9,0 – მწვანე. pH 10,0 მდე გაზრდისას შეფერილობა იცვლება ყვითლად. შეფერილობა იცვლება ასევე სხვადასხვა ლითონებთან კომპლექსის წარმოქმნისას: მაგნიუმის და კალციუმის მარილებს აქვთ ცისფერი შეფერილობა, კალიუმის – მოწითალო-მენამული. ანტოციანების მოლეკულაში ლითონური ჯგუფების გაზრდა აძლევს მას წითელ ელფერს. სალებავების ამ ჯგუფის წარმომადგენლები ფაქტორივად ანტოციანებია – ენოსალებავი და შავი მოცხარის ექსტრაქტი. იმის გამო, რომ ანტოციანები ფერავენ კენკრას და მცენარის ფოთლებს განსხვავებული ფერებით, მათი ეს თვისება გამოყენებულ იქნა ნატურალური საკვები სალებავის მისაღებად. გამოიყენება ანტოციანი, რომელსაც ლებულობენ ყურძნის, მოცვის, წითელი კომბოსტოს, ჩინური ვარდისგან და ა.შ. ბუნებრივი პიგმენტები, ანტოციანიდინები და მათი გლიკოზიდები მეტი ეფექტურობით გამოიყენებიან

თანამედროვე ბიოტექნოლოგიურ პროცესებში, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტები საკვებ, კოსმეტიკურ და ფარმაკოლოგიურ პროდუქტებში. არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, რომელიც არსებითად ზღუდავენ ბუნებრივი ანტოციანების შემცველი დანამატებისა და კომპონენტების უფრო ფართო გავრცელებას. ერთ-ერთი პირობა ანტოციანების ეფექტური გამოყენებისა, როგორც ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებისა, საკვები და სამკურნალო-კოსმეტიკური საშუალებების შედგენილობაში არის მათი სისუფთავე და ბიოლოგიური აქტიურობის შენარჩუნება წარმოების და შენახვის პროცესში. რამდენადაც ანტოციანური პიგმენტები წარმოადგენენ ლაბილურ ნაერთებს, ისინი ადვილად განიცდიან სტრუქტურულ დეფორმაციას და შედიან კომპლექსნარმომქმნელ იონებთან რეაქციაში, როგორიცაა K, Mg და Ca, ამასთან იცვლება ფერიც, მათი გამოყოფისას შესაძლოა მოხდეს უანგვითი კონდენსაცია (თვითნებურად, ფერმენტატიული, მიკრობიოლოგიური გზით) ქინონებისა და მათი პოლიმერების წარმოქმნით. სირთულეს წარმოადგენს სტანდარტიზაცია მცენარეული ანტოციანშემცველი ნედლეულისა და ფიტოპრეპარატებისა, რომლებსაც გააჩნიათ ფლავონოიდების მსგავსი სტრუქტურა. მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს მცენარეული ნედლეულიდან სხვადასხვა დანამატების წარმოების ეკონომიური ეფექტურობაც. ამიტომაც, აუცილებელია გაჯანსაღებული ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით გამძლე და მაღალმოსავლიანი, ანტოციანური პიგმენტების მაღალი შემცველობის მქონე მცენარეთა ჯიშების გაშენებისათვის შეირჩეს უფრო პერსპექტიული სამრეწველო მასშტაბები.

ძალზე გავრცელებულია აგლიკონი ციანიდინი, რომელიც შედის ბლის, ქლიავის, ლილილოს ყვავილებში, შავი მოცხარის, წითელი მოცვის ნაყოფების ფერის მიმცემი ნივთიერებების შემადგენლობაში. ზოგიერთ მათგანს იყენებენ, როგორც სასაქმებელს. ციანიდინის წარმოებულია ანტოციანური ბუნების მქონე საღებავი ნივთიერება აგლიკონი – ენიდინი, რომელიც მოიპო-

ვება ყურძნის მარცვლის კანში, ხოლო გლუკოზას მოლეკულას-თან შეერთებით ენიდინი წარმოქმნის გლიკოზიდ ენინს, რომელიც წარმოადგენს ევროპული წითელი ჯიშის ყურძნის სალებავ ნივთიერებას. კარტოფილის ანტოციანებია – სოლანინები, ისინი აგლიკონ ფერანტრენის წარმოებულს წარმოადგენენ. შავი მდოგვის თესლები და პირშუშხა შეიცავს გლიკოზიდ სინიგრინს, რომლის შემადგენლობაში მოიპოვება გოგირდი, ხოლო თეთრი მდოგვის თესლებში შედის გლიკოზიდი სინალბინი. უნდა აღინიშნოს, რომ სინიგრინი და სინალბინი თიოგლიკოზიდებია, რომლებშიც შაქარი შეკავშირებულია გოგირდის მემვეობით. ეს გლიკოზიდები მოიპოვება ჯვაროსანთა ოჯახის რიგ მცენარეთა თესლებში, ადვილად იშლებიან ფერმენტების მოქმედებით და წარმოქმნიან მდოგვის ეთერზეთს, რომელიც მდოგვსა და პირშუშხას სპეციფიკურ მწველ გემოს აძლევს.

მწარეები

მწარეები მწარე გემოს მქონე უაზოტო ნივთიერებებია, რომლებიც ხელს უწყობენ კუჭის წვენის გამოყოფის გაზრდას და საჭმლის მონელების გაუმჯობესებას. მწარეები გლიკოზიდები არიან. არაგლიკოზიდური ხასიათის მწარე ნივთიერებებს მიეკუთვნებიან სვის გირჩის α და β მჟავები: ჰუმულონი და ლეპულონი და სხვ.

ეთერზეთების შეაცვალი მცენარეები და ნედლეული

ეთეროვანი ზეთები მცენარეში გამომუშავებული, სურნე-ლოვანი, ადვილად აქროლადი უკაზოტო ნივთიერებებია, წარმო-ადგენენ სხვადასხვაგვარი აქროლადი ნივთიერებების რთულ ნარევს, ძირითადად კი ტერპენებისა და მათი ნაწარმოების, რომლებსაც თავისებური სუნი აქვთ, წყალში უხსნადია, მაგრამ კარგად იხსნებიან ცხიმოვან ზეთებში და ორგანულ გამსსნე-ლებში. ეთეროვანი ზეთების მცენარეებში დაგროვება დამოკი-დებულია კლიმატზე, ნიადაგის ტიპებსა და ნაყოფიერებაზე, გა-ნათებაზე, მცენარის განვითარების ფაზებზე, ასაკზე და სხვ. მაღალი ტემპეტატურის პირობებში ეთეროვანი ზეთები ორ-თქლდება, რაც იწვევს მათი შემცველობის შემცირებას. მცენა-რის ახალგაზრდა ნაწილებში ეთერზეთების შემცველობა მე-ტია, ასევე მატულობს მათი შემცველობა ფხვიერ და ნაყოფიერ ნიადაგებში მოყვანილ მცენარეებში. ეთერზეთების შემცველ მცენარეებს ფართოდ იყენებენ მედიცინაში, უმთავრესად არო-მატული თვისებებისა და მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედებე-ბის გამო.

ცალკეულ ეთერზეთებსა და მათგან გამოყოფილ ტერპე-ნებს აქვთ დამოუკიდებელი სამკურნალო მნიშვნელობა. მათ შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს ნახშირნყალბადები: მირცენი (ლვია, სვია), ოციმენი (რეჟანი), სალვენი (სალბი), ტერპინოლები (პიტნა, დიდი კამა, ქინბი), ლიმონენი (კამა, კვლიავი), ტუიონი (ასფურცელა), პინენი (ფიჭვი), გამფენი (როზმარინი, სალბი, ბეგერნდარა, ციტრუსები), კარიოფილენი (სვია, სალბი, ბეგერნდარა, როზმარინი), აზულენები (გვირი-ლა). ეთერზეთების კომპონენტებად გვევლინებიან ფარმაკო-ლოგიურად აქტიური ფენოლები: ტიმოლი და კარვაკროლი (ბე-ქონდარა), ევგენოლი (დაფნისა და მიხაკის ხეები), აპიოლი (ოხ-რახუში).

ბიციკლურ მონოტერპენებს შეიცავს კატაბალახას ფეს-ვები და ფესურები. სესქვიტერპენებს გვირილა, წყლის იელი, კოთხუჯის ფესვები, აბზინდა, ფარსმანდუკის ყვავილები. ალი-ფატური ტერპენების უანგბადიანი წარმოებულები სპირტებია. სპირტებიდან ეთერზეთებში არის მენთოლი (პიტნა), ტერპინე-ოლი (ღვია, ციტრუსებრნი), ციტრონელოლი (ზეთოვანი ვარ-დი), სამკურნალო ბარამბოსა და ციტრუსოვანთა ზეთში არის ალდეპიდი ციტრალი, ბენზალდეპიდი არის ნუშის ზეთში. ანი-სალდეპიდი – ანისულას ზეთში, გერანიოლი – ევკალიპტის ზეთ-ში. ზოგიერთ ზეთში არის კეტონები: ანისულის კეტონი (ანისუ-ლა, დიდი კამა), მენთონი (პიტნა), კარვონი (კვლიავი), კამფორი (დაფნისებრთა). ეთერზეთებში გვხვდება აგრეთვე სესკვიტერ-პენული ლაქტონები და რთული ეთერები.

ფარმაკოლოგიურად ეთერზეთები ავლენენ ანთების, ჭიის და მიკრობთა სანინაალმდეგო, ამოსახველებელ, გულის მუშაო-ბის გამაუმჯობესებელ, ტკივილგამაყუჩებელ, საჭმლის მომნე-ლებელი წვენების გამოყოფის გამაძლიერებელ და სხვა მოქმე-დებას. ეთერზეთებს დიდი რაოდენობით შეიცავს ისეთი მცენა-რები, როგორიცაა: კატაბალახა, ციტრუსები, პიტნა, აბზინდა, გვირილა, თავშავა და სხვ.

ფისები

ფისები მაგარი ან ნახევრად თხიერი კომპლექსური წარ-მონაქმნებია, გამჭირვალე, სპეციფიკური სუნით. ქიმიური შედ-გენილობით ფისები ძალზე უახლოვდებიან ეთერზეთებს, გააჩ-ნიათ ჭრილობის მომშუშებელი და მიკრობსანინაალმდეგო თვი-სებები, სასაქმებელი და შარდმდენი მოქმედება, ფარმაკოლო-გიური თვისებების მიხედვით ზოგიერთი მცენარის ფისები ფართოდ გამოიყენებიან სამედიცინო პრაქტიკაში. ფისებით მდიდარია არყის ხე (კვირტი, ფოთოლი), ნაძვი (ქერქი).

ფიტოციდები და ანტიპიროტიკები

ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ნივთიერებები, რომელთაც უმდაბლესი და უმაღლესი მცენარეების უჯრედები გამოიმუშავებენ. ისინი იცავენ მცენარეებს, ზოგ შემთხვევაში აფერხებენ მცენარე ანტაგონისტების ზრდას, განსაკუთრებით გაღივების დროს, ხოლო სხვა შემთხვევაში კი კლავენ ავაღმყოფობის წარმოქმნელ მიკრობებს.

ფიტონციდები – განსხვავებული ქიმიური შედგენილობის ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც ერთ ჯგუფში გაერთიანებული არიან მკაფიოდ გამოხატული ანტიმიკრობული თვისებების გამო. მიაჩნიათ, რომ უმაღლესი მცენარეების უმეტესობა დიდი თუ მცირე რაოდენობით შეიცავს ფიტონციდურ ნივთიერებებს, განსაკუთრებით კი ხახვი და ნიორი. მცენარეები, რომელიც შეიცავნ აქროლად ფიტონციდებს, მედიცინაში გამოყენებულია, როგორც ანტიბიოტიკები, ინფექციური და ვირუსული დაავადებებისას და სხვ. გარეგანი გამოყენების დროს ისინი მოქმედებენ, როგორც სადეზინფექციო ნივთიერებები. ფართოდაა გამოყენებული ნივრის, ხახვის, შოთხვის, ევკალიპტის, ვერხვის, ისლანდიური ხავსის, პირშუშხასა და მრავალი სხვა მცენარის ფიტონციდები. ნივრისაგან გამოყოფილია ანტიბიოტიკები ალიცინი, რომელიც წარმოქმნილია ამინომჟავა ალინისაგან. იგი ზეთისებური სითხეა, წყალში ცუდად ხსნადი. ისლანდიური ხავსისაგან გამოიყოფა ანტიბიოტიკები, რომლებიც აფერხებენ ტუბერკულოზის ბაქტერიების ზრდას. ბარდის მცენარიდან გამოყოფილია ნივთიერება პიზატინი, რომელზეც დამოკიდებულია ბარდის გამძლეობა მრავალი სოკოს მიმართ.

ანტიბიოტიკები და ფიტონციდები შეიძლება იყოს თხევად, მყარ და აირისებრ მდგომარეობაში. მათი ქიმიური ბუნება ერთნაირი არ არის. ისინი შეიძლება იყვნენ ამინომჟავები ან ალკალინ-დები, ორგანული მჟავები ან ეთერის ზეთები. არის საფუძველი

იმისა, რომ წყალბადციანმჟავა ჩავთვალოთ ფიტონცინდური კომპლექსის ერთ- ერთ კომპონენტად. ფიტონციდებსა და ანტიბიოტიკებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ დაავადებებისა და მავნებლებისაგან კულტივირებულ მცენარეთა დაცვაში.

30ტამინაპის შემცველი მცენარეები და ცელლეული

ვიტამინები სხვადასხვა ქიმიური ალნაგობის დაბალმოლეკულურ ორგანულ ნაერთთა ჯგუფია, რომლებიც უმნიშვნელო რაოდენობით აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური განვითარებისა და ცხოველქმედებისათვის. ისინი ასრულებენ კატალიზურ ფუნქციებს, პირველხარისხოვან როლს თამაშობენ ნივთიერებათა ცვლაში, ძირითადი საკვები ნივთიერებების – ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შეთვისებისა და გამოყენების რეგულაციაში.

ვიტამინები არეგულირებენ ნერვული, გულსისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული სისტემებისა და სისხლწარმომქმნელი ორგანოების ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას. ვიტამინების რაციონალური მოხმარება ხელს უწყობს ორგანიზმის გაკაუებას, მისი მუშაობის უნარიანობის, გარე სამყაროსა და დაავადებების მავნე ზეგავლენის წინააღმდეგობის ამაღლებას. ვიტამინების უკმარისობა ასუსტებს ორგანიზმს, ვითარდება ჰოპო- და ავიტამინოზები, რომელთა დროსაც ირლვევა ნივთიერებათა ცვლა, ორგანიზმის ფუნქციები. წარმოიქმნება მძიმე დაავადებანი: ცინგა, რახიტი, პელაგრა, პოლინევრიტი, ქათმის სიბეცე. ვიტამინები წარმოადგენენ ნივთიერებათა ცვლის საფუძვლად არსებულ ბიოქიმიურ რეაქციათა უმნიშვნელოვანესი ფერმენტების განუყოფელ და შემადგენელ ნაწილს. ადამიანისა და ცხოველისათვის ვიტამინების ძირითად მიმწოდებელს მცენარე წარმოადგენს, სადაც ხდება მათი წარმოქმნა. ზოგიერთი ვიტამინი სინ-

თეზირდება ორგანიზმში, ამიტომაც აუცილებელია თვალყური ვადევნოთ ადამიანის ორგანიზმში მათ ბალანსს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეები ისე მდიდარია ვიტამინებით, რომ შეუძლიათ არა მარტო ჰოპო- და ავიტამინოზების პროფილაქტიკა, არამედ მთელი რიგი დაავადებების მკურნალობა. მჭიდრო კავშირია ვიტამინებსა და ფერმენტებს შორის. მრავალი ვიტამინი ცილასთან შეერთებით ფერმენტებს წარმოქმნის, ამიტომაც ამა თუ იმ ვიტამინის უქმარობით გამოწვეული დაავადება შედეგია იმის, რომ ორგანიზმში ბიოქიმიურ გარდაქმნათა – ნივთიერებათა ცვლის განსაზღვრული რგოლის კატალიზის გამოწვევი ფერმენტი არააქტიურია.

ვიტამინები ხსნადობის მიხედვით შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: ცხიმში ხსნადი და წყალში ხსნადი ვიტამინები.

ცხიმში ხსნადი ვიტამინები: A – ჯგუფის ვიტამინები – წარმოადგენენ კაროტინის წარმოებულებს, მათი უკმარისობა იწვევს ზრდისა და იმუნიტეტის დაქვეითებას, მხედველობის შემცირებას ანუ ქათმის სიბეცეს. A – ჯგუფის ვიტამინები (აქ-სეროფტოლი, რეტინოლი) წარმოიქმნებიან და გვხვდებიან ცხოველთა ქსოვილებსა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში (თევზის ქონი, ღვიძლი, რძის პროდუქტები), აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიტამინ A-ს სადღელამისო მოთხოვნილების ნახევარი იფარება ამ პროდუქტების ხარჯზე, დანარჩენს ადამიანი ღებულობს მცენარეული პროდუქტებით, რომლებშიც არის პიგმენტი კაროტინი. იგი ორგანიზმში ფერმენტ კაროტინაზა ზემოქმედებით ვიტამინ A-დ გარდაიქმნება. თუ ორგანიზმის მიერ A ვიტამინის სადღელამისო ნორმა შეადგენს 1,5 მგ-ს, კაროტინი საჭიროა 4,5 მგ. კაროტინით მდიდარია ნარინჯისფერ-წითლად ან მწვანედ შეფერილი ხილი და მცენარის საჭმელად ვარგისი ნაწილები: სტაფილო, წითელი წიწაკა, პომიდორი, ოხ-რახუში, ჭინჭარი, ღოლო, მწვანე ხახვი, ატამი, გარგარი, ასკილი, ცირცელი, ქაცვი. რამდენადაც კაროტინი და A ვიტამინი ორგანიზმში დეპონირდებიან და მათი ჭარბი რაოდენობა შეიძლება წელიწადზე მეტ ხანს იქნეს შენახული, მიზანშეწონილია

ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში ამ ვიტამინის შემცველი ბევრი პროდუქტი გამოვიყენოთ. მისი დეფიციტი იწვევს ნივთიერებათა ცვლის პროცესებისა და ნერვიული სისტემის ფუნქციის დარღვევას, გამოფიტვას, კანის გარქოვანებას, ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლის უნარის დაქვეითებას.

ვიტამინი B₁ (ტიამინი, ანევრინი) – ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდას, აწესრიგებს კუჭის პერისტალტიკასა და წვენის სიმუავეს, დადებითად მოქმედებს ცხიმოვან ნივთიერებათა ცვლაზე, გულსისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებზე, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციაზე. მის უკმარისობას მივყავართ ნახშირწყლების არასრული წვისა და ორგანიზმში მათი შუალედური ცვლის პროდუქტების დაგროვებისაკენ, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემებზე. B₁ ვიტამინით მდიდარია ხორბლის ჩანასახი, ბრინჯის ქატო, შვრისა და წინიბურას ბურღული, მიწის თხილი, მწვანე ბარდა, ღორის ხორცი. მოზრდილი ადამიანის B₁ ვიტამინის სადლელამისო მოთხოვნა 2-3 მგ-ია, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ გროვდება ორგანიზმში, ამიტომაც რეგულარულად უნდა მიწოდებოდეს მას, განსაკუთრებით ძლიერი სიცხისას.

ვიტამინი B₂ (რიბოფლავინი) – მოიპოვება სოკოებში, მწვანე ბარდაში, წინიბურას ბურღულში, ხორბლის პურში, მიწის თხილში, ხორცში, ღვიძლში, თირკმლებში, ძროხის რძეში, კვერცხში. ამ ვიტამინზე ადამიანის სადლელამისო მოთხოვნა 2,5-3,5 მგ-მდეა. იგი აუცილებელია ცილებისა და ცხიმების სინთეზისათვის, ღვიძლისა და კუჭის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მონანილეობს სისხლწარმოქმნის პროცესში, გავლენას ახდენს ნაყოფის ზრდასა და განვითარებაზე, ახდენს მხედველობის ნორმალიზებას და იცავს თვალს ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებისაგან. B₂ ვიტამინის უკმარისობის დროს ადამიანს ეწყება ტუჩების, პირის ლორწოვანი გარსისა და ენის ანთება, პირის კუთხეებში ჩნდება ნაოჭები და წყლულები,

სახისა და მკერდის დერმატიტი, ქუთუთოების ლორწოვანი გარსისა და რქოვანას ანთება ცრემლდენითა და წვით, თავის ტკივილები. ეს ვიტამინი როგორც სამკურნალო საშუალება, გამოიყენება საჭმლის მომნელებელი, გულის, ენდოკრინული სისტემების, კანის, თვალისა და ინფექციური დაავადებებისას.

ვიტამინი B₃ - (პანთოენმჟავა) – გვხვდება ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში. იგი აუცილებელია ნივთიერებათა ნორმალური ცვლისათვის, გავლენას ახდენს ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვის პროცესებზე, ხელს უწყობს ეპიდერმული ქსოვილების ზრდას. B₃ ვიტამინით მდიდარია კაკალი, პარკოსანი მცენარეები, კარტოფილი და მარცვლოვანი წარმოშობის პროდუქტები, ადამიანის სადღელამისო მოთხოვნილება ამ ვიტამინზე შეადგენს 10 მგ-ს.

ვიტამინი B₆ (პიროდიქსინი) – დიდი რაოდენობით გვხვდება ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში, მცენარეებში კი უმნიშვნელო რაოდენობითაა (პარკოსნები, მარცლოვნები, ხილი, ბოსტნეული), განსაკუთრებით ბევრია იგი ბანანში. ეს ვიტამინი მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესებში, პირველ რიგში კი ცილებისა და ცხიმების, ასტიმულირებს სისხლნარმოქმნას, ბუნებრივი იმუნიტეტის განვითარებას ზოგიერთი დაავადების წინააღმდეგ, ნალვლის გამოყოფას და კუჭის მჟავის წარმომქმნელ ფუნქციას. ამ ვიტამინის უკმარისობა ინვევს მადის დაკარგვას, გულისრევას, მძინარობას, გაღიზიანებას, ფსიქიურ რეაქციებს, ტუჩების, ენის ანთებას, კონიუნქტივიტს. B₆ ვიტამინს წარმატებით იყენებენ ათეროსკლეროზის მკურნალობისას, ღვიძლის, თირკმლებისა და კუჭის დაავადებების დროს, ნერვული სისტემებისა და ზოგიერთი ინტოქსიკაციის დროს

ფოლიევმჟავა – ძალზე მცირე რაოდენობით არის ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტებში. ამასთან ბიოლოგიურად აქტიურ ფორმას ეს ვიტამინი იძენს მხოლოდ საჭმლის მონელების პროცესში. მცენარეული პროდუქტებიდან ფოლიევმჟავას

დამაკმაყოფილებელ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ სალათა, ოხრახუში, ისპანაზი, ქარხალი, კარტოფილი, პამიდორი, პარკოსნები, ლობიო, ხორბალი, ჭვავი, საცხობისა და ლუდის საფუარები. სწორედ ამ პროდუქტების ხარჯზე იფარება ფოლიევ-მჟავაზე ორგანიზმის სადღელამისო მოთხოვნის დიდი ნაწილი, რომელიც დაახლოებით 2-3 მგ-ით განისაზღვრება. აღნიშნული ვიტამინის დეფიციტი ადამიანის ნაწლავში ნაწლავის ფლორით სინთეზირდება. მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილება ამ ვიტამინზე ორსულობის, მშობიარობისა და პატარა ბავშვების ზრდა-განვითარების პერიოდში. პირველსახოვანი მნიშვნელობა აქვს ფოლიევმჟავას ვიტამინ B₁₂-თან ერთად სისხლის წარმოქმნის პროცესში. გარდა ამისა, იგი მონაწილეობს ცილოვან და ცხიმოვან ნივთიერებათა ცვლაში. არასწორი კვებისას (ცხოველური ცილების, მწვანე ბოსტნეულის უკმარისობისა და შეზღუდვისას) შეიძლება ალმოცენდეს ფოლიევმჟავას უკმარისობა, რასაც თან სდევს დაავადება, რომელიც ვლინდება ენისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებით, კუჭის წვენის მჟავიანობის მკვეთრი დაცემით, ფალარათიანობითა და სისხლნაკლებობის განსაკუთრებული ფორმით. ფილიევმჟავას იყენებენ სისხლნაკლებობისა (ვიტამინ B₁₂თან) და ათეროსკლეროზით დაავადებებისას.

პარაამინობენზოის მჟავა – არის ზოგიერთ ცხოველურ პროდუქტსა და მცენარეში. მცენარეულ პროდუქტთაგან იგი ყველაზე მეტია სოკოებში, ბრინჯის ქატოში, ხორბლის ჩანასახებში, მცენარეების თესლებში, ისპანახში მიწის თხილში, შემადგენელი ნანილის სახით შედის ფოლიევმჟავას შედგენილობაში. ფოლიევმჟავას სინთეზში მონაწილეობით განისაზღვრება მისი მნიშვნელობა ორგანიზმისათვის. არ არის დადგენილი, თუ როგორია ორგანიზმის რაოდენობრივი მოთხოვნილება პარაამინობენზოის მჟავაზე. როგორც სამკურნალო საშუალება, იგი ამსუბუქებს პარტახტიანი ტიფის მიმდინარეობას, იცავს ორგანიზმს დარიშხანისა და სტიბიუმის პრეპარატების ინტოქსიკა-

ციისაგან, მისი 15 % – იანი მაღამო იცავს კანს მზის დამწვრობისაგან.

ვიტამინი B₁₂ – მცენარეებში პრაქტიკულად არ არის. ეს ვიტამინი არის ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში. იგი მონაწილეობს ცილოვან და ცხიმოვან ნივთიერებათა ცვლაში, აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას.

ვიტამინი B₁₅ – გვხვდება ბევრი მცენარის თესლის ჩანასახში და ლივებში, ნუშისა და სხვა კურკოვანი ნაყოფების გულში, მასზე სადღელამისო მოთხოვნა არ აღმატება 2 მგ. ეს ვიტამინი ააქტიურებს ქსოვილთა უჯრედებში ნახშირბადის ცვლას, ასტიმულირებს თირკმელზედა ფუნქციას, ხელს უწყობს დვიძლის ქსოვილის აღდგენას, გამოიყენება სამკურნალო საშუალებათა კომპლექსში გულის ზოგიერთი დაავადების დროს, ათეროსკლეროზის, რევმატიზმის, დვიძლის დაავადებისას, განსაკუთრებით იმ დაავადებების, რომლებიც აღმოცენდებიან ქრინიკული ალკოჰოლიზმის ნიადაგზე.

ქოლინი – (B ჯგუფის ვიტამინი) არის უპირატესად ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში – ქათმის კვერცხის გულში, ძროხის ხორცში, ღვიძლში, თირკმელებში, ქაშაყში, ორაგულში. მცენარეული პროდუქტებიდან კი ხორბალში და ხორბლის, ქერის, სოის, შვრის მარცვლების ჩანასახებში.

ინოზიტი (B ჯგუფის ვიტამინი) – გვხვდება მცენარეულ პროდუქტებში ფიტინმჟავისა და მისი კალციუმის მარილის – ფიტინის სახით. იგი არის მწვანე ბარდაში და მშრალ ბარდაში, მწვანე ცერცვში, ნესვში, ფორთოხალში, კომბოსტოში, მსხალში, პომიდორში, სტაფილოში, გვხვდება ცხოველური წარმოშობის პროდუქტებშიც, მონაწილეობს ცხიმის გადატანაში, მისი ლიპოტროპული მოქმედება გაცილებით სუსტია, ვიდრე ქოლინის, თუმცა ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს და ათეროსკლეროზის განვითარების შესაძლებლობას. ინოზიტის სადღელამისო ნორმა მოზრდილი ადამიანისათვის სავარაუდოდ

ტოლია 1,0-1,5 გ-ის. ადამიანში ამ ვიტამინის უკმარისობის ნიშნები არ არის აღწერილი.

D ვიტამინი – არის ცხოველური ნარმოშობის პროდუქტებში, მისი უმნიშვნელი რაოდენობა გვხვდება სოკოებსა და ზოგიერთ უმაღლეს მცენარეში. ეს ვიტამინი გამოირჩევა ანტი-რაქიტული თვისებებით და მის უკმარისობას ბავშვებში მივყევართ რაქიტამდე, ანუ ვითარდება კბილებისა და ფრჩხილების განვითარების მოშლილობა, კუნთების მოდუნება და ამასთან დაკავშირებული მუცლის ზრდა. ავადმყოფი ბავშვები ჩამორჩებიან ფიზიკური და ფსიქიური განვითარებით, ხშირად ავადმყოფობენ ინფექციური დავადებებით. D ვიტამინს, როგორც სამკურნალო საშუალებას, იყენებენ კანის ზოგიერთი დაავადებებისა და კრუნჩხვების დროს (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დარღვევის დროს). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ D ვიტამინის ჭარბად გამოყენება იწვევს ორგანიზმის ინტოქსიკაციას.

ვიტამინი E (ტოკოფეროლი) – ამ ვიტამინს შეიცავს მწვანე ცერცვი, მწვანე ბარდა, სალათა, შვრია, ხორბალი, სიმინდი. ძალზე ბევრია იგი მცენარეულ ზეთებში – ქაცვის, შვრის, სიმინდის, ბამბის, მზესუმზირის ზეთებში. მოზრდილი ჯანმრთელი ადამიანის სადლელამისო მოთხოვნა მასზე საორიენტაციოდ შეადგენს 20-30 მგ-ს. ძირითადად E ვიტამინის წყაროდ ორგანიზმში გვევლინება ცხიმოვანი ქსოვილი, რომელშიც არის მთელი მისი რაოდენობის 9/10. იგი მონაწილეობს ნახშირწყლების, ცილების და ცხიმების ნივთიერებათა ცვლაში, აქვს ძალზე ძლიერი უანგვის საწინააღმდეგებო აქტივობა, აუმჯობესებს A ვიტამინის შენოვასა და ათვისებას, ააქტიურებს საშვილოსნოს კუნთების კვებასა და სისხლით მომარაგებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფეხმძიმობის დროს. მისი უკმარისობის დროს შეიძლება ნარმოიქმნას ნივთიერებათა ცვლის მოშლილობა, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანოებისა და სისტემების მძიმე დაზიანებები. ვიტამინი E, რო-

გორც სამკურნალო საშუალება, გამოიყენება სხვა პრეპარატებთან ერთად სასქესო ორგანოების დასუსტების ზოგიერთ შემთხვევაში, ნერვული და კუნთოვანი სისტემის დაავადებისას, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მოშლილობისას, თრომბოფლებიტისა და ტროფიკული წყლულების, ღვიძლის, კანის, თვალების დაავადების, აგრეთვე ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიკული დაავადების დროს და სხვ.

ვიტამინი H (ბიოტინი) – მოიპოვება ბარდაში, სოიოს მარცვლებში, ყვავილოვან კომბოსტოში, ხახვში, სოკოში, ხორბლის ფქვილში. იგი ძალზე ბევრია ქათმის კვერცხის გულში, ძროხის ღვიძლში, ღორის თირკმელებსა და გულში. ორგანიზმის მოთხოვნილება ამ ვიტამინზე ზუსტად არ არის დადგენილი. ყოველ შემთხვევაში, კვების საშუალო რაციონის დროს ადამიანი მას სრულიად საკმარისოდ დაგენერირებას, იგი მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლაში და როგორც ჩანს, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანის კანის ცვლის პროცესებში. მისი უკამარისობა მოზრდილ ადამიანებში შეინიშნებოდა მხოლოდ კლინიკური ექსპერიმენტის ჩატარების დროს, პატარა ბავშვებს მისი უკამარისობის დროს უნვითარდებათ კანის ანთება აქერცვლითა და ნაცრისფერი პიგმენტაციით ყელზე, ხელებსა და ფეხებზე, მწვავდება კანის მგრძნობელობა, ვითარდება ენის ანთება, ინყება გულისრევა, ანემიისა და ქოლესტერინემიის მოვლენა.

ვიტამინი K (ფილოქინონი) – მოიპოვება ისეთ მცენარეულ პროდუქტებში, როგორიცაა ისპანახი, პომიდორი, მწვანე ბარდა, სტაფილო, ოხრახუში, ასევე პარკოსნები, მარცვლეული, კენკროვნები. ცნობილია რამდენიმე ნივთიერება, რომელიც აღნიშნულია როგორც K ვიტამინი. ერთ-ერთი მათგანი, K₁ ვიტამინი ნარმოიქმნება მცენარეთა მწვანე ნაწილსა და ქლოროპლასტებში. მეორე – K₂ ვიტამინი ადამიანის მსხვილ ნაწლავში დაბუდებულ ბაქტერიებში. K ვიტამინი აუცილებელია სისხლის ნორმალური შედედებისათვის – იგი მონაწილეობს ღვიძლში

პროთომბინის წარმოქმნის პროცესში. ამ ვიტამინის უკმარი-სობა იწვევს კანქვეშ და კუნთებში მცირე სისხლჩაქცევებს, ტრაგმების დროს კი სიცოცხლისათვის საშიშ სისხლდენას. გარ-და ამისა იგი გავლენას ახდენს მიოზინის შემკუმშველ თვისე-ბებზე, აძლიერებს კუმშვას, კუჭისა და ნაწლავის პერისტალტი-კას, მონაწილეობას იღებს უჯრედებში მიმდინარე ნივთიერება-თა ცვლაში. ახალშობილის სადღელამისო მოთხოვნილება შე-ადგენს 10-15 მგ-ს. K ვიტამინი გამოიყენება ფილტვებიდან და კუჭ-ნაწლავიდან სისხლისდენის დროს, ახალშობილთა ჰემორა-გიული დიათეზის დროს, ქირურგიულ და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში.

ვიტამინი P – (რუტინი, ჩაის კატექინები) – მოიპოვება ბოსტნეულში, კენკროვნებში, ციტრუსებში, ჩაიში. მასზე რაო-დენობრივი მოთხოვნილება არ არის დადგენილი. ეს ვიტამინი ამცირებს სისხლძარღვების კედლების გამტარიანობას. მას უნიშნავენ ჰემორაგიული დიათეზის, რევმატიზმის, ჰიპერტონი-ული დაავადებისას, კუჭის წყლულოვანი და თორმეტგოვა ნაწ-ლავის დაავადებისას, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, თვალის, კანის ზოგიერთი დაავადებისას, მონამვლისა და სამეანო პრაქ-ტიკაში, C ვიტამინთან კომპლექსში ეფექტურია.

ვიტამინი PP (ნიკოტინმჟავა) – გვხვდება მარცვლოვნებ-ში, პარკოსნებში, ბოსტნეულში, ხილში, იგი უფრო მეტია ცხო-ველური წარმოშობის პროდუქტებში. ნაწილობრივ ნიკოტინ-მჟავა ადამიანის ორგანიზმშიც სინთეზირდება საკვები ცილის ტრიფოფანის შემადგენლი ნაწილიდან. მასზე ადამიანის სად-ლელამისო მოთხოვნა შეადგენს 15-20 მგ-ს. იგი ძალზე აუცილე-ბელია ორგანიზმისათვის, რამდენადაც შედის იმ ფერმენტების შემადგენლობაში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ უანგვის პროცესებში. ამ ვიტამინის უკმარისობის დროს შეიძლება გან-ვითარდეს დაავადება, რომლის დროსაც მადა დაქვეითებულია, ჩნდება ტკივილები კუჭის არეში, იწყება გულისრევა, პირღები-ნება, ფალარათი, მკვეთრი სისუსტე, მეხსიერების დაქვეითება.

ვიტამინ PP -ს ხანგრძლივი უკმარისობა პელაგრას იწვევს. ამ დაავადების დროს ჩრდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, კანისა და ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებები სერიო-ზული ფსიქიური მოშლილობის აღმოცენებამდე. ნიკოტინმჟა-ვას იყენებენ ათეროსკლეროზის, გულ-სისხლძარღვთა სისტე-მის, სუნთქვის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, ნერვული სისტემის, კანის, თვალებისა და შაქრის დიაბეტის ზოგიერთი სხვა დაავადების დროს.

ვიტამინი C (ასკორბინმჟავა) – მოიპოვება შავ მოცხარ-ში, ასკილში, ცირცელში, ქაცვში, ხურტკელში, მარწყვში, ფორ-თოხალში, ლიმონში, ბევრ სხვა კენკროვნებსა და ხილში, ბოს-ტნეულიდან კი C ვიტამინით ძალზე მდიდარია მწვანე და წითე-ლი წინაკა, მწვანე ხახვი, პირშუშხა, ოხრახუში, კამა, ისპანახი, პომიდორი და ზოგიერთი სხვა მცენარე. საშუალოდ მოზრდილ ადამიანს დღე-ღამის განმავლობაში ესაჭიროება დაახლოებით 70 მგ C ვიტამინი, ბავშვებს 7 წლის ასაკამდე 50 მგ.; მძიმე ფი-ზიკური შრომის, ფეხმძიმობის დროს და მეძუძური ქალებისათ-ვის ეს დოზა იზრდება 100-120 მგ-მდე. უკიდურესი ჩრდილოე-თის ან ცხელი კლიმატით გამორჩეული რაიონების მკვიდრთა მოთხოვნილება ასკორბინმჟავაზე იზრდება 30-50%-ით, ხანდა-ხან 100%-თაც კი. ასკორბინმჟავა მონაწილეობს ნუკლეინმჟა-ვების ცვლაში, თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის და ფარი-სებრი ჯირკვლის სტეროიდული ჰორმონების ცვლასა და სინ-თეზში. მონაწილეობას იღებს მთელი რიგი ამინმჟავების უან-გვაში და ნივთიერებათა სინთეზში, რომლებიც აუცილებელია შემაერთებელი და ძვლის ქსოვილების აგებულებისათვის. იგი უზრუნველყოფს კაპილარების ნორმალურ გამტარობას, ამაღ-ლებს სისხლძარღვთა ელასტიურობასა და სიმტკიცეს, სერიო-ზულ როლს თამაშობს ორგანიზმის მიერ ინფექციური დაავა-დებებისადმი ბუნებრივი და შეძენილი წინააღმდეგობის განევის უნარიანობის შენარჩუნებაში. მისმა ქრონიკულმა უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს სურავანდი, რომლის დროსაც დაქვეითე-ბულია მუშაობის უნარიანობა, ჩნდება აპათია, სწრაფი დაღლი-

ლობა, მცირდება წინააღმდეგობის გაწევის უნარი ტოქსიკური ნივთიერებებისადმი, მაღალი და დაბალი ტემპერატურის გავლენისადმი, ადამიანი გაცილებით მიღრეკილი ხდება გაციების, გრიპის და სხვა ინფექციური დაავადებისადმი, ცუდად უხორცდება ჭრილობები და მოტეხილი ძვლები. ამ ვიტამინის უკმარისობა იწვევს ძარღვების კედლების ცვლილებებს და სწორედ ამით ქმნის ათეროსკლეროზის განვითარების კეთილსასურველ პირობას (განსაკუთრებით იმ ადამიანებში, რომლებიც გამოირჩევიან ჭარბი წონისა და ნაკლებადმოძრავი ცხოვრების წესით). მისი უკმარისობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საკმარისი რაოდენობით გამოვიყენოთ მცენარეული პროდუქტების ასკორბინმჟავას ბუნებრივი წყაროები, ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში კი, როდესაც მათში C ვიტამინის შემცველობა გაცილებით დაბალია, შეიძლება დამატებით მივიღოთ სინთეტური ასკორბინმჟავას დრაჟე. ვიტამინი C, როგორც სამკურნალო საშუალება, გამოიყენება ათეროსკლეროზის, გულსისხლძარღვთა სხვადასხვა დაავადებების, სუნთქვის ორგანოების, თირკმელების, ენდოკრინული და ნერვული სისტემის, ქიმიური შხამებით მოწამვლის დროს.

ვიტამინი F – წარმოადგენს არანაჯერ ცხიმოვან მჟავებს
– ლინოლენმჟავას და ლინოლენომჟავას, რომლებიც არიან მცენარეულ საკვებ ზეთებში (მზესუმზირის, სიმინდის, კაკლის, სოის, ზეთისხილის, სელის, ცხოველურ ცხიმებში). აღნიშნული ვიტამინის სადღელამისო ნორმას მოზრდილი ადამიანისათვის განსაზღვრავენ დაახლოებით 1-2 გ-ით. ჩვეულებრივ რეკომენდირებულია ყოველდღიურად გამოვიყენოთ 20-30 გ მცენარეული ზეთი, რომელიც ამ ვიტამინს შეიცავს. იგი ხელს უწყობს ცხიმების ათვისებას, მონაწილეობს კანის ცხიმოვან ცვლაში, გავლენას ახდენს ლაქტაციასა და გამრავლების პროცესებზე, გადააქვს ქოლესტერინი ხსნად შენართებში და ამით აადვილებენ მის გამოყოფას ორგანიზმიდან. ამის გამო მას იყენებენ ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის,

ასევე კანის ზოგიერთი დაავადებისას (ეგზემა, წყლულოვანი დაზიანებები და სხვ.).

ვიტამინი U – არის კომპოსტოსა და ბევრ სხვა ბოსტნეულში. გამოიყენება წყლულის სამკურნალოდ, კეთილსასურველად მოქმედებს ცხიმოვან ნივთიერებათა ცვლაზე, ტვინისა და გვირგვინოვან სისხლის მიმოქცევაზე ათეროსკლეროზის დროს, ხელს უწყობს კანის დაავადებების მკურნალობას.

ფერმენტები

ფერმენტები ცილოვანი ბუნების ნივთიერებებია, რომლებიც ბიოლოგიური კატალიზატორების როლს ასრულებენ და აჩქარებენ ბიოქიმიური რეაქციების მიმღინარეობას ორგანიზმში, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნივთიერებათა ცვლაში, ისინი მკაცრად სპეციფიკურნი არიან, მაგალითად, ფერმენტი სახაროზა შლის სახაროზას და არ მოქმედებს სხვა მონათესავე დისახარიდებზე.

ფერმენტებს ყოფენ ორ დიდ ჯგუფად:

• ერთკომპონენტიანი ფერმენტები, რომლებიც შედგებიან კატალიზური თვისებების მქონე ცილისაგან;

• ორკომპონენტიანი ფერმენტები, რომლებიც შედგებიან ცილოვანი და არაცილოვანი ნანილისაგან, ანუ კოფაქტორისაგან. კოფაქტორის როლში ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ლითონები ან დაბალმოლეკულური ორგანული ნაერთები გამოდიან. ამ დაბალმოლეკულურ ორგანულ კოფაქტორებს კოფერმენტებს უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, ვიტამინების უმრავლესობა კოფერმენტებს წარმოადგენენ.

ჰიდროლაზები ფერმენტებია, რომლებიც წყალთან ერთად არიან რთული ორგანული შენაერთების დაყოფის კატალიზატორები. ფერმენტი ესტერაზა რთული ეთერების დაყოფისა და სინთეზის კატალიზატორია. ლიპაზა მონაწილეობს ცხიმების

დაყოფასა და სინთეზზში. იგი არის არა მარტო ადამიანის და ცხოველის ორგანიზმში, არამედ მდოგვის, ლობიოს, ბარდას, მზესუმზირის, სიმინდის, ფეტვის თესლში. ქლოროფილაზა ქლოროფილს ფიტოლამდე შლის. იგი არის თითქმის ყველა მწვანე მცენარეში. სულფატაზები და ფოსფატაზები შლიან რთულ ეთერებს, რომლებიც წარმოქმნილია გოგირდ- და ფოს- ფორმჟავებით. სულფატაზას მიეკუთვნება ფერმენტი, რომე- ლიც ახდენს გლიკოზიდ სინიგრინის ჰიდროლიზებას და არიან მდოგვის თესლში. ფოსფატაზა ფართოდაა გავრცელებული ცხოველურ ორგანიზმებში და მცენარეებში. იგი არის ხორბალ- ში, კარტოფილში, ლობიოსა და სხვ. კარბოპიდრაზები არიან გლიკოზიდების და პოლისახარიდების დამშლელი ფერმენტები. მაგალითად, ემულსინი ყოფს ამიგდალინს, არბუზაზი – არბუ- ზინს, მიროზინაზა – სინიგრინს. მცენარეთა ნახშირწყლებით მდიდარ ყველა ნაწილში არის პოლიაზები (ცელულოზა, ამილა- ზა, პექტინაზა და სხვ.), რომლებიც შლიან პოლისახარიდებს, ბევრ მცენარეში გვხვდება ამიდაზები; ამ ჯგუფსაა მიკუთვნე- ბული ურეაზები (შლის შარდოვანას), ნუკლეაზა (შლის ნუკლე- ინმჟავებს), არის პარკოსნებში და გოგრისებრ მცენარეებში, ქერში. ასპარაგინაზა და გლუტამინაზა (ახდენენ ასპარაგინისა და გლუტამინის ჰიდროლიზს), გვხვდებიან ობის სოკოებში, სა- ფუარებში, ბაქტერიებში, უმაღლეს მცენარეებში.

პროტეაზები – ფერმენტებია, რომლებიც მონაწილეობენ ცილებისა და პოლიპეპტიდების დაშლაში ამინმჟავებამდე, ტი- პიურ პროტეაზად გვევლინება საჭმლის მომნელებელი ფერმენ- ტი პეპსინი (გამოიყოფა კუჭის ლორწოვანი გარსის ჯირკვლე- ბით). ნესვის ხის რძიან წვენში არის პროტეოლიტური ფერმენ- ტი პაპაინი, მასთან ახლოს მდგარი ფერმენტები არიან საფუარ- ში, რძიან წვენში, სხვა მრავალი მცენარის თესლებში. ლიაზები – ფერმენტებია, რომლებიც იწვევენ სხვადასხვა სახის რეაქციე- ბის კატალიზს, მაგალითად, ზოგი იწვევს წყლის გახლეჩვის, სხვები ნახშირმჟავა აირის ან ამონიაკის გახლეჩვის რეაქციების

კატალიზს. ოქსიდორედუქტაზები – ფერმენტებია, რომლებიც აჩქარებენ ჟანგვა-ალდგენით რეაქციებს. მათ მიეკუთვნებათ ოქსიდაზა, პეროქსიდაზა და კატალაზა, რომლებიც მონაწილეობენ სუნთქვის პროცესებში.

პრომონები

მცენარეებში მოიპოვება რიგი ნივთიერებებისა, რომლებიც ახდენენ მცენარეთა ან მათი ცალკეული ორგანოების ზრდის პროცესების სტიმულირებას – აუქსინები. ნივთიერებას, რომელიც აჩქარებს ფესვების ზრდას, მიეკუთვნება ჰეტეროაუქსინი (β-ინდოლძმარმჟავა), რომელიც არის შარდში, როგორც ნაწლავის ცხოველქმედი ბაქტერიის პროდუქტი. მცენარეული უჯრედების გაყოფის მასტიმულირებელ ნივთიერებებად გვევლინებიან ასევე ქინინები. მითითებულ ნივთიერებათა უმეტესობის მნიშვნელობა ადამიანის და ცხოველის ორგანიზმისათვის ზუსტად არ არის გარკვეული. უნდა აღინიშნოს, რომ პარკოსნებში არის გლიკოქინინები, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზმში ნახშირწყლების ცვლაზე. სტაფილომში, კომბოსტოში, სალათაში გვხვდება ტირეოქინინები, რომლებიც სტიმულს აძლევენ ფარისებრი ჯირკვლის პორმონის წარმოქმნას. შვრიაში კი არის ნივთიერებები – ტირეოსტაზინები, რომლებიც ახდენენ საწინააღმდეგო მოქმედებას, ამუხრუჭებენ ფარისებრი ჯირკვლის სეკრეციულ ფუნქციას.

ფიფონედლეულიდან სამკურნალო საშუალებათა მიღების ტექნოლოგიები

მცენარეული ნედლეულიდან მიღება ალკალოიდები, ვიტამინები, ეთეროვანი და ცხიმზეთები, ორგანული მჟავები, ნახშირნები და მრავალი სხვ. მათგან მოქმედი ქიმიური ნაერთების პრეპარატული მიღებისათვის სხვადასხვა მეთოდია გამოყენებული.

ცხოველური ნედლეულიდან პრეპარატების მიღება რთული ტექნოლოგიური პროცესია, რომლის სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ექსტრაქციის სხვადასხვა სახე – ლიოფილური შრობა, ვაკუუმშრობა, პომოგენიზაცია, პრეპარატული ქრომატოგრაფიის ვარიანტები – იონცვლითი, ადსორბციული, სითხოვანი და სხვ.

მცენარეული ნედლეულიდან ხის მშრალი გამოხდით ღებულობები ხის ძმარს, სპირტს, აცეტონს, ამინომჟავებს და სხვ.

ანტიბიოტიკების, ფერმენტების, ვიტამინების, ამინომჟავების წყაროა მიკროორგანიზმები.

სინთეზური ორგანული სამკურნალო პრეპარატების წარმოების ძირითადი ნედლეულია ბუნებრივი გაზი, ნავთობი, ქვანახშირი, ხის მერქანი და სხვ.

სამკურნალო საშუალებათა მიღების წყაროები და მეთოდები განაპირობებს მიღებული ნივთიერების ხარისხს, პრეპარატებში მინარევების რაოდენობას, სტანდარტიზაციისათვის ანალიზის შერჩევას.

სამკურნალო პრეპარატების ტექნოლოგია და სტანდარტიზაციისათვის ანალიზის მეთოდები განუწყვეტლივ სრულყოფის პროცესში უნდა იყოს. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება სამკურნალო ხარისხის ამაღლება საერთაშორისო სტანდარტების დონემდე.

სამკურნალო საშუალებათა ხარისხის გაუარესების მიზანები და ფარმაკოპეის ანალიზის თავისებურებანი

სამკურნალო საშუალებებში არასწორი შენახვის შედეგად ხშირად არასასურველი მინარევები წარმოიქმნება, მათი ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, ფარმაკოპეის სტატია საზღვრავს შენახვის პირობებს. ამ პირობების დარღვევა იწვევს ხარისხის გაუარესებას.

სინათლე და უანგბადი გარდაქმნის საკმაოდ ბევრ პრეპარატს, რომელთა სტრუქტურაში არის ფენოლები, ქინონები, სპირტები, ალფეტიდები, კეტონები, არომატული ამინები, ამინომჟავები და სხვ. წარმოიქმნება უანგვისა და დაშლის პროდუქტები. ჰაერის ნახშირორჟანგი რეაქციაში შედის ფუძე ოქსიდებთან და სხვადასხვა მარილთან, ამ დროს იცვლება პრეპარატის ქიმიური აგებულება და ფარმაკოლოგიური მოქმედებაც.

ტემპერატურა სამკურნალო საშუალებათა გარდაქმნა-გაუვარგისობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რის გამოც ზოგიერთ პრეპარატს დაბალ ტემპერატურაზე უნდა ინახავდნენ, რადგან 20°C ტემპერატურის ზევით ჩქარდება ისეთი პროცესები, როგორიცაა ჰიდროლიზი, გასაპვნა, უანგვა, კონდენსაცია და სხვ., ინტენსიურდება მიკრობთა ზრდა-განვითარება, ფერმენტული დუღილი.

მნიშვნელოვანი ფაქტორია შეფუთვის პირობები და ტარა. რომელშიც ინახავენ სამკურნალო საშუალებებს, ეს უკანასკნელი უნდა შეირჩეს პრეპარატის ფიზიკური და ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე.

ფარმაკოპეის ანალიზის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პრეპარატის კეთილხარისხოვნების დადგენისას გათვალისწინებულია მინარევის ფიზიოლოგიური მოქმედება. ცნობილია, რომ კალციუმის და მაგნიუმის იონები ბიოქიმიურ პროცესებში ანტაგონიზმს ავლენენ, ამიტომაც კალციუმის პრეპა-

რატებში მაგნიუმის მინარევის შემცველობა და პირიქით, ფარ-მაკოპეის სტატიაში მკაცრად რეგლამენტირებულია.

სამკურნალო ნივთიერებებისა და პრეპარატების ანალი-ზის ჩატარება საჭიროა ზუსტად ფარმაკოპეის სტატიის შესაბა-მისად და მასში აღნერილი მეთოდებით. ქიმიური რეაქციების ჩატარების დროს უნდა დავიცვათ ფარმაკოპეის სტატიის დე-ტალები. კერძოდ: საანალიზო ნივთიერების რაოდენობა, ხსნა-რისა და რეაქტივის კონცენტრაცია. მოცულობა, დრო, რომე-ლიც აუცილებელია რეაქციის შედეგისათვის, ტამპერატურა და სხვ.

ფარმაკოპეის ყველა მოთხოვნის სრული დაცვით ჩატა-რებული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, შეიცავს თუ არა სამკურნალო საშუალება მავნე მინარევებს.

სამკურნალო საშუალებათა სტაბილურობა და ვარგისიანობის ვადები

სტაბილურობის ანუ მდგრადობის კრიტერიუმია სამკურ-ნალო საშუალების შედეგების შეცვლა. წამალში ფარმაკო-ლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა რაოდენობის შემცირება გვიჩვენებს მის უმდგრადობას. დროის ხანგრძლიობა, რომლის განმავლობაში მიმდინარეობს ეს პროცესი, წამლის დაშლის სიჩქარის კონსტანტაა.

ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცირება არ უნდა იწვევდეს ტოქსიკური ნივთიერების წარმოქმნას ან პრეპარატის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შეცვლას. რო-გორც წესი, სამკურნალო ნივთიერების რაოდენობა არ უნდა შემცირდეს 10% -ით 3-4 წლის განმავლობაში.

ვარგისობის ვადად მიღებულია ის დრო, რომლის განმავ-ლობაში სამკურნალო საშუალება შეესაბამება სახელმწიფო ფარმაკოპეის მოთხოვნებს.

სტაბილურობაზე მოქმედი ფიზიკური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია სინათლე, ტემპერატურა და ტენიანობა.

ქიმიური გარდაქმნების პროცესებიდან აღსანიშნავია ჰიდროლიზი, ჟანგვა-აღდგენა, დეკარბოლიქსირება, ფოტოქი-მიური დესტრუქცია, იზომერიზაცია.

წამალთა სტაბილურობის შესწავლისათვის გამოყენებულია მაღალი მგრძნობიარობის ზემოთ აღნერილი ანალიზური მეთოდები.

ფიზიკური მეთოდები – ლლობის და დულილის ტემპერატურები;

ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები – ოპტიკური;

ელექტრომეტრული და ქრომატოგრაფიული მეთოდები.

სამკურნალო საშუალებათა სტაბილურობის გაუმჯობესების გზები

სტაბილიზაციის მეთოდები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: ფიზიკური, ქიმიური, ანტიმიკრობული.

სტაბილიზაციის ფიზიკურ მეთოდებს მიეკუთვნება: გამოშრობა, სისუფთავის ხარისხი, ჟანგბადისაგან იზოლირება, სინათლისაგან დაცვა, ტექნოლოგიების სრულყოფა, შეფუთვა.

სტაბილიზაციის ქიმიური მეთოდები დაფუძნებულია ნამლის ფორმაში ისეთი ნივთიერების შეყვანაზე, რომელიც შეწყვეტს ან შეანელებს გარდაქმნის ქიმიურ პროცესებს.

სტაბილიზაციის ანტიმიკრობული მეთოდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რომელიც შეიძლება დამუხხუჭდეს კონსერვანტებით – ანუ ნივთიერებებით, რომელთაც ახასიათებთ ბაქტერიოციდული ან ბაქტერიოსტატური მოქმედება. ანტიმიკრობულ კონსერვანტებად გამოყენებულია ეთილის სპირტი, ფენოლი, კრეზოლი, ბორმჟავა. კონსერვანტების გამოყენების დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ტოქსიკური ნივთიერებებია, მოსალოდნელია მათი ქიმიური რეაქცია პრეპარატთან.

სამკურნალო, აროვაფული, თაფლოვანი, საღეპარი, სახელებელი და შსამიანი მცენარეების სამრეცვე- ლო პლანტაციების შექმნის ტექნოლოგიები

მცენარეულ რესურს ბუნებრივი ფლორისა და კულტუ-
რულ მცენარეთა კატეგორიებად ყოფენ, ისინი მოცულობითა
და მნიშვნელობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ბუნებრი-
ვი ფლორის რესურსი შეზღუდულია, ამიტომაც თანამედროვე
ცივილიზაციის არსებობა შეუძლებელია კულტურულ მცენარე-
თა გამოყენების გარეშე. არსებობს 5 ძირითადი სფერო, სადაც
მცენარეები ადამიანის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოი-
ყენება:

- ადამიანისა და ცხოველის სასურსათოდ და საკვებად;
- ნედლეულად სამეურნეო და საქმიანობაში;
- დეკორატიული მიზნებისათვის;
- მცენარეები აუმჯობესებენ და იცავენ გარემოს;
- სამკურნალო საშუალებად და ნედლეულად ფიტოინ-
დუსტრიაში.

ქვეყნის სტრატეგიული სიმდიდრის, უნიკალური ბიომრა-
ვალფეროვნების მონიტორინგის, კონსერვაცია-დაცვისა და
სამრეწველო პლანტაციების შექმნისათვის აუცილებელია ეკო-
ნომიკურად მომგებიანი ერთიანი მოდელის შექმნა, ანუ ერთ
მთლიანობაში უნდა იქნეს წარმოდგენილი:

ერთის მხრივ – კვლევა – მონიტორინგი პრიორიტეტულ
სასარგებლო მცენარეთა, მათ შორის ენდემური, გენეტიკური
რესურსების მარაგისა ქვეყანაში, მათი შემდგომი დაცვა-კონ-
სერვაციისა და გაუმჯობესების პარამეტრების დაკონკრეტე-
ბით;

მეორეს მხრივ – მათი კომერციული მნიშვნელობა და
ეკონომიკური რეაბილიტაციის აუცილებლობა საქართველოს
ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში განთავსება – განვითარები-
სათვის, ანუ სამრეწველო პლანტაციებისა და თესლის ბანკის
შექმნა ბიომრავალფეროვნების დაცვა-ბალანსირებისათვის.

ეკონომიკურად მომგებიანი სქემის რეალიზაციისათვის
საჭიროა:

- კულტივირებული პლანტაციების შექმნა და ეკოლოგი-
ურად სუფთა სასარგებლო მცენარეთა ნედლეულისა და პრო-
დუქციის მოყვანა-წარმოება-რეალიზაცია;

- ძირადლირებული თესლის ბანკის შექმნა;
- საჩითილე და სათესლე მეურნეობის განვითარება, რის-
თვისაც ჩამოყალიბდება ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხა-
რისხობრივი მაჩვენებლების მქონე ნატურალური სამკურნალო,
ფიტოკულინარული და ფიტოკოსმეტიკური საშუალებების ინ-
დუსტრია;

- გაჩნდება იაფი, ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა,
ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი, ნატურალური,
ბიოლოგიურად აქტიური დანამატები და სამკურნალნამღო სა-
შუალებები საერთაშორისო ფარმაკოპეის სტანდარტების შესა-
ბამისად, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გარანტირებული
ბაზრის და შემოსავლების დამკვიდრებას;

- კულტივირებული პლანტაციების შექმნა ხელს შეუნ-
ყობს საქართველოს მდიდარი ბიომრავალფეროვნების დაცვა-
კონსერვაციას და *ex-situ* და *in-situ/on farm* შენარჩუნებას, მათ
ინტენსიფიკაციას და მდგრად გამოყენებას ბუნებრივ ეკოსის-
ტემაში, რაც სასურველია მოხდეს ფიტოგენეტიკური რესურსის
წარმოშობის არეალში, მათ შორის ქვეყნის მაღალმთიან ზონა-
ში.

დარგის განვითარებისათვის აუცილებელია:

- საქართველოს ფლორის ველურად მზარდი და კულტი-
ვირებული მცენარეების მონიტორინგი, აღწერა, კატალოგირე-
ბა, რადგან მომავალი მოხმარებისთვის გენეტიკური და სახეობ-
რივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად უდიდეს აუცი-
ლებლობას იძენს საქართველოს უნიკალური ფლორის სახეობე-
ბის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე
ინფორმირების ამაღლება, ეთნობოტანიკური ტრადიციებისა

და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსი-ფიკაცია;

● საწარმოო-ტექნოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ფიტომრენველობის სანედლეულო ბაზის შექმნა, სასარგებლო მცენარეთა ბიონარმოება მაღალი ხარისხის ნედლეულისა და პროდუქციის მისაღებად;

● სასარგებლო მცენარეთა დამზადების, გაშრობის, გადამუშავების, შენახვის რაციონალური პირობების დიფერენცირება და მდგრადი გამოყენება. მიღებული სარგებლის განაწილების პრინციპების ინტეგრირება ბიომრავალფეროვნების იმ კონვენციით (CBD) მინიჭებული უფლებებით, რომლის წევრიც არის საქართველო 1994 წლიდან;

● ნატურალური საკვები დანამატებისათვის საინტერესო მცენარეთა ბლოკების შერჩევა (ცხოველთა კომპინირებულ საკვებში ფიტოდანამატების შერჩევა, მცენარეული საღებავები, ფიტოსამკურნალო საშუალებები, არომატული ეთეროვანი ზეთები, ფიტოსანელებლები, ფიტოკონსერვანტები).

გარემოსა და ინადაგის შერჩევა – დიაგნოსტიკა

საქართველოს ტერიტორიაზე მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი სამრეწველო პლანტაციებისათვის არარაციონალური მიწათმოქმედების ზონებშია, სადაც მოურწყავად შეუძლებელია კულტურათა არა თუ უხვი, ნორმალური მოსავლის მიღებაც კი. ატმოსფერული ნალექებიც კი ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბრად მოდის, როგორც რაოდენობის, ისე დროის მიხედვით. ყოველივე ეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრად გამოხატულ ზონალურ ხასიათს განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მისაღებად სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების შერჩევა და სამრეწველო პლანტაციების გაშენება ეკოსისტემის პარამეტრებისა და ბაზრის კონიუნქტურის კვლევის შედეგების მიხედვით ხდება.

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარეები საკმაოდ პრეტენზიულები არიან ნიადაგის ნაყოფიერების მიმართ, ამიტომ მათი სამრეწველო პლანტაციების გაშენებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვარგისი ნიადაგის შერჩევას. ნაკვეთის შერჩევის დროს დაშვებული შეცდომა ძნელად გამოსასწორებელია, ზოგჯერ შეუძლებელიც. ამიტომ უარყოფითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნაკვეთისათვის განკუთვნილი ნიადაგი წინასწარ გამოიკვლიონ სპეციალისტებმა და მხოლოდ მისი ვარგისანობის დადგენის შემდეგ მომზადდეს ის ამ უნიკალურ მცენარეთა გასაშენებლად, რადგან მაქსიმალურად არის გასათვალისწინებელი შესაბამის კულტურათა ბიოლოგიური თავისებურებანი და მოთხოვნები ეკოლოგიური ფაქტორების მიმართ:

- ტერიტორიის ადგილმდებარება: სიმაღლე ზღვის დონიდან და მასთან დაკავშირებული კლიმატური პირობები, ნაკვეთის ისტორია, თესლბრუნვები;
- რელიეფი, ექსპოზიცია, ჰიდროლოგია, გრუნტის წყლები;

- გეოლოგიური აგებულება და მასთან დაკავშირებული დედა-ქანების თვისებები;
- ნიადაგური საფარის შესწავლა, მისი აგროსაწარმოო თვისებებისა და ვარგისიანობის დადგენა;
- რელიეფის სირთულის, ნიადაგების სიჭრელის და ფარ-თობის სიდიდის გათვალისწინებით, გამოკვლევა ტარდება: მცირე ფართობზე – 1 : 10 ჰა-მდე - 1 : 2 000 მასშტაბით; საშუა-ლო სიდიდზე- 10-30 ჰა/მდე 1 : 5 000 მასშტაბით; 30 ჰა-ზე მეტი სიდიდის ფართობზე – 1 : 10 000 მასშტაბით; ნიადაგის სიჭრე-ლის და მასშტაბის გათვალისწინებით 1-დან 10 ჰა-მდე ფარ-თობზე ერთი ნიადაგური ჭრილი კეთდება;
- ნიადაგის შესწავლის მიზნით გამოკვლევები სრულდება საველე ანუ ბუნებრივ და ლაბორატორიულ პირობებში შერ-ჩეულ ფართობზე, კეთდება სრული ნიადაგური ჭრილი- 1,5-2,0 მეტრამდე სიღრმის, ტარდება მისი აღნერა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, გენეზისური ჰორიზონტებიდან საანალი-ზოდ იღებენ ნიადაგის ნიმუშებს.

ლაბორატორიაში წარდგენილ ნიმუშებში ტარდება შემდეგი სახის ანალიზები:

- ნიადაგის მექანიკური შედგენილობა;
- სირხატიანობა, სტრუქტურა;
- კარბონატების შემცველობა;
- ნიადაგის არეს რეაქცია – pH, შთანთქმული ფუძეები; ად-ვილად ხსნადი მარილების შემცველობა /საჭიროების მი-სედვით/;
- ჰუმუსი და საკვები ელემენტები.

ეკოსისტემის პარამეტრების დიაგნოსტიკის შემდეგ გაი-ცემა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელი მცენარეები უნდა გაშენდეს შესაბამის ტერიტორიაზე ბაზრის მოთხოვნათა გათ-ვალისწინებით. ასეთი დიაგნოსტიკა ფინანსურ დანაკარგების

გარეშე ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების და უხვი, ეკო-ლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების საწინდარია.

სასარგებლო მცენარეთა უმრავლესობა წვრილთესლოვანი კულტურებია, ამიტომ ნიადაგის დამუშავების სისტემას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამასთან ონთოგენეზის პირველი ფიზიოლოგიური ეტაპი, ანუ აღმოცენება და ზრდა-განვითარება საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს, ცუდად დამუშავებულ ნიადაგებზე სარეველები ჯაბნიან კულტივირებულ მცენარეებს, ართმევენ ტენსა და საკვებ ნივთიერებებს, ჩრდილავენ მათ, რაც თავის მხრივ იწვევს მოსავლისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების შემცირებას.

ნიადაგის თესვის წინა დამუშავების სისტემის ამოცანებია:

- ნიადაგის ზედაპირზე გაჩენილი ქერქის გაფხვიერება ტენის შესანარჩუნებლად;
- ნიადაგის სხვადასხვა სილრმეზე გაფხვიერება მისი აერაციის, წყლისა და კვების რეჟიმების გასაუმჯობესებლად, თესლის ჩათესვა მისთვის ოპტიმალურ სილრმეზე;
- სარეველა მცენარეთა მოსპობა;
- ორგანული სასუქების შეტანა ნიადაგში;
- ზედაპირის მოსწორება – მოტკეპნა.

ნიადაგის დამუშავების სხვადასხვა ხერხი არსებობს: ზედაპირული დამუშავება, მინიმალური დამუშავება, აჩეჩვა, აოშვა, კულტივაცია, ფარცხვა, გატკეპნა და სხვ.

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღეპარი, სანელეპელ და შეამიან კულტურათა ჩართვა თესლბრუნვებში

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღეპარი, თაფლოვანი, სანელეპელი და შეამიანი კულტურები საკმაოდ პრეტენზიულები არიან ნიადაგის ნაყოფიერების მიმართ, ამასთან

მათ დიდი რაოდენობით გამოაქვთ ნიადაგის სხვადასხვა ფენი-დან საკვები ელემენტები, რაც დამოკიდებულია მათ პიოლოგი-ურ თავისებურებებზე, ფესვთა სისტემის ტიპსა და განლაგება-ზე. ამიტომაც, როცა არ ხდება კულტურათა მონაცვლეობა, ერ-თი და იმავე ადგილზე ერთი და იმავე კულტურის თესვა აუარე-სებს ნიადაგის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, ხელს უწყობს მავნებლებისა და დაავადებათა გავრცელებას. ამ არასასურველი პროცესების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია თესლბრუნ-ვათა სწორი სქემის შემუშავება, ანუ მეურნეობის პერსპექტიული განვითარების ბლოკში ეკოსისტემის პარამეტრების გათვალის-წინებით კულტურათა ეფექტური მორიგეობა ნიადაგის დამუშა-ვების და მაღალნაყოფიერი მოდელის სისტემაში.

თესლბრუნვა კულტურების მორიგეობით თესვა-მოყვანაა მინდვრებად დაყოფილ ნაკვეთზე. მისთვის დამახასიათებელია ორი სახის მონაცვლეობა: დროში – წლიდან წლამდე და სივრცე-ში – მინდვრიდან მინდორზე. თესლბრუნვის ამოცანებია:

- ნიადაგის ნაყოფიერების დაცვა – გაუმჯობესაბა;
- საკვების ელემენტების რაციონალური გამოყენება;
- პროდუქტულობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესე-ბა;
- მინდვრის დასარეველიანების, მცენარეების მავნებ-ლებით და დაავადებებით დაზიანების შემცირება;
- ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება.

კულტურათა თესლბრუნვა ისე უნდა მოეწყოს, რომ უზ-რუნველყოს როგორც მაქსიმალური პროდუქტულობა და ნედ-ლეულის ეკოლოგიური სისუფთავე, ასევე ნიადაგის ნაყოფიე-რების სტაბილურობა, ხშირ შემთხვევაში (მაგ. მრავალწლოვანი ბალახებისა და პარკოსების გამოყენება) კი გაუმჯობესება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა თესლბრუნვის სქემები იყოს რამდენიმე მინდვრიანი, მარტივი და მოქნილი. სქემების შეც-ვლა ხდება ეკოსისტემის პარამეტრების და კულტურათა ასორ-ტიმენტის მიხედვით. ძირითადი კულტურათა მოსავლის ალების

შემდეგ მომდევნო კულტურათა შერჩევისას უნდა ვეცადოთ, რომ ეს კულტურები არ შედიოდნენ წინა და მომდევნო ძირითადი კულტურების ბოტანიკურ ოჯახში. თესლბრუნვების მინდვრების განოყიერება უნდა მოხდეს იმ კულტურათა მოთხოვნების მიხედვით, რომლითაც არის იგი დაკავებული, ანუ გათვალისწინებული უნდა იქნეს: გარემო-ნიადაგი-კლიმატი-მცენარე-სასუქი-მოსავალი ბლოკში:

- მოსაყვანი მცენარეების ბიოლოგიური თავისებურებანი;
- მოთხოვნა საკვები ელემენტებისადმი;
- ფართობების თანაფარდობა;
- ბაზრის კონიუნქტურა;
- თესლის დროულად დამზადება;
- პარკისანი კულტურების მოყვანით ნიადაგის აზოტით უზრუნველყოფა;
- წინამორბედი და მომდევნო კულტურების ურთიერთშეხამება.

ნიადაგის დამუშავება

ნიადაგის დამუშავების მიზანია სახნავი შრე მოიყვანოს ფხვიერ-კოშტოვან მდგომარეობაში, მოუსპოს კორდს ცხოველ-მოქმედების უნარი, განმინდოს მინდვრები სარეველებისაგან, ნიადაგში მოათავსოს ორგანული და მინერალური სასუქები, ნიადაგი მოამზადოს თესლის უკეთესი ჩათესვისათვის და სხვ.

ნიადაგის დამუშავება დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის, წყლის, ჰაერისა და სითბოს რესუმებზე, მასში მიმდინარე ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების დინამიკაზე. ნიადაგის სწორი და დროული დამუშავება უზრუნველყოფს მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედების პირობების გაუმჯობესებას, აძლიერებს მცენარეულობის ნაშთებისა და ნეშომპალას

დაშლის პროცესებს, ხელს უწყობს ნიადაგში მყოფი საკვები ელემენტების გადასვლას ადვილად შესათვისებელ ფორმაში.

ნიადაგის დამუშავების შედეგად იზრდება მცენარეთა საკვების ბიოლოგიური მიმოქცევა, ძლიერდება ორგანული ნივთიერების ასიმილაციისა და დისიმილაციის ტემპები.

ნიადაგის დამუშავების სისტემა – სამკურნალო, არომატულ, თაფლოვან, საღებარ, სანელებელ და შხამიან კულტურათა მოსაყვანად ნიადაგის დამუშავება გარკვეული ტექნოლოგიებითა და თანმიმდევრობით სრულდება.

ნიადაგის დამუშავების შემდეგ სისტემებს არჩევენ:

- მზრალად დამუშავება;
- თესვის წინა დამუშავება;
- ანეულად დამუშავება;
- ნათესში ნიადაგის დამუშავება.

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების პლანტაციების შექმნისას ნიადაგის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ნიადაგის დამუშავების ხარისხი და ნაყოფიერება უმნიშვნელოვანესია ამ მიმართულებისათვის.

წინამორბედი კულტურის აღებისთანავე აუცილებელია ნაკვეთის განმენდა მცენარეული ნარჩენებისაგან, მოსწორება, სასუქების შეტანა (ორგანული სასუქები, ფოსფორი), მოხვნა 25-27 სმ სიღრმეზე. თუ სამკურნალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეები შემოდგომით არ ითესება, ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა მაღალი მოსავლის მისაღებად დიდ როლს ასრულებს კარგი მზრალი, ანუ შემოდგომაზე ნიადაგის სრულ სიღრმეზე მოხვნა და ფხვიერ მდგომარეობაში დატოვება. ამ ტექნოლოგიური ოპერაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მიეცეს ნიადაგს საშუალება, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შეითვისოს ტენი შემოდგომა – ზამთრის განმავლობაში მოსული ნალექებისაგან და ამ გზით შექმნას მასში ტენის საკმაო მარაგი. ნიადაგში დაგროვილი ტე-

ნი, გარდა იმისა, რომ საჭიროა მასში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებისათვის, აუცილებელი სასიცოცხლო ფაქტორია კულტურული მცენარისათვის. ნიადაგში არსებული ტენის მარაგი დაცული უნდა იქნეს აორთქლებისაგან, რისთვისაც ნიადაგი უნდა გაფხვიერდეს ზამთრის გასვლის შემდეგ, ე.ი. ნიადაგის ისეთ შეშრობამდე, რომ არ ატალახდეს და ზედაპირული გაფხვიერება წესიერად ჩატარდეს.

ნიადაგის თესვისწინა დამუშავების სისტემის ამოცანებია:

• ნიადაგის ზედაპირზე გაჩენილი ქერქის გაფხვიერება ტენის შესანარჩუნებლად;

• ნიადაგის სხვადასხვა სიღრმეზე გაფხვიერება აერაციის, წყლის კვების რეჟიმების გასაუმჯობესებლად;

- თესლის ჩათესვა მისთვის ოპტიმალურ სიღრმეზე;
- სარეველა მცენარეთა მოსპობა;
- სასუქების შეტანა ნიადაგში;
- ზედაპირის მოსწორება – მოტკეპნა;

ნიადაგის დამუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სამკურნალო, არომატული, სალებავი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების უმრავლესობა წვრილთესლოვანი კულტურებია, ამასთან უნდა აღინიშნოს, ონთოგენეზის პირველი ფიზიოლოგიური ეტაპი, ანუ ალმოცენება და ზრდა-განვითარება საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს, ცუდად დამუშავებულ ნიადაგებზე სარეველები ჯაბნიან კულტივირებულ მცენარეებს, ართმევენ ტენისა და საკვეპ ნივთიერებებს, ჩრდილავენ მათ, რაც თავის მხრივ იწვევს მოსავლისა და მისი სარისხობრივი მაჩვენებლების შემცირებას.

ნიადაგის ნაყოფიერება

ნიადაგის ნაყოფიერება არის ნიადაგის უნარი, მცენარეს ზრდა-განვითარებისათვის საკვები ნივთიერებები მიაწოდოს. ნიადაგი წარმოადგენს მცენარის საკვებ ნივთიერებათა საცავს, სადაც ისინი სხვადასხვა ფორმით ინახება. ზოგი მათგანი მეტად არის მისალები და შესათვისებადი მცენარისათვის, ზოგი კი ნაკლებად. ნიადაგი მცენარისათვის წარმოადგენს ერთის მხრივ სუბსტრატს, მეორეს მხრივ საკვები ელემენტების წყაროს. მცენარის ზრდა – განვითარებისათვის, შემდეგ კი შესაბამისად მაღალხარისხოვანი, უხვი მოსავლის მისალებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის თვისებებს.

ნიადაგის **ფიზიკურ თვისებებს** მიეკუთვნება: მექანიკური შედგენლობა, ტენტევადობა, აერაცია, სითბოტევადობა, ხვედრითი წონა და ა.შ.; **ქიმიური თვისებებია:** ნიადაგში არსებული მარილების შემცვლელობა, ნიადაგის ხსნარის რეაქცია (pH), საკვები ელემენტების შემცვლელობა; **ბიოლოგიურ თვისებებში** განიხილება ცოცხალი ორგანიზმების არსებობა. ნიადაგის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი კი მისი ნაყოფიერება ანუ ჰუმუსის შემცველობაა. ნიადაგის ნაყოფიერებისადმი მოთხოვნილების მიხედვით მცენარეებს ყოფენ ორ ძირითად ჯგუფად. პირველი არის **ოლიგოტროფები**, რომლებიც ღარიბ ნიადაგებზეც არსებობენ. ასეთ მცენარეებს მიეკუთვნება უმდაბლესი მცენარეები, ხავსები და მლიერები. მეორე ჯგუფი ეს არის **ეუტოტროფები**, რომლებიც თავისი არსებობისათვის მოითხოვენ ნაყოფიერ ნიადაგებს. ასეთებს მიეკუთვნება კულტურული მცენარეები და დანარჩენი სხვა მცენარეები. ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს მესამე ჯგუფის მცენარეებს **მეზოტროფებს**, რომელებიც მიეკუთვნებიან გარდამავალ კატეგორიას. ნორმალური ზრდისათვის მცენარეთა უმეტესობას ჩვიდმეტი ძირითადი ელემენტი ესაჭიროება. ნახშირბადს, ჟანგბადს და წყალ-

ბადს იგი ღებულობს ჰაერიდან და წყლიდან, დანარჩენი თოთ-ხმეტი ელემენტი კი შეიწოვება მცენარის მიერ ნიადაგიდან.

მცენარე რიგ საკვებ ნივთიერებებს ანუ მაკროელემენტებს – აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, დიდი რაოდენობით საჭიროებს, ხოლო მიკროელემენტებს – ბორი, სპილენძი, ქლორი, რკინა, მანგანუმი, მოლიბდენი ნიკელი, თუთია – მცირე რაოდენობით. ნიადაგის ზედმეტი სიმშრალე, ზედმეტი ტენიანობა, ცივი და მძიმე ნიადაგები ამცირებენ ფესვების მიერ საკვები ნივთიერებების შეწოვის უნარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვები ნივთიერებების შეწოვას ხელს უწყობს ღრმა, კარგად დრენირებული ნიადაგი.

N	ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას	ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას
1	თიხის მაღალი შემცველობა	ქვიშის მაღალი შემცველობა
2	ჰუმუსის მაღალი შემცველობა	ორგანული ნაერთების გაქრობა
3	კარგი სტრუქტურა	სიმჭიდროვე
4	თბილი ნიადაგი	ცივი ნიადაგი
5	ღრმა ნიადაგი	დაბალი ნიადაგი
6	ტენიანი ნიადაგი	მშრალი ან სველი ნიადაგი
7	კარგი ფორმანობა	ჭარბი რწყვა ან დრენაჟი
8	სასუქების შეტანა	ეროზია
9	სასურველი მიკრობები	ფესვის დამაზიანებელი პარაზიტები
10	თითქმის ნეიტრალური არე	ზედმეტად მჟავე ან ტუტეარე

ნყარო: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარებისა პროგრამისა და ჯორველის უნივერსიტეტის მასალები (2009)

დასავლეთ საქართველოს ენერი, მუავე რეაქციის მქონე ნიადაგები ამ მცენარეების ქვეშ გამოყენებული უნდა იქნეს ძირითადად განეიტრალუბული სახით, ამ მიზნით 3-4 წელიწადში ერთხელ, ნიადაგის მუავიანობის მიხედვით, საჭიროა 4-10 ტ/ჰა კირის შეტანა.

ნიადაგის არეს რეაქცია – ნიადაგის არეს რეაქცია ნიადაგის ნაყოფიერებისა და გაკულტურებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ის განისაზღვრება ხსნარში არსებული წყალბადისა და ჰიდროქსილის იონების კონცენტრაციით, ე.ი. ნიადაგის მუავიანობა და საერთოდ, რეაქცია გამოიხატება H-იონების სხვადასხვა კონცენტრაციითა და მისი შეფარდებით. ნიადაგის არეს აქტიური რეაქცია pH იზომება 1-დან 14-მდე და წარმოადგენს მუავიანობისა და ტუტიანობის ინდიკატორს. ამ მხრივ ნიადაგის დახარისხება შემდეგნაირია: ძლიერ მუავე (pH = 3-4); მუავე (pH = 4-5); სუსტად მუავე (pH = 5-6); ნეიტრალური (pH = 7); სუსტი ტუტე (pH = 7-8); ტუტე (pH = 9); ძლიერ ტუტე (pH = 9-11). სამკურნალო, არომატულ, სანელებელ, სალებარ და შხამიან მცენარეთა ზრდა-განვითარების პირობები საუკეთესოა ნეიტრალურ და ოდნავ ტუტე ნიადაგებზე. მუავე ნიადაგებზე იზრდება მინდვრის შვიტა, მრავალძარღვა, ჩვეულებრივი ღილილო, დედოფლის თითა, ბოსტნის ია, თავცეცხლა, ომბალო, ნიახური, ყანის ბაია, მინდვრის გვირილა და სხვ. სუსტ მუავე და ნეიტრალურ ნიადაგებზე იზრდება კატაბალახა, ვირისტერფა, იაუუუნა, სამკურნალო გვირილა, მხოხავი ჟანგა, ხვართქლა, ბალის ნარი და სხვ. ხელსაყრელი ნიადაგობრივი პირობების შექმნისათვის აუცილებელია მეურნემ იცოდეს თავისი ნიადაგის ქიმიური შედეგენილობა.

კლიმატი ნიადაგნარმოქმნის პროცესებზე ახდენს გავლენას. მასთან არის დაკავშირებული ნიადაგში ტენისა და სითბოს რეგულაციები, ისინი კი განსაზღვრავენ მცენარეულობის ხასიათს და ნიადაგში მიმდინარე მიკრობოლოგიური პროცესების ინტენსივობას. კლიმატი დიდ გავლენას ახდენს ნიადაგში მიმ-

დინარე პროცესებზე. ზოგ შემთხვევაში აძლიერებს, ზოგ შემთხვევაში კი ანელებს მათ.

მცენარეულობა და ცოცხალი ორგანიზმები ნიადაგნარმოქმნის განმსაზღვრელი ფაქტორებია. მათთან დაკავშირებულია ნიადაგის ზედა ფენებში კვების ელემენტების დაგროვება, ჰუმურის – ნიადაგის ნაყოფიერების მთავარი წყაროს წარმოქმნა. ნიადაგთნარმოქმნაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით ცხოველურ ორგანიზმებსაც: უმარტივესებს, უხერხემლოებსა და მთხრელ ხერხემლიანებს. უხერხემლოებიდან მნიშვნელოვანია ჭიაყელები, რომლებიც თავიანთ ორგანიზმში 10 ტონამდე ნიადაგის მასას ატარებენ თითოეულ ჰექტარზე. ამიტომ ჭიაყელები ნიადაგის ნაყოფიერების ერთ-ერთი ბიოლოგიური მაჩვენებელია; ხერხემლიანი ცხოველები (თხუნელები, თრიები, ზაზუნები, მიწის კურდღლები, მემინდვრიები) თხრიან სოროებს, ურევენ ორგანულ ნივთიერებებს მინერალურში, შესამჩნევად ამაღლებენ ნიადაგის, წყლის და ჰაერის გამტარიანობას, რაც ხელს უწყობს მცენარეული ნარჩენების ხრწნას.

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სახელებელი და შეაგიანებული გვერდები

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახლავთ სტანდარტული, მაღალმოსავლიანი, გარემო პირობებთან ადაპტირებული თესლის ბანკის შექმნა. იგი საქართველოში ახლა ყალიბდება და საკმაოდ რთული და ძვირადლირებული პროცესია, რადგან მუდმივ განახლება-გაუმჯობესებას მოითხოვს. ამ უნიკალურ მცენარეთა თესლის ბაზარი მკაცრად ლიმიტირებულ, ძვირ, თუმცა სტაბილურ შემოსავლიანად ითვლება უცხოეთში. ამიტომაც ხელი უნდა შეეწყოს ჩვენში მის დამკვიდრებას.

ამისათვის კი, უპირველესად მცენარეთა სელექცია სასურვე-ლია წარიმართოს ისე, რომ მოხდეს ქვეყნის ბაზრის გაჯერება მაღალმოსავლიანი, სტანდარტულ-კონდიციური, ადგილობრივი, შედარებით იაფი თესლით.

თესლი მცენარის ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების მქონე ორგანიზმია, ამიტომაც მათზე არის დამოკიდებული პროდუქტულობა, ხარისხი და რასაკვირველია, ნედლეულის სასაქონლო ფასი. ფარმაციის განვითარებასთან ერთად მოხდა ბუნებაში გავრცელებულ მცენარეთა სულ უფრო კლებადი რეზერვების ჩანაცვლება კულტივირებული მცენარეებით. იქმნება სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა. პრიორიტეტის განვითარებისათვის კი სასურველია ბაზრის კონიუნქტურის ანალიზისა და მარკეტინგული სერვისის ჩართვა, ამიტომაც პროცესი მართვადი უნდა იყოს, ეს კი შესაძლებელია, თუ იქნება მუშაობისას გათვალისწინებული რიგი კრიტერიუმები:

ა) ეკოლოგიური – ცნობილია, რომ კულტივირებული პლანტაციები გარკვეულ გავლენას ახდენენ ეკოსისტემაზე, თავის მხრივ ეკოსისტემაც გავლენას ახდენს მცენარეებზე, მაგალითად, ბუნებაში გავრცელებული, ადგილობრივი ველური პოპულაციებისა და კულტურულ ჯიშთა ურთიერთგავლენა, ჩვენში კი ისინი მრავლად არიან, ეროზიული პროცესისადმი დამოკიდებულება, რაც ძალზე პოპულარულია საქართველოსათვის, მძიმე ლითონებით დაბინძურების პრობლემა, რომელიც ტვირთად აწვება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების ტექნოლოგიას და მრავალი სხვ. კულტივირებული პლანტაციების შექმნისას, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია მეთესლეობა, გააზრებული უნდა იყოს ჯიშების გამრავლება და სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება. ეკოლოგიური ფაქტორები (ტემპერატურა, ნალექები, ფარდობითი ტენიანობა და სხვ.) ცვლის მცენარეებში მიმდინარე მეტაბოლიტურ პროცესებს, შესაბამისად იცვლება მათში დაგროვილი სამარაგო ნივთიერებათა ბალანსი და რა თქმა უნდა, ბიოლოგიურად აქტიურ ნივ-

თიერებათა შედგენლობა. იცვლება თესლის ხარისხი და შედგენლობა, გაღივების ენერგია, ტენიანობა, დაავადებებითა და მავნებლებით დაზიანების ხარისხი, ანუ უნარი მოგვცეს სასურველი მოსავალი კონკრეტულ ეკოლოგიურ პირობებში. მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის ამაღლებასთან ერთად კი უფრო გაიზრდება ჯიშიანი თესლის მნიშვნელობა და მათზე მოთხოვნა.

ბ) ფარმაკოლოგიური – დასაბუთებულია, რომ სამკურნალო მცენარეებში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობა განსაზღვრავს სასაქონლო ფასს. თესლის ბანკის შექმნისას აუცილებელია მოხდეს ჯიშების დიფერენცირება ამ ტესტების მიხედვით. ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კონტროლი საკმაოდ რთული და ძვრია, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მარკეტინგულ სერვისში იგი გათვალისწინებული უნდა იქნეს მეთესლეობის პერსპექტივისათვის.

გ) აგროტექნიკური – მცენარეთა სტანდარტულ-კონდიციური თესლის მისაღებად მოწყობილი პლანტაციები საჭიროებენ მოყვანისა და აღების სპეციალურ ტექნოლოგიას, შემდგომ კი მიღებული თესლი დამუშავებასა და შენახვას. სათესლე მცენარეების მოყვანა მიზანშეწონილია თესლბრუნვებში ჩართული პლანტაციებიდან, ამასთანავე საჭიროა თვალყური ვადევნოთ, რომ არ დაირღვეს კულტურათა მორიგეობა – კულტურა ერთ ადგილზე 3 – 4 წლითადში ერთხელ უნდა ითესებოდეს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ზემოთ ჩამოთვლილი სასარგებლო მცენარეები პრეტენზიული მცენარეებია, ამიტომაც მეთესლეობისათვის უნდა გამოვიყენოთ სარწყავი, ნაყოფიერი ნიადაგები, რომლებიც სარეველებისაგან სუფთა და ქარებისაგან დაცული უნდა იყოს. აუცილებელია შედგეს დიაგნოსტიკის მაღალნაყოფიერი ინტეგრალური მოდელი, დაბალანსდეს კვების ოპტიმალური ბლოკი, დროულად იქნას შემუშავებული ღონისძიებანი, რომლებიც დააჩქარებენ აღმოცენების უნარს, რათა მცენარემ დაასწროს სა-

რეველებს. დასათესად გამოყენებულ უნდა იქნას კარგად განმენდილი და დახარისხებული თესლი, რომლის თესვითი ლირსებანი პასუხობენ სტანდარტის მოთხოვნებს. შენარჩუნებულ უნდა იქნეს ნათესების ჯიშური სისუფთავე, გამოყენებული უნდა იქნეს თესლის აღებისა და შემდგომ დამუშავების ნაკადური მეთოდი, რათა მიღებულ იქნას კონდიციური თესლის მაქსიმალური რაოდენობა ერთეული ფართობიდან.

დ) ეკონომიური და მარკეტინგული – ბაზრის კონიუნქტურული ანალიზისა და ეკონომიური მარკეტინგის გათვალისწინებით თესლის კვალიფიციური წარმოება შემუშავებული რეკომენდაციებით უზრუნველყოფს გარანტირებულ შემოსავალს, რაც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას. შეიქმნება ძვირადლირებული სტანდარტული თესლის ბანკი.

სათესლე ნაკვეთისათვის უნდა გამოიყოს ქარებისაგან ბუნებრივად დაცული ნაკვეთები, ან უნდა მოეწყოს ერთნლოვანი მაღალმზარდი კულტურების (სიმინდი. სორგო და სხვა) ხელოვნური მინდორსაცავი ზოლები, რომლებიც უნდა განლაგდეს ძლიერი ქარების მიმართულების გარდიგარდმო, რათა არ მოხდეს თესლის ჩაბნევა და თავიდან ავიცილოთ დანაკარგები. მაგალითად, კატაბალახას თესლი მსუბუქი, კვერცხისებრ წაგრძელებული თეთრი ფორმისაა, რომელსაც თავზე ადგას თეთრი ფერის 7-15 ბუმბულისაგან შემდგარი ქოჩორი, იგი ხელს უწყობს მას გადაადგილებაში და მცირე ნიავიც კი საკმარისია საკმაოდ დიდი დანაკარგებისათვის. სათესლე ნაკვეთის მოწყობისას აუცილებლივ დადგინდეს ველური პოპულაციების გავრცელების არეალი, დაცულ უნდა იქნეს სივრცითი იზოლაციის ნორმები, რათა ჯიშური ხარისხის ერთ-ერთი მთავარი ტესტი, წმინდა ჯიშიანობა, შევინარჩუნოთ. კატაბალახა ჯვარედინდამტვერავი მცენარეა, მხოლოდ 2%-მდე იმტვერება თვითდამტვერვით.

ჩვენ შევადგინეთ მეთესლეობის წარმოების დიაგნოსტიკური მოდელი ეკოლოგიური ფაქტორებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გათვალისწინებით ბლოკში: **ნიადაგი – გარემო – მცენარე – სასუქი – მოსავალი** ბიოლოგიური ტესტების გათვალის-

წინებით მაღალი ხარისხისა და ჯიშური სიწმინდის თესლის მისალებად. თესლბრუნვის მინდორში უნდა დავიცვათ კულტურა-თა მორიგეობა. საუკეთესო წინამორბედია შავი ანეული, მარ-ცვლეული და სასილოსე კულტურები, ჩვენ დადებითი შედეგი მივიღეთ სამკურნალო, არომატული, სანელებელი მცენარეების ჩართვით მარცვლეული კულტურების შემდეგ, აქვე უნდა აღი-ნიშნოს, რომ ეს სქემა გამართლებულია თესვის ან რგვის ვადე-ბის განსაზღვრისთვისაც. მრავალწლოვანი ექსპერიმენტების სა-ფუძველზე ვიძლეოდით რეკომენდაციას: საქართველოს პირო-ბებში გამართლებულია ორწლოვანი მცენარეების თესვა ან გა-დარგვა ადრე შემოდგომაზე, რადგან ჩვენში არსებული გაზაფ-ხულის გვალვები დამდუპველად მოქმედებს ახლადაღმოცენე-ბულ მცენარეებზე. ეს უნიკალური მცენარეები ხასიათდებიან მაღალი პლასტიკურობით და ძალიან მგრძნობიარენი არიან მოვლის პირობებისადმი. სათესლეების მოვლა-მოყვანის დროს აუცილებელია გამოვიყენოთ ისეთი აგროტექნიკა, რომელიც მო-ცემულ პირობებში უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქტუ-ლობას – ღრმა მზრალად ხვნა, კვების ოპტიმალური ბლოკი. ეფექტური შედეგები მივიღეთ ორგანული სასუქის – ნაკელის შეტანისას ნორმით 20-40 ტ/ჰა-ზე, მორწყვის სწორი რეზიმის შერჩევით დაჩქარდა თესლის მომწიფება, გაუმჯობესდა აღმო-ცენების ხარისხი. ნიადაგის დიაგნოსტიკის შედეგად თუ დაფიქ-სირდა კვების ელემენტების დისბალანსი, ლიტერატურულ მონა-ცემებზე დაყრდნობით სათესლე პლანტაციებში შეიძლება შეტა-ნილ იქნეს ფოსტორი 60 კგ/ჰა მოქმედი ნივთიერება მოხვნის წინ, ხოლო აზოტი 50 – 70 კგ/ჰა (მოქმედი ნივთიერება), როცა მცენარე 2-3 ფოთლიანი როზეტის მდგომარეობაშია, ხოლო კა-ლიუმი 60 კგ/ჰა (მოქმედი ნივთიერება) ყვავილობის ფაზაში.

თესლის ხარისხი და მოსავლიანობა დამოკიდებულია მცენარის კვების არეზე, ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტების სე-რია და დავადგინეთ კვების ოპტიმალური არე. ნიადაგში ორგა-ნული სასუქის შეტანისას, გადაანგარიშებით 20 და 40 ტ/ჰა, ნედლეულის მოსავლიანობა გაიზარდა 60%-ით, ხოლო თესლის

მოსავალი 80%-მდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუმჯობესდა აღმოცენების ხარისხი. გარდა ამისა ორგანული სასუქების გამოყენებით ვღებულობთ ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულს.

მძლავრი საასიმილაციო აპარატი ხელს უწყობს არა მარტო ფესვთა სისტემის განვითარებას, არამედ გენერაციული ღეროების ჩამოყალიბებას. როგორც მიღებული მონაცემები-დან ჩანს, ყველაზე მისაღები ვარიანტებია 45X25სმ და 70X25სმ კვების არე, სადაც გენერაციული ღეროებისა და ყვავილედების რაოდენობა უფრო მეტად დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიხშირითაა მიღებული სამრეწველო პლანტაციების შექმნა, რადგან გაცილებით ადვილია მექანიზაციის ჩართვა აგროტექ-ნიკური ღონისძიებების შესასრულებლად.

სათესლე პლანტაციაში უნდა ჩატარდეს ჯიშობრივი მარგვლა, ხდება იმ მცენარეების მოცილება, რომლებიც არატიპიურია, ან სუსტად განვითარებული. მაგალითად, ვეგეტაციის მეორე წელს სამკურნალო კატაბალახა ინვითარებს ცენტრალურ გენერაციულ ღეროს ყვავილებით, ხოლო შემდეგ გვერდით ტოტებს და დანარჩენ ყვავილედებს, ამიტომაც ყვავილობა და თესლის მომწიფება ღეროების განვითარების მიხედვით იწყება სხვადასხვა დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთდროულად ერთ მცენარეზე გვხვდება ყვავილები, ნახევრად მომწიფებული და უკვე მომწიფებული თესლი. თესლი პირველ რიგში მწიფდება ცენტრალური ღეროების ყვავილედებში, ხოლო შემდეგ პირველი და მეორე რიგის ღეროების ყვავილედებში. მომწიფებული თესლისათვის დამახასასითებელია მუქი ყავისფერი შეფერილობა. სამკურნალო კატაბალახას თესლის შეგროვებას ვაწარმოებდით პლანტაციაში რამდენჯერმე მათი მომწიფების მიხედვით. ხდებოდა შერჩევით მომწიფებული თესლის მოგროვება-ჩაფირთხვა ვედროებში, რაც საკმაოდ შრომატევად და არარენტაბელურად ჩავთვალეთ, ამავე დროს მოხდა პლანტაციის ზედმეტად დაზიანება, რამეთუ კატაბალახა საკმაოდ მგრძნობიარე მცენარე გახლავთ.

ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიცვალა თესლის ალების ტექნოლოგია. მცენარეებს ვაჭრიდით მთლიანად გენერაციულ ღეროებს თითქმის მომწიფებული თესლებით და ვკიდებდით სანყობებში, რომელიც ნიავდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში გაიზარდა თესლის მოსავალი 25% და ხარისხი, ანუ აღმოცენების მაჩვენებელი, რადგან ამ დროს არ ხდება მომწიფებულ ყვავილედთან მიახლოებისას თესლის გაბნევა, აღმოცენების ხარისხი კი 80-88% გახლავთ, რაც კატაბალახასათვის საკმაოდ კარგ ტესტად ითვლება. დაახლოებით ანალოგიურად ხდება სხვა მცენარეების თესლის შეგროვება.

შეგროვილი ყვავილედები უნდა დაიყაროს ქარისაგან დაცულ ადგილზე, ფარდულში ბრეზენტზე 30-40 სმ სისქის ფენად. ყვავილედები ილენება ჯოხით ისე, რომ მასში თესლი არ დარჩეს. გალენილი მასა უნდა გატარდეს 1 მილიმეტრ ნახვრეტებიან ცხავში და შემდეგ განიავდეს რამდენჯერმე სუფთა თესლის მიღებამდე. გაწმენდილი თესლი უნდა ჩავყაროთ პატარა ტომრებში, შევინახოთ მშრალ, თაგვებისაგან დაცულ შენობაში. თესლის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12-14%-ს. თუ ზუსტად არ იქნა დაცული თესლის შენახვის წესები, შეიძლება თესლს ობი გაუჩინდეს. ერთი ჰექტარი პლანტაციიდან მივიღეთ ჯერჯერობით 30-35 კგ-მდე სტანდარტული თესლი, თუმცა ეს მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს. კატაბალახას თესლისათვის დამახასიათებელია აღმოცენების ხარისხის სწრაფი დაცემა. ეს პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული თესლის ტენიანობასა, გარემოს ფარდობით ტენიანობასა და შენახვის პირობებზე. ჩვენს ექსპერიმენტებში 18-20°C ტემპერატურასა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 75%-ის დროს 6 თვის შენახვის შემდეგ თესლის, რომლის ტენიანობა 12%, აღმოცენების ხარისხი შეადგენდა 60%-ს, 10 თვის შემდეგ 55%-ს, 15 თვის შემდეგ 43%-ს, ხოლო 20 თვის შემდეგ 30%-ს; 23-27 თვის შემდეგ თესლი მთლიანად კარგავდა აღმოცენების უნარს. ხოლო მეორე შემთხვევაში – იგივე თეს-

ლის (ტენიანობა 12%), ტემპერატურა იგივე, ხოლო ჰაერის ფარდობითი ტენიანობა კი გახლდათ 83-90%, აღმოცენების ხარისხი 6 თვის შემდეგ 55 %, ხოლო 10 თვის შემდეგ 37%, 12 თვის შემდეგ აღმოცენების უნარი თესლმა მთლიანად დაკარგა.

თესლის შენახვისას გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოს ფარდობით ტენიანობას, სადაც თესლი ინახება, თუმცა არანაკლებ როლს თამაშობს თესლის ტენშემცველობაც, რაც შეეხება ტემპერატურას, იგი ლიმიტირებადი ფაქტორი არ გახლავთ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ შევინახეთ თესლი 75% ფარდობითი ტენიანობის პირობებში, თესლის ტენიანობა 9%-ს აღწევდა 12 თვის განმავლობაში, შემდეგი წლის ადრე გაზაფხულზე დავთესეთ და მივიღეთ საკმაოდ სრულყოფილი პლანტაცია, რაც ძალზე იშვიათი შემთხვევაა.

ამრიგად, საწარმოო პირობებში მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი პირობაა ინტენსიურ ტექნოლოგიასთან ერთად ყველაზე ძვირფასი ჯიშების თესვა, რაც დაკავშირებულია მეთესლეობის განვითარებასთან. პროცესი მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ჯიშის გამრავლება და სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება, სტანდარტული და კონდიციური თესლის მიღება და დათესვა ფარმაციის განვითარების წინაპირობაა, რაც გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკას.

თესლის აღმოცენების უნარის განსაზღვრა – თესლის აღმოცენების უნარის განსაზღვრა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. რადგან თესლის აღმოცენების უნარზეა დამოკიდებული თესვის ნორმა და რიგი ბიოლოგიური მახასიათებლები.

თესლის აღმოცენების უნარის დასადგენად უნდა ავილოთ თესლის 100-100 ცალი, რომელიც თავსდება ფილტრის სველ ქაღალდზე, პეტრის ჯამში ან უბრალო თეფშზე (ლაბორატორიული მეთოდი). თესლი გასაღივებლად ოთახის ტემპერატურაზე ($18-20^{\circ}\text{C}$) უნდა მოთავსდეს. გაღივებული თესლს ითვლიან ორჯერ. პირველად – დადგენილი დღეების შემდეგ ზრდის ენერგიის განსაზღვრისათვის (3 დღეში), მეორედ – ისევ

დადგენილი დღეების შემდეგ აღმოცენების უნარისთვის (მე-5 და მე-7 დღეს). უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კულტურის თესლს სხვადასხვა დრო (დაახლოებით 7-14) დღე სჭირდება აღმოცენებისთვის.

ზრდის ენერგიის ქვეშ გულისხმობენ თესლის გაღივებას ერთდროულად და მოკლე ვადაში. გაღივების მაღალი ენერგია ნათესის ერთდროულად აღმოცენებაში, განვითარებასა და მომწიფებაში ვლინდება. ზრდის ენერგიას ანგარიშობენ %-ით, მოცემულ ვადაში გაღივებული თესლების რაოდენობის მიხედვით.

გაღივებულ თესლად ითვლება ისეთი თესლი, რომელსაც ნორმალური პირველადი ფესვი განუვითარდა და ის თესლის სიგრძეზე ნაკლები არ არის.

აღმოცენებად თესლებად ითვლება ისეთი თესლები, რომლებმაც არ განვითარეს დეროს ნაზარდი, ან განვითარდა, მაგრამ უსუსური, არასტანდარტული.

აღმოცენებაც და გაღივებაც იანგარიშება %-ით, ისევე როგორც ყველა ნიმუში. გადახრა ცალკეულ ნიმუშს შორის უნდა იყოს მცირე.

თუ ერთ ნიმუში გადახრა აღმოჩნდა დასაშვებზე მეტი, მაშინ გაღივების ენერგიისა და აღმოცენების % – ი გამოიანგარიშება დანარჩენი სამიდან. თუ გადახრა დასაშვებზე მეტია 2 ნიმუში, მაშინ იმეორებენ ერთი ნიმუშის ცდას და მისი მონაცემიდან ანგარიშობენ. ე.ი. ცდას შეიძლება გამოეთიშოს მხოლოდ ერთი ნიმუში. სხვა შემთხვევაში ცდა მეორდება.

1000 მარცვლის მასის განსაზღვრა – თესლის ხარისხი ხასიათდება 1000 მარცვლის მასით გრამებში. 1000 მარცვლის მაღალი მასა თესლის სიმსხვილის მაჩვენებელია. მაგ. თუ ერთნაირი ზომის თესლი რომელიმე კულტურის სხვადასხვა ჯიშს აქვს, მაშინ თესლის მასა მისი შინაგანი სტრუქტურის სიმკვრივეს ახასიათებს და ამგვარად თესლის შემადგენელი საკვები ნივთიერებების მარაგს განსაზღვრავს.

1000 მარცვლის მასის განსაზღვრა წარმოებს შემდეგნაი-

რად: სიწმინდეზე ანალიზის შემდეგ იღება თესლის 2 ნიმუში 500-500 ცალის ოდენობით, ნიმუშები იწონება 0.01 გ. სიზუსტით. თუ ამ ორი ნიმუშის მასას შორის განსხვავება არ აღმატება 3%-ს, მაშინ ამ ორი ნიმუშიდან 1000 მარცვლის საშუალო არითმეტიკული გამოითვლება, მსხვილმარცვლებისანებისათვის 0,1გ.- სიზუსტით, წვრილმარცვლისანებისათვის 0,01გ.- სიზუსტით.

თესლის სათესი (სამეურნეო) ვარგისიანობის განსაზღვრა
– თესლის სათესი (სამეურნეო) ვარგისიანობის განსაზღვრაში იგულისხმება სუფთა და ერთდროული აღმონაცენის მიღება.

სათესი ვარგისიანობა დგინდება მხოლოდ კონფიციური თესლისათვის. მის საფუძველზე ხდება სათესი ნორმის ცვლილების განსაზღვრა. თესლის მიკუთვნება ამა თუ იმ კლასისათვის ხდება სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით.

თესვის სიღრმე – თესვა უნდა წარმოებდეს თანაბარ სიღრმეზე. არათანაბრად ჩათესილი თესლი თანაბრად არ აღმოცენდება. ზოგი შეიძლება ისე ღრმად მოხვდეს ნიადაგში, რომ საერთოდაც ვერ აღმოცენდეს, ზოგი კი ჩაუფლავი დარჩეს და დაიღუპოს. თესვის სიღრმეც განსხვავებულია. რამდენადაც წვრილია თესლი, მით უფრო ზედაპირულად უნდა დაითესოს და მიიტკებოს, მსხვილი თესლი კი შედარებით ღრმად. მსუბუქ ნიადაგებზე თესლი უფრო ღრმად ითესება, ვიდრე მძიმეზე, რადგან მძიმე ნიადაგებზე აღმოცენებისას ხდება წინააღმდეგობის დაძლევა და ღრმად ჩათესილი თესლი საკმარის სითბოს და ჰაერს ვერ იღებს.

თესვის მრავალ წესს არჩევენ – ძირითადად კი გვხვდება მობნევით და მწკრივში თესვა.

მობნევით თესვა უხსოვარი დროიდან არის ცნობილი და ათასეული წლების მანძილზე ხელით სრულდებოდა. ამჟამად იგი არარაციონალურად მიიჩნევა და აგროტექნიკურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, რადგან პლანტაციაში მექანიზაციით მუშაობას აფერხებს.

მწკრივში თესვა მრავალგვარია: მთლიანი ანუ ჩვეულებრივი თესვა, ვიწრო – მწკრივად, ფართო – მწკრივად, ზოლური

ანუ ლენტისებური თესვა, ბუდობრივი, პუნქტირული, თხემზე (ბაძოებზე), კვლებში და სხვ.

სამკურნალო, არომატულ, თაფლოვან, სალებარ, სანელებელ და შხამიან მცენარეებს თესენ ან რგავენ შემდეგი წესით: მწკრივში, ზოლურად ანუ ლენტისებურად, კვადრატულ – ბუდობრივად.

თესვის ვადები – თესვის ვადების მიხედვით სამკურნალო, არომატულ, სალებარ, თაფლოვან, სანელებელ და შხამიან მცენარეებს ორ ჯგუფად ყოფენ: საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურებად. საგაზაფხულო კულტურებია (გულყვითელა, სალბი, ბაყაყურა და სხვ.), რომელთა თესლი შედარებით დაბალი ტემპერატურის პირობებში ღივდება და მათი აღმონაცენები მცირე წაყინვას უძლებენ.

სამკურნალო, არომატულ, სალებარ, სანელებელ და შხამიან მცენარეთა უმეტესობა (კატაბალახა, კვლიავი, ბარამბო და სხვ.) სასურველია, დაითესოს ადრე შემოდგომით, მაშინ მცენარეები აღმოცენებას ასწრებენ, ინვითარებენ ფესვთა სისტემას და მინისზედა ნანილს, შემდეგ გადადიან მოსვენებით მდგომარეობაში, ადრე გაზაფხულზე იწყებენ ვეგეტაციას, ანუ მაქსიმალურად ითვისებენ სითბოსა და ტენს. შემოდგომასა და გაზაფხულზე ონთოგენეზის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, მძლავრი მცენარეები ვითარდებიან და მოსავალიც შესაბამისად მაღალია.

თესვის ნორმა – თესლის თანაბარი განაწილება და მის რაოდენობა (ნორმა). ამ პროცესზეა დამოკიდებული მომავალი მცენარის კვების არე, რომელიც კულტურის სახეობის მიხედვით იცვლება. ყოველი ცალკეული მცენარის კვების არე ფართობის სიდიდის მცენარეთა რიცხვზე გაყოფის შედეგად მიიღება. კატაბალახასათვის ოპტიმალური კვების არეა $25X45$ სმ ან $25X75$ სმ, თესვის ნორმა 10-12 კგ/ჰა სტანდარტული თესლი; კვლიავისათვის კვების არე $25X45$ სმ. ხოლო თესვის ნორმა 8-10 კგ/ჰა სტანდარტული თესლი.

სამკურნალო, არომატული, საღეპარი, სანელებელი და შხამიანი გვენარების თესვა და დარგვა

მცენარეების ბიოლოგიური თავისებურებების შესასწავლი-სას აღმოჩნდა, რომ სასიცოცხლო ციკლის გავლა დამოკიდებულია სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობასა და ამ პერიოდში არსებული ეკოსისტემის პარამეტრებზე. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ძირითადი განსაზღვრული ფაქტორებია ნალექები, ტემპერატურა და ფარდობითი ტენიანობა ნიადაგის ნაყოფიერებასთან ერთად. თუ მცენარე არ არის სითბოს მოყვარული, კარგად იტანს ზამთრის ყინვებს. თესლი აღმოცენებას იწყებს ადრე გაზაფხულზე $+7^{\circ}\text{C}$ -ის დროს. ადრე იწყებს ასევე ვეგეტაციას შემოდგომით ნათესი პლანტაცია. სამკურნალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეები საქმაოდ პრეტენზიულებია ნიადაგის ნაყოფიერები-სადმი. ისინი ძირითადად სინათლის და ტენის მოყვარული მცენარეებია, ამიტომაც სამრეწველო პლანტაციების შექმნისას უნდა შეირჩეს განათებული, ტენით უზრუნველყოფილი ნაკვე-თები. ტენის მოყვარული მცენარეები ოპტიმალურ მოსავალს იძლევიან, როცა არ აქვთ ტენის დეფიციტი. ამიტომაც შემოდ-გომით დათესილი მცენარეები ადრე გაზაფხულზე იწყებენ ინ-ტენსიურ ვეგეტაციას, მათთვის საშიშროებას არ წარმოადგენს გაზაფხულის წაყინვები და გვალვები. ზრდა-განვითარებისას ნაყოფიერებასთან ერთად დიდ როლს ასრულებს ნიადაგისა და გარემოს ტემპერატურები და ფარდობითი ტენიანობა. ვეგეტა-ციის გარკვეულ პერიოდში მცენარეები კმაყოფილდებიან ტე-ნის იმ მარაგით, რაც გროვდება ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში, ხოლო ყვავილობისა და თესლის ფორმირება-მომწიფების პერიოდში კი ტენისა და საკვები ელემენტების ოპტიმალური რაოდენობა სჭირდებათ.

ონთოგენეზის პერიოდში სამკურნალო, არომატული, სანელე-ბელი, თაფლოვანი, საღებარი და შხამიანი მცენარეები შეგუე-ბით ცვლილებებს განიცდიან, რაც ძირითადად, საასიმილაციო

აპარატის ფორმირებაში გამოიხატება, ხდება ორგანოთა შეგუების შეცვლა, რადგან ცნობილია, რომ მცენარეთა სასიცოცხლო პირობებთან ერთობა რეალიზირდება ცალკეული ორგანოების საშუალებით და ეკოსისტემას შესაბამისი ფიზიოლოგიური ფუნქციების საშუალებით შეერწყმება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიოლოგიური ფაზების მიმდინარეობის დინამიკა ფენოლოგიური სეზონების გათვალისწინებით, (კვლიავი, სალბი, კამა, კატაბალახა, გულყვითელა, ბარამბო და სხვ.) კლიმატურ პირობებს თანხვდება.

პირველი ფაზა – გაღივების ფაზა	მოიცავს მცენარის მიწისქვეშანაწილის ზამთრის მოსვენების პერიოდს ამონაყრის წარმოქმნამდე.
მეორე ფაზა – აღმოცენება	ამონაყრის ყლორტის წარმოქმნიდან აღმოცენებამდე.
მესამე ფაზა – ფოთლების განვითარება	ყლორტის აღმოცენებიდან შეფოთვლამდე
მეოთხე ფაზა – გვერდითი ღეროების განვითარება	შეფოთვლიდან გვერდითი ღეროების ჩამოყალიბებამდე
მეხუთე ფაზა – თანაყვავილების წარმოქმნა	გვერდითი ღეროების განვითარებიდან ყვავილობის დაწყებამდე
მეექვსე ფაზა – ყვავილობა	ყვავილობის დასაწყისიდან მთელი პერიოდი
მეშვიდე ფაზა – თესლის სიმწიფეში შესვლა	თესლის მომწიფების დაწყება
მერვე ფაზა -თესლების ტექნიკური, სრული სიმწიფე	თესლის ტექნიკური სიმწიფის დაწყებიდან – სრულ სიმწიფემდე
მეცხრე ფაზა – მცენარის მიწისზედა ნაწილის კვდომა	მიწისზედა ნაწილის ფიზიოლოგიური კვდომის დაწყებიდან სრული კვდომა

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, სანელებელი, სალებარ და შხამიან მცენარეთა თესვის ვადები შეზღუდული არ არის – შეიძლება დაითესოს ზაფხულში, უშუალოდ თესლის აღებისთანავე, როცა არის აღმოცენების მაქსიმალური ენერგია. ასევე, წარმატებით ითესება შემოდგომა – ზამთრის პერიოდში, თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ აღმონაცენი წაყინვებმა არ დააზიანოს, არ დაიტბოროს, ან არ მოხდეს ნათესის გადარეცხვა, რადგან ამ მცენარეთა უმრავლესობა წვრილ-თესლოვანი კულტურაა და 1,0-1,5 სმ. სიღრმეზე ითესება – ერთ ჰექტარზე 10-12 კგ. უმაღლესი ხარისხის თესლით, ნათესი აუცილებლად უნდა მიიტკრპნოს გადარეცხვის შესამცირებლად, რიგთაშორისები 45-70 სმ, ზამთარში თესლის ნორმა იზრდება 20-25%-ით. საყურადღებოა, რომ თესლის აღმოცენების დასაჩქარებლად შეიძლება ჩატარდეს თესლის სტრატიფიკაცია. ყველაზე ოპტიმალურ კვების არედ შეიძლება ჩაითვალოს 45X25სმ და 70X25სმ, თითო მცენარე ბუდნაში. ისინი მრავ-ლდებიან ვეგეტაციური გზით, ერთი მცენარიდან ვეგეტაციის დამთავრებისას შეიძლება მივიღოთ 4-5 და ხშირად მეტი მცენარე, ამიტომ რამდენიმე მცენარე ერთ ბუდნაში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

მცენარეების ჩითილებით გამრავლებისას სასურველია შეირჩეს სარწყავი ნაკვეთი, ურწყავი ნაკვეთი 2-ჯერ ირწყვება ხელით, დარგვის წინ და დარგვის შემდეგ. დარგვისა და მორწყვის შემდეგ ჩითილს გარშემო უნდა შემოეყაროს მშრალი, ფხვიერი მიწა და მიიტკრპნოს. სარწყავ ნაკვეთებზე კი ფართობი უნდა დაიკვალოს 70 სმ-ის დაშორებით. დარგვის წინ კვლებში წყალი უნდა გავუშვათ და თან დავრგოთ აღნიშნული მანძილის დაცვით. დარგვისას ჩითილი მიწაში უნდა დაირგოს ისე, რომ ფესვები არ მოეკეცოს. მოგეხსენებათ, ამ მცენარეებისათვის ძირითადად დამახასიათებელია ფესვებისა და ფესურების მძლავრი სისტემის განვითარება. ნამდვილი ფოთლების პირველი წყვილი ნიადაგის ზედაპირის დონეზე უნდა იყოს, მიწა კი კარგად მიიტკეპნოს, შემდეგ პლანტაცია აუცილებლად უნდა

მოირნყას. დარგვიდან 4-5 დღის შემდეგ კი შემოწმდეს და მოხდეს გაცდენილი ადგილების გამორგვა. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში პლანტაციაში ნიადაგი ფხვიერ და სარეველებისაგან სუფთა მდგომარეობაში უნდა ვიქონიოთ. ყურადღება უნდა მიექცეს პლანტაციის მოვლას ზაფხულის პირველ ნახევარში, როცა მცენარე ნელა იზრდება, სარეველები კი სწრაფი ტემპით ვითარდებიან, გადაეზრდებიან ნორჩ ჩითილებს, ართმევენ ნიადაგიდან საკვებ ნივთიერებას, წყალს და ახშობენ მათ. პლანტაციების დამუშავება (კულტივაცია, გათოხნა) ხდება პლანტაციის დასარევლიანების მიხედვით, ვეგეტაციის დასაწყისში.

სამკურნალო, არომატულ, სანელებელ, საღებარ და შხამიან მცენარეთა კულტივირებული პლანტაციების გაშენებისას ფერმერულ მეურნეობებში უნდა გავითვალისწინოთ სისტემის: **გარემო – ნიადაგი – მცენარე – სასუქი – მოსავალი** კრიტერიუმები, შევარჩიოთ გამრავლების ოპტიმალური მეთოდი და ვადა სასურველი რეგიონისათვის, პროცესების სწორად წარმართვისას მოხდება მაღალი პროდუქტულობისა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სტანდარტული შემცველობის მქონე, ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულსა და პროდუქციას მიღება.

განოყიორების სისტემა

სასუქების შეტანა ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას. ისინი არა მარტო ავსებენ ნიადაგს საკვები ელემენტებით, არამედ აუმჯობესებენ ნიადაგის ქიმიურ, აგროქიმიურ, ფიზიკურ თვისებებს; ზრდიან მის ბიოლოგიურ აქტივობას, ხელს უწყობენ საკვები ნივთიერების მობილიზაციას და რაც მთავარია, შეთვისებას. მცენარე ნიადაგიდან იღებს საკვებს, კვებისა და განვითარებისათვის საჭირო ბიოლოგიურ ნივთიერებებს, რაც თავის მხრივ ადიდებს პროდუქტულობას, მაგრამ სასუქების ჭარბი შეტანა ზრდის ნედლეულის თვითლირებულებას და ქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს როგორც გარემოში, ნიადაგსა თუ მცე-

ნარეში, რიგ შემთხვევაში აუარესებს მოსავლის ხარისხს. ნიადაგის და ეკოსისტემის დიაგნოსტიკის შედეგად დგება ამა თუ იმ მცენარისათვის განოყიერების ოპტიმალური მოდელი ეკო-ლოგიურად სუფთა და მაღალი მოსავლის მისაღებად, რადგან ნიადაგისათვის საკვები ელემენტები მოსავალთან ერთად იკარგება და აუცილებელი ხდება მათი კომპენსაცია სასუქების სახით. პირველ რიგში მცენარე კარგავს კალიუმს, აზოტს, ფოსფორს, კალციუმს. ბუნებრივია ამას მოსდევს პროდუქტიულობის დაქვეითება.

მცენარის და ნიადაგის ნიმუშების დიაგნოსტიკის შედეგად დგინდება:

- * საკვებ ელემენტთა დეფიციტი;
- * საკვებ ელემენტთა მისაღები ფონი;
- * საკვებ ელემენტთა ჭარბი, ანუ მაღალი ფონი;
- * საკვებ ელემენტთა ტოქსიკური ფონი.

სასუქების ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერების ტესტის დიფერენცირება მათი ჭარბი ან დეფიციტური ფონის თავიდან ასაცილებლად და ოპტიმალური კვების ბლოკის შესაქმნელად.

მინერალური სასუპები

აზოტი – ხელს უწყობს მცენარეთა ვეგეტატიური ორგანოების ინტენსიურ ზრდა-განვითარებას, ქლოროფილის დაგროვებას, შედის ამინომჟავების შემადგენლობაში, რომლებისაგან აგებულია ცილის რთული მოლეკულა. აზოტი მონაწილეობს ცილის სინთეზსა და დაგროვებაში, რაც ნედლეულის ხარისხობრივი ტესტის ერთ-ერთი მაჩვენებელია. აზოტით ოპტიმალურ ფონზე მცენარე უკეთ ითვისებს წყალს და შესაბამისად საკვებ ნივთიერებებს. ორგანული ნივთიერებებით მდიდარი ნიადაგი აზოტს 0,5-1,0%-მდე შეიცავს; ღარიბ ნიადაგებში კი მისი შემცველობა 0,10-0,15%- მდეა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზოტის ჭარბი რაოდენობა ხელს უწყობს არახელსაყრელი პი-

რობებისადმი არამდგრადი, სუსტი მცენარეების წარმოქმნას, მცენარის ვეგეტაციის პერიოდის გახანგრძლივებას, ნაყოფის მომწიფების დაგვიანებას. ისინი ადვილად ზიანდებიან მექანიკური და გარემო ფაქტორების მიერ, ნაკლებად მდგრადი არიან დაავადებების, მავნებელთა და დაბალი ტემპერატურის მიმართ. ზოგ კულტურაში ხდება ნიტრატების ჭარბად დაგროვება, ეთერზეთების დაგროვების შენელება, რაც თავის მხრივ აუარესებს ნედლეულის ხარისხს, შესაბამისად მცირდება სასაქონლო ფასიც. აზოტის დეფიციტის დროს კი მცენარის ფოთლები ღია მწვანე ფერს ღებულობენ, შენელებულია ზრდა-განვითარებისა და მეტაბოლიტური პროცესები.

ფოსფორი – მონაწილეობს მცენარეული ორგანიზმების ნივთიერებათა ცვლასა და ფოტოსინთეზის პროცესში; იგი ადენოზინტრიფოსფორის მჟავისა (ატფ) და გენური მასალების (ქრომოსომები და გენები) ნაწილია; არეგულირებს ბიოლოგიური რეაქციების მიმდინარეობას, რადგან ინახავს და გადასცემს ენერგიას ყველა ცოცხალ სუბსტრატს; ხელს უწყობს ფესვთა სისტემის ჩამოყალიბებას და აუმჯობესებს ფესვების მიერ წყლის შეწოვის პროცესს; აუმჯობესებს გამძლეობას სტრესების (დაბალი ტემპერეატურა, დაავადებანი) მიმართ; აჩქარებს ნაყოფების დამწიფებას და აუმჯობესებს მათ ხარისხს. ფოსფორი განსაკუთრებით აუცილებელია იმ კულტურებისათვის, რომელთა ყვავილებს ვიყენებთ. უნდა აღინიშნოს, რომ აზოტი და ფოსფორი აუცილებელია ოპტიმალური რაოდენობით მცენარეთა ნირმალური ზრდა – განვითარებისათვის, რადგან ჭარბი რაოდენობით ფოსფორი არ ახდენს ყვავილთა ზრდის სტიმულირებას. იგი არეგულირებს მცენარის მიერ აზოტის შეთვისების პროცესსაც, რაც თავის მხრივ აბალანსებს მცენარეებში მეტაბოლიტურ პროცესებს. მცენარე იყენებს შეტანილი ფოსფორიანი სასუქის 10-30%, დანარჩენი კი ინახება ნიადაგში, ქმნის რეზერვს, და გამოიყენება მცენარეების მიერ მომავალში.

კალიუმი – არეგულირებს მცენარეში უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო პროცესებს – ააქტიურებს ფერმენტებს, რაც თავის მხრივ აუცილებელია ცილების, სახამებლის, ცელულოზისა და ლიგნინის წარმოქმნისათვის. ეს ელემენტი საჭიროა სქელი, ძლიერი ღეროების განვითარებისათვის, იგი მონაწილეობს ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესებში, აუმჯობესებს დაბალი ტემპერატურისადმი და დაავადებებისამი მდგრადობას. კალიუმი ცილებში არ შედის, მაგრამ ხელს უწყობს მათ დაგროვებას, მექანიკური ქსოვილების წარმოქმნას, ღეროს გამაგრებას, კალიუმის დეფიციტის დროს თესლი და ნაყოფი წვრილია, არ არის დასრულებული და ადვილად კარგავს აღმოცენების უნარს. კალიუმი უფრო თავისუფლად მოძრაობს ნიადაგში, ვიდრე ფოსფორი, მაგრამ ნაკლებად თავისუფლად, ვიდრე აზოტი. მცენარეს კალიუმის ნაკლებობა ეტყობა „კიდური დამწვრობის“ სახით, ანუ იქმნება დამწვრობის ეფექტი ქვედა, ბებერ ფოთლებზე.

კალციუმი – დიდი როლს თამაშობს ფოტოსინთეზისა და ნახშირნყლების მეტაბოლიზმის პროცესებში; წარმოადგენს უჯრედების, კედლების და მემბრანებისათვის საკვანძო კომპონენტს; მონაწილეობს ცილების წარმოქმნისა და კარბოჰიდრატების გადაადგილებაში; არეგულირებს ფესვთა სისტემის ზრდა – განვითარებას, მისი ნაკლებობის დროს ფესვები წყვეტინ ზრდას. ფოსფორი აკონტროლებს ნიადაგის მჟავიანობას და ხელს უწყობს ნიადაგის აგრეგირებას; უჯრედების კედლებსა და მემბრანებში მნიშვნელოვანი როლის გამო კალციუმის დეფიციტი დიდ პრობლემას ქმნის იქ, სადაც უჯრედები აქტიურად იყოფა და იზრდება, მაგალითად, ფესვებისა და ღეროების წვეროებზე, ნელდება ნაყოფის განვითარების პროცესი.

მაგნიუმი – ქლოროფილის არსებითი ინგრედიენტია, ახდენს ფერმენტთა გააქტიურებას, ჩართულია ცილების, ცხიმების და კარბოჰიდრატების სინთეზში. მაგნიუმის დეფიციტი ინგევს გვალვის, სიცივისა და დაავადებათა მიმართ მდგრადობის

შემცირებას, ამასთანავე ქლოროფილის მცირე რაოდენობის ფონზე შეინიშნება ფოთლების გაყვითლება და ქლოროზი, მაგნიუმის უკმარისობის დროს მცენარის ქვედა ფოთლები ჭკნება, ღებულობს ბრინჯაოსფერ შეფერილობას და შემდეგ ცვივა.

მიკროელემენტები აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას მცენარეში, ენიაალმდეგებიან ფუნქციონალურ დარღვევებს და ხელს უწყობენ ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების ნორმალურ მიმღინარეობას, გავლენას ახდენენ ქლოროფილის სინთეზზე, ამაღლებენ ფოტოსინთეზის ინტენსივობას, შედიან ფერმენტების შედგენილობაში და ააქტიურებენ მათ. მიკროელემენტების ოპტიმალური შედგენილობა ზრდის მცენარეთა გამძლეობას სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებებისადმი, გარემოს არახელსაყრელი პირობებისადმი, მათ შორის როგორიცაა ნიადაგში ტენის ნაკლებობა, დაბალი ან მაღალი ტემპერატურები, გამოზამთრების მძიმე პირობები და ა.შ. ისინი გავლენას ახდენენ მცენარეში მინერალური ელემენტების გადაადგილებაზე, გადანაწილებაზე და მეტაბოლიტურ პროცესებში ჩართვის ინტენსიონაზე.

რკინა – რკინის ნაკლებობისას მცენარე ავადდება ქლოროზით. რკინა ნიადაგში 3% და მეტი რაოდენობით მოიპოვება. მას დღიდი რაოდენობით შეიცავენ ნითელმინები და ლატერიტები. რკინა შედის ფერმენტების შემადგენლობაში, ააქტიურებს მათ მოქმედებას ნივთიერებათა გარდაქმნებისას;

გოგირდი – შედის ცილის, ზოგიერთი ამინომჟავის, მცენარეული ზეთების, ვიტამინების შედგენილობაში; მონანილეობს ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, სუნთქვისა და ცხიმების ცვლის პროცესებში. გოგირდის სიმცირის სიმპტომები ძალიან წააგავს აზოტის შიმშილის ნიშნებს;

ბორი – დიდ გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე. მისი სიმცირისას ირლვევა ნახშირნყლების გადანაცვლების, რეპროდუქციული ორგანოების წარმოქმნისა და განაყოფიერების პროცესები, მცირდება ნაყოფმსხმოიარობა;

ბორის, სპილენძის, თუთიის ნაკლებობა განაპირობებს თავისუფალი ამინომჟავების შემცველობის მნიშვნელოვან ზრდას, რაც მიუთითებს ზემოთ მითითებული მიკროელემენტების ნაკლებობის პირობებში ცილების სინთეზის რღვევაზე;

ბორი, თუთია, მოლიბდენი – ამაღლებს ფოტოსინთეზის აქტივობას;

სპილენძი, მოლიბდენი, ბორი, მანგანუმი, კობალტი – დადებითად მიქმედებენ ფოთლებში ქლოროფილის სინთეზზე, ამცირებენ მის დაშლას სიბნელეში;

სპილენძი – მცენარეში აძლიერებს სუნთქვის აქტიობას, ჟანგვა-აღდგენით პროცესებს, გავლენას ახდენს ვიტამინების, ცილების, ნახშირნყლების, ორგანული მჟავების და სხვა ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი, ძვირფასი ნაერთების სინთეზზე. მას შეუძლია დააჩქაროს მცენარის განვითარება და თესლის მომწიფება;

ბორი, სპილენძი, თუთია, მოლიბდენი – აუმჯობესებენ ნახშირნყლების გადანაცვლებას, განსაკუთრებით საქართვის გადაადგილებას ფოთლებიდან ლეროში და რეპროდუქტიულ ორგანოში;

მოლიბდენის – სიმცირე განაპირობებს მცენარეში აზოტის მონაწილეობის დარღვევას ნივთიერებათა ცვლის პროცესებში, ამინომჟავების რაოდენობის შემცირებას, რის გამოც ზედა იარუსის ფოთლების ძარღვებშორისებში თავდაპირველად შეინიშნება ღია მწვანე ან მკრთალი ყვითელი შეფერვა, რომლებიც შემდგომში ისინი მთლიანად ქლოროზული და ალაგ-ალაგ ამობურცული ხდებიან და ხმებიან. ფოთლის კიდეები ზემოთ არის ამოხვეული.

ორგანულ სასურათი

სამკურნალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების გასანოებრებლად იყენებენ ძირითადად **გადამწვარ ნაკელს** (20-40 ტ/ჰა), რომელიც ჩაიხ-

ვნება ნიადაგში. ორგანული სასუქის შეტანით არა მარტო მდიდრდება ნიადაგი მცენარისათვის შესათვისები საკვები ნივთიერებებით, არამედ უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფაქტორია მაღალი, ხარისხიანი მოსავლის მისალებად.

სიდერატები ანუ მწვანე სასუქები გამოიყენება შემდეგი ფუნქციით:

* ამდიდრებენ ორგანული ნივთიერებებით ნიადაგს და აუმჯობესებენ მის თვისებებს;

* პარკოსანი კულტურები ფესვთა სისტემას ძლიერ ღრმად ინვითარებენ, აფხვიერებენ ნიადაგის ქვედა ფენებს და იქ არსებული საკვები ელემენტები, შეთვისების შედეგად, ზედა ფენებში ამოაქვთ;

* ახდენენ ნიადაგში მცენარისათვის ზოგიერთი საკვები ნივთიერებების მობილიზაციას და ისინი მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ ფორმებში გადაჰყავთ.

3.1. მიკრობულტურა

ვერმიკულტურა წარმოადგენს კომპოსტურ ჭიებს ორგანულ სუბსტრატში. იგი წარმოადგენს რთულ ეკოლოგიურ თანასაზოგადოებას, რომელიც შეზღუდულია კულტურულ ლანდშაფტში გარკვეული ბიოტიპით. ვერმიკულტივირება ბიოტექნოლოგიის ახალი მიმართულებაა და გულისხმობს ჭიაყელების ზოგიერთი სახეობის სამრეწველო გაშენებას. ჭიაყელების სიმკვრივე 1m^2 –ზე 120 ერთეულს, ხოლო ბიომასა 50გ–ს აღწევს. მათი კვების ძირითადი წყარო მცენარეული ნარჩენებია. ჭიაყელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნიადაგის თვისებების გაუმჯობესებაში, კერძოდ აუმჯობესებენ აერაციას, ხელს უწყობენ წყლის მიმოქცევას, აძლიერებენ ჰუმიფიკაციას, ნიტრიფიკაციას და ამონიფიკაციას. ჭიაყელებს შეუძლიათ შიმშილი 2–4 თვის მანძილზე. ისინი ტენის მოყვარულები არიან. კვებისათვის ოპტიმალური ტემპერატურაა 20^0 – 25^0C , გამრავლები-

სათვის $12^{\circ}-17^{\circ}\text{C}$, აუცილებლად საჭიროებენ აერაციას. მათი არსებობისათვის ნიადაგის არეს ოპტიმალური რეაქციაა ნეიტ-რალური და სუსტი მჟავე. ქვიშიანი, თიხიანი, მჟავე და დამლა-შებული ნიადაგები მიუღებელია ჭიაყელების კულტივირები-სათვის, გაურბიან ქარს. ბუნებრივ პირობებში ჭიაყელები არ ავადდებიან. მათი დაღუპვა ბუნებრივ პირობებში დაკავშირებულია ნიადაგების გადამეტებულ ქიმიზაციასთან. ჭიაყელები ყლაპავენ რა ორგანული ნივთიერებების ნაწილს, ტრანსფორმი-რების შემდეგ მათ გამოყოფენ ქვიშიანი ექსკრემენტების სახით, რომლებსაც კოპროლიტებს უწოდებენ. კოპროლიტების მოქმე-დებით უმჯობესდება ნიადაგის სტრუქტურა და პიოქიმიური შედგენილობა. საბოსტნე ნაყოფიერი ნიადაგის ზედა ფენასთან შედარებით კოპროლიტები შეიცავს 5- ჯერ მეტ პიოლოგიურ აზოტს, 7 -ჯერ მეტ ფოსფორსა და 11-ჯერ მეტ კალიუმს. კოპ-როლიტებში გროვდება კალციუმის მნიშვნელოვანი რაოდენო-ბა, რაც უზრუნველყოფს ნიადაგის კარგ წყალგამძლე სტრუქ-ტურას და მაღალ წყალშეკავებით უნარს, ამასთან კალციუმი აქვეითებს ნიადაგის მჟავიანობას და ამუხრუჭებს მცენარეების დაავადებების განვითარებას. კოპროლიტების გარშემო ენერ-გიულად ვითარდება ნიადაგური მიკროფლორა. მცენარეებს ექ-მნებათ ხელსაყრელი გარემო ზრდისა და განვითარებისათვის. ჭიაყელები ამდიდრებენ ნიადაგს მაკრო- და მიკროლემენტე-ბით, ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი ნივთიერებებით, ანტიბიოტიკებით.

პიოპულუსი

პიოპულუსი წარმოადგენს რუხი-ყავისფერი შეფერილო-ბის მიწის სუნის მქონე კოშტოვან მიკროგრანულირებულ ნივ-თიერებას, შეიცავს კარგად დაბალანსირებულ და ადვილად სსნად ფორმაში მცენარის კვებისათვის საჭირო ყველა ნივთიე-რებას. პიოპულუსში მშრალი ორგანული მასის შემცველობა შე-ადგენს 50%-ს, ჰუმუსი 18%-ია. არეს რეაქცია ხელსაყრელია

მცენარეებისა და მიკროორგანიზმებისათვის pH – 6,8–7,4; აზოტის საშუალო შემცველობა აღნევს – 2,2%, ფოსფორის – 2,6%, კალიუმის – 2,7%. გარდა ამისა ბიოჰემუსში წარმოდგენილია პრაქტიკულად ყველა საჭირო მიკროელემენტი და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მათ შორის ფერმენტები, ვიტამინები, ჰორმონები, აუქსინები, ჰეტეროაუქსინები და სხვ. ბიოჰემუსის საუკეთესო ნიმუშის 1გ–ში აღინიშნება მიკროორგანიზმების რამდენიმე მილიარდი უჯრედი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ნაკელში მიკრობების რაოდენობას (150 – 350მლნ). იგი ხასიათდება მაღალი ფერმენტაციული აქტიურობით, ჰუმუსის ფულვატურ-ჰუმატური ტიპით, რაც ხელს უწყობს ნიადაგის აგრონომიულად ძვირფასი სტრუქტურის ფორმირებას. ბიოჰემუსის შემადგენლობაში არსებული კვების ელემენტები ურთიერთმოქმედებენ ნიადაგის მინერალურ კომპონენტებთან და წარმოქმნიან რთულ კომპლექსურ ნაერთებს, რაც იცავს ნიადაგს გამორეცხვისაგან, ისინი წყალში ნელა იხსნებიან და უზრუნველყოფენ მცენარეთა კვებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში არა წაკლებ 2–3 წლისა. ბიოჰემუსი შეაქვთ ნიადაგში დათესვის დროს მწკრივებში და ბუდებში.

მორცვა

სამკურნალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მცენარის წყლით უზრუნველყოფის საკითხი. მორწყვა საჭიროა მეტ-ნაკლებად, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, რადგან აღნიშნული მცენარეები ტენისმოყვარულები არიან. ნორმალური რწყვა შესაძლებელია მხოლოდ კარგად მოშანდაკებულ ნაკვეთზე. რწყვა უნდა ჩატარდეს წყლის კვლებში მიშვებთ და გაუონვით. თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ მცენარეთა თავისებურებანი, მაგალითად რწყვის ხანგრძლივობა და რეჟიმი ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მცენარის მინისქვე-

შა ნაწილებში ძვირფასი ექსტრაქტული ნივთიერებების მინიმა-
ლური დანაკარგები დაგვრჩეს. სარწყავი კვლების სიგრძე და
სიღრმე ძირითადად დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ შედ-
გენილობასა და ნაკვეთის დაქანებაზე. მძიმე შედგენილობის ნი-
ადაგებზე, სადაც საჭიროა კვლებში წყლის დატბორება გაუონ-
ვის მიზნით, კვლების სიღრმე უნდა იყოს 20-25 სმ, საშუალო და
მსუბუქ ნიადაგებზე საკმარისია 15-20 სმ სირღმის კვლები. სარ-
წყავი კვლების ერთმანეთისაგან დაშორებას საფუძვლად უნდა
დაედოს ნიადაგის წყლით გაუონვის უნარი და მცენარეთა ბიო-
ლოგიური თუ მორფოლოგიური თავისებურებანი. მორწყვის
წესებიდან ამჟამად ყველაზე პერსპექტულია დაწვიმებით მორ-
წყვა და წვეთოვანი მორწყვა.

დაწვიმებითი მორწყვისას რწყვას ატარებენ არა ნიადაგის
ზედაპირზე წყლის მოძრაობით, არამედ სპეციალური მანქანე-
ბიდან დანადგარებით, რომლებიც დაკავშირებულია სარწყავი
წყლის წყაროსთან (მდინარე, ჭა, არხი) და ახდენენ წვიმის
მსგავსად წყლის გადაადგილებას მოსარწყავ ფართობზე. ხე-
ლოვნური დაწვიმება ბუნებრივი წვიმის სახით ატენიანებს ნია-
დაგს და მორწყვის პროცესიც მექანიზებულია.

წვეთოვანი მორწყვის დროს წყლის შეტანა ნიადაგში ხდე-
ბა უშუალოდ მცენარის ფესვთა სისტემასთან. რამდენიმე დღე-
ში ერთხელ მცირე ნორმებით მორწყვისას, მცენარეები უკეთ
ითვისებენ წყალს და საკვებ ელემენტებს, ამავე დროს ნარჩუნ-
დება ნიადაგის ჰაერტევადობა, რაც მცენარეთა ნორმალური
ფუნქციონირების საშუალებას იძლევა. იმის გამო, რომ წვეთო-
ვანი მორწყვით წყლისა და საკვები ელემენტების შეტანა ხდება
უშუალოდ მცენარის ფესვთა სისტემასთან, სარეველა მცენა-
რეებისათვის იქმნება უფრო ნაკლებად ხელსაყრელი გარემო.
წყლის თანაბარი განაწილებიდან გამომდინარე

გამორიცხულია ცალკეული უბნების ზედმეტად დატენია-
ნება ან ურწყავად დარჩენა.

წვეთოვანი მორწყვის უპირატესობანია:

- იზრდება მოსავლიანობა;

- მცირდება ან თითქმის მთლიანად გამორიცხულია ნია-დაგის ეროზიული პროცესები;
- მცირდება ერთეული ფართობის მოსარწყავად გაწეული შრომითი დანახარჯები;
- 2 – 3 ჯერ მცირდება წყლისა და სასუქების დანახარჯები;
- იზრდება მცენარეების მიერ საკვები ელემენტების გამოყენების ეფექტურობა ($80\%-მდე$), არ ხდება ნიადაგის დამლაშება;
- შესაძლებელია მორწყვა დღე-ღამის ნებისმიერ დროს, რომელიც გამორიცხავს მცენარეთა მზით დამწვრობას.

დაავადება – მავნეგლები და მათთან პრალის ბიოლოგიური ღონისძიებანი

სამკურნალო, არომატული, სანელებელი, საღებარი, თაფ-ლოვანი და შხამიან მცენარეთა კულტივირებულ პლანტაციებში გამოვლენილია ფიტოპათოგენური ორგანიზმები სახეობრივი კუთვნილების დადგენით:

ნაცარი – *Ezusiphe cichoracearum dc.f.* ნაცროვანი სოკოები, რომლებშიც გაერთიანებულია მრავალი სახეობის ობლიგატური პარაზიტი;

ფუზიარიოზი *Fuzarium oxysporum schecht* – წარმოადგენს ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ნიადაგის პათოგენს, რომელიც იწვევს მცენარის ჭკნობას;

ანთრაქნოზი – *Colletotrichum Valerianae Kvaschnina* – იგი გავრცელებულია მერქნოვანი, ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარეების სხვადასხვა ოჯახების წარმომადგენლებზე. ზაფხულის მეორე ნახევრიდან ფოთლების ორივე მხარეზე ფიქსირდება მუქი არშიებით შემოვლებული, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნათელი, ყავისფერი ლაქები, ხოლო ფოთლის ზედა მხარეზე კარგად გამოკვეთილი, გაფანტულად წარმოდგენილი სპორიანობა. ამ დაავადების გამომწვევი სოკო იზამთრებს დაავადებულ ორ-

განოებზე და ჩამოცვენილ ფოთლებზე. საშუალო იარუსის ზოგი-ერთ ფოთლზე შეინიშნება სხვადასხვა სიდიდის ნეკროზირებული ლაქების განვითარება სპორიანობის გარეშე, ფოთლების საერთო სიყვითლე, რომელიც როგორც წესი, იწყება ფოთლის ფირფიტის კიდეებიდან ან წვეროდან. ამ შემთხვევაში ზიანდება და შესაბამისად მცირდება ასიმილაციური აპარატი, რაც თავის მხრივ იწვევს ფესვებისა და ფესურების სისტემის განვითარების დარღვევას. გვიანდება ყვავილობისა და თესლის მომწიფების პერიოდები, მცენარე იმყოფება სტრესულ მდგომარეობაში, რაც საბოლოოდ იწვევს მოსავლის შემცირებას.

დაავადებათა თავიდან ასაცილებლად დროულად და ხარისხიანად უნდა ჩატარდეს შემდეგი ლონისძიებები:

- ამ მცენარეების თესლბრუნვათა სისტემებში ჩართვა, ანუ კულტურათა მორიგეობა, რომელიც საკმაოდ ეფექტურ შედეგს იძლევა;
- აგროტექნიკური ლონისძიებების სწორად ჩატარება (ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, გაფხვიერება, სარეველებისაგან დაცვა და სხვ.);
- სანიტარულ-ჰიგიენური ლონისძიებების ჩატარება.

მავნებლებები და სასარგებლო ენტოზაურე

მავნებლების უარყოფითი გავლენა აღნიშნულ მცენარეებზე საკმაოდ დიდია, რაც იწვევს პროდუქტიულობის და ხარისხობრივი ტესტების შემცირებას, ზოგჯერ კი მცენარის მთლიანად დაღუპვას, რადგან ენტომოფაუნა ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, ან თითქმის შეუსწავლელია. მცენარეები ზიანდებიან როგორც სპეციფიკური, ისე ნაირჭამია მავნებლებით. გავრცელებული არიან შემდეგი მავნებლები: ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა – *Teranychus urticae* Koch; სალბის ტკიპა – *Phyllocaptes obtusus* Nal; ჩვეულებრივი მახრა – *Gryllotalpa gryllotalpa*; იტალიური კალია – *Calliptamus italicus*; ზოლებიანი

ჭიჭინობელა – *Psammotettix striatus*; ჭრელი ჭიჭინობელა – *Eupterix atrapunctata Goeze*; ჭანჭყატის ბუგრი – *Aphis evenym F*; ჭარხლის ბუგრი – *Aphis fabae Scop*; სალბის ბუგრი – *Aphis salviae Walk*; კარტოფილის ბუგრი – *Aulacorthum Solana Kalt*; ატმის ბუგრი – *Myzodes persicae Sulz*; მდოგვის ტკიპა – *Eurodema arnuta*; რაფსის ტკიპა – *Eurodema deraceae*; თამბაქოს თრიფსი – *Trops tabac Lindemann*; ივნისის ღრიფა – *Amphimallon solstitialis*; ქვიშის ზოზინა – *Opatrum subalosum*; კოლორადოს ხოჭო – *Leptinotarsa decemlineata Say*; შავი ცხვირგრძელა – *Psalidium maxillosum F*; სალბის მენაღმე ჩრჩილი – *Staymatophora pomposella*; ოქროსფერი ალურა – *Pyrota aurata Sc*; ნაირჭამია მენაღმე ბუზი – *Phytomyza atricarnia My*; კატაბალახას მენაღმე ბუზი – *Liriomyza valeriana Mendel* და სხვ.

ფიტოსანიტარული ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარებით მნიშვნელოვნად იზღუდება დაავადებების და მავნებლების გავრცელებისა და განვითარების ინტენსიობა, რადგან მცენარეთა დაცვის ფიტოსანიტარული ხერხები ინფექციის წყაროების ჩახშობისაკენ არის მიმართული, პლანტაციებში კი ინფექციის წყაროები თითქმის მთელი წლის განმავლობაში არსებობს. მათ მიეკუთვნება დაავადებული მცენარეები მათი ორგანოების ნარჩენებით, სარეველები, სხვადასხვა საშუალებებით აღნიშნულ გარემოში მოხვედრილი საინფექციო საწყისები და სხვ. მცენარეთა ნარჩენების ჩახვნა ნიადაგში, მიკრო-ანტაგონისტებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მცენარეული ნარჩენების დამლის პროცესის დაჩქარება და სხვა ფიტოსანიტარული ღონისძიებები ამცირებენ პათოგენების გავრცელებას და დამკვიდრებას. მათ წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა მცენარეული ნაყენები.

კულტივირებულ მცენარეთა დაავადებებთან ბრძოლის პრაქტიკული რეკომენდაციები შეიმუშავა ჯერ კიდევ ჩვ. წ-აღმდე 470 წლის წინათ დემოკრიტემ, იგი ხორბლეულის გუდაფშუტის საწინააღმდეგო საშუალებად კომბოსტოს წვენში თესლის დალბობას თვლიდა. თეოფრასტე თავის წიგნში „გამოკ-

ვლევები მცენარეთა შესახებ“, რომელიც დაწერილია 300 წლის წინათ ჩვ. წ-აღმდე, აღნიშნავდა, რომ **მუხუდო** „ანადგურებს სა-რეველებს და, პირველ რიგში, კუროსთავს“.

ბუნებრივი პესტიციდია **ნიკოტინი**, რომელიც შედის თამ-ბაქოში. მას იყენებდნენ მცენარის ტილის საწინააღმდეგოდ მრავალი ათასი წლის წინათ ჩინეთში. ახლო და შუა აღმოსავ-ლეთში ბაღლინჯოებთან საბრძოლველად იყენებდნენ პირეტ-რუმს, რომელსაც **ქრიზანთემიდან** იღებდნენ.

ანწლი და ავშანი გამოიყენება, როგორც მცენარეთა დაც-ვის ბუნებრივი საშუალებები, ანწლის ნაყოფი ეფექტურია ბუგ-რების წინააღმდეგ. სუნი აფრთხობს თაგვისებრ მღრნელებს. ამიტომ მას ათავსებენ საწყობებში, მარცვალსაცავებში და სხვ. მცენარე გროვდება ყვავილობის და მსხმოიარობის პერიოდში. ავშანისა და ფიჭვის წიწვების ფიტონციდური ნაყენი გამოიყენება მოცხრისა და ხურტკმლის ალურას წინააღმდეგ, პირველი წამლობა ტარდება ყვავილობის წინ, შემდეგ – ორი კვირის ინ-ტერვალით.

გულყვითელას იყენებენ ნემტოდების წინააღმდეგ, რად-გან მცენარე გამოყოფს ფიტონციდებს. ნათესებში გულყვითე-ლას შეთესვა ამცირებს მცენარეების ფუზარიოზით დაავადებას, იგი აფრთხობს კოლორადოს ხოჭოსაც.

ასფურცელას მოიხმარენ ჩრჩილისა და ბალლინჯოს წინა-აღმდეგ, იგი მთლიანად ცვლის ნაფტალინს. ბუზებისაგან დასა-ცავად ასფურცელას ბალახის ფხვნილს ახალ ხორცს აყრიან. ასფურცელას გამოყენებისას დიდი სიფრთხილის გამოჩენა აუ-ცილებელია იმისათვის, რომ მონამვლის შემთხვევები თავიდან იქნას აცილებული.

ვარდკაჭაჭას ნაყენს იყენებენ აბლაბუდიანი ტკიპას ლავ-რების წინააღმდეგ, მას ახასიათებს რეპელენტური თვისებებიც (ლეროს ნემატოდას მიმართ), ხახვის ნათესს იცავს ნემატოდე-ბისაგან.

კამას და კატაბალახას თესავენ ბოსტნეულის რიგთაშო-რისებრში, მათი სუნი აფრთხობს მავნებლებს.

ოხრახუში, მარწყვის ირგვლივ დათესილი, ლოკოკინები-საგან იცავს მას, ხოლო ხოლო ვაზის ირგვლივ დათესილი ვა-ზის ფილოქსერასაგან.

რეპანის სურნელება ოთახის ბუზებსა და სხვა მწერებს აფრთხობს.

ქრისტესისხლას ნაყენი გამოიყენება ბუგრების, ლილვე-ლას, თალგამის თეთრულას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ.

ველურ ინსექტიციდურ მცენარეებს აშრობენ ჩრდილში, გამჭოლ ქარში და მავნებელთა გამოჩენისთანავე ამზადებენ ხსნარს რეცეპტების მიხედვით. მწერებისა და სოკოვანი დაავა-დებების წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ისეთი მცენარეების გამოყენება, როგორიცაა ჭინჭარი, შვიტა ან ასფურცელა.

ჭინჭრის ნაყენი მღილების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება გვალვიანი გაზაფხულის პირობებში. შეაგროვეთ 1-2 კგ ჭინ-ჭრის ახალი ფოთლები, დაასხით ერთი ვედრო წყალი და დაა-ყოვნეთ დღე-ღამის განმავლობაში. მიღებული ხსნარი გამოიყე-ნეთ მღილებისგან დაზიანებულ მცენარეთა შესასხურებლად.

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარ, საცელებელ და შხამიან მცენარეთა პირნარმოების თავისეპურებები

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარ, სანე-ლებელ და შხამიან კულტურათა ნედლეულის და პროდუქციის სასარგებლო თვისებები განპირობებულია მათში სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების არსებობით. ასეთებია: ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, ეთერზეთები, გუმფისები, ფისები, ლორნო, ვიტამინები, ფიტონციდები და სხვ., რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ადამიანისა და ცხოველთა ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე, სხვადასხვა დაავადების გამომწვევ მიკრობებზე. მოქმედი ნივთიერებები წარმოიქმნებიან და გროვდებიან მცენარეების სხვადასხვა ნაწილსა და ორგანოში გარკვეულ სავეგეტაციო პერიოდში მკაცრად ლიმიტირებული რაოდენობით და თანმიმდევრობით. ამ პროცესებზე ზეგავლენას ახდენს ეკოსისტემის პარამეტრები, მოვლა – მოყვანის ტექნოლოგიები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მცენარეთა ბიონარმოების თავისებურებანი ხარისხოვანი და ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის წარმოებას განაპირობებს, რაც თავის მხრივ, მათ სასაქონლო ღირებულებას ზრდის.

ბიოწარმიოების მიმართულებებია:

- თესლბრუნვის ინტენსიური გამოყენება;
- სიდერაცია;
- შეთესვა;
- მულჩირება;
- შერეული კულტურების გამოყენება;
- ნიადაგის მექანიკური გაფხვიერება;
- ნიადაგში ორგანული სასუქების შეტანა;
- ცოცხალი ლობეების მოწყობა;
- მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენება;

- სარეველა მცენარეთა გავრცელების კონტროლი მექანიკური საშუალებებით;
 - აგროვადების ზუსტი დაცვა;
 - შინაური ცხოველების ბუნებრივ ქცევაზე ორიენტირებული მოვლა;
 - შინაურ ცხოველთა კვება საკუთარ მეურნეობაში მოწეული საკვებით;
- გამომდინარე აღნიშნულიდან, ორგანულ მეურნეობაში ერთგვარი წრებრუნვა იქმნება – **ადამიანი – გარემო – ცხოველი – მცენარე – ადამიანი.**

სამკურნალო, არომატული, სანელებელი, საღეპარი და შეაძლია მცველობათა პიონერობისათვის საჭირო ტექნიკის შემთხვევაში

სამკურნალო, არომატული, სანელებელი, საღებარ და შხა-მიან მცენარეთა პიონერმოებისათვის საჭიროა ტექნოლოგიური რუკების შედგენა ანუ მთელი აგროტექნოლოგიურ ღონისძიებათა ციკლის გაწერა. ზემოთ აღნერილ ტექნოლოგიებთან ერთად, მნიშვნელოვანია, ასევე, თესლბრუნვათა სისტემის ოპტი-მალური დაგეგმვა, რაც პიონერმოების ეფექტურ, მთლიან მოდელს ქმნის, რის საფუძველზე შესაბამისი ტექნოლოგიური რუკა იქმნება.

წლების განმავლობაში, როდესაც ერთი და იგივე მცენარე ითესება ან ირგვება გარკვეულ ტერიტორიაზე, მათ ნიადაგიდან მხოლოდ გარკვეული სახის საკვები ელემენტები გამოაქვთ და ნიადაგი იფიტება. ამასთან, ნიადაგში და ნიადაგის ზედაპირზე ხდება კონკრეტული კულტურის დაავადებების გამომწვევისა და მავნებლების მოზამთრე ფორმების დაგროვება, რომლებიც შემდეგ წელს უფრო აქტიურად შეუტევენ იმავე კულტურას.

კულტურათა მონაცვლეობა არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ საბაზრო ან საწარმოო მოთხოვნების გათვალისწინებით.

თესლბრუნვა ანუ კულტურული მცენარეების მონაცვლეობით თესვა – მოყვანა სახნავ – სათეს ფართობზე უძველესი ცივილიზაციიდან მომდინარეობს. ძველ რომში მიაჩნდათ, რომ ნაყოფთცვლა ნიადაგის თავისებურ დასვენებას წარმოადგენს. (აგრონოუსი)

თესლბრუნვის მიზანია:

- მიწების ინტენიური გამოყენება;
- ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება;
- ნიადაგის წინააღმდეგობის უნარის გაზრდა დაავადებებისა და მავნებლების მიმართ;
- სარეველების მიმართ მექანიკურ – ბიოლოგიური კონტროლის დონის ამაღლება;
- ნიადაგის გამდიდრება აზოტით (პარკოსნები);
- ნიადაგის გაფხვიერება ინტენსიური ბიოლოგიური მეოთვით (ლრმა ფესვები);
- ნიადაგის გამდიდრება ჰუმუსით;
- ნიადაგის მინერალურ ნივთიერებათა მარაგის მობილიზება;
- თესლბრუნვაში მონაწილე კულტურების მოსავლიანობის ზრდა;
- მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, ჰერბიციდების მინიმუმამდე დაყვანა ან საერთოდ უარყოფა.

სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებარი, სანელებელი და შხამიანი კულტურები საკმაოდ პრეტენზიულები არიან ნიადაგის ნაყოფიერების მიმართ, მათ ნიადაგის სხვადასხვა ფენიდან დიდი რაოდენობით გამოაქვთ საკვები ელემენტები. ეს პროცესი პირველ რიგში დამოკიდებულია მათ ბიოლოგიურ თავისებურებებზე, ფესვთა სისტემის ტიპსა და განლაგებაზე. როცა არ ხდება კულტურათა მონაცვლეობა, ერთი და იმავე ადგილზე ერთი და იმავე კულტურის თესვა აუარესებს ნიადაგის ფიზიკურ -ქიმიურ თვისებებს, ხელს უწყობს მავნებლებისა და დაავადებათა გავრცელებას. ამ არასასურველი პროცესების

თავიდან ასაცილებლად აუცილებელია თესლბრუნვათა სწორი სქემის შემუშავება, ანუ მეურნეობის პერსპექტიული განვითარების ბლოკში, ეკოსისტემის პარამეტრების გათვალისწინებით, კულტურათა ეფექტური მორიგეობა ნიადაგის დამუშავების და მაღალნაყოფიერი მოდელის სისტემაში, რაც ერთ - ერთი აუცილებელი პირობაა კულტურათა, კერძოდ ამ უნიკალურ მცენარეთა ბიონარმოებისათვის.

თესლბრუნვის თითეულ მინდორზე თითო კულტურა ითესება, უმეტესად მოკლე როტაციის ზოგიერთ თესლბრუნვაში, რაც რთული სასოფლო – სამეურნეო ტექნიკისა და პროგრესული აგროტექნიკური წესების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ზოგჯერ ერთ მინდორზე ითესება ორი კულტურა, რომელიც ხასიათდება ეკოსისტემის პარამეტრებისა და აგროტექნოლოგიებისადმი მსგავსი მოთხოვნილებებით. მინდორს, რომელზეც ორი ან მეტი კულტურა ითესება, შედგენილს ანუ ნაკრებ მინდორს უწოდებენ. თუ ესა თუ ის კულტურა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოიყვანება ერთსა და იმავე მინდორზე, მას უცვლელ კულტურას უწოდებენ, ხოლო თუ ეს კულტურა მეურნეობაში ერთადერთია – მონოკულტურას.

თესლბრუნვა მიწათმოქმედების ძირითად რგოლს წარმოადგენს, იგი არის არა მხოლოდ მიწათმოქმედების აგროტექნიკური ელემენტი, არამედ მთელი მეურნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მისი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაც. დადგენილია, რომ თითეულ მცენარეს თავისი მავნებელ – დაავადებანი გააჩნია, ამიტომაც თუ ერთ ნაკვეთზე, წლების განმავლობაში ზედიზედ თესვის პირობებში ერთისა და იმავე კულტურის გამრავლება ინტენსიურად მიმდინარეობს, ეს კულტურასაც დიდ ზიანს აყენებს და ამცირებს მოსავალს.

თესლბრუნვების მინდვრების განოყიერება უნდა მოხდეს იმ კულტურათა მოთხოვნების მიხედვით, რომლითაც არის ის დაკავებული, ანუ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- გარემო – ნიადაგი – კლიმატი – მცენარე – ორგანული სასუქი – მოსავალი;
- ბლოკში მოსაყვანი მცენარეების ბიოლოგიური თავისებურებანი;
- მოთხოვნა საკები ელემენტებისადმი;
- ფართობების თანაფარდობა;
- ბაზრის კონიუნქტურა;
- თესლის დროულად დამზადება;
- პარკოსანი კულტურების მოყვანით ნიადაგის აზოტით უზრუნველყოფა;
- წინამორბედი და მომდევნო კულტურების ურთიერთშესამება.

ერთსა და იმავე მინდორზე არა უმეტეს რვა წლის განმავლობაში ზედიზედ მოსაყვან კულტურას განმეორებით კულტურას უწოდებენ. თესლბრუნვაში ჩაურთავ მინდორს, რომელზედაც სასოფლო – სამეურნეო კულტურები მოიყვანება, თესლბრუნვის გარეშე მინდორს უწოდებენ, ხოლო მინდორს, რომელიც დროებით გამოყოფილია კულტურათა საერთო მორიგეობიდან და რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი და იმავე კულტურით არის დაკავებული, გამოყოფილი მინდორი ეწოდება. პერიოდს, რომლის განმავლობაში კულტურები და ანეულები გაივლიან მორიგეობას, ყოველ მინდორზე თესლბრუნვის სქემით გათვალისწინებული თანმიმდევრობით, თესლბრუნვის როტაცია ეწოდება. (როტაცია – ერთწლიანი ნასვენი).

ცედლეულის გაზა და დამზადების პროცესის მარკეტინგი

**მოსავლის აღება – დაუშვებელია მოსავლის აღების გაჭი-
ანურება.** გარდა იმისა, რომ ეს გაჭიანურება დიდ დანაკარგებს
იწვევს, ამ პერიოდში ნიადაგი სარეველების აუარებელი თეს-
ლითაც ივსება. მარტივი მანქანებით მოსავლის აღებისას ძნას
ეზიდებიან სალენებთან და ზვინებად დგამენ. იმ მიზნით, რომ
ძნის გადატანის დროს დანაკარგები შემცირდეს და გზადაგზა
არ მოიფანტოს სარეველების თესლი (არ შეიქმნას დაბინძურე-
ბის დამატებითი პრეცედენტი), მანქანებს უნდა ჩაუფინონ სა-
ფენი. მოსავლის აღების წესები და ვადები დამოკიდებულია
იმაზე, თუ მცენარის რა ნაწილი, ანუ რომელი ორგანოა (ფესვი,
ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი თუ თესლი) სასარგებლო ნედლეუ-
ლი. მაგ., ფოთლების შეგროვება სეზონზე შეიძლება 2-3-ჯერ
განხორციელდეს, ყვავილებისა კი – მთელი ყვავილობის პერი-
ოდში. მოსავლის აღება ხდება მშრალ ამინდში დილის საათებში.
ფესვებსა და ფესურებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერე-
ბების შემცველობა მაქსიმალურია შემოდგომაზე, ამიტომ ნედ-
ლეულის აღება უმჯობესია ამ პერიოდში. ნედლეულს მიწიდან
იღებენ ხელით ან მექანიზირებული წესით, მოაჭრიან მიწისზე-
და ნაწილს, გარეცხავენ გამდინარე წყლით და აშრობენ. დაუშ-
ვებელია ნედლეულის წყალში გაჩერება. ამ დროს იკარგება მას-
ში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რაც
უარყოფითად აისახება ნედლეულის ხარისხსა და ღირებულე-
ბაზე. ადგილობრივ ბაზარზე წინასწარი შეთანხმებით შეიძლება
გაურეცხავი, გაუფხეკი ფესვების რეალიზაციაც. თუკი წინას-
წარ არაა ცნობილი შემსყიდველის მოთხოვნები, სჯობია შენა-
ხული იქნეს კორპგაცლილი, გაფხეკილი ფესვები. ფარმაცევ-
ტულ ბაზარზე ფესვები გააქვთ „გაუსუფთავებელი ფესვის“ ან
„გასუფთავებული ფესვის“ სახით. უკანასკნელ შემთხვევაში
ფესვს მოცილებული აქვს კორპის ფენა.

ნაყოფებისა და თესლების დამზადება ხდება მათი მომწიფების ფაზაში. თუ თესლი სხვადასხვა დროს მწიფდება, თესლს იღებენ რამდენიმეჯერ.

ბალახი შედგება შეფოთლილი ღეროების, ყვავილებისა და ნაყოფებისაგან. ნედლეულს ჭრიან მშრალ ამინდში ყვავილობისას ისე, რომ არ შეჰქვეს ღეროს ქვედა გაუხეშებული ნაწილი.

მოსავლის ალება, დამზადების წესი, დრო და ვადები ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე შესწავლის საგანია და ხორციელდება მასში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალური შემცველობის და მათი შენარჩუნების ხელ-შემწყობი პირობების დაცვით.

გცენარეული ნედლეული

ა) ფოთლებს – უწოდებენ მცენარეულ ნედლეულს, რომელიც წარმოადგენს გამშრალ ან ნედლ ფოთლებს, ან რთული ფოთლების ცალკეულ ფოთოლაკებს. ამზადებენ სავსებით განვითარებულ ფოთლებს ყუნწიანად ან უყუნწებოდ;

ბ) ბალახებს – უწოდებენ ნედლეულს, რომელიც წარმოადგენს ბალახოვანი მცენარეების გამშრალ ან ნედლ მიწისზედა ნაწილებს. ბალახებს კრეფენ ყვავილობის, ზოგჯერ კოკრების ან ნაყოფის მწიფობის პერიოდში. ნედლეული შედგება შეფოთლილი და ყვავილებიანი ღეროებისაგან, ნაწილობრივ კოკრებითა და ნაყოფებით;

გ) ყვავილებს – უწოდებენ ნედლეულს, რომელიც წარმოადგენს გამშრალ ყვავილებს ან ყვავილედებს, ასევე მათ ნაწილებს. ყვავილებს კრეფენ ყვავილობის დასაწყისში, ზოგიერთს კი კოკრობის ფაზაში;

დ) ნაყოფებს – უწოდებენ ნედლეულს, რომელიც წარმოადგენს მარტივ და რთულ, ასევე ცრუ ნაყოფებს, ნაყოფედებს და მათ ნაწილებს. მწიფე ნაყოფებს კრეფენ და აშრობენ. ზოგიერთ წვნიან ნაყოფს ნედლ მდგომარეობაში გადაამუშავებენ.

ე) თესლებს – უწოდებენ ნედლეულს, რომელიც წარმოადგენს მთლიან თესლებს და ცალკეულ ლებნებს, როგორც წესი, თესლებს აგროვებენ მწიფეს და აშრობენ;

ვ) ქერქს – უწოდებენ ნედლეულს, რომელიც წარმოადგენს მერქნიან მცენარეთა (ხეები და ბუჩქები) ლეროებისა და ფესვების გარეთა ნაწილს, რომელიც განლაგებულია კამბიუმიდან პერიფერიულ ნაწილში. ქერქს, როგორც წესი, გაზაფხულზე ამზადებენ წვენის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში და აშრობენ;

ზ) პრაქტიკაში იყენებენ მრავალწლოვანი მცენარეების გამომშრალ, უფრო იშვიათად ნედლ მიწისქვეშა ორგანოებს, რომლებიც უმეტესად შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზეა შეგროვილი, მიწისგან გასუფთავებული ან გარეცხილია, მოცილებული აქვთ გამხმარი ნაწილები, ლეროებისა და ფოთლების ნარჩენები. მსხვილ მიწისქვეშა ორგანოებს გაშრობამდე ჭრიან ნაწილებად (სიგრძეზე და სიგანეზე). ნედლეულს შეიძლება წარმოადგენდეს – ფესვები, ფესურები, ფესურები და ფესვები, ბოლქვები, ტუბერები, ტუბერბოლქვები;

თ) ნაკრები – წარმოადგენს რამდენიმე სახეობის დაწვრილმანებულ, იშვიათად მთლიანი ნედლეულის ნარევს, რომელსაც ზოგჯერ მარილები, ეთეროვანი ზეთები აქვს დამატებული.

ცელლეულის მიღების და შეგროვების წესები

შეა საუკუნეების ტიბეტური კულტურის ერთ-ერთ ძეგლში წათქვამია: ბალახს წაეყენება შვიდი პირობა: ის უნდა იზრდებოდეს კარგ ადგილას, იქნეს შეგროვებული დროულად, იყოს კარგად გამომშრალი, ახალი, დაუზიანებელი, მოქმედებდეს ნაზად, უნდა ერწყმოდეს ნაკრებში სხვა ბალახებს.

● **შეგროვების ადგილი** – მცენარეები უნდა შეგროვდეს ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში. არ შეიძლება შეგროვება სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ, სამრეწველო ცენტრებთან, პესტიციდებითა და შხამქიმიკატებით დამუშავებულ საგარეულებთან;

● **შეგროვების დრო** – უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დროს, როცა ხდება მცენარეთა შეგროვება. ესა თუ ის მცენარე შეიცავს ერთ ან რამდენიმე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ მცენარეთა თვისებებს, დანიშნულებასა და ლირებულებას. ეს ნივთიერებანი მართალია მეტ-ნაკლებად მცენარის ყველა ორგანოშია, მაგრამ ხშირად ისინი უფრო კონცენტრულად გვხვდებიან რომელიმე ორგანოში, ამიტომ გამოიყენება მცენარის კონკრეტული ნაწილი, რომელთა შეგროვება თავის მხრივ ხდება შესაბამის პერიოდში.

●**ფოთლები** – ამზადებენ მცენარის ყვავილობის ან დაკორების ფაზაში, ანუ ფოთლების სრული გაშლის პერიოდში. გამონაკლისია ზოგიერთი მცენარე, მაგალითად ვირისტერფა, რომლის ფოთლები წარმოიქმნება მხოლოდ ყვავილობის შემდეგ. სალი, ნორმალურად განვითარებული ფოთლები გროვდება მშრალ ამინდში;

●**ყვავილები და ყვავილედები** – ძალიან ნაზია, მათ ამზადებენ ყვავილობის დასაწყისში ან სრული ყვავილობისას, როცა ისინი შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს მაქსიმალური რაოდენობით, კარგად იტანენ შრობას, ინარჩუნებენ შეფერილობას. ყვავილები უნდა მოიკრიფოს ყვავილსაჯდომთან ერთად;

●**კოკრები** – ამზადებენ ყვავილების გაშლამდე;

●**კვირტები** – მზადდება ზამთრის დასასრულს ან ადრე გაზაფხულზე, როცა დაბერილია, მაგრამ გაშლა არ დაწყებულა, ჭრიან 3-5 სმ სიგრძის ყლორტებთან ერთად;

•ქერქი – აგროვებენ გაზაფხულზე, როცა მცენარის ღეროში წვენების მოძრაობა ინტენსიურია. ეს დრო ემთხვევა კვირტების გაშლის პერიოდს, ქერქი ადვილად სცილდება მერქანს. ქერქს აცლიან ორწლოვან ტოტებს, ხელმეორედ ქერქის დამზადება ხდება იმავე ტოტებიდან 3-5 წლის შემდეგ, როდესაც მოხდება ქერქის სრული აღდგენა;

•ბალახი – დამზადების ოპტიმალური პერიოდია მცენარის მასიური ყვავილობა ან ყვავილობის დასაწყისი. თუ რა სიმაღლეზე უნდა მოიკრიფოს და მოიცელოს, დამოკიდებულია მცენარის სახეობაზე, მაგალითად ასისთავას იღებან ფესვებთან ერთად, წინმატურას ამზადებენ ღეროს დიდ ნაწილთან ერთად, ხოლო ორკბილას და შხამას კრეფენ ღეროების კენწეროებში ფოთლებთან ერთად. ბალახების მსხვილი, გაშიშვლებული ღეროები ძალზე ღარიბია მოქმედი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით;

•მიწისქვეშა ორგანოები (ფესვები, ფესურები, ტუბერები, ბოლქვები) – გროვდება გვიან შემოდგომაზე, ფოთლების დაცვენის შემდეგ, თუმცა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ შესაძლებელია მცენარეთა ცნობა. ამ პერიოდში მათში მეტია სამარავო და მოქმედი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები;

•ნაყოფი და თესლი – აგროვებენ სრული მომწიფების პერიოდში, შეგროვება ხდება დილის ნამის აორთქლების შემდეგ მთელი დღის განმავლიბაში. ახლადმოკრეფილ ნაყოფს და კენკრას ერთმანეთისაგან დაშორებით ათავსებენ კალათაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბალახოვანი მცენარეების მშრალ ნაყოფს, გარდა ზოგიერთისა, აგროვებენ სრული სიმწიფის პერიოდში. მაგალითად: კატაბალახას და კვლიავის თესლს აგროვებენ მომწიფებამდე, მცენარის მიწისზედა ნაწილს ჭრიან, კიდებენ და აშრობენ, შემდეგ გამოფშვნიან, რომ თავიდან იქნეს აცილებული თესლის დანაკარგები. წვნიანი ნაყოფი (მარწყვი, მოცვი, მაყვალი) უმჯობესია შეგროვდეს დილით ადრე ან საღა-

მოს. სიცხეში მოკრეფილი ნაყოფი ნაკლებ არომატულია და მა-ლე ფუჭდება;

•ფესვები, ფესურები, ბოლქვები – ამზადებენ გვიან შე-მოდგომაზე, როცა მიწისზედა ნაწილი ღარიბია საკვები ნივთიე-რებით, ხოლო მიწისქვეშა კი პირიქით – უხვად შეიცავს ბიო-ლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მათ, ზოგიერთი გამონაკ-ლისის გარდა, რეცხავენ და ამრობენ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცენარის მიწისქვეშა ნაწილები ამოთხრიდან 2 საათის განმავლობაში უნდა იქნეს მიტანილი გასაშრობად, გაიშალოს თხელ ფენად, რათა არ მოხდეს ხარისხის გაუარესება ჩახურე-ბისა და დაობების გამო.

შრობის ჟეპცოლოგიაზი

მცენარეები გამოიყენება ახალი (ნედლი) ან გამომშრალი სახით. ახალმოკრეფილი მცენარეებიდან ან მისი ნაწილებიდან ამზადებენ წვენებს, ნაყენებს, ნახარშებს. თუ მცენარის გადა-მუშავება უცებ ვერ ხერხდება, ხდება მათი შრობა, გამშრალ მა-სას აქცევენ ფხვნილად, შემდეგ ამზადებენ ნაყენებს, ნახარ-შებს, სპირტიან ნაყენებს, შედედებულ ექსტრაქტებს, მალამო-ებს, ჰლასტირებს, ხარშავენ მცენარეთა აპაზანის მისალებად. მცენარეებმა მოკრეფიდან საკმაო პერიოდის განმავლობაში რომ შეინარჩუნოს დამახასიათებელი კეთილთვისებები, საჭი-როა მათი კონსერვირება იმ რეზიმით, რომ შედგენილობაში არ განიცადოს თვისისობრივი ცვლილებები.

ახლადაკრეფილ მცენარეში ბიოქიმიური პროცესები გრძელდება – ფერმენტები იწვევენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გარდაქმნას. ზოგ შემთხვევაში ეს პროცესი სა-სურველია, რადგან ფერმენტაციის შედეგად ნედლეული იძენს იმ ეფექტს, რითაც იგი ფასდება. თუმცა უმეტეს შემთხვევაში მცენარის შეგროვების შემდეგ განვითარებული ფერმენტაციუ-

ლი პროცესები იწვევენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა დაშლას, რაც თავის მხრივ ამცირებს მცენარის გამოყენებით ღირებულებას. ამიტომაც აუცილებელია ნედლეულში არსებული ფერმენტების ინაქტივაცია, რის შედეგად მიიღება ე.წ. სტაბილური ნედლეული.

შრობა მცენარეთა კონსერვირების ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს მისი კეთილხარისხობის შენარჩუნებას, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შენარჩუნებას. შრობის რეჟიმი შერჩეული უნდა იქნეს ექსპერიმენტის მონაცემებზე დაყრდნობით, ე.ი. ნინასწარ დგინდება ტემპერატურის და შრობის ხანგრძლივობის ზეგავლენა მცენარეში არსებულ ქიმიურ ჯგუფებზე. ბუნებრივი შრობა იქნება თუ ხელოვნური, სპეციალურ ღუმელებში გარკვეულ ტემპერატურაზე. მცენარეულ ნედლეულს (განსაკუთრებით ფესვებს, ფესურებს და ბოლქვებს) შრობამდე აჩერებენ 2-3 დღის განმავლობაში ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ბუნებრივი აერაციის პირობებში. ამ დროს ხდება შეჭქნობა, რაც ხელს უწყობს მოქმედი ნივთიერებების რაოდენობის მატებას, თანაც აჩქარებს ნედლეულის შრობას.

**სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, სალებავი,
სანელებელ და შხამიან მცენარეთა
მორფოლოგიური ჯგუფების გამოსავლიანობა (%)**

სასარგებლო მცენარეთა სტანდარტული ნედლეულის მისაღებად დღეისათვის გამოყენებულია:

- **ბუნებრივი შრობა** – ჰაერზე, ჩრდილში, აირაციის პირობებში წარმოებს ისე, რომ მზემ არ დახედოს მცენარეს (ფარდულებში, სხვენზე და სხვ);
- **თბური შრობა** – ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ შრობისათვის ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურა არის $40-55^{\circ}\text{C}$, როცა ხდება ფერმენტთა მოქმედების შესუსტება ან შეწყვეტა.

ჯგუფი	%
ქერქი	40- 45
ბალახი	15-25
ყვავილები და კოკრები	25-30
კვირტები	35-45
წვნიანი ნაყოფები	25-35
თესლები	55-70
ფესვები და ფესურები	30-40
ტუბერები და ბოლქვები	25-40

დღეისათვის გამოყენებულია:

ა. **ბუნებრივი შრობა** – ჰაერზე, ჩრდილში წარმოებს ისე, რომ მზემ არ დახედოს მცენარეს (ფარდულებში, სხვენზე და სხვ);

ბ. **თბური შრობა**- ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ შრობი-სათვის ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურა არის $40-55^{\circ}\text{C}$, როცა ხდება ფერმენტაცია მოქმედების შესუსტება ან შეწყვეტა. **შრობისას უნდა ვიცოდეთ:**

- ეთეროვანი ზეთების შემცველი ნაყოფების, თესლების შრობა მომდინარეობს $30-35^{\circ}\text{C}$, თანაც სასურველია რომ ნედლეული გაშლილი იყოს ისეთი სისქის ფენად, რომ არ მოხდეს ეთერზეთების აორთქლება და დაკარგვა;

- ცხიმოვანი ზეთებით მდიდარი ნაყოფების და თესლების თბურ შრობას ერიდებიან, ამ დროს ხდება ცხიმის გადნობა და გამოდინება;

- სიღროთხილეა საჭირო გლიკოზიდების შემცველი ნედლეულის შრობისას $-(40-55^{\circ}\text{C})$, რომ არ მოხდეს ჰიდროლიზის გამომწვევი ფერმენტების ინაქტივაცია;

- ალკალოიდების, მთრიმლავი ნივთიერებების, და სხვათა სტაბილური ქიმიური ჯგუფებით მდიდარი ნედლეულის შრობის ოპტიმალური ტემპერატურაა $50-70^{\circ}\text{C}$;

მცენარეების შრობის შემდეგ ხდება მისი სტანდარტულ მდგომარეობამდე – კონდიციამდე მიყვანა. მას ასუფთავებენ შეყოლილი ნაწილებისაგან, ორგანული და მინერალური მინარევებისაგან, ზედმეტად დაწვრილმანებულ და შრობისგან ფერშეცვლილი ნედლეულისაგან. განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო, თუ ნედლეული შეიცავს შხამიან ან ძლიერმოქმედ ნივთიერებებს.

მცენარეული ნედლეულის ფარისებრის განსაზღვრა

მცენარეული ნედლეული მიიღება პარტიებად. პარტიად ითვლება ერთი დასახელების, ყველა მაჩვენებლით ერთგვაროვანი, ნედლეულის არანაკლებ 50-კგ-იანი მასა, რომელსაც თან ახლავს ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პროდუქციის ამოკრებილ ერთეულებს ხსნან და გარეგანი დათვალიერებით ადგენენ ნედლეულის ერთგვაროვნებას მისი დამზადების წესის მიხედვით (მთლიანი, დაწვრილმანებული, დაწნებილი და ა.შ.), ფერის და სუნის მიხედვით, დაბინძურების მხრივ. დაობებას და ლპობას თან ახლავს მდგრადი უცხო სუნი, რომელიც არ ქრება განიავებისას, დაბინძურებას შხამიანი მცენარეებითა და უცხო მინარევებით (ქვები, მინა და სხვ.), იკვლევენ ბელლის მავნებლების არსებობას. ნედლეულის მიღება დაუშვებელია, თუ მასში აღმოაჩინეს ზემოთაღნერილი დარღვევები.

ნედლეულის ტენიანობად ითვლება ჰიგროსკოპული ტენისა და აქროლადი ნივთიერებების ხარჯზე მასის დანაკარგი, რომელსაც მუდმივ მასამდე ნედლეულის გამოშრობით საზღვრავენ.

ნედლეულის საანალიზო სინჯს აწვრილმანებენ 10 მმ ზომის ნაწილაკებამდე, შეურევენ და იღებენ 3-5 გ. ორ წონაკს, რომლებიც აწონილია ცდომილებით -0,01გ. თითოეულ წონაკს ათავსებენ სახურავთან ერთად წინასწარ აწონილ, გამოშრალ

ბიუქსში $100-105^{\circ}\text{C}$ -მდე გახურებულ საშრობ კარადაში და აშ-რობენ. გამოშრობის დროის ათვლა ხდება იმ მომენტიდან, რო-დესაც საშრობ კარადაში ტემპერატურა კვლავ $100-105^{\circ}\text{C}$ მიაღ-წევს. ფოთლების, ბალახებისა და ყვავილებისათვის პირველი აწონება ხდება 2-სთ-ის შემდეგ, ხოლო ფესვების, ფესურების, ქერქების, ნაყოფების, თესლების და სხვა სახის ნედლეულისათ-ვის 3-სთ-ის შემდეგ.

გამოშრობას აწარმოებენ მუდმივი მასის მილებამდე. მასა ჩაითვლება მუდმივად, თუ ორ თანმიმდევრულ აწონებს შორის სხვაობა არ აღემატება $0,01\text{g}$. 30 წთ-ით გამოშრობისა და ექსი-კატორში 30 წთ-ით გაცივების შემდეგ.

საბოლოო შედეგად ჩაითვლება ორი პარალელური გან-საზღვრის საშუალო არითმეტიკული, რომელიც გამოთვლილია მეათედ პროცენტებით. ორ პარალელურ განსაზღვრას შორის დასაშვები განსხვავება არ უნდა აღემატებოდეს $0,5\%$.

ნედლეულის შეფუთვა, მარკირება, ტრანსპორტირება და შენახვა

შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს:

- დაცვა დაზიანებისა და დანაკარგებისაგან;
- ვარგისიანობის დადგენილ ვადებში სასაქონლო და ხა-რისხობრივი თვისებების შენარჩუნება და უცვლელობა;
- გარემოსაგან დაცვა და ტრანსპორტირების პროცესის გაადვილება.
- ნედლეულის ყველა პარტიისათვის ტარა უნდა იყოს სუფთა, მშრალი, უცხო სუნის გარეშე და ერთგვაროვანი.
- შეფუთვის სახის და ტარაში შეფუთული ნედლეულის მასის დადგენა ხდება ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციით ნედლეულის კონკრეტული სახეობისთვის.

ჰაერმშრალი სასარგებლო მცენარეთა ნედლეულისათვის იყენებენ შეფუთვის შემდეგ სახეებს: ქალალდის, ქსოვილის და

სელი-ჯუთი-კანაფის ტომრებს, ყუთებს, ბუნებრივი ფერის პოლიეთოლენის პაკეტებს, ქსოვილის ფუთებს.

ქაღალდის მრავალფენიანი ტომრები და ერთმაგი ან ორმაგი პაკეტები მზადდება სატომრე ქაღალდისაგან. პაკეტი თუ ორმაგია, მაშინ შიგნითა ფენა პერგამენტისებრი ქაღალდისაა. ორმაგ ტომრებში შეფუთვისას ერთ ტომარას დებენ მეორეში. ნედლეულით ავსებული ტომრები გაკერილი უნდა იყოს ხელით, ან მანქანური წესით ორმაგი ჯაჭური ნაკერით. ტომრებში ფუთავენ დაწვრილმანებულ ქერქებს, ფესურებს, ფესვებს, ნაყოფებს, თესლებს, ორმაგ ტომრებში კი ჰიგროსკოპულ, მძიმენონიან და ფხვიერ ნედლეულს.

შესაფუთი ნედლეულის მასა – ნეტო არ უნდა იყოს ქსოვილის ტომრისათვის – 40 კგ-ზე მეტი, ქაღალდისა და პოლიეთოლენის ტომრისათვის 15 კგ-ზე მეტი, ქაღალდის პაკეტისათვის 5 კგ-ზე მეტი. ფუთებად შეკრული ნედლეულის (ფოთლები, ბალახები, ყვავილები, ზოგიერთი ფესვები) მასა არ უნდა აღემატებოდეს 50 კგ-ს. გოფრირებულ მუყაოს ყუთში შეფუთული ნედლეულის მასა არ უნდა აღემატებოდეს 25-30 კგ-ს.

დაფასოების დროს ნედლეულის შეფუთვისას იყენებენ სამომხმარებლო ტარის შემდეგ სახეებს – მუყაოს ყუთებს, ქაღალდის და პოლიეთოლენის პაკეტებს, ქაღალდის სახვევებს, ფილტრ-პაკეტებს.

მარკირება – აადვილებს ნედლეულზე მუშაობას საწყობში შემოტანისას, საწყობიდან გაგზავნის და შენახვის დროს – მდგრადი სალებავითა და მსხვილი შრიფტით უთითებენ სამინისტროს, დამამზადებელ საწარმოს და მის სასაქონლო ნიშანს, პროდუქციის დასახელებას ქართულ და ლათინურ ენებზე, ნედლეულის მასას, ხმარების წესს, შენახვის პირობებს, რეგისტრაციის და სერიის ნომერს, ვარგისიანობის ვადას, ფასს.

ტრანსპორტირება – სამკურნალო, არომატული, სანელებელი მცენარეული ნედლეულის ტრანსპორტირებას აწარმოებენ მშრალ, უსუნო, მავნებლებით დაუზიანებელი სატრანსპორ-

ტო საშუალებებით. შხამიანი, ძლიერმოქმედი და ეთეზეთოვანი ნედლეულის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ნედლეულის სხვა სახეობებისაგან განცალკავებით.

შენახვა – დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეული ნედლეულის შესანახი სათავსოს სანიტარულ მდგომარეობას და კე-თილმოწყობას. საწყობი უნდა იყოს სუფთა, მშრალი, მზის სხივები პირდაპირ არ უნდა ეცემოდეს, ნიავდებოდეს. ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს $10-15^{\circ}\text{C}$;

დროულად აღებული, სწორად დამუშავებული სამკურნალო ფიტონედლეული ოპტიმალური მუდმივი ტემპერატურისა ($10-15^{\circ}\text{C}$) და გარემოს ფარდობითი ტენიანობის (65-75%) პირობებში 3 წლის განმავლობაში და ხშირად მეტიც, ინარჩუნებს სასაქონლო სახესა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

**სამკურნალო სამკურნალო, არომატული,
თაფლოვანი, საღებავი, სანელებელ და შხამიან
მცენარეთა გენეტიკური რესურსი**

**აბზინდა (*Artemisia Absinthium*) – Wormwood – Полынь
Горькая**

აბზინდა (*Artemisia Absinthium*) მრავალწლოვანი ბალახოვანი 1 მეტრამდე სიმაღლის მცენარეა რთულყვავილოვანთა (*Asteraceae, Compositae*) ოჯახიდან, ქეჩისებურ – ნაცრისფერი შებუსვითა და მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო შეფერილობით. ზედა ნაწილში დატოტვილი ღერო სწორმდგომია, დატოტვილი მოკლე ფესვურით. ფესვთან განლაგებული კვერცხისებური ფოთლები გრძელყუნწიანია, სამჯერ ფრთისებრ განკვეთილია ლანცეტა ფორმის სეგმენტებად. ფირფიტისებრი ფართო ფორმის ფოთლები ღეროზე ორჯერ ფრთისებრ განკვეთილი, ხოლო ზედა ფოთლები მჯდომარე ფრთისებრია. მილისებური, ყვითელი, წვრილი ყვავილები 2,5-3,5 მმ. დიამეტრის ბურთისებრ კალათებს ქმნიან, რომლებიც თავის მხრივ საგველა ყვავილედებით ცალმხრივ მტევნებადა დაკიდებული საყვავილე მოკლე ღერძებზე. გარეთა ფოთოლაკები ხაზური ფორმისაა, შიგნითა ელიფსური ან უკუკვერცხისებრი. ყვავილსაფარი ბუსუსებითაა დაფარული, ყვავილები კი შიშველია. ყვავილობს აგვისტო – სექტემბერში, თესლი სექტემბერ-ოქტომბერში მწიფდება. მცენარე კარგად უძლებს სიცივეს და სიცხეს. ახასიათებს ძლიერი სპეციფიკური სუნი და მნარე გემო. იზრდება როგორც სარეველა სტეპებზე, რიყნარებზე, ტყის პირებზე, საცხოვრებლებთან ახლოს.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში აბზინდა შემდეგი სახელწოდებითაა მოხსენიებული: აფსინდი, ელევენი, შეია, აგსანთინი, ოშინდარი. ა. იაშვილი ნაშრომში „ხალხური მედიცინა ამიერკავკასიაში“ განმარტავს, რომ ამ მცენარეს წარსულში ფარისსაც და ავსანთინ რუმსაც უწოდებდნენ. იგი აღნიშნავს,

რომ ძველ ქართულ მედიცინაში აბზინდა ძალიან ფართოდ იხ-მარებოდა და მრავალი დაავადების სამკურნალოდ იყო გამოყე-ნებული.

საქართველოში გავრცელებულია გვარი *Artemisia* -ს 13-მდე ნარმომადგენელი, მათ შორის: სამწვანე (*Artemisia Scoparia Wald et Kiit*), უჯანგარი (*Artemisia Annua*), გიეში (*Artemisia Caucasia Willd*), რომელიც დეკორატიული მცენარეა, ავშანი (*Artemisia Fragrans Willd*) გვხვდება საქართველოს ტერიტორი-აზე ველებსა და ნახევრად უდაბნოებში. ზემო რაჭაში იგი ცნო-ბილია სიმჭლის ბალახის სახელით.

მწარე აბზინდასთან (*Artemisia Absinthium*) ყველაზე ახ-ლოა და სამკურნალო თვისებები გააჩნია მამულას (*Artemisia Vulgaris*), რომელიც 1,50 მ სიმაღლისაა, ყვავილობს იგივე პერი-ოდში, გვხვდება მთის შუა და ზედა სარტყელში, ტყის პირებზე, მდინარეების ნაპირებზე.

აბზინდა ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ ნახე-ვარსფეროს ზომიერ სარტყელში, განსაკუთრებით აზიურ ნა-ნილში: მწარე აბზინდა (*Artemisia Absinthium*), ხოროსანი აბზინ-და -(*Artemisiz Cina Berg ex Poljak*), ერთნლოვანი აბზინდა (*Artemisia Annua*), სამკურნალო აბზინდა (*Artemisia Absoratum*), შავი, ანუ ჩვეულებრივი აბზინდა და ა.შ – ეს არის არასრული სია (*Artemisia*) გვარის გავრცელების.

ოდითგანვე აბზინდას სასწაულმოქმედ და სამკურნალო თვისებებს აწერდნენ. იგი ორგანიზმის შესანიშნავი გამწმენდია. სამკურნალოდ ფოთლები და ყვავილიანი კენწეროებია გამოყე-ნებული. აბზინდას ხარისხიანი ნედლეულის დამზადება ორ ეტაპად ხდება, სასურველია აღმავალი მთვარის ფაზაში. ფეს-ვთან განლაგებულ ფოთლებს ყუნწების გარეშე ყვავილობამდე აგროვებენ. კენწეროებს კი 20-25სმ. სიგრძით ჭრიან ყვავილო-ბისას. მოკრეფის დრო თუ დაგვიანდა, ყვავილები მუქდება და დამახასიათებელი ყვითელი შეფერილობა იკარგება. ნედლეუ-ლი რომ არ გამუქდეს, მცენარეს თხელ ფენად ალაგებენ აუცი-ლებლად ჩრდილში, აშრობენ ბუნებრივ პირობებში ან საშრობ-

ში 40-55°C. გაშრობის დამთავრებისას გამომშრალი ღეროები უნდა ტყდებოდეს. სტანდარტული ნედლეული ინახება ნატურალური ნაჭრის, ქალალდის ტომრებში ან ხის ჭურჭელში 2 წლის განმავლობაში.

მწარე აბზინდას მიწისზედა ნაწილი შეიცავს 2%-მდე ეთეროვან ზეთს, რომლის ძირითადი კომპონენტია ტუიოლი 10-25%, ა და ბ ტუიონს (10%), ასევე პინენს, სესქვიტერპენულ ლაქტონებს, გლიკოზიდებს, ფლავონოიდ არტემიზინს, ორგანული მჟავებს, K და P ვიტამინებს, მთრიმლავი ნივთიერებებს, ფისებს და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ უჯანგარიდან გამოყოფილ პეროქსიდული ტიპის სესქვიტერპენული ლაქტონ არტემიზინს აღმოაჩნდა მალარიის საწინააღმდეგო მოქმედება.

აბზინდა, როგორც სამკურნალო საშუალება, აღწერილი აქვს ქანანელს, ფანასკერტელს და დავით ბატონიშვილს. აბზინდა მადის აღმძვრელი ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებაა. ამ მიზნით ფარმაცევტულ ქარხნებში მზადდება დამახასიათებელი სუნის მქონე სქელი ექსტრაქტი. მას იყენებენ საჭმლის მონელების ტრაქტის დაავადებისას, მაღალი მჟავიანობის, მუცლის ჭრის, მსხვილი ნაწლავის სპაზმის და ანთების დროს, გასტრიტის, მეტეორიზმის, თირკმლების, ღვიძლის და ნალვლის ბუჭტის დაავადებების, ანემიის დროს. მისი ნაყენი აძლიერებს კუჭჭის წვენის გამოყოფას, აქრობს უსიამოვნო სუნს პირიდან. ნახარშს და ნაყენს იყენებენ გამოჯანმრთელების პერიოდში. აბზინდა მოქმედებს, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, ძარღვების დაჭიმვისა და ამოვარდნილობისას.

უნდა აღინიშნოს, რომ აბზინდას გააჩნია უკუჩვენებაც – ფეხმიმობას შეიმჩნევა მომატებული მგრძნობელობა მცენარის მიმართ. მცენარე შხამიანია! იგი მიიღება ექიმის დანიშნულებით 2 თვის განმავლობაში, უფრო ხანგრძლივი გამოყენება უარყოფით შედეგებს იწვევს. აბზინდას დიდი რაოდენობით მიღებისას აღინიშნება პირლებინება, მოქმედებს არტერიულ წე-

ვაზე (მცირე რაოდენობით – ამაღლებს, დიდი რაოდენობით ადაბლებს).

ავიცერა მიუთითებდა, რომ აბზინდას ნახარშის ორთქლი აყუჩებს ყურის ტკივილს, ხოლო მისი მიღება ღვინის დაღევის წინ აუმჯობესებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას ნაბახუ-სევზე, კარგ შედეგს იძლევა თვალების ანთების დროსაც. აბ-ზინდის საფენების დადება ღვიძლზე და კუჭზე ამცირებს ტკი-ვილს ამ ორგანოებზე, ხოლო მისი წვერი ძმართან ერთად შვე-ლის სოკოთი და კონიოთი მონამვლის შემთხვევაში. ითვლება რომ, რაც უფრო ხნიერია ადამიანი, მით უფრო სასარგებლოა მისთვის აბზინდა. ჩინურ მედიცინაში აღნიშნულია, რომ აბზინ-და გამოიყენება ადამიანის სხეულზე აქტიური წერტილების გა-სახურებლად. აბზინდის სიგარა იწვის დამოუკიდებლად, სანამ არ ჩააქრობენ. სითბო, რომელსაც იგი გამოყოფს, კოპერენტუ-ლია, როგორც ლაზერის გამოსხივებისას, იგი აღწევს ღრმად ქსოვილში და ააქტიურებს ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებს. ამასთან, იზრდება ადამიანის სასიცოცხლო ტონუსი.

აბზინდის სურნელი და არომატი წმენდას ადამიანის აურა-სა და გარემოს უცხო მენტალური ნაგავისგან, ხელს უწყობს ადამიანის შესვლას სამლოცველო, ამაღლებულ მდგომარეობა-ში, დიდი მარხვის დროს. აბზინდას მაგიურ თვისებებსაც მიაწე-რენ. ითვლება, რომ იგი ავი სულებისაგან იცავს გარემოს. ძველ დროში, სახალხო მკურნალები პაციენტს და მის გარემოს აბზინდის კვამლს შემოატარებდნენ. იგი არამხოლოდ ენერგე-ტიკას წმენდადა, არამედ აუმჯობესებდა დაბინდულ გონებასაც. ფრინველებიც კი იცავენ ამ მცენარით თავიანთ ბარტყებს პა-რაზიტებისგან. აბზინდის კონის დაკიდება სასარგებლოა სახ-ლის შესასვლელში, კარის თავზე, იგი არამხოლოდ აფრთხობს მწერებს არამედ გარემოს ნეგატიური გავლენისგანაც დაგი-ცავთ.

აბზინდას ნახარშს იყენებენ ფოთოლმლრნელი მავნებელი მატლების, მათ შორის კოლორადოს ხოჭოს საწინააღმდეგოდ. ფრინველებისაგან თესლის დასაცავად იყენებენ აბზინდას ნა-

ყენს. 1-2 საათის განმავლობაში ათავსებენ თესლს ნაყენში, კარგად ურევენ, გაშრობის შემდეგ თესავენ.

ალისარჩული (*Carthamus tinctorius*) – Safflower – Сафлор Красильный

ალისარჩული (*Carthamus tinctorius*) ერთ მეტრამდე სი-მაღლის ერთნოლოვანი ზეთოვანი საღებარი მცენარეა რთულ-ყვავილოვანთა (*Asteraceae, Compositae*) ოჯახიდან. მაღალი, სწორმდგომი, ძლიერ დატოტვილი ღეროთი, მონაცვლეობით განლაგებული ტყავისებრი, მოგრძო, ეკლისებრად დაკბილული ფოთლებით. ყვაველი ყლორტის წვერზე სხედან მსხვილი, სფე-რული კალათები, რომლებიც ორსქესიანი ყვავილებისაგანაა შექმნილი. ყვავილი ყვითელი, ნარინჯისფერი ან ნარინჯისფერ-მოწითალოა, გვირგვინი ხუთი ფურცლისგან შედგება ხუთი შეზრდილი მტვრიანათი და ერთბუდიანი ქვედა ნასკვით. კალა-თა ყვავილედის საბურგველი შედგება სამი შრე ქერქლებისაგან. ნაყოფი – თესლურაა. თესლურები 25-30% ზეთს შეიცავს, საუ-კეთესო ჯიშები – 37%-მდეც.

ამ მცენარის სამშობლოდ როგორც ნ. წუწუნავა აღნიშ-ნავს, ოსტინდოეთი და ეგვიპტე ითვლებოდა, თუმცა კულტივი-რებულია ევროპის ბევრ ქვეყანასა და კავკასიაში. იგი ძირითა-დად ზეთოვან კულტურად ითვლება, რადგან საკმაოდ გვალვა-გამძლეა, მოყავთ იმ რეგიონებში, რომლებიც მზესუმზირის-თვის მშრალია.

ყვავილის გვირგვინის ფურცლებისაგან მზადდება ნატუ-რალური წითელი და ყვითელი ფერის ძვირფასი საღებავი, რო-მელიც გამოიყენება ხალიჩების ნარმოებასა და კულინარიაში. ალისარჩულის ზეთი მზესუმზირის ზეთსაც ცვლის, გამოიყენ-ბა ასევე ოლიფის დასამზადებლადაც. ძველ ეგვიპტეში კი მის ზეთს მუმიფიცირებისთვის იყენებდნენ. მედიცინაში მას საფა-ლარათო, შარდმდენ და ნალვლმდენ საშუალებად იყენებდნენ.

მისი ზეთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კოსმეტიკულოგიაში, კანის დამარბილებელია, მკვებავი, სისხლძარღვებს ელასტიურს ხდის, აქვს ანთების საწინააღმდეგო ეფექტიც.

ანწლი ჩვეულებრივი (*Sambucus Ebulus*) – Elder – Бузина Чёрная

ანწლი ჩვეულებრივი (*Sambucus Ebulus*) 1,5-2,0 მეტრამდე სიმაღლის მრავალწლოვანი, ფესვურიანი, ბალახოვანი მცენარეა ცხრატყასებრთა ანუ ადოქსასებრთა (*Caprifoliaceae, Adoxaceae*) ოჯახიდან. ღრუიანი ღერო დაღარული, სწორმდგომი, დატოტვილია. მოპირდაპირედ განლაგებული კიდე-დაკბილული ფოთლები რთულია, არანყვილფრთიანი ფოთლები შედგება 5-13 ნაგრძელებული, ლანცეტისებრი ფოთოლაკები-საგან. თეთრი ყვავილები შეკრებილია ქოლგისებრ ყვავილედე-ბად. შავი შეფერილობის ნაყოფი ხორციანი კენკრაა, რომელ-შიც სამი მაგარი თესლია. მცენარე ყვავილობს მაის – ივლისში, ნაყოფი მწიფდება ივლის – აგვისტოში. იგი ნესტიან ადგილებ-შია გავრცელებული, დაბლობებიდან სუბალპურ სარტყელამ-დე. იზრდება ღობის ძირას, ტყისა და გზის პირას, რუდელარულ ადგილებში. სამკურნალო ნედლეული მზადდება ფესვების, ფოთლების, ყვავილებისა და ნაყოფებისაგან. ნაყოფს აგროვე-ბენ სრული სიმწიფის პერიოდში, იგი შეიცავს მთრიმლავ ნივ-თიერებებს, ეთერზეთებს, მწარეებს, ორგანულ მჟავებს, პექტი-ნებს, ვიტამინ C, ტოქსიკურ ალკალინდ ამიგდალინს. ყვავილე-ბი კი შეიცავენ სახაროზას, ეთერზეთებს, გლიკოზიდებს.

ანწლისაგან მიღებული პრეპარატები ავლენენ ანთების და დიაბეტის საწინააღმდეგო, დამარბილებელ, შარდმდენ, ამო-სახველებელ და ანტისეპტიკურ თვისებებს, გააჩნიათ მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. გვევლინებიან, როგორც ანტიმიკრო-ბული, ოფლმდენი, ბაქტერიოლოგიური საშუალებანი.

ხალხურ მედიცინაში ნაყოფების შაქრიანი ნაყენი წარმო-ადგენს კუჭის შემკვრელ უებარ საშუალებას, ხოლო ფესვებისა და ფოთლების წვენი გამოიყენება ყურის ტკივილის დროს ან-თების საწინააღმდეგოდ. მტკივან ყურში იწვეთებენ 2-2 წვეთ ფესვის ან ფოთლის თბილ წვენს. ნაყოფისგან დამზადებულ ჯემს იყენებენ ტუბერკულოზისა და ბუასილის სამკურნალოდ, ფესვების ნახარში თირკმლების დაავადებისას მიიღება.

ანწლი და ავშანი გამოიყენება, როგორც მცენარეთა დაც-ვის ბუნებრივი საშუალებებიც, ანწლის ნაყოფი ეფექტურია ბუგრების წინააღმდეგ. სუნი აფრთხობს თაგვისებრ მღრნე-ლებს. ამიტომ მას ათავსებენ საწყობებში, მარცვალსაცავებში და სხვ. მცენარე გროვდება ყვავილობის და მსხმოიარობის პე-რიოდში. ავშანისა და ფიჭვის წინვების ფიტონციდური ნაყენი გამოიყენება მოცხარისა და ხურტკმელის ალურას წინააღმდეგ, პირველი წამლობა ტარდება ყვავილობის წინ, შემდეგ ორი კვი-რის ინტერვალით.

ანგელოზა სამკურნალო (*Angelica officinalis*) – Garden Angelica – Дягиль Лекарственный

ანგელოზა (*Angelica officinalis*) ქოლგოსანთა ოჯახის Apiaceae (*Umbelliferae*) ორნლოვანი, იშვიათად მრავალწლოვა-ნი, მონოკარპული, სასიამოვნო სუნის მქონე 2 მეტრამდე სი-მაღლის ბალახოვანი მცენარეა. მისი დანაოჭებული, მსხვილი, სტაფილოსებრი ფესვურა თავისი მრავალრიცხოვანი ხორცო-ვანი განტოტებით მოთეთრო ან მოყვითალო წვენს შეიცავს. ზედა ნაწილში დატოტვილი, მტრედისფერი ნაფიფქით დაფა-რული, შიგნით ღრუ, მსხვილი ღერო სწორმდგომია. ღეროზე მორიგეობითა განლაგებული ფრთისებრ დანაკვთული, განი-ერვაგინიანი 81-86 სმ-მდე სიგრძის შიშველი ფოთლები. ზედა ფოთლების ვაგინები ძლიერ გაბერილია. კვერცხისებრ და წაწ-ვეტებულ ფოთოლაკებს კიდეებში წვეტიანი კბილები აქვთ. თა-

ნაყვავილედებად შეკრებილი ყვავილები წვრილი, მომწვანო-მოყვითალო-მოთეთროა და მსხვილი, სფეროსებრი, რთული ქოლგაა, 16-21 სმ დიამეტრით და 21-დან – 41 წვრილ ბუსუსიანი სხივით. ქოლგებს საერთო საბურველი არ გააჩნიათ, ხოლო ქოლგაკების კერძო საბურველი კი მრავალრიცხოვანი ხაზურ ან სადგისისებრ ფოთოლაკებს შეიცავს. თესლურა ორთესლიანია, ნახევარ ნაყოფს ზურგის მხარეს სამი, ხოლო გვერდებზე ორ-ორი წიბო აქვს, ჩვენს პირობებში ყვავის ივლის-აგვისტოში, ხილი ნაყოფები სექტემბერში მწიფდება. ანგელოზა ხარობს ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე.

სამკურნალოდ გამოიყენება ანგელოზას მიწისქვეშა ნა-წილები – ფესვურები და ფესვები. იგი შეიცავს ეთერზეთებს, ნახშირნყლებს, ფიტოსტერინებს, ორგანულ მჟავებს, ფუროკუ-მარინს, მთრიმლავ და მწარე ნივთიერებებს, ფისებს.

ანგელოზა ავლენს ანტიმიკრობულ, ნალველმდენ, ანთე-ბის საწინააღმდეგო, მაღის ალმძვრელ, დამარბილებელ, ოფ-ლმდენ, ტკივილგამაყუჩებელ, საერთო მდგომარეობის გამამაგ-რებელ თვისებებს.

ხალხურ მედიცინაში ანგელოზას ფესვურები და ფესვები გამოიყენება კუჭნანლავების დაავადებათა სამკურნალოდ – ნაწლავების სეკრეტორული და მოტორული ფუნქციების გასაძ-ლიერებლად, დუღილის პროცესების შესამცირებლად, აგრეთვე შარდმდენ საშუალებად. თესლი და ბალაზი გამოიყენება, რო-გორც არომატული, მასტიმულირებელი, ოფლმომდენი და გა-ზებგამომდევნი საშუალება. იგი არის მატონიზირებელი, მომა-მაგრებელი სუსტი ნერვიანობის შემთხვევაში, უძილობის, საჭ-მლის მონელების პროცესების მოშლის, აგრეთვე ავი ზნის (ეპი-ლეფსის), უმადობის, ნაწლავების ატონის (მოდუნების), ოფ-ლმომდენი და ამოსახველებელი საშუალება.

სამკურნალო ანგელოზას ფესვურასა და ფესვებს იყენე-ბენ, როგორც ტკივილგამაყუჩებელ და სპაზმოლიტურ საშუა-ლებას, მსუბუქ ფორმებში არსებული ნერვებალგზნებულობისა და ისტერიის დროს რეკომენდებულია მისი აბაზანები, შეიძლე-

ბა გამოვლება პირში ანთებითი პროცესებისას. სპირტზე მომზადებული ნაყენით 1:10 შეფარდებით რევმატიულ ადგილებს იზელენ.

არნიკა მთის (*Arnica Montana*) – Mountain Arnica – Арника Горная

არნიკა (*Arnica Montana*) – მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (*Asteraceae*) ოჯახიდან. გავრცელებულია ველურად, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ბუნების დაცვის მესვეურთა მეთვალყურეობის ქვეშაა მისი რესურსი. გააჩნია მონითალო – მურა ფერის ფესვურა მოკლე, მრავალრიცხოვანი წვრილი ფესვებით. სწორმდგომი, დატოტვილი, ფესვთან ოვალური ფორმის ღერო 50 სმ-მდე სიმაღლისაა, წარმოქმნის როზეტს. ფოთლები ლანცეტისებურია. კაშკაშა ყვითელი შეფერილობის ყვავილებით და მუქი – ნაცრისფერი ნაყოფით ხასიათდება. ჩვენს პირობებში ყვავის ივნის-ივლისში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო – სექტემბერში. არნიკა ხარობს სუბალპურ მთიან მდელოებზე. ბუნებრივი მდელო შეიძლება გამოდგეს წინამორბედად, თუ მათზე ძლიერი განოყიერება არ მომხდარა, იტანს როგორც მზეს, ასევე ძლიერ ნალექებს. ჩვენი ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით (თ. კაჭარავა, 2013, 2019) არნიკა საკვები ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგზე ან მინერალური სასუქების შეტანაზე უაღრესად მგრძნობიარედ რეაგირებს. საკვები ელემენტების სულ მცირედ ჭარბმა რაოდენობამ შეიძლება ფოთოლი დააზიანოს ან მცენარე დაიღუპოს კიდეც. ამიტომ გამოკვების საჭიროება ან არ არსებობს ან სკურპუოზულად უნდა დავიცვათ ნორმები. თესლი გაღივების უნარს მალე კარგავს, ამიტომ საჭიროა თესლის წარმოება ან სათესლე მასალის ბუნებაში შეგროვება. უმრავლეს შემთხვევაში დარგვის შემდეგ, მეორე წლიდან ყვავილის თავაკები მაისის ბოლოდან ივლისის ბოლომდე რეგულარულად იკრიფება. თეს-

ლი მომწიფებას იწყებს ივლისის შუა რიცხვებიდან. თუ გაყიდვაში მოთხოვნილება სუფთა ყვავილზეა, მაშინ ყვავილის ჯამები უნდა გამოშრეს. გაშრობის პროპორცია შეადგენს 5:1 – ს ყვავილებთან, ფესვებთან კი – 3:1. ფესვების ამოღება ხდება მიზნობრივად, ყვავილების მოპოვების შემდეგ. სამკურნალოდ გამოიყენება გამშრალი ყვავილების კალათები და ფესვები. არნიკა შხამიანი მცენარეა და მისი გამოყენება მხოლოდ ნორმირებით შეიძლება, თუმცა იგი შედის ყველაზე პოპულარული სამკურნალო მცენარეების შვიდეულში.

არნიკა შეიცავს ეთეროვან ზეთებს – 0,1 %, პირველ რიგში, აზულენსა და თიმოლს, გლიკოზიდებს, მათ შორის იზოკვერციტრინის, არნიცინს, ორგანულ მჟავებს, C ვიტამინს, ქოლინს, ფისებს, ნახშირწყლებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინოდულ პიგმენტებს, ლორნოს, მაკროელემენტებს K, Ca, Mg, მიკროელემენტებს Mn, Cu, Fe, Zn, Co, Mo, Cr, Al, Ni, B, I.

არნიკას გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, სისხლძარღვების გამაფართოებელი, ათეროსკლეროზის სააწინააღმდეგო, ანტიბიოტიკური და წნევის დამწევი მოქმედება, ავლენს ტკივილგამაყუჩებელ, სისხლისალმდეგნ სამკურნალო თვისებებს. გამოიყენება ნაყენებსა და მალამოებში. შედის ჰომეოპათიური პრეპარატების შემადგენლობაში.

არნიკას ყვავილების გამონაწურის მიღებით მცირდება სისხლში ჰოლესტერინის შემცველობა, ხდება ცენტრალური ნერვული სისტემის ნორმალიზება. მისი ნაყენი დაჭიმულობისა და დაუეულობისას კანზე წასასმელი, დამაამებელი საშუალებაა. მიზანშეწონილია შეწითლებულ სახსარში არნიკის წვენის შეზელა. უნდა აღინიშნოს, რომ ღია ჭრილობაზე ან ნაკანზე მისი წასმა ან შინაგანად მიღება არ შეიძლება, რადგან იგი შხამიანი მცენარეა. არნიკას ნაყენს იყენებენ სველ გადასახვევებად, კომპრესებად დაზიანებების, განაფხაჭნების, ჰემატომების, ძარღვის დაჭიმულობის, კანის სხვა დაავადებების (ძირმა-

გარების, გამონაყარების..), ტროფიკული წყლულების, მსუბუქი დამწვრობების და მოყინულობის შემთხვევაში.

ასკილი (*Rosa Canina*) – Brier – Шиповник

საქართველოში გავრცელებულია ასკილის (*Rosa Canina*) ოჯახი ვარდისებრნი (Rosaceae) 30 -მდე სახეობა, აქედან მოქმედ სახელმწიფო ფარმაკოპეაში შეტანილია 12 სახეობა. ასკილი 2-3 მეტრამდე სიმაღლის დატოტვილი ბუჩქია ტოტებზე მაგარი, კაუჭა ეკლებით, ნაცრისფერ ქერქიან ღეროზე ქვედა მხრიდან მორუხო – მომწვანო ფერის ფოთლები მორიგეობითაა, არაწყვილფრთისებრ რთული, ელიფსური ან კვერცხისებრ ხერხებილა 5-11 ცალი ფოთოლაკებით, ყლორტები მწვანეა. ფოთლის ყუნწის ძირში ორი თანაფოთოლი ზის აქეთ-იქედან. მსხვილი, სურნელოვანი, თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილები ორსქესიანია, სათითაოდ არის გაბნეული, ან ყვავილოვან ჯგუფებად შეკრებილი. ჯამის ფოთოლი 5-ია, აქედან 2 მთლიანი. ჩვენს პირობებში ყვავილობს მაის-ივნისში, ნაყოფი სექტემბერ – ოქტომბერში მწიფდება სხვადასხვა ელფერის სიწითლით, კენკრისებურია, სიმწიფეში წვნიანი, სხვადასხვა ფორმის, იშვიათად მრგვალი, უფრო ხშირად მოგრძო – ოვალური, გლუვი, ღია ან მუქი წითელი ფერის, ნაყოფის შიგა კედლები მოფენილია მრავალრიცხოვანი ჯაგრისებური ბუსუსებით, რომელთა შორის მოთავსებულია მრავალი მკვრივი ნაყოფი – კაკალი. ნაყოფი შედგება გაზრდილი ხორცოვანი ჰაბანთიუმისა და მასში ჩაფლული მრავალრიცხოვანი კაკლუჭისებრი ერთთესლიანი ნაყოფისაგან. ნაყოფი იკრიფება სრული სიმწიფის პერიოდში, სავსე მთვარის ფაზაში, ახასიათებს ოდნავ ძელგი, მომჟავო – ტკბილი გემო, უსუნოა.

ასკილის სახეობებისათვის დამახასიათებელია პოლიმორფიზმი და მრავალი ჰიბრიდული ფორმის არსებობა, რაც ართუ-

ლებს ამ გვარის ტაქსონომიას. ლ. ერისთავს (2005) აღწერილი აქვს საქართველოში გავრცელებული სახეობები:

Rosa Tomentosa Sm. – დაფარულია მოყვითალო-ყავისფერი ქერქით, ერთნეროვანი ტოტები კი ლეგა ნაფიფქით, ერთნაირი ეკლები ძირშია გაფართოებული, გვერდებზე შებრტყელებული, ოდნავ მოხრილია. ფოთოლაკები ორივე მხარეს შებუსულია, გვირგვინის ფოთლები ვარდისფერია, ცრუნაყოფი სფეროსებრი, ჯირკვლოვანი ჯაგრით მოფენილი, იშვიათად შიშველი. გავრცელებულია მთის შუა და ზედა სარტყელში – რაჭალეჩხუმში, აჭარაში, სამაჩაბლოში, ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში.

Rosa Micrantha Borrer ex Smith – ღერო დაკლაკნილია, ფოთლები 4-6 სმ სიგრძის, ყვავილები პატარაა, მარტოული ან იშვიათად 2-4. ჯამის გარეთა ფოთლების გვერდითი დანამატები ძლიერადაა ფრთისებრ განკვეთილი. გვირგვინის ფურცლები 13-15 მმ სიგრძისაა, ვარდისფერი, ჩვეულებრივ ჯამის ფოთლებზე მოკლე. გავრცელებულია მთის ქვედა და შუა სარტყელში – აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთში, ქართლში, თრიალეთში, მესხეთში.

Rosa canina – ძალლის ასკილი 3 მეტრამდე სიმაღლის ძლიერ დატოტვილი ბუჩქია, ტოტები რკალისებურად მოხრილია, ეკლები გვერდებზე შეპრტყელებული, რკალისებრ ან კაუჭისებრ მოხრილი, ფოთლები ჩვეულებრივ 7- ფოთოლაკიანია, კიდეზე მარტივი ან ორმაგხერხკბილა, შიშველი. თანაფოთლები ვიწროა, წვეტიანი, ყურაკებით. ჯამის ფოთლები დაყვავილების შემდეგ ქვევითაა გადახრილი და ადრე ცვივა, ცრუნაყოფი ელიფსურია, იშვიათად სფეროსებრი, შიშველი ან ჯირკვლოვანი ჯაგრისით მოფენილი. გავრცელებულია დაბლობიდან მთის ზედა სარტყელამდე საქართველოს ყველა რაიონში. ეს სახეობა ხასიათდება ძალიან დიდი პოლიმორფიზმით.

Rosa Corymbifera Borkh – ფოთოლაკები კვერცხისებრია ან ფართო კვერცხისებრი, ჩვეულებრივ მარტივი, იშვიათად

ორმაგხერხკბილა, ორივე მხარეზე ან მხოლოდ ქვემოდან, ზოგჯერ მხოლოდ ძარღვების გაყოლებაზე შებუსული. ჯამის გარეთა ფოთლები კარგად განვითარებული, ხშირად ღრმად ფრთისებრ განკვეთილი, გვერდითი დანამატებითაა. დაყვავილების შემდეგ ჯამის ფოთლები ქვევითაა დახრილი და ადრე ცვივა, გვირგვინის ფურცლები მკრთალი ვარდისფერია, ზოგჯერ გაშლილი, თეთრი. გავრცელებულია მთელ საქართველოში, ეს სახეობაც ცვალებადობს და მის ფარგლებში მრავალი სახესხვაობაა გამოყოფილი.

Rosa Cinnamomea – ასკილის ოფიციალური სახესხვაობიდან საინტერესოა დარიჩინის ასკილი. ეს სახეობა შედარებით მდიდარია C ვიტამინით. დარიჩინის ასკილის ტოტები პრიალაა, მოწითალო-ყავისფერი, რითაც გავს დარიჩინის ხის ქერქს, სახელიც აქედან წარმოიშვა. ტოტები მოფენილია ნამგლისებრ მოხრილი ეკლებით, რომლებიც წყვილ-წყვილადაა განლაგებული, ფოთლები ყუნწებთან და ფუძესთან შეჭყლეტილია. უნაყოფო ყლორტებზე – ტურიონებზე განვითარებულია წვრილი, სწორი, სხვადასხვა სიგრძის ეკლები. ფოთლები რთულია, არანყვილფრთისებრი, 5-7 წყვილი მოგრძო ელიფსური ან კვერცხისებრი ფორმის, კიდედაკბილული ფოთოლაკით, ორთანაფოთლიანი, ფოთლები ქვევიდან მიტკეპნილებწვიანია. ყვავილები მსხვილი, თითო ან 2-3 ერთად. ნაყოფები სფეროსებრია, გლუვი, ნარინჯისფერი ან წითელი, ხორცოვანი, შერჩენილი აქვს ზევით აშვერილი ჯამის ფოთლები. ეს ფორმები საქართველოში ველურად მოზარდი არ გვხვდება, კულტივირებულია, როგორც დეკორაციული და სამკურნალო მცენარე.

ასკილის ნაყოფებს ამზადებენ შემოდგომაზე, როდესაც მათი შეფერვა ნარინჯისფერიდან წითელში გადადის და რბილდება. იგი მდიდარია C ვიტამინით, სახელმწიფო ფარმაკოპეის მოთხოვნით ასკორბინის მჟავას შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ 0,2 %, უნდა აღინიშნოს, რომ ვიტამინ C-ს შემცველობა მასში 6% – მდეა, ზოგიერთ სახეობაში კი 18%-მდეც აღწევს.

ნაყოფები შეიცავს ეთერზეთებს, კაროტინოიდებიდან ვ და გ კა-როტინებს, ვიოლოქსანტინს, ნახშირწყლებს, სტეროიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ანტოციანებს, უმაღლეს ალიფატურ ნახშირწყალბადებს და სპირტებს, ორგა-ნულ მჟავებს, მინერალურ მარილებს, ლიპიდებს, რომელთა შე-მაღგენლობაში შედის ოლეინის 15%, ლინოლენის 18%, ლინო-ლის 62%, პალმიტინის, სტეარინის მჟავების ტრიგლიცერიდები. თესლებში ბევრია ცხიმოვანი ზეთი, რომლის 50% ოლეინის მჟა-ვაა. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარია ფოთ-ლები, ყვავილები, ფესვები.

ტრადიციული მედიცინა ასკილს იყენებს ათეროსკლერო-ზის, ჰიპერტონული დაავადების, კუჭისა და თორმეტგოვა ნაწ-ლავის წყლულოვანი დაავადებების, სანალველე გზების ანთე-ბის, შარდის ბუჭტის, შარდ-კერძოვანი დაავადებების, ნეფრი-ტის, პლევმონიის, ბრონქიალური ასთმის, ნევროზების, თვალის პათოლოგიების და ჩვეულებრივ C ვიტამინის დეფიციტის დროს.

ასკილის ნაყოფი ხასიათდება ფიტონციდური და ბაქტე-რიოციდული თვისებებით. გარდა ამისა იგი არის ანთების საწი-ნაალმდეგო, ნაღველმდენი, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მარეგულირებელი და შარდმდენი საშუალება. ასკილის ნაყო-ფები ვიტამინების საბადოა. ვიტამინი C ანუ ასკორბინის მჟავა მონაწილეობს ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვა-ალდგენით პრო-ცესებში, დადგენილია, რომ ის ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველო-ბას. ვიტამინი P – რუტინი ხელს უწყობს კაპილარების სიმყი-ფესა და შეღწევადობის შემცირებას, აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ ასკორბინის მჟავის გამოყენებას. ვიტამინი A – კაროტინი ამაღლებს არასასურველი პროცესებისადმი ორგანიზმის საერ-თო წინააღმდეგობის უნარს. ვიტამინები მონაწილეობენ ყვითე-ლი ფერმენტის სინთეზში, ხელს უწყობენ მხედველობითი პურ-პურის სინთეზს, მოქმედებენ სისხლმბად ორგანოებზე. ვიტამი-

ნი K – მონაწილეობს პროთომბინის ნარმოქმნაში, ხელს უნ-ყობს მოტეხილობის დროს ძვლების შეზრდის პროცესის დაჩქა-რებას, გამოიყენება აგრეთვე საშვილოსნოდან სისხლდენის დროს, თირკმლის კენჭოვანი დაავადებისა და ღვიძლის დაქვეი-თებული სეკრეციის დროს, ზემოქმედებს ძვლის ტფინის ფუნ-ქციასა და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლაზე.

ხალხურ მედიცინაში ასკილის ნაყოფების ნახარში პოპუ-ლარულია და გამოიყენება თითქმის ყველა დაავადების საწინა-აღმდეგოდ. კერძოდ, კენჭოვანი დაავადების, კუჭისა და თორ-მეტგოჯა ნაწლავის წყლულის, გასტრიტის, კოლიტის, სის-ხლნაკლებობის, მალარიის, ქალის სასქესო ორგანოების დაავა-დებათა დროს.

უკუჩვენება – ასკილის პრეპარატებისა და ნაყოფების გამოიყენებას თან სდევს სისხლის მიმოქცევის უკმარისობა, თრომბოფლებიტი, ენდოკარდიტი.

ასფურცელა (*Tanacetum Vulgare*) – Tanacetum – ჰიჯმა

ასფურცელა (*Tanacetum Vulgare*) რთულყვავილოვანთა (Asteraceae ანუ Compositae) ოჯახის 50-150 სმ სიმაღლის ფეს-ვურიანი, მრავალწლოვანი, სპეციფიკურად მძაფრსუნიანი ბა-ლახია. ფესვურიდან მრავალი, წვრილდარებიანი ღერო ამოდის, რომელიც კენწრულ ნაწილში დატოტვილია. ელიფსოიდური ფორმის, ფრთისებრ დაყოფილი 10-20 სმ სიგრძის ფოთლები ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული, ფრთაგანაკვეთილ მრა-ვალრიცხვით. წაგრძელებულ ლანცეტურ ნაწილებად. ღეროს ქვედა ნაწილში ფოთლები ყუნწიანია, შუა და ზედა ნაწილში კი მჯდომარე. კალათა ყვავილედები კენწრულ ხშირფარებადაა შეკრებილი, ამასთანავე ყვავილები მილისებრი ფორმისაა და ნარინჯისფერი-ყვითელი შეფერილობით გამოირჩევიან. ყვა-ვილსაჯდომი ღია მწვანე, სუნი სპეციფიკური, გემო სანელებ-ლისათვის დამახასიათებელი – მომწარო, გასრესისას ქაფურის სუნით. თესლურები მოგრძო, კიდეებზე მრავალკბილებიანია.

სიგრძეზე თესლურებს ღარები და წიბოები ჩასდევს, ჩვენს პი-რობებში მცენარე ყვავილობს ივლის-აგვისტოში, ნაყოფი მნიუდება აგვისტოს ბოლოდან.

საქართველოში ასფურცელა გავრცელებულია რაჭაში, აფხაზეთში, მთიულეთში, მესხეთ-ჯავახეთში, აგრეთვე აზერბა-იჯანსა და სომხეთში. იზრდება ველებზე, მშრალსა და ქვიან ფერდობებზე, ქმნის ვრცელ ნაზარდებს.

სტანდარტული ნედლეული შედგება რთული ყვავილედის ნაწილებისა და ცალკეული კალათებისაგან. ყვავილები შეიცავს 2%-მდე ეთეროვან ზეთებს, რომლის ძირითადი შემადგენლობა განისაზღვრება ბიციკლური შენაერთებით, მათ შორის α- ტუი-ონი, β-ტუიონი, იზოტუიონი, ბორნეოლი, α- და β-პინენი. ფარ-მაკოპეის სტატიის მიხედვით ნედლეულის შეფასება ხდება ფლავინოიდების შემცველობის მიხედვით, რომელიც ლუტეო-ლინზე გადაანგარიშებით უნდა იყოს არანაკლებ 2,5%-ისა. სხვა ფლავინოიდებიდან დადგენილია აპიგენინი, აკაცეტინი, ნედლე-ული შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, მნარე გლიკოზიდებს.

სამკურნალოდ გამოიყენება ფხვნილის ან წყლით გამო-ნაწვლილი, როგორც პარაზიტი, მრგვალი ჭიების დამყრელი სა-შუალება, აგრეთვე ლვილის დაავადებების (ჰეპატიტის, ანგიო-ქოლიტი) და ნაწლავების სამკურნალიდ. ექსპერიმენტების შე-დეგების მიხედვით ასფურცელას ყვავილედების წყალზე ნაყენი გულის კუმშვის ამპლიტუდას ადიდებს, ანელებს გულის რიტმს, ზრდის სისხლის წნევას, ადიდებს ნაღვლის გამოყოფას, ამცი-რებს მასში ლორნოს შემცველობას. უნდა გვახსოვდეს, რომ ას-ფურცელას ეთერზეთში არსებული ტუიონი ტოქსიკურია, ამი-ტომ მცენარის სამკურნალოდ გამოყენებისას დიდი სიფრთხი-ლეა საჭირო.

ასფურცელას პრეპარატები კარგად მოქმედებს კუჭის აშ-ლილობის, რევმატიზმისა და ნერვების აშლილობისას, აგრეთვე ჰეპატიტის და ქოლეციისტიტის შემთხვევებში. ასფურცელას ნა-ყენი ზრდის კუჭის წვენის რაოდენობას და მჟავიანობას.

ხალხური მედიცინა ასფურცელას ფოთლებსა და ყვავილებს იყენებს კუჭნაწლავის სისტემის დაავადებებისას, გასტრიტის, ეპილეფსიის, ისტერიის, სისხლნაკლულობის, გულის მოქმედების დარღვევის (გულისცემა), ზოგჯერ თავის ტკივილის დროსა და ნიკრისის ქარის შემთხვევაში.

ასფურცელას ჩრჩილისა და ბალლინჯოს წინააღმდეგაც იყენებენ და იგი მთლიანად ცვლის ნაფტალინს. ბუზებისაგან დასაცავად ასფურცელას ბალახის ფეხნილს აყრიან ახალ ხორცს.

ასისთავა (*Centaurium Minus Moench*) – Centaury – Золототысячник

ასისთავა (*Centaurium Minus Moench*) ნაღველასებრთა (*Gentianaceae*) ოჯახის წარმომადგენელია, ფარმაკოპეაში გამოიყენება საქართველოში გავრცელებული ორი სახეობა – ქოლგაყვავილა ასისთავა და ლამაზი ასისთავა.

ქოლგაყვავილა ასისთავა (*Ceuntaurium erythraea Rafn*) ერთი ან ორნლოვანი 10-30 სმ სიმაღლის ბალახია, გააჩნია ოთხნახნაგვანი სწორი, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი ღერო. ფესვთანაური ხუთძარღვიანი, ბლაგვნვერიანი ფოთლები როზეტს ქმნიან, დანარჩენი ფოთლები ღეროზე მოპირისპირედაა განლაგებული, დაშორიშორებული, კვერცხისებრ ლანცეტა ან ლანცეტა. თითქმის მჯდომარე ყვავილები შეკრებილია ფარისებრ კენწრულ ყვავილედებად, ჯამი ყვავილობის პერიოდში მეტნილად 2-ჯერ მოკლეა ვარღისფერი გვირგვინის მილზე, მისი მიღლი ზედა ნაწილში ოდნავ შევიწროვებულია. ნაყოფი ვიწრო ცილინდრული ფორმის 2 ბუდიანი კოლოფია, 1 სმ-მდე სიგრძის. არათანაბრად მრგვალი, წვრილი თესლი ყავისფერია. მცენარე ყვავილობს ივნისიდან ოქტომბერის ჩათვლით. ნაყოფი მნიშვნელია აგვისტო-ოქტომბერში. საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, მთი-

ულეთში, გარე კახეთში მთის შუა სარტყელამდე ველებში, მდე-ლოებზე, ძირითადად ალუვიურ და ბიცობიან ნიადაგებზე.

ლამაზი ასისთავა (*Ceuntaurium pulchellum*) ერთი ან ორ-წლოვანი 40 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა, სწორი ღეროთი, ძირი-დან ან შუა ნაწილიდან დატოტვილი. უკუკერცხისებრი ფორ-მის, ხუთძარღვიანი ქვედა ფოთლები ფესვთანურ როზეტს არ ქმნიან. ღეროსეული ფოთლები კი მოპირდაპირედ არიან განლა-გებულნი, მოგრძო ან ლანცეტა ფორმის. ზედა ფოთლები ლან-ცეტა, მახვილწერიანია, დანარჩენი მობლაგვოა. კაშკაშა ვარ-დისფერი ან თეთრი შეფერილობის ყვავილები განლაგებულია მოგრძო ყუნწებზე. მცენარე გამოირჩევა ვიწრო, კოლოფა ნაყო-ფით. მოგრძო, წვრილი თესლი მუქი ყავისფერი შეფერილობი-საა. მცენარე ყვავილობს ივნისიდან ოქტომბერის ჩათვლით. ნა-ყოფი მწიფდება აგვისტო-ოქტომბერში. საქართველოში გავ-რცელებულია აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმე-რეთში, აჭარაში, მთიულეთში, გარე კახეთში მთის შუა სარტყე-ლამდე ზღვებისა და ტბების სანაპიროებზე, ტენიან მდელოებ-ზე, რიყნარზე, სარწყავ და დამლაშებულ ნიადაგებზე.

ორივე სახეობისათვის სტანდარტულ ნედლეულად ით-ვლება მინისზედა ნაწილი, რომელსაც ამზადებენ ყვავილობის პერიოდში აღმავალი მთვარის ფაზაში ივლის-აგვისტოში, თუმ-ცა უნდა აღინიშნოს, რომ ფესვთანური ფოთლები ნედლეულში არ უნდა მოხვდეს.

ასისთავას ყველა ნაწილი მდიდარი გლიკოზიდებითა და ალკალიფური ნივთიერებებით (0,6-1,0%), რომელთა შორის ყველაზე მეტია ალკალიფი ერიტრიცინი (გენციანინი) 0,6-1,0%, შეიცავს ფლავონოიდებს, ასკორბინის მჟავას, ნახშირ-ნილებს, ეთეროვან ზეთებს, საპონინებს, ფენოლმჟავებს.

სახელმწიფო ფარმაკოპეის მიხედვით ნედლეულის სტან-დარტიზაცია წარმოებს ქსანტონების შემცველობის მიხედვით, რომლის რაოდენობა აპიზარინზე გადაანგარიშებით არანაკლებ 0,9%- ისა უნდა იყოს.

ასისთავას იყენებენ ნაყენის სახით მაღის მოსამატებლად, პერისტალტიკის გასაძლიერებლად. კუჭის წვენის მაღალი მუავიანობის, ღვიძლისა და ნალვლის ბუშტის სადინარების დაავადებების, გაცივებისა და ციების დროს კი იყენებენ ასისთავას ნახარშს. იგი გამოიყენება ანემისა და შაქრიანი დიაბეტით დაავადებათა დროს. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი დოზებით ასისთავას პრეპარატების მიღება იწვევს საჭმლის მონელების პროცესის დარღვევას.

ბაბუანვერა სამკურნალო (*Taraxacum Officinale Wigg*) – Milk Gowan – Одуванчик Лекарственный

სამკურნალო ბურბუშელა ანუ ბაბუანვერა (*Taraxacum Officinale Wigg*) მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (*Asteraceae* ანუ *Compositae*) ოჯახიდან, საყვავილე, შეუფოთლავი, ღრუიანი ღერო 10-40 სმ სიმაღლი-საა. მთავარღერძა ფესვთა სისტემას აქვს კარგად განვითარებული, სიგრძით 50 – 60 სმ-მდე მთავარი ფესვი, დიამეტრით 2 სმ-მდე. კიდე ამოკვეთილი, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლანცეტისებრი ფოთლები როზეტადაა შეკრებლი, სიგრძით 10-25 სმ-ია, სიგანით 1,5-5,0 სმ. მცენარის ყველა ნაწილი (ფესვები, ღეროები, ფოთლები) შეიცავს რძენვენს. ენისებრი, ორსქესა ყვავილები ყვითელი შეფერილობისაა, დიამეტრით 5 სმ-მდე, ისინი შიშველ, ღრუ უფოთლო საყვავილე კენწეროზე ვითარდებიან. ფრენია, ქოჩორით დაბოლოებული ნაყოფი თესლურაა. ბაბუანვერა ყვავილობს მაის-ივნისში, ნაყოფი კი მწიფდება და-ახლოებით ერთი თვის შემდეგ, ამიტომაც იგი ხშირად ზაფხულის განმავლობაში მეორე ყვავილობასაც ასწრებს. ბაბუანვერა პოლიმორფული სახეობაა, გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. სამკურნალო ნედლეულად იყენებენ მთლიანად მცენარეს (ფესვი, ფოთოლი, ყვავილი), შეგროვება ხდება ყვავილობის დროს მთვარის ნებისმიერი ფაზაში. ფესვე-

ბის შეგროვება ხდება გვიან შემოდგომით, ფოთლებისა კი ჭენობის ფაზაში. ფესვებიდან ჩამოიბერტყება მიწა, გასუფთავ-დება ნარჩენებისაგან, ირეცხება ცივ წყალში, შრება ჰაერზე რამდენიმე დღე, სანამ არ შეწყდება მისგან რძენვენის გამოყოფა. შემდეგ გაშლიან ქაღალდზე თხელ ფენად, აშრობენ ჩრდილში, კარგად გამომშრალ ფესვებს ინახავენ მშრალ ადგილას არაუმეტეს 5 წლისა.

ბაბუანვერას ფესვის რძენვენში მოიპოვება მნარე გლი-კოზიდები ტარაქსაცინი და ტარაქსაცერინი, სესქვიტერპენული ლაქტონები, საპონინები, სტერინები, ფლავონონიდები, ფენოლ-კარბონ მუავები, კაუჩუკი 3%, ფისები, ორგანული მუავები 0,25%, ცხიმოვანი ზეთები და რაც მთავარია, რთულყვავილოვანთა ოჯახისათვის დამახასიათებელი ინულინი 40%-მდე. ფოთლები კი შეიცავენ სესქვიტერპენებს, ტრიტერპენონიდებს, სტერონიდებს, კაროტინონიდებს. მცენარე შეიცავს კალიუმის მარილებს დიდი რაოდენობით (4,5% – მდე). სახელმწიფო ფარმაკოპეის მიხედვით ნედლეულის კეთილხარისხოვნების მარეგლა-მენტირებელი მაჩვენებელია ექსტრაქტულ ნივთიერებათა (წყლით გამოწვლილული) არანაკლებ 40% შემცველობა.

ჰომეოპათიაში მოიხმარენ მცენარის აყვავებამდე დამზადებულ ბალას.

ბაბუანვერა უძველესი სამკურნალო საშუალებაა. ჯერ კიდევ თეოფრასტე იყენებდა მას ჭორფლებისა და ლვიძლის და-ავადებით გამოწვეული პიგმენტური ხალების მოსაცილებლად. XVI საუკუნეში გერმანიაში ბაბუანვერას იყენებდნენ, როგორც ძილის მომგვრელ და დამამშვიდებელ საშუალებას.

ხალხურ მედიცინაში ბაბუანვერას ფესვების ნაყენს იყენებენ კუჭ-ნანლავის მოქმედების გასაუმჯობესებლად, როგორც მაღის მომგვრელ, ნაღვლის სადენ საშუალებას, იგი აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას. ფესვებს აქვთ სიცხის დამწევი და ოფლმდენი მოქმედება. მისგან დამზადებულ ნაყენს სვამენ ძირმაგარების, ფერისმჭამელების და კანზე

გამონაყარის დროს. რძეწვენს კი ისვამენ კოურებზე და მეჭე-ჭებზე.

ბულგარულ ხალხურ მედიცინაში ბაბუაწვერას ფესვებს მოიხმარენ ათეროსკლეროზის დროს. საფრანგეთსა და იტალი-აში ბაბუაწვერას ფოთლებისაგან ამზადებენ სხვადასხვა სახის სალათებს, რადგან ვიტამინებით მდიდარი საკვებია, მათ იყენე-ბენ როგორც საერთო გამამაგრებელ საშუალებას.

უკანასკნელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბაბუას-წვერას ფოთლებს ახასიათებთ რადიოპროტექტორული აქტიო-ბა და შეტანილია შესაბამისი დანიშნულების ნაკრებების შემად-გენლობაში.

ბაბუაწვერა პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ღვიძლზე, აძლიერებს ნაღვლის გამომუშავებას, ხელს უწყობს ნაღვლის ბუშტის შეკუმშვას და ნაღველის ნივთიერებების მიმოქცევას ღვიძლსა და ნაწლავებში. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად რეგულირდება საჭმლის მონელება, ძლიერდება ცხიმში ხსნადი საკვები ნივთიერებების, მათ შორის ვიტამინების შენოვა. მის ნედლ ფოთლებსა და წვენს იყენებენ ათეროსკლეროზის, ანე-მიისა და კანის დაავადებების დროს. ბურბუშელას რძისებრ თეთრი წვენი თვალზე ლიბრს აქრობს, ძალიან სასარგებლოა წყალმანკის დროს, სასარგებლოა ღვიძლისთვის. ქრონიკული კუჭშეკრულობის და ბუასილის შემთხვევაში უფრო ფესვებს იყენებენ.

ბაბუაწვერა სასარგებლოა დაუძლურებული და სის-ხლნაკლული ავადმყოფებისათვის. ჩვილი ბურბუშელა ძირითა-დად სამკურნალო საშუალებად ითვლება გაზაფხულის მუკურნა-ლობის დროს, ვინაიდან მას ორგანიზმის გამწმენდი ზემოქმე-დების უნარი გააჩნია.

ბაბუაწვერას მცენარისა და ფესვების ნაყენს ბუგრების, თრიფსების, ღიღველას და ტკიპების წინააღმდეგ იყენებენ. ფესვებს აგროვებენ შემოდგომით, მცენარის ჭკნობის პერიოდ-ში.

ბალბა (*Malva Silvestris*) – Mallow – Мальва

ერთი ან ორწლოვანი, ზოგჯერ მრავალწლოვანი 30-120 სმ-მდე სიმაღლით მცენარე ბალბა (*Malva Silvestris*) ბალბასებ-რთა (*Malvaceae*) ოჯახიდანაა. დატოტვილი, შებუსული ღერო სწორმდგომი ან დაწოლილია. ფესვი ღერძულია, გრძელი, დატოტვილი, მაგარი. ხერხისებრ დაკბილული, მომრგვალო-გულისებრი, ხუთი ან შვიდფერთიანი, ზემოდან ოდნავ შებუსული, ხოლო ქვემოდან თეთრი ბეწვებით დაფარული ფოთლები გრძელყუნწიანია და ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული. მსხვილი, ვარდისფერი, 1-5 ცალი ყვავილი ფოთლების იღლიებშია განლაგებული ორმაგი ყვავილსაფარით, ხუთფურცლიანი, ბევრი მტვრიანითა და ერთი ზედანასკვიანი ბუტკოთი. ნაყოფი მშრალი თესლურაა, რგოლის ფორმის, რომელიც დამნიფებისას რამდენიმე თესლად იშლება, თესლი შიშველი, მონითალო-ნაბლისფერია. ბალბა ყვავილობს მაის-ივლისში, ნაყოფი მწიფდება ივნის-აგვისტოში. გავრცელებულია მთელს საქართველოში ველური სახით, გვხვდება ბალებში, საცხოვრებელ სახლებთან ახლოს. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილები და ფოთლები. ყვავილებს ჯამთან ერთად ყვავილსაჯდომის გარეშე ერთგული ყვავილობის დასაწყისში, როდესაც ყვავილი ჯერ კიდევ მთლიანად არაა გაშლილი, ფოთლებსაც ამავე დროს აგროვებენ ყუნწების გარეშე. მშრალი ყვავილი ისფერი ან მუქი ისფერია. ფესვებს შემოდგომით აგროვებენ, როდესაც ღეროები ხმება ან უკვე გახმა.

ბალბას ყვავილები და ფოთლები შეიცავენ ლორნოებს, ტანინებს, კაროტინებს (პროვიტამინი A), ვიტამინ C-ს, ორგანულ მჟავებს, ეთერზეთებს, მინერალურ მარილებს, ნახშირწყლებს (10-15%), ფიტოსტეროლს. ყვავილები შეიცავენ აგრეთვე ანტოციანურ გლიკოზიდ მალვინს, მთრიმლავ და საღბარ ნივთიერებებს.

ბალბას გააჩნია დამარბილებელი, ანთების საწინააღმდეგო ქმედება. მის პრეპარატებს იყენებენ ხორხის, ფილტვების ანთების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი პროცესების ჩასაქრობად, ბრონქიტის, ლარინგიტის დავადებებისას. მიწისზე-და ნანილის და ფესვების ნახარში გამოიყენება გულის დავა-დებების დროს. გარეგანად იყენებენ დამწვრობისა და კანის ზოგიერთი დავადების დროს.

ყვავილების გვირგვინის ფურცლების ნაყენი გამოიყენება მშრალი ხველის, ყელის კატარის, ხმაჩახლეჩილობის დროს. ამავე მიზნით გამოიყენება ფოთლებიცა და ფესვებიც. ყვავი-ლებს იღებენ 30-60 გრამს 1 ლ მდუღარე წყალზე. ყვავილებს წვეულებრივ სხვა მცენარეების ყვავილებს უმატებენ – ნიწი-ბურას, ორფერს, ვირისატერფას ყვავილებსა და ველური ყაყა-ჩოს ყვავილის გვირგვინის ფურცლებს. ყველა კომპონენტს თა-ნაბარი რაოდენობით ურევენ ერთმანეთში. ამ ნარევიდან იღე-ბენ 50 გრამ ნედლეულს. ასხამენ 1 ლ მდუღარე წყალს, მთელს ლამეს თბილად ინახავენ ან თერმოსში ასხამენ. ამ ნაყენს ერთი დღის განმავლობაში 5-6 ჯერზე სვამენ.

ბალბა ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება მომნე-ლებელი სისტემის ანთებითი დაავადებების, ხველის, ცისტი-ტის, ქოლეცისტიტის და ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნა-ლოდ.

ბარამბო (*Melissa officinalis*) – Lemon balm – Мелисса

ბარამბო (*Melissa officinalis*) – მრავალწლოვანი ბალახო-ვანი მცენარეა ტუჩოსანთა (*Lamiaceae Lindi*) ოჯახიდან ლიმო-ნისეული არომატით. ფესვურა ძლიერ დატოტვილი, ნიადაგში შედარებით ზედა ფენაშია განლაგებული, 30 სმ-მდე სიგრძის მი-წისქვეშა ღეროებით მოთეთრო ან ღია ყავისფერი შეფერილო-ბით; ოთხნახნაგოვანი 80-120 სმ სიმაღლის სწორმდგომი ღერო დატოტვილია წვერში, მსუბუქად ბუსუსიანია, მცოცავი ქვედა და

გვერდითი ტოტები ქვევითაა მიმართული. ფოთლები კი მოპირდაპირედ მსხდომი, ყუნწიანი, კვერცხისებური, წვეროში წაწვეტებული, კიდეებზე დაკბილული, ზევიდან შიშველი, ქვევით მსუბუქად შებუსული, ხასხასა მწვანე, სიგრძით 5,0-8,0 სმ და 3,0 სმ სიგანით. ყვავილები მოკლე ყუნწზეა, უსწორმასწორო ფორმის, ორტუჩიანი, წვრილი, თეთრი ან მოყვითალო ვარდისფერი, შეკრებილია 3-10 ცალი ცალფერდა ყვავილედებში, რომლებიც ზედა ფოთლების უტეებშია მოთავსებული კონებად და მიმართულია ერთ მხარეს. ყვავილის გვირგვინი ორტუჩიანი, მოთეთრო ან ისფერია 13-15 სმ სიგრძის, დაკბილული, ზარისებრი ორტუჩიანი, ზედა ტუჩი ბრტყელი 3 კბილიანია, ქვედა კი 2 კბილიანი, უფრო მოკლეა, მწვანე ზარისებრი, ბუტკო ზედა ოთხგანაყოფიანი ნასკვით და გრძელი გაორებული სვეტითაა წარმოდგენილი. ნაყოფი სამწახნაგოვანია, კაკალი, კვერცხისებრი ფორმისაა, ფუძესთან შევიწროვებული, ყავისფერი ან მუქი მურა შეფერილობის, 1,5-2,0 მმ სიგრძის და 0,75-1,00 მმ სიგანის, რომელიც ჩამოვარდნილ ჯამშია მოთავსებული.

ბარამბო – ძალიან პოპულარული მცენარეა, რომელსაც სასიამოვნო ლიმონოსებური გემოს გამო ლიმნის პიტნას ეძახიან. მცენარის სახელწოდება მელისა წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან, „*meli*“ – თაფლს ნიშნავს, ხოლო „*Mellisa*“ – ფუტკარს, რაც შეესაბამება მის თაფლოვან სურნელს. მცენარე ყვავილობს ივნის-აგვისტოში, ხოლო ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. მცენარე არაჩვეულებრივი თაფლოვანია, დიდი რაოდენობით ნექტარს იძლევა.

ბარამბო კარგად ხარობს ღია გრუნტში. სამკურნალო მიზნით მის ფოთლებს და ყლორტების თავებს იყენებენ. მცენარის მიწისზედა წაწილი, უპირატესად ფოთლები შეიცავენს 0,33%-მდე ეთერზეთებს, რომელთა შემადგენლობაში შედის – ციტრალი (60%), ციტრონელალი, მირცინი, გერანიოლი, ლინალოლი, ცინეოლი. ბალახში აღმოჩენილია ასკორბინის მჟავა (150მგ/%-მდე), კაროტინი (7,5 მგ%), ფისები, მნარევები,

მცირეოდენი ლორწო, მთრიმლავი ნივთიერებები, ყავის, ოლეინის, ურსულის მჟავეები. თესლები 20%-მდე ცხიმოვან ზეთებს შეიცავენ.

ბარამბო სინათლისა და ტენის მოყვარული მცენარეა, ამიტომაც მისი კულტივირება ხდება ლია, კარგად განათებულ, ცივი ქარებისაგან დაცულ ტერიტორიაზე. ნიადაგი სასურველია იყოს ნაყოფიერი, მსუბუქი სტრუქტურის, pH – 7,0 – 7,2 . მას არ უყვარს მძიმე სტრუქტურის ან დაჭაობებული მჟავე ნიადაგები. ნაკვეთი იხვნება 22-25 სმ სიღრმეზე, თესლი ითესება 0,5 სმ-ს სიღრმეზე, რომელსაც წინასწარ ალბობენ 3-4 დღით წყალში, თესვის ნორმა 10-12 კგ/ჰა, ბარამბოს აღმოცენებას 20-28 დღე სჭირდება, კვების არე 25X45 25X70; კარგ შედეგს იძლევა ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი) 20-40გ/ჰა. ბარამბოს საკმაო რაოდენობით გამოაქვს საკვები ელემენტები ნიადაგიდან, მაგ. 47კგ/ჰა აზოტი, 18 კგ/ჰა ფოსფორი, 46კგ/ჰა - მდე კალიუმი. ბარამბოს პლანტაცია შეიძლება 3-4 წელი დავტოვოთ, იგი რამდენჯერმე გაითიბება, თუმცა უნდა აღინიშნოს, პირველი გათიბვისას პროდუქტულობა 2, 2 ჯერ მეტია (კაჭარავა თ. 2015, 2018).

ხარისხოვანი ნედლეულის მისაღებად გროვდება წვერში მოთავსებული ფოთლები. ყლორტები უნდა მოიჭრას მანამ, სანამ მცენარე აყვავდება. აყვავებულ მცენარეს უხეში ფოთლები აქვს და მათში ეთერზეთის შემცველობაც ნაკლებია. ნაზი ლიმონისებური არომატის გამო ბარამბო უპირველესად გამოიყენება სალათებში, ცივ სოუსებში, ხაჭოს კერძებში დასამატებლად. ნედლეულს არომატი უნარჩუნდება გაყინვისას, იგი გამორჩეულად უხდება საზაფხულო გამაგრილებელ სასმისებს. კარგია ახალ ხილთან და კენკროვნებთან ერთად, შედის ზოგიერთი ხილის ასორტში. როგორც სანელებელი, მოიხმარება ხორციან, ლობიოსთან და სხვ.

ბირკავა (*Agrimonia Eupatoria*) – Agrimony – Репейник

ბირკავა (*Agrimonia*) – მრავალწლოვანი, 1 მეტრამდე სი-მაღლის ბალახოვანი მცენარეა ვარდისებრთა (*Rosaceae*) ოჯა-ხიდან, მოკლე და მსხვილი ფესურით, ხშირი და მკვრივი ბუსუ-სებით დაფარული ღეროთი. ფოთლებიც ასევე ბუსუსიანია. ყვითელი, თავთავისებრ ყვავილედად შეკრებილი ყვავილები ორსქესიანი და ხუთწვერიანია. ყვავილსაჯდომი ბზრიალასებ-რია, დაფარულია კაუჭა ჯაგრებით, რომლებითაც ნაყოფი ცხო-ველის ბეწვს ეკვრის. გავრცელებულია ძირითადად ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში ერთი სა-ხეობაა – *Agrimonia Eupatoria*. ბირკავა იზრდება ტყეებში, ბუჩ-ქნარებში, მდელოებზე. ზოგიერთი სახეობა *Agrimonia Asiatica* შეიცავს მთრიმლავ და საღებარ ნივთიერებებს. ყვავის მაისის ბოლოდან სექტემბრამდე, გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. იგი უპირატესობას ანიჭებს ტენიან ადგილებს, ეგუება დაჩრდილვას. დაყვავილების შემდეგ ინვი-თარებს ბირკას, სახელწოდებაც აქედან წარმოიშვა. სამუზრნა-ლოდ იყენებენ მიწისზედა ნაწილს, მისი შეგროვება ხდება ალ-მავალი მთვარის ფაზაში, ივლის-აგვისტოში.

მცენარე შეიცავს მარტივ და როულ ნახშირწყლებს – გლუკოზას, ფრუქტიზას, საქაროზას, პოლისაქარიდებს, ცხიმო-ვან და ორგანულ მჟავებს, სტეროიდებს, აზოტის შემცველ და მთრიმლავ ნივთიერებებს. ტრადიციული მედიცინა მას იყენებს კუჭის აშლილობის, ლვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაა-ვადების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების, ანგინისა და რევმატიზმის დროს. ნაყენი მზადება შემდეგნაირად: 1 ს/კოგზ მშრალ, კარგად დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 0,5 ლ მდუღარე წყალს, აჩერებენ 2-3 საათს. წურავებზე 3 ფენა მარ-ლაში. მიღება 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამამდე. უკუჩვენება არ გააჩნია.

ბუერა (*Petasites*) – Coltsfoot – Белокопытник

ბუერა (*Petasites*) – მრავალწლოვანი 20-30 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა საყვავილე ლეროთი რთულყვავილოვანთა (Asteraceae ანუ Compositae) ოჯახიდან. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში გავრცელებულია მისი 5-6 სახეობა. იზრდება მდინარეებისა და ტბების ქვიშიან ნაპირებზე. აქვს მხოხავი ფესვურები და ფესვთანური ფოთლები. ნორჩი ფოთლის ქვედა მხარე დაფარულია მოთეთრო ბეწვებით. საქართველოში აღნერილია 4 სახეობა, რომელთაგან ერთი საქართველოს ენდემია *Petasites Fomini* და ერთიც კავკასიისა *Petasites Georgicus*. ხორცლიანი, დაკუთხული, ფესვთანური ფოთლები ფართო, კვერცხისებრი ფორმისაა 50-60 სმ-მდე დიამეტრის გრძელი ყუნწებით, კიდეებზე არათანაბრად დაკბილულია, ზევიდან ქიცვისებრი ბეწვებით აბლაბუდასებრ შებუსულია. შემდეგში შებუსვა ქრება. ყვავილები შეკრულია თავთავისებრ ყვავილედებად. ნაყოფები მოგრძო თესლებია. ყვავის აპრილ – მაისში, ნაყოფი მწიფდება ივნის – ივლისში. ტენის მოყვარული მცენარეა.

სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები და ფოთლები ყუნწებით. ბუერა შეიცავს ეთერზეთებს, ალკალოიდებს, საპონინებს, გლიკოზიდებს, ფისებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინ C – ს, მანგანუმის მარილებს, ინულინს. რთული ქიმიური შედგენილობის გამო ბუერა ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, როგორც შარდმდენი, ჭრილობის შემახორცებლი, ასთმის საწინააღმდეგო, ჭიის დამდენი საშუალება. ხალხურ მედიცინაში იყენებენ შარდმდენ, ამოსახველებელ, დამარბილებელ, სპაზმოლიტურ, ბრონქეალურ, სისხლძარღვეგამაფართოებელ, ტკივილგამაყუჩებელ, ოფლმდენ საშუალებად. ფესვების ნახარშით იზელენ თმის ძირებს.

ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში ბუერას ბუასილის სამკურნალოდ იყენებდნენ სხვა მცენარეებთან ნარევის სახით.

ამისათვის ბუერასა და კულმუხოს ხარშავდნენ ღვინოში, ჰერ-მეტიულად დახურულ ჭურჭელში. გაგრილებულს თითო ფინ-ჯანს ასმევდნენ ავადმყოფს დილა-სალამოს.

„აზრუმელის ცნობარის“ (XVIII ს) მიხედვით ბუერა ნაღ-ვლის ბუშტისა და ნაღველ -სადინარების კენჭოვანი დაავადებე-ბის სამკურნალოდ იყო რეკომენდირებული რთულ ბალახნარე-ვის შემადგენლობაში – ბუერას, ძიძოს ფესვებისა და ომბალოს ფოთლების ნარევი. ბუერას ფესურები ჩირქოვანი სიმსივწეები-სა და ყელის არეში ჯირკვლების სამკურნალოდ გამოიყენება ასკილისა და მაყვლის ფესვების ნარევთან ერთად. იგი ასევე გამოიყენება გასტრიტისა და კუჭის წყლულის მკურნალობი-სას, ჭიის დამდენ, ანტისეპტიკურ და შარდმდენ საშუალებად.

ბეგქონდარა ჩვეულებრივი (*Thymis Vulgaris*) – Thyme -Тимьян Обыкновенный

ნახევრადბუჩქოვანი მცენარე ჩვეულებრივი ბეგქონდარა (*Thymis Vulgaris*) ტუჩოსანთა ოჯახის (*Lamiaceae*) წარმომადგე-ნელია, სწორდმდგომი, სიმაღლით 50 სმ-მდე, ფუძიდან ძლიერ დატოტვილი ღეროთი. ტოტების ნაწილი ბალახოვანი, ფოთლე-ბი წვრილი, მოკლეყუნწიანი, მოგრძო-ლანცეტა ფორმის, ყვავი-ლები წვრილი, მარტოული, ან რამდენიმე ერთად ვარდისფერი ან ლილისფერი გვირგვინით. ფესვი ღერძულია, ყვავილობს ივ-ლის-აგვისტოში.

მცენარე წვრილთესლოვანი კულტურაა, 1000 თესლის მა-სა დაახლოებით 0,10-0,12 გ-ია, თესვის ნორმაა 10-12 კგ/ჰა პირ-ველი კლასის თესლით 1,0-1,5 სმ სიღრმეზე. შემოდგომით თეს-ვის ნორმა იზრდება 20-25% (კაჭარავა თ. 2016, 2019).

ბეგქონდარას სამკურნალო მიზნებისათვის ამზადებენ ყვავილობის პერიოდში, როცა მასში დიდი რაოდენობითაა სა-სარგებლო და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი. ჭრიან მცენარის ზედა ნაწილს, გაუხეშებული ღეროების გარეშე, ამას-

თანავე არ უნდა დაზიანდეს ფესვთა სისტემა. აღებული მასალა სასურველია გაშრეს ბუნებრივ პირობებში, ჩრდილში, რათა მან მაქსიმალურად შეინარჩუნოს უძვირფასესი ეთერზეთები. მცენარის შედგენილობაში შედის მთრიმლავი და ფისოვანი ნა-ერთები, ალკალინდები, ფლავონოლიდები, ორგანული მჟავები, ვიტამინები, მინერალური მარილები, ეთერზეთები – 1,0-2,2%. ბეგქონდარა, ტენის შემცველობით არა უმეტეს 14%, ინახება სამი წლის განმავლობაში მშრალ საწყობებში მეცნიერებული ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

ბეგქონდარა ამოსახველებელი და დამარბილებელი საშუალებაა ბრონქიტისა და ზედა სასუნთქი გზების დაავადებებისას. ახასიათებს ანტისეფსისური და სპაზმოლიზური მოქმედება, ამ უკანასკნელს განაპირობებს ფლავონოლიდების შემცველობა (1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე). მიირთმევენ დღის განმავლობაში ხველებისას, გრიპით, ბრონქიალური ასთმით, თირკმლების ანთებით დაავადებისას. ნევრალგიური და რევმა-ტული დაავადებისას გამთბარ ბალახს იკრავენ მტკივან ადგილებზე. ბალახი შეიძლება ვასუნთქოთ გულის წასვლისას და თავბრუსხევებისას, გამოიყენება დიაბეტით დაავადებისას.

ტიბეტურ მედიცინაში ბეგქონდარას გამოიყენებენ ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის, კანის სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ. ინდოელები მას გამოიყენებენ გასტრიტებისა და ლვიძლის დაავადებათა დროს, მონლოლები კი ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადებისას. მცენარე პოპულარულია ევროპაში, სადაც ფართოდ გამოიყენება ბეგქონდარას ნაყენი, ექსტრაქტები, ტინქტურა, ესენციები.

ბეგქონდარა ძვირფასი სანელებელია, ეთერზეთების შემცველობა განაპირობებს მის გამოყენებას ფიტოკულინარიაში. იგი გამოიყენება, როგორც სანელებელი გამშრალი სახით. მას როგორც ძვირფას საკაზმს, უმატებენ სალათებს, ბოსტნეულ და ხორციან კერძებს. უფრო მეტი რაოდენობით მას ამატებენ

თევზის კერძებს, გამოიყენება ბოსტნეულისა და სოკოს დამ-
წნილებისას.

ბეგქონდარა შედის ფრანგული ძვირფასი სანელებლების
ბუკეტში და შუა აზის სანელებელთა ნაკრებებში.

გველის ხავსი (*Lycopodium clavatum*) – Common Club Moss – Плаун Булавовидный

გველის ხავსი (*Lycopodium clavatum*) ეკუთვნის (*Lycopodiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება დიქოტომუ-
რად დატოტვილი ღეროთი, რომელზეც ჩვეულებრივ მორიგეო-
ბით განლაგებული ფოთლები სხედან, თუმცა ისინი ზოგჯერ
ერთიმეორის მოპირისპირედაც გვხვდებიან. განსხვავებით სხვა
სახეობისაგან – *Lycopodium alpinum*, *Lycopodium selago*, რომ-
ლებიც ჩვენშია გავრცელებული, სახეობა *Lycopodium clavatum*
უფრო წვრილი და დიდი რაოდენობით ფოთლებისაგან შედგება,
მისი ღერო სწორმდგომია. ინვითარებს თირკმელისებურ სპო-
რანგიუმს, რომელიც ჩვეულებრივ ფოთლის ძირში თავსდება ან
სახეშეცვლილ ფოთოლზე ზის, ის იხსნება მთელ სიგრძეზე
ზურგის მხრიდან, საიდანაც სპორები ცვივა.

ჩამოთვლილ სახეობებიდან *Lycopodium clavatum* მხოლოდ
დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, *Lycopodium
alpinum* დასავლეთ საქართველოს მაღალ მთებში, კერძოდ სუბ-
ტროპულსა და ალპურ სარტყელში, განსაკუთრებით ნესტიან
მდელოებზე, ხოლო *Lycopodium selago* გავრცელებულია რო-
გორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სუბალპური
და ალპური სარტყელის ბალახოვან ფერდობებზე. ეს უკანას-
კნელი სახეობა შეიძლება შეგვხვდეს ისეთ მცენარეებთან ერ-
თად, როგორიცაა: მეჭეჭიანი არყი, ჭნავი ანუ ცირცელი, ღვია,
დეკა, მთის მოცვი, სელშავი, მაჯალვერი, კერძერა, საგუგა, ბა-
რისპირა და სხვ.

ვეტერინარიასა და მედიცინაში იყენებენ მის სპორებს, რომლებიც წარმოადგენენ უსუნო, უგემო და წვრილ მარცვლებს. თავისი სიმსუბუქისა და ცხიმის შემცველობის გამო სპორები წყალზე ტივტივებენ (ცურავს), არ სველდებიან, მათ ადვილად ეკიდება ცეცხლი, რისთვისაც ხელოვნური ელვის შესაქმნელად იყენებენ. გველის ხავსის სპორები იხმარება აბებზე გარედან მოსაფრევევად, რათა აბი დაიცვან სინესტისაგან და გაფუჭებისაგან, ხმარობენ გარედან მომშრობად, რისთვისაც კანის დაზიანებულ ნაწილზე აფრქვევენ, აგრეთვე ურევენ თუთიას მუავასაც და ისე უსვამენ, როგორც საცხს კანის ჭრილობებზე. იშვიათად იყენებენ, როგორც გამომფენ საშუალებას გასტროენტერიტების და შარდის ბუშტის კატარის დროს.

გვირილა სამკურნალო (*Chamomilla Recutita*) – German Camomile – Ромашка Лекарственная

გვირილა, რთულყვავილოვანთა (*Asteraceae, Compositae*) ოჯახის რამდენიმე გვარის მცენარეთა კრებითი სახელწოდებაა. უფრო მეტად ამ სახელწოდებით ცნობილია (*Pyrethrum*)–ის გვარი, რომლის 100-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ ზონაში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ ამერიკაში, უმრავლესობა კი გვხვდება კავკასიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიის ქვეყნებში. საქართველოში 24 სახეობაა, მათგან 10 სახეობა კავკასიის ენდემია, 3 – საქართველოსი. ზოგი სახეობა სათიბ-საძოვრების სარეველაა, ზოგი სამკურნალოა.

სამკურნალო მატრიკარია, ბაბუნა – *Chamomikka Recutita Rausch.* (=*Matricaria Recutita l.=M. Chamomilla*), სურნელოვანი (უენო) გვირილა – *Surnelovani (ueno) gvirila* – *Chamomilla Suaveolens (Pursh)* Rydb. (=*Matricaria Suaveolens Pursh=M. discoidea SC.=Ch.discoidea (DC)* J. Gay ex A. Br.=*M.matricarioides (Less)Porter.*), რთულყვავილოვანთა – (*Asteraceae, Compositae*) ოჯახის წარმომადგენლებია.

პირველი სახეობა სამკურნალო მატრიკარია, ბაბუნა – *Chamomikka Recutita Rausch.* (=*Matricaria Recutita l.=M. Chamomilla*), ერთწლოვანი 15-50 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ღერო დატოტვილია, ფოთლები ორმაგფრთისებრაა განკვეთილი ხაზურ-ძაფისებრ წანვეტებულ ნაკვთებად. ყვავილები მრავალი კალათებია, წვრილი და გრძელყუნწიანი. კალათების განაპირა ყვავილები თეთრი ფერისაა, ერთ რიგად განლაგებული, ბუტკო-იანი. შიგნითა ყვავილები მილისებრია, ხუთკბილიანი, საბურვე-ლი მრავალრიგიანია, მისი ფოთოლაკები ფართო სიფრიფანა არ-შიითაა შემოვლებული, კრამიტისებრ განწყობილი. ყვავილსაჯ-დომი ამოზნექილია, კონუსისებრი და ღრუიანი. თესლურები პა-ტარაა – 1 მმ სიგრძის, ცილინდრული ფორმის, ოდნავ მოხრილი, გარედან გლუვი. ყვავილობს ივნის-აგვისტოში.

მეორე სახეობა სურნელოვანი (უენო) გვირილა – *Surnelovani (ueno) gvirila – Chamomilla Suaveolens (Pursh) Rydb.* (=*Matricaria Suaveolens Pursh=M. discoidea SC.=Ch.discoidea (DC) J. Gay ex A. Br.=M.matricarioides (Less)Porter.*) ერთწლოვა-ნი პატარა მცენარეა, ღერო 5-30 სმ-მდე სიმაღლის, შიშველი, ძირიდანვე დატოტვილი, უხვად შეფოთლილი. ფოთლები ორმა-გად ფრთისებრგანკვეთილი ხაზურ-ლანცერა ნაკვთებად, კა-ლათები მოკლეა და სხედან გამსხვილებულ ყუნწებზე, საბურ-ველი მრავალრიგიანია, ფოთოლაკები კვერცხისებრ-მოგრძო ფორმისა და ბლაგწვერიანი, ფართო სიფრიფანა არშიით შემოვ-ლებული. კალათებში ყველა ყვავილი მილისებრია, ოთხკბილია-ნი, მომწვანო-ყვითელი ფერის. ენისებრი ყვავილები არა აქვს. ყვავილსაჯდომი ამოზნექილია, კონუსისებრი და ღრუიანი. თესლურები კვერცხისებრ მოგრძოა, 1,55 მმ-მდე სიგრძის, ცი-ლინდრული, ოდნავ მოხრილი, წვერზე ირიბად წაკვეთილი, თეთრი, ვიწრო სიფრიფანა საყელურით. მცენარე ყვავილობს ივლის-აგვისტოში.

სამკურნალო მატრიკარია გავრცელებულია ამიერკავკა-სიაში. საერთო გავრცელების არეალებია შუა ევროპა, ხმელთა-

შეუა ზღვის მხარე, მცირე, ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია, ჩრდილოეთ ამერიკა, ავსტრალია. სურნელოვანი გვირილაც იზრდება ასევე რუდერალურ ადგილებში აფხაზეთში, მთიულეთში. საერთო არეალია ჩრდილოეთ ამერიკა, ხოლო როგორც გზადმოყოლილი მცენარე, გვხვდება სამხრეთ ამერიკასა და ზელანდიაში. ორივე სახეობა შემოტანილია კულტურაში.

სამკურნალო ნედლეულია ყვავილები, რომელთა შეგროვება ხდება ყვავილობის დასაწყისში, მშრალ მზიან ამინდში. ყვავილებს კრეფენ ხელით ყუნწთან ერთად, არა უმეტეს 3 სმ-ზე მეტი სიგრძეზე დილის საათებში.

სამკურნალო გვირილას ყვავილები ეთეროვან ზეთს 0,2-0,8% რაოდენობით შეიცავენ. სახელმწიფო ფარმაკოპეის მოთხოვნით კი სტანდარტული ნედლეული უნდა შეიცავდეს არანაკლებ 0,3%. მასში 50% სესქვიტერპენებია: ფარნეზენი, კადინენი, ბისაბოლოლი, ბისაბოლოლოქსიდები და ალიფატური ტერპენები – მირცენი. ეთეროვანი ზეთის ლურჯ ფერს ჰამაზულენი განაპირობებს, რომელიც წარმოიქმნება აყვავებულ კალთებში არსებულ სესქვიტერპენულ ლაქტონ მატრიცინისგან, რომელსაც განიხილავენ როგორც პროპარაზულენს. ყვავილებში მოიპოვება კეტოსპირტი, ციკლური სპირტი, კაპრინის, ნონილის, იზოვალერიანის მუავები. სხვა შენაერთებიდან დადგენილია ფლავონოიდური გლიკოზიდები აპინი და ქვერციმერიტრინი, კუმარინებიდან პერნიარინი და უმბელიფერონი, ქოლინი, ფიტოსტერინი, ორგანული მუავები, კაროტინოიდები, ვიტამინი C, ტრიტერპენები, ლორნოები, გომიზები, ირიდოიდები.

სურნელოვანი გვირილას ყვავილები შეიცავენ ეთეროვან ზეთს – 0,5%, ფლავონოიდებს, გლიკოზიდ ქლოლინს, კუმარინებს, პოლისაქარიდებს, ვიტამინი C, მთრიმლავ ნივთიერებებს.

გვირილას ყვავილები ანთების საწინააღმდეგო და სპაზმოლიზური საშუალებაა. მისგან ამზადებენ გამონაცემს, ნაყენს. მიიღება აპაზანების და ოყნის სახით, ასევე ბუასილისა და ვარიკოზების დროს, ჩირქვოვანი წყლულების ჩამოსაბანად, პირის ღრუში გამოსავლებად – ლორნოვანი გარსის ანთებისას.

გვირილა მოქმედებს როგორც ანტიმიკრობული და ანტიმიკოზური საშუალება, ამცირებს ალერგიულ მოვლენებს. გვირილის ყვავილებში არსებული ჰამაზულენი თერმული დამუშავებისას გადადის აზულენში, რომელიც ძვირფასი პროდუქტია, ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხოლო გვირილაში არსებულ ფლავონოიდებს აქვთ ანთების საწინააღმდეგო და ანტივირუსული აქტივობა. გვირილა შედის დიაბეტის საწინააღმდეგო ნაკრებ – ართაზეტინში.

სურნელოვანი გვირილას ყვავილები რეკომენდებულია გარეგან საშუალებებად, ხალხურ მედიცინაში კი ოფლისდამდენად, მენსტრუაციული ციკლის დარღვევისას, ბავშვებში – კი ჰელმინთოზების დროს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში გვირილას იყენებდნენ კრუნჩვების, ჭვალების, რევმატიზმის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, ლიმფური ჯირკვლების შესივებისას, როგორც მადის მომგვრელ საშუალებას. გვირილას დიდი გამოყენება აქვს კოსმეტიკაშიც. აჭარის ხალხურ მედიცინაში მცენარის ფოთოლი გამოიყენებოდა თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.

ჰომეოპათიაში გამოიყენება რეფლექტორული მშრალი ხველების, გრიპის, ბავშვებში დისპეპსიის, ნევროზისა და მეტეორიზმისას.

სამკურნალო გვირილას წვრილად დაჭრილ გამომშრალ ნედლეულს (ფოთლები, ყვავილედი, კალათები) იყენებენ მწუნნი მავნებლების წინააღმდეგ. ყვავილედები კი გამოიყენება სათბურების შესაბოლად, იგი ეფექტურია მავნე მწერებისა და ტკიპების წინააღმდეგ.

გლერძა (*Astragalus Microcephalus Willd*) – Locoweed – Астрагал

გლერძა (*Astragalus Microcephalus Willd*) პარკოსანთა (*Fabaceae* ანუ *Leguminosae*) ოჯახის წარმომადგენელი 1,5 მ-დე სიმაღლის მოთეთრო ნაცრისფერ-ბუსუსებიანი, ძლიერ და-

ტოტვილი, მოყვითალო, გაფარჩეულეკლებიანი ბუჩქია. ფოთლები ორმაგ ფრთართულია, წვერში ეკლიანი, ვიწრო წაგრძელებულ – ლანცეტა ფოთოლაკები პატარაა, განლაგებულია საერთო ყუნწზე, რამდენიმე ყვავილი ერთადაა განლაგებული ფოთლების უბეებში, მეორე სახეობის წვრილი, ბაცი ყვითელი ფერის 8-10 სმ სიგრძის ყვავილები 2-3 სმ დიამეტრის ბურთისებრ ან ოვალურ თანაყვავილედებშია შეკრებილი. ყვავილის ჯამი ძირში შიშველი, ზემო ნაწილში კი ხშირბუსუსიანია. მისი კბილები ჯამის მილზე მოკლე და ბუსუსებში ჩამალულია, ჯამი კბილების გასწვრივ ძირამდეა ჩახეული. ყვავილის გვირგვინის ნაპირებჩაზნექილი აფრა შუა ნაწილის ოდნავ ქვემოდან შევიწროებულ ფრჩხილში გადადის. ნაყოფი პარკია, ბუსუსებით დაფარული, ერთთესლიანი. ჩვენს პირობებში ყვავილობს ივნისივლისში. გლერძა ტიპიური ქსეროფიტია, ხშირად გვხვდება:

- გლერძი ტკბილფოთოლა (*Astragalus Glycyphyllus*);
- გლერძი შებუსვილ – დატოტვილი – ქეჩისებრი (*Astragalus Piletocladus Frein et Sint*);
- გლერძი ხაოიანი (*Astragalus Dasyanthus*);
- გლერძი გაშიშვლებული (*Astragalus Denudatus Steven*);
- გლერძი წვრილთავიანი (*Astragalus Microcephalus Willd*);
- გლერძი ხშირფოთოლა (*Astragalus Pycnophyllus Steven*);
- გლერძი მკვრივი (*Astragalus densissimus Boriss*).

იგი გავრცელებულია მთის შუა და ზედა სარტყელში მშრალ, კლდოვან ადგილებში, არცთუ იშვიათად ზღვის დონიდან 1000-2000 მ სიმაღლეზეც. არაიშვიათად თავისი დომინანტობით შექმნილ რაყებადაა წარმოდგენილი გამეჩრილ ფიჭვნარებსა და მუხნარებში. გლერძის სახეობების დიდი ნაზარდებია სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქმენეთში, ტიჯიკეთში. საქართველოში გვხვდება გვარი *Astragalus 72*-მდე სახეობა, მათ შორის გლერძი წვრილთავიანი (*Astragalus Microcephalus Willd*) – გავრცელებულია მთელ ამიერკავკასიაში, ხოლო გლერძი გა-

შიშვლებული (*Astragalus Denudatus Steven*) ყაზბეგისა და შატი-ლის მიდამოებში.

სამედიცინო ნედლეულია გომიზი. მცენარის ქერქის ბუნებრივი ან ხელოვნური დაზიანების შემთხვევაში გარეთ გამოედინება ბლანტი, დამცავი მასა. იგი 2-3 დღეში მყარდება და ვლებულობთ გომიზს. მის მისაღებად მცენარე უნდა დაისეროს. გომიზის დიდი რაოდენობა მიიღება ყვავილობის დაწყებამდე. რაც უფრო ხნიერია მცენარე, გომიზიც უფრო მეტი მიიღება. 10-20 წლიანი ხიდან საშუალოდ 5 გ-მდე გომიზს უნდა ველოდეთ.

გომიზის ქიმიური შემადგენლობა მერყეობს სახეობის, გავრცელების ადგილის, დამზადების პერიოდის, ამინდისაგან დამოკიდებულებით. იგი ეკუთვნის მჟავე პოლისაქარიდებს. სიმაგრის მიმცემი და გაჯირჯვებადია ბასორინი, რომელიც გომიზის 60-70% შეადგენს. დანარჩენი ნაწილი გომიზისა მოდის ხსნად ნაწილზე – არაბინზე (8-10%). გომიზი შეიცავს აგრეთვე წყალს (20%), ნაცარს (1,75-4%), სახამებელს (2-3%), უჯრედისს (3%). არაბინი შედგება ურონის მჟავის 3 მოლეკულისა და არაბინზის 1 მოლეკულისაგან. გომიზში Ca და K მარილების დიდი რაოდენობაა (შეადგენს ნაცრის 70%).

გომიზს იყენებენ შემწებავად ემულსიებისა და სუსპენზიების დასამზადებისას, ტაბლეტებისა და გრანულების ფუძედ. უფრო დიდი გამოყენება აქვს ტექნიკასა და ფოტოქიმიურ ანალიზში.

გოგრა (*Cucurbita Pepo*) – Cucurbit – Тыква

გოგრა (*Cucurbita*) – ერთნებრთა, ერთსახლიანი მცენარეა გოგრისებრთა (*Cucurbitaceae*) ოჯახიდან. აქვს გართხმული და მცოცავი 5 მეტრამდე სიგრძის ღერო. შეხებისას ხორცლიანი, ულვაშებიანი, უხეში, ხუთნაკვთიანი ან ხუთგანყოფილებიანი, მსხვილი, 25 სმ-მდე სიგრძის ფირფიტებიანი ფოთლები. მსხვილ, სხვადასხვა სქესიან, თითისტარისებურ ყვავილებს

აქვთ ნარინჯისფერი 5-7 სმ სიგრძისა და 5-7 სმ დიამეტრის გვირგვინი. ნაყოფი მრავალრიცხოვანი ბრტყელი მოყვითალო-მოთეთრო მსხვილი ხორციანი და თესლიანი გოგრულებია, ყვა-ვის ივლის-სექტემბერში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერ-ნოემ-ბერში. ველური სახით გოგრა არ გვხვდება. მთელი რიგი ჯიშები მოჰყავთ ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, როგორც სა-ბოსტნე და საკვები მცენარე. კულტურაში წარმოდგენილია სა-მი სახით:

- სუფრის მუსკატური საგვიანო (*Cucurbita Moschata Dach*);
- ჩვეულებრივი სასუფრე (*Cucurbita Pepo*);
- საკვები მსხილნაყოფიანი გოგრა (*Cucurbita Maxima Dach*).

პირველი ორი სახეობა იძლევა სასუფრე, უფრო შაქრიან ჯიშებს, რომლებიც უკეთესი გემური თვისებებით გამოირჩევი-ან, მაგრამ საკვებ გოგრასთან შედარებით ნაკლებ მოსავლია-ნია. გოგრას აქვს ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც შედგება ნიადაგში ღრმად ჩამავალი მთავარი ფესვისა და გვერდითი განტოტვებებისაგან, რომლებიც ნიადაგის დიდ ფართს იკავე-ბენ. ღერო გრძელია და მხოხავი, ფოთლები დიდი ზომის, სუს-ტად დანაკვთული, ბლაგვი, მომრგვალო ნაკვთულებით, შებუს-ვილი წვრილი ბუსუსებით. ყვავილები დიდი ზომის, ყვითელი, ცალსქესიანია. გოგრის გამონასკვის პროცენტი და მოსავლია-ნიბა თვით მცენარის ყვავილობაზე და გარემო ფაქტორებზეა დამოკიდებული. გოგრის სახეობები ცალსქესიანი მცენარეებია. მდედრობითი და მამრობითი ყვავილები ერთი და იმავე მცენა-რეზე ვითარდებიან. ისინი დიდი ზომისაა, შეზრდილი არიან ერ-თმანეთთან, ჯამი მწვანეა.

გოგრის ნაყოფის რბილობი შეიცავს ნახშირწყლებს, მათ შორის, პექტინი, კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, რკინის მა-რილებს, C, B, B₂, PP ვიტამინები და A პროვიტამინი. თესლში არის ცხიმოვანი ზეთი (36-52%), ფიტოსტერინები, ორგანული

მუავები, ფისები, უჯრედისი (0,7%), რაც საშუალებას იძლევა, რომ იგი კვების რაციონში შევიტანოთ კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს, პექტინის დიდი რაოდენობა კი ახდენს განსაკუთრებულ დადებით გავლენას მსხვილი ნაწლავის ანთებით პროცესებზე, რადგანაც პექტინი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის და ტოქსინების გამოყოფას, გოგრა ძალზე სასარგებლოა ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის. მისი სველი რბილობი აუმჯობესებს ნაწლავის მუშაობას და გამოიყენება შეკრულობის წინააღმდეგ (0,5კგ-მდე დღეში). უნდა აღინიშნოს, რომ რადგან გოგრას აქვს დაბალი კალორიები, იგი რეკომენდებულია გამოიყენოთ საკვებად სიმსუქნის დროს. გოგრაში არის კალიუმის მნიშვნელოვანი რაოდენობა, ამიტომაც მისგან მომზადებული საკვები სასარგებლოა გულისა და სისხლძარღვების დაავადებისას. რკინის არსებობა კი საშუალებას იძლევა იგი სისხლნაკლებობის დროსაც გამოვიყენოთ.

გოგრა ახასიათებს შარდმდენი მოქმედება, რაც შეიძლება გამოიყენებულ იქნეს დიეტურ კვებაში გულსისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეული შეშუპების, აგრეთვე თირკმელებისა და შარდის ბუშტის ზოგიერთი დაავადებების დროს, თუმცა ნაყოფის რბილობი საკმაოდ მრავალფეროვნად გამოიყენება.

მთავარი სამკურნალო დანიშნულება მაინც გოგრის თესლს აქვს, გოგრის თესლი მომაკვდინებლად მოქმედებს მუც-ლის ჭიებზე. ამიტომაც გაფცევნილ თესლს იყენებენ ლენტისებრი მუცლის ჭიის, უფრო იშვიათად კი მრგვალი ჭიის წინააღმდეგ. ამასთან უფრო ძლიერი მოქმედება აქვს შიშველთესლოვანი გოგრის თესლს.

გოგრა სიბრესაც ებრძვის, დაავადებისგანაც გვიცავს. ჩინელი მედიკოსები ამტკიცებენ, რომ გოგრა დეპრესიისაგან გათავისუფლებაში გვეხმარება. მისი თესლები შეუცვლელია შარდ-სასქესო სისტემის ანთების დროს. გოგრის კერძები სასარგებლოა ჰიპერტონიის, ჭარბი წონისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებისას. სამკურნალოა გოგრის ყველა ნაწილი, მათ შორის ღერო, ფოთლები და რბილი ფესვები. გოგრა გემრი-

ელი და სასარგებლო პროდუქტია. მისი მთავარი ღირსებაა კაროტინისა და ვიტამინების დიდი რაოდენობა. ის ერთნაირად სასარგებლოა ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. ბავშვებში ზრდას აჩქარებს, მოზრდილებში – კალციუმის ათვისებას აუმჯობესებს, დაბერების პროცესს ანელებს და ოპტიმალური წონის შენარჩუნებას უწყობს ხელს. როგორც ყველა სხვა ნარინჯისფერი ნაყოფი, გოგრაც ანტიდეპრესანტად ითვლება. ეს პროდუქტი მოგანიზმის მიერ ადვილად შეითვისება. ამიტომ გოგრის კერძები რეკომენდებულია სამკურნალო და პროფილაკტიკური კვებისათვის. გოგრა უხვი მინერალური შემადგენლობის გამო (მასში ბევრი სპილენძი, ფოსფორი და რკინა) სასარგებლოა სისხლის წარმოქმნისათვის. ამიტომ ის მეტად საჭირო პროდუქტია ანემისა და ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის. გოგრა სასარგებლოა ღვიძლის, თირკმლებისა და ნაწლავების დაავადებების დროს. გოგრის კერძები რეკომენდებულია ჰეპატიტისა და ქოლეცისტიტის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებების, ქრონიკული კოლიტის, მწვავე და ქრონიკული ნეფრიტისა და პიელონეფრიტის დროს.

გოგრის ზეთი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ნერვულ სისტემას აღადგენს, პოტენციას ამაღლებს, იმუნიტეტს ააქტიურებს. გოგრის ყუნწიც კი სასარგებლოა. მისი ნახარში შესანიშნავი გამოსავლებია კბილის ტკივილის დროს.

გულყვითელა სამკურნალო (*Calendula officinalis*) – Calendula – ხითკი

სამკურნალო გულყვითელა (*Calendula officinalis*) – რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახიდან – ერთ-ერთი ყველაზე უძველესი სამკურნალო მცენარეა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2600 წლის წინათ ჩინეთში დაიწერა პირველი წიგნი სამკურნალო მცენარეებზე, ცნობილი ექიმი ლი ში ჩვენი თავის

ნაშრომში „ფარმაკოლოგის საფუძველები“, აღწერს ამ უნიკალურ მცენარეს. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დიოსკორიდი იუნებოდა გულყვითელას სამკურნალო თვისებებზე, ტაჯიკი ექიმი აბუ ალი იბნ სინას (ავიცენას) ხუთტომეულში „სამედიცინო მეცნიერების კანონი“, რომელიც კულტურის საგანძურშია შესული, გულყვითელას სამკურნალო ღირებულების გარდა 900-მდე სახეობის სამკურნალო მცენარის გამოყენების ხერხია აღწერილი.

გულყვითელას ინტროდუქცია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე წარმოებდა. X-XI საუკუნის შემდგომ გულყვითელა კულტივირებული იქნა, როგორც დეკორატიული მცენარე და მას სამეფო კართან არსებულ ბაღებში ხშირად შეხვდებოდით. ბუნებრივად იგი გხვდება ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, შუა აზიაში, აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და კავკასიაში. სამკურნალო გულყვითელას სამოცდაათამდე სახეობაა ცნობილი. ა. მაყაშვილი ბოტანიკურ ლექსიკონში გვთავაზობს რამოდენიმე ქართულ კუთხეურ სინონიმს: ნარგიზელა, კვირისტავა, ტასო ყვავილი და ხლაკნია.

გულყვითელა ერთწლოვანი მცენარეა. ღერო სწორი და დატოტვილია, სიმაღლით 50-55 სმ-მდე, რომლებზეც ფოთლები განლაგებულია მორიგეობით – იშვიათად დაკბილული, რომელთაც ქვემოთ ნიჩბისებრი, ხოლო ზემოთ ლანცეტისებრ-მომრგვალო ფორმა აქვთ. ყვავილები ნარინჯისფერ-ყვითელია, განლაგებული არიან სამ მწკრივად, 10-14 მმ სიგრძით და 2-3 მმ სიგანით. ყვავილების მთავარი ღერძი შემოკლებულია და გაგანიერებულია, ყვავილები თევზისებრ ყვავილედში მჯდომარეა, გარედან ყვავილსაჯდომს ფარავს შემუქებული კენწრული ფოთლები, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყველა რთულყვავილოვნების ყვავილედი, გულყვითელას ყვავილედიც მრავალ-ფურცლოვანი კალათაა. სამედიცინო მიზნით აგროვებენ კალათა ყვავილებს მცენარის სრული ყვავილობის პერიოდში. ნედლეული უნდა გამრეს ჩრდილში.

გულყვითელა უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც კაროტინოიდებითა და ფლავონოიდებით მდიდარი სამკურნალო მცენარე. მისი ყვავილები შეიცავს: α-კაროტინს (30გ%), რუბიქსანთინს, ლიკოპინს, ციტროქსანთინს, ვიოლაქსანთინს, ფლავოქსანთინს, ფლაოქრომს. კაროტინოიდებით (3%)-მდე მდიდარია გულყვითელას მკვეთრად შეფერილი ჯიშები. გარდა აღნიშნულისა გულყვითელას ყვავილებში აღმოჩენილია პარაფინის მწკრივის ნახშირწყლები: ფისტი, ტრიტერპენული გლიკოზიდები, ლორწოვანი და მწარე ნივთიერებები, ორგანული მჟავები, ასკორბინის მჟავა, ეთერზეთები. სამკურნალო გულყვითელას გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მედიცინაში, იგი მცენარეული პრეპარატების ანტისეპტიკურ ნაკრებში თითქმის ყველგან გვხვდება, მისგან ამზადებენ მალამოებს, დანტისტები ეწევიან იმ კბილის გელების რეკლამირებას, რომლის შემადგენლობაში შედის გულყვითელა. მას ფართოდ იყენებენ ფიტოპარფიუმერიაში სახის დამარტილებელი კრემებისა და ტონების მოსამზადებლად. ფიტოკულინარიაში კი სალათების, სალებავებისა და ჩაის დასამზადებლად. გულყვითელა პოპულარულია ჰომეოპათიასა და ხალხურ მედიცინაში ჭრილობების, დამწვრობის, მოყინვის, ფურუნკულებისა და სხვა სახის ჩირქოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

ჩვენი ექსპერიმენტებით დავადგინეთ, სამკურნალო გულყვითელას კულტივირებისათვის ხელსაყრელია მზიანი ადგილები. ტენისმოყვარულია, სასურველია დაითესოს სათოხნი კულტურის შემდეგ. გულყვითელას კულტივირება ზედიზედ ერთი და იგივე ადგილას არ არის რეკომენდირებული, ვინაიდან იგი მეტად მომთხოვნია საკვები ნივთიერებებისადმი, დიდი რაოდენობით გამოაქვს ისინი ნიადაგიდან, ყვავილების მოსავლიანობა და ხარისხი მკვეთრად იზრდება ნიადაგში 30 – 40 ტ/ჰა ნაკელის შეტანისას, აღნევს 1,8 – 2,5 ტ/ჰა (ჰაერმშრალ მდგომარეობაში), რაც დასტურდება ლიტერატურული მონაცემებითაც (კაჭარავა თ. 2009, 2014).

გულყვითელა მრავლდება თესლით. სათესლედ გამოიყენება კაუჭისებური ფორმის თესლები, აღმოცენებისათვის ოპტიმალურია 15° - 20° C. თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 3 – 5 წლის განმავლობაში. ოპტიმალურ პირობებში დათესვი-დან 6 – 12 დღის შემდეგ აღმონაცენი უკვე შესამჩნევი ხდება. ითესება უშუალოდ ღია გრუნტში ადრე გაზაფხულზე, ჩვენს ექ-სპერიმეტებზე დაყრდნობით სქართველოში (სამეგრელო, აჭა-რა, იმერეთი, ქვემო ქართლი) თესვის ოპტიმალური ვადაა მარტის ბოლო – აპრილის დასაწყისი, ხოლო მაღალმთიან ზონაში – რაჭასა და ზემო იმერეთში – მაისის პირველი დეკადა, კვე-ბის არე 45X25 ან 70X25, თესვის ნორმა 8,0-10,0 კგ/ჰა პირველი კლასის თესლი, რომელიც ითესება 2,0-2,5 სმ-ის სიღრმეზე. ვე-გეტაციის პერიოდში ნიადაგი უნდა იყოს კარგად გაფხვიერებული და სარეველებისაგან დაცული. ონთოგენეზის განმავლობა-ში აუცილებელია აქტიურ ტემპერატურათა ჯამის, სინათლის და ტენის გარკვეული რაოდენობა და თანაფარდობა, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს სავეგეტაციო პერიოდის ხან-გრძლივობას, თავისთავად ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული-სა და კონდიციური თესლის მოსავლიანობასაც. გულყვითელას ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მისაღებად უპირატესობას ეძლევა აზოტოვანი სასუქების დიფერენციალურად შეტანას – 40% ვეგეტაციის დაწყებისას, 60% კი ფიზიოლოგიური ფაზების მიმდინარეობის პერიოდში.

გულყვითელას ახასიათებს ერთგვარი კრიტიკული პერი-ოდი, როდესაც იგი ამა თუ იმ ფაქტორის მიმართ განსაკუთრებულ მოთხოვნილებას ააშკარავებს და ამ მხრივ მისი დაკმაყოფილების მეტ-ნაკლებობა განსაზღვრავს ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობას ონთოგენეზის პერიოდში, განსაკუთრებით გენერაციული ორგანოების ჩამოყალიბებისას, რაც თავის მხრივ პროდუქტულობის საწინდარია.

იმ დროს როდესაც გულყვითელას გენერაციული ორგა-ნოები ჩამოყალიბებულია და გვერდითი ტოტები ყალიბდება, მცენარე მოიხმარს დიდი რაოდენობით ტენს, ეს პერიოდი კი ემ-

თხვევა ივნისის შუა რიცხვებს, ამ დროს ნალექების რაოდენობა თუ შემცირებულია, პროდუქტულობა მცირდება, ამიტომ ნია-დაგში ტენის შესანარჩუნებლად მიმართავენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას – ნიადაგის გაფხვიერებას. ამ დროს უნდა ვაწარმოოთ მცენარის ღეროს გარშემო ნიადაგის შემოყ-რა, რაც ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას. ქარები არასასურველი მოვლენაა გულყვითელასათვის, როგორც ყვა-ვილობის, ისევე თესლის წარმოების დროს. ფესვთა სისტემის ნორმალური განვითარებისათვის, რაც საფუძველია მძლავრი საასიმილაციი აპარატის ჩამოყალიბებისა, აუცილებელია ფხვიერი და ღრმად დამუშავებული ნიადაგი. გარდა ამისა, ღრმად მოხვნა უზრუნველყოფს ნიადაგში ტენის მაქსიმალური რაოდენობით დაგროვებას და გულყვითელას, როგორც ფესვთა სისტემის, ისე მიწისზედა ნაწილებსაც ეძლევა ოპტიმალური განვითარების საშუალება.

გულყვითელას სამკურნალო ნედლეული მისი ყვავილე-ბია. მცენარე ყვავილობას იწყებს აღმოცენებიდან 38-50 დღის შემდეგ. ყვავილობა გრძელდება ზაფხულის დასაწყისიდან გვი-ან შემოდგომამდე. ნედლეულსაც ყვავილობის მთელი პერიო-დის მანძილზე აგროვებენ. ნედლეულის შეგროვება ხდება შერ-ჩევით. შეგროვებას იწყებენ, როცა ენისებური ყვავილები პო-რიზონტალურ მდგომარეობაშია. პლანტაციის ყვავილობის პირველ პერიოდში საყვავილე კალათები სწრაფად და დიდი რა-ოდენობით იშლება. ამიტომ ნედლეულის შეგროვება ყოველ სამ დღეში ხდება. მოგვიანებით ნედლეულს აგროვებენ 4-5 დღის ინტერვალით, შემდეგში ეს ინტერვალები უფრო ხანგრძლივი ხდება. ერთ სეზონზე ნედლეულს 15-20-ჯერ იღებენ. ყვავი-ლებს წყვეტენ ზედ ფუძესთან და აგროვებენ კალათაში. კალა-თაში ნედლეულის 2-3 საათზე მეტ ხანს დატოვება დაუშვებე-ლია. ნედლეული შეიძლება ჩახურდეს, ხარისხი დაკარგოს ან სულაც გაფუჭდეს. შეგროვილი ყვავილები საშრობში თხლად უნდა გაიშალოს, ისე რომ გასაშრობ ფენაზე 1-2 ყვავილზე მეტი

არ მოხვდეს. შრობის ტემპერატურაა 40^0 - 45^0 C. კარგად გამშრა-ლი ყვავილები ხელის თითებში მოსრესვისას იფშვნებიან. გამ-შრალ ყვავილებს ყუთებში ან ორმაგქსოვილიან ტომრებში ფუ-თავენ.

სათესლე ნაკვეთში მაღალი კონდიციის თესლების მიღე-ბის მიზნით საჭიროა მცენარის განვითარებისათვის ოპტიმა-ლური პირობების შექმნა. ამის მიღწევა შესაძლებელი ხდება აგ-როტენიკური ღონისძიებების დროულად და მიზანმიმართუ-ლად ჩატარებისას. ნაკვეთზე, რომელიც თესლის წარმოებისათ-ვის არის განკუთვნილი, ნედლეულს არ აგროვებენ. სათესლედ იყენებენ ბუთხუზა ფორმის ყვავილებს, დაუშვებელია სხვა ფორმისა და სახის მცენარის სათესლე ნაკვეთში განვითარება, რათა არ მოხდეს მათი გადამტვერვა. თესლები თანდათანობით მწიფდებიან და მას რამდენიმეჯერ აგროვებენ. სათესლედ ვარ-გისია მურა შეფერილობის კაუჭისებური ფორმის თესლები. შეგროვებულ თესლებს გამლიან ბრეზენტზე და ჩრდილში აშ-რობენ. გაშრობისას დრო და დრო აურევენ. მშრალი თესლების ტენიანობა 13% -25%-ს არ უნდა აღემატებოდეს. თესლების მო-სავლიანობაა დაახლოებით 0,5 ტ/ჰა.

კულტურის მოვლის ღონისძიებებში უმთავრესია ბრძო-ლა მავნებლების წინააღმდეგ. გულყვითელას მიწისზედა ნა-ნილს, მეტნილად ფოთლებს, ხშირად აზიანებენ მავნებლები: გამა ხვატარის ჭუპრები, კომბოსტოს ხვატარი; ყვავილედს აზი-ანებს ჭარხლის ბალლინჯო; ქორფა მცენარის მიწისქვეშა ნა-ნილს აზიანებენ სხვადასხვა მატლები. ყვავილედის ცენტრა-ლური ნაწილის ყვავილებს აზიანებენ ჯვაროსანი ქინქლას ჭუპ-რები.

კულტურის დაავადებებიდან ცნობილია ნაცარი, რომ-ლის გამომწვევია ნაცროვანი სოკოები და პერონოსპოროზი, რომელთა გამომწვევია ცრუნაცროვანი სოკოები.

დაავადებებთან და მავნებლებთან საბრძოლველად საჭი-როა კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება: წინა კულტურის ნარჩენების შეგროვება და განადგურება (განსაკუთრებით, თუ

თესლბრუნვაში წინამორბედი კულტურა რთულყვავილოვანთა ოჯახისაა), ბრძოლა სარეველების წინააღმდეგ, ყვავილების დროული შეგროვება, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვა და სხვა.

სამკურნალო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ რეკომენდირებული არაა ქიმიური პრეპარატების გამოყენება. უპრიანია გამოვიყენოთ სექტიციდური მცენარეები. უნდა გვახსოვდეს, რომ სექტიციდური მცენარეების გამოყენებისას უსაფრთხოების ზომები ისევე უნდა დავიცვათ, როგორც ძლიერი ქიმიური საშუალებების გამოყენებისას.

გულყვითელას იყენებენ ნემტოდების წინააღმდეგ, რადგან მცენარე გამოყოფს ფიტონციდებს. ნათესებში გულყვითელას შეთესვა ამცირებს მცენარეების ფუზარიოზით დაავადებას, იგი აფრთხობს კოლორადოს ხოჭოსაც.

დიდგულა (*Sambucus Nigra*) – European Elder – Бузина Черная

დიდგულა (*Sambucus Nigra*) ბუჩქი ან დაბალტანიანი ხეა ცხრატყავასებრთა ანუ ადოქსასებრთა (*Caprifoliaceae, Adoxaceae*) ოჯახიდან, სიმაღლით 3-დან 6 მეტრამდე. ქერქი ნაცრისფერი აქვს. ახალგაზრდა ტოტები მწვანე, მურა-ნაცრისფერი ან მოყვითალოა და მეჭეჭებითაა მოფენილი. ტოტების გული თეთრი და რბილია. ფოთლები ერთიმეორის პირისპირაა განლაგებული, სიგრძით 20-30 სმ-ს აღწევს, კენტფრთართულია. ზედა მხრიდან მუქი-მწვანე, ქვემოდან უფრო ღია ფერისაა. ფოთოლა-კები კვერცხისებრი, თავნაგრძელებული, არათანაბრად ხერხის-კბილა, ძირში მომრგვალებული ან სოლისებრი ფორმის, ხშირად არათანაბარგვერდიანი, ზედა მხარეზე მთავარი ძარღვის გასწვრივ მოკლე ბეწვებით მოფენილი, ან თითქმის შიშველი. ქვედა მხარეზე ძარღვების გასწვრივ უფრო გრძელი ბეწვებითაა მოფენილი. ყვავილები აქტინომორფულია, წვრილი, მოყვითალო-მო-

თეთრო ფერის, სპეციფიკური სურნელით, შეკრებილია კენ-ნრულ, ფარისებრ-საგველასებრ ყვავილედებად. ნაყოფი კენკრა-სებრია, მოშავო-იისფერი, წვნიანი, 3-4 თესლით. ყვავის მაის-ივ-ნისში, ნაყოფი აგვისტო-სექტემბერში მწიფდება. დიდგულა გავ-რცელებულია საქართველოში თითქმის ყველგან. ჩრდილის ამ-ტანი მცენარეა, მრავლდება თესლით. სამკურნალოდ გამოიყე-ნება ყვავილი, ნაყოფი, ქერქი. ყვავილები მზადდება ყვავილობის ფაზაში, გვირგვინის ფურცლების ჩამოცვენამდე.

დიდგულას ყვავილები შეიცავს ციანოგენურ გლიკოზიდ სამბუნიგრინს 0,1%, ფენოლკარბონ მუავებს, ორგანულ მუა-ვებს, ვიტამინებს, ლორნოს, ეთეროვან ზეთებს, მთრიმლავ ნივ-თიერებებს, მიკრო- და მაკროელემენტებს. ცოცხალ ფოთლებ-ში ნაპოვნია ასკორბინის მჟავა (200-280 მგ%) და კაროტინი (0,014%). ტოტების ქერქი შეიცავს ეთერზეთებს, ქოლინს, ფი-ტოსტერინს. ნაყოფი შეიცავს ვიტამინ C-ს (10-45%), ამინომჟა-ვებს, კაროტინს, მთრიმლავ ნივთიერებებს.

დიდგულას ყვავილები, როგორც ოფიცინალური ოფ-ლმდენი საშუალება შეტანილია საქართველოს სახელმწიფო ფარმაკოპეაში. ყვავილებისაგან ამზადებენ ჩაის გაციების დროს, ბრონქიტის, ბრონქოექტაზის, ბრონქული ასთმის დროს. დიდგულას პრეპარატებს იყენებენ როგორც გამოსავ-ლებ საშუალებას სასუნთქი გზების დაავადებებისას. ქერქის ნა-სარშს და ფხვნილს იყენებენ ასევე თირკმელების და შარდის ბუშტის დაავადებებისას. დიდგულას ფესვების ნაყენი წმენდს თირკმელებს, კარგად მოქმედებს კუჭის დაავადების დროს.

ხალხურ მედიცინაში დიდგულას კენკრის მურაბა ჩაისთან ერთად წმენდს კუჭს, დადებითად მოქმედებს თირკმელებზე და შარდის გამოყოფაზე, ნაყენი გამოიყენება ძლიერი ფალარათის დროს.

დიდგულას ქერქის და ახალგაზრდა ყლორტების ნახარშს იყენებენ დიაბეტის დროს, ასევე როგორც შარდმდენ საშუალე-ბას სხვადასხვა ნარმომავლობის შეშუპების დროს.

დიდგულას ნედლი ტოტები თაგვისებრი მღრნელების წინააღმდეგ გამოიყენება.

დანდური (*Portulaca Oleracea*) – Purslane – Портулак

დანდური (*Portulaca*) ერთწლოვანი მცენარეა დანდურისებრთა (*Portulacaceae*) ოჯახიდან. დანდურის ღერო გართხმული ან წამოწეულია, ძირიდანვე დატოტვილი, ფოთლები ხორცივანი, უფრო ხშირად წვრილი, კაშკაშა ყვითელი ყვავილებით. 100-მდე სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. გვხვდება ველურად მოზარდი *Portulaca Oleracea*, რომლის კულტურული ფორმების ფოთლებს (ზოგჯერ ყვავილებს) სანელებლად იყენებენ. ფრიად აბეზარი სარეველაა. შეიცავს C ვიტამინს. გავრცელებულია ნათესებში, ჰუმურისით მდიდარი ნიადაგების მოყვარულია. ყვავილობს ივლის-აგვისტოში.

საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება მთის ქვედა სარტყლის დასახლებული ადგილების მახლობლად. მის ნორჩ ღეროსა და ფოთლებს ხმარობენ მხალად და მწნილად. დეკორატიული მცენარედ აშენებენ არგენტინულ და ბრაზილიურ *Portulaca Grandiflora*-ს.

დანდური შეიცავს ორგანულ მჟავებს, ალკალოიდებს, ცილებს, ნახშირწყლებს, კაროტინს, საპონინებს, C, E, PP, K ვიტა-მინებს, ლორნოვან და ფისოვან ნივთიერებებს.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს სისხლში ქოლესტრინის მომატების, ათეროსკლეროზის, დაბალი წნევის, ღვიძლის, თირკმლების, შარდის ბუშტის ანთებითი პროცესების, ბაქტერიული დიზინტერის, მწერებისა და გველის ნაკბენის დროს, თვალების სამკურნალოდ და ჭის დამდენად. ჩინური მედიცინა იყენებს ვენერიული დაავადებების, დიზენტერის, არტრიოტების, დამბლის, შხამიანი ნაკბენების სამკურნალოდ.

უკუჩვენება: მაღალი წნევა.

ენდრო (*Rubia Tinctorum*) – European Madder- Марена Красильная

ენდრო (*Rubia Tinctorum*) მრავალწლოვანი 2-3 მ. სიგრძის, მხოხავი, დატოტვილი, ჩრდილეტია ბეწვების გამო ეკლისებრ – ხორკლიანი ღეროთი ბალახოვანი მცენარეა ენდროსებრთა (*Rubiaceae*) ოჯახიდან. საქართველოში გავრცელებულია ქართული ენდრო *Rubia Iberica* (*Fisch.*) *C. Koch.*

მთავარი ფესვი საკმაოდ ძლიერი აქვს, სიღრმეში დატოტვილ-დანაოჭებული, ფესვის ზედა ნაწილიდან იზრდება მხოხავი, მერქნისებრი მრავალთავა ფესვურა, რომელზეც კვირტებია განლაგებული. ქვედა მხრიდან შებუსული ლანცეტა ან ფართო ელიფსური ფოთლები ვიწრო კვერცხისებრია, ნაწვეტებული, ზომით ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებულ ფოთოლზე თითო ბაზალური ძარღვია, ყვავილები წვრილი, ორსქესიანი, მომწვანო-ყვითელი, შეკრებილი კენწრულ და იღლიურ მრავალყვავილიან ნახევარქოლგებად. ნაყოფი კურკოვანია, ხორცოვანი, ჯერ წითელი, მწიფე ნაყოფი კი შავია, წვნიანი, ერთი – იშვიათად ორთესლიანი. მისი წვენი მუქ ღვინისფერ ლაქებს ტოვებს. ენდრო ყვავილობს ივნის-აგვისტოში, ნაყოფი მწიფდება ოქტომბერ-ნოემბერში.

მცენარე წარმოშობით ხმელთაშუაზღვის სანაპიროდანაა. ენდრო, რომლის ფესვებსაც დღეს უმეტესად სააღდგომო კვერცხების შესაღებად ვიყენებთ, უძველესი კულტურაა. ჯერ კიდევ ძველი რომაელები, ეგვიპტელები და ბერძნები ამზადებდნენ მისგან მდგრად წითელ სალებავს შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებისთვის. მისი ექსტრაქტი, კრაპი, სარფიანად იყიდებოდა. ენდროს ხანა მე-19 საუკუნის დამლევს, ხელოვნური საღებავების შექმნის შემდეგ დასრულდა. სინთეზურმა აღიზარინმა ჩაანაცვლა ნატურალური კრაპი და ენდროს მოყვანაც მიატოვეს. ენდრო სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეა. გავრცელებულია როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთის ფერ-

დობებზე, თითქმის ყველა სახის ნიადაგზე იზრდება. ხშირად გვხვდება ღობის ძირებში, ვენახებში, ბალებში, როგორც სარეველა.

ნედლეულად ამზადებენ ენდროს ფესვურასა და ფესვებს გაზაფხულზე, მარტსა და აპრილში, ან ვეგეტაციის ბოლოს, სექტემბრიდან წაყინვების დაწყებამდე. აშრობენ თხელ ფენად გაშლილს, ნედლეული უნდა ინახებოდეს მშრალ ადგილას. შენახვის ვადა 3 ნელია.

ენდროს ფესვები შეიცავენ 5-6% საღებავ ნივთიერებებს (ოქსიმეთილსა და ოქსიანტრაქინონებს). მათ შორის რუბერიტ-რინის მჟავას, რუბიადინს, ორგანულ მჟავებს, პექტინებს, ვიტა-მინ C, ნასშირწყლებს. მინისზედა ნანილი შეიცავს კუმარინებს, ფლავონოიდებს, პექტინებს, ფენოლურბონის მჟავას. სახელმწიფო ფარმაკოპეის მოთხოვნით ანტრაცენის ნაწარმები შეკავშირებული სახით უნდა იყოს არანაკლებ 3%-ისა.

ენდროს შემცველი პრეპარატები შლიან ფოსფატურ და ოქსალატურ ქვებს თირკმელებსა და შარდის ბუშტში. აქვთ შარდმდენი და სპაზმოლიტური მოქმედება. აძლიერებენ შარდსადენების მუსკულატურის პერისტალტიკას, რითაც ხელს უწყობენ ქვების გამოდევნას. ენდროს ფესვებისა და ფესვურის ნაყენი შედის პრეპარატ ცისტენალის შემადგენლობაში, რომელსაც უნიშნავენ ავადმყოფებს კენჭოვანი დაავადების დროს. ასეთი ნაყენების გამოყენება არ შეიძლება კუჭის წყლულოვანი დაავადებისა და თირკმელების უკმარისობის დროს.

ენდროს ფესვებიდან იღებენ უძვირფასეს საღებავს.

ენდრო პომეპატიაში რეკომენდირებულია ანემიისა და ელენთის საწინააღმდეგოდ. იგი პოპულარულია ხალხურ მედიცინაში. ჯერ კიდევ ავიცენა უწევდა რეკომენდაციას მისი ფესვებისაგან მომზადებულ სასმელს. ეს უკანასკნელი თაფლით დამტკბარ წყალზე მზადდებოდა და გამოიყენებოდა საჯდომი ნერვის ანთების, ქსოვილთა მგრძნობელობის დაკარგვის და პარეზების სამკურნალოდ. ენდროს ნაყოფისგან ასევე თაფლის დამატებით ამზადებდნენ გადიდებული ელენთის სამკურნალო

წამალს. ენდროს ფესვებისაგან მიღებული პრეპარატები (ნაყენები, ნახარშები, მშრალი ექსტრაქტი, იგივე გამონანვლილი და სხვ.) ტრადიციულია ფიტოთერაპიაში, თუმცა თანამედროვე მედიცინაშიც წარმატებით იყენებენ. ტიბეტურ მედიცინაში ანგინისა და დიფტერიის სამკურნალოდ მოწოდებული რთული რეცეპტების შემადგენლობაში ენდრო ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ინდოეთის მედიცინა წარმატებით იყენებს ამ მცენარეს ამენორეისა (მენსტრუაციის უქონლობა) და ანურის (თირკმელების მიერ შარდის გამოყოფის სრული შეწყვეტა) სამკურნალოდ, კორეული მედიცინა – გულის სარქველოვანი უკმარისობის დროს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც ენდროს ფხვნილი, ასევე ნაყენი, ნახარში და ექსტრაქტი თირკმელების, საშარდე გზების, ღვიძლის, ელენთის, სასუნთქი სისტემის, ნაწლავთა და ძვლის ტუბერკულოზის, რაქიტის, ოსტეომიელიტის, ამენორეის, ანემიის, დიზენტერიის, იშიაზისა და პოდაგრის თერაპიაში. გარეგანი მოხმარებისათვის – წყლულების, დერმატომიკოზების, პიგმენტური ლაქების სამკურნალოდ. ნახარში ეფექტურია გარეგანი გამოყენებისათვის კანის კიბოს დროს. თურქმენეთში კი მას მეხსიერების დარღვევების დროს იყენებენ. მცენარის ღეროებისაგან თურქმენეთში მზადდება მალამო (კვერცხის გულთან და შაბთან ერთად) გარეგანი გამოყენებისათვის – ამოვარდნილობების, მოტეხილობებისა და დაუეუილობების სამკურნალოდ.

ვარდკაჭაჭა (Cichorium Intybus) – Succory – Цикорий Обыкновенный

ვარდკაჭაჭა (Cichorium Intybus) ბალახოვან მცენარეთა გვარის წარმომადგენელი, მრავალწლოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (Asteraceae, Compositae) ოჯახიდან, გრძელი, ხორციანი, თითისტარისებრი ფესვით. ღერო სწორმდგომია, სი-

მაღლით 30-120 სმ, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები ქმნიან როზეტს მოკლე ყუნწებით. ლეროს ფოთლები კი მჯდომარეა, მორიგეობითი, ნახევრად ლერომხვევი. ენისებრი, ცისფერი (იშვიათად თეთრი ან ვარდისფერი) ყვავილები მარტოული ან შეკრებილია კონებად. ისინი ისეთი მოკლე ყუნწებიანებია, რომ იქმნება შთაბეჭდილება თითქოს სხედან ფოთლების უბეებში. ნაყოფი თესლურაა სიფრიფანა საფრენით, ყვავილობს ივნის – ოქტომბერში. გავრცელებულია ვარდკაჭაჭას 8-10 სახეობა, რომლებიც ველურად იზრდებიან რუსეთის სამხრეთ და შუა ზოლში, თითქმის მთელ დასავლეთ ევროპაში, წინა აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში. შეტანილია ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში. საქართველოში ველურად გვხვდება ვარდკაჭაჭას მხოლოდ ერთი სახეობა – *Cichorium Intybus*. იგი მრავალწლოვანი მცენარეა. იზრდება მთის შუა სარტყელამდე ტყისპირებსა და ნათესებში. აქვს ცისფერი ან თეთრი ყვავილები, მთავარდერძიანი, გრძელი ფესვით, რომელიც კულტურის ფორმებში ძირხვენად არის სახეცვლილი. ფესვებს იყენებენ ყავის სუროგატად, აგრეთვე სპირტისა და შაქრის (ფრუქტოზის) მისაღებად.

ვარდკაჭაჭა თაფლოვანი მცენარეა.

ნედლეულად იყენებენ ფესვებს, იშვიათად მიწისზედა ნაწილს. ფესვებს ამზადებენ სექტემბერ-ოქტომბერში, ან ადრე გაზაფხულზე. უმჯობესია წვიმის შემდეგ, რადგან ნიადაგი სველია და მცენარე მიწიდან ადვილად ამოდის. ნედლეულს აშრობენ საშრობებში ან ღუმელებში. გამომშრალი ფესვი გადაღუნვისას ტყდება. მცენარის მიწისზედა ნაწილებს აგროვებენ ივნის-აგვისტოში და მზეზე აშრობენ.

ვარდკაჭაჭას ფესვის შემადგენლობაში შედის ინულინი, გლიკოზიდი ინტიბინი, ფიქსირდება მნარე ნივთიერებების კვალი, ფოთლებში ლაქტონები, ტრიტერპენები, ყვავილებში – კუმარინის გლიკოზიდი.

ვარდკაჭაჭა ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი სამკურნალო

მცენარეა ლვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების სამკურნალოდ, იგი აძლიერებს ნაღვლის სეკრეციას. განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა პორტალური სისხლის მიმოქცევის არეში შეგუბების დროს, რადგან მას არამარტო შარდმდენი მოქმედება აქვს, არამედ აუმჯობესებს გულის მუშაობასაც. ასეთ შემთხვევებში ნახარშს შემდეგნაირად ამზადებენ: 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს (ფესვები და მიწისზედა ნაწილები) ათავსებენ მომინანქრებულ ჭურჭელში, ასხამენ 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელ წყალს, ახურავენ თავსახურს, ათავსებენ მდუღარე წყლის აბაზანაში 20-30 წთ-ით. შემდეგ აცივებენ ოთახის ტემპერატურაზე, გადაწურავენ, ავსებენ ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. იღებენ 1/3 ჭიქას 3-ჯერ დღეში.

ვარდკაჭაჭა გამოიყენება როგორც ნაღვლმდენი, საჭმლის მონელების მარეგულირებელი და სისხლში შაქრის რაოდენობის შემამცირებელი საშუალება. იგი აძლიერებს კუჭ-ნაწლავის წვენის სეკრეციას და პერისტალტიკას, მადის აღმძვრელია. ზოგიერთი მკვლევარის მონაცემების მიხედვით 200-300 გ ნედლეულის მიღების შემდეგ სისხლში შაქრის რაოდენობა იკლებს 18-44%-ით. ვარდკაჭაჭას ფესვი მდიდარია ინულინით და ამიტომ აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში. მის პრეპარატებს ხშირად იყენებენ, როგორც მადის აღმძვრელ, კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოსაწესრიგებელ საშუალებას. განსაკუთრებით გასტრიტების, კოლიტების, ენტერიტების დროს. მას ხშირად მოიხმარენ, როგორც საერთო გამამავრებელ, სისუსტის საწინააღმდეგო საშუალებას. ამ დროს ნაყენებსა და ნასარშებს იღებენ რეგულარულად ჭამის წინ.

სისხლნაკლებობის დროს სვამენ მცენარის ახალ წვენს რძესთან ერთად (1 სუფრის კოვზი წვენი, 1/2 ჭიქა რძე) 3-4-ჯერ დღეში ერთი თვის განმავლობაში.

ბევრგან ვარდკაჭაჭას სპეციალურად აშენებენ სალათების მოსამზადებლად შაქრიანი დიაბეტით დაავადებისას დიეტური მკურნალობისათვის.

ხალხურ მედიცინაში ცნობილია მისი დამამშვიდებელი მოქმედება, ამიტომ, ვარდკაჭაჭას გამოყენებას ურჩევენ ნერ-ვული აღვიწების, ისტერიკის, იპოქონდრის დროს, თუმცა მისი მოქმედების ეფექტი კატაბალახასა და შავბალახას მოქმედებას ვერ უტოლდება.

ვარდკაჭაჭას ნაყენებს იყენებენ კანზე გამონაყარის, ფე-რიმჭამელების, ძირმაგარების დროს. ძლიერი ნაყენები და ნა-ხარშები გამოიყენება ძველი ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულე-ბისა და ეგზემის სამკურნალოდ. დიათეზის დროს ბავშვებს უმ-ზადებენ მის აბაზანებს.

ვარდკაჭაჭას ფესვებისაგან იღებენ ფრუქტოზას და სპირტს. მისგან შესაძლებელია ნატურალური ყავის შემცვლე-ლის მიღება. ამისთვის ნაჭრებად დაჭრილ ფესვებს ხალავენ და შემდეგ ფქვავენ. ფესვებისაგან მიღებულ ფხვნილს ურევენ ნა-ტურალურ ყავას. საუკეთესო თანაფარდობაა 3:1 (3 წილი ყავა, 1 წილი ვარდკაჭაჭა). შეიძლება მომზადდეს ვარდკაჭაჭას სას-მელი შემდეგნაირად: 1 სუფრის კოვზი ფხვნილი 0,5 ლ წყალზე. ადულებენ 2-3 წთ და შემდეგ ფილტრავენ.

შუა აზიაში უძველესი დროიდან კანის ჩირქოვან დაავა-დებებს, ძველ წყლულებს, სირსველს მკურნალობენ ვარდკაჭა-ჭას ნაცრით.

ავიცენას მიხედვით ვარდკაჭაჭას საფენები კარგი საშუა-ლებაა ქვეწარმავლების, მორიელის, კრაზანებისა და ხვლიკების ნაკბენის დროს.

ვარდკაჭაჭას ნაყენს იყენებენ აბლაბუდიანი ტკიპას ლავ-რების წინააღმდეგ, მას ახასიათებს რეპელენტური თვისებებიც (ლეროს ნემატოდას მიმართ), ხახვის ნათესს იცავს ნემტოდები-საგან.

ვაშლი – (*Malus*) – Apple – Яблоко

ვაშლი (*Malus*) მიეკუთვნება ვარდისებრთა Rosaceae ოჯახს. ვაშლი ყველაზე გავრცელებული ხეხილოვანი კულტუ-

რაა. მსოფლიოს ხეხილოვანი კულტურების 50% სწორედ ვაშ-ლზე მოდის. მისი კულტურული ჯიშები 3 მილიონ ჰა ფართობზეა გავრცელებული. ვაშლის კულტურაზე, როგორც ხეხილოვან კულტურაზე დიდი ინტერესი აიხსნება იმით, რომ იგი საკმაოდ ადაპტურია და ადამიანის კვებით რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ის შეუცვლელი კვების პროდუქტია, მრავალი დაავადების პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებაა. აქვს ძვირფასი სამრეწველო – ბიოლოგიური თვისებები – მაღალი პროდუქტიულობა, ზამთარგამძლეობა, მომწიფების სხვადასხვა ვადები, ნაყოფი ხანგრძლივად ინახება, ექვემდებარება გადამუშავებას.

ვაშლის არეალს წარმოადგენს ევროპის, აზიისა და ჩინდილო ამერიკის საზღვრები, სადაც წარმოადგენილია სამი ძირითადი გენეტიკური მრავალფეროვნების ცენტრი:

- წინა აზიური გენეტიკური ცენტრი;
- აღმოსავლეთ-აზიის გენეტიკური ცენტრი;
- შუა აზიური გენეტიკური ცენტრი.

ვაშლი შეიცავს 7,4 -23, 2% ხსნად, 1,5-3,3 % უხსნად მშრალ ნივთიერებებს. ხსნადი მშრალი ნივთიერებებია ნახშირწყლები (გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა), პექტინები, ორგანული მჟავები, წყალში ხსნადი ვიტამინები C, P, კატეხინები, ლეიკონანტოციანები, ფერადი ნივთიერებები, მინერალური ნივთიერებები.

ვაშლში შემავალ ნახშირწყლებს ადამიანის ორგანიზმი საუკეთესოდ ითვისებს. განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ვაშლის პექტინვანი ნივთიერებები, რომლებიც ქმნიან კოლოიდურ ხსნარებს და ხელს უწყობენ კუჭ-ნაწლავში წარმოქმნილი წყლულების შეხორცებას. პენქტინოვანი ნივთიერებები შლიან მძიმე ლითონების იონებს, ანეიტრალებენ და ორგანიზმიდან გამოდევნიან თუთიას, ტყვიას, სპილენძს. დადგენილია აგრეთვე, პენქტინების დაცვითი თვისება რადიონუკლიდებით დაბინძურებისას. ორგანული მჟავები, როგორც ნახშირ-

წყლები განაპირობებენ ვაშლის გემოსა და ტექნოლოგიურ თვი-სებებს. ვაშლის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მაგ. ვიტამინები, მიკროელემენტები, ანტიბიოტიკები, ეთერზეთები და სხვ. ატარებენ პროფილაქტიკურ და სამკურნალო თვისებებს, ამიტომ მათ ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ვაშლი შეიცავს მიკრო- და მაკროელემენტებს – კალი-უმს, ფოსფორს, კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რკინას. ვიტამინებს – E, B₁, B₂, B₆, PP, კაროტინს, ფოლიუმის მჟავას. რაც მთავარია, ეს კომპონენტები ვაშლში ადვილად ასათვისებელი ფორმით და ჩვენი ორგანიზმისთვის მეტად ოპტიმალური კომბინაციით არიან წარმოდგენილნი.

პ. უუკოვის მიხედვით, ვაშლის სახეობების აღწერისას გავრცელებული სახეობა (*Malus Ovientalis*) კავკასიისა და მცირე აზიის ენდემია. ცნობილია 10 000-მდე ვაშლის ჯიში, რომელიც მრავალსაუკუნოვანი სელექციის პროდუქტია. ხშირად ჯიშის წარმოშობის დროსა და ადგილს განსაზღვრავს გავრცელების ხასიათი და გამოყვანის სიძველე. კულტურული ვაშლის ჯიშები სხვადასხვანაირადაა წარმოშობილი, რომელთაც საწყისი მისცეს გარეულ სახეობათა ბუნებრივმა შეჯვარებებმა. ამგვარი წარმოშობისაა საქარველოში გავრცელებული ქართული ჯიშები – თურაშაული, კეხურა, ძუძუ ვაშლი და სხვ.

ინგლისელ მეცნიერთა მონაცემები მოწმობს, რომ ვაშლის მოყვარულთა ფილტვები გაცილებით ძლიერია, ვიდრე მათი, ვინც იშვიათად მიირთმევს ვაშლს. ამასთან, ვაშლის მოყვარულებს ნაკლებად აქვთ ბრონქიული ასთმისა და, საზოგადოდ, რესპირატორული დაავადებების განვითარების რისკი. ვაშლი მიჩნეულია ერთ-ერთ მძლავრ ანტიოქსიდანტად, რომელიც ფილტვებს თამბაქოს კვამლისა და ჰაერში არსებული მავნე ნაერთების ზემოქმედებისგან იცავს. ვაშლში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ამცირებს ათეროსკლეროზის განვითარების რისკს. ფიტონუტრიცეპტული ნივთიერებები ამცირებენ სისხლში ქოლესტერინის დონეს. ვაშლის წვენი აჯან-

საღებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, სასარგებლოა გონებრივი მრომით დაკავებულთათვის. გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ვაშლში შემავალი ფლავონოიდები და პოლიფენოლები სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტით გამოირჩევიან – ბოჭავენ ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე თავისუფალ რადიკალებს. ამ ნივთიერებებს ბევრად უფრო მძლავრი ანტიოქ-სიდანტური თვისებები აქვთ, ვიდრე იმავე ვაშლში შემავალ C ვიტამინს.

ვაშლის რეგულარული მიღება აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს და ნაწლავთა მიკროფლორას. ახალი წვნიანი ვაშლი იდეალური ჯანსაღი საკვებია – ის ადვილად ავსებს კუჭს, დაბალკალორიულია და მდიდარია ფრუქტოზით. ეს უკანასკნელი უფრო ტკბილია, ვიდრე საქაროზა, სამაგიეროდ უფრო ნელა ხდება მისი ათვისება, რაც ხელს უწყობს სისხლში შაქრის დონის სტაბილიზაციას. ვაშლის თესლი მდიდარია იოდით. ამიტომ ვაშლი კურკანად უნდა მიირთვათ. 5-6 კურკა შეიცავს იოდზე ორგანიზმის სადღელამისო მოთხოვნილების შესაბამის ნორმას. რკინის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო ვაშლი უებარია ანემიების დროს. რევომენდებულია დღეში 400-600 გრამის მიღება.

ვაშლი ამცირებს ცხიმების ათვისებას, გამოირჩევა სუსტი შარდმდენი მოქმედებით, მასში შემავალი უჯრედისი კი იწვევს დანაყრების შეგრძებას, ამიტომ წონის დაკლების მსურველებმა ვაშლი აუცილებლად უნდა მიირთვან. ძალიან კარგია განტვირთვის დღეების მოწყობა – მთელი დღის განმავლობაში, 5-6 მიღებაზე, უნდა მიირთვათ 1,5-2,0 კგ ვაშლი. ასეთი დღეები სასარგებლოა ჰიპერტონიული დაავადების მქონე ადამიანებისათვისაც. ვაშლი უმჯობესია მიირთვათ ცოცხალი, თერმული დამუშავებისას ფლავონოიდების 70% იკარგება. სასარგებლო ნივთიერებები უმთავრესად ვაშლის კანსა და უშუალოდ მის ქვეშ არსებულ ფენაშია თავმოყრილი, ამიტომ ვაშლის გათლას არ გირჩევთ. მწვანე ვაშლში C ვიტამინი უფრო მეტია, ვიდრე წითელში.

ვირისტერფა (*Tussilago Farfara*) – **Farfara – Мать-и-мачеха**

ვირისტერფა (*Tussilago Farfara*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (*Asteraceae, Compositae*) ოჯახიდან, გრძელი, მცოცავი დატოტვილი ფესვურით. სწორი, უხვად შებუსული ღერო 10-15 სმ-დე სიმაღლისაა, მოფენილია ქერქლისებრი, მოწითალო, კვერცხისებრ-ლანცეტისებრი ფოთლებით, დაფარული თეთრი, რბილი ბუსუსებით. მცენარე თავ-დაპირველად მარტივ კალათებიან საყვავილე ღეროებს ინვითარებს, შემდეგ ვითარდება ფესვთანური ფოთლები. ფოთლის ფირფიტის სიგანე 15-20 სმ-დეა. ფოთოლი მკვრივია, მოხაზულობით მომრგვალო ან ფართო კვერცხისებრი, არათანაბრად გამოწეული, კიდეებზე დაკბილული, ზემოდან მუქი – მწვანეა, თითქმის შიშველი, ქვემოდან მოთეთრო – ქეჩისებური. ღეროს წვეროზე ერთეული კალთა ყვავილედია, რომლის დიამეტრი 2,0-2,5 სმ – ია. ყვავილები ყვითელი შეფერილობისაა, განაპირა ყვავილები ენისებურია, შუამილისებური, ორსქესიანი. ყვავილობის დამთავრების შემდეგ მცენარეს უყალიბდება ფესვთანური ფოთლების როზეტი. ვირისტერფა ყვავილობს მარტ-აპრილში. ნაყოფი მწიფდება აპრილ-მაისში. ნაყოფი თესლაკია, რომელიც ბუსუსოვანი ჩაჩითაა დაფარული. თესლები (თესლურა) მოხაზულობით მოგრძოა, ოდნავ ჩაჭყლეტილი, ოთხნახნა-გოვანი, წვერი წაკვეთილი. აქვს დაკბილული გარსი და ცვენადი საფრენი. შებუსულია. თესლები ფუძესთან ოდნავ შევიწროებულია, შეიმჩნევა სათესლე ნაწიბურით. ზედაპირი გრძივად – წიბოვანია, მოყვითალო შეფერილობით.

ვირისტერფა გავრცელებულია შუა ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, მცირე აზიაში, ირანში. დასავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის მთებში. საქართველოში ვირისტერფა გავრცელებულია როგორც დაბლობ, ისე მთიან ადგილებში, კლდიან, ლორლიან და თიხიან ნიადაგებზე, ხარობს მიწაყრილსა და

ჩამოშლილ ადგილებზე, მდინარეთა ნაპირებთან. ხეობებში ზოგჯერ მთლიან რაყას ქმნის. საქართველოში იგი გვხვდება რაჭა – ლეჩხუმში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში, გარე კახეთში, თრიალეთში. ვირისტერფა ნესტიანი, თიხნარი ნიადაგის მიყვარულია, მრავლდება თესლით. უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებულია ერთი სახეობა *Tussilago Farfara*.

ოფიცინალური ნედლეულია ვირისტერფას შიშველი ფოთოლი 5 სმ-მდე ყუნწით, რომელიც გროვდება ზაფხულის პირველ ნახევარში, ფოთლები ზევიდან მწვანეა, ქვევიდან მონაცრისფრო-თეთრი, უსუნო, მომწარო გემოთი და ლორწოს შეგრძნებით. ახალგაზრდა, შებუსული ფოთლები არ გროვდება.

ვირისტერფას ფოთლები შეიცავენ ნახშირწყლებს – პოლისაქარიდებს, ინულინს, პექტინოვან ნივთიერებებს, ლორწოებს, ეთეროვან ზეთებს, სტეროიდებს, სტიგმასტერინს, სიტოსტერინს, ვიტამინ C, ალკალოიდ ტუსილაგინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კაუჩუკს, ფლავონოიდებს, ცხიმოვან მჟავებს, ლიპიდებს.

ვირისტერფას, როგორც სამკურნალო მცენარეს, ჯერ კიდევ ქველ რომში იცნობდნენ. მისი ფოთლებისა და ფესვებისაგან ამზადებდნენ ნაყენს, რომელიც 'გულმკერდის სხვადასხვა დაავადების, ხველის, სურდოს, გაციების, ცხელების, ხვრინვის საუკეთესო ნამალი იყო. ძველი დროის მკურნალთა დაკვირვებით, ვირისტერფას ნახარში ათხევადებს სქელ ნახველს, ხელს უწყობს ორგანიზმს სითბოს შენარჩუნებაში, ახორცებს გარეგან და შინაგან ჭრილობებს. ნახარშის დალევა სასარგებლოა სასქესო ორგანოებიდან ჩირქედენის, აგრეთვე – თირკმელების ძლიერი ტკივილისა და სხვადასხვა სახის დაზიანების დროს. ნაყენი გამოიყენება მედიცინაში ამოსახველებელ, შარდმდენად, ოფლმდენად, ანთების საწინაარმდეგოდ, ბრონქოლიტურ, ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო, ანტიმიკრობულ საშუალებად. გარეგანად გამოიყენება საფენების სახით. მისი ფოთლების ჭინჭართან ნახარში გამოიყენება თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.

ვირისტერფას იყენებენ ჰომეპათიაში, კოსმეტოლოგიაში, ვეტერინარიაში. ფარმაცევტული მრეწველობა უშვებს ვირისტერფას გამონაცემს და დრაჟეს. შედის ოფიცინალური ნაკრების შედგენილობაში.

ვირისტერფა თაფლოვანი მცენარეა.

ზაფრანა – (*Crocus*) – Crocuses – Шафран

ზაფრანა, კროკო (*Crocus*) – მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ზამბახისებრთა (*Iridaceae*) ოჯახიდან, გორგალ-ბოლქვიანი მცენარეა. მიწისზედა ღერო არ აქვს და ყვავილი პირდაპირ გორგლისებრი ბოლქვიდან ამოდის. 80-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. საქართველოში – 5 სახეობაა. ისინი ძირითადად ალპური მდელოს კომპონენტებია. მხოლოდ 2 სახეობა *Crocus adamii* და შემოდგომაზე მოყვავილე *Crocus speciosus* გვხვდება შუა სარტყელში, ხოლო *Crocus autranii* ენდემური სახეობაა და მარტო აფხაზეთში იზრდება. *Crocus scharojani* კი – კავკასიის ენდემია. ზაფრანის ყველა სახეობა ლამაზყვავილიანია, ამიტომ პოპულარულია დეკორატიულ მებაღეობაში. *Crocus sativus* მხოლოდ კულტურაშია ცნობილი და მას იყენებენ სუნელ-სანელებლად. მისი წითელი დინგები შეიცავს ძვირფას საღებავს – კროცინს. მცენარეს ვიწრო ფოთლები აქვს. ყვავილები კი მსხვილი, სურნელოვანი, ღია-იისფერი, ნაყოფები ნაგრძელებული კოლოფებია. ყვავილობს სექტემბერ-ოქტომბერში, სამკურნალო ნედლეულის სახით იყენებენ ბუტკოს დინგს.

კაროტინოიდული ბუნების ამ მცენარის ეთერზეთი, გარდა ძირითადი კომპონენტის – საფრონალისა, შეიცავს პინენსა და ცინეოლს. ზაფრანა მდიდარია აგრეთვე ლიკოპინით, კაროტინოიდებით, B ჯგუფის ვიტამინებით, ფლავონოიდებით, ცხიმოვანი და აზოტოვანი ნაერთებით; შეიცავს ნიკალს, შაქარს, ცვილს, კალიუმს, კალციუმს და სხვ.

ზაფრანა, როგორც ბევრი დაავადების საუკეთესო სამკურნალო საშუალება, ნატურალური სალებავი და იშვიათი, ძვირადღირებული სანელებელი, უძველესი დროიდან არის ცნობილი. ასევე, უძველესი დროიდან იყო ცნობილი ზაფრანის სამკურნალო თვისებები. ძველი რომაელები მას იყენებდნენ კატარაქტის სამკურნალოდ. გავრცელებული იყო აზრი, რომ ის შხამს ერეოდა. ავიცენა მას იყენებდა დამწვრობის სამკურნალოდ. იგი ძლიერი ანტიოქსიდანტია, ანადგურებს მავნე ნივთიერებებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ასაკის მატებასთან ერთად უფრო ინტენსიურად წარმოიქმნება. გარდა იმისა, რომ მცირე ნორმით ზაფრანა აუმჯობესებს მადას, ხალხურ მედიცინაში ცნობილია, რომ ის არის ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი, ოფლმდენი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო და საგულე საშუალება. რეკომენდებულია ლვიძლისა და კუჭის დაავადებების სამკურნალოდ. შველის ძლიერ შეტევით ხველას, აქვს მატონიზებელი თვისება, კვებავს სისხლს, წმენდს შარდის ბუშტსა და თირკმლებს, ამაგრებს გულის კუნთს, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ამაღლებს გუნება-განწყობას, მატებს ადამიანს სასიცოცხლო ტონუსსა და ხალისს, აუმჯობესებს სახის ფერს, მეხსიერებას, ტვინის მუშაობას.

თავშავა სამკურნალო (*Origanum vulgare*) – Origanum – Обыкновенная Душица

თავშავა (*Origanum vulgare*) მრავალწლოვანი თაფლოვანი, არომატული, სალებარი, ბალაზოვანი მცენარეა ტუჩოსანთა *Labiatae* ოჯახიდან სპეციფიკური, მოტკებო – მომჟავო გემოთი, 45-50 სმ სიმაღლით, უმეტესად ძირიდან დატოტვილი, შეფოთლილი, ზედა ნაწილში ყვავილედით ბოლოვდება. ფესვურა ირიბია. კვერცხისებური, კიდემთლიანი, ბლაგვწვერიანი ფოთლები მოკლე ყუნწებზეა დამაგრებული, ღეროს კენწეროსკენ ფოთლები პატარავდება. მენამული ფერის თანაყვავილედები

მეტნილად მჯდომარეა. ყვავილობს და ნაყოფი მწიფდება ივ-ლის-სექტემბერში. მცენარის სამშობლოა ხმელთაშუაზღვის არეალი, გვხვდება კავკასიაში, ყაზახეთში, შუა აზიაში, ევროპა-ში, შორეულ აღმოსავლეთში; საქართველოში იგი გავრცელებულია თითქმის ყველგან, განსაკუთრებით მთის წინებზე, ტყისა და სუბალპურ სარტყელში, ბუჩქნარებში, მდელოებზე.

თავშავას თესვის ვადები შეზღუდული არ არის. იგი შეიძლება დაითესოს ზაფხულში, უშუალოდ თესლის აღებისთანავე, როცა მას აღმოცენების მაქსიმალური ენერგია გააჩინია, ითესება ადრე შემოდგომით ან გაზაფხულზე. აქვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ აღმონაცენი წაყინვებმა არ დააზიანოს, არ დაიტბოროს, ან არ მოხდეს ნათესის გადარეცხვა. თავშავა ჩითილებითაც მრავლდება. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თესვისა და გადარგვის ვადებს მაქსიმალური პროდუქტულობის და ხარისხობრივი პარამეტრების მისაღებად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისთვის ეთერზეთების წარმოქმნის პროცესის ოპტიმიზაცია. ჩვენი ექსპერიმენტებით დადგინდა, თესვის საუკეთესო ვადაა სექტემბრის დასაწყისი, რომ თავიდან იქნეს აცილებული აღმონაცენზე გაზაფხულის მოსალოდნელი გვალვების უარყოფითი გავლენა. ამასთანავე შემოდგომით დათესილი ან გადარგული მცენარეები ითვისებენ სითბოს, ტენს, ინვითარებენ მძლავრ ასიმილაციურ პაპარატს, შესაბამისად ვითარდება ფესვების სისტემა. ისინი მომძლავრებულნი გადადიან მოსვენებით მდგომარეობაში, ვეგეტაციას იწყებენ ადრე გაზაფხულზე, მაქსიმალური პროდუქტულობით გამოირჩევიან და წარმოქმნიან ძვირფას თესლს, 1000 თესლის მასა დაახლოებით 0,10-0,12 გ-ია. ვეგეტაციის მეორე წელს მწვანე მასის პროდუქტულობა 15 ტ/ჰა-მდე დავაფიქსირეთ, ლიტერატურული მონაცემებით კი ეს დაახლოებით 8-10 კგ ძვირფასი ეთერზეთია. თავშავა თაფლოვანი მცენარეცაა, 1 ჰა-დან 100 კგ თაფლის მიღება შეიძლება. იგი ნატურალურ სალებარ პიგმენტებსაც შეი-

ცავს და წარმატებით გამოიყენება ამ მიმართულებით (კაჭარავა თ. 2016, 2019).

კულტივირებული პლანტაციის გაშენებისას აუცილებლად გამოკვლეულ უნდა იქნეს ეკოსისტემის პარამეტრები (ნიადაგის ნაყოფიერება, გარემოს დაბინძურების ხარისხი და სხვ.), რადგანაც ისინი განმსაზღვრელი ლიმიტირებადი ფაქტორებია პროდუქტულობის და ხარისხობრივი ტესტების ჩამოყალიბებისას. თავშავა ხასიათდება ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდით, იტანს დაბალ ტემპერატურას, ზომიერად ტენისმოყვარული მცენარეა, თუმცა მოზრდილი მცენარეები ეგუებიან გვალვასაც, მომთხოვნია ნიადაგის ნაყოფიერებისადმი, კულტივირებისას უდიდეს როლს თამაშობს ნიადაგის მომზადება, რომ ოპტიმალური რეჟიმით მოხდეს საკვები ელემენტების, ტენის და სხვა პარამეტრების დიფერენცირება-გამოყენება ეკოლოგიურად სუფთა მაქსიმალური პროდუქტულობისათვის. თესლი გაღივებას იწყებს 5-8⁰C.

თავშავას მიწისზედა ნაწილი შეიცავს ეთეროვან ზეთს 0,1-1,4%, მასში დომინირებს კარვაკროლი და თიმოლი, მირცენი, ბიოლოგიურად აქტიური ჯგუფიდან იგი შეიცავს ნახშირწყლებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს, ტრიტერპენოიდებს, სტეროიდებს, ვიტამინებს – C, PP, K, B₁, B₆, B₉, მთრიმლავ ნივთიერებებს, მიკრო- და მაკროელემენტებს – კალიუმი, კალციუმი, ფოსფორი, თუთია, სელენი, რკინა, მანგანუმი, სპილენდი, ნატრიუმი, მაგნიუმი. თავშავას თესლში 10-30%-მდეა ცხიმოვანი ზეთი, ალიფატური სპირტები.

თავშავა ევროპული სამზარეულოს ერთ-ერთი პრიორიტეტული სანელებელია, პოპულარულია ამერიკის კონტინენტზე, აზისა და კავკასიურ სამზარეულოებში პიკანტური სურნელის, გემოვნური და სამკურნალო თვისებების გამო.

თავშავა უნიკალური სამკურნალო მცენარეა. გამოიყენება, როგორც ნაწლავების პერისტალტიკის გამაძლიერებალი, ამოსახველებელი, მეტეორიზმის, ინფექციური დაავადებების და გაციების საწინააღმდეგო საშუალება, მის პრეპარატებს გა-

აჩნიათ ანტიმიკრობული, ანთეპის საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, ოფ-ლმდენი, წევის დამნევი და კრუნჩევების საწინააღმდეგო ეფექტი. იგი წარმატებით გამოიყენება იმუნიტეტის გასაძლიერებლად, ჭარბი წონის კორექციისთვის და ზოგადად, ორგანიზმის გასაწმენდად, ჰიპერტონიული დაავადებებისა და ათეროსკლეროზის პრევენციისათვის.

სისხლძარღვების სპაზმის ან თავის ტკივილის დროს, ოთხ სუფრის კოვზ თავშავას დაასხით ერთი ლიტრი ადულებული წყალი. გააჩერეთ ერთი საათი, შემდეგ გადაწურეთ და ამ ნაყენით დაიბანეთ თავი და სახე. თავი თბილად შეიხვიეთ და ჩაწექით საწოლში.

ნევროზის ან უძილობის დროს ერთ სუფრის კოვზ ნედლეულს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა ადულებული წყალი. გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათი, გადაწურეთ და დალიეთ სამი სუფრის კოვზი ნაყენი, დღეში სამჯერ, ჭამამდე. კურსი ჩაიტარეთ ერთი თვის განმავლობაში და შემდეგ შედეგს დააკვირდით.

გაციების, გრიპისა და ხველების დროს, ორ ჩაის კოვზ თავშავას დაასხით ნახევარი ლიტრი ადულებული წყალი, გააჩერეთ ერთი საათი. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ ნახევარი ჭიქა თბილი ნაყენი დღეში სამჯერ, ჭამამდე ოცი წუთით ადრე გამოჯანმრთელებამდე.

თავშავა გამოიყენება ვეტერინარიაში, როგორც ამოსახველებელი საშუალება.

მურყანი (თხმელა) (*Alnus Incana*) – Alder – Ольха

მურყანი (თხმელა) (*Alnus Incana*) არყისებრთა (*Betulaceae*) ოჯახის 20 მ-მდე სიმაღლის ერთსახლიანი ხე მცენარეა, იშვიათად ბუჩქები. 50-სმ-მდე დიამეტრის ღეროებით, კვერცხისებრი ან განიველიფსური ყუნწიანი ფოთლებით. ერთსქესიანი, წვრილ-წვრილი ყვავილები შეკრებილია საყურეებად. ერთბუტ-

კოიანი მდედრობითი ყვავილები თანაყვავილედის გარეშეა, ორ-ორად მოთავსებულია თანაყვავილედის კილის უბებში, რომლებიც შემოდგომით მერქნად იქცევა, წარმოქმნის მოკლე ოვალურ მუქ-მორუხო გირჩებს. მამრობითი ყვავილები ოთხევრიანი თანაყვავილედით და ოთხი მტვრიანით მოთავსებულია სამ-სამად გრძელი საყურების კილების უბებში. ნაყოფი ბრტყელი, ერთოთსლიანი კაკლუჭებია. ყვავის მარტ-აპრილში, ნაყოფი მწიფებება ოქტომბერში, გირჩები იხსნება თებერვალ-მარტში.

თხმელა ტენის მოყვარული მცენარეა, საქართველოში გავრცელებულია 2 სახეობა:

- შავი მურყანის ანუ თხმელას (*Alnus Barbata*) სიმაღლეა 30-38 მ. მუქი რუხი დამამრული ქერქით, სუსტად შებუსვილი ან შიშველი ფოთლებით. გავრცელებულია ყველგან, გარდა ჯავახეთისა. იზრდება დაბლობებში, მთაში ზღვის დონიდან 1800 მ-დე აღწევს, ტერასების გაყოლებით შერეულფოთლოვან ტყეებში გვხვდება. ჭაობიან, ალუვიურ, ენერ ნიადაგზე ქმნის ტყეს – მურყნარს, სინათლის, ტენისა და ნაწილობრივ სითბოს მოყვარულია. იზრდება სწრაფად. რბილი, ლია მოწითალო, მყიფე მერქანი აქვს. გამოიყენება სადურგლო და სახარატო საქმეში.

- ნაცარა მურყნის (*Alnus Incana*) სიმაღლეა 15-18 მ. ხასიათდება გლუვი ქერქით, ფოთლები ქვედა მხრიდან რუხია, ხავერდისებრი. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. იზრდება წიფლნარში, შერეულფოთლოვან ტყეში. ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარულია. ცოცხლობს 50-60 წელს (იშვიათად 100 წლამდე). მის მუქ – მურა ან მუქ – ყავისფერი შეფერილობის ნაყოფებს ანუ გირჩებს ამზადებენ გვიან შემოდგომით ან ზამთარში, ისინი სუსტი, სპეციფიკური სუნით და ძელგი გემოთი გამოირჩევიან.

მურყნის ორივე სახეობა მდიდარია პოლიფენოლური შენაერთებით, მათში დომინირებს ელაგოტანინები და გალოტანინები, იგივე მუავები მოიპოვება თავისუფალი სახითაც. მთრიმ-

ლავი ნივთიერებების რაოდენობა შავი მურყანის ქერქში 30%-მდეა, ფოთლებში -14%, ნაყოფებში -23-39%, სახელმწიფო ფარმაკოპეის მოთხოვნით კი უნდა იყოს არანაკლებ 10%-ისა.

გირჩების ნაყენს ან გამონაცემს კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დროს და ნაწილობრივ სისხლის შემაჩერებელ სამუალებად ხმარობენ, ეფექტურია საფენებისათვის და პირში გამოსავლებად. გაზაფხულზე შაქართან შერეულ მურყანის მტვერს ფუტკრის საკებად იყენებენ.

დაქუცმაცებული მურყანის ნახარშს იყენებენ ბუგრების წინააღმდეგ.

კამა დიდი (*Foeniculum Vulgare*) – Fennel – Фенхель Обыкновенный

სამკურნალო კამა (*Foeniculum Vulgare*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ქოლგისებრთა (*Umbelliferae*) ოჯახიდან, სიმაღლით 90-200 სმ, ფესვთა სისტემა თითისტარისებური ფორმისაა, დიამეტრით 1 სმ-მდე, ნაკლებად დატოტვილი, მოყვითალო-მოთეთრო, ღერო სწორმდგომი, მრგვალი, ზემოთ ძლიერ დატოტვილი, ფოთლები დაკბილული, განლაგებულია მორიგეობით, ქვედა იარუსზე გააჩნიათ ყუნწი, ხოლო ზევით მჯდომარე, ყვავილები წვრილია, შეგროვილია ქოლგებად ყვავილედებში, ნაყოფი ორლებლიანია, მოგრძო ფორმის, შიშველი, მოყავისფრო 6-10 მმ-მდე სიგრძის, სიგანე 1,5-3,0 მმ-მდე, სისქე 1,1-1,5 მმ. 1000 თესლის მასა 5-6 გ-ია.

სამკურნალო კამის სამშობლოა ხმელთაშუაზღვის არეალი, შემდეგ მან გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. დიდი რაოდენობით სამკურნალო კამას აწარმოებენ საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, იაპონიაში, კავკასიაში. სამკურნალო კამას უყვარს სითბო და სინათლე, ამიტომაც კარგად იზამთრებს სამხრეთ რეგიონებში. სავეგეტაციო პერიოდის სანგრძლივობა 130-170 დღეა. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი

უნდა იყოს 2500°C , თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 2-3 წელი. ჩვენი ექსპერიმენტების შედეგებიდან გამომდინარე, ინტენსიური აღმოცენება და ზრდა-განვითარება მიმდინარეობს $25-30^{\circ}\text{C}$. ვეგეტაციის პირველ წელს სითბოსა და სინათლის დეფიციტი იწვევს ზრდის შეჩერებას, მცენარეზე არ ფორმირდება ნაყოფი. დიდი კამა ნაკლებ პრეტენზიულია ნიადაგის ტიპებისა და ნაყოფიერებისადმი, თუმცა უნდა აღინიშნოს, ნიადაგის მჟავიანობა ახდენს გავლენას პროდუქტულობაზე. მოსწონს ნეიტ-რალური ან სუსტი ტუტე ნიადაგები. მცენარე ყვავილობს ვეგეტაციის პირველსავე წელს და ეს პროცესი გრძელდება ივნისი-დან აგვისტოს ჩათვლით. ნაყოფები მწიფდება აგვისტოს მეორე ნახევრიდან სექტემბრის პირველ ნახევრამდე. მომწიფებული თესლი ადვილად იბნევა. ინტენსიურ აღმოცენებას იწყებს მე-12- 15-ე დღეს.

სამკურნალო კამა მრავლდება თესლით, მისთვის საუკეთესო წინამორბედია მარცვლოვანები. კვების ოპტიმალური არე 70×35 , როცა ბუდნაში 1 მცენარეა, პროდუქტულობა აღწევს $1,12\text{ტ/ჰა-ზე}$. თესვის ნორმა 10 კგ/ჰა-ზე, ჩათესვის სილრმე $1,5-2,0$ სმ. აზოტის დიფერენცირებული ნორმით შეტანა იწვევს მოსავლიანობის და ეთერზეთის გამოსავლიანობის ზრდას. 60% აზოტოვანი სასუქის შეტანა რეკომენდირებულია თესვისას, 40% კი ყვავილობისას. კულტივირებული სამკურნალო კამაში ექსტრაქტულ ნივთიერებათა შემცველობა $37,63\%$, ხოლო ველურად გავრცელებულ ფორმაში $23,92\%$ (კაჭარავა, 2006).

კამის ნაყოფებს ამზადებენ, როცა ცენტრალურ ქოლგებზე ნაყოფი ღებულობს მომწვანო-მუქ ფერს, ხოლო ქოლგები ნაცრისფერს. ნაყოფი ორთესლურაა, შრობისას თესლურები ერთმანეთს ცილდება, თესლურა მოგრძოა, თითქმის ცილინდრული ფორმის. ნაყოფის ფერი მომწვანო-მურაა, სუნი სუსტი, არომატული, გემო მოტკბო – ძვირფასი სანელებელია.

სამედიცინო ნედლეულს ნარმოადგენს ნაყოფები და მისი ეთერზეთი – 3-6% -მდე შემცველობით, რომლის მთავარი კომ-

პონენტია ანეტოლი 60%, ფენხონი 12%-მდე. სახელმწიფო ფარმაკოპეის მოთხოვნით ეთეროვანი ზეთი ნაყოფებში უნდა იყოს არანაკლებ 3%-ისა. კამის ეთერზეთები არეგულირებენ საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფას და ნაწლავებიდან აირთა გამოდევნას. კამა ვიტამინების წყაროა (C, B₁, B₂, PP, P), შეიცავს მაკრო- და მიკროელემენტებს, მდიდარია უჯრედი-სით, ფლავონოიდებით, კაროტინოიდებით, ცხიმოვანი ზეთებით, ამიტომაც იგი შესანიშნავად წმენდს საჭმლის მომნელებელ ტრაქტს.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ჰიპოკრატე და ავიცე-ნა აღნიშნავდნენ დიდი კამის სამკურნალო და კულინარიულ თვისებებს. კამის ნაყოფი იმდენად სასარგებლოა, რომ მას ღეჭავენ შიმშილის გრძნობის მოსაკლავად. კამის თესლი აუმჯობესებს მადას, ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას, ორგანიზმებიდან გამოდევნის გაზებს, არის ამოსახველებელი საშუალება. კამის ქორფა ღეროსა და ყლორტების გამონანურს ხმარობენ როგორც სამარდე ბუშტის ანთების საწინააღმდეგო საშუალებას. მისი თესლის ფხვნილი და ნაყენი ენიშნებათ ავად-მყოფებს მაღალი წნევის, ღვიძლის დაავადებების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მოშლილობის, სუნთქვის გაძნელების, ასევე მეძუძურ დედებში ლაქტაციის გასაძლიერებლად. კამის წყალს პატარებს კოლიკის მოსახსნელად ასმევენ. კამას წარმატებით იყენებენ მარილთა ჩალაგების პროფილაქტიკისთვის, დიაბეტისა და სიმსუქნის სამკურნალოდ.

ფიტოკულინარიაში გამოიყენება, როგორც ძვირფასი სანელებელი. შედის ბალახოვანი ჩაების შემადგენლობაში, კამის თესლი და ფოთლები გამოირჩევა მოტკბო, სასიამოვნო სურნელით, ამიტომაც ხშირად გამოიყენებენ როგორც არომატიზირებელ საშუალებებს ჩაისთვის. კამას თესავენ ბოსტნეულის რიგ-თაშორისებრში, კამის სუნი აფრთხობს მავნებლებს.

ვეტერინარიაში დიდი კამა გამოიყენება ამოსახველებად.

კატაბალახა (*Valeriana officinalis*) – *Valeriana* – Валериана

კატაბალახა (*Valeriana officinalis*) ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული და შეუცვლელი მრავალწლოვანი 2 მეტრამდე ბალახოვანი მცენარეა კატაბალახასებრთა (*Valerianaca*) ოჯახიდან. მისი ინტენსიური ექსპლუატაცია კი ბუნებრივი რესურსების განადგურებას იწვევს და ამ უნიკალური მცენარის კულტივირების აუცილებლობა იქმნება. კატაბალახას სამრეწველო პლანტაციების შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყნის ფიტოგენოფონდის შენარჩუნებას. იგი წარმოადგენს მეტად ძვირფას და შეუცვლელ ნედლეულს არამარტო სამამულო ფარმაცევტული მრეწველობისათვის, არამედ მას საექსპორტო პოტენციალის სერიოზული პერსპექტივაც გააჩნია. კატაბალახას აგრობიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე უნდა განვითარდეს ქვეყნისათვის ისტორიულად ტრადიციული, ამჟამად მივიწყებული პრიორიტეტი – ეკოლოგიურად სუფთა, სტანდარტული ნედლეულის მოყვანა – გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის გათვალისწინებით, რადგან სამკურნალო, სანელებელ და არმატულ მცენარეთა სასაქონლო ფასს მათი შემცველობა განსაზღვრავს.

სამკურნალო კატაბალახას ფესვები და ფესურები შეიცავენ 0,2–3,5% ეთერზეთებს, რომელთა შემადგენლობაში შედის პინენი, კამფენი, ბორნეოლი და მათი რთული ეთერები ფინჭველ და ვალერიანის მჟავასთან, ტერპენოლს, სესკვიტერპენებს და მათ სპირტებს, იზოვალერიანის მჟავას 0,5-1,4%; სახამებელს, შაქრებს, ფისებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, ორ ალკალოიდს (ვალერიანსა და ხატენინს) 0,01%-რაოდენობით, გლიკოზიდებს და სხვა მრავალ ნივთიერებას, რომლებიც განაპირობებენ მის ფასდაუდებელ სამკურნალო თვისებებს და აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის.

კატაბალახას სამრეწველო პლანტაციების გაშენების წესი

კატაბალახას თესვის ვადები შეზღუდული არ არის, შეიძლება დაითესოს ზაფხულში, უშუალოდ თესლის აღებისთანავე, როცა მას აღმოცენების მაქსიმალური ენერგია გააჩნია. წარმატებით ითესება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, მხოლოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ აღმონაცენი წაყინვებმა არ დააზიანოს, არ დაიტბოროს, ან არ მოხდეს ნათესის გადარეცხვა. იგი წვრილთესლოვანი კულტურაა, 1,0-1,5 სმ სიღრმეზე ითესება – 10-12 კგ/ჰა პირველი კლასის თესლი, რიგთაშორისებით 45-70 სმ, ზამთარში თესლის ნორმა იზრდება 20-25%-ით. შეიძლება ჩატარდეს სტრატიფიკაცია, რის შემდეგაც თესლის აღმოცენება ჩქარდება. ყველაზე ოპტიმალურ კვების არედ შეიძლება ჩაითვალოს 45X25 და 70X25, თითო მცენარე ბუდნაში. კატაბალახა სწრაფად მრავლდება ვეგეტაციური გზითაც, ერთი მცენარიდან ვეგეტაციის დამთავრებისას შეიძლება მივიღოთ 4-5 და ხშირად მეტი მცენარე, ამიტომ რამდენიმე მცენარე ერთ ბუდნაში არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. საქართველოში კატაბალახას თესვის საუკეთესო ვადაა სექტემბრის პირველი ნახევარი, ჩითილების გადარგვისა ოქტომბრის მეორე ნახევარი, რათა თავიდან იქნას აცილებული გაზაფხულის მოსალოდნელი გვალვების უარყოფითი გავლენა. შემოდგომით დათესილი ან გადარგული მცენარეები მაქსიმალურად ითვისებენ სითბოს, ტენს, მაქსიმალურად აღმოცენდებიან და საკმაოდ მომძლავრებულნი გადადიან მოსვენებით მდგომარეობაში. ისინი ვეგეტაციას იწყებენ ადრე გაზაფხულზე და წარმოქმნიან ძვირადლირებულ თესლს (კაჭარავა 2009, 2018).

კატაბალახასათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თესვისა და გადარგვის ვადებს მაქსიმალური პროდუქტულობის მისაღებად. სამკურნალო კატაბალახა გენერატიული ლეროებით, ანუ მცენარეები, საიდანაც მიიღება თესლის მოსავალი, თავიანთი პროდუქტულობით ჩამორჩებიან არათესლისმნარმოებელ მცენარეებს – დაახლოებით 31%-მდე, შემოდგომით გადარგული ან დათესილი მცენარეები ინვითარებენ მძლავრ საასიმილაციო აპა-

რატს, შესაბამისად პირდაპირპროპორციულად ვითარდება ფეს-ვებისა და ფესურების სისტემა, რაც მაღალი პროდუქტულობის საწინდარია, ამავე დროს ამ მცენარეებიდან თესლიც მიიღება.

კატაბალახა ხასიათდება ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდით, კარგად იტანს დაბალ ტემპერატურას (-20°C-მდე), ტენისმოყვარული მცენარეა, თუმცა მოზრდილი მცენარეები ეგუებიან გვალვასაც, მომთხოვნია ნიადაგის ნაყოფიერებისადმი, უპირატესობას ანიჭებს ნეიტრალურ ან სუსტი ტუტე არეს რეაქციის მქონე ნიადაგებს. კულტივირებისას უდიდეს როლს თამაშობს ნიადაგის მომზადება, რათა ოპტიმალური რეზიმით მოხდეს საკვები ელემენტების, ტენის და სხვა პარამეტრების დიფერენცირება-გამოყენება ეკოლოგიურად სუფთა მაქსიმალური პროდუქტულობისათვის, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი წვრილთესლოვანი კულტურაა. ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მისაღებად ოპტიმალური კვების სქემა გახდავთ: 20-40 ტ/ჰა ორგანული სასუქი, 30 კგ/ჸა – P₂O₅; 45 კგ/ჸა – KCl; 60-90 კგ/ჸა – აზოტოვანი სასუქი, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს დიფერენცირებული სახით: 60% თესვისას, 40% ინტენსიური ვეგეტაციის დაწყების წინ.

კატაბალახა მრავლდება თესლით და ჩითილებით, ჩითილებით გამრავლების ტექნოლოგია ძირითადად გამოიყენება ლია გრუნტში თესვისათვის არახელსაყრელი პირობების დროს: არასასურველი კლიმატური პირობები, თესლის დეფიციტი, დაბალნაყოფიერი ნიადაგები. ვეგეტატიური გამრავლების მეთოდი გამოიყენება სასელექციო მეთესლეობის პრიორიტეტების განვითარებისას უნიკალური ჯიშებისა და ფორმების შენარჩუნება – გამრავლებისას.

ჩითილებისათვის სასურველია შეირჩეს სარწყავი ნაკვეთი, ურწყავი ნაკვეთი ირწყვება 2-ჯერ, დარგვის წინ და დარგვის შემდეგ. დარგვისა და მორწყვის შემდეგ ჩითილს გარშემო უნდა შემოეყაროს მშრალი, ფხვიერი მიწა. სარწყავ ნაკვეთებზე კი ფართობი უნდა დაიკვალოს 70 სმ-ის დაშორებით. დარგვის წინ კვლებში უნდა გაიშვას წყალი და თან დარგვაც ჩატარდეს

აღნიშნული მანძილის დაცვით. დარგვისას ჩითილი მიწაში უნდა დაირგოს ისე, რომ ფესვები არ მოეკეცოს, მოგეხსენებათ, ამ მცენარისთვის დამახასიათებელია ფესვებისა და ფესურების მძლავრი სისტემის განვითარება, მისი სიგრძე აღემატება მინისზედა ნაწილს აღმოცენების პირველი დღეებიდანვე. ნამდვილი ფოთლების პირველი წყვილი ნიადაგის ზედაპირის დონეზე უნდა იყოს, მიწა კი კარგად მიიტკეპნოს, შემდეგ პლანტაცია აუცილებლად უნდა მოირწყას, დარგვიდან 4-5 დღის შემდეგ კი შემონმდეს და მოხდეს გაცდენილი ადგილების გამორგვა. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში პლანტაციაში ნიადაგი უნდა ვიქინიოთ ფხვიერ და სარეველებისაგან სუფთა მდგომარეობაში. ყურადღება უნდა მიექცეს პლანტაციის მოვლას ზაფხულის პირველ ნახევარში, როცა კატაბალახა ნელა იზრდება, სარეველები კი სწრაფი ტემპით ვითარდებიან, გადაეზრდებიან ნორჩ ჩითილებს, ართმევენ ნიადაგიდან საკვებ ნივთიერებას, წყალს და ახშობენ მათ. კატაბალახას პლანტაციების დამუშავება (კულტივაცია, გათოხნა) ხდება პლანტაციის დასარევლიანების მიხედვით ვეგეტაციის დასაწყისში, შემდეგ კი რიგთაშორისებში განლაგდება ფესვებისა და ფესურების სისტემა დაახლოებით 20-25 სმ-ის რადიუსით ორივე მხარეს, ამიტომ მათი დამუშავება მიზანშეწონილი არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ, რომ ყველაზე ეფექტური გამოდგა შემოდგომით (სექტემბრის დასაწყისი) ნათესი პლანტაცია, რომელმაც მაქსიმალურად ისარგებლა ნიადაგის ტემპერატურით, მოგეხსენებათ შემოდგომაზე მეტია ნიადაგის ტემპერატურა, ნალექები, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, ამიტომაც მცენარე ინტენსიურად აღმოცენდა და განვითარდა, ნოემბრის შუა რიცხვებიდან გადავიდა მოსვენებით მდგომარეობაში, ადრე გაზაფხულზე კი დაიწყო ინტენსიური ვეგეტაცია. ჩვენ მრავალნლიან ექსპერიმენტებზე დაყრდნობით, რაც მყარდება ლიტერატურული მონაცემებითაც, ვიძლევით რეკომენდაციას – სამკურნალო კატაბალახას სამრეწველო პლანტაციის თესვის ოპტიმალური ვადაა სექტემბრის დასაწყისი (კაჭარავა თ. 2016).

სამკურნალო კატაბალახას კულტივირებული პლანტაციების გაშენებისას ფერმერულ მეურნეობებში უნდა გავითვალისწინოთ სისტემის: გარემო-ნიადაგი-მცენარე-სასუქი-მოსავალი კრიტერიუმები, შევარჩიოთ გამრავლების ოპტიმალური მეთოდი და ვადა სასურველი რეგიონისათვის, პროცესების სწორად წარმართვისას წარმოება მიიღებს მაღალი პროდუქტულობისა და ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სტანდარტული შემცველობის მქონე ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულსა და პროდუქციას.

თესლის განკის შექმნა

სამკურნალო მცენარეთა წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახლავთ მაღალმოსავლოანი, გარემო პირობებთან ადაპტირებული კონდიცირებული თესლის ბანკის შექმნა. იგი საქართველოში ახლა ყალიბდება და საკმაოდ რთული და ძვირადლირებული პროცესია, რადგან მუდმივ განახლება-გაუმჯობესებას მოითხოვს. სამკურნალო მცენარეთა თესლის ბაზარი მკაცრად ლიმიტირებულ, ძვირ, თუმცა სტაბილურ შემოსავლიანად ითვლება უცხოეთში. ამიტომაც ხელი უნდა შეეწყოს ჩვენში მის განვითარებას. თესლი მცენარის ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების მქონე ორგანიზმია, ამიტომაც მათზე არის დამოკიდებული პროდუქტულობა, ხარისხი და რასაკვირველია, სამკურნალო მცენარეთა ნედლეულის სასაქონლო ფასი.

ფარმაციის განვითარებასთან ერთად აუცილებელია ბუნებაში გავრცელებული კატაბალახას სულ უფრო კლებადი რეზერვების ჩანაცვლება კულტივირებული მცენარეებით. ბაზრის კონიუნქტურული ანალიზისა და მოქნილი მარკეტინგის გათვალისწინებით სამკურნალო კატაბალახას თესლის კვალიფიციური წარმოება შემუშავებული რეკომენდაციებით უზრუნველყოფს გარანტირებულ შემოსავალს, რაც ხელს შეუწყობს მცირებიზნესის განვითარებას. შეიქმნება ძვირადლირებული სტან-

დარტული თესლის ბანკი, 1 ჰა-ზე მოსალოდნელია 40-50 კგ და მეტი თესლის მიღება, 1 კგ-ის ფასი შესაბამისად 60 აშშ დოლარზე მეტია, რაც იძლევა ამ პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის სერიოზული ზრდის პერსპექტივას.

კატაბალახას სათესლე ნაკვეთისათვის უნდა გამოიყოს ქარებისაგან ბუნებრივად დაცული ნაკვეთები, ან უნდა მოენყოს ერთნლოვანი მაღალმზარდი კულტურების (სიმინდი. სორგო და სხვ.) ხელოვნური მინდორსაცავი ზოლები, რომლებიც უნდა განლაგდეს ძლიერი ქარების მიმართულების გარდიგარდმო, რათა არ მოხდეს თესლის ჩაბნევა და თავიდან ავიცილოთ დანაკარგები. კატაბალახას თესლი მსუბუქი, კვერცხისებრ წაგრძელებული თეთრი ფორმისაა, რომელსაც თავზე ადგას თეთრი ფერის 7-15 ბუმბულისაგან შემდგარი ქოჩორი, იგი ხელს უწყობს მას გადაადგილებაში და მცირე ნიავიც კი საკმარისია საკმაოდ დიდი დანაკარგებისათვის. კატაბალახას სათესლე ნაკვეთის მოწყობისას აუცილებლია დაფგინდეს ველური პოპულაციების გავრცელების არეალი, დაცულ უნდა იქნეს სივრცითი იზოლაციის ნორმები, რათა ჯიშური ხარისხის ერთ-ერთი მთავარი ტესტი, წმინდა ჯიშიანობა, შევინარჩუნოთ, კატაბალახა ჯვარედინდამტვერავი მცენარეა, მხოლოდ 2%-მდე იმტვერება თვითდამტვერვით. თესლბრუნვის მინდორში უნდა დავიცვათ კულტურათა მორიგეობა, კატაბალახასათვის საუკეთესო წინამორბედია შავი ანეული, მარცვლეული და სასილოსე კულტურები, სქემა გამართლებულია თესვის ან რგვის ვადების განსაზღვრისთვისაც. სამკურნალო კატაბალახა ხასიათდება მაღალი პლასტიკურობით და ძალიან მგრძნობიარეა მოვლის პირობებისადმი. სათესლების მოვლა-მოყვანის დროს აუცილებელია გამოვიყენოთ ისეთი აგროტექნიკა, რომელიც მოცემულ პირობებში უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქტულობას – ღრმა მზრალად ხვნა, კვების ოპტიმალური ბლოკი და ა.შ.

ორგანული სასუქის ნიადაგში შეტანით 20-40 ტ/ჰა ფესვებისა და ფესვურების მოსავლიანობა გაიზარდა 62%-ით, ხოლო თესლის მოსავალი 76%-მდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუმ-

ჯობესდა აღმოცენების ხარისხი. სათესლე პლანტაციაში უნდა ჩატარდეს ჯიშობრივი მარგვლა. ვეგეტაციის მეორე წელს სამკურნალო კატაბალახა ინვითარებს ცენტრალურ გენერაციულ ღეროს ყვავილებით, ხოლო შემდეგ გვერდით ტოტებს და დანარჩენ ყვავილედებს, ამიტომაც ყვავილობა და თესლის მომწიფება ღეროების განვითარების მიხედვით იწყება სხვადასხვა დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთდროულად ერთ მცენარეზე გვხვდება ყვავილები, ნახევრად მომწიფებული და უკვე მომწიფებული თესლი. თესლი პირველ რიგში მწიფდება ცენტრალური ღეროების ყვავილედებში, ხოლო შემდეგ პირველი და მეორე რიგის ღეროების ყვავილედებში. მომწიფებული თესლისათვის დამახასათებელია მუქი ყავისფერი შეფერილობა. მცენარეებს ეჭრება გენერაციული ღეროები თითქმის მომწიფებული თესლებით და ეკიდება საწყობებში, რომელიც უნდა ნიავდებოდეს. უნდა აღინიშნოს, რომ იზრდება თესლის მოსავალი 25% და ხარისხი, ანუ აღმოცენების მაჩვენებელი, რადგან ამ დროს არ ხდება მომწიფებულ ყვავილედთან მიახლოებისას თესლის გაბნევა, აღმოცენების ხარისხი კი 80-88% გახლავთ, რაც კატაბალახასათვის საკმაოდ კარგ ტესტად ითვლება. შეგროვილი ყვავილედები უნდა დაიყაროს ქარისაგან დაცულ ადგილზე, ფარდულში ბრეზენტზე 30-40 სმ სისქის ფენად. ყვავილედები ილენება ჯოხით ისე, რომ მასში თესლი არ დარჩეს. გალენილი მასა უნდა გატარდეს 1 მილიმეტრ ნახვრეტებიან ცხავში და შემდეგ განიავდეს რამდენჯერმე სუფთა თესლის მიღებამდე. განმენდილი თესლი უნდა ჩავყაროთ პატარა ტომრებში, შევინახოთ მშრალ, თაგვებისაგან დაცულ შენობაში. თესლის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12-14%-ს. თუ ზუსტად არ იქნა დაცული თესლის შენახვის წესები, შეიძლება თესლს ობი გაუჩინდეს.

საწარმოო პირობებში სამკურნალო კატაბალახას მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი პირობაა ინტენსიურ ტექნოლოგიასთან ერთად ძვირფასი ჯიშების თესვა, რაც დაკავშირებულია მეთესლეობის განვითარებასთან. პროცესი მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ჯიშის გამრავლება და სუფთა მდგომარეო-

ბაში შენარჩუნება, სტანდარტული და კონდიციური თესლის მიღება და დათესვა ფარმაციის განვითარების წინაპირობაა.

მოსავლის აღება და შენახვა

მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსავლის აღების ვადების სწორად განსაზღვრა. ოპტიმალურ პერიოდად შეიძლება ჩაითვალის ჩვენს პირობებში ოქტომბრის შუა რიცხვები, როცა მცენარე ამთავრებს ვეგეტაციურ პროცესებს, კვდება ასიმილაციური აპარატი და მიწისქვეშა ნაწილშიც მთავრდება მეტაბოლიტური პროცესები. ამ პერიოდში ფიქსირდება ხარისხობრივი ტესტების სტაბილური შემცველობა. გარეგნულდაც ფესვებისა და ფესვურების მძლავრ სისტემას ვღებულობთ. ნიადაგიდან ფესვებისა და ფესურების ამოღების შემდეგ ხდება მათი გარეცხვა, მხოლოდ ფრთხილად, რათა არ მოხდეს ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამორეცხვა. გარეცხილი და დახარისხებული მასალა შრება ან ბუნებრივ პირობებში, ან 40°C -ზე, რომ არ მოხდეს ეთერზეთებისა და სხვა ძვირფასი ნაერთების აქროლება. 1 ჰა-ზე მოსალოდნელია 800-1000 კგ ჰაერმშრალი მაღალხარისხოვანი ნედლებულის მიღება.

დროულად აღებული, სწორად დამუშავებული სამკურნალო კატაბალახას ფიტონედლებული ოპტიმალური მუდმივი ტემპერატურისა ($16\text{-}18^{\circ}\text{C}$) და გარემოს ფარდობითი ტენიანობის (65-75%) პირობებში 3 წლის განმავლობაში და ხშირად მეტიცინარჩუნებს სასაქონლო სახესა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

შენიშვნა – კავკასიაში, გავრცელებულია კოლხური კატაბალახა (*Valeriana Colchica Utk*) და ნიორკბილა კატაბალახა (*Valeriana alliariifolia Adams*).

კვლიავი (*Carum Carvi*) – Caraway – Тмин Обыкновенный

კვლიავი *Carum Carvi* – ბალახოვანი ორწლოვანი მცენარეა, 60-120 სმ სიმაღლით, იგი ქოლგისებრთა *Umbelliferae* ოჯახს ეკუთვნის, იგი ხასიათდება ყველაზე ძვირფასი ეთერზე-თოვანი შემადგენლობით. ნაყოფიერ და კარგად დამუშავებულ ნიადაგზე კვლიავი ვეგეტაციის პირველ წელს ინვითარებს ძლიერ, ხორცოვან და დატოტვილ ფესვს სიგრძით 25 სმ-მდე, ფესვის ზედა საასიმილაციო ნაწილს, რომელიც შედგება 9-16 ფოთლისაგან. ფესვის შეფერილობა ღია ყავისფერია გარედან, ხოლო შიგნით – მოთეთრო-მოყვითალო. კვლიავის ფოთოლი შიშველია, შედგება ორმაგი ან სამმაგი დაკბილული ფირფიტებისა და კალმისაგან. ფირფიტას საერთოდ აქვს ნაგრძელებული ფორმა. ფოთლების განლაგების მიხედვით, ღეროზე მდებარე ფოთლის ფირფიტებს აქვთ სხვადასხვანაირი სიხშირე, განსხვავდებიან კბილების სიდიდით და ფორმით. ქვედა ფოთლები გრძელკალმებიანია და აქვთ ფირფიტების პატარა კბილებიანი კიდე. მომდევნო ფოთლის ფირფიტები – უფრო დასერილია, სამი მკვეთრად გამოკვეთილი კბილებით. მათგან საშუალოს აქვს ოვალური ფორმა, გვერდულებს კი უფრო მახვილი. შემდგომ ფოთლების ფირფიტებს უმძაფრდებათ დასერილობა და ემატებათ კბილთა რიცხვი 9-13 ცალამდე. ფოთლების განლაგება არის რიგობრივი, კალმების სიგრძე ერთნაირი არ არის, ღეროს ქვედა ნახევარში კალმები გრძელია, ზემოთ კი მოკლე-ყველაზე მაღლა მოთავსებულ ფოთლებს კალმები არ აქვთ, ისინი ღეროზე ზიან. კვლიავის ყუნწი გლუვია, ცოტა კუთხური ან მრგვალი, გული კი ცარიელი, მუხლუხა შეღუნული. ნაყოფის ფერი დამწიფებამდე იცვლება ღია მწვანედან – მუქ ყავისფერამდე. ნაყოფის დამწიფების დროს ყუნწი ღებულობს ანტაციურ ფერს, შემდეგ მუქდება. ყუნწი იტოტება მთელ თავის სიგრძეზე, გვაძლევს ყლორტებს 1-ლი, მე-2, მე-3 რიგის, ხოლო მე-

4 და მე-5 რიგის კი იშვიათად. გვერდული ყლორტების რიცხვი აღნევს 50-მდე და აშირად მეტსაც. მთავარი და აგრეთვე გვერდული ყლორტები მთავრდებიან ყვავილების ბოჭკოებით, რომელთაც რთული ქოლგის ფორმა აქვთ, ქოლგის სხივები ისევე, როგორც პატარა ქოლგების სხივები, არაერთგვარი სიგრძისაა. რთულ ქოლგაში 3-12 (16-18) პატარა ქოლგაა, ხოლო თითოეულ ქოლგაში 14-დან 21 სხივია. თითოეულ სხივს აქვს ერთი ყვავილი. ყვავილი პატარაა, ხუთფურცლიანი. ზის გრძელ ყვავილტოტზე, შეკრებილია რთულ ქოლგად. ყვავილის ფურცელი თეთრი ან ვარდისფერია, გულისმაგვარი, შიგნით შეღუნული წახნაგით, მტკვრიანა ხუთია, განღაგებულია გვირგვინის ფურცლებს შორის. ნასკვი ორბუდიანია, ორი პატარა ბოძით.

ნაყოფი – მოგრძო ნამგლისებრ-მოღუნული ფორმისაა, სპეციფიკური, სანელებელი გემოთი, არომატული სუნით. დამნიფების დროს ნაყოფი ადვილად იფცქვნება და იყოფა ორ ნანილად, მომწიფების შემდეგ ვლებულობთ თესლს. (პრაქტიკაში ნაყოფებს უწოდებენ თესლებს). თესლის სიგრძეა 4-6 მმ, სიგანე 1-1,5 მმ, 1000 თესლის მასა 2,1-2,2 გ-ია. თესლს აპკში აქვს ექვსი ცხიმზეთოვანი სათავსები – არხები, თესლის ოთხივე წახნაგში მოთავსებულია ერთი არხი, ხოლო მეხუთეში, რომელიც მაგრდება თესლების აპკში, მოთავსებულია ცხიმის ორი სათავსი. ამ არხებში იმყოფება სწორედ უძვირფასესი ეთერზეთი

კვლიავის ნაყოფი შეიცავს ეთერზეთებს 3-6%, (რაც განპირობებს თესლის მძაფრ სუნს), კარვონი – 40-70%, 40-30% – დიჰიდროკარვონი და დიჰიდროკარვაკროლისაგან. აგრეთვე შეიცავს ცხიმვან ზეთს 14-21%-მდე, ცილას – 20-23%, ნახშირნეყლებს, ფლავონოიდებს – რუტინს, კვერცეტინს, კემპფეროლს, ფისებს, ცვილებს, სტეროლებს – 0,02%, კუმარინებს – 0,48%, სალებარ ნივთიერებებს, მიკროელემენტებს – რკინას, თუთიას, სტრონციუმს, მოლიბდენს, ნიკელს, მანგანუმს (კაჭარავა, 2011).

მწვანე მასიდან გამოყოფილია ფლავონოიდები. კვლიავის

თესლი გამოიყენება ნაყენების, ფხვნილების, ექსტრაქტების სახით.

კვლიავის ნაყოფი, როგორც ავღნიშნეთ, შეიცავს ცილებს, ცხიმოვან ზეთებს და სურნელოვან ეთერზეთებს, რომლის სპეციფიკური მწკლარტე არომატი აძლევს მას დამახასიათებელ სუნსა და გემოს. მოიხმარება კვლიავის ნაყოფები, ფოთლები და ახალგაზრდა ყლორტები. ამ უკანასკნელთ დიდი გამოყენება აქვთ სალათების დასამზადებლად, აგრეთვე როგორც გემოვნური დანამატებს, ხმარობენ სუფების, პაშტეტებისა და ყველის დამზადებისას.

კვლიავის ფოთლები, ყლორტები და ნაყოფები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სამკურნალო თუ პროფილაქტიკური ჩაების დასამზადებლად, განსაკუთრებით ეფექტურია მათი გამოყენება სხვა სამკურნალო, არომატულ, სანელებელ მცენარეებთან კომბინაციაში.

კვლიავის ნაყოფები აუმჯობესებენ საკვების გადამამუშავებელ რეფლექსურ ფუნქციებს, აძლიერებენ მათ ტონუსს, განსაკუთრებით პერისტალტიკის პროცესს, ითვლება ნაწლავში ლპობისა და დუღილის შემამცირებელ საშუალებად. ხშირად მას უნიშნავენ ბავშვებსაც, ვისაც კუჭის კრუნჩვები, საჭმლის მონელების მოშლილობა და მეტეორიზმი აწუხებს. კვლიავის ნაყოფის ნაყენი რეკომენდირებულია ატონური შეკრულობის დროს (როგორც სასაქმებელი) მეტეორიზმის, კუჭში და ნაწლავში კრუნჩვითი ტკივილების (როგორც დამაწყნარებელი) დროს. იგი გამოიყენება ქლოლეცისტიტის დროს, როგორც ნალველმდენი საშუალება; იგი აძლიერებს კუჭქვეშა ჯირკვლის წვენის გამოყოფას, ამიტომაც პანკრეატიტის დროსაც უნიშნავენ; კვლიავის ნაკრები შედის სხვადასხვა ბალაზეული ჩაის ნაკრებში: მადის ალმძვრელად, კუჭის შემკვრელად, სასაქმებლად, დამაწყნარებლად, სასუნთქი ორგანოების დაავადების დროს.

კვლიავის ნაყენი შეიძლება გამოიყენებულ იქნეს როგორც მადის ალმძვრელი საშუალება. ნაყოფის ნახარშს კი მეძუძური დედების რძის გამომყოფ გამაძლიერებელ საშუალებად მიიჩნევთ.

ვენ. მექუძურ ქალებს ურჩევენ გამოიყენონ კვლიავიანი გამომცხვარი პური.

კვლიავის ნაყოფი ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, როგორც ძვირფასი სანელებელი საკვების დასაგემოვნებლად, პურ-ფუნთუშეულის წარმოებაში, ლიქიორ-არყის არომატის გა-საუმჯობესებლად.

კვლიავის ნაყოფი და მისგან მიღებული ეთერზეთი გამოიყენება პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში.

კოთხუჯი (*Acorus Calamus*) – Sweet flag – აირ

კოთხუჯი ანუ ადხარი (*Acorus calamus*) ბალახოვანი, 50-60 სმ-ის სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა ნიუკასებრთა (Araceae) ოჯახიდან, დაუტოტავი, სამწახნაგოვანი, ცალმხარეს ღარიანი, უფოთლო ღეროს გააჩნია ცილინდრული, ხორცივანი, სქელი ყვავილედი – ტარო, რომელიც დაფარულია მომწვანო-ყვითელი ყვავილებით და 6-ფოთოლაკიანი ყვავილსაფარით. 12 სმ-მდე ხმლისებრი ფოთლები კონებადაა შეკრული სქელ, ჰორი-ზონტალურად გართხმულ წვრილფესვებიან ფესურებთან. ყვა-ვილობს ივნის-ივლისში. ნაყოფი მრავალთესლიანი, მშრალი, წი-თელი შეფერილობისა. გავრცელებულია ტბებისა და მდინარეე-ბის სანაპიროებზე, ძირითადად გვხვდება დასავლეთ საქართვე-ლოს ლაქაშიანებსა და ლელიანებში, ტენიან ნიადაგებზე.

სამკურნალო ნედლეულად ითვლება ფესვურები, ამზადე-ბენ გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ამოთხრისთანავე ფესუ-რებს შორდება ფესვები, სუფთავდება, აჭკნობენ, შემდეგ ჭრიან და აშრობენ ჩრდილში, ან საშრობ კარადაში $30-35^{\circ}$ ტემპერა-ტურაზე.

კოთხუჯი ეთერზეთოვან მცენარედ ითვლება, ეთერზეთი მიღება ფესურებიდან და ფოთლებიდან. კოთხუჯის ფესურა შეი-ცავს ეთერზეთებს 5-6%-მდე, სახელმწიფო ფარმაკოპეის მოთხოვნით კი მათი შემცველობა 1,5%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ასევე ფესურები შეიცავს სესქიტერპენულ ლაქტონებს, ფენო-ლურ ეთერებს აზარონს და აზარილალდეპიდს, ეგგენოლს, მეთი-ლევენოლს, ისინი განაპირობებენ კიდეც ნედლეულის სპეციფიკურ სუნს. კოთხუჯის ფესურების შედგენილობაში ვხვდებით მწარე გლიკოზიდ აკორინს, ტერპენოლებს, კეტონებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინ C-ს, სახამებელსა და ლორნოს.

კოთხუჯის ფესურები გამოიყენება, როგორც საჭმლის მონელების და მადის გასაუმჯობესებელი საშუალება, ასევე კუჭ-ნანლავის ტრაქტის ორგანოთა დაავადებების თერაპიისას, წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ფესურებისაგან მზადდება ნახარში, მწარე ნაყენი. ფესურებიდან მიღებული პრეპარატები გამოიყენება ამოსახველებელ საშუალებად.

კუნელი (*Crataegus Oxyacantha*) – Hawthorn – Боярышник

სახელმწიფო ფარმაკოპეაში შეტანილია გვარი კუნელის (*Crataegus*) 14 სახეობა, მათ შორის წითელი კუნელი (*Crataegus Kyrtostyla* Fing), შავი კუნელი (*Crataegus Pentagyna* W. et K.), ეკლიანი კუნელი (*Crataegus Oxyacantha* Sensu Pojark). კუნელი (*Crataegus*) — ეკლიანი ხეებისა და ბუჩქების გვარი, ვარდისებრთა (*Rosaceae*) ოჯახის წარმომადგენელია. კავკასიური კუნელი (*Crataegus Caucasica*) და კოლხური კუნელი (*Crataegus Colchica*) ენდემებია. ძველ საბერძნეთში კუნელი იყო სიყვარულის და კეთილდღეობის სიმბოლო.

კუნელის ნაყოფი არის სფეროსებრი, წითელი ან შავი, მუქი-წითელი რბილობით და 3-5-მდე კურკით, ყვავილები თეთრი, ხუთფურცლოვანია. ბუჩქი სიმაღლით 2-3 მ-მდეა. კუნელი საქართველოში ყველგან იზრდება, ბარიდან მოკიდებული მთის შუა სარტყლამდე, მშრალ და ღია ფერდობებზე, გამეჩერებულ ტყეებსა (ქვეტყე) და ნაკაფებზე, ზოგჯერ სუბალპურ სარტყელშიც აღწევს. გვხვდება უფრო ბუჩქნარების — კუნელიანე-

ბის სახით, რომლებიც მეტნილად ტყის მოჭრის შედეგად ჩნდებიან და ნიადაგდაცვითი დანიშნულება აქვთ. ნიადაგისადმი კუნელი საკმაოდ განურჩეველია, თუმცა უფრო ხარობს ღრმა, საშუალოდ ტენიან და დაწრეტილ ნიადაგებზე. ყვავილობს აპრილ-ივლისში. ნაყოფი მნიშვნელება სექტემბერ-ოქტომბერში. საკმაოდ ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარულია. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით, ზოგჯერ ფესვის ნაბარტყითაც. ცოცხლობს 200-300 წელს. დეკორატიულია. გამოიყენება ცოცხალ ღობედ, ფერდობების გასამწვანებლად, საძირებად. აქვს მკვრივი და მაგარი ღია ვარდისფერი ან მურა მოწითალო მერქანი, რომელსაც იყენებენ წვრილმანი ნივთების დასამზადებლად. ნუჟრებს — სადურგლოდ. ზოგი სახეობის ნაყოფი გამოიყენება საკვებად. გამხმარ ნაყოფს ფქვავენ და პურის ფქვილში ურევენ. ნორჩი ფოთლებისაგან აყენებენ ჩაისმაგვარ სასმელს. კუნელი თაფლოვანი მცენარეა.

სამკურნალო მიზნით იყენებენ კუნელის ყვავილსა და ნაყოფს. კუნელის ნაყოფს ამზადებენ სრული მომწიფების პერიოდში, ხშირად სექტემბერ-ოქტომბერში. კრეფენ მთელ ფარს და აშრობენ. ყვავილებს აგროვებენ ყვავილობის დაწყების დროს, როდესაც ყვავილების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გაშლილი. ყვავილს მოკლე ყუნწთან ერთად აშრობენ. ნედლეულის შენახვის ვადა ორი წელია. მათგან ამზადებენ ნაყენებს და სხვა პრეპარატებს. კუნელის ნაყოფები და ყვავილები ფლავონოიდების თვისობრივი შემცველობით თითქმის არ განსხვავდება. შეიცავს ჰიპეროზიდს, ვიტექსინს, კვერცეტინს, რუტინს. წითელ კუნელში ნაპოვნია 14 შენაერთი, შავში კი 10. გარდა ამისა კუნელი შეიცავს ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინებს C, K, P, ფლავონოიდებთან ერთად კი ამინომჟავების ნაკრებს და მიკროელემნტებს, განსაკუთრებით სპილენძს და მანგანუმს, რაც გულსისხლძარღვთა სამკურნალო კომპლექსური პრეპარატების შემუშავებას შესაძლებლად ხდის. სახელმწიფო ფარმაკოპეით კუნელის ყვავილებში ჰიპეროზიდის შემცვე-

ლობა უნდა იყოს არანაკლებ 0,5%-ისა, ნაყოფებში ფლავონონი-დები ჰიპეროზიდზე გადაანგარიშებით არანაკლებ 0,06%.

კუნელის ნაყოფებიდან და ყვავილებიდან მზადდება ექ-სტრაქტები, ნაყენი, გამონაცემი, რომლებიც გამოიყენებიან კარდიოტონულ საშუალებებად. ხალხურ და ტრადიციულ მე-დიცინაში კუნელის პრეპარატებს იყენებენ გულის მოქმედების ფუნქციონალური დარღვევებისას, ანგინერვოზების, მოციმცი-მე არითმიისა და ტაქიკარდიის დროს, კუნელი ხელს უწყობს სისხლის წნევის შემცირებას, აუმჯობესებს ძილს, ადაბლებს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებას. კუნელი გამოიყე-ნება გულის კუნთის ფუნქციონალური მოშლილობის დროს, ჰი-პერტონიული დაავადების, პაროქსიზმული ტახიკარდიის, სა-ერთო ათეროსკლეროზისა და კლიმაქტიკურული ნევროზის დროს. გულის დაავადების შემთხვევაში გამოწვეული თავბრუს-ხვევისა და ხუთვისას. ნევროზისა და კლიმაქსის დაწყების წინ სასარგებლოა კუნელის ნაყენის მიღება. ასევე შეიძლება გამო-ყენებული იქნეს მისი სპირტის ნაყენი. კუნელის ნაყენი კეთილ-მყოფელ გავლენას ახდენს ასაკოვანი ხალხის გულის კუნთის მუშაობაზე, იცავს გულს გადაღლილობისგან. კუნელის ყველა სახეობა გამოიყენება ჰომეოპატიაში.

კრაზანა (*Hypericum*) – Tutsan – Зверобой

"როგორც ფქვილის გარეშე არ შეიძლება პურის გამოც-ხობა, ასევე კრაზანას გარეშე არ შეიძლება მრავალი ავადმყო-ფობის მკურნალობა" – ამბობდნენ ძველად მკურნალები.

კრაზანა მრავალწლოვანი 20-50 სმ-ის სიმაღლის ბალახო-ვანი მცენარეა, წვრილი დატოტვილი ფესურიდან ვითარდება რამდენიმე გლუვი, ორწახნაგოვანი, დატოტვილი ღერო, რომ-ლის სიმაღლე აღწევს 20-50 სმ-ს. ფოთლები მოპირისპირეა, მჯდომარე, მოგრძო, ბლაგვი, მთლიანკიდიანი, გლუვი, დაწინ-წკლული, ყვავილები თავისუფალფურცლიანია, სწორი, ხუთ-

ფოთლიანი ჯამით და ხუთფურცლიანი გვირგვინით, ფურცლები კაშკაშა ყვითელია, მოგრძო – ოვალური, ზედა მხარეს ირბად წაკვეთილი, შავი რუხი წერტილებით ქვედა მხარეს. მტვრიანა 50-60, რომლებიც ძირში ერთმანეთთან სამ კონად არიან შეზრდილი. ბუტკო სამბუდიანია, ზედა ნასკვით და სამი გადახრილი სვეტით, ყვავილედი – ფარისებრი საგველა. ნაყოფი სამბუდიანი მრავალთესლიანი კოლოფია, რომელიც სამი საგდულით იღება. თესლი ძალიან პატარაა, მოგრძო, რუხი ფერის. ყვავილობს ივნისიდან – აგვისტომდე.

კრაზანას ოთხზე მეტი სახეობაა აღნერილი. მათ შორის დასვრეტილი კრაზანა (*Hypericum Perforatum*) და ლაქებიანი კრაზანა (*Hypericum Maculatum Crantz*) კრაზანასებრთა – (*Hypericaceae*) ოჯახის წარმომადგენლებია ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ციმბირში, შუა აზიაში, ყირიმში და სხვ., გვხვდება ტყის პირას, ბუჩქნარებსა და მშრალ ადგილებში, ზოგჯერ ნათესებშიც.

კრაზანას უხსოვარი დროიდან იცნობენ. მისი ფოთლები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან, დიოსკარიდეს შემოთავაზებული ჰქონია, როგორც სამკურნალი ბალახი. იგი აგრეთვე დიდი ხნიდან არის ცნობილი, როგორც ყვითელი და წითელი სალებავების მისაღები ნედლეული.

კრაზანას სამკურნალო ნედლეული მზადდება მცენარის ყვავილობის ფაზაში, ნაყოფების გაჩენამდე. მცენარის ზედა 25-30 სმ-ის ნაწილს ჭრიან დაწინით და აშრობენ.

კრაზანას ბალახი შეიცავს კონდენსირებული ჯგუფის ან-ტრაცენნარმოებულებს 0,5%, ჰიპერიცინს, პროტოპიპერიცინს, ფსევდოპიპერიცინს; ფლავონოიდებს, რომელთა შემადგენლობა რუტინზე გადაანგარიშებით სახელმწიფო ფარმაკოპეის მიხედვით უნდა იყოს არანაკლებ 1,5%, ფლავონოიდების ჯამში დომინირებს იზოქვერციტრინი 1,2%, ჰიპერინი 1,8 %, ჰიპეროზიდი 1%, ქვერციტრინი და ქვერცეტრინი. ამ უკანასკნელის ნანარმია გლიკოზიდები, რომელთა შემცველობა 5%-ს აღნევს.

გარდა ამისა ეს უნიკალური მცენარე შეიცავს 5-6% ანტოციანებს, 10-12% მთრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინს 0,2-0,3%, ეთერზეთებს, ვიტამინებს C და P, 17%-მდე ფისოვან ნივთიერებებს, საპონინებს, ნიკოტინის მჟავას, ალკალოიდების კვალს და სხვ.

კრაზანას ნაყენს იყენებენ როგორც გამოსავლებ საშუალებას გინგივიტების, სტომატიტების მჯურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით, ხოლო საფენების სახით ჭრილობების მოსაშუალებლად, პირის ღრუში ცუდი სუნის შემთხვევაში. კრაზანს ხმარობენ ნაღველსადენი გზებისა და ნაღვლის ბუშტის დისკინების, ჰეპატიტების, ქოლეცისტიტების, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების საწყისი სტადიის, გასტრიტების, მეტეორიზმის, თირკმლის დაავადების, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევის, ქალური დაავადების, ჩირქის, წყლულების, კანზე გამონაყარის და სხვა დაავადებების დროს. მწვანე მცენარეს ხელში სრესენ, იდებენ გარედან დაუეუილობის დროს სისხლის დენის შესაჩერებლად.

კრაზანას ზეთი საუკეთესო სადეზინფექციო საშუალებაა ჭრილობების და გაცივების შემდეგ კანზე გამონაყარის, ასევე დამწვრობისა და ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ.

კრაზანა ფოტოდინამიკური მცენარეა. მისი შექმისას პირუტყვს, მზის სინათლის ზეგავლენით, კანზე სხვადასხვა სახის ცვლილებები უვითარდება. ცვლილებები ვითარდება უპიგმენტო და თეთრი კანის მიდამოებში. შეინიშნება დამახასიათებელი დერმატიტები, კანის ტკივილი, ძლიერი ქავილი, ადგილი აქვს პირუტყვის დაბეჩავებას. განსაკუთრებით თეთრი ფერისა და თეთრი ლაქებით პირუტყვს აღენიშნება ეს სინტომები.

მაჟალო (*Malus orientalis Uglitz*) – Crab Apple – Яблоня Дикая

მაჟალო (*Malus Orientalis Uglitz*) – მაჟალო სითბოს მომ-
თხოვნია და მისი გაშენება შეიძლება ქვედა და შუა სარტყელის
ტყეებში ღია განათებულ ფერდობებზე. მაჟალოს კულტურა
გავრცელებულია მთელს კავკასიაში. იგი ფართოდ გამოიყენება
სახალხო მედიცინაში, კვების მრეწველობაში, საძირებად მე-
ხილეობაში.

მაჟალო (*Malus Orientalis Uglitz*) ვარდისებრთა (*Rosaceae*)
ოჯახის წარმომადგენელია. დაბალი, 10 მეტრამდე სიმაღლის
ხეა, ყლორტები არც თუ იშვიათად ეკლებითაა დაფარული. ტო-
ტებზე გლუვი ქერქი ნაცრისფერი შეფერილობისაა, საკმაოდ
ღრმად დახეთქილი, უფრო ხშირად ღეროს ქვედა ნაწილში, ერ-
თნლოვან ყლორტებზე კი კანი მოყავისფროა. ფოთლები 5-6 სმ
სიგრძისა და 2-3 სმ სიგანის ელიფსური ან მომრგვალო, წვერში
წამახული და კიდეხერხებილაა, ახალგაზრდა ყლორტები ძლი-
ერ შებუსვილია (განსაკუთრებით ქვემოდან), ხანდაზმულობაში
შიშველი, ზემოდან პრიალა ტოტებზე მორიგეობითაა განლაგე-
ბული. ყვავილები ტოტებზე ფარისებრ ჯგუფებადაა შეკრები-
ლი თეთრი ან მოვარდისფრო გვირგვინის ფურცლებით. ცრუ
ნაყოფი 3-5 სმ დიამეტრისაა, მრგვალი ან კვერცხისებრი, მწიფ-
დება აგვისტო-სექტემბერში. ყვავილობს მაისს-ივნისში. მრავ-
ლდება თესლით, ძირკვი იძლევა ამონაყარს. უფრო ხშირად
მთის შუა და ქვედა სარტყელებშია გავრცელებული, ზღვის დო-
ნიდან 1500 მ სიმაღლეზე, გვხვდება როგორც ტყისპირებსა და
ღია ადგილებში, ასევე წიფლისა და სხვა ფორმაციის კორომებ-
ში შენარევების სახის. მართალია გარკვეულწილად სიგრილეს
იტანს, მაგრამ ნორმალურად ტენით უზრუნველყოფილ, კარ-
გად დრენირებულ ნოჟიერ ნიადაგებზე იზრდება. სინათლის
მომთხოვნი მცენარეა.

ნაყოფი შეიცავს 16 % შაქრებს (ფრუქტოზას, გლუკოზას და საქაროზას), 2,4 % ვაშლის, ლიმონის და სხვა მჟავებს, 3 % - ზე მეტ პექტინებს, C, B₁, D₂ ვიტამინებს, კაროტინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კალციუმს, ფოსფორს, რეინას და სხვა მარილებს. გამოიყენება დიდი რაოდენობით ღვინის დასამზადებლად, მისგანვე კეთდება ნაირგვარი წვენები, სიროფები, ესენციები, ბურახი, მურაბა და ხილფაფა. საუცხოო მასალაა მარმელადის, ტყვლაპის და სხვა ტკბილეულისათვის. მაჟალოსგან კეთდება კისელი და კომპოტი. სამკურნალოდ მაჟალოს ნაყოფი გამოიყენება. ამ მიზნით საერთოდ უპირატესობას ვაშლის კულტურულ ჯიშებს ანიჭებენ. ნედლ მაჟალოს გააჩნია ორგანიზმის მომმაგრებელი თვისება და ამის გამო დიეტურ საშუალებად ითვლება, ფართოდ გამოიყენება ავიტამინოზისა და კუჭის აშლილობის დროს, ნაყენი კი – სისხლნაკლოვანების დროს. მაჟალოსაგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება სისხლმბადი ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, იგი შედის მცირე ხასიათის გარეგანი სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებათა შემადგენლობაში.

მოცხარი (*Ribes Nigrum*) – Currants – Смородина

შავი მოცხარი (*Ribes Nigrum*) 1,5 მ-მდე სიმაღლის უეკლო ბუჩქია ფხიჯასებრთა (*Saxifragaceae*) ოჯახიდან, ლერო დატოტვილია, 3-5 ნაკვთიანი სურნელოვანი, დაკბილული ფოთლები მორიგეობითა განლაგებული, რომელიც ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან კი უფრო მკრთალი, ძარღვების გაყოლებით ბუსუსიანი. ყვავილები მონითალო რუხია, ფართო ზარისებრი, სიგანეში 1 სმ-მდე, შეკრებილია თავჩაქინდრულ მტევნად, ნაყოფები სურნელოვანი კენკრაა, შავი, იშვიათად შავი-მონაცრისფრო, ბურთისებრ მრგვალი. მშრალი ნაყოფი ბურთისებრია, შავი დანაოჭებული, წვერში ეჩნევა ჯამის ფოთლების ნარჩენები. ნაყოფის ზედაპირი დაფარულია ოქროსფერი ჯირყვლებით,

რომლებშიც ეთეროვანი ზეთის წვეთებია, რბილობში მოთავსებულია მრავალრიცხვანი თესლი, ნაყოფი გამოირჩევა ოდნავ ძელგი, არომატული მომჟავო-მოტკბილო სურნელით, ყვავის მაის-ივნისში, ზოგან უფრო ადრეც.

შავი მოცხარი იზრდება ზღვის დონიდან 2000 მ-ის სიმაღლემდე ნესტიან ტყეებში, ველზე, მდინარისა და ტბების ნაპირებზე. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, საქართველოში შემოტანილია კულტურაში.

ნედლი ნაყოფი შეიცავს C ვიტამინს დიდი რაოდენობით – 570 მგ%-მდე, ვიტამინ P-ს 1%-მდე, ვიტამინებს B₁, B₂, B₆, D, E, K, კაროტინებს, ნახშირწყლებს: გლუკოზას, ფრუქტოზას, საქაროზას. ორგანულ მჟავებს 4%-მდე, მათ შორის ლიმონის, ვაშლის, ლვინის, პექტინოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთებს, ფლავონოიდებს, ანტიციანებს, ფენოლკარბონის მჟავებს, მაკრო და მიკროელემენტებს, მათ შორის განსაკუთრებით Fe – 0,9გ%. ფოთლებში შეიცავს C ვიტამინს 250 მგ%, ფენოლურ შენაერთებს, ეთერზეთებს, ფლავონოიდებს.

ნაყოფები გამოიყენება ხილის სახით, ამზადებენ მურაბას, ხილფაფას, კისელს, კომპოტს, გამაგრილებელ სასმელებს. მაღალ ტემპერატურაზე ვიტამინი C იშლება, ნაყოფებს ტემპერატურული და მუჟმავების გარეშე ინახავენ შაქარში სახლის პირობებში. შავი მოცხარის ნაყოფები და ფოთლები გამოიყენება ავიტამინოზის დროს. ხალხურ მედიცინაში ნაყოფებს იყენებენ ოფლმდენ, კუჭაშლილობის საწინააღმდეგო და შარდმდენ საშუალებად, ფოთლებს კი რევმატიზმის სამკურნალოდ, ოფლისმომგვრელად, დიათეზის საწინააღმდეგოდ, სისხლნაკლულობის, მაღდის მოსაგვრელად, ხველების დროს. ფოთლებისა და კვირტების ნაყენი გამოიყენება როგორც სუსტი გამხსნელი, სიყვითლის და სისხლნაკლულობის საშუალება. ნაყოფების, ფოთლების და ქერქის ნაყენს იყენებენ ნივთიერებათა ცვლის მოშლის, გაციებისა და ყივანა ხველის, საშარდე ბუშტის დაავადების და თირკმლის კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ. კუჭის წყლულის დროს

ნაყოფების წვენს სვამენ. შავი მოცხარის ფოთლებს, კვირტებს და ნაყოფებს ეთერზეთების შემცველობის გამო დეზინფექციის თვისებებიც გააჩნიათ. ფოთლებისა და ნაყოფებისგან დამზადებული პრეპარატი სპობს დიზენტერიის ჩხირებს. შავი მოცხარის, უოლოს და მოცვის ფოთლები ასკილის ნაყოფთან ერთად ვიტამინურ კომპლექსს ქმნის. ამიტომ იგი საუკეთესო საკვებად ითვლება ადრე გაზაფხულზე ავიტამინოზის დროს.

წითელი და თეთრი მოცხარი გაცილებით ნაკლებ პოპულარულია, ვიდრე შავი. ისინი შეიცავენ გაცილებით ნაკლებ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მათში ასკორბინის მუავა 4-5 ჯერ ნაკლებია ოდენობით, ვიდრე შავში. წითელი და თეთრი მოცხარის წვენი წარმატებით გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც გამაგრილებელი, მსუბუქი სასაქმებელი საშუალება. წითელი მოცხარის საწებელი – უხდება ხორცსაც.

მოცხარი თაფლოვანი მცენარეა. ფოთლები კი ჩაის სუროგატია.

მოცვი (*Vaccinium*) – *Vaccinium Myrtillus* – ზერნიკა

გვარი მოცვი მიეკუთვნება მოცვისებრთა ოჯახს (*Vacciniaceae*). მოცვის – (*Vaccinium*) – ის წარმომადგენლები მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი, ნახევრად ბუჩქი ან ტანდაბალი ბუჩქებია. ყვავილები წვრილი, ერთეულებად, კენწრულ ან იღლიურ მტევნებადაა შეკრებილი. ჯამისა და გვირგვინის წვერო 4-5 წარმომადგენება, 4-5 ბუდიანი ნასკვი შეზრდილია ჯამთან. მტევნების რიცხვი ყვავილებში 8-10-ია. მტევნები ძრითადად შედგება ორი სამტევრე პარკისაგან. ნაყოფი კენკრაა.

თანამედროვე სისტემატიკის მიხედვით გვარი მოცვი (*Vaccinium*) წარმოდგენილია 200-მდე სახეობით. საქართველოში გავრცელებულია აღნიშნული გვარის ოთხი სახეობა: მირტილუსის მოცვი (*Vaccinium Myrtillus*), ლურჯი მოცვი (*Vaccinium*

uliginosum), ნითელი მოცვი (*Vaccinium Vitis -idaea*) და კავკასიური მოცვი (*Vaccinium Arctostaphylos*).

ნითელი ანუ მალალი მთის მოცვი (*Vaccinium Vitis-idaea*)
პატარა ზომის ჯუჯა ბუჩქია. ღერო მცოცავია, ნიადაგზე გართმული, წვეროებით მაღლაა მიმართული. სიმაღლეში აღწევს 10-30სმ. ფოთოლი ოვალური ფორმის, 3სმ სიგრძით, ოდნავ ხეშეში, ტყავისებური, მუქი ან ლია მწვანე ფერის. ყვავილები თეთრი-მოვარდისფერო, შეკრებილია ზარისებრ თავთავებად და დაკიდულია ფოთლის უბნებიდან დაღმა. ყვავილობენ მაისიდან ივნისის ჩათვლით. ყვავილები აღნიშნული შეფერილობის გამო მკვეთრად ჩანს მუქი-მწვანე ფოთლების ფონზე. ალსანიშნავია, რომ ნითელი მოცვი, ისევე როგორც მუხა, დიდხანს ცოცხლობს (დაახლოებით 100-300 ნელი). ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდება არა მარტო ცალკეული ბუჩქები, არა-მედ მთელი კორონები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მიწისქვეშა ფესვურებით. სფეროსებრი ნაყოფი მწიფება იყლის – აგვისტოში. იგი კაშკაშა წითელი ფერის კენკრაა, 7 მმ-მდე დიამეტრით. წითელი მოცვის ბუნებრივი არეალი ვრცელდება ჩრდილოეთ ევროპიდან ციმბირის გავლით შორეული აღმოსავლეთის ჩათვლით. გავრცელებულია კავკასიონზე, აჭარა-არსიანის ქედებზე, შავშეთის, კარჩხალის მწვერვალებზე. ძირითადად გვხვდება ტყისა და მთის სუბალპურ ზონებში, წიწვოვან და შერეულ ტყეებში, ტყიან და ვაკიან ტუნდრაში, განსაკუთრებით უხვადაა ნათელწინვოვან ტყეებში, სადაც ხშირად გვევლინება ბალახოვან -ბუჩქოვანი იარუსის დომინანტად. წითელი მოცვი განსაკუთრებით დამახასიათებელია ფიჭვნარი და ნაძვნარ – ფიჭვნარი ტყეებისათვის. წითელი მოცვის მოსავლიანობა დამოკიდებულია ტყის ტიპზე და ხე მცენარეების ვარჯზე. ანთროპოგენული ფაქტორები (ხანძრები, ჭრა-ჩეხა და ა.შ) უარყოფით ზეგავლენას ახდენს მის მოსავლიანობაზე.

წითელი მოცვის გამოყენება მრავალმხრივია. მას აქვს საკვები, სამკურნალო, ტექნიკური და სამრეწველო მნიშვნე-

ლობა. მის ნაყოფებში უამრავი სასარგებლო ნივთიერებებია თავმოყრილი. ისინი შეიცავენ: ნახშირწყლებს, ვიტამინებს, ფლავინოიდებს, მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბენზოინის მჟავა. მისი შემცველობის გამო ნაყოფი დიდხანს ინახება ოთახის ტემპერატურაზეც კი. ბენზოინის მჟავა ანტისეპტიკია და უზრუნველყოფს მოცვის ხანგრძლივი დროით დაუზიანებლად შენახვას მშრალი, სველი ანუ უმი სახით. ბენზოინის მჟავის შემცველობის გამო შესაძლებელია მოცვის ნაყოფის დიდ მანძილზე ტრანსპორტირება.

წითელი მოცვის ნაყოფი გამოიყენება საკვებად. მას იყენებენ კერძების დამზადებისას ნედლი ან დამბალი სახით. მის-გან ამზადებენ მურაბებს, ჯემებს, წვენებს, ნაყენებს, ნაყოფი-საგან ღებულობენ წითელი ფერის საკვებ საღებარებს, რომლებიც გამოიყენება კულინარულ წარმოებაში სხვადასხვა პრო-დუქტის შესაფერადებლად. წითელი მოცვის ნაყოფს ზოგიერთ ქვეყნებში იყენებენ სამრეწველო მიზნითაც. იგი წარმოადგენს საუკეთესო შეუცვლელ საკვებ რესურსს ზაფხულობით გარკვეული ფრინველების, ველური ცხოველების, წვრილი მხეცებისა და დათვებისათვის.

საკვები ლირებულების გარდა წითელ მოცვს გააჩნია უდიდესი სამკურნალო მნიშვნელობა. მისი ნაყოფი საუკეთესო საშუალებაა ცინგის დავადების წინააღმდეგ. წითელი მოცვის ნაყოფის მიღებას უნიშნავენ ექიმები ავიტამინოზის და ჰიპერვიტამინოზის დროს, მისი ნაყოფისა და წყლის ნახარში ცნობილია, როგორც მაღალტემპერატურიანი ავადმყოფებისათვის სიცხის დამგდები საშუალება.

წითელ მოცვს ფართოდ იყენებენ ხალხურ მედიცინაში, მისი ნაყოფები კარგი საშუალებაა გასტრიტის, ფალარათისა და შარდის შეუკავებლობისას, კუჭის წვენის მჟავიანობის დაქვეითების, კუჭის წყლულოვანი დავადების, თორმეტგოვანი ნაწლავის წყლულის დროს. გამოიყენება აგრეთვე არტერიული წნევის

ამაღლების, რევმატიზმის, ლვიძლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმლების, შარდსადენი გზების ანთების ან დაავადებების დროს.

დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში წითელი მოცვის ფოთლებს. ფოთოლი შეიცავს 7% არბუთინს, მასში დიდი რაოდენობით გვხვდება მთრიმლავი ნივთიერებები, ორგანული მუავეები, ფლავონოიდები, კაროტინი, ვიტამინები C და PP.

ფოთლებში შემავალი სამკურნალო ნივთიერებებიდან აღსანიშნავია დიდი რაოდენობით არბუთინის არსებობა, მისგან დამზადებული პრეპარატები ორგანიზმიდან გამოდევნიან ჰიდროქსინონს, ახასიათებთ ბაქტერიოციდული მოქმედება და შარდმდენი თვისებები. ფოთლის ნაყენი და ნახარში ენიშნებათ თირკმლებში კენჭოვანი დაავადებებისას, ასევე სახსრების, რევმატიზმის, ცხელების, ფალარათის შემთხვევაში. მთრიმლავი ნივთიერებების დიდი რაოდენობით შემცველობის გამო ფოთლებს იყენებენ აგრეთვე ტყავის ნარმოებაში.

წითელი მოცვის ფოთლებიდან და ნაყოფებიდან დამზადებული პრეპარატები საუკეთესო სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს ვეტერინარიაში და მეფრინველეობაში.

წითელი მოცვი თაფლოვანი მცენარეა. მის ყვავილებს, რომლებიც ხასიათდებიან სასიამოვნო არომატით, ეტანება ფუტკარი და საუკეთესო სამკურნალო თაფლს ამზადებს.

მირტილუსის მოცვი (*Vaccinium Myrtillus*) დატოტვილი ბუჩქია 50 სმ-მდე სიმაღლით. პრიალა მწვანე, სწორმდგომი, ცილინდრული ღერო ოთხნახნაგაა, იგი დაფარულია გლუვი კანით. ღეროს ქერქი ღია-მურა ფერისაა. ფოთოლები კვერცხისებური ან ელიფსულია, 1,2-3,0 სმ სიგრძით და 0,5-2,0 სმ. სიგანით, წვერო წვეტიანი ან გლუვია, ფუძე მომრგვალო ან ოდნავ გულისებრი, კიდე სუსტად ხერხისებურად დაკბილულია. ყუნწი 1,0-1,5 მმ. სიგრძის.

მომწვანო ან ოდნავ მოწითალო ფერის ქოთნის ფორმის ყვავილები ვითარდება ფოთლის უბეებში წინა წლის ტოტებზე. მცენარე ყვავილობს მაისიდან-ივნისამდე. ნაყოფი მწიფდება ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით. ნაყოფის სიმწიფის ყველაზე

კარგი პერიოდი 25 ივლისიდან 25 აგვისტომდეა. იგი წვნიანი კენკრაა, სფეროსებური ფორმის. დიამეტრში მოშავო – ლურჯი ფერისაა. გარედან კანზე მოცისფრო ნაფიქტი გადაკრავს. რბილობი წითელი ან მუქი მაყვალისფერია.

განუზომელია **მირტილუსის მოცვის** სასარგებლო თვისებები. იგი მდიდარია ბიოფლავინოიდებით. არსებობს მონაცემები, რომ ბიოფლავინოიდებს ახასიათებთ კიბოს საწინააღმდეგო მოქმედებაც. მეცნიერები რვა კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, მოცვის ექსტრაქტს აძლევდნენ 19 თვის ასაკის ვირთხებს, მათ სიცოცხლე რამოდენიმე წლით გაუხანგრძლივდათ. ექსპერიმენტის დროს არსებობდა ე.წ. საკონტროლო ჯგუფი, რომელშიც შეიმჩნეოდა მეტ-ნაკლები დაბერების პროცესი. საერთოდ არ შეიმჩნეოდა დაბერების პროცესი იმ ვირთხებში, რომლებსაც კვებავდნენ მოცვით.

მსგავსი შედეგების დაფიქსირება არც ერთ საკვებდანა-მატთან დაკავშირებით არ შემჩნეულა. ამ სასწაულის მიზეზი აღმოჩნდა ანტოციანები. ეს ბიოფლავინოიდები ყვავილებს, ბოსტნეულს და ხილს განუმეორებელ შეფერილობას აძლებს. ანტოციანები საკმაოდ მძლავრი ანტიოქსიდანტებია. მათ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ კაპილარების გამაგრებაში. ანტოციანების ნაკლებობის დროს კანზე ჩნდება ლურჯი ლაქები, ვითარდება ვარიკოზი, უარესდება მხედველობა და ტვინის მუშაობა. მრავალმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მირტილუსის მოცვას აქვს უნარი მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები თავიდან აგვაშოროს. გარდა ამისა მირტილუსის მოცვი ხელს უწყობს სისხლში შაქრის დონის დაწევას. ეს ეხება არა მარტო დიაბეტით შეპყრობილთ, არამედ ცნობილია, რომ წლების მატებასთან ერთად სისხლში გლუკოზის შემცველობა მატულობს.

კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*) – შავი ანუ ხემაგვარი მოცვი კავკასიური მოცვის სახელითაცაა ცნობილი, პატარა ზომის ხეები ან საშუალო სიდიდის კარგად განვითარებული ბუჩქებია. ყლორტები თავიდან შებუსვილია, შემდგომ

გლუკი, შიშველი. კანი დასაწყისში მოწითალო მწვანეა, მოგვიანებით მოყავისფრო-წითელი, სიგრძეში დაღარული. ფოთლები ელიფსური ან მოგრძო ელიფსურია, ორივე ბოლო კონუსურ-ნაგრძელებულია. კიდე სუსტად დაკბილული. ზემოდან მუქი მწვანე. ქვემოდან უფერული. ზოგჯერ ძალვების გასწვრივ შებუსვილი ან მთლიანად შიშველი. ყვავილები შეკრებილია მეჩხერ თავთავებად, თითო თავთავში 5-12 ცალამდე ყვავილია. ისინი 1 სმ-ინი ყუნწებით სხედან საერთო ლერძზე. რომლებიც ფოთლის უბეებიდან გამოდიან. ყვავილები მოწითალო-თეთრი ან მომწვანო-თეთრი ფერისაა, რომლებიც მოვარდისფერო შეფერვაში გადადიან. შავი ფერის ნაყოფი სფეროსებური ფორმისაა, მისი წვენი ხანგრძლივი მოქმედებისას ხელს დებავს, საკვებად ძვირფასია. შავი მოცვი ძირითადად გავრცელებულია ამიერკავკასიაში.

შავი ანუ კავკასიური მოცვის ნაყოფიც შეიცავს 12%-მდე ნახშირნყლებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს და C და A ჯგუფის ვიტამინებს.

კავკასიური მოცვის სამკურნალო თვისებები ხალხში ოდითგანვე არის ცნობილი. მას იყენებენ კუჭ-ნაწლავის აშლილობისას, როგორც შემკვრელს. მოცვის ნაყოფების მიღების შემდეგ დამით მხედველობა ძლიერდება. ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ ყელის ტკივილის, სისხლდენის, თირკმლების კენჭოვანი დააგადების სამკურნალოდ. კავკასიური მოცვის ნაყოფისაგან ამზადებენ კისელს, კომპოტს, ნაყენს, ღვინოს.

შავი მოცვის ფოთლებში ნაპოვნია არბუთინი, მთრიმლავი ნივთიერებანი. ფოთლის ნახარშს დიაბეტის სამკურნალოდ იყენებენ. ფოთლებში არსებული გლიკოზიდი მნიშვნელოვნად ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას.

მოცვის ნაყოფების შეგროვებას ახდენენ მწიფე მდგომარეობაში. შეგროვილ კენკრას ასუფთავებენ მინარევებისაგან, არავითარ შემთხვევაში არ რეცხავენ. კენკრის გამოშრობა ყველაზე უკეთ ხდება კონვეირულ საშრობებში, სადაც კენკრას 2-3 საათის განმავლობაში ამყოფებენ $35-40^{\circ}\text{C}$ პირობებში, შემ-

დეგ შრობას ასრულებენ $55-60^0$ -ზე. მზიან ამინდში კენკრის გაშ-რობა შეიძლება ბუნებრივ პირობებში (კაჭარავა თ. 2016).

ლურჯი მოცვი (Vaccinium Uliginosum) 30-50 სმ სიმაღლის ბუჩქია. იშვიათად მწოლარე ღერო 1 მ-საც აღწევს, მურა – ყავისფერი ან მურა – მონაცრისაფრო შეფერილობით. ფოთლები ელიფსური და უკუკვერცხისებური ფორმისაა, სიგრძეით 1,1-4,2 სმ, სიგანით – 0,5-2,5 სმ, წვერში მცირედ წაწვეტებული ან ოვალური, კიდემთლიანი, ზოგან კი ოდნავ შეზნექილი, ხეშეში, მონაცრისფრო მწვანე. მისი ფოთლების ასეთი შეფერილობის გამო ლურჯი მოცვის ბუჩქი შორიდანვე ადვილად გამოსაცნობი და გასარჩევია სხვა სახეობებისაგან. ყვავილები მოთეთრო ან მოწითალო-მოვარდისფროა, 3,5 მმ-მდე. სიგრძით, ამდენივე დიამეტ-რით, სუსტი არომატული სუნით. ყვავილები შეკრებილია მცირე თავთავებად, ყუნწი მოკლეა, ყოველთვის დაბლა დახრილი 0,5-1,2 სმ სიგრძის, ყვავილის ფორმა ქოთნისებურია. ნაყოფი მოშავო-ლურჯია, გადაჰკრავს ნაცრისფერი ნაფიფქი, ფორმით ელიფსური ან სფეროსებური 1,2-1,5 სმ სიდიდით, ზოგჯერ მსხლისებური ფორმისაა და კიდეები ნაწიბურებით ბოლოვდება. კანი გლუვია, რბილობი მომწვანო ფერის, შეღებვისას ხელს არ ლებავს, ტკბილი, საკვებად ვარგისი და გემრიელია. ლურჯი მოც-ვი ყვავილობს ჩვენს პირობებში ივნის-ივლისში, ხშირად აგვის-ტოშიც. ნაყოფი მწიფდება აგვისტო – სექტემბერში. ბუნებრი-ვად გავრცელებულია კავკასიონზე, ციმბირში, შორეულ აღმო-სავლეთში. იზრდება ტყეში და ტყის პირებზე, ნესტიან და ჭაო-ბიან ნიადაგებზე, გვხვდება ტორფნარებში.

ლურჯი მოცვის ნაყოფიც კენკრაა და გამოიყენება საკვე-ბად. იგი შეიცავს 8% -მდე ნახშირწყლებს, დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს. ნაყოფს იყენებენ კულინარიაში, მისგან ამზადებენ კისელს, მურაბებს, ტყლაპს. ნაყოფს აქვს სამკურნალო თვისე-ბებიც. იგი შეიცავს A, B და P ჯგუფის ვიტამინებს, დიდი რაო-დენობით კაროტინს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერე-ბებს, ანტოციანებს და სხვა მნიშვნელოვან ნაერთებს. დიზენ-

ტერიტორიაში შემთხვევაში სასარგებლობა მისი უმაღ მიღება, ამიტო-
მაც ლურჯ მოცვს იყენებენ ხალხურ მედიცინაში. მისი ნაყენი
საუკეთესო საშუალებაა უძილობის დროს, დიაბეტით დაავადე-
ბულთათვის, კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს და სხვ. ფოთ-
ლის ნახარში იყენებენ კანიდან მუწუკების მოსაცილებლად, ეგ-
ზემური, ღია ჭრილობების სამკურნალოდ. ამ ძვირფასი ნაყო-
ფით იკვებება ტყის ბევრი ცხოველი და ფრინველი.

ლურჯი მოცვის ნაყოფისაგან მზადდება ძვირფასი ლურ-
ჯი საღებავი, რომელიც გამოიყენება ჩითისა და ბამბეულის შე-
საღებად.

ლურჯი მოცვის გავრცელება საქართველოში – ლურჯი
მოცვი მეტად საინტერესო კულტურაა, რომელიც თავისი კვე-
ბითი და დიეტური თვისებების გამო ფართოდ გავრცელდა
მსოფლიოში და მომხმარებელთა დიდი ყურადღება გამოიწვია.

ლურჯი მოცვი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა სხვა სა-
სოფლო-სამეურნეო კულტურებთან შედარებით, თავისი რენ-
ტაბელობითაც ამ კენკრის საშუალო საბითუმო მსოფლიო ფასი
– 1 კგ-ზე 3,2 – 3,5 აშშ დოლარია, ხოლო საშუალო მოსავლიანო-
ბა კი ჰექტარზე 8 – 10 ტონას შეადგენს. კარგად მოვლილ პლან-
ტაციებში მოსავლიანობა 12 – 15 ტონას აღწევს.

ლურჯი მოცვის ნაყოფი შეიცავს ნეალს – 87,0 %, 8,0 –
%-მდე ნახშირწყლებს, ორგანულ მუვევებს – 2,7%, პექტინოვან
ნივთიერებებს – 0,6 %, უჯრედანას – 1,6 %. ვიტამინ C – 63,0
მგ%. (კაჭარავა თ., 2016).

ლურჯი მოცვი ბოტანიკურად მიეკუთვნება *Vacciniumis*
გვარს, ამავე გვარს მიეკუთვნება ველური მოცვი, შტოში და ა.შ.
ჩრდილო ამერიკაში წარმოშობილი ეს კენკრა კარგად არის
ადაპტირებული განსხვავებულ კლიმატურ პირობებთან. ლურ-
ჯი მოცვის რამდენიმე სახეობა არსებობს:

- ჩრდილოეთ მაღალბუჩქოვანი (*Vaccinium corymbosum*)
- *Rabbiteye „კურდღლისთვალა“* (*Vaccinium ashei Reade*)

• დაბალბუჩქოვანი (*Vaccinium angustifolium* Ait., *Vaccinium myrtilloides* Michx.)

• სამხრეთ მაღალბუჩქოვანი (*V. corymbosum* X *V. darrowi*, *V. Ashei*)

• ნახევრად მაღალბუჩქოვანი (*V. corymbosum* x *V. angustifolium*).

მოცვის დაბალბუჩქოვანი სახეობების სამრეწველო პლანტაციები გაშენებულია მკაცრ პირობებშიც, განსაკუთრებით ჩრდილოეთის რეგიონებში, სადაც ტემპერატურა -35° C-მდეც აღწევს. დაბალბუჩქოვანი მოცვის ჯიშები ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე გაშენებულია კანადისა და მერის შტატის ზღვისგანაპირა რეგიონებში. მაღალბუჩქოვანი მოცვის ჯიშები კი მოჰყავთ უფრო ზომიერ სარტყელში, სამხრეთული ჯიშები ხარობენ სუბტროპიკული კლიმატის პირობებში – ფლორიდა, ალაბამა, მისისიპი და აღმოსავლეთ ტეხასი.

ლურჯი მოცვი მოითხოვს ტენიან, მაგრამ კარგი დრენაჟის მქონე სპეციფიკურ ნიადაგებს, ხარობს მუავე ნიადაგებზე. ამ კენკრისათვის ნიადაგის ოპტიმალური pH – 4,0-დან – 5,0 შერის მერყეობს. თუ ნიადაგის – pH 5,8 – ს აღემატება, ამან შეიძლება მცენარეში ქლოროზი გამოიწვიოს, რაც ძირითადად რკინის დეფიციტით არის გამოწვეული. ქლოროზი გამოიხატება ფოთლების ნანილობრივი გაყვითლებითა და მცენარის მნიშვნელოვანი დასუსტებით. თუ ნიადაგში pH 5,5-ზე მეტია, აუცილებელია ნიადაგის “დამუავება”, რისთვისაც შეიძლება გამოყენებული იქნას მუავე ტორფი ან გოგირდი.

ლურჯი მოცვის ბალის გასაშენებლად სასურველია ოდნავ დაქანებული რელიეფის კარგად განათებული ნაკვეთი, პაერის კარგი ცირკულაციით. სამრეწველო პლანტაციას სასურველია გააჩნდეს სარწყავი წყლის უწყვეტი მიწოდების წყარო, თუმცა ზედმეტმა წყალმაც შეიძლება გამოიწვიოს მცენარის დაღუპვა. ამიტომ ნიადაგის კარგი დრენაჟი კულტურის წარმატებით მოყვანის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მაღალი

ჰუმუსის შემცველობის მქონე მსუბუქი, ფოროვანი ნიადაგები, მსუბუქი თიხნარი და ქვიშიანი ნიადაგები საუკეთესოა ამ კულტურის წარმატებით წარმოებისათვის. თიხნარი ნიადაგები, რომელიც ხასიათდებიან მაღალი სიმუავით და მაღალი ორგანული ნივთიერებების შემცველობით, ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს ლურჯი მოცვის წარმოებისათვის. თუმცა ამ შემთხვევაში ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის დარგვის წინ რეკომენდებულია სარგავ ორმოებში შეტანილ იქნას 2-3 ვედრო ტორფი, რომელიც ღრმად და გულდასმით უნდა შეერიოს ნიადაგს.

დარგვამდე ერთი ნლით ადრე, რეკომენდებულია მრავალწლოვანი სარეველების – ძურწა, ჭანგა, ღიჭა და სხვ. მოსპობა, რაც შესაძლებელია მიწის დამუშავებით, ნიადაგის განმეორებითი გაფართოებით ან ტოტალური მოქმედების უნარჩენო ჰერბიციდებით. ბალის გაშენების შემდეგ თითქმის შეუძლებელია სარეველების კონტროლი, ასე რომ მეტად მნიშვნელოვანია რომ მის დარგვამდე განხორციელდეს მრავალწლიანი სარეველების ელიმინაცია.

ლურჯი მოცვის ბალის გაშენება ხდება $3,0 \times 1,2$ მ ან $2,8 \times 1,2$ მ კვების არეზე, ანუ საშუალოდ ერთი ჰექტარის გასაშენებლად საჭიროა $2800 - 2900$ ნერგი.

მთის პიტნა (*Calamintha Grandiflora Moench*) – Large-flowered calamint – Душевик крупноцветный

მთის პიტნა (*Calamintha Grandiflora Moench*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ტუჩოსანთა (*Labiatae*) ოჯახიდან, ვარდისფერი, ორტუჩჩიანი ყვავილები ფოთლების იღლიებში $3-7$ ყვავილიან შეჯგუფულ ნახევარქოლებადაა განლაგებული. ღეროზე ერთიმეორის პირდაპირ განლაგებული საკმაოდ გრძელყუნწიანი ფოთლები კვერცხისებურია, კიდეებზე ხერხისებრი, მსხვილი კბილებით, თეთრი ბეწვით მოფენილი ღეროს სიმაღლე $20-30$ სმ ფარგლებში მერყეობს. მცენარე ყვავის ივ-

ლის-სექტემბერში შუა და ზედა სარტყლის ტყიან მთებში. გავ-
რცელებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტენი-
ან წიფლნარებში, წიფლნარ-ნაძვნარებსა და ნაძვნარ – სოჭნა-
რებში. ვარდისფერ-წითელი განიერტუჩიანი და გრძელმილიანი
ყვავილების, აგრეთვე მოხდენილი ჰაბიტუსის წყალობით მთის
პიტნა მაღალი დეკორაციული ეფექტის მქონე მცენარეა.

ხალხური მედიცინა მის ფოთლებს იყენებს კუჭის აშლი-
ლობის და მომნელებელ სისტემაში გაზების დაგროვების წინა-
აღმდეგ, აწყნარებს შეტევით ხასიათის ტკივილებს.

მთის პიტნა გამოიყენება, როგორც მაღალხარისხოვანი
საკაზმ-სანელებელი მცენარე, მაგალითად, ღვინისათვის სასია-
მოვნო სუნისა და გემოს მისაცემად, მისგან მზადდება სურნე-
ლოვანი და გემრიელი ჩაი. მართალია დიდი ღალიანობით არ
გამოირჩევა, მაგრამ ფუტკარი მისგან მცირე ნექტარს მაინც
იღებს.

მთის ლანძილი (*Allium Victorialis*) – Victory Onion – Лук Победный

მთის ლანძლი შროშანისებრთა (*Liliaceae*) ოჯახში შედის.
მძაფრი ნივრის სუნის მქონე მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცე-
ნარეა, მოგრძო კონუსისმაგვარი ბოლქვები საცრისებრი ბოჭ-
კოების გარსშია გახვეული. ღერო 30-75 სმ სიმაღლისაა, ძირში
სიფრიფანა ვაგინით შემოხვეული. ლანცეტა ან ელიფსური 10-
20 სმ სიგრძისა და 2-8 სმ სიგანის, ფუძისაკენ ყუნწად ქცეული
2-3 ფოთოლი პრიალა და რკალძარღვიანია. ყვავილედი მრა-
ვალყვავილოვანია, ფორმით მრგვალი ან ნახევრად მრგვალი.
აყვავებამდე ყვავილედი თავდახრილია, ყვავილობის ჟამს კი
აღმამდგომი. ყვავის თეთრი-მომწვანო ელფერის ყვავილებით,
ივნის-ივლისში, ზოგჯერ უფრო ადრე ან შედარებით გვიანაც,
იმის მიხედვით, თუ როდის დადგა გაზაფხული. მთის ლანძილი
ტყის მცენარეა, გვხვდება როგორც წინვოვან, ისე ფოთლოვან
ტყეებში, ზოგჯერ სუბალპურ მდელოებზეც. იგი შესანიშნავი

სამწნილე მცენარეა, ჩვენი ხალხი მას უხსოვარი დროიდან იყენებს საჭმელად. ფოთლები და ბოლქვები 730 მგ პროცენტამდე ასკორბინის მჟავას შეიცავს, გარდა ამისა მოიპოვება ეთერზე-თი და გლიკოზიდი ალანინი.

ფიტოქიმიური შემადგენლობით და ფარმაკოლოგიური ღირებულებებით მთის ღანძილთან ახლოს დგას გვარ *Allium*-ის მეორე სახეობა – ღანძილი (*Allium ursinum*) იგი ორფოთლიანია, 15-60 სმ სიმაღლის, მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა. მოგრძო ფოთლები ლანცეტის მოყვანილობისაა, 3-6 სმ სიგანის ფოთლის ფირფიტა ძირში საკმაოდ ვიწროვდება, ყუნწში თანდათანობით გადადის.

სამწახნაგიანი ღერო 15-20 სმ სიმაღლისაა და ძირში ფოთლები ყუნწებიანად თხელი გარსითაა შემოხვეული, თეთრი ყვავილებით ყვავის აპრილ-ივნისის განმავლობაში. ყვავილედი ნახევრადქოლგისებურია.

ღანძილიც ტიპიური ტყის მცენარეა, გვხვდება წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ასევე ტყის პირებში: მდიდარია ფიტონციდებით და სწრაფად სპობს ბევრ მავნე ბაქტერიას. ჩვენი ხალხი მასაც უხსოვარი დროიდან სამწნილედ იყენებს, ახლად დაკრეფილს მოუხარშეავადაც ჭამენ. მძაფრი სპეციფიკური სუნის გამო ღანძილს საქონელი უხალისოდ, მაგრამ ზოგჯერ მაინც ძოვს ხოლმე. ღანძილის ძოვის შემთხვევაში საქონლის ხორცი არასასიამოვნო გემოს იძენს, რეე მოყვითალო-წითლად იღებება და ასევე უსიამოვნო სუნითა და გემოთი ხასიათდება. მთის ღანძილი ნედლი, დამარილებული და დამწნილებული გამოიყენება სურავანდისა და ათეროსკლეროზის დროს, გააჩნია ჭიის დამდენი თვისება და ნაწლავების პერისტალტიკას აძლიერებს. ღანძილი კი ძლიერი ბაქტერიციდური და ბაქტეროსტატიკური მოქმედების გამო ტრიქომონადური კოლიტების სამკურნალოდ გამოიყენება. ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ მისი პრეპარატების ვენაში შეყვანით სისხლის წნევა დაბლა იწევს.

ნიახური (*Apium*) – *Graveolens* – Celery- Сельдерей

ნიახური (*Apium Graveolens*) ორწლოვანი 1,0-1,5 მ სიმაღლის სწორი, დატოტვილი ღეროს და თითისტარისებრი, ხორცოვანი ფესვის მქონე მცენარეა ქოლგოსანთა *Apiaceae* ოჯახიდან. ფოთლები თათისებრ დანაკვთული, ზემოდან პრიალა, ქვემოდან მქრქალი. თეთრი ყვავილები შეკრებილია წვრილ ქოლგებად. ნაყოფი მორუხო-მოყავისფრო, მომრგვალო ტყუბთესლია. ყვავის ივნის-ივლისში, ნაყოფი მნიშვნელოვანია გავრცელებულია საქართველოში, როგორც საბოსტნე მცენარე. ზრდის პროცესში აუცილებელია გაუფხვიეროთ ნიადაგი და ხშირად მორწყათ.

ნიახურის ფოთლებით ძველი ბერძნები სადღესასწაულო დღეებში ოთახებს რთავდნენ. იგი გამოსახული იყო ფულის ნიშნებზე. სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულებსაც ასევე ნიახურის გვირგვინს ადგამდნენ. ძველად ნიახური სამკურნალო-დაც გამოიყენებოდა. თითქმის ყველგანაა გავრცელებული. ცნობილი 20-მდე სახეობა. მოჰყავთ კულტურული ნიახური *Apium Graveolens*, რომელიც ორწლოვანი (იშვიათად ერთწლოვანი) სანელებელი ბოსტნეულია. პოპულარულია ნიახურის 3 სახესხვაობა: ყუნწიანი, ფესვიანი და სასალათე. ეს ორი უკანასკნელი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, როგორც საბოსტნე მცენარეები. ზრდის პროცესში აუცილებელია გაუფხვიეროთ ნიადაგი და ხშირად მოირწყას. ნედლ და გამხმარ ნიახურს იყენებენ კულინარიაში და საკონსერვო მრეწველობაში. თესენ გვიან შემოდგომით, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე.

სამკურნალო ნედლეულია მცენარის ფესვები და ფოთლები. ნიახურის ფოთლები შეიცავს 0,1% ეთერზეთს, ცილოვან ნივთიერებებს, გლიკოზიდ აპინს, ვიტამინებს – კაროტინს 0,8 მგ%, E -0,5 მგ%, C – 40-120 მგ%, B₁ - 0,33 მგ%, B₂ - 0,1 მგ%, B₆ – 0,8 მგ. ნიახურის ფესვში არის ნახშირწყლები, ეთერზეთი, ას-

პარაგინი, ლორნოები, კალიუმის, კალციუმის, ფოსფორისა და ნატრიუმის მარილები, მჟაუნმჟავა, ვიტამინები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი რაოდენობა უფრო მცირეა. თესლი შეიცავს ეთერზეთებს 3,0%-მდე, ცხიმებს – 12%, ორგანულ მჟავებს, მინერალურ ნივთიერებებს, ვიტამინებს, კაროტინოდებს, გლიკოზიდებს. ნიახურის სასალათე და ყუნწიანი სახეობები მნიშვნელოვნად მეტ ვიტამინ C და კაროტინს შეიცავენ, ვიდრე ფესვიანი.

ხალხური მედიცინა ნიახურს იცნობს, როგორც სურავადის საწინააღმდეგო, შარდმდენ და მადის მომგვრელ სამუალებას. აჭარაში ნიახურის ნახარშს ასმევენ ხველების, თირკმლების კენჭოვანი დაავადების, ბუასილის დროს. ამ მცენარეს ქართლში ხმარობენ თირკმლის დაავადებისას, კახეთში – ძირმაგარის და-სამწიფებლად. ნიახური გამოყენებულია ჯირკვლების დაავადე-ბის, სახსრების ტკივილისა და ბუასილის სამკურნალოდ. ახასია-თებს ასევე სუსტი სასაქმებელი მოქმედება. რეკომენდირებულია ახალი ფესვებისაგან გამონაწური წვენის მიღება.

ნიახურის თესლიდან მიიღება ზეთი, რომელიც საჭმლის მონელებას უწყობს ხელს. ნიახურს ხალხური მედიცინა იყენებს მუცლის შებერვისა და ტკივილების დროს. ჭამის წინ ნიახურის მიღება მნიშვნელოვნად ჰმატებს მადას. ნიახურის მიწისზედა ნაწილებისა და თესლის ჩაი განსაკუთრებით სასარგებლოა ხან-დაზმულთათვის. გამხმარი ნორჩი ფოთლები, განსაკუთრებით კი თესლი კარგად გამოხატული შარდმდენი თვისებების მქო-ნეა, ამიტომ ხშირად უნიშნავენ საშარდე ორგანოების კენჭოვა-ნი დაავადებების დროს.

ხალხში ნიახურის თესლს იყენებენ ბრონქიალური ასთმის, ფილტვების ანთებისა და სულისხუთვის დროს, სლოკინისა და პირლებინების საწინააღმდეგოდ. ნიახურს იყენებენ აგრეთვე შაქრიანი დიაბეტის, სიმსუქნის, ნევროზების, ნიკრისის ქარის ("პოდაგრა"), ალერგიული დერმატიტის, ჭინჭრის ციების დროს.

გამოყენების წესები: 1) თესლების ნახარში – 2 ჩაის კოვზ

თესლს 1 ჭიქა მდუღარე წყალს ასხამენ და ნელ ცეცხლზე 30 წუთს ადუღებენ. 2-3 სუფრის კოვზ ნახარშს სვამენ დღე-ღამის განმავლობაში 2-3-ჯერ საშარდე ორგანოების კენჭოვანი დაავადების დროს.

2) მიწისზედა ნაწილების ან ფესვების ნახარშის მოსამზა-დებლად (1:10 შეფარდებით) იღებენ 15-20 გ. მიწისზედა ნაწი-ლებს, ან ფესვებს (წვრილად დაჭრილს), ასხამენ 150-200 მლ წყალს.

მიწისზედა ნაწილებს 15 წუთს, ხოლო ფესვებს 30 წუთს ნელ ცეცხლზე ხარშავენ, სვამენ 2-3 სუფრის კოვზ ან ნახევარ ჭიქა (100 გ.) ნახარშს დღე-ღამის განმავლობაში 3-4-ჯერ შაქ-რიანი დიაპეტის სამუჟრნალოდ. წინათ ნიახურის წყლით ან ძმრით განზავებულ წვენს პირღებინების საწინააღმდეგო საშუ-ალებად იყენებდნენ.

ნიორი (*Allium Sativum*) – Garlic – Чеснок

ნიორი (*Allium Sativum*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ხახვისებრთა Alliaceae ოჯახიდან, აქვს რთული ბოლ-ქვები, 5-15 და მეტი კბილისგანაა შემდგარი, დაფარულია თხე-ლი აპკით, ხოლო მთლიანად ბოლქვი — 2-8 მბზინავი აპკით ან ქერქლით. მუქი მწვანე, ვინწო და ლანცეტისებრი ფოთლები ხაზოვანი და ბრტყელია, რომელთა სიგრძე 40-50 სმ-ს აღწევს. საყვავილე ღერო 1,5 მ სიმაღლისაა, რომელიც ყვავილობამდე რგოლურად ჩახვეულია, ხოლო შემდეგ სწორდება. ყვავილები ქლოგისებრია, ყვავილში 60-450-მდე პატარა საპაერო ბოლქვა-კია. ყვავილსაფარი ნორჩობაში საბურველშია გახვეული, ყვავი-ლები მოჭუჭყო-მოთეთრო, მცირერიცხოვანი, ზოგჯერ ყვავი-ლედში ვითარდება წვრილი ბოლქვები. ნაყოფი კოლოფია. ყვა-ვილობს ივნის – აგვისტოში. მრავლდება კბილით და ბოლქვა-კით. ნიორს ახასიათებს მკვეთრი, მშუშხავი გემო და სპეციფი-კური სუნი, აღიზიანებს ლორწოვან გარსს.

მისი სამშობლო – შუა აზიაა. რუსეთში და საქართველოში იზრდება მწარე ნიორი, ეგვიპტეში და აზიაში ტკბილი ნიორი. იგი პოპულარული იყო 2 ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ძველ ეგვიპტეში პაპირუსზე ჩანს ნივრის გამოყენების 22 წესი. იგი პოპულარული იყო საბერძნეთში, რომში, ინდოეთში ანუ იქ, სადაც არ უფრთხოდნენ მის მძაფრ სურნელს. ძველ ჩინეთში კი მას მაგიურ თვისებებსაც მიაწერდნენ და ავი სულებისა განსაღევნ საშუალებად მიიჩნევდნენ.

ნიორი შეიცავს თიოგლიკოზიდებს და გოგირდშემცველ ეთეროვან ზეთს 0,4%. ეთეროვან ზეთში არის მაღალი რეაქციული უნარის მქონე შენაერთი ფიტონციდი -ალიკინი, რომელიც მიიღება გოგირდაზოგშემცველი ნივთიერების ალინის დაშლის შედეგად ფერმენტ ალინაზას ზეგავლენით, ფიტოცინდებს დიდი რაოდენობით შეიცავს ნივრის ბოლქვი. იგი ასევე შეიცავს პოლისაქარიდებს - 30%, ამიტომაც მას ტკბილ ბოსტნეულს უწოდებენ, B და C ვიტამინებს, ფიტოსტეროლებს, ცხიმოვან ზეთებს, მიკროელემენტებს, მათ შორის Se, Ge, Si, ადენოზინს, ნუკლეინის მჟავას.

ნიორს ახასიათებს ანტიმიკრობული, ანტისეპტიკული, ანტივირუსული აქტივობა. სანელებლების მეფედ აღიარებულ ნიორს შეუძლია შეცვალოს ბევრი სინთეტიკური წამალი, რომელსაც ზოგჯერ უკუჩვენებებიც აქვს. იგი აძლიერებს მადას და კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ამაღლებს იმუნიტეტს, იცავს ადამიანს სეზონური დაავადებებისგან, კბილებს კარიესისა და ნადებისგან, აჯანსალებს მინანქარს, ხელს უშლის ღრძილების ანთებასა და სისხლდენას, პაროდონტოზის განვითარებას. დაავადების გამომწვევი პაქტერიებისგან პირის ღრუს გასაწმენდად სრულიად საკმარისია 3-4 წუთი ერთი კბილი ნიორი ღეჭოთ.

ნიორი აღიარებულია გაცივებისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალებად. მისი სამკურნალო თვისებები რომ გავაძლიეროთ, საჭიროა

დავჭყლიტოთ და 10-15 წუთი ჰაერზე გავაჩეროთ, რათა უანგბადმა გააქტიუროს ფერმენტები და მოხდეს სუპერაქტიური ნივთიერებების სინთეზი. ეს პროცედურა უნდა ჩაატაროთ ნივრის თბური დამუშავების წინაც. მიჩნეულია, რომ ნივრის დღიური ნორმაა 4გ (ორი კბილი), რომელიც დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ. მაგრამ გრიპის ან გაცივების დროს ნორმა უნდა გაიზარდოს 1,5-2,0 -ჯერ. გრიპის დროს ოთახში უნდა დადგათ დაჭყლეტილი ნიორი და დღეში 3-4-ჯერ გამოცვალოთ. ნიორი უნდა დაამატოთ სანკვებს.

ნიორი არის ნაღველმდენი, ხელს უშლის ღვიძლის ტოქსინებით დაზიანებას და გამოდევნის მისგან მავნე ნივთიერებებს, აქვს ანტიმიკრობული და ანტივირუსული თვისება, ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, სისხლძარღვებში კალციუმის დალექვას. იგი უნდა ჩართოთ გულით დაავადებულთა დიეტაში. ნიორი არაჩვეულებრივად ერწყმის წამლებს, აძლიერებს მათ ეფექტიანობას, აქვეითებს წნევას, სისხლში ქოლესტერინისა და ლიპიდების დონეს. ნიორი უნდა მიიღონ არა მარტო II ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებმა, არამედ მათაც, ვისაც ეს დაავადება ემუქრებათ. ის ამცირებს სისხლში შაქრის დონეს, აფერხებს ე.წ. გლიკოლიზის წარმოქმნას, რომელიც აზიანებს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს ორგანიზმის სწრაფად დაბერებას. ექიმებს მიაჩნიათ, რომ ნივრის ეს თვისება შეიძლება გამოყენებული იქნეს ორგანიზმის გაახალგაზრდავების საშუალებად. გარდა ამისა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ნივრით უმკურნალონ მსხვილ ნაწლავს, კუჭს, მკერდს, პროსტატას, ფილტვებს, ღვიძლს. ეთეროვან ზეთების და ფიტონციდების შემცველობა ანიჭებს მას ანტისეფტიკურ, ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობების შემახორცებელი თვისებებს.

● ნივრის წვენი აფართოებს გულისა და თავის ტვინის სისხლძარღვებს, ანესრიგებს გულის რიტმს, დიეტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, შველის თავის ტკივილს.

● გრიპის და გაციების პროფილაქტიკისათვის: დანაყილი ნიორი და ცაცხვის ან წინიბურას თაფლი შეურიეთ ერთმანეთს ს/კ ერთი კვირის განმავლობაში მიიღეთ;

● სურდოს დროს: ისუნთქეთ დანაყილი ნიორი 1-2 წუთის განმავლობაში. დაბოლოს, ნივრის სუნმა რომ არ შეგანუხოთ, დალეჭეთ ქინძი, ნედლი ოხრახუშის ფოთლები ან ფესვები, დალიეთ ცხელი რჩე.

● ხელებიდან ნივრის სუნს მოიცილებთ, თუ წაისვამთ მარილს და დაიბანთ თბილი წყლით.

ნიორი სისხლში მავნე ქოლესტერინის შემცველობას ამცირებს. ეს ცხარე ბოსტნეული სისხლძარღვებში დაძაბულობას ხსნის და არტერიულ წნევას ნორმალურს ხდის. თუ ჰიპერტონიის შეტევის დროს წნევის დასაწევი წამალი უკვე მიიღეთ, დამატებით ნივრის თერაპია არ ღირს – სხვადასხვა წნევის დამწევ პრეპარატთან შერწყმისას შეიძლება ჯანმრთელობას ავნოს. ალიცინი აუმჯობესებს ტვინის მუშაობას, ნერვული სისტემის ნორმალიზებას ეხმარება და შრომისუნარიანობას ამაღლებს. ის ნივრის ერთადერთი სასარგებელო შემადგენელი არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ნივრით მდიდარი კვება ზოგიერთი ტიპის ავთვისებიანი წარმონაქმნის აღმოცენების რისკს ამცირებს. სამწუხაროდ, კულინარული დამუშავება მის ამ თვისებას საგრძნობლად ასუსტებს.

ნიორს მთელი აფთიაქის შეცვლა შეუძლია. ძალის გამოლევის დროს რეკომენდებულია ჭამის წინ 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ნიორი, თაფლში არეული. თუ სურდო გაქვთ, ნივრის ინჰალაცია გაიკეთეთ. გაციების, ხველისა და ყელის ტკივილის დროს ნივრის ნახარში დაგეხმარებათ. ნახევარი ჭიქა წყალი აადულეთ და ჩაის კოვზის მეოთხედი მსხვილად დაჭრილი ნიორი დაუმატეთ. 2-3 წუთი წამოადულეთ, გადმოდგით, გაწურეთ და 45 წუთი გააჩერეთ. ნახარში დღეში ერთხელ ნახევარი ჭიქა დალიეთ. თუ კოური გაქვთ, ნივრის კბილი თხელ ფენე-

ბად დაჭერით და სალპუნის დახმარებით კოფრზე დაიმაგრეთ, მთელი ლამე დაიტოვეთ.

ნიორი გამოიყენება კულინარიაში: სხვადასხვა სალათებ-ში და სუპებში. კორეულ კულინარიაში ნიორის ფერმენტაციით მაღალ ტემპერატურაზე შავ პასტას იღებენ, რომელიც ძალიან ტკბილია.

ნივრის ჯადოსნურად სასარგებლო თვისებებია:

- ნიორი საუკეთესო ბუნებრივი იმუნომოდულატორია;
- ნიორს ორგანიზმში მოხვედრილი ვირუსებისა და მიკ-რობების, დაავადების გამომწვევი ყველა ბაქტერიის განადგურება შეუძლია. ამასთან ტოქსიკურ მოქმედება-საც არ ახდენს.
- ნიორს შეუძლია დაავადების საწყის ეტაპზე ხველა და პნევმონია;
- ნიორი ასუფთავებს ორგანიზმს მძიმე ლითონებისაგან (ტყვია, ვერცხლისწყალი, კადმიუმი);
- ნიორს შეუძლია სისხლძარღვების გაწმენდა და ათე-როსკლეროზის განვითარებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი;
- ნიორის გამოყენებით ქოლესტერინის 20%-ის გაქრობა შეიძლება;
- ნიორი მიკროელემენტებისა და ვიტამინების მდიდარი შემადგენლობის წყალობით, პოლივიტამინების საუკე-თესო ბუნებრივი კომპლექსია. მასში შედის უიშვიათესი ნივთიერებები, მაგალითად, გერმანიუმი და გოგირდი;
- ნიორს შეუძლია სისხლში ტრომბების ჩამოყალიბების თავიდან აცილება და ვენების გამაგრება;
- ნიორი ორგანიზმის ზოგად ტონუსს, შრომისუნარიანო-ბას, სინამდვილის აღქმის სიმძაფრეს, ცხოვრებისადმი ინტერესს ამაღლებს. ნივრის კბილების დაჭყულეტის დროს წარმოიქმნება განსაკუთრებული ნივთიერება – ალლიქსინი, რომელიც სტრესისადმი მდგრადობას

ზრდის და ორგანიზმს სიმსივნური დაავადებებისგან იცავს;

- ნიორი ამაღლებს ყურადღების კონცენტრაციას, აძლიერებს შემოქმედებით უნარებს, ააქტიურებს აზროვნების პროცესს, აუმჯობესებს მეხსიერებას, ის თავის ტვინის უჯრედებს აუცილებელი ნივთიერებებით ამარაგებს და მის სისხლძარღვებს ასუფთავებს.
- ნიორი საუკეთესო ანტიოქსიდანტია, ხელს უწყობს ახალგაზრდობის შენარჩუნებას, ინარჩუნებს კანის ლამაზ ფერს, არეგულირებს ზედმეტი წონის პრობლემებს;
- ნივრის გაძლიერებული მიღება კიბოს დაავადებების რისკსაც ამცირებს. ასე რომ, ზოგჯერ ისეც ხდება – რაც გემრიელია, სასარგებლოცაა.

ნიორს ბევრ უცნაურობასაც მიაწერენ, რომელთაგან ერთ-ერთი ისაა, რომ იგი თურმე ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარულს აღვივებს და სექსუალურ ლტოლვასაც ბადებს. ამ მცენარის სუნი, წერდა გასული საუკუნის ერთი ცნობილი ინგლისელი მზარეული, ადრე დამამცირებლად ითვლებოდაო, ამიტომაც დიდ ბრიტანეთში იგი მხოლოდ 1548 წელს ხმელთაშუა ზღვიდან შემოვიდა. მოკლედ, ინგლისელთათვის ის დიდხანს ჯოჯოხეთურ სურნელთან ასოცირდებოდა, რომელიც ლა-მანშის იქით იწყებოდა. თუმცა მთელ ევროპაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, ნიორი სალათების, სუფების და შემწვარ-მოხრაკულების საუკეთესო არომატიზატორია. ჰომეოპატიაში ნივრის ნედლ ბოლქვებს ხმარობენ მრავალი პატოლოგიის დროს.

ოხრახუში (*Petroselinum*) – Parsle – Петрушка

ოხრახუში (*Petroselinum*) 30-100 სმ სიმაღლის ერთი ან ორნლოვანი მცენარეა ქოლგოსანთა (*Apiaceae*) ოჯახიდან, თეთრი, თითისტარისებრი, ზოგჯერ ძლიერ მსხვილფეხვიანი მცენარეა. ლეროს ზედა ნაწილში ტოტები ერთმანეთის მოპი-

რისპირედ ან რგოლულადაა განლაგებული. ცენტრალური ქოლგის ქვემო კვანძიდან გამოსული ტოტები კი ჩვეულებრივ ცენტრალურ ქოლგაზე მაღლებია. ფოთლები სამკუთხედია, მუქი მწვანე შეფერილობით, ზემო მხრიდან მბრნყინავი. ფესვთანა და ლეროს ქვედა ნაწილის ფოთლები გრძელყუნწიანია, ორ-სამ ფრთად განკვეთილი, შებრუნებულკვერცხისებრი, ფუძესოლისებრი, სამადგანკვეტილი, ღრმად დაკბილული კენწრული ნაწილებით. დაკბილვა ბლაგვია, მცირე ზომის მოთეთრო წვეტით. ზედა ფოთლები სამკაპია, ლანცეტახაზური, მთლიანი ან სამადგაყოფილი ნაწილებით. ყვავილები მოყვითალო-მწვანეა, 10-20 სხივიან რთულ ქოლგებშია შეკრებილი, ნაყოფი ორ-თესლიანი თესლურაა, რომელიც 2-ნახევრად იყოფა, თითეული ნახევარნაყოფი 5 ძაფისებრ ნახნაგიანია. ყვავის ივნის-ივლისში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში.

ოხრახუშის სამშობლოა ხმელთაშუაზღვისპირეთი. გავრცელებულია თითქმის ყველგან. ოხრახუში ძველ ეგვიპტეში, შემდეგ კი ძველ საბერძნეთში მწუხარების სიმბოლოდ ითვლებოდა. ოხრახუშის ფოთლებით მოწნულ გვირგვინს ადამიანი გლოვის ნიშნად ატარებდა. მწვანილად კი მისი გამოყენება შუა საუკუნეებიდან დაიწყეს. საკვებად და სამკურნალოდ გამოიყენება მთლიანი მცენარე. არის ძვირფასი სანელებელი.

ცნობილია ოხრახუშის 3 სახეობა, კულტურაშია ერთი — ბოსტნის ოხრახუში *Petroselinum Sativum* ორწლოვანია, პირველ წელს ინვითარებს ფოთლებსა და ძირხვენას, მეორე წელს — საყვავილე ლეროსა (75 – 150 სმ) და თესლს. ყინვაგამძლეა, თესენ გვიან შემოდგომით, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე. თესლი 2-3 °C ტემპერატურაზე ღივდება, ტენს ზომიერად მოითხოვს. ოხრახუში მდიდარია ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებითა და ეთერზეთებით. იყენებენ ნედლად და გამხმარს კულინარიასა და საკონსერვო მრეწველობაში, მედიცინაში (მარდმდენ საშუალებად).

ოხრახუშის 2 სახესხვაობაა – ძირხვენა ოხრახუში და ფოთლოვანი ოხრახუში.

ოხრახუში შეიცავს ასკორპინის მჟავას, რთულ ეთერზე-თებს 0,1%, არომატულ ზეთებს, პროტეინს, ცხიმებს, სახამე-ბელს, უჯრედისას, პექტინოვან ნივთიერებებს, ფლავონოლიდებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს – B₁, B₂, C, K, PP, ფიტოცინ-დებს, მაკროელემენტებს – K, Ca, Mg. მიკროელემენტებს – Fe, Mn, Cu, Zn, Co, Cr, Al, Ba, V. ნედლი ფოთლები შეიცავს ე.წ. ოხ-რახუშის ქაფურს ანუ აპიოლს, აგრეთვე ტანინსა და პინენს.

მედიცინაში ოხრახუში გამოიყენება საშარდე გზების და-ავადების დროს. აჭარაში გადაურგველ მაკიდოს იყენებენ სიც-ხის დროს. ხალხურ მედიცინაში ფესვების წყლიან ნაყენსა და დაფქვეულ ნაყოფებს იყენებდენენ, როგორც შარდმდენს, თირ-კმლებისა და საშარდე ბუშტის დაავადების დროს, თირკმლის ჭვალის, ნაწლავის სპაზმისა და მეტეორიზმის დროს, მენსტრუ-ალური ტკივილების და წინამდებარე ჯირკვლის ანთებისას. თესლები ხასიათდება დიურეზული და ანტისპაზმური მოქმე-დებით, აძლიერებს კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეტორულ მოქმე-დებას, აუმჯობესებს საჭმლის გადამუშავების პროცესს. ფოთ-ლებისაგან მიღებული წვენი გამოიყენება კანზე ლაქებისა და გამონაყარის მოსაშორებლად.

ოხრახუში, თავისი უნიკალური თვისებების გამო, ოდით-განვე გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც სამკურნა-ლო მცენარე. ის ეხმარება სისხლის შედედებას, მისი მიღება აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას. ჰემოგლობი-ნის ასამაღლებლად საჭიროა ოხრახუშის ქორფა ფოთლებისა და ფესვების მიღება. ის მოქმედებს, როგორც უებარი საშუალე-ბა. ოხრახუშის წვენს არაერთი დაავადების დროს იღებენ. მათ შორის: თირკმლის, ღვიძლისა და ნალვლის ბუშტის გასასუფთა-ვებლად. ოხრახუშს ჭამენ კენჭოვანი დაავადებების დროს, რო-გორც შარდმდენ საშუალებას. ასევე, ისეთი ინფექციური დაა-ვადებებისას, როგორიცაა წითელა, ჩუტყვავილა და ქუნთრუშა.

თუ გსურთ, თირკმელები გაიწმინდოთ, 1-2 სადილის კოვზ დაჭ-რილ ოხრახუშს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ცოტა ხნით. სვით მთელი დღის განმავლობაში, როცა მოგწყურდებათ.

ოხრახუშს იყენებენ წყალმანკის, გულის მიზეზით გამოწ-ვეული შეშუპებების, მონელების პროცესების მოშლის და საშ-ვილოსნოდან სისხლდენის დროს. ოხრახუში აძლიერებს შარ-დის გამოყოფას, საშვილოსნოს ნაწლავებისა და საშარდე ბუშ-ტის გლუკი კუნთების ტონუსს. ოხრახუშის თესლი შარდმდენ საშუალებად იხმარება ქართულ ხალხურ მედიცინაში.

ოხრახუშის მწვანე მინისზედა ნაწილებს თვალის სწეულე-ბათა მკურნალობისათვის იყენებდნენ. მიაჩნიათ, რომ ოხრახუ-შისა და ქინძის წვენების თვალში ჩაწვეთება ღამის პირობებში მხედველობის გაძლიერებას განაპირობებს, ასევე ეფექტურად მიიჩნევდნენ თვალის მკურნალობისას ოხრახუშისა და ქინძის წვენების ნარევში ქალის რძის დამატებას. ოხრახუშის თესლისა და ფესვებს თირკმელების ტკივილის დამამშვიდებელი თვისება გააჩნია. ოხრახუში არსებული ნივთიერებები კენჭებს შლის თირკმელებსა და საშარდე ბუშტში. იგი პირის ლრუში ცუდ სუნს სპობს, საამისოდ მას ღეჭავენ.

ოხრახუშის გამოყენება ორსულთათვის ფრიად სახიფათოა.

მარწყვის ირგვლივ დათესილი ოხრახუში მას ლოკოკინე-ბისაგან იცავს, ხოლო ვაზის ირგვლივ დათესილი ვაზის ფი-ლოქსერასაგან.

პანტა კავკასიური (*Pyrus Communis*) – Wild Pear Tree – Лесная Груша

პანტა (*Pyrus Communis*) ტანმაღალი ხეა. იგი დაახლოე-ბით 20 მეტრამდე იზრდება. სინათლის ჯიშია, ასევე სიცივისა და სიმშრალის ამტანია. სიმშრალეს ლრმად განვითარებული ფესვთა სისტემით უძლებს. ზღვის დონიდან 1600-1800 მეტრამ-

დე ადის. პანტის ნაყოფი როგორც ახალი, ისე გადამუშავებული ფართოდ გამოიყენება სახალხო მედიცინაში. ასევე მისგან ამზადებენ წვენებს, ესენციებს, ღვინოებს, ბურახს, ხილფაფებს ჩირებს და სხვა. პანტა ფართოდ გამოიყენება მეხილეობაში საძირედ.

პანტა (*Pyrus Communis*) ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, იგი საკმაოდ მაღალი, 20 მეტრამდე სიმაღლის ხეა. ყლორტების კანი მოყავისფროა, ტოტების ქერქი ნაცრისფერი ღეროზე კი მუქი ნაცრისფერია. მომრგვალო ან კვერცხისებრი, საკმაოდ გრძელყუნწინი, პრიალა, კიდემთლიანი ფოთლები და-მოკლებულ ტოტებზე ჯგუფურად, დაგრძელებულ ტოტებზე კი მორიგეობითა გაწყობილი. საშუალო ზომის (2,5-3,5 სმ დაიმეტ-რში), ხასხასა თეთრი ფერის, ზოგჯერ ოდნავ მოვარდისფრო ყვავილები დამოკლებულ ტოტებზე ფარისებრ ყვავილედებშია შეკრებილი, მოუმნიფებელი ნაყოფი მწვანეა, მომწიფების წინ მოყვითალო-მწვანე, ხოლო მომწიფებული – მუქი ყავისფერი, ფორმით მსხლისებრი, მომრგვალო ან მობრტყო, გრძელყუნწიანი ნაყოფის რბილობი მდიდარია გაქვავებული უჯრედებით. ყვავის ფოთლების გამლასთან ერთად პარილ-მაისში, ნაყოფი აგვისტო-სექტემბერში მწიფდება, ზოგან უფრო გვიან. უხვი ნაყოფის მსხმოიარობა ყოველი 1-2 წლის შემდეგ მეორდება. პანტის ნაყოფი 6-13% ნახშირწყლებს (ძირითადად მონისახარს), 0,12-0,19% ლიმონის და ასკორბინის მუავას, 4%-მდე პექტინებსა და მთრიმ-ლავ ნივთიერებებს, აგრეთვე მცირედ კაროტინს შეიცავს.

პანტის ნაყოფი სრულ სიმწიფემდე მწკლარტეა, მაგრამ კარგად დამწიფებული საუცხოო არომატისა და გემოსია. მას აგროვებენ და სხვადასხვა წესით საზამთრო ხილად ინახავენ, განსაკუთრებით მაღალმთიან ზონაში. იგი გამოიყენება კომპოტების და ესენციების დასამზადებლად, რომლისგანაც ხილის გამაგრილებელ წყლებს ამზადებენ. ნახშირწყლების შემცველობის გამო ნაყოფები ვარგისია ღვინის, ძმრის და არყის გამოსახ-დელად. მისგან ბურახსაც აკეთებენ. ხმელ პანტას ფქვავენ და

პურის ფქვილში ურევენ, მისგან აკეთებენ ტქბილ კვერს, თათარას ჩურჩხელებისათვის და სხვ. პანტას ნაყოფი უძველესი დროიდანვე აღიარებულია კუჭის შემკვრელ საშუალებად, სახალხო მედიცინა ფართოდ იყენებს კუჭაშლილობის დროს. მონითალო ფერის მერქანი უძვირფასესი მასალაა საავეჯო წარმოებისა და წვრილმანი სახარატო ნაკეთობებისათვის. ყოველივე ზემოაღწერილი ვრცელდება ბერყენას სხვადასხვა სახეობის ნაყოფებზეც. ბერყენას ნაყოფიც დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც კარგი ხილი და სამკურნალო საშუალება კუჭაშლილობის დროს.

პიტნა ბალის (*Mentha Piperita*) – Peppermint – Мята Перечная

ცნობილია გვარი (*Mentha*) შემდეგი სახეობებით: ბალის პიტნა (*Mentha Piperita*), ტყის პიტნა (*Mentha Longifolia*), მინდვრის პიტნა (*Mentha Arvensis*), წყლის პიტნა (*Mentha Aquatica*), ომბალო (*Mentha Pulegium*), თავშავა (*Origanum*), ბეგქონდარა (*Thymus*), ქონდარი (*Satureja*), რეჰანი (*Ocimum*), სალბი (*Salvia*), ბარისპირა (*Betonica*), ბარამბო (*Mesissa*), როზმარინი (*Rosmarinus*) და სხვ.

საქართველოში ველური სახით გავრცელებულია მინდვრის პიტნა (*Mentha arvensis*), ტყის პიტნა (*Mentha Longifolia*), ომბალო (*Mentha Pulegium*), ამ გვარის გენეტიკური რესურსის მდგომარეობა მდგრადია მთა-ტუშეთში, რაჭაში, ბორჯომის ხეობაში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოში.

ბალის პიტნა (*Mentha Piperita*) წყლის პიტნის (*Mentha Aquatica*) და მწვანე პიტნის (*Mentha Viridis*) შეჯვარებით გამოყვანილი ჰიბრიდია, ველური სახით არ არსებობს, მრავალწლოვანი კლასიკური ბალახოვანი მცენარეა 45-100სმ-მდე სიმაღლით, მსხვილი დატოტვილი ფესურიდან გამოდის მრავალი წვრილი ფესვი, შებუსული ღერო სწორმდგომი, ფუძესთან და-

ტოტვილი და ოთხნახნაგოვანია, მასზე ლანცეტისებრ-კვერცხისებრი, მეჩხერად შებუსული, ხშირი, მოკლეყუნწიანი ფოთლები ჯვარედინმოპირდაპირედაა განლაგებული, ფირფიტის ზედა მხარე უფრო მუქი შეფერილობისაა, ვიდრე ქვედა. ვარდისფერი ან მოთეთრო-იისფერი წვრილი ყვავილები შეკრებილია ცრურგოლებად და წარმოქმნიან კენწერულ ვიწრო, წვრილლანცეტა ფორმის თანაყვავილედებს, ყვავილობს ივლის-აგვისტოში, მაღალმთან ზონაში – სექტემბრის ბოლომდე (ლები, სტეფანწმინდა, ბაკურიანი, შოვი), ნაყოფი შედგება ოთხი კაკლუჭჭისაგან, იშვიათად ინასკვებიან.

Mentha Piperita როგორც პიპრიდული ფორმა, უმჯობესია ჩითილებით გავამრავლოთ, რადგან თესლით გამრავლებული მცენარე კარგავს სასარგებლო თვისებებს, მცირდება ეთერზე-თების შემცველობა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გადარგვის ვადებს მაქსიმალური პროდუქტულობის და ხარისხიანი ნედლე-ულის მისაღებად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთერზე-თების წარმოქმნის პროცესის ოპტიმიზაცია. შემოდგომით გადარგული მცენარეები ითვისებენ სითბოს, ტენს, ინვითარებენ მძლავრ ასიმილაციურ აპარატს, შესაბამისად პირდაპირპოპორციულად ვითარდება ფესვთა სისტემა, მცენარეები მომძლავრებულნი გადადიან მოსვენებით მდგომარეობაში, ვეგეტაციას იწყებენ ადრე გაზაფხულზე, მაქსიმალური პროდუქტულობით და ეთერზეთების შემცველობით გამოირჩევიან. *Mentha Piperita* სამრეველო პლანტაციის გაშენებისას აუცილებლად გამოკვლეულ უნდა იქნეს ეკოსისტემის პარამეტრები (ნიადაგის ნაყოფიერება, მზის ნათების ხანგრძლივობა, გარემოს დაბინძურების ხარისხი და სხვ.), რადგანაც ისინი განმსაზღვრელი ლიმიტირებადი ფაქტორებია პროდუქტულობის და ხარისხობრივი ტესტების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად დიფერენცირდება მცენარის კულტივირების წესი და ვადები .

Mentha Piperita ხასიათდება ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდით, სინათლის მოყვარულია, კარგად ვითარდება გრძე-

ლი დღის პირობებში, იტანს დაბალ ტემპერატურას, ზომიერად ტენისმოყვარული მცენარეა, მომთხოვნია ნიადაგის ნაყოფიერებისადმი, კულტივირებისას უდიდეს როლს თამაშობს ნიადაგის მომზადება, რათა მაქსიმალურად მოხდეს საკვები ელემენტების და ტენის გამოყენება ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი მოსავლის მისაღებად. ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში თესლი გაღივებას იწყებდა $5-8^{\circ}\text{C}$. მოზრდილი მცენარე გვალვაგამძლეა, თუმცა გვალვისას მცხეთაში წარმოიქმნა მცირე განტოტების მცენარეები წვრილი ფოთლებით. ადრე მთავრდება ონთოგენეზის პერიოდი, რაც თავის მხრივ ამცირებს პროდუქტულობას, ირლვევა ეთერზეთების წარმოქმნის პროცესი (კაჭარავა თ. 2009, 2016).

ბალის პიტნა ხასიათდება მაღალი პლასტიკურობით და ძალიან მგრძნობიარეა მოვლის პირობებისადმი, უპირატესობას ანიჭებს ნეიტრალურ ან სუსტმჟავე ნიადაგებს (pH 5-7), ჩვენს ექსპერიმენტებში იგი საკმაოდ არაორდინალურად რეაგირებდა მინერალურ სასუქებზე, აზოტის ჭარბი ნორმა ამცირებს ეთერზეთების დაგროვებას. ეფექტური შედეგები მივიღეთ ორგანული სასუქის-ნაკელის შეტანისას ნორმით 20-40 ტ/ჰა-ზე.

ჩვენ ჩავატარეთ სერია ექსპერიმენტებისა, რომელთა მიზანი გახლდათ ბალის პიტნას კულტივირებისათვის კვების არეს ოპტიმალური რეჟიმის დადგენა ამ უნიკალური მცენარის აგრობიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. ჩვენი შედეგების მიხედვით ყველაზე ოპტიმალურ კვების არედ შეიძლება ჩაითვალოს 45X20 და 70X20, თითო მცენარე ბუდნაში. პიტნა სწრაფად მრავლდება ვეგეტაციური გზით, ამიტომ რამდენიმე მცენარე ერთ ბუდნაში არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მძლავრი ასიმილაციური აპარატი ხელს უწყობს არა მარტო ფესვთა სისტემის განვითარებას, არამედ გენერაციული ღეროების ჩამოყალიბებას. ყველაზე მისაღები ვარიანტებიდან 45X20 და 70X20 კვების არე – დაფიქსირდა მძლავრი საასიმილაციო აპარატი, გენერაციული ღეროები და ყვავილედები, რაც პროდუქტულობას ზრდის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიხშირითაა სა-

სურველი სამრეწველო პლანტაციების შექმნა, რადგან გაცილებით ადვილია მექანიზაციის ჩართვა აგროტექნიკური ღონისძიებების შესასრულებლად.

სამკურნალო მცენარეთა და რა თქმა უნდა, ბალის პიტნას სასაქონლო ფასს განსაზღვრავს ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობა. სამკურნალო, არომატული და სანელებელი მცენარეები პრეტენზიულები არიან ეკოსისტემის პარამეტრებისადმი, თუნდაც ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი ფაქტორის გამორიცხვა ინვევს მასში ხარისხობრივი ტესტების დისბალანსს, რაც თავის მხრივ აუარესებს სასაქონლო ფასს.

Mentha Piperita ფოთლები შეიცავს ეთეროვან ზეთს 1,5-2,7%, რომლის შემცველობა იზრდება ეკოსისტემის პარამეტრებისა და ჯიშის მიხედვით 3,5%-მდე, ზეთის ძირითადი კომპონენტია მენთოლი 50-80%, კეტონი მენთონი 10-30%, პულეგონი, მენთოფურანი, იზომენთოლაცეტატი, ტერპენებიდან პიმენი, ლიმონენი, საბინენი. უნდა აღინიშნოს, რომ ეთეროვან ზეთში 100-მდე კომპონენტია. ეთეროვანი ზეთით მდიდარია მცენარის მინისზედა ნაწილი მთლიანად, განსაკუთრებით ყვავილედი – 4-6%, ღეროებში ეთერზეთები კვალის სახითაა, ზოგჯერ 0,3%-მდე. ბიოლოგიურად აქტიური შენაერთებიდან ფოთლებში მოიპოვება მთრიმლავი ნივთიერებები, ანტოციანები, ფლავონოიდები, ფენოლკარბონის მჟავები, საპონინები, ორგანული მჟავები, ნახშირწყლები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინტერესოა პროდუქციის შენახვისას მასში მიმდინარე ხარისხობრივი ტესტების ცვლილებები. დროულად აღებული, სწორად დამუშავებული ბალის პიტნას ნედლეული მუდმივი ტემპერატურისა ($16-18^{\circ}$) და გარემოს ფარდობითი ტენიანობის (65 – 75%) პირობებში 2 წელი და ხშირად მეტიც ინარჩუნებს სასაქონლო სახეს, რაც კიდევ ერთი საუკეთესო თვისებაა ამ მართლაც უნიკალური მცენარის.

ბალის პიტნის ფოთლებს ამზადებენ, როდესაც ყვავილების მაქსიმალური რაოდენობაა გაშლილი, ამ დროს დამზადებუ-

ლი ნედლეული დიდი რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთებს, მათ შორის მენთოლს.

ბალის პიტნის ფოთოლი არის პლაზმოლიზური და ნაღვლისდამდენი საშუალება, შედის დამამშვიდებელ და კუჭ-ნაწლავის მოქმედების მომწესრიგებელ ნაკრებებში. ეთეროვანი ზეთი გამოყენებულია კომპლექსური პრეპარატების კორვალოლი, კორვალდინი, უროლესანი, ინგალიპტი და სხვ. დამზადებისას. განსაკუთრებით ეფექტურია მენთოლი, რომელიც შედის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატებში. შედის ყველა ქვეყნის ფარმაკოპეაში.

უხსოვარი დროიდან პიტნის ფოთლები ფართოდ გამოიყენება ფიტოკულინარიაში. ამიტომ, სწორი მარკეტინგის შემთხვევაში, პიტნის რეალიზაცია წარმატებით შეიძლება. განსაკუთრებით პერსპექტიულია პიტნის კულტივირება იქ, სადაც პიტნის ზეთის მიღების შესაძლებლობა არსებობს.

ოფიცინალური სახეობის გარდა მეცნიერული მედიცინა იყენებს ომბალოს, წყლის, მინდვრისა და ტყის პიტნებს. პიტნა ხალხურ მედიცინაში ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო მცენარეა. დავით ბატონიშვილი, „იადიგარ დაუდში“ არაერთ ადგილას მოიხსენიებს მას. მოვიყვანთ რამდენიმე ციტატას: „ვინცა პიტნის წყალი გამოჰხადოს და ქაფურითა გააყენოს და შუბლზედა დაიდვას, მაშინვე ცხვირსა სისხლი დასწყუიტოს“.

„ვინც თბილ-თბილი პიტნისა ან კაპრის წვენი ყურშიგა ჩაინუროს, თუ მატლი და ჭია უქლეს, მოკლას და ტკივილი უშველოს, და სისხლისა და ბალლამსა გამოსწოდეს“.

თაგვისებრი მღრნელების წინააღმდეგ პიტნის კონებს ათავსებენ სათავსოებში. პიტნას რგავენ ნაყოფჭამიების, ხვატარის, პეპლების დაფრთხობის მიზნით მცენარეთა რიგთაშორისებში.

სალბი სამკურნალო (*Salvia Officinalis*) – Garden Sage – Шалфей Лекарственный

სამკურნალო სალბი (*Salvia Officinalis*) – მრავალწლოვანი, ნახევრად ბუჩქოვანი მცენარეა ტუჩოსანთა (*Lamiaceae*) ოჯახიდან, სიმაღლით 50-80 სმ-ია, იშვიათად 100 სმ სიმაღლისაა. ფესვი ძლიერია, მერქნისებური. ღერო დატოტვილია, ქვემოთ კი ოთხნახნაგოვანი. ფოთლები მოგრძოა, მოპირისპირედ განწყობილი ღეროზე, ყუნწიანი, სიგრძით 2-8 სმ, სიგანით 0,5-2,5 სმ, ნაოჭიანი და შებუსულია, შეფერილობით მწვანე ან მონაცრისფრო-მწვანეა. მცენარეები ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ ფერს იცვლიან და მოვერცხლისფრონი ხდებიან, სუნი არომატული, გემო მომწარო-სანელებლის, ოდნავ ძელვი. ყვავილედი მარტივია ან დატოტვილი 6-10 ყვავილოვანი ცრუ რგოლით, მოლურჯო-იისფერი ყვავილებით, სხედან თანაყვავილედებად უბეებში. 4 ნაყოფი იშლება ერთთესლიან კაკლუჭად. ჩვენს პირობებში სალბი ყვავილობს მაის-ივნისში. ნედლეულის შეგროვებას აწარმოებენ ნაყოფის შემოსვლის დროს ივლისის დასაწყისიდან ოქტომბრამდე. ამ დროს ფოთოლში ეთერზეთების მაქსიმალური რაოდენობაა დაახლოებით 2,5%. სამკურნალო ნედლეულად გამოიყენება სალბის ფოთლები. სალბის გამშრალ ტოტებს ინახავენ მშრალ ადგილას არა უმეტეს 2 ნლისა.

სამკურნალო სალბი გავრცელებულია ხმელთაშუაზღვის, ცენტრალური ევროპისა და მცირე აზიის არეალში. ფოთლებთან ერთად გერმანულ ფარმაკოპეაში გამოიყენება ბერძნული სალბი, რომელშიც დომინირებს ეთერზეთი ცინეოლი, ამიტომაც გემოთი და არომატით იგი წააგავს ევკალიპტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ველურად გავრცელებული ველის სალბი სამკურნალო მიზნით არ გამოიყენება, რადგანაც მასში ეთერზეთების რაოდენობა საგრძნობლად მცირეა კულტივირებულ ფორმებთან შედარებით.

სალბი ხარობს შედარებით მშრალ ადგილებში. კარგად ვი-

თარდება მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგზე. მრავ-ლდება თესლით და ჩითილებით. თესვის ნორმა 8-10 კგ/ჰა. იგი წვრილთესლოვანი კულტურაა, ამიტომაც თესვის სიღრმეა 1,0-1,5 სმ, კვების ოპტიმალური არე კი 45X25, 75X25. თესვას აწარ-მოებენ შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე, წინამორბედი სა-სურველია იყოს მარცვლოვანი კულტურები. სრულყოფილ აღ-მონაცენს ვლებულობთ 18-22 დღის შემდეგ (კაჭარავა თ. 2016).

სამკურნალო სალბი თაფლოვანი მცენარეა, თაფლის პრო-დუქტულობა აღწევს 200 კგ/ჰა. მცენარის ყველა ნაწილი შეი-ცავს ეთერზეთებს: პინენს, ტუიონს, ბორნეოლს და სხვა ტერპე-ნულ ნაერთებს. ეთერზეთების ძირითადი კომპონენტია ცინეო-ლი 15%-მდე, ბიციკლური ტერპენები, ნაპოვნია აგრეთვე ტრი-ციკლური სესქვიტერპენი ცედრენი. ფოთოლი შეიცავს: ფლავო-ნოიდებს, ალკალინიდებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს P და PP, ფილოვან, მთრიმლავ და ცვილისებრ ნივთიერებებს, ფიტონ-ციდებს. სამკურნალო სალბი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, მისი ანთებსანინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებები და-კავშირებულია მიწის ზედა ნაწილში ეთერზეთების, ვიტამინების P და PP, მთრიმლავი და ფლავონოიდური შენაერთების შემცვე-ლობასთან. სალბის გალენური პრეპარატები გამოიყენება პირზა-სის, ცხვირზახის და ზედა სასუნთქი გზების ანთებითი დაავადე-ბებისას. მას იყენებენ წყალნაყენის სახით კანის ანთებითი დაა-ვადებების დროს, წყლულებისა და ჭრილობების სამკურნალოდ, მსუბუქი დამწვრობის დროს. სალბი გამოიყენება გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს. ასევე ტუბერკულოზის სამკურნალოდ. კოსმეტიკაში ფე-რისმჭამელების წინააღმდეგ სამკურნალოდ.

სალბი გამოიყენება ფიტოკულინარიაშიც. არომატული ღვინის მისაღებად ღვინოს უმატებენ სალბს. მისგან ამზადებენ ქათმისთვის სოუსს. ძველად ვარდისწყალთან ერთად იყენებდნენ სალბის წყალსაც, როგორც კულინარიულ საშუალებას ფართოდ იყენებენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ნიდერლანდებში ცხელ

რძეს სალბთან ერთად სვამდნენ, როგორც ენერგიის ელექტრის. სამყურნალო მცენარეებიდან, კერძოდ სალბიდან დამზადებულ პრეპარატებზე უნდა ითქვას რომ ისინი უვნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. მათი უპირატესობა განპირობებულია შერბილებული და თანდათანობითი ზემოქმედებით, უკიდურესად დაბალი ტოქსიკურობით, გვერდითი მოვლენების გარეშე.

სამყურა (*Trifolium Pratense*) – Marsh Trefoil – Бахта Трёхлистная

სამყურის მრავალი სახეობიდან, რომელიც გაერთიანებულია გვარ *Trifolium* – ში, მინდვრის კულტურაში ფართო განვითარება მიიღო წითელმა სამყურამ ანუ მდელოს სამყურამ – *Trifolium Pratense*. მისი კვებითი ღირებულება პირველ რიგში განისაზღვრება პროტეინის შემცვლელობით, რომელიც მწვანე მასაში აღწევს 16,8%, ხოლო თივაში – 15,2%.

სამყურა ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. იგი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, რომში, მცირე აზიაში. ამ-ჯამად გავრცელებულია ყველა კონტინენზე, გარდა აფრიკისა.

სამყურა წითელი (*Trifolium Pratense*), ანუ მდელოს სამყურა (*Trifolium Pratense*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მინდვრის პირობებში თესვისას იგი ცოცხლობს 2-4 წელი. ფესვთა სისტემა აქვს ღერძულა – ცენტრალური, რომელზეც მრავალრიცხოვანი გვერდითი გამონაზარდია წვრილი ფესვებით. ფესვების ძირითადი მასა (75-80%) თავმოყრილია ნიადაგის ზედა, სახნავ ფენაში. ცალკეული ფესვები ჩადიან ნიადაგში 1,5 მეტრზე, რომელიც დიდი რაოდენობით ითვისებენ წყალს, ფოსფორს და კალიუმს. ღეროები მცენარეს აქვს ცენტრალური ანუ ღერძულა, რომელიც სიცოცხლის პირველ და მეორე წელს ვერ აღწევს მთლიან განვითარებას, იზრდება 35-70სმ სიმაღლის. მთავარი ღეროდან გამოიზრდებიან მრავალრიცხოვანი გვერდითი ტოტები – განახლების ტოტები, განსაკუთრებით გა-

თიბვის შემდეგ. ყვავილედი სფეროსებრი, ან ოდნავ წაგრძელებული თავია, 2,5სმ დიამეტრის, რომელშიც 70-100 წვრილი წითელი – იისფერი ყვავილებია. მცენარე – ჯვარედინად დამტკერვადია, ძირითადად მწერების, ფუტკრის საშუალებით ხდება დამტკერვა. ნაყოფი ერთთესლიანი პარკია. თესლი წვრილია 1000ცალი მარცვლის მასა 1,7-1,8 გ-ია.

მორფოლოგიური და ბიოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით, იყოფა ორ ქვესახელად:

- ჩრდილოეთის ერთხელ სათიბი;
- სამხრეთის ორჯერ სათიბი.

წითელი სამყურა ზომიერი ტენიანი კლიმატის მცენარეა. მისი განვითარებისათვის ნალექების წლიური ჯამი არ უნდა იყოს 400-450მმ-ზე ნაკლები. მცენარის სავეგეტაციო პერიოდში ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობა უნდა შეადგენდეს მთლიანი წყალტევადობის 70-80%. სამყურა ყველა ტიპის ნიადაგებზე იზრდება, მაგრამ მისთვის უვარგისია მაღალი მუავიანობის მქონე ნიადაგები, განსაკუთრებით მოძრავი ალუმინის მაღალი შემცვლელობით – 5მგ-ზე მეტი 100 გ ნიადაგზე, ამ შემთხვევაში საჭიროა ნიადაგის მოკირიანება. ნიადაგის ოპტიმალური მუავიანობა სამყურასათვის სუსტი მუავე ან ნეიტრალურია – (pH – 6-7). მაღალი მუავიანობის პირობებში, სამყურას ფესვებზე არსებული კოჟრის ბაქტერიების სიცოცხლისუნარობა შეზღუდულია და შესაბამისად აზოტის ფიქსაციის დონე დაბალია. სამყურა – ზომიერად თბილი კლიმატის მცენარეა. თესლების აღმოცენება კარგად მიმდინარეობს $10-15^{\circ}\text{C}$ -ტემპერატურისა და საკმარისი ტენიანობის პირობებში.

სამყურა ჩრდილისა და გვალვის ამტანი მცენარეა, ამდიდრებს რა ნიადაგს ორგანული ნივთიერებებით და აზოტით, ითვლება კარგ წინამორბედად ძირითადი კულტურებისათვის. სამყურას ერთი და იგივე ნაკვეთზე ხანგრძლივად კულტივირება იწვევს მისი ზრდა-განვითარების დაქვეითებას. ეს გამოწვეულია სოკოვანი დაავადებების გამომწვევი ბაქტერიების აკუმულაციით და ბაქტერიოფაგის განვითარებით, რომლებიც

ანადგურებენ კოურის ბაქტერიებს. როგორც ყველა პარკოსანი მცენარეები, სამყურაც დიდ მოთხოვნას უყენებს ორგანულ, ფოსფორიან და კალიუმიან სასუქებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფესვებზე არსებული კოურების განვითარებაზე. სამყურას განვითარებაზე დადებიდად მოქმედებს მიკროელემნენტი მოლიბდენი, რომელიც აძლიერებს კოურის ბაქტერიების მიერ აზოტის ფიქსაციის პროცესს. ამისათვის იყენებენ გრანულირბულ სუპერფოსფატს, რომელიც გამდიდრებულია მოლიბდენით. მიმართავენ აგრეთვე დათესვის წინ თესლების მოლიბდენით დამუშავებას.

სამკურნალო თვისებები აქვს ყვავილს და ბალახს. ყვავილი შეიცავს ორგანულ მჟავებს, კაროტინს, პროტეინს, ცხიმებს, გლიკოზიდ ტრიფოლინს და იზოტრიფოლინს, ეთერზეთებს, მთრიმლავ და შემფერ ნივთიერებებს, ფისებს, ვიტამინებს. გლიკოზიდები, მოქმედებენ რა გამაღიზიანებლად ენისა და პირის ლორწოვანის გემოვნების რეცეპტორებზე, რეფლექსურად იწვევენ საჭმლის გადამუშავების გაძლიერებას, მადის სტიმულაციას, კუჭის წვენის სეკრეციის მომატებას, ასევე ნაწლავებისა და კუჭის პერისტალტიკის გაუმჯობესებას. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ყველა ჯირკვლის სეკრეციის გაძლიერებას, ნაღვლის გამოყოფის სტიმულირებას, გარდა ამისა მას აქვს ანტისეპტიური თვისებები, ანთების საწინააღმდეგო და სუსტი საფალარა-თო მოქმედება.

სამყურა გამოიყენება შემდეგი დაავადებების დროს: ხე-ლა, ფილტვების ტუბერკულოზი, გასტრიტი დაქვეითებული მჟავიანობით, ჰემოროიდალური სისხლდენა, ანორექსია განპირობებული ფუნქციონალური მოშლილობით, ნაღვლის ბუმტისა და ღვიძლის დაავადება (როგორც ნაღველმდენი საშუალება), ქრონიკული ყაბზობისას.

გარეგანი გამოყენება: პაროდონტოზი, გინგივიტი, სტო-მატიტი, კატარალური ანგინა და ტროფიკული წყლული. პომე-ოპათიაში გამოიყენება გლაუკომის, გაციებითი დაავადებების,

მიმდინარე ცხელების, თავის ტკივილის, ნერვული დაავადების სამკურნალოდ.

სამყურა ხალხურ მედიცინაში ძირითადად გამოიყენება მადის მოსამატებლად, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს, შაკიკის, გაციების, შეშუპების, მალარიისაა და ზოგიერთი კანის დაავადებების დროს. ასევე ტაქიკარდიისას. სამყურას პრეპარატები გამოიყენება ნახარშის, ნაყენის, ჩაის, ბალახების ნაკრების და აპაზანების სახით.

კომბოსტოს რიგთაშორისებში დათესილი სამყურა მნიშვნელოვნად ამცირებს რწყილებისა და ბუგრების რაოდენობას, მათი ზეგავლენით მავნებლები წყვეტენ კვერცხისდებას.

ტუხტი სამკურნალო (*Althaea Officinalis*) – Mortification Root – Алтей Лекарственный

სამკურნალო ტუხტი (*Althaea Officinalis*) და ხომეჭი (*Althaea Armeniaca Ten.*) მრავალწლოვანი 1,0-1,5 მეტრის სიმაღლის ბალახოვანი მცენარეებია ბალბასებრთა Malvaceae ოჯახიდან.

სამკურნალო ტუხტი (*Althaea Officinalis*) გამოირჩევა მოკლე, სქელი ფესურითა და დატოტვილი ფესვებით, მთავარი ფესვი გახევებულია, ხოლო მრავალრიცხოვანი გვერდითი კი ხორციანია. ღერო რამდენიმეა, შებუსული, სწორმდგომი, ქვევით გახევებული, სიმაღლით 1,0-1,5 მ და უფრო მეტი. ყუნწიანი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, ზედა – მთლიანი, კვერცხისებრი, შუა და ქვედა – სამ ან ხუთნაკვთიანი, წაგრძელებული წვერით, გულისებრი, თათისებრად დაძარღვული, დაკბილული, რბილი და ხავერდისებურად შებუსული. ყვავილები თავმოყრილია წვრილი ფოთლების უბეებში, ქმნიან ღეროს და ტოტების კენწრულ ნაწილში თავთავისებრ ყვავილედს. ყვავილები სწორია, ღია-ვარდისფერი, ხუთფურცლიანი, მელნის-ფერი მტვრიანებით. ჯამი ხუთფურცლიანია ჯამქვეშა 6-9 ფო-

თოლაკით. ყვავილობს ივნისიდან სექტემბრამდე. ნაყოფი რთულია, ჩაჭყლეტილ-მომრგვალებული, ზურგზე სუსტად გამოხატული სიგრძივი ძარღვით და ხშირი, ვარსკვლავისებრი ბეწვებით. თესლი თირკმლისებრია, მუქი მურა ფერის, შიშველი. ყვავილობს ივნის-სექტემბერში. მცენარეს ყოველ ორგანოში აქვს დამცავი ლორნოვანი უჯრედები ზედმეტი აორთქლების საწინააღმდეგოდ.

სამკურნალო ტუხტი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. მის გენეტიკურ რესურსს დაცვა-გაფრთხილება სჭირდება, რადგან მასზე მოთხოვნა იზრდება, ამიტომ აუცილებელია ტუხტის კულტივირებული პლანტაციების შექმნა.

ხომეჭი (Althaea Armeniaca Ten) - ძალიან გავს სამკურნალო ტუხტს, მისი ფესვებიც ნებადართულია მედიცინაში გამოსაყენებლად. მრავალწლოვანი, 60-150 სმ სიმაღლის მცენარეა. ღერო დატოტვილია, ნაცრისფერ-ხავერდისებრი ბუსუსებით. ფოთლები ხერხისებრ-დაკბილული ღრმად დანაკვთულია. ზედა ფოთლები კიდეებზე ღრმად დაკბილულია, სამად გაყოფილი. ქვედა ფოთლები თათისებრდანაკვთულია. ყვავილები მტევნისებრ საგველადაა შეკრებილი, ზის 5 სმ-მდე სიგრძის ყუნწებზე. ჯამქვეშა ფოთლები ვიწრო ლანცეტა, ან ხაზურია, ძირთან შეზრდილი. ჯამის ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრი ფორმისაა, 8-12 მმ სიგრძის, ნაყოფიანობისას ნაყოფზეა გადაფარებული. გვირგვინის ფურცლები მოგრძო-უკუკვერცხისებრია, ყვავილები მტევნისებრ საგველადაა შეკრებილი, ვარდის-ფერ-სოსანისებრი შეფერვით. ნაყოფი 6-9 მმ სიგანისაა. თესლი თირკმლისებრი ფორმისა, სიგრძით 2,1-2,5 მმ, მურა ფერის, შიშველი.

ბალის ტუხტი (Althaea Rosea) - ლამაზად მოყვავილე დეკორატიული მცენარეა. იზრდება 2,5 მ-მდე. აქვს მთლიანი ან თათისებრ დანაკვთული ფოთოლი, ყვავილი – მარტივი ან ბუთხუზა. ყვავილობს უხვად და ნაირფერად (თეთრი, ვარდის-ფერი, ისფერი ან მოშავო-მოწითალო). იყენებენ ყვავილნარებ-

სა და გაზონებში მასობრივ ნარგაობად, ყვავილწნულებში. მის-განაა მიღებული ტუხტის დეკორატიული ფორმები. ხალხური ტრადიცია მასაც მიაწერს სამკურნალო თვისებებს, მაგრამ ოფიცინალურ მედიცინაში ნებადართული არ არის.

სამკურნალო ტუხტის და ხომეჭის საერთო გავრცელების არეალია შუა ევროპა, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო, მცირე აზია. ტუხტი იზრდება ბუჩქნარებსა და მდინარეთა სანაპირო-ებთან, დამლაშებულ მინდვრებზე. იგი მეტნილად გვხვდება ნესტიან ადგილებში, უპირატესად დაბლობ, ვაკე ადგილებში, გავრცელებულია როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ სა-ქართველოში. ხომეჭს უყვარს ტენიანი ადგილები, მდინარეთა ნაპირები. იზრდება აჭარაში, რაჭაში, აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, გარე კახეთში, მესხეთში.

ოფიცინალურ სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ფესვები, რომლებსაც აგროვებენ შემოდგომით. მიწიდან ამოთ-ხრის შემდეგ მას აცილებენ მთავარი ფესვის გახევებულ ნა-ნილს და წვრილ განშტოებებს, ტოვებენ მთავარი ფესვის რბილ ნანილს და მსხვილ გვერდით ფესვებს. შეგროვილ ფესვებს ასუფთავებენ მიწისაგან, დანით ჩამოფხეკენ ნაცრისფერ სა-ცობს და აშრობენ. ფარმაცევტული მრეწველობა იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებს ტუხტის ყვავილებსა და ფოთლებს. მათი დამზადება ყოველთვის შეიძლება, როგორც თანაპროდუქტისა.

სამკურნალო ტუხტისა და ხომეჭის მშრალი ფესვები შეი-ცავს ნახშირწყლებს- სახამებელი – 35-37%, გლუკოზა, საქა-როზა, ჰექტინოვანი ნივთიერებები – 10%, ლორნო 25-35%, ლორნოს ძირითადი შემადგენელი ნივთიერებებია ჰენტოზები, ურონის მჟავები, ჰენტოზანები, ჰექსოზანები, მეთილპენტოზა-ნები. მოიპოვება ორგანული მჟავები, ეთერზეთები, კაუჩუკის მსგავსი ნივთიერება, სტეროიდებიდან – ფიტოსტერინი. ვიტა-მინი C, მთრთილავი ნივთიერებები, ცხიმები, ორივე სახეობის ფოთლები და ყვავილები შეიცავს ფლავონოიდებს, კუმარინებს, ფენოლკარბონის მჟავებს, ცხიმებს, ეთერზეთებს.

სამკურნალო ტუხტი გამოიყენება ხველის, ყივანახველის (განსაკუთრებით პედიატრიაში) დროს, აგრეთვე კოლიტების, ენტეროკოლიტების, დიზენტერიის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს.

გარეგან საშუალებად იხმარება ფესვის ნაყენი პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად ღრძილებისა და ნუშისებრი ჯირკვლების ანთებისა და კონიუნქტივიტის დროს. იგი აყუჩებს ტკივილებს სახსრებში, განსაკუთრებით ბატის ქონთან ერთად, სასარგებლოა საჯდომი ნერვის ანთების, კიდურების ცახცახის, კუნთების დაჭიმვის დროს. ტუხტის საფენები კარგ შედეგს იძლევა ყბაყურა ჯირკვლების გადიდებისა და მკერდის სიმსივნეების დროს. ტუხტის თესლი გუმფისთან ერთად გამოიყენება საშვილოსნოს გამკვრივებისა და შეკუმშვის დროს; თესლის ნახარში ასუფთავებს ორგანიზმს მშობიარობის შემდგომი გამონადენებისაგან.

ქარხნული წესით მზადდება ტუხტის მშრალი ექსტრატი, სიროფი, გამონაცემი. იგი შედის მრავალი მცენარეული ნაკრების შემადგენლობაში. ტუხტის ბალახიდან მზადდება პრეპარატი (ტაბლეტები) – მუკალტინი, რომელიც გამოიყენება სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული დაავადებების, პნევმონიის, ბრონქოექტაზიის დროს.

მას იყენებენ ვეტერინარიაში, ტუხტის ფესვების გასუფთავებისაგან მიღებული მეორეული პროდუქტი გამოიყენება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებად.

ხალხური მედიცინა უფრო ხშირად ყვავილს იყენებს, ფესვებს უმეტესად კუჭ-ნაწლავის ძალიან მძიმე დაავადებების შემთხვევაში ხმარობენ, როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას.

20 გრამ ყვავილს ან ფოთოლს ერთ ლიტრ მდუღარე წყალს ასხამენ და მთელი ლამე თბილი ღუმლის ფურნაკში დგამენ, ან თერმოსში ასხამენ. ასეთნაირად მიღებულ ნაყენს დღეში ოთხ ჭიქას (ჩაი ჭიქას) სვამენ. ფესვების ნახარშის მისაღებად 10 გრამ წვრილად დაჭრილ ნედლეულს 1 ლ წყალს ასხამენ და ნე-

ლი დუღილით 5-7 წუთს ხარშავენ, დღეში ორ ჭიქას სვამენ, ნაყენის გამოყენების შემთხვევაში ტუხტის ფოთლებსა და ყვავილებს ურევენ ბალბას ყვავილებსა და სელის თესლს, თითოეულს 5,0 გრამის რაოდენობით. ტუხტის წყალზე ნაყენს, ან ფესვის ნახარშს ანთებიანი თვალების გამოსარეცხად იყენებენ, აგრეთვე პირში ივლებენ ყელის ტკივილის დროს.

ტუხტის თესლების ნაყენი აწყნარებს ხეელას და ნახველის ამოლებას აადვლებს. მისი ფესვების ნახარში საშარდე ბუშტში წვის პროცესს აწყნარებს, ასევე სასარგებლოა ნაწლავების წვისა და ანალური ხვრელის არეში არსებული სიმსივნეების დროს. ფოთოლს კუჭჭლილობისას იყენებენ. თესლის ნახარში მშობიარობის შემდგომი გამონაყოფებისაგან გაწმენდას ახდენს. ძნელად შარდვის შემთხვევაში და საშარდე ბუშტში კენჭების არსებობისას შველის ფესვის და განსაკუთრებით ტუხტის თესლის ნახარში, რომელსაც ლვინოსთან ერთად იღებენ.

უთხოვარი (*Taxus Baccata*) – Common Yew – Тис ягодный

უთხოვარი (*Taxus Baccata*) შედის ურთხლისებრთა (*Taxaceae Lindl*) ოჯახში, რომელიც შეიცავს 4 გვარს, ესენია: *Amenthotaxis*, *Torreya*, *Taxus*, *Nothotaxis*. *Taxus*-ის გვარში დაახლოებით 10 სახეობაა, მათგან კავკასიაში გავრცელებულია მხოლოდ ერთი – *Taxus baccata* – უთხოვარი.

საქართველოში უთხოვარი, ანუ ურთხლი ცნობილია, როგორც ჩვენი ტყეების მშვენება და ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი ხე. უთხოვრის ხეზე არსებობს ლეგენდა, რომელიც უთხოვრის სახელწოდების წარმოშობას ასახავს – თამარ მეფეს სთხოვეს უთხოვრის ტყეში ჭრების ჩატარების ნებართვა. მან უპასუხა, „ამას ნუ მთხოვთო“, რის შედეგადაც ამ ხეს “უთხოვარი” უწოდეს. ყოველივე აღნიშნულმა უდაოდ ხელი შეუწყო უთხოვრის გადარჩენას. მეორე მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო მის ხელუხლებლად შენარჩუნებას ისაა, რომ მისი წინვი და ნორჩი

ყლორტები შეიცავენ მომწამვლელ ალკალოიდებს, რომლებიც შინაური ცხოველების სიკვდილსაც კი იწვევენ და ამიტომ პირუტყვს უთხოვრის ტყეში არ უშვებდნენ.

უთხოვარი (*Taxus Baccata*) შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნსა“ (1982) და „წითელ ნუსხაში“. უთხოვარი აგრეთვე შეტანილია კონვენციაში – „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (კონვენცია, 1973). „წითელ ნუსხაში“ სახეობის შეტანა თავისთავად მიგვითითებს მის იშვიათობასა და გადაშენების პირას დგომაზე. გარდა ამისა, ბიოლოგიური მეცნიერებისათვის უთხოვარი მრავალი სხვა თვისებითაცაა საინტერესო. უთხოვარი არეალში ძირითადად იზრდება წიფლნარ-რცხილნარებში ცალკეული ხეების ამ მცირე ჯგუფების სახით. მისი გავრცელებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ უთხოვარი მეზოფილური სახეობაა და ჰაერის ტენიანობისადმი მომთხოვნია. საქართველოში გავრცელებული უთხოვრის ხნოვანება 1500 წელია. ხოლო ვ. გულისაშვილის და ვ. მირზაშვილის მონაცემებით, უთხოვრის ხნოვანება 3000 წელსაც აღწევს. უთხოვარი იზრდება 25-32 მ-მდე სიმაღლის და 1,0-1,5 მ დიამეტრის ხედ, იტოტება ძირიდანვე და აქვს ხშირი, მომრგვალო ცილინდრული ან პირამიდური ვარჯი, ხშირად მრავალწვერიანია. ხნიერი ხეების ღერო დაფარულია სიგრძივ დამსკდარი, მოწითალო-მოყავისფრო ქერქით, ზედა ფენა ძვრება ფირფიტების სახით. ქერქი ახალგაზრდა ყლორტებზე პრიალა მოწითალოა, ხოლო ზრდაში იყოფა ფირფიტებად. ახალგაზრდა ყლორტები გლუვია, ორწლოვანები მოწითალო-მურა ფერისაა, უფრო ხნიერი ტოტები კი მოწითალო-მურა- მონაცრისფრო ელფერის. წიწვი ხაზურია, თავში წაწვეტილი, 2,1-3,5 სმ სიგრძის და 2,0-2,5 მმ სიგანის, ქვევით ოდნავ გადაღუნული კიდეებით, სპირალი-სეპრი განლაგებით, ზემოდან მუქი-მწვანეა, პრიალა, ქვემოდან მოყვითალო-მწვანე ან ღია მწვანე, ამაღლებული ცენტრალური ძარღვით. წიწვი ცოცხლობს 4-8 წელინადს, წიწვი და თესლი შე-

იცავს ალკალოიდ ტაქსინს, ეთეროვან ზეთებს. უთხოვრის მერქანი მოყვითალო-ნითელი ფერისაა, ძლიერ მაგარია და დიდხანს არ ლპება. ამიტომ უთხოვარს “ულპობელა” ხესაც უწოდებენ. იგი ერთ-ერთი საუკეთესო მასალაა სამშენებლო, სადურგლო და სახარატო სამუშაოებისათვის. ლამაზი შეფერვის გამო მისი მერქანი გამოიყენება სამხატვრო ნაკეთობები-სათვის. უთხოვარი შედის იმ მერქნიან სახეობათა რიცხვში, რომლებსაც მსოფლიო პაზარზე “წითელ ხედ“ თვლიან.

უთხოვრის წიწვი და მერქანი მომწამლავია, ხოლო ნაყოფი საჭმლად ვარგისი. მცენარეში მომწამლავი ნივთიერება არა-თანაბრადაა განაწილებული, რაც უფრო დიდია მისი წიწვი, მით უფრო მომწამლავია ის. ჩეხი მკვლევარები ჩატარებულ კვლევებში აღნიშნავენ, რომ მერქანი და სხვა ნაწილები შხამიანია, ხოლო ნაყოფთან არსებული წიწვები არაა შხამიანი. უთხოვარი შეიცავს სუბსტრატს, რომელიც გამოიყენება კიბოს სამკურნალოდ (ტაქსინი), რაც ზრდის მისადმი ინტერესს ფარმაკოლოგიური თვალსაზრისით.

უთხოვარი მაღალტოქსიკური მცენარეა, თუმცა გამოიყენება მედიცინაში. თანამედროვე კვლევების თანახმად დადგინდა, რომ მცენარე შეიცავს “ტაქსოლს“, რომელსაც შესანიშნავი პოტენციალი აქვს კიბოს სანინააღმდეგო წამლის დასამზადებლად. მცენარის მთელი ნაწილი, გარდა ნაყოფისა, ანტისპაზმურია, გამოიყენება კარდიოლოგიაში, ამავდროულად ჰომეოპატურია და ნარკოტიკული, გამოიყენება ასთმის, ბრონქიტის, სლოკინის, რევმატიზმის, ეპილეპსიის, ცისტიტის, გულის რევის დროს.

ფითრი (*Viscum*) – *Viscum* – ომელა

ფითრი (*Viscum*) — მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ნახევრად პარაზიტი ბუჩქოვანი მცენარეა ფითრისებრთა (*Viscaceae*) ოჯახიდან. იგი ძირითადად გავრცელებულია ფოთლოვანი (მსხალი, ვაშლი, აკაცია, ცაცხვი, სოჭი, მუხა) მცენარეებზე, იშ-

ვიათად წიწოვნებზე, უფრო იშვიათად კუნელზე, ღვიაზე, კა-კალზე.... და სხვ. იგი თავის საწოვრებს მკვებავი მცენარის მერქანში უშვებს და იქედან წყალსა და მასში გახსნილ საკვებ ნივთიერებებს ართმევს მკვებავ მცენარეს, ხოლო ორგანულ ნივთიერებებს თვითონ წარმოქმნის, ამიტომაც უწოდებენ ნა-ხევრად პარაზიტ მცენარეს. ცნობილია ფითრის 70-მდე სახეო-ბა, გავრცელებულია თითქმის ყველა კონტინენტზე – ევროპა-ში, აზიაში, ავსტრალიაში, აფრიკაში. საქართველოში მხოლოდ ერთი სახეობა გვხვდება – თეთრი ფითრი (*Viscum album*). უხ-ვად დატოტვილი მარადმწვანე ბუჩქია.

ფითრის ტოტებზე მოგრძო, მჯდომარე, ლანცეტისებრი, ან ელიფსური ფორმის, კიდემთლიანი, სქელი ტყავისებრი ფოთლები მოპირდაპირედაა განლაგებული, სიგრძით 5-7 სმ, ხოლო სიგანით 0,3-1,0 სმ-ის, დაქსელილია პარალელური ძარ-ლვებით. ფოთლები ცვივა სიცოცხლის მეორე წელს. მომწვანო-მოყვითალო ყვავილები წვრილია, მარტივი სამ-ოთხ ფურცლი-ანი ყვავილსაფარით, ერთსქესიანი, მამრობითი 3-4 მტვრიანა-თი, მდედრობითი 3-4 ბუტკოიანი ზედა ნასკვით. ნაყოფი მო-თეთრო-მოსეროა, მრგვალი, თესლიანი ცრუ კენკრაა, რომე-ლიც გარედან წებოვანი გარსითაა დაფარული. მჭიდროდ შეკ-რული თესლი დიდი ზომისაა ლორწოვანი რბილობით. ფითრი ყვავილობს მარტ-აპრილში, ნაყოფი მნიშვნელია სექტემბერ-ოქ-ტომბერში. თესლი არის დიდი, მჭიდროდ შეკერილი, წებოვანი, ლორწოვანი რბილობით, მდიდარია ენდოსპერმით, დაფარუ-ლია თხელი ფისოვანი კანით, ბრტყელი ან ამოზნექილი მხარეე-ბით. თესლი შეიძლება შეიცავდეს ერთიდან სამ თესლს.

ფითრი გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, როგორც დაბლობში, ისევე მთაში. იგი გარკვეულ ზა-რალს აყენებს მებაღეებს, მაგრამ ამავე დროს შეიძლება გამოყე-ნებულ იქნას არა მარტო როგორც სამკურნალო მცენარე, არა-მედ როგორც საქონლისა და ფრინველის საკვები. მისი ნაყოფე-

ბით აქტიურად იკვებებიან შოშიები და ჩხართვები, ამიტომაც ისინი ყველაზე მეტად უწყობენ ხელს ფითრის გავრცელებას.

სამკურნალოდ გამოიყენება ახალგაზრდა ფოთლიანი ყლორტები. ისინი შეიცავენ აღკალოიდის მსგავს ნივთიერებებს, ორგანულ მუავებს, სპირტებს, ქოლინს, ამინომუავებს და სხვ. ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ როგორც სისხლის აღმდგენ, შემკვრელ საშუალებას, ხმარობენ აგრეთვე ეპილეფსის სამკურნალოდ. დადგენილია, რომ ფითრის ფოთლების ექსტრაქტი დაბლა სწევს არტერიულ წნევას და შესაძლებელია მისი გამოყენება ჰიპერტონიული დაავადების საწყის სტადიაში. ასეთივე შედეგი აღინიშნება კლიმაქტიკული ჰიპერტონიით დაავადებულთა მკურნალობის დროსაც. გახსოვდეთ, მცენარე, განსაკუთრებით კი ნაყოფი შხამიანია, ამიტომ მისი ნორმის გადაჭარბება და ხანგრძლივი გამოყენება დაუშვებელია.

ნაყენის მოსამზადებლად 15 გრ. ფოთოლი მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. ჩადგით მდუღარე წყლის აბაზანაში 15 წუთით, შემდეგ გადმოიღეთ, გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 45 წუთის განმავლობაში. ნახარშის მისაღებად 6–8 ფოთოლი მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1 ჭიქა წყალი, ადუღეთ 20–30 წუთის განმავლობაში. გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 10–15 წთ, შემდეგ დოლბანდზე გადაწურეთ და შეავსეთ ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის მიღებამდე. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

დამტკიცებულია, რომ, გარდა მკუმშავი, დიურეტიკული, სისხლის შემაჩერებელი და ჭიამდენი მოქმედებებისა, მცენარეს ციტოსტატიკური (სიმსივნის საწინააღმდეგო) მოქმედებაც აქვს. ფითრის პრეპარატები სასარგებლოა პოდაგრის მქონე ადამიანებისთვის, რომლებშიც დაქვეითებულია გამომყოფი ფუნქცია, მაგალითად, შარდმუავას მარილთან მიმართებაში.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე განმავანსაღებელი თვისებები აქვს ფითრს, რომელიც

მუხაზე, ვაშლის ან მთის ნეკერჩელის ხეზე იზდება. ხალხურ მე-დიცინაში, მისგან დამზადებულ პრეპარატებს მოიხმარენ კუჭ-ნაწლავის დაავადებების, მუცლის ტკივილების, საშვილოსნოს და ჰემოროიდული სისხლდენების, დიფტერიის, ეპილეფსიის დროს.

კავკასიური ფიჭვი (*Pinus Caucasia*) – Caucasian Pinus – Сосна Кавказская

კავკასიური სოსნოვსკის ანუ კაუჭიანი ფიჭვი (*Pinus Sosnovsky Nakaj, Pinus hamata D. Sosn. P. silverstris v. hanata stev.*) ფიჭვისებრთა (*Pinaceae*) – ოჯახს ეკუთვნის. იგი საქართველოში მეტად გავრცელებული მცენარეა. ის გვხვდება, როგორც მთავარ კავკასიონზე (შავი ზღვიდან კახეთის ბოლომდე და ზაქათალამდე), ასევე აჭარა – იმერეთის ქედზე, თრიალეთზე, ბორჯომის მიდამოებში, გადადის თურქეთშიც, ტრაპიზონსა და ჩრდილო ანატოლიისაკენ, გავრცელებულია ყირიმის მთების მაღალ ადგილებშიც. ფიჭვის ეს სახეობა 36 მეტრამდე სიმაღლის ხე-მცენარეა, რომელსაც წინვი ლეგა მწვანე ფერისა აქვს და სიგრძით 3 – 7 სმ-მდეა, მაგარია, მისი გირჩები მბრნყინავი და დამწიფებისას მურა – ნაცრისფერია, რომლის სიგრძე – 1,5 – 5,5 სანტიმეტრია, ხოლო სიგანე ფუძეებთან 2 – 4 სმ. სამზეო მხარეზე პირამიდი ძლიერ ამოზრდილი და გაგრძელებულია, საწინააღმდეგოზე კი თითქმის გაბრტყელებულია.

ფიჭვის მერქნის მშრალი გამოხდით ღებულობენ კუპრს, რომელიც ვეტერინარიასა და მედიცინაში ფართოდაა გამოყენებული, განსაკუთრებით ვეტერინარიაში. კუპრს ღებულობენ, აგრეთვე არყისა და წიფლის მერქნის მშრალი გამოხდითაც, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მაინც ფიჭვისაა (*Pix liquida Pini*), ვინაიდან ეს მცენარე ფისის შემცველია.

საზოგადოდ კუპრი ანტისეპტიკური მოქმედებისაა, ეს თვისება კი დამოკიდებულია მასში ფენოლის, კრეოზოტისა და სხვა არომატული ნივთიერებების შემცველობაზე. ის ითვლება

კანის პარაზიტების, განსაკუთრებით კი ქავანას გამომწვევი პა-რაზიტის ძლიერ შხამად. მისი დეზინფიცირების ძალა ფრიად მნიშვნელოვანია და ყურადსალები, რაც იქიდანაც მტკიცდება, რომ თუ მცირე დროით ვიმოქმედებთ ბაქტერიების უმრავლეს სახეობებზე, მათ შორის ტუბერკულოზის ჩხირზე და ციმბირის ნიულულის სპორებზე ის მომაკვდინებლად მოქმედებს. ეს იმ დროს, როდესაც ქვანახშირისაგან მიღებული კუპრი ციმბირის ნიულულის სპორებზე და ტუბერკულოზის ჩხირზე ვერ მოქმე-დებს მომაკვდინებლად. კუპრისადმი განსაკუთრებული მგრძნობიარებია კატები. საზოგადოდ კუპრი კანზე და ოორ-ნოვან გარსებზე იწვევს ჯერ სინითლეს და შემდეგ ანთებას, რაც გამოწვეულია იმით, რომ ახასიათებს მთრიმლავი თვისება და ქსოვილების გამოშრობის უნარი. მცირე დოზებში მიღებუ-ლი პირის ღრუს გზით, იწვევს საჭმლის მომნელებელ ჯირკვლე-ბის მოქმედების გაძლიერებას და დეზინფექციას უკეთებს კუჭ-სა და ნაწლავების შიგთავსს. დიდ დოზებში კუპრი იწვევს თირ-კმლების ანთებას, თავპრუხვევას, კანკალს, კრუნჩხვებსა და დამბლას, აგრეთვე შეფერილ შარდს და სხეულის მაღალ ტემპე-რატურას. მონამვლის შემთხვევაში აქ მთავარი მოქმედია კრე-ოტოზი და ფენოლი.

ვეტერინარიის პრაქტიკაში ფიქვიდან მიღებულ კუპრს იყენებენ, როგორც ანტისეპტიკს მსხვილი რქოსანი პირუტყვის ჩლიქების დაავადების შემთხვევაში პანარიციების, თურქულის და ჭრილობების დროს. ხმარობენ ცხენებშიც ჩლიქების ჭრი-ლობების, გაბზარვის და დახეთქვის ნინააღმდეგ. გარდა აღნიშ-ნულისა, კუპრი იწვევს გრანულიაციური ქსოვილის გაღიზიანე-ბას და აჩქარებს ჭრილობებისა და ნიულულების შეხორცებას. კუპრს იყენებენ სუფთა სახით ან ურევენ სპირტთან ან ცხიმთან (1:1 – 1:10). ზოგჯერ ხმარობენ ფხვნილის სახით თაბაშირთან (1:20 – 80) ან ბორის მჟავასთან (1:20 -50). გარდა აღნიშნულისა, კუპრი წარმოადგენს ინფიცირებული ჭრილობების გამაუკე-ბელს, ცხოველების სადგომთა საუკეთესო სადეზინფექციო სა-შუალებას ფხვნილის სახით კირთან ერთად. წარმატებით იყენე-

ბენ ქრონიკულ ეგზემების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ცხენების შუყაყისა და ძალლის ზურგის ეგზემის შემთხვევაში, მაგრამ მისი გამოყენება მწვავე ეგზემების დროს ყოვლად დაუშვებელია. კუპრის შეზელვა დაავადებულ ადგილებში ხდება სუფთა სახით ან ურევენ ცხიმთან, სპირტთან და საპონთან. უმჯობესია ე.წ. მქროლადი მალამო, რომელიც შეიცავს კუპრს, მწვანე საპონს და ნახევარ რაოდენობა ლვინის სპირტს (2:2:1). ეს ნაზავი ესმევა მთელი სხეულის მხოლოდ 1/3-ს და აჩერებენ 4 – 6 დღეს. ცხენებისათვის უმჯობესია კუპრის, გოგირდის, საპნისა და სპირტის ნაზავი. ეს უკანასკნელი მეტად საიმედო და ძვირ საშუალებად ითვლება. კუპრს ხმარობენ მცენარეული პარაზიტების, აქტინომიკოზისა და ცხენის ქარაჩის კიბოს წინააღმდეგ, როგორც გამომშრობა და სადეზინფექციო საშუალებას. მას იყენებენ, როგორც ამოსახველებელს ბრონქიტის დროს, ბრონქების გაგანიერებისას, საინჰალაციოდ ფილტვების განგრენის შემთხვევაში, კუჭ – ნაწლავის დაავადების საწინააღმდეგოდ, სადეზინფექციოდ ხბოების ფალარათის შესაწყვეტად, რისთვისაც უმჯობესია ვიხმაროთ კუპრ-ნყალი (1:5).

კუპრის ერთჯერადი და სადღელამისო ნორმა ასეთია: ცხენისა და მსხვილი რქოსანი პირუტყვისთვის – 10.0 – 25.0; ცხვრის, თხის და ლორისათვის – 1.0 – 2.0; ძალლებისათვის – 0.1 – 1.0; ფრინველებისათვის – 0.1 – 0.2.

ქინძი (*Coriandrum Sativum*) – Coriander – Кориандр

ქინძი (*Coriandrum Sativum*) ერთწლოვანი 20-50 სმ-ის სიმაღლის მცენარეა ქოლგოსანთა ოჯახიდან Apiaceae. იგი გამოირჩევა შიშველი, ცილინდრული, ღარებიანი სწორმდგომი ღეროთი, რომელიც ძირიდანვეა დატოტვილი. ფორმით ცვალებადი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, კიდეებზე ოდნავ დაკბილული, ადრევე ჭკნება, ზედა თითქმის მჯდომარე, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრგანკვების შემთხვევაში განვითარება მცენარეული ფოთლები, რომელიც განლაგებულია ფოთლების შემთხვევაში. კუპრის დაავადებისათვის ეს მცენარე უმჯობესია კუპრის გოგირდის სპირტის შემთხვევაში, კუჭ – ნაწლავის დაავადების საწინააღმდეგოდ, რისთვისაც უმჯობესია ვიხმაროთ კუპრ-ნყალი (1:5).

თილი ხაზურ ან ჯაგრისებრ ნაკვთულებად. ყვავილები პატარა ზომის, შეკრებილია რთულ ქოლგებად. ქოლგა მრგვალია, 3-6 სხივიანი, აქვს სფეროსებრი ან მოგრძო-მომრგვალო ნაყოფი. ყვავილობს მაის-ივლისში. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში.

ქინძის სამშობლოდ მიიჩნევა ხმელთაშუაზღვისპირეთი, სადაც გვხვდება ველური სახითაც, კულტივირებული იქნა ამავე ადგილებში, გავრცელებულია შუა ევროპაში, მცირე აზიაში. საქართველოში ქინძი ფართოდაა გავრცელებული და გამოყენებული. ქინძის ნაყოფს ამზადებენ, როცა ქოლგების ნახევარზე მეტი გამუქებულია. ნედლეულში ეთეროვანი ზეთების შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ 0,5%.

მწიფე ნაყოფები შეიცავს 0,7-1,5% ეთეროვან ზეთს, რომლის ძირითადი კომპონენტია აციკლური მონოტერპენები. ლინალოლის შემცველობა 50-80%-ის ფარგლებში მერყეობს, ჯიშისა და შეგროვების პერიოდისგან დამოკიდებულებით. ეთეროვანი ზეთი შეიცავს გერანიოლს, α- და β-პინენს, აციკლურ მონოტერპენებს, ბორნეოლს, გერანილაცეტატს, გერანიოლს, ეთეროვან ზეთს 0,7-1,5%, თიმოლს, კამფენს, კაპრინის მჟავას, კუმარინებს, ლაურინის მჟავას, ლიმონენს, ლინალილაცეტატს, ლინალოლოს (50-80%), ლინოლის მჟავას, მთრთილავ ნივთიერებებს, მირისტინის მჟავას, მირცენს, ოლეინის მჟავას, პალმიტინის მჟავას, საბინენს, ტერპინენს, ფელანდრენს, ფენოლურ ნივთიერებებს, ფისოვან ნივთიერებებს, ფლავონოიდურ ნივთიერებებს, ქაფურს და სხვ. სულ ქინძის ეთეროვან ზეთში 30-მდე კომპონენტია. ყვავილობის პერიოდში ეთერზეთის ხარისხი უფრო დაბალია, რადგან ამ პერიოდში იგი შედგება დეცილისა და სხვა ალდეჰიდებისაგან (95%).

ქინძის თესლის ბირთვში მოიპოვება ცხიმოვანი ზეთი 15-20%, რომლის შემადგენლობაში შედის პალმიტინის, ოლეინის, კაპრინის, ლაურინის, მირისტინის და სხვა ცხიმოვანი მჟავები. ნედლეულში თანმხლები ნივთიერებებია მთრიმლავი, ფენოლუ-

რი, ფლავონოიდური, კუმანირული, ფილოვანი ბუნების შენაერ-თები. ბიოლოგიურად აქტიური ჯგუფებით მდიდარია ფოთლები, ყვავილები, თესლები.

ოფიცინალური მედიცინა ქინძის ნაყოფებს იყენებს: ბუასილის სამკურნალო, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, მეტეორიზმის საწინააღმდეგო, ნაღვლის დასადენ, საჭმლის მონელების ხელშემწყობ, ტკივილგამაყუჩებელ, ქსოვილების გრანულაციის ხელშემწყობ, ჭრილობების შემახორცებელ ნაკრებებში, გამონაცემებსა და ნაყენებში. თესლი და ეთერზეთი შედის არაერთი პრეპარატის შემადგენლობაში.

ქართული ემპირიული მედიცინა მას კიდევ უფრო ფართო თერაპიული დიაპოზიტი იყენებს: გახანგრძლივებული მენსტრუაციის, თვალის დაავადებების, მეხსიერების გასაუმჯობესებლად, მშობიარობის შემდგომ, ნერვული გადატვირთვისას, რევმატიული ტკივილების, ქათმის სიბრმავის დროს. ქინძის მარცვლებიდან მოპოვებულ ზეთს გააჩნია ანტიბაქტერიული თვისება. ასევე დიდი გამოყენება აქვს საოჯახო მედიცინაში, მაგრაფქვილი მარცვლებისაგან მომზადებული პასტა გამოიყენება წყლულებისა და ჭრილობების მოსაშუშებლად.

ქინძი ფართოდ გამოიყენება ქართულ, შეა აღმოსავლურ, ხმელთაშუაზღვისპირულ, სამხრეთ ამერიკულ, აფრიკულ, ჩინურ, სამხრეთ აზიურ სამზარეულოებში, როგორც უძვირთასესი სანელებელი. ქინძის ფოთლებს იყენებენ მწვანილად. მისი გამშრალი ნაყოფი (ქინძის თესლი) გამოიყენება საკაზმ-სანელებელ საშუალებად. კულინარიული მიზნებისთვის გამოიყენება ქინძის ფესვები. ქინძი გამოიყენება არასასიამოვნი სუნის გასანეიტრალებლად, მაგალითად თამბაქოს. მისგან ამზადებენ ლიქიორსა და ჯინს. გამოიყენება პარფიუმერიაში.

ქინძი გამოიყენება ჰომეოპატიასა და ვეტერინარიაში. ხახვისა და ნიორის რიგთაშორისებში ან ირგვლივ დათესილი ქინძი აფრთხობს ხახვის ბუზს, ნათესებს იცავს დაზიანებისაგან.

ქონდარი ბალის (*Satureja Satureja hortensis*) – Savory- ზაბერ

ქონდარი ბალის (*Satureja hortensis*) ერთნებულოვანი სურნელოვანი ბალახია ტუჩოსანთა (*Lamiaceae* ან *Labiatae*) ოჯახი-დან, გააჩნია წვრილი, სწორი, თითქმის ცილინდრული ფესვი, დატოტვილი, შეფილი, ხშირად მონითალო ფერის ღერო, წვეტიანი, ხაზოვან-ლანცეტური, საპირისპიროდ მსხდომი, მწვანე ფოთლები სიგრძით 1,5-2,5 სმ-ის, მოსერო-მომწვანი, წვერში მობლაგვო, ღეროს მხარეს წაწვეტებული, ყუნწი არ აქვს მკაფიოდ გამოხატული, ზედაპირი დაფარულია მარტივი და ჯირკვლოვანი ბუსუსებით. ქვედა ყვავილები მჯდომარე, ზედა მოთავსებულია მოკლე ყვავილსაჯდომზე, ქმნის ყვავილებს. ყვავილი თეთრი, ბაცი ისფერი ან მოწითალო გვირგვინით. ნაყოფი კაკლისმაგვარია, კვერცხისებურ სამწახნაგოვანი, იშლება დამწიფებისთანავე ოთხ კოლოფად, ღია ყავისფერი შეფერილობით. მცენარეც და ნაყოფიც გამოირჩევა სასიამოვნო, სპეციფიკური არომატით და გემოთი. ყვავის ივნის -აგვისტოში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში. სინათლის მოყვარული მცენარეა, უპირატესობას ანიჭებს ღია მზიან ადგილებს, ნაყოფიერ მსუბუქ, ზომიერად ტენიან ნიადაგებს.

ბალის ქონდრის სამშობლო ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთი რაიონებია. იგი ცნობილია, როგორც ძვირფასი სანელებელი და სამკურნალო მცენარე უძველესი ხელნაწერებიდან, მოხმარდნენ ძველი ბერძნები და რომაელები, პოპულარული იყო ინგლისში, გერმანიაში, სკანდინავიაში და ა.შ., სადაც იგი გაავცელეს მოგზაურმა ბერებმა. მცენარეს აგროვებენ ყვავილობამდე ან ყვავილობის დაწყებისას, გროვდება მიწისზედა ნაწილი მთლიანად. ჩრდილში გამშრალი დიდხანს ინაჩუნებს არაჩვეულებრივ არომატსა და გემურ თვისებებს.

სამკურნალოდ ყვავებული მთლიანი მცენარე გამოიყენება, იგი ძალიან არომატულია. ბალახი შეიცავს ეთეროვან ზეთს – 0,5- 2%-მდე, რომლის ძირითადი 30-42% კომპონენტი არის კარ-

ვაკროლი, პარაციმოლი – 20%, ტერპენულ ნაერთებს, ნაშირ-ნყლებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს. ფოთლები შეიცავს 1%-მდე ეთეროვან ზეთს, რომლის შემადგენლობაში შედის ტიმო-ლი, ფენოლი, კარვაკროლი, პიმენი. ერთნლოვანი ყლორტები და ფოთლები მდიდარია მინერალური მარილებით, კაროტინებით, ვიტამინი C – 28 მგ%-მდე, ფიტონციდებით და ეთეროვანი ზეთე-ბით, მშრალი ნივთიერების რაოდენობა 9-42 %-მდეა.

მცენარე გამოიყენება შარდმდენად, ჭიების სამკურნა-ლოდ, ნერვული და ავადებებისათვის, ღვიძლის, თირკმლების სამკურნალოდ. ექსტრატებს ახასიათებთ ბაქტერიოლოციდული თვისებები. ზეთი ისმარება კუჭის და ავადებებისათვის.

ხალხურ მედიცინაში ბალის ქონდარი გამოიყენება მეტე-ორიზმის, კუჭ-ნაწლავის და ავადების, ხველებისას.

მცენარე ფართოდ გამოიყენება კულინარულიაში, როგორც ძვირფასი სანელებელი.

მთის ქონდარი (*Satureja montana*) – *Satureja montana* – Чабер горный

მთის ქონდარი (*Satureja Montana*) 40 სმ-მდე სიმაღლის ნახევრადბუჩქი მცენარეა, (*Satureja*) გვარი, ტუჩოსანთა (*Lamiaceae* ან *Labiatae*) ოჯახიდან, ძლიერი, ღერძული ფესვით, სწორმდგომი ან აღმავალი მრავალრიცხვოვანი ღეროები ოთ-ხუთხა ან მომრგვალო ფორმის, ღია ფერის ქერქით, ხშირფოთ-ლიანი და დატოტვილია. ხაზოვან-ლანცეტური 1,5-3,0 სმ-ის სიგრძის მწვანე შეფერილობის ფოთლები და ფარულია წერტი-ლოვანი უხეში ჯირკვლოვანი ბუსუსებით. ყვავილები მოთეთ-რო-მოვარდისფრო, მენამული ლაქებით, წვრილი ყვავილსაჯ-დომებით, ქმნის ყვავილედს. ნაყოფი კაკალია. ჩვენს პირობებში ყვავილობს ივლის-აგვისტოში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერის დასაწყისში. მთის ქონდარი კარგად ხარობს ჰუ-მუსით მდიდარ, კარბონატულ ნიადაგებზე – pH 4,8-8,1.

მთის ქონდარი ველური სახით გავრცელებულია ევროპის სამხრეთ ნაწილში, ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, იტალიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში, მცირე აზის ტერიტორიაზე.

ნედლეულად ეთერზეთის მიღებისას გამოიყენება ყვავილედი მასიური ყვავილობის პერიოდში, მასში ეთერზეთის შემცველობა – 0,58%, ფოთლებში – 0,42%, ღეროებში – 0,16%. ორი და სამწლიანი მცენარეების ყვავილედები ეთერზეთებს შეიცავენ – 28,6% -მდე, ფოთლები – 51,7%, ხოლო ღეროები – 20% ეთეროვან ზეთს. მთის ქონდრის მინისზედა ნაწილის ეთეროვან ზეთში დომინირებს კარვაკროლი 60-70%, ტიმოლი 1-5%, ბორნეოლი 12,5%, რ-ციმენი – 10-20%, γ- ტერპინეოლი – 2-10%, α- ტერპინეოლი – 2,5%, 1,8- ცინეოლი – 3,8%

მთის ქონდრის ახალგაზრდა ღეროები და ფოთლები გამოიყენება კულინარიაში, როგორც ძვირფასი სანელებელი, საკონსერვო წარმოებაში, სალათების, თევზისა და ხორცის კერძების მომზადებისას.

ხალხური მედიცინა მთის ქონდარს იყენებს, როგორც ამოსახველებელ, ხველების დამარბილებელ საშუალებას, პირის ღრუს სადიზენფექციოდ, მატონიზირებელ, სედატიურ და ჰიპოტენზიურ საშუალებად.

ავიცენას მიხედვით ქონდარი აწყნარებს სლოკინს. სასარგებლოა შინაგანი სიმსივნეების დროს, დამაწყნარებლად მოქმედებს თავის ტკივილისას, თავის კანში შეზელვის გზით.

ქონდრის გამოყენება არ არის რეკომენდირებული ჰიპერტონული დაავადებებისას, ცერებრალური ათეროსკლეროზის, მოციმციმე არითმისას. დიდი დოზებით ქონდარი იწვევს აბორტს, ამიტომ ორსულობის პერიოდში უნდა მოერიდონ.

უნდა აღინიშნოს, უმეტეს ავტორთა მიხედვით ველური ქონდრის გამოყენება უფრო ეფექტურია, კულტივირებულთან შედარებით.

ქრისტესისხლა (*Chelidonium Majus*) – Greater Celandine -Чистотел Большой

ქრისტესისხლა (*Chelidonium Majus*) – კლასიკური მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომლის ყველა ორგანო შეიცავს ნარინჯისფერ წვენს; ჩვენს პირობებში სიმაღლით 65-80 სმ-მდე იზრდება, ფესვთა სისტემა მცირედ დატოტვილია, გარედან მოწითალო, ხოლო შიგნით ნარინჯისფერი შეფერვით; ღეროები სწორმდგომია, დატოტვილი, შიგნიდან ამოვსებული; ფოთლები ნაზი, ქვემოთ მოცისფრო, ზემოდან მწვანე შეფერვით, ბოლოში დაკბილული. დანაყოფები მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმით; ყვავილები განლაგებულია მარტივი ქოლგების სახით, წვრილი, მოყვითელო-მოიქროსფრო შეფერილობის, ზარისებრი მოყვანილობის, ორფოთოლაკიანი ჯამით და ოთხფოთოლაკიანი გვირგვინით განლაგებულია ზედა იარუსის ფოთლების იღლიაში. ნაყოფები მოთავსებულია ოვალური ფორმის ერთბუდიან, წაგრძელებულ მიღლისებრი კოლოფებში, მუქი შეფერილობით, 2 მმ სიგრძით და 1 მმ დიამეტრით. 1000 ცალი თესლის მასა – 0,73 -0,86 გ-ია (კაჭარავა თ. 2018).

ამ უნიკალური მცენარის სამშობლოდ ითვლება ხმელთაშუაზღვის ქვეყნები, ველური სახით გავრცელებულია კავკასიაში, უკრაინაში, ყირიმში, ციმბირში, ყაზახეთში, შორეულ აღმოსავლეთში. იგი ტენის მოყვარული მცენარეა, იზრდება ჩრდილიან ადგილებში, გვხვდება ბუჩქნარებში, ტყეების განაპირას, მდინარეებისა და ნაკადულების პირას.

ქრისტესისხლას ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით მცენარის სიცოცხლის ხანგრძლიობაზე გავლენას ახდენს ონთოგენეზის პერიოდში ეკოლოგიური ფაქტორები. ქრისტესისხლა მომთხვენია სითბოსა და სინათლის მიმართ. იგი გვხვდება დაჩრდილულ ადგილებში, მაგრამ საგრძნობლად მცირდება მოსავლიანობა და ხარისხის დარღვევა დაზღვიული არ არის. რადგან სინათლის ფაქტორი ლიმიტირებადია ეთერზეთების

ნარმოქმნისას. თესლი გაღივებას იწყებდა $10-12^{\circ}\text{C}$, მცენარე გვალვაგამძლეა, თუმცა ამ დროს ნარმოქმნება მცირე განტოტების მცენარეები წვრილი ფოთლებით, ადრე მთავრდება ონთოვენეზის პერიოდი, რაც თავის მხრივ ამცირებს პროდუქტულობას. ჭარბი ტენის პირობებში მათზე პროგრესირდება სოკოვანი დაავადებანი. გარდა ამისა მგრძნობიარენი არიან დაბალი ტემპერატურის მიმართაც. ქრისტესისხლას კულტივირებული პლანტაცია ერთ ადგილზე შესაძლებელია 8-10 წლის განმავლობაში დარჩეს. ქრისტესისხლას თესვის ოპტიმალური ვადაა აპრილ-მაისის შუა რიცხვები, მცენარემ რომ დროულად მოასწროს აღმოცენება და ორფოთლიანი როზეტის ჩამოყალიბება, რათა არ დაზიანდეს გაზაფხულის გვალვებისაგან. კვების ოპტიმალური არე 25×45 , 25×27 , ამ შემთხვევაში ყალიბდება მძლავრი საასიმილაციო აპარატი გენერაციული ორგანოებით, რაც გარანტია შემდგომ მაღალი პროდუქტულობის. იგი მომთხვენია ნიადაგის ნაყოფიერების მიმართ. უპირატესობას ანიჭებს თიხნარ, ქვიშნარ, ნეშვომპალით მდიდარ ნიადაგებს, ამასთანავე მოსავლიანობა იზრდება ორგანული და მინერალური კვების ოპტიმალურ ფონზე.

ქიმიური შედგენლობა – ქრისტესისხლა მდიდარია იზოქინოლინის ნანარმი ალკალიდებით, მათი შემცველობა დაახლოებით $2\%-მდე$; რაც თავის მხრივ განაპირობებს კიდევ მცენარის ტოქსიკურობას. მათ შორის დაფიქსირებულია ბერბერინი, რომელიც განსაზღვრავს ნარინჯისფერ შეფერვას; ეს უნიკალური მცენარე შეიცავს ეთერზეთებს – $0,4\%-ს$, რომლის შემადგენლობაში შედის ციტრალი - 60% - მდე, ვიტამინებს - C-ს – 170 მგ%; A - ს – 20 მგ%, კაროტინებს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფენოლკარბოლმჟავებს. თესლი შეიცავს $40\%-მდე$ ცხიმმჟავებს.

ქრისტესისლას ნედლეული შედგება შეფოთლილი ღეროების, ყვავილებისა და ნაყოფებისაგან. ნედლეულს ჭრიან ყვავილობისას ისე, რომ არ შეყვეს ღეროს ქვედა გაუხეშებული ნაწი-

ლი მშრალ ამინდში, ის უნდა გაშრეს სწრაფად, რადგან ნელი შრობისას შავდება. მშრალ ბალახს აქვს თავისებური სუნი, გე-მოს გასინჯვა დაუშვებელია, რადგან ძლიერ ტოქსიკურია.

ქრისტესისხლას ბალახი არის ანთეპის საწინააღმდეგო გარეგანი საშუალება. გამოიყენება კანის ტუბერკულოზის, წი-თელი მგლურას საწინააღმდეგოდ, მეჭეჭების მოსაცილებლად. მცირე დოზებით იღებენ შინაგანად ლვიძლისა და ნალვლის ბუშტის დაავადებისას. პოპულარულია ჰომეოპატიაში.

ქრისტესისხლას ნაყენი გამოიყენება ბუგრების, ლილვე-ლას, თალგამის თეთრულას და სხვა მავნებლების წიმააღმდეგ.

ლვია (*Juniperus sabina*) – Juniper – Можжевельник

ჩვეულებრივი ლვია (*Juniperus communis*) — 1,0-1,5 მეტრი სიმაღლის წინვოვანი ხე-ბუჩქი ან ბუჩქია კვიპაროსისებრთა (*Cupressaceae*) ოჯახიდან ფისის მკვეთრი, სპეციფიკური სუ-ნით, გვხვდება ზოგჯერ მიწაზე გართხმული ფორმაც. ლვია იზ-რდება სუბალპურ ზონაში კლდეებზე, კავკასიური დეკას გამეჩ-ხერებულ ნარგავებში, ფიჭვოვან ტყეებში. სინათლისა და გვალვის ამტანი მცენარეა, გავრცელებულია პლანეტის ჩრდი-ლოეთ ნახევარსფეროში, ხირხატ ნიადაგიან მშრალ განათებულ ადგილებში. გავრცელებულია ევროპისა და დასავლეთ აზიის ზომიერ ზონაში, მთელ კავკასიაში, ნაკლებად ჩრდილოეთ ამე-რიკაში. მას უყვარს მზიანი ფერდობები, ძალიან იშვიათი ტყეე-ბი და კლდოვანი ჰაბიტატები ზღვის დონიდან 1000-დან 2500 მეტრამდე.

ცნობილია ლვიის 70-მდე სახეობა, საქართველოში გვხვდება – 7, მათ შორის კაზაკური ლვიაც, იგი (*Juniperus sabina*) შხამიანია, დანარჩენი სახეობები შესწავლილი არ არის, ამიტომ მათი გამოიყენება სამედიცინო თვალსაზრისით არ ხდე-ბა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მას უწოდებენ ლვიოს, ტუიას, ოდაღაჯს, ჭყერს, ჭყერუს.

ღვის ფოთლები ანუ წინვები მჩხვლეტავია, 3 ერთად რგოლურადაა განლაგებული, რომლებიც ზედა მხრიდან ლარი-სებრი ჩალრმავებით და თეთრი ზოლით ხასიათდებიან, ქვემო-დან კი მბრწყინავი მწვანე ფერით. ყვავილები ერთი ან ორსქე-სიანია, მამრობითი ოვალურ თავთავებში მოთავსებული, მდედ-რობითი კი თავკენწერა გირჩებში. ჯვარედინად განლაგებული გირჩები მრავალრიცხოვანია – მოგრძო, კვერცხისებრი, 2 მმ-მდე სიგრძით, რომლებიც სათითაოდ სხედან ფოთლების იღლი-ებში. პირველ წელს მწვანეა, მეორე წელს, მომწიფებისას მრგვალდება, მოლურჯო-შავი შეფერვისაა მორუხო ნაფიფქით, გირჩები 3, იშვიათად 1-2 სამწახნაგოვანი თესლი ზის. მდედრო-ბითი გირჩები შედგება სათესლე და მფარავი ქერქლისაგან, მომწიფებისას იგი რბილდება და წვნიანი ხდება, ერთმანეთთან არის შეზრდილი, რის შედეგად მთელი გირჩა კენკროვან ნა-ყოფს ემსგავსება. სათესლე ქერქლების ძირში 1-2 თესლკვირტი ვითარდება და საბოლოოდ მთელი პროცესი უფრთო თესლის წარმოქმნით მთავრდება. 1000 თესლის წონა დაახლოებით 13 გრამს შეადგენს. ღვია მრავლდება თესლით.

ღვია სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა, რადგან იგი შეიცავს შთამბეჭდავი ოდენობით ბიოლოგიურად აქტიურ სასარგებლო ნივთიერებებს: 0,5% მონოტერპენებს, C და E ვიტამინებს, ეთეროვან ზეთებს, ტანინებს, ორგანულ მჟა-ვებს, ფიტონციდებს, ნახშირწყლებს, მათ შორის პექტინოვან ნივთიერებებს, მიკროელემენტებს და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება გირჩნაყოფები, ღვის ზეთი, იშვიათად მერქანი და წინვები.

დიოსკორიდი (პირველი ათასწლეული ჩვენს ერამდე) მიუ-თითებდა ღვის გარეგან გამოყენებაზე კანის დაავადებების დროს, თუმცა იქვე აღნიშნავდა, რომ ეს მცენარე საშიში იყო თირკმლებისათვის. რომაელები ღვიას იყენებდნენ სხვადასხვა რიტუალების შესრულებისას. პოპულარული იყო მისგან დამ-

ზადებული ამულეტები ავი თვალისაგან დასაცავად. ღვიის ზეთს იზელდნენ მტკივან სახსრებშიც.

ღვიის სასიამოვნო არომატი აწესრიგებს და ამშვიდებს ნერვიულ სისტემას, ათავისუფლებს დეპრესიისა და შიშებისა გან. მშვიდი ძილისათვის მიღებულია ბალიშში ღვიის რტოებისა და ნინვების ჩადებაც. ხალხურ მედიცინაში იგი გამოიყენება საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების სამკურნალოდ და ფუნქციის გასაუმჯობესებლად, ასევე, იმუნური სისტემის გასაძლიერებლად. ღვია აუმჯობესებს მადას, წმენდს ნაწლავების კედლებს და სხვ. ჩევენი ქვეყნის დასავლეთ რაიონებში ხალხური მედიცინა ღვიის ფესვების სპირტიან ნაყენს ტუბერკულოზის, ბრონქიტის, თირქმლის ქვის და კანის დაავადების საწინააღმდეგოდ იყენებს. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ღვიის ხმელი ნაყოფებით კაზმავენ წნინანებს, ცხელი წყლით გამონაწვლილში ნივრითა და და ხახვთან ერთად ათავსებენ ხორცს, მისთვის მარინადის გემოს მისაცემად. ღვიის დანაყილ ნაყოფს აყრიან ნადირის ხორცს.

ღვიის მერქნისგან მზადდება მშვენიერი ნივთები და სამკაულები, რომლებიც სპეციფიკური არომატით გამოირჩევიან: საყურეები, კულონები, ცხელი ჭურჭლის დასადგამი. ღვიის ტოტებს იყენებენ სახლში ჰაერისა და ენერგეტიკის გასაწმენ-დად კვამლის სახით.

შავბალახა (*Leonurus uinquelobatus Gilib*) – Leonurus – Пустырник

ხუთადგანკვეთილი შავბალახა (*Leonurus uinquelobatus Gilib*) და საგულე შავბალახა (*Leonurus cardiaca*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ტუჩოსანთა (*Lamiaceae*) ოჯახი-დან. ხუთადგანკვეთილი შავბალახა 50-150 სმ სიმაღლის დატოტვილი, მახვილწვეტიანი, ოთხნახნაგა მწვანე ან მოწითალო-ისფერი, ღრუ ღეროთი, გამერქნებული ვერტიკალური ფესვუ-

რით გამოირჩევა. ფოთლები ყუნწიანია, მოპირისპირე, ღეროს წერძი პატარა ზომის, ზემოთ მუქი ან ღია მწვანე ფერისაა, ქვემოთ ნაცრისფერი. მთელი მცენარე დაფარულია გრძელი, რბილი ბეწვებით. ყვავილები წერილია, ვარდისფერი, ღეროს ბოლოზე ქმნიან თავთავისებრ ყვავილედს. ყვავილები ფოთლების უბეში რგოლებადაა შეჯგუფული. ნაყოფში სამწახნაგოვანი ოთხი თესლია მოთავსებული. შავბალახა ყვავილობას იწყებს ივნის-ივლისში, ნაყოფი მწიფება ივლის-აგვისტოში. საგულე შავბალახა პირველი სახეობისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ხუთადაა განკვეთილი ღეროს ქვედა ფოთლები, შუა – სამადგანკვეთილია, ზედა თითქმის მთლიანია, ფოთლები ნაკლებადაა შებუსული. ღერო შიშველია ან შებუსვილია წიბოებზე, ორივე სახეობა სარეველა ბალახია, გავრცელებულია თითქმის მთელს საქართველოში, იზრდება ბალ-ვენახების, ყანების, ტყის, გზის პირებში, ეზოებსა, ღობის ძირებში, ნაგვიან ადგილებზე. საქონელი მას არ ძოვს.

შავბალახას ნედლეულს აგროვებენ ბუტონიზაციისა და ყვავილობის დასაწყისში. ღეროების წერძებს და გვერდით ყლორტებს ყვავილებითა და ფოთლებით ჭრიან. შეგროვება ხდება მშრალ ამინდში, ნამის შეშრობის შემდეგ, აშრობენ ჩრდილში, გაშლილს თხელ ფენად, პერიოდულად აბრუნებენ. გამშრალი ბალახის შენახვის ვადა 3 წელია.

შავბალახა შეიცავს ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, სა-დაც დომინირებს ჰიპეროზიდი 0,7%, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, კუმარინებს, ფენოლკარბონის მჟავებს, დიტერ-ბენოიდებს, კატექინებს, ასკორბინის მჟავას, საპონინებს, მინე-რალურ მარილებს და სხვ. შავბალახას მიწისზედა ნაწილი ოფი-ცინალური ნედლეულია და შეტანილია სახელმწიფო ფარმაკო-პერში. შავბალახა შესანიშნავი დამამშვიდებელი საშუალებაა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით მისი მოქმედება 4-ჯერ აღემა-ტება კატაბალახას მოქმედებას.

ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ საგულე საშუალებად,

ხუთვის, წყალმანვის, კუჭის სპაზმების, მალარიის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, ნერვული აშლილობის და შიშების დროს. ნედლი ბალახის წვენი გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება (30-40 წვეთი რამდენიმეჯერ დღეში.)

ხალხური მედიცინა გვთავაზობს შემდეგნაირ ნაყენებს: 2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 200 მლ ცივი წყალი, დადგით 8 საათის განმავლობაში, გადაწურეთ და მიიღეთ ერთი დღის განმავლობაში. 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 500 მლ მდუღარე, დადგით 2 სთ-ით. ასეთი სახით მომზადებული ნაყენი მიიღეთ ღვინის ჭიქით 4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ბულგარულ ხალხურ მედიცინაში შავბალახას იყენებენ სისხლის მაღალი წნევის ნორმალიზებისათვის, გულის რიტმის დამამშვიდებელ, კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებად.

შავბალახას იყენებენ ჰომეოპატიაშიც.

შვიტა მინდვრის (*Equisetum Arvense*) – field horsetail - Хвощ Полевой

მინდვრის შვიტა (*Equisetum Arvense*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა შვიტისებრთა Equisetaceae ოჯახიდან. შვიტას აქვს მცოცავი, ღრმად ჩაფლული, რუხ-მოშავო ფესვურა. 10-50 სმ-ს სიმაღლის ღერო ორგვარია: გენერაციული და ვეგეტაციური. გენერაციული ღეროები ადრე გაზაფხულზე ამოდის, იგი სპორების მატარებელია და მათი შემოსვლის შემდეგ ჭკნება. ფერით რუხი-მოყავისფროა, დაუტოტავი, სიმაღლით 7-25 სმ. სპორები სფეროსებრია, მომწვანო, ოთხი დაგრეხილი დანამატით. ვეგეტაციური ღერო გვიან ამოდის, იგი მიწის ზედაპირიდანვე რგოლებადაა დატოტვილი, სიმაღლით 50-60 სმ-ია. თითოეულ რგოლში 6-15 ცალი რკალისებრი მწვანე ფერის ზეაღმართული ღეროა. მუხლთაშორისებრი ღრუიანია. ფოთლის ვაგინები დაშორიშორებულია. აქვს თეთრარშიანი 6-14 კბილი.

მცენარეს ახასიათებს 15-30 მმ სიგრძის თავთავი, შედგება მრავალრიცხვოვანი ფარის მზგავის, ყუნწიანი სპოროფილისაგან, ქვედა მხარეზე განლაგებულია 5-13 სპორანგიუმი, სპორები სფეროსებრია და გააჩნია შოლტისებრი ბლაგვთავიანი დანამატები, ნიადაგში ღრმადაა ჩამჯდარი მოშავო ტუბერაკებიანი ფესვურა, დატოტვილია. შვიტა თითქმის მთელს საქართველოშია გავრცელებული. იზრდება როგორც ველად, ასევე ფიჭვნარ, ფოთლოვან, შერუულ ტყეებში, ტყის ნაკაფებში, ბუქენარებში, მდინარის ნაპირებზე. როგორც სარეველა, ხშირად გვხვდება ბალებსა და ბოსტნებში. განეკუთვნება ძნელად ამოსაძირკვ სარეველებს.

ნედლეულად ამზადებენ შვიტას ვეგეტაციურ ღეროებსა და ტოტებს ზაფხულობით. მოქრილი ნედლეული გაშრობამდე უნდა გადაირჩეს სხვა მცენარეებისა და უხეში ნაწილებისაგან. უნდა გაშრეს გადახურულ ფარდულში, ჩრდილში, კარგი ვენტილაციის პირობებში ქალალდზე ან ქსოვილზე 5-7 სმ სისქით გაფენილი.

შვიტა შეიცავს 5%-მდე ტრიტერპენულ საპონინებს, ფლავონოიდებს, ალკალოიდებს, ფენოლურბონის მჟავებს, სტერინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინოიდებს, ლიპიდებს, C ვიტამინს, ალსანიშნავია, რომ მცენარე ახდენს სილიციუმის მჟავის, სელენისა და მოლიბდენის კონცენტრაციას.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება, როგორც შარდმდენი საშუალება გულის მანკის, გულის ქრონიკული უკმარისობის დროს გამოწვეული შეშუპების სამკურნალოდ, შარდსადენი გზების დაავადებების (პიელიტი, ცისტიტი, ურეტრიტი) სამკურნალოდ. ხშირად შვიტას უნიშნავენ სხვა სამკურნალო ბალაზების ნაკრებებთან ერთად, რომლებსაც აქვთ შარდმდენი და ანთების საწინააღმდეგო თვისებები.

გარდა აღნიშნულისა, შვიტას ნაყენები და ნახარშები გამოიყენება საშარდე გზების კენჭოვანი დაავადებების, ბუასილი-

სა და საშვილოსნოდან სისხლისდენის, აგრეთვე ტყვიით მწვავე და ქრონიკული მოწამვლის დროს.

შვიტას ნახარშს აქვს მადეზინფიცირებელი თვისება, ამიტომ მის საფენებს იყენებენ ძნელად შესახორცებელი წყლულებისა და ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნალოდ. საზოგადოდ, შვიტა გამოიყენება სხვა სამკურნალო ბალახებთან ერთად კომპლექსურად.

შვიტას ნახარში ან ნაყენი არ შეიძლება მიიღოთ ნეფროტების, ნეფროზების დროს, რადგან შესაძლებელია თირკმლის გაღიზიანება გამოიწვიოს.

შვიტას ნახარშს და ნაყენს იყენებენ არამარტო როგორც შარდმდენ, არამედ როგორც სისხლის აღმდგენ საშუალებას, თირკმლის და ნაღვლის კენჭოვანი დაავადების, ჰიპერტონიის და ათეროსკლეროზის დროს. შვიტას ნაყენი გამოიყენება პირის ორუში გამოსავლებად სტომატიტისა და ტონზილიტის დროს.

შვიტას იყენებენ ჰომეოპატიასა და ვეტერინარიაში.

შვიტას მიწისზედა ნაწილების ნახარში შესხურების შემდეგ აძლიერებს მცენარეთა გამძლეობას ქეცის, ჭრაქის და ჟანგას მიმართ, გამოიყენება, როგორც პროფილაქტიკური საშუალება.

ცირცელი (*Sorbus Aucuparia*) – Rowan Tree – Рябина Обыкновенная

ცირცელი (*Sorbus Aucuparia*) – უეკლო 5-6 მ სიმაღლის ხე, ან იშვიათად ბუჩქია *Sorbus* გვარის, ვარდისებრთა Rosaceae ოჯახიდან. ნაცრისფერი, გლუვი ვარჯით, ბეწვიანი ახალგაზრდა ტოტებით, რომლებიც შემდეგ შიშვლდება. ფოთლები მოგრძო ან მოგრძო-ლანცეტისებური. ფოთლის ზედაპირი მკრთალი-მწვანე ან რუხი-მწვანეა. ფოთლები 13-25 სმ სიგრძისაა, 11-15 ფოთოლაკით. ფოთოლაკები ზემო ნაწილში დაკბილულია. ზოგი ფოთოლაკის ძირში ჯაგრებია ნამოზრდილი. კენწრული ფოთოლაკი ასიმეტრიულ-ელიფსურია, ძირისკენ თანდათან

ვიწროვდება და ყუნწში გადადის. თეთრი ყვავილები ფარისებრ თანაყვავილედებშია შეკრებილი. ნაყოფი თითქმის ბურთივით მრგვალია, ვაშლისებრი ფორმის, წვნიანი, მკვეთრი ნარინჯის-ფერი-მოწითალოა. ყვავილები შიშველია ან თითქმის შიშველი ფარისებური საგველა. ნუშისმაგვარი სპეციფიკური სუნით, ჯამი 5 განყოფილებიანია; ბუსუსოვანი გვირგვინი თავისუფალ-ფურცლიანია და შედგება 5 თეთრი ფერის მომრგვალებული ფურცლებისაგან. ნაყოფი წვნიანია, ღია-ნარინჯისფერ-წითელია ან მოყვითალო-ნარინჯისფერი. კვირტები თითისტარისებრია, გლუვი ან ოდნავ წიბოვანი. ნაყოფი კენკრისებრია, მომრგვალო-ოვალური, წვნიანი, ხორცოვანი. შიგნით 2-7 თესლია. ნაყოფს თავში შერჩენილი აქვს ყვავილის ჯამი ვაშლისა და ვარდოსანთა ოჯახის სხვა სახეობების მსგავსად. თესლი ვარდის-ფერია, ნახევარმთვარის ფორმის. ყვავილობს მაის-ივნისში. ნაყოფი მწიფება აგვისტო-სექტემბერში. ცირცელის სხვადასხვა სახეობების სიცოცხლისუნარიანობა 60-100 წელია.

ცირცელი გავრცელებულია ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში, სვანეთში, რაჭა-ლეჩებუმში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში. წარმოდგენილია ორი სახეობით. ამათგან საქართველოში უფრო ფართოდ გავრცელებულია *Sorbus Caucasiæna* Kom., რომელიც ძირითადად მთავარი კავკასიონის მთა-ხეობებზე (აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩებუმი, სამეგრელო, იმერეთი, ქართლი, მთიულეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, კახეთი), აგრეთვე მცირე კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში (თრიალეთი, ჯავახეთი, მესხეთი) გვხვდება. მეორე სახეობა *Sorbus Boissieri* C. K. Schueid ძირითადად აჭარასა და გურიაში, მცირე რაოდენობით აფხაზეთსა და სამეგრელოშიც გვხვდება. გარეგნულად ორივე სახეობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. განსხვავება იმაშია, რომ პირველი მათგანის ფოთოლი უფრო მეტი რაოდენობის (9-მდე) წყვილი ფოთოლაკები-საგან შედგება. ფოთოლაკები მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა, ნა-

ყოფი კაშვაშა წითელი ან მკრთალი ყვითელია. სახეობა გავ-რცელების არეალში 5 ფორმითაა ნარმოდგენილი. მეორე სახე-ობის ფოთოლი მხოლოდ 5-7 წყვილი ფოთოლაკისაგან შედგება. ფოთოლაკები უფრო ფართო და სქელი, კიდეებზე მხოლოდ შუა ნაწილის ზემოთაა ხერხისებრ და კბილული. ნაყოფი ნარიჯის-ფერი ან მოყვითალო-წითელია. ეს სახეობა 2 სახესხვაობითაა *Var. Adscharia* – ხულოს რაიონში და *Var. Bachmarenis* – მთა ბახმაროზე წარმოდგენილი, რომელიც ერთმნეთისაგან ძირი-თადად ნაყოფის ფორმით განსხვავდებიან. პირველის ნაყოფი ვაშლისებრ შებრტყელებულია, მეორესი – ფართო ელიფსური. ცირცელი ყვავილობის და ნაყოფის სიმწიფის პერიოდში ძლიერ მიმზიდველია. სასურველია მისი გამოყენება მთიან პირობებში გამწვანებისა და გატყევებისათვის.

ცირცელი ვერ იტანს ნესტიან და დაჭაობებულ ადგი-ლებს. იგი უპირატესად კარგად ვითარდება საკვები ნივთიერე-ბებით მდიდარ ნიადაგებზე. ცირცელის გამრავლება შესაძლე-ბელია როგორც თესლებით, ასევე ვეგეტაციურადაც. უხვად ნაყოფმსხმოიარობს, მოსავლის რაოდენობა 1 ჰექტარზე 200-400 კგ აღწევს. ადვილად იტანს დიდ და ხანგრძლივ ყინვებს, აგ-რეთვე გვალვასაც.

დიდი ეკოლოგიური დიაპაზონის მცენარეა, ამიტომ მისი დარგვა-გაშენება შეიძლება არამარტო მაღალი მთის პირობებში, არამედ გაცილებით უფრო დაბლაც, თვით ზღვისპირამდეც კი.

ცირცელის ნაყოფები მდიდარია ვიტამინებით: C – 40-200 მგ%, B₂, E, P. იგი შეიცავს β-კაროტინს, ნახშირნყლებს, ლვინის, ვაშლის, ლიმონის, სორბინის მჟავებს, მნარე და მთრიმლავ ნივ-თიერებებს, ანტოციანებს, ლეიკოანტოციანიდინებს. მდიდარია მიკროელემენტებით. თესლი შეიცავს გლუკოზიდ ამიგდალინს და ცხიმოვან ზეთს. ფოთოლი შეიცავს ვიტამის C-ს.

ცირცელის ნაყოფი შედის მრავალი ვიტამინური ჩაების შემადგენლობაში. 100 გ დაქუცმაცებული ნაყოფების გამონან-ვლილი შეიცავს 80 მგ კაროტინს (ადამიანისათვის დღიური დო-

ზა შეადგენს 3 მგ-ს). ცირცელში კაროტინი ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე სტაფილოში, ხალხურ მედიცინაში ცირცელს დიდი ხანია იყენებენ შარდმდენ და საფალარათო საშუალების სახით. გამხმარი ნაყოფების ნახარში და ნედლი ნაყოფების წვენი გამოიყენება დიზენტერიის სამკურნალოდ.

ცირცელის ნაყოფები თავისი შესანიშნავი შემადგენლობის გამო სასიამოვნო საჭმელია და მეტად სასარგებლოა. მათი გამოყენება რეკომენდირებულია ავიტამინოზისა და გაცივების დროს. იგი შედის ვიტამინური ნაკრებების შემადგენლობაში.

ბულგარულ ხალხურ მედიცინაში ცირცელის ნაყოფები-საგან მომზადებულ სიროფს იყენებენ რევმატიული ტკივილების მოსახსნელად. პოლონელები კი თვლიან, რომ იგი არეგულირებს მარილოვან ცვლას ორგანიზმში. რუსულ ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, კუჭის დაბალი მჟავიანობის დროს. მშრალ ნაყოფებს და ნედლი ნაყოფების წვენს იყენებენ დიზენტერიის დროს, კენკრის ნახარშს იყენებენ ჰემოროის, თირკმლის კენჭოვანი დაავადების, რევმატიზმის დროს. წყლიანი ნახარშები ცნობილია როგორც შარდმდენი და სისხლდენის შემაჩერებელი.

ჩვენში ცირცელის ნაყოფებს იყენებენ კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობის დროს, გაციების პროფილაქტიკისათვის. ცირცელის ნაყოფი ოფიცინალური პოლივიტამინური ნედლეულია: შედის რამდენიმე ნაკრებში, ამზადებენ გამონაცემს, ხდიან ზეთს. ცირცელის ზეთს იყენებენ კუჭ-ნაწლავის დაავადებების საწინააღმდეგოდ, იგი აჩქარებს წყლულის ეპითელიზაციას და ქსოვილების რეგენერაციას.

ცირცელის ნაყოფები გამოიყენება ფიტოკულინარიაში, საკონდიტრო ნარმოებაში. მისგან ამზადებენ მურაბებს, ხილფაფას, მარმელადს და სხვა.

ვეტერინარიაში ნაყოფების ნახარშს იყენებენ საქონლის ფილტვების დაავადებებისას.

ცირცელი თაფლოვანი მცენარეა.

ნაბლი (Castanea Sativa Mill) – European Chestnut – Каштан Посевной

ნაბლი (Castanea Sativa Mill) ნიფლისებრთა (Fagaceae) ოჯახის წარმომადგენელია. იგი მაღალი, 35 მ-მდე სიმაღლის ხეა, დიამეტრი კი 1, 0 1,5 მ-მდეა. ყლორტები თეთრმეჭვიანი, მოყავისფრო ქერქიანია. ხნიერი ტოტები კი ნაცრისფერკანიანია, ღეროს ქერქი მუქი-მოყავისფროა, ღრმად დაღარული. 10-25 სმ სიგრძის ლანცეტა, კიდეხერხებილა, ზემოდან შიშველი ან სუსტად შებუსვილი, ქვემოდან დატოტვილი ბეწვებით შებუსვილი, ტყავისებრი ბოლოწვეტიანი ფოთლები ყლორტებსა და ტოტებზე მორიგეობითაა განლაგებული. ერთსახლიანი მცენარეა სქესგაყოფილი ყვავილებით. მამრობითი ყვითელი ყვავილები გრძელ აღმამდგომ თავთავისებში მჭადა თანაყვავილედებადაა შეკრებილი, რომელთა სიგრძე 10-35 სმ ფარგლებში მერყეობს, თანაყვავილედთა უმეტესობა კი მხოლოდ მამრობითი ყვავილებისაგან შედგება, ნაყოფი ერთთესლიანი, ტყავისებრ კანიანი კაკალია. სამ-სამი, იშვიათად 1-7 ნაყოფი ბურთისებრ მრგვალი და ხშირეკლებიან საერთო საბურველშია გახვეული, რომელიც მომწიფებისას 4 სეგმენტად სკდება და ნაყოფები სცვივა. ნაბლი იფოთლება აპრილ-მაისში, ყვავის ივნის-ივლისში, ნაყოფი მწიფდება და სცვივა სექტემბერ-ოქტომბერსა და ზოგჯერ ნოემბერში, რამდენიმე წლის განმავლობაში ერთხელ უხვად ნაყოფმსმოიარობს, ცოტა კი თითქმის ყოველ წელს ასხია. გავრცელებულია: აფხაზეთში, სამეგრელოში, რაჭაში, იმერეთში, აჭარაში, გურიაში, ბორჯომის ხეობაში, კახეთში. გავრცელებულია ბარსა და მთის შუა სარტყელში ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე. ხშირად შერეულია მუხასთან, წიფლთან, სოჭსა და რცხილასთან. იგი მეზო-

ფიტი და სიცივის ნაკლებ ამტანი ჯიშია. კარგად იზრდება ტენით უზრუნველყოფილ ღრმა ნოყიერ ნიადაგებზე მთის შუა სარტყელში. მისი მერქანი მეტად მაღალხარისხოვანი და ფრიად გამძლეა ლპობისა და მავნე ენტომოფაუნის მიმართ. ფართოდ გამოიყენება მშენებლობასა და საავეჯო წარმოებაში, სხვადასხვა სახის საყრდენ მასალად სოფლის მეურნეობაში. ვიტამინებით მდიდარი მწვანე ნეკერი ფართოდ გამოიყენება მეცხოველეობაში.

წაბლის ნაყოფი შეიცავს: 60% სახამებელს, 15 %-მდე შაქრებს, თითქმის 6 %-მდე ცილებს, 2 %-მდე ცხიმებს შეიცავს. მეტად ყუათიანია და კარგი გემოთიც გამოირჩევა, განსაკუთრებით მოხარშულ ან შემწვარ მდგომარეობაში. გამოიყენება კულინარიაში ტორტების, შაქარლამის, ნაყინის, კანფეტების დასამზადებლად. ხმელი წაბლის ფქვილით ამდიდრებენ პურის ფქვილს, იყენებენ ყავის შემცვლელად. საუცხოო საკვებია როგორც გარეული, ასვე შინაური ცხოველებისათვის. საშუალო საჰექტარო მოსავალი ტყეში 1 ტ-მდე აღწევს.

წაბლის თითქმის ყველა ორგანო ტანინებით მდიდარია (მერქანში 8-18%, ქერქში – 10%, ნაყოფის ეკლიან საბურველში – 8-20%, ახლად ჩამოცვენილ ფოთოლში – 12%, დაცვენილ ყვავილედებში – 13%). ფართო შესაძლებლობები ისახება მისი მთრიმლავი ექსტრაქტების წარმოებაში დასანერგავად. ამ მიმართებით ნედლეული საკმაოდ უნდა იყოს, რადგან ჩამოცვენილი ფოთლების მასა ერთ ჰექტარზე 2000 კგ, თანაყვავილედები – 400 და ეკლიანი საბურველი 800 კგ შეადგენს.

წაბლი ფართოდ ცნობილი შესანიშნავი თაფლოვანი მცენარეა. ფოთლები K ვიტამინითა და ტანინებით სიმდიდრის გამო ხალხურ მედიცინაში შიდა ორგანოებში სის-

ხლჩაქცევების დროს გამოიყენება. ქერქისაგან მაღალხა-რისხოვანი მელანი მზადდება. ყლორტები, ფოთლები და ნაყოფის კანი შავად და მუქყავისფრად ღებავს ქსოვი-ლებს, საღებავად გამოიყენება ქერქიც.

წალიკა (*Polygonum Hydropiper*) – Water Piper – Горец Перечный

წალიკას, როგორც სამკურნალო მცენარეს, ჯერ კიდევ ძველი ბერძნები და რომაელები იყენებდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ მას შესწევს უნარი გაასუფთავოს იარა და დაშალოს სიმ-სივნეები. წალიკას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ძველ ჩი-ნეთშიც, როგორც გარეგან გამაღიზიანებელს. ევროპაში მას საფენებად და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად ხმარობდნენ.

წალიკა (*Polygonum Hydropiper*), ბოსტნის წალიკა (*Polygonum Persicaria*), ჩვეულებრივი მატიტელა (*Polygonum Aviculare*) 35-70 სმ სიმაღლის ბალახოვანი ერთწლოვანი მცე-ნარებია მატიტელასებრთა (*Polygonaceae*) ოჯახიდან. წვრი-ლი ფესვებითა და დატოტვილი ღრუ, მწვანე, დამუხლული ღე-როებით, რომლებიც ნიადაგში იდგამენ ფესვებს და შემოდგო-მისათვის ხშირად წითლდებიან. ფოთლები მორიგეობითია, წაგ-რძელებულ-ლანცუტისებრი, 3-10 სმ-ის სიგრძის, მთლიანკიდე-ებიანი, შიშველი, ძირში ღერომხვევი ხალთით, რომელიც წარ-მოქმნილია ორი ფოთოლაკის შეზრდის შედეგად. ხალთა მორუ-ხო, ნაპირებში მოკლეწამწამებიანი, შიშველია. ყვავილები წვრი-ლია, მომწვანო ან წითელი, ზევით ხშირად ვარდისფერია. ყვა-ვილსაფარი ოქროსფრად დაწინწკლული, რაც მასში ფისების არსებობაზე მიუთითებს, თუმცა ეს წერტილები მხოლოდ ლუ-პის ქვეშ შეიმჩნევა. მტვრიანა – 6, იშვიათად – 8, ბუტკო 2-3 სვეტით. ყვავილები შეკრებილია თხელ თავთავისებრ ყვავილე-დებად, რომლებით თანდათან გადადიან შეფოთლილ ღეროში. ყვავილობს ივნისის ბოლოდან სექტემბრამდე. წაყოფი მოთავ-

სებულია ყვავილსაფარში. იგი ცალ მხარეს გამობურცულია ან სამწახნაგოვანია, აქვს მუქი რუხი ფერი. მცენარის ახალ ფო-თოლს წინაკასავით ცხარე გემო ახასიათებს, რაც შრობის მერე იკარგება.

წალიკა იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, ჭაობიან ადგილებში, ტენიან მდელოებზე, როგორც სარეველა მცენარე.

მცენარეს კრეფენ ხელით, ზაფხულის ბოლოს, ყვავილობის პერიოდში, ხოლო დიდი რაოდენობით დამზადების დროს ხმარობენ ნამგალს. ნედლეულს ჭრიან მიწიდან 10-20 სმ-ის სი-მაღლეზე. აშრობენ სწრაფად. შრობის დროს თხელ ფენად ან-ყობენ და ხშირად აპრუნებენ, ვინაიდან ხანგრძლივი დროით შრობის შემთხვევაში მცენარე შავდება. ნედლეულის შენახვის ვადა 2 წელია. ნედლეულის შემგროვებლებს ხშირად ეშლებათ სამკურნალო ნალიკა სხვა სახეობის მატიტელებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ წალიკას აქვს ცხარე გემო და მას აქვს ყვავილსაფარზე ოქროსფერი წერტილები.

ბოსტნის წალიკა (*Polygonum pericaria*) 20-70 სმ სიმღლისაა სწორი, ან იშვიათად წამოწეული და დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ლანცეტა ან ხაზურ ლანცეტა, გრძლად წაწვეტებული, თითქმის მჯდომარე ქვედა ფოთლები მოკლე ყუნწიანია, ზედა მხარეზე მუქი მოწითალო ან ისფერი ლაქით. ყვავილები პატარა, მტევნებად შეკრებილი. მტევნები მჭიდროა, ცილინდრული, სწორი ან იშვიათად თავდალუნული. ყვავილის ყუნწი და ყვავილსაფარი ვარდისფერი ან მოთეთროა, უჯირკველო. წაყოფი ჩამაღულია ყვავილსაფარში, სამწახნაგოვანია, პრიალა, მცენარე ყვავილობს ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით. შეგროვების დროს შესაძლებელია ნედლეულს შეყვეს რბილი წალიკა, რომელსაც თხელი, თავდახრილი თავთავი აქვს, მაგრამ არ აქვს ყვავილსაფარზე წერტილები, რომლებიც მხოლოდ ლუპის ქვეშ შეიმჩნევა. ხალთა დაფარულია ხაონი ბეწვებით. სხვა მსგავსი სახეობებისაგან განსასხვავებლად საჭიროა ყვავილსაფარზე დაკირვება.

მესამე სახეობა, ჩვეულებრივი მატიტელა პატარა, ერთნლოვანი ბალახია, ღერო წამოწეული, ან გართხმულია 10-14 სმ სიგრძის, ქვედა მუხლიშორისები 1-3 სმ სიგრძისაა, ფოთლები სხვადასხვა ზომისა, ფორმით ოვალურიდან ხაზურამდე, ბლაგვნერიანი, მწვანე ან მოლეგო. ყვავილები პატარაა, 2-5 ერთად ფოთლების იღლიებშია განლაგებული. ყვავილსაფარი მომწვანოა, კიდეებზე თეთრი ან ვარდისფერი. ნაყოფი უწესო სამწახნა-გოვანია, წაწვეტებული, წახნაგებზე პატარა წერტილებითაა დაფარული. მცენარე ყვავილობს ივნისიდან ოქტომბრამდე.

წალიკას სამივე სახეობა შეტანილია სახელმწიფო ფარმაკოპეაში. დამახასიათებელი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა ფლავონოიდები, არანაკლები 5%. მედიცინაში გამოსაყენებლად ამზადებენ სამივე სახეობის ბალახს მცენარის ყვავილობის ფაზაში. ჰაერმშრალი ნედლეული უსუნო ან სუსტი სუნით და ოდნავ ცხარე-მომწარო გემოთი გამოირჩევა.

წალიკაში აღმოჩენილია გლიკოზიდი პოლიგოგიპერინი, დიდი რაოდენობით ვიტამინი K, რომელსაც აქვს სისხლის შედედების უნარი შინაგანი სისხლდენის დროს. ნაპოვნია აგრეთვე ფლავონური გლიკოზიდი რუტინი (რუტინს აქვს ვიტამინ P-ს თვისებები), მთრიმლავი ნივთიერებები ანუ ტანიდები.

ბოსტნის წალიკა კუჭში გამხსნელი ნაზი საშუალებაა და გამოიყენება ატონიური და სპასტიკური კუჭშეკრულობისას, გააჩნია ჯარგად გამოხატული სისხლდენის შემაჩერებელი თვისება, სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება საშვილოსნოდან სისხლდენის შესაჩერებლად, ბუასილის სამკურნალოდ, გარდა ამისა გამოვლენილია მისი შარდმდენი და ჰიპოტენზიური გავლენა ექსტრაქტების სახით.

ხალხურ მედიცინაში ბოსტნის წალიკა ოდითგანვე გამოიყენება ქრონიკული ყაზბობისა და ბუასილის სამკურნალოდ, ბუასილური და საშვილოსნოდან სისხლდენის შემთხვევებში, აგრეთვე როგორც ძლიერი შარდმდენი საშუალება. სამარდებულების ანთებისას სკამენ ბოსტნის წალიკის წყალზე ნაყენს

წყალში გახსნილ წალიკას წვენს ხმარობენ პირის ღრუში გამოსავლებად პაროდონტოზის დროს. თავის ტკივილის დროს თითებში კარგად დასრესილ ბალახს იდებენ უკან, კეფაზე, მდოგვის ნაცვლად. ბუასილის დროს სვამენ წალიკას ნაყენს ან იკეთებენ აბაზანებს.

წალიკა პოპულარულია ჰომეოპატიაში.

ჭიაფერა (*Phytolacca*) – Pokeberry – Лаконос

ჭიაფერა (*Phytolacca*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მიეკუთვნება ჭიაფერასებრთა (*Phytolaccaceae*) ოჯახს, მსხვილი, მრავალთავიანი ფესვებით, სწორმდგომი, დატოტვილი, 1 მ-მდე სიმაღლის ღეროთი, კვერცხისებრ-ელიფსური 5-20 სმ სიგრძის მწვანე ან მომწვანო-მოყვითალო ფოთლებით, გრძელი, ყუნწიანი წვრილი ყვავილები შეკრებილია ფარვანისებ ყვავილედებად და მოთავსებულია ფოთლის მოპირდაპირე მხარეს, მწიფე ნაყოფი შავი კენკრაა. ყვავის ივლისიდან, ნაყოფი მწიფე სექტემბერში.

ჭიაფერას სამშობლოა ჩრდილოეთ ამერიკა. ამ მცენარის მრავალრიცხოვანი ჯიშებიდან ჩვენში გავრცელებულია ორი – ამერიკული და კენკროვანი. ამერიკული ჭიაფერა (*Phytolacca Americana*) ან (*Phytolacca Decandra*) მოზრდილი, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ხისებრი ღერძით, რომელიც 1-3 მ-მდე იზრდება. აქვს მსხვილი ძირი, მორიგეობითი და გრძელი ფოთლები, რომლებიც მოგვიანებით წითლდება და წვრილი ყვავილები. ნაყოფი, მბრნყინავი კენკრაა, რომელიც თავიდან წითელია, შემდეგ კი შავდება, წვნიანია.

ფოთლები შეიცავს ასკორბინისა 240-285 მგ% და მუაუნის მჟავებს, საპონინებს, ფესვები კი ალკალოიდ ფიტოლაკურინს – 0,16%, ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს სპეციფიკური მძაფრი სუნით და მწარე გემოთი – 0,08 %, ტრიტერპენოიდებს,

სტეროიდებს, საპონინებს, ნაყოფი და თესლები მდიდარია PP და B ჯგუფის ვიტამინებით, კალიუმით.

ჭიაფერას დიდი ნორმებით მიღებისას რეფლექსური ფუნქციის და სუნთქვის რიტმის მოშლას აქვს ადგილი, ამიტო-მაც პრეპარატების მიღებისას საჭიროა სიფრთხილე.

ხალხურ მედიცინაში ფესვურის ნაყენები და ნახარშები გამოიყენება, როგორც მსუბუქი სასაქმებელი, შარდმდენი და ჭიის დამდენი საშუალება. ასევე ეფექტურია თირკმლების და წყლულოვანი დაავადებებისას. მცირე რაოდენობით ექსტრაქ-ტებს და ფხვნილებს ღებულობებს კუჭის შეკრულობისას და ნივ-თიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად. მოხმარენ კანის დაა-ვადებებისას. ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში მას საფერავადაც იყენებენ. ნაყოფი და ფოთლები გამოიყენება მწნილების დამ-ზადებისას საფერავად.

ჰომეოპათიაში იყენებენ რევმატიზმების, კატარების, ან-თებების სამკურნალოდ და სისხლგამწმენდ საშუალებად.

ჯინჭარი (*Urtica Dioica*) – Common Nettle – Крапива Двудомная

ორსახლიანი ჯინჭარი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცე-ნარეა ჯინჭისებრთა (*Urticaceae*) ოჯახიდან, აქვს ჰორიზონტა-ლური ფესვურა, 60 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი, ოთხნახნა-გოვანი, სუსტად დაკბილული ღერო, რომელიც უხვადაა შემო-სილი ხეშეში, მსუსხავი, ჯირკვლოვანი ბეწვებით. საპირისპი-როდ განლაგებული, კვერცხისებრი ან გულისებრი, დაკბილუ-ლი, ყუნწებიანი ფოთლებით. ყვავილედი საგველასებრი, და-ტოტვილი. მდედრობითი ყვავილები გადმოკიდებულია, მამრო-ბითი კი სწორმდგომი. მდედრობითი ყვავილების ყვავილსაფა-რის შიგნით ზურგისეული ნაკვთები ნაყოფიანობისას ზრდას აგრძელებენ, მჭიდროდ ეკვრიან გარშემო კაკალს, ოდნავ აღე-მატებიან მას. კაკალი მოყვანილობით მომრგვალო ელიპსური

ფორმისაა. მცენარე ყვავილობს ივნის-სექტემბერში, ნაყოფი მწიფებება აგვისტო-ოქტომბერში.

ჯინჭარი მთელ საქართველოშია გავრცელებული დიდი ნაზარდების სახით. სამედიცინო და ტექნიკურ ნედლეულად იყენებენ ფოთლებს და აგროვებენ მაის – ივლისში. შესაძლო მინარევებია მსუსხავი ჯინჭარი (*Urtica Urens*) და ჯინჭრის დე-და (*Lamium Album*), პირველს ახასიათებს ელიფსური, შედარებით პატარა ფოთლები, კიდეებზე უფრო ბლაგვი, სწორი კბილანებით. მცენარე ერთწლოვანია. მეორე მცენარის ფოთლები გულისებრ კვერცხისებურია, გრძელი ყუნწებით. მცენარე მრავალწლოვანია, ოთხნახნაგა ღეროთი.

ჯინჭარი მდიდარია ვიტამინებით K, C, B₁, B₂, კაროტინო-იდებით, ქლოროფილი 15%-მდეა, სახამებელი 10%-მდე, მთრიმლავი ნივთიერებებით, კუმარინებით, ფლავონოიდებით, ეთეროვანი ზეთებით. მასში ნაპოვნია მინერალური ელემენტები K,Ca,Fe, S, Si, Mg და სხვ. ფოთლებზე არსებული უხეში ბეწვები შეიცავს აზოტშემცველ შენაერთს ჰისტამინს. ჯინჭრის ფოთლები ბუნებრივი პოლივიტამინების ნედლეულს ნარმოადგენენ. ჯინჭრის წვენს იყენებენ თირკმელებში კენჭის ნარმობის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე შარდსადენი გზების ინფექციური დაავადების მკურნალობის დროს, სისხლდენის შემაჩერებას საშუალებად, ქრონიკული ვარიკოზული წყლულებისა და სისხლნაკლებობებისას. ჯინჭრის პრეპარატები ხელს უწყობს სისხლის შედედებას და ჰემოგლობინის რაოდენობის მომატებას. ფოთლები შედის ალახოლის შემადგენლობაში.

ჯინჭარს დიდი გამოყენება აქვს კოსმეტოლოგიასა და დერმატოლოგიაში, ამაგრებს თმისა ძირებს. იგი ეფექტურია ძირითადად რთულ ნაკრებებში.

ჯინჭრის დედას ხალხურ მედიცინაში იყენებენ კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დროს, რასაც თან ახლავს ფალარათიანობა. ყვავილის ნაყენი კი გამოიყენება ნახველის ამოღების გასაუმჯობესებლად ტრაქეიტის, ბრონქიტის, ბრონქიალური ას-

თმისა და სუნთქვის ორგანოების დაავადებებისას. ნაყენი ეფექტურია ასევე სისხლდენის შესაჩერებლად ფილტვებიდან, ნაწლავიდან, საშვილოსნოდან. ნერვული ალგზნებულობის, ისტერიის, უძილობის დროს ურჩევენ მიიღონ ჯინჭრის დედას ყვავილებისა და ფოთლების ნაყენი. საკმაოდ გავრცელებულია ამ მცენარის გამოყენება როგორც სისხლის გამწმენდი საშუალების ბავშვებში ფურუნკულოზის, ეგზემის, კანის წყლულების, გამონაყარის დროს. ყვავილების ნაყენს იყენებენ გარეგანი მკურნალობისათვის ჭრილობებისა და დამწვრობის მასაშუშებლად.

ჯინჭრის ნაყენი უძველესი დროიდან გამოიყენება ბუგრებისა და ლობიოს მარცვლიას წინააღმდეგ.

ხახვი (*Allium Cepa*) – Bulb Onion – Лук Репчатый

ხახვი (*Allium*) — მრავალწლოვანი 30-80 სმ სიმაღლის, ხახვისებრთა (*Alliaceae*) ოჯახის წარმომადგენელია. ბოლქვიდან გამომავალი ფოთლები მილისებრ — ღრუიანი, ორწყება. პატარა ყვავილები მოთეთრო-მომწვანოა, შეკრებილია ქოლგებად და ქმნის ბურთივით მრგვალ ყვავილედს. ბოლქვები დიდია, სქელი, წვნიანი ქერქლებით, ყველა ქერქლი განლაგებულია და-მოკლებულ ღეროზე, ეს ბოლქვის ძირაკზე. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია, უსწორო ფორმის. თესლი შავია, წვრილი, წიბოებიანი. ყვავილობს ივნის-აგვისტოში. მცენარის ყველა ნაწილს აქვს მძაფრი — მშუშხავი გემო და სპეციფიკური სუნი.

ხახვის სახეობების სამშობლოდ ითვლება ჩინეთი, შუა და წინა აზია. ოფიცინალური სახეობა ყველაზე გავრცელებულია და მოჰყავთ, როგორც ბოსტნეული. სამკურნალოდ და საკვებად გამოიყენება ხახვის ფოთლები და ბოლქვები, ამ უკანასკნელთ გააჩნიათ თეთრი, მომწვანო ან მოისფრო ხორცოვანი ქერქლები, ხოლო გარედან დაფარულია მშრალი, მეტ-ნაკლებად მუქი ქერქლით.

ხახვის ფოთლები და ბოლქვები შეიცავს S-გლიკოზიდებს, ალინს, ციკლოალინს, მეთილალინს, პროპილალინს. უნდა აღინიშნოს, რომ ალინი ნიორში არსებული ალინისაგან განსხვავებით S -პროპენილცისტეინ- S-ოქსიდია. ბოლქვები შეიცავენ ეთეროვან ზეთებს 15%, რომელშიც 80-90% პროპილმერკაპტანი და მისი სულფიდებია, სტეროიდულ საპონინებს, C და B₁ ვიტამინებს, კაროტინიდებს, ორგანულ მჟავებს, ფიტოცინ-დებს, პოლისაქარიდებს 10%, მათ შორის ფრუქტოზას, საქართვის, მალტოზას. ბოლქვების ქერქში მოიპოვება ფლავონოიდები, განსაკუთრებით კვერცხეტინი და მისი გლიკოზიდები. ხახვი შეიცავს მაკროელემენტებს K, Ca, Mg. მიკროელემენტებს Mn, Cu, Zn, Cr, Al, Ni, B.

ხახვს ღებულობენ, როგორც ანთების საწინააღმდეგო, მიკრობსაწინააღმდეგო, მსუბუქ სასაქმებელს, ამოსახველებელს, შარდმდენს, ტკივილის გამაყუჩებელს, ჭიის დამდენი თვისებების გამო.

ხახვი სურავანდის საწინააღმდეგოდ კარგი საშუალებაა და გამოიყენება პროფილაკტიკისათვის ორგანიზმში ვიტამინების უკმარისობის დროს.

ხახვის წვენს კუჭ-ნაწლავის ანთებისა და ანგინის შემთხვევაში იყენებენ დასალევად. თაფლში არეული ხახვის წვენი კარგი საშუალებაა თვალზე ლიბრის განვითარების წინააღმდეგ. ხახვის წვენს სვამენ ხველების, ბრონქიტისა და თვით ყივანახველის დროსაც, საამისოდ ერთმანეთში არეულ 500 გ წვრილად დაჭრილ ხახვს, 50 გ თაფლსა და 400 გ შაქარს 3 საათის განმავლობაში ნელ ცეცხლზე ხარშავენ 1 ლ ნყლით, გაგრილების შემდეგ ბოთლში ასხამენ და თავზე ახურავენ. სვამენ დღის განმავლობაში 4-6 სუფრის კოვზ ნახარშს.

ყელის ანთების შემთხვევაში ურჩევენ გახეხილი ხახვისა და ვაშლის, აგრეთვე თაფლის (გემოვნების მიხედვით) ნარევის მიღებას 2 – 3 ჩაის კოვზის რაოდენობით დღეში 2-3-ჯერ.

ფიტოპარფიუმერიაში ხახვს სახის ნაოჭების გასაქრობად და მისი პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ. ხახვის წვენი – 30

გ, თაფლი, თეთრი შრომბანის წვენი და თეთრი სანთელი თანაბარი რაოდენობით ცხელდება თიხის ჭურჭელში ნელ ცეცხლზე ან ორთქლზე, ხის ჯოხით ხშირი მორევით და შემდგომ გაგრილებამდე. ხახვის წვენით იცილებენ ჭორფლს, ხოლო მის თაფლთან ნარევით კი კანის სოკოვან დაავადებებს მკურნალობენ. ხახვის ნაჭრების საფეთქლებსა და შუბლზე დადებით თავის ტკივილი წყნარდება.

ჯორისძუა (*Urtica dioica*) – Common Nettle – Крапива Двудомная

ჯორისძუა (*Urtica dioica*) ჯორისძუასებრთა ოჯახის წარმომადგენელია. ჯორისძუა 1-2 მ სიმაღლის ბუჩქია. ქერქი ღეროსა და ხნიერ ტოტებზე ნაცრისფერია. დამუხლული ახალგაზრდა ტოტები აღმამდგომია, მწვანე ან მონაცრისფერო და გლუვი. მამრობითი მჭადა ყვავილედი თითქმის მჯდომარეა, სათითაოდ განწყობილი ერთიმეორის პირისპირ, ფორმით ბურთისებრი, ბუტკოიანი ყვავილედი ერთყვავილიანია, მოპირისპირედ განწყობილი. ჩვენს პირობებში ყვავის მარტ-აპრილში. მწიფე ცრუ ნაყოფი – კენკრა – გირჩაა, ივნის-ივლისში მწიფდება. მცენარე იზრდება უმეტესად ბარში, მთაში ზღვის დონიდან 1600 -1800 მეტრამდე სიმაღლეზე გვხვდება, თხელ მშრალ ხირხატიან ნიადაგებზე, არც თუ იშვიათად შიშველ კლდეებზეც სახლდება. გავრცელებულია ქართლში, მთიულეთში, რაჭაში, კახეთსა და მესხეთში. სამკურნალო ნედლეული მწვანე ტოტებია, გროვდება ყვავილობის ან ცრუ ნაყოფების მომწიფების. სამედიცინო პრაქტიკაში უფრო ხშირად *Ephedra vulgaris Rich. P.* იყენებენ. ჯორისძუა როგორც სამკურნალო მცენარე, ჩინეთში ცნობილი იყო 1500 წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე "მუგუანგის" სახელწოდებით.

ჯორისძუა ხალხურ მედიცინაში გამოიყენება რევმატიზმის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, სასუნთქი გზების

დაავადებების სამკურნალოდ. მთავარ მოქმედ ნივთიერებას ალკალიფიდი ეფედრინი წარმოადგენს. ეფედრინი აღაგ ზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ააქტიურებს გულის მუშაობას, ზრდის სისხლის წნევას, ავინტროებს სისხლძარღვებს. ჯორის-ძუიდან გამოყოფილია ლეიკოანტოციანი ლეიკოეფედრინი, რომელიც უფრო მაღალი P ვიტამინური აქტივობის მქონეა. პრეპარატი ეფედრინი მედიცინაში უმთავრესად ბრონქიალური ასმის, ყივანახველის, გულის კუნთის დაავადებისას და სისხლის დაბალი წნევის სამკურნალოდ გამოიყენება. მონლოლეთის ხალხურ მედიცინაში ჯორისძუა ცნობილია, როგორც საშუალება ღვიძლისა და ნაღველსადინარების დაავადების სამკურნალოდ. იგი საკმაოდ შხამიანია. ცნობილია მისი მიზეზით ბატკენებისა და თიკნების მონამვლის შემთხვევები დედა ცხვრებისა და თხების რძით, რომელთაც ჯორისძუა ძოვეს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ჯორისძუა სამკურნალოდ მხოლოდ ექიმს დანიშნულებით უნდა იქნას გამოყენებული.

ჯორისძუის პრეპარატების მიცემა არ შეიძლება ჰიპერტონიან, ათეროსკლეროზიან, ძლიერ აღგზნებული ავადმყოფებისათვის, აგრეთვე უძილობისა და გულის კუნთის მძიმე ორგანული დაზიანების დროს.

**ანტიპიოტიკების შეაცველი სამკურნალო,
სანელებელი და არომატული მცველეობები,
არეალი, გენეტიკური რესურსის მარაგები,
დაცვა-კონსერვაცია, გიოლოგიური
თავისებურებანი, გათი გამოყენების
პერსპექტივები**

უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ინტერესი ეკონომიკურად მომგებიანი სასარგებლო მცენარეებისადმი, მათი გამოყენების პოტენციალი სულ უფრო და უფრო იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინაში, კოსმეტოლოგიასა თუ კულინარიაში უხვად მოიპოვება გაცილებით იაფი სინთეტიკურ-ქიმიური საშუალებანი. ეს პროცესი არც არის გასაკვირი, რადგან ამ უკანასკნელთა გამოყენებას თან ახლავს მრავალი თანმდევი გართულებები, იგივე თუნდაც ალერგიულ დაავადებათა სახით, რასაც არა აქვს ადგილი ამ მცენარეებიდან მიღებული პრეპარატების მიღებისას. მცენარეული საშუალებების გამოყენების ეფექტურობას, პირველ რიგში განსაზღვრავს მათი მაღალი ბიოლოგიური აქტივობა და ნაკლებ ტოქსიურობა, რადგან მცენარის ონთოგენეზის პერიოდში მეტაბოლიტური პროცესების მიმდინარეობისას წარმოიქმნება ისეთი მნიშვნელოვანი და ძვირფასი წაერთები, როგორიცაა: ეთერზეთები, ალკალინდები, გლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ვიტამინები ანუ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომელთა მოქმედება რბილი და ხანგრძლივია ადამიანთა ორგანიზმზე, მაგრამ შედეგიც სტაბილურია. მათი მოხვედრა ორგანიზმში ინვენს დადებით ფიზიოლოგიურ ეფექტს.

რიგმა განვითარებულმა ქვეყნებმა აკრძალეს ბავშვთა და ცხოველთა კვებაში სინთეტიკური ანტიბიოტიკების დამატება. საქართველოს უნიკალური ფიტოგენეტიკური რესურსი მდიდარია წატურალური ანტიბიოტიკების შემცველი მცენარეებით, ამიტომაც ჩვენს ქვეყნას შეუძლია ღირსეული ადგილი

დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე ნატურალური ანტიბიოტიკების წარმოებით. ასევე აქტუალურია ნატურალური საკვები დანამატებისათვის საინტერესო მცენარეთა ბლოკების შერჩევა (ცხოველთა კომბინირებულ საკვებში ფიტოდანამატების შერჩევა, მცენარეული საღებავები, ფიტოსამკურნალო სამუალებები, არომატული ეთეროვანი ზეთები, ფიტოსანელებლები, ფიტოკონსერვანტები);

აღნიშნული საკითხი პრიორიტეტულია ისეთი მცირემინიანი, მჭიდროდ დასახლებული, უნიკალური ეკოსისტემის და ბიომრავალფეროვნების მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. სამკურნალო პრეპარატთა 30%-ზე მეტი მიღება მცენარეებიდან, ყოველი მესამე პრეპარატი მსოფლიო ბაზარზე გახლავთ მცენარეული წარმოშობის და მათი ფასი, სინთეტიკურთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია.

საქართველოს უმდიდრესი და უნიკალური ფიტოგენოფონდი ბუნებრივ-ისტორიული სიმდიდრეა. იგი მუდმივ კონსერვაცია-ალდეგენა-დაცვას საჭიროებს, რადგან იცვლება ანტროპოლოგიური თუ სტიქიური ზემოქმედებებით.

აქ გავრცელებულია სამკურნალო, არომატულ, თაფლოვან, სანელებელ და შხამიან მცენარეთა უნიკალური, მაღალეფექტური ენდემური და აბორიგენული სახეობები, ბევრი მათგანი დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების პირას არის მისული.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების *ex-situ* და *in-situ/on farmer* უზრუნველყოფა, საზოგადოების ინფორმირების ამაღლება, ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია, მდგრადი გამოყენება.

ეს სასურველია მოხდეს გენეტიკური რესურსის წარმოშობის არეალში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მომავალი მოხმარებისათვის გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ანუ გენეტიკურ რესურსზე ხელმისაწვდომი კონტროლის მექანიზმის და მიღებული სარგებლის განაწილების პრინციპის ინტეგრირებას ბიომრავალფეროვნების იმ

კონვეციით მინიჭებული უფლებებიდან, რომლის წევრიც არის საქართველო 1994 წლიდან.

საქართველოს სამკურნალო, არომატულ, სანელებელ, თაფლოვან და შხამიან მცენარეთა გენეტიკური რესურსის შესწავლა-გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ეს უნიკალური და მრავალფეროვანი სიმდიდრე არასაკმარისად არის კატალოგირებული და გამოყენებული.

უფრო მეტიც, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები იმ მცენარეთათვისაც კი, რომლებიც ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენენ, დამუშავებული არ არის და მთელი ეს პერიოდი შემოაქვთ მეზობელი ქვეყნებიდან, მაშინ როცა ჩვენი ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური პარამეტრები ხელსაყრელია მათი კულტივირებისათვის. ლიტერატურა მათ ირგვლივ ვრცელია, მაგრამ იგი ძირითადად ფარმაკო-ბოტანიკური ხასიათისაა.

ამიტომაც მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ამ მეტად ღირებულ მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინებით შეიქმნა პროდუქტიულობის მაღალნაყოფიერი მოდელი. სამრეწველო პლანტაციების შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყნის ფიტოგენოფონდის შენარჩუნებას. მათი სწორად ჩართვა თესლბრუნვებში და მექანიზაციის პროფესიული გამოყენება შეამცირებს ეროზიულ პროცესებს. ეს უნიკალური მცენარეები მეტად ძვირფასი და შეუცვლელი ნედლეულია არამარტო სამამულო ფიტომრწველობისათვის, არამედ საექსპორტო პოტენციალის სერიოზული პერსპექტივაც გააჩნიათ.

მათი აგრობიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე უნდა განვითარდეს ქვეყნისათვის ისტორიულად ტრადიციული, ამჟამად მივიწყებული პრიორიტეტი – სამკურნალო, არომატულ, სანელებელ, თაფლოვან და ზოგიერთი მეტად მოთხოვნადი შხამიანი (მაგ. ქრისტესისხლა) მცენარეების ეკოლოგიურად სუფთა, სტანდარტული ნედლეულისა და პროდუქციის მოყვანა – გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი დიაგნოსტიკის მაღალნაყოფიერ მო-

დელში: ნიადაგი-გარემო-კლიმატი-მცენარე-სასუქი-მოსავალი მოყვანის წესებისა და თესვის ვადების დიფერენცირებით სხვა-დასხვა ეკოსისტემაში ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის გათვალისწინებით, რადგან მცენარეთა სა-საქონლო ფასა მათი ხარისხობრივი ტესტები განსაზღვრავს.

მნიშვნელოვანია სტანდარტული თესლის ბანკის შექმნის სქემა შენახვის ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს ალმოცენების ხარისხი; დაავადებათა მთელი სპექტრის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური ლონისძიებების დიფერენცირება; მიღებული ნედლეულის შენახვის პირობები ხარისხობრივი ტესტების შენარჩუნების მიზნით; ბაზრის კონიუნქტურული ანალიზისა და მარკეტინგის კვლევის სისტემა ეკონომიკური ეფექტის გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული პრობლემა დაედო საფუძვლად ჩვენს პროექტს, სადაც ერთ მოდელში გაერთიანებულია ერთის მხრივ კვლევა პრიორიტეტულ მცენარეთა გენეტიკური რესურსის მარაგისა ქვეყანაში, მათი შემდგომი დაცვა-კონსერვაციისა და გაუმჯობესების პარამეტრების დაკონკრეტებით, მეორე მხრივ კი მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ეკონომიკური რეაბილიტაციის აუცილებლობა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში განთავსება-განვითარებისათვის, ანუ სამრეწველო პლანტაციებისა და თესლის ბანკის შექმნა ბიომრავალფეროვნების ბალანსირებისა და რაციონალური გამოყენებისათვის. კვლევის ობიექტებია საქართველოში გავრცელებული სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიან მცენარეთა ბიომრავალფეროვნება განსხვავებული ეკოსისტემის პირობებში.

უკანასკნელ წლებში არსებითად შეიცვალა სამკურნალო, არომატული, სანელებელი, თაფლოვანი და შხამიანი მცენარეების არეალი და პოპულაციათა რიცხოვნება, რაც ძირითადად განპირობებულია: ველურად მოზარდი ფორმების უკონტროლო, არარაციონალური მოპოვებით, ეროზიული პროცესებით, გარკვეული არეალის ათვისებით სამეურნეო მიზნებისათვის,

საძოვრების გადაჭარბებული ექსპლუატაციით, რაც იწვევს ბალახოვანი საფარის შემადგენლობის ცვლილებებს, ზოგ შემთხვევაში განადგურებასაც, ნაწილობრივ აღდგენასაც კი გარკვეული დანახარჯები და დრო სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე ფაქტიურად არ მომხდარა ველური მცენარეების არეალისა და პოპულაციების მდგომარეობის მონიტორინგი, მათი მარაგების განსაზღვრა, რაც იწვევს გენეტიკური რესურსის არამდგრად გამოყენებას.

აუცილებელია ამ კატეგორიის მცენარეთა (პირველ რიგში ენდემური, იშვიათი, აგრეთვე იმ სახეობებისა, რომლებიც ინტენსიურად მოიპოვებიან) სტატუსის განსაზღვრა IUCN-ის კატეგორიების მიხედვით და სახეობათა იდენტიფიცირება წითელ წესხაში შესატანად, მათი კონსერვაციის მექანიზმების მოწესრიგება.

მით უმეტეს, რომ სამკურნალო, არომატული, სანელებელი, თაფლოვანი და შხამიანი მცენარეები არა მხოლოდ ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა, არამედ მნიშვნელოვანი და სტაბილური შემოსავლის წყაროა, ამიტომაც ბაზრის გაფართოება და მოთხოვნათა გაზრდა იწვევს მათი ბუნებრივი გენეტიკური რესურსის მარაგებისა და არეალის შემცირებას.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტებით საერთაშორისო ვაჭრობის დარეგულირების მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ველური ფლორის მრავალი სახეობა, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტებს წარმოადგენენ, გადაშენების კრიტიკულ ზღვარს მიადგა, მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალისხმევით იქნებოდა შესაძლებელი ასეთი საფრთხის თავიდან აცილება.

შეუსწავლელია ველური ფლორის სახეობებით ვაჭრობისა და ქვეყანაში მოხმარების ტრადიციების რეალური ზეგავლენა საქართველოს ბიომრავალფეროვნებაზე. დაბალია ცოდნა ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკის, ბაზრის კონიუნქტურის, მოხმარების ეთნოტრადიციებისა და ქვეყნის ბიომრავალფეროვნების კავშირების შესახებ.

სასარგებლო მცენარეთა წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახლავთ სტანდარტული, მაღალმოსავლიანი, გარემო პირობებთან ადაპტირებული თესლის ბანკის შექმნა. იგი საქართველოში ახლა ყალიბდება, რაც საკმაოდ რთული და ძვირადლირებული პროცესია, რადგან მუდმივ განახლება-გაუმჯობესებას მოითხოვს.

ამ მცენარეთა თესლის ბაზარი მკაცრად ლიმიტირებულ, ძვირ, თუმცა სტაბილურ შემოსავლიანად ითვლება უცხოეთში. ამიტომაც ხელი უნდა შეეწყოს ჩვენში მის დამკვიდრებას. ამისათვის კი მათი სელექცია სასურველია წარიმართოს ისე, რომ მოხდეს ქვეყნის ბაზრის გაჯერება მაღალმოსავლიანი, კონდიციური, ადგილობრივი, შედარებით იაფი თესლით.

თესლი მცენარის ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების მქონე ორგანიზმია, მასზე დამოკიდებულია პროდუქტიულობა, ხარისხი და სასარგებლო მცენარეთა ნედლეულის სასაქონლო ფასი.

ჩვენი აზრით, მაღალეფექტური ინოვაციური ტექნოლოგიები კლიმატის ცვლილების ფონზე მოქნილი მენეჯმენტით, მომხმარებელთა მარკეტინგის სისტემის გათვალისწინებით და გარემოს დაცვითი ბალანსით შექმნის ეკოლოგიურად ჯანსაღი სასარგებლო მცენარეების ბიოპროდუქტის (მათ შორის სამკურნალო, არომატული, სანელებელი, შხამიანი, თაფლოვანი მცენარეები) მიღების პრეცედენტს.

ანტიბიოტიკები მხოლოდ აფთიაქის დახლებზე არ აწყვია, ამ საჭირო ნივთიერებებით ბუნებაც გვამარაგებს. ანტიბიოტიკების ხშირი გამოყენება სასარგებლო ბაქტერიებს კლავს და თქვენს ბუნებრივ იმუნიტეტს ანადგურებს. ხშირად გაციების ან სხვა საჭიროების გამო, აუცილებელი ხდება ანტიბიოტიკების გამოყენება. ეს კი იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას და სასარგებლო ბაქტერიების განადგურებას. შესაძლებლობის ფარგლებში, კარგი იქნება თუ ქიმიურ საშუალებებს ბუნებრივით ჩაანაცვლებთ. წარმოგიდგენთ რამდენიმე ბუნებრივ ანტიბიოტიკს.

ხახვი – ფიტონციდები ბაქტერიოფილულ თვისებებს ანიჭებს და ორგანიზმს დაავადებათა მიკრობების სეზონური შეტევებისგან იცავს, ამასთანავე მდიდარია რკინით და ანემიის პროფილაქტიკისთვის საიმედო საშუალებაა. ხახვში ბევრია კალიუმი, ვიტამინი C, მინერალური ნივთიერებები და სხვ. სასარგებლოა მისი უმაღ ჭამა. ხახვში არის უნიკალური ნივთიერება კვერცეტინი – ანტიოქსიდანტი, რომელიც სიმსივნური უჯრედების საწინააღმდეგო აქტივობით ხასიათდება. ხახვში გაცილებით მეტი ნახშირწყლებია, ვიდრე ტკბილ ვაშლსა და მსხალში.

ნიორი – გააჩნია ფიტონციდური და ანტისეპტიკური თვისებები, რაც გამოწვეულია მასში არსებული ეთერზეთებით, ისინი ანიჭებენ სპეციფიკურ გემოსა და სუნს. იგი შეიცავს დარიშხანოვან ნაერთებს, რომლებიც გამოირჩევიან სამკურნალო თვისებებით, ამიტომ ნიორს უხსოვარი დროიდან იყენებენ სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ ხალხურ მედიცინაში. იგი ნახშირწყლებს, აზოტოვან ნივთიერებებს, მაკრო- და მიკროელემენტებს შეიცავს. ნიორი ვიტამინებითაც მდიდარია – შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებს, β-კაროტინს, E ვიტამინს. ნიორის ფორჩებში ასკორბინის მჟავას შემცველობა 50%-სა აღწევს.

რეჰანი – ანთების საწინააღმდეგო, მაღენზიფირებელი, ხველების საწინააღმდეგო საშუალებაა. ევგენოლის რეჰანის ეთერზეთში ევგენოლის შემცველობა 75-90% -ია. ევგენოლი კბილის მკურნალობის პრაქტიკაში გამოიყენება, როგორც სადეზინფექციო საშუალება.

კომბოსტო – ძლიერი ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა, იგი ვიტამინების საბადოა, არ არსებობს ვიტამინი, რომელიც კომბოსტოში არ იყოს აღმოჩენილი. მასში დიდი რაოდენობითაა ნახშირწყლებიც. შაქრები გლუკოზისა და ფრუქტოზის სახითაა წარმოდგენილი, მათი შემცველობა 1,9-დან - 5,3%-მდე მერყეობს, შეიცავს ადამიანისათვის შეუცვლელ ამინომჟავებს, მდიდარია მაკრო- და მიკროელემენტებით. უნდა

აღინიშნოს, რომ კომბოსტოს ანტიბიოტიკური თვისებები ძლიერდება დამჟავებისას.

მოცვი – მოცვის ნაყოფს მომჟავო-მოტკბო გემო აქვს, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, აუმჯობესებს მხედველობას, აცხრობს რევმატიზმს და ანთებით პროცესებს. ნაყოფისა და ფოთლის ნაყენი კი გამოიყენება დიაბეტის, შარდკენჭოვანი პათოლოგიის, თვალების ანთებითი პროცესების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

ჟოლო – ძლიერი ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო და ანტიოქსიდანტური თვისებებით ხასიათდება.

შტოში – ძლიერი ანტივირუსული საშუალება და ანტიოქსიდანტია, უჯრედებში არსებულ მავნე თავისუფალ რადიკალებს ებრძვის.

სალპი – ზედა სასუნთქი გზების ინფექციების წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა.

ქონდარი – ფოთლებიც და ზეთიც ეფექტური ბუნებრივი ანტიბიოტიკია. აქვს ანტიმიკოზური (სოკოს საწინააღმდეგო) თვისებები.

შინდი – გამოირჩევა ანტიბაქტერიული მოქმედებით. ძალიან კარგ შედეგს იწვევს დისბაქტერიოზისა და დიარეის დროს. ეფექტურია ბუასილის მკურნალობისას, ამ დროს უნდა მიიღოთ მწიფე შინდი 5 დღის განმავლობაში ორი ჭიქა დღეში.

ბრონეული – ხასიათდება ანტიმიკრობული და ორგანიზმის იმუნიტეტის გამაძლიერებელი თვისებებით. ეფექტურია დაბალი ჰემოგლობინისა და ყელის ტკივილის დროს. შეგვიძლია მივირთვად ნაყოფი ან გამოწურული წვენი.

ლიმონი – შეუცვლელია ადამიანისათვის, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ლიმონი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს და მინერალურ ნივთიერებებს. აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და თირკმლების მუშაობას. იცავს ორგანიზმს ვირუსული ინფექციებისაგან.

ექინაცეა (*Echinacea*) მრავალწლოვანი მცენარეა ასტრი-

სებრთა asteraceae ოჯახიდან. ყველაზე ცნობილი სახეობაა მე-ნამული ექინაცეა – (*Echinacea purpurea*). ექინაცეას სამშობლოა ჩრდილოეთ ამერიკა. ინდიელები მას „ოქროს ყვავილსა“ და „დაისის მზეს“ უწოდებდნენ და უძველესი დროიდან იყენებდნენ ჭრილობების, ჩუტყვავილას, სეფსისის, სიფილისის, კიბოსა და გველის ნაკბენის საწინააღმდეგოდ. ევროპაში მე-17 საუკუნეში შემოვიდა. XX საუკუნეში მეცნიერებმა მცენარის სამკურნალო თვისებები აღმოაჩინეს და დაიწყეს მისი მოყვანა. ექინაცეას ყვავილები, ფესვები და ფოთოლი სხვადასხვა პრეპარატის (240-ზე მეტი) ნარმოებას დაედო საფუძვლად, როგორიცაა ანთების საწინააღმდეგო, ანტივირუსული, სოკოს საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, შარდმდენი, ანტიალერგიული, იმუნომოდულირების, ბაქტერიოციდული, ანტირევმატული. განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ექინაცეა რესპირატორულ ვირუსებთან და იმუნიტეტის დაქვეითებასთან საბრძოლველად ბავშვებში. მასში შემავალი ნივთიერებები ასტიმულირებენ ლიმფოციტების გამომუშავებას და ზრდიან მათ აქტივობას, ამით ეხმარებიან ორგანიზმს ვირუსებთან ბრძოლაში.

მედიცინაში 3 სახეობის ექინაცეა გამოიყენება: მენამული ექინაცეა, ვიწროფოთლიანი ექინაცეა და ექინაცეა პალიდა.

ექინაცეა საქართველოშიც ხარობს. შეგიძიათ თესლითაც ახაროთ და ბოლქვითაც. მზის და ფხვიერი ნიადაგის მოყვარული მცენარეა. დიდხანს ძლებს მორწყვის გარეშეც, თუმცა სასურველია წელიწადში ერთხელ კომპოსტით განოყიერება.

ექინაცეა საკმაოდ კარგად უძლებს ყინვას, აღმოცენებიდან მეორე წელს რეგულარულად ყვავის აპრილ-მაისის თვიდან. თუ ცივი გაზაფხულია, შესაძლოა, უფრო გვიანაც აყვავდეს.

ექინაცეა, გარდა იმისა, რომ აძლიერებს იმუნიტეტს, ანადგურებს მრავალ ბაქტერიასა და ვირუსს, მისი ექსტრაქტი აფერხებს სტრეპტოკოკების, სტაფილოკოკების, ნაწლავის ჩხირის, ჰერპესვირუსისა და გრიპის გამომწვევი ვირუსების გამრავლებას.

იგი შეიცავს დიდი რაოდენობით ფლავონოიდებს, გლი-

კოპროტეინებს და სხვა მრავალ აქტიურ კომპონენტს, რომ-ლებსაც იმუნური სისტემის სტიმულატორებად მიიჩნევენ. აღ-ნიშნული ნივთიერებები აძლიერებს იმუნიტეტს, იცავს ორგა-ნიზმს გრიპის, გაცივების და ვირუსული ინფექციებისაგან. კვლევებით დადასტურებულია, რომ ექინაცეის მიღება გაცივე-ბის პირველივე ნიშნების გაჩენისთანავე, ხელს უშლის სიმპტო-მების განვითარებას, მისი მიღებისას გრიპის და გაცივების სიხ-შირე 58%-ით კლებულობს, ხოლო, დაავადების დროს კი მისი გამოყენება 85%-ით ამცირებს ავადობის ხანგრძლივობას. ექი-ნაცეა-500 ასევე რეკომენდებულია ყურის და ყელის ინფექციუ-რი ანთების სამკურნალოდ და პრევენციისთვის.

მისი მიღება შეუძლიათ მოზრდილებს და 12 წლის ზემოთ ასაკის ბავშვებს. მიღების ფორმა მარტივია: ერთი ან ორი აბი დღეში კვებასთან ერთად. ვინაიდან პროდუქტი შეიცავს მხო-ლოდ მცენარეულ ექსტრაქტს იგი შესაფერისია ვეგეტარიანე-ლებისთვის.

რა თქმა უნდა, სახლში გახარებულ მცენარეს ექინაცია 500-ის ძალა არ აქვს, თუმცა მისი ნაყენი მაინც ძალიან სასარ-გებლოა ორგანიზმისთვის.

პირშუშხა – ეს მცენარე ეხმარება ორგანიზმს ინფექციებ-თან ბრძოლაში, ამაღლებს იმუნური სისტემის აქტივობას, ეფექ-ტურია ყელის ტკივილისას, მისი ხშირი მოხმარება სპობს ბაქტე-რიებს, რომლებიც შარდმდენი გზების ინფექციებს იწვევს.

ევკალიპტი – გამოიყენება, როგორც ადგილობრივი ან-ტიბიოტიკი, რადგან კანზე წასმისას იგი სპობს ბაქტერიებს. ჩა-იში დამატებული ევკალიპტი სასარგებლოა გარკვეული ინფექ-ციების წინააღმდეგ, შველის ხველებას, ეფექტურია წონაში და-საკლებად.

დაფნის ფოთოლი – სპობს მავნე მიკრობებს და სოკოს ფართო სპექტრს, ხელს უწყობს ორგანიზმში სასარგებლო ბაქ-ტერიების გავრცელებას.

არნიკა (*Arnica montana*) – მიეკუთვნება რთულყვავილოვანთა ოჯახს, Asteraceae (Compositae). გამოიყენება მისი გამშრალი კალათა.

არნიკა შეიცავს ეთეროვან ზეთებსა – 0,1 %, პირველ რიგში, აზულენსა და თიმოლს, გლიკოზიდებს, მათ შორის იზოკვერციტრინის, არნიცინს, ორგანულ მჟავებს, C ვიტამინს, ქოლინს, ფისებს, შაქრებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინოდულ პიგმენტებს, ლორნოს, მაკროელემენტებს K, Ca, Mg, Fe. მიკროელემენტებს Mn, Cu, Zn, Co, Mo, Cr, Al, Ni, B, I.

არნიკას გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, სისხლძალვების გამაფართოებელი, ათეროსკლეროზის სააწინააღმდეგო, ანტიბიოტიკური და წნევის დამწევი მოქმედება, ავლენს ტკივილგამაყუჩებელ, სისხლისაღმდგენ სამკურნალო თვისებებს. გამოიყენება ნაყენებსა და მალამოებში. შედის ჰომეოპათიური პრეპარატების შემადგენლობაში.

არნიკას ყვავილების გამონაწურის მიღებით მცირდება სისხლში ჰოლესტერინის შემცველობა, ხდება ცენტრალური ნერვული სისტემის ნორმალიზება. მისი ნაყენი დაჭიმულობისა და დაშეუძლობისას კანზე წასასმელი, დამაამებელი საშუალებაა. მიზანშეწონილია შეწითლებულ სახსარში არნიკას წვენის შეზელვა. უნდა აღინიშნოს, რომ ღია ჭრილობაზე ან წაკანრზე მისი წასმა ან შინაგანად მიღება არ შეიძლება, რადგან იგი შხამიანი მცენარეა.

დარიჩინი – ზოგჯერ მას ბაქტერიების სასიკვდილო ბუნებრივ ანტიბიოტიკს უწოდებენ, რომელიც მედიცინაში საუკუნეების განმავლობაში გამოიყენება. ნამდვილ დარიჩინს შეუძლია, ეშერიხია კოლის ბაქტერია (საკმაოდ ვერაგი ბაქტერიაა, რომელიც უამრავ მძიმე დაავადებას იწვევს) გაანადგუროს. დარიჩინი არა მარტო ანტიბაქტერიული თვისებების მატარებელია, არამედ შესანიშნავი ანტიოქსიდანტია, რომელიც ბევრი დაავადების მიმართ ორგანიზმს გამძლეობას ანიჭებს.

თაფლი – თაფლის 75-80%-ს შეადგენს ნახშირწყლები – გლუკოზა (31%), ფრუქტოზა (38%) და საქაროზა (1%). მათი დაშლისას გამოიყოფა ენერგია, რომელიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებისათვის. გლუკოზა და ფრუქტოზა ხელს უწყობენ ნერვული პროცესების დარღვეულირებას, სისხლძარღვების გაფართოვებას, გულის კუნთის კვებას, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას. თაფლი მასში შემავალი უნიკალური ცილა დეფენსინის გამო, ნამდვილი ბუნებრივი ანტიბიოტიკია. თაფლში შემავალ ნივთიერებებს გააჩნია ძლიერი ანთების საწინააღმდეგო, ობის საწინააღმდეგო და ბაქტერიოციდური თვისებები, ანუ თაფლი ანადგურებს დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს და აფერხებს მათ გამრავლებას.

**საღებრების შემცველი საგვარეულო,
სანელებელი და არომატული გვენარები,
არეალი, გენეტიკური რესურსის მარაგები,
გიოლოგიური თავისებურებანი,
დაცვა-კონსერვაცია, გამოყენების
პერსპექტივები**

სამღებრო საქმეში მცენარეთა გამოყენებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, სულ ცოტა ხნის წინ მცენარეული საღებავი ერთადერთი საშუალება იყო ქსოვილთა მოსაჩითად. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამ-დე ქსოვილთა შესაღებად მხოლოდ ბუნებრივ ნედლეულს იყენებდნენ და საღებავებს მცენარების, მწერებისა და მოლუსკებისგან ამზადებდნენ. მაგალითად, მათრახასგან ლურჯ საღებავს იღებდნენ, ენდროსგან – წი-თელს. შავი საღებავი ბაყმის ხისგან მიიღებოდა, ხოლო ისფერი – ლიქე-ნისგან. მურექსის მოლუსკებისგან იღებდნენ ძალიან ძვირფას მოშინდის-ფრო საღებავს, რომელიც ტვიროსულ ანუ სამპერატორო საღებავადაც იყო ცნობილი (შენგელია, 1958). მართალია, გასული საუკუნიდან, ქიმიის განვითარების შედეგად, საღებავის მიღება ბუნებიდან გადატანილ იქნა ლაბორატორიებში და მცენარის როლი შემცირდა, მაგრამ მისი სრული უარყოფა ვერ მოხერხდა. ხალიჩების, ნოხების, ფარდაგებისა და მსგავს საქონელთა ღებვის საქმეში ძირითად მასალად დღესაც ბუნებრივი სა-ღებავები გამოიყენება. ამიტომ, იმ მცენარეთა აღწერა და გამოკვლევა, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში მიმართვდა ჩვენი ხალხი, ვფიქ-რობთ საინტერესოა.

ქართული ხალხური ღებვის წესები ნატურალური საღებავებით
– შეღებვა არის ფერების ორგანულად შერწყმის პროცესი, რომელიც მუღავნდება ღებვის დასრულების შემდეგ. ღებვის დროს ტექნიკურად ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ნივთიერებებს, რითაც ვღებავთ (ხელოვნური თუ ბუნებრივი) და იმათ, რომელთაც ვიყენებთ დამხმა-რე ნივთიერებად. არანაკლები მნიშვნელობა აქვს შესაღებ მასალას, ნართს ან ქსოვილს - თუ როგორ არის ის დამუშავებული და გარეც-ხილი შეღებვამდე. ქიმიურად დამუშავების მიზნით ჩვენში წყლით გა-რეცხილ მატყლს ნაცარნმენდილში, ანუ ნაცრის წყალში რეცხავენ. საქართველოში ნაცარნმენდილის დასამზადებლად უმჯობესად თვლიან მცენრეების – თელის, ჯაგრცხილის, რცხილის, მუხის და სხვათა ნაცარს.

ძველად უხუნადი საღებავების მომცემი მცენარეებიდან, როგორც ლიტერატურული წყაროებითა (შენგელია ზ1958, ახალკაცი მ. 2014) და ხალხური ზეპირსიტყვიერებებით ირკვევა დიდი გამოყენება ჰქონია მღიერებს, რომლებიც წარმოადგენენ მცენარეთა სამყაროს ერთ-ერთ სიმბიოზურად (სოკო, წყალმცენარე) მცხოვრებ გარკვეულ დიდ ჯგუფს. მღიერები სამი ძირითადი ტიპისაა:

- ქაფისებრი;
- ფოთლოვანი, ანუ ფირფიტისებრი;
- ბუჩქისებრი.

ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ლებვის საქმეში ყოფილა ქაფისებრი მღიერები.

ლებვის დროს საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ ჭურჭელს, რომელშიც უნდა შეიღებოს ნართი ან ქსოვილი. ჩვეულებრივ იყენებენ როგორც მოკალულ, ისე მოუკალავ სპილენძის ჭურჭელს, ზოგჯერ ხმარობდნენ თიხის ქოთნებსაც. საღებავ ჭურჭელს ისეთივე დაფასება ჰქონია, როგორც საარაყე ქვაბს. ლებვის დროს საღებავ ჭურჭელს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მეტალის ჭურჭელში ლებვის შემთხვევაში ხშირად დუღილის დროს საღებავში ჭურჭლის შემცველი ნივთერებები გადადის, რაც ზოგჯერ დადებით და ფერმჭერობის გამაძლიერებელ გავლენასაც ახდენს, ხოლო ზოგჯერ პირიქით. იგი ან ნაწილობრივ შლის, ან უკარგავს სინათლისადმი მდგრადობის უნარს.

ხალხური ლებვის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცენარეებს, რომლთა გამონაცემში გარდა საღებარი პიგმენტებისა, სხვა ნივთიერებებიც მოიპოვება. ისინი აჩქარებდნენ და ხელს უწყობდნენ ლებვის პროცესს ან, პირიქით აქვეითებდნენ მის ხარის. ასე მაგალითად, ენდროს (*Rubia tinctorum*) ფესვები, რომლებიც მთრიმლავ ნივთიერებებთან ერთად საუკეთესო საღებარს წარმოადგენენ, შეიცავენ ექვსამდე სხვადასხვა პიგმენტს, რომლებიც ანტრაცენის ნაწარმთა რიგს მიეკუთვნებიან.

საზოგადოდ, საღებავად გამოყენებული მცენარეები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა:

- მცენარეები, რომლებიც პიგმენტებს შეიცავენ და უშუალოდ ლებავენ ქსოვილს;
- მცენარეები, რომლებიც დამოუკიდებად არ ლებავენ.

გარდა ამისა, არსებობენ მცენარეები, რომლებიც საღებარი სისტემის არქს ქმნიან, აუმჯობესებენ ღებვის ხარისხს, შეღებილი მასალა მყარი და მდგრადი ხდება. ზოგიერთი მცენარე კი ცვლის შეღებილი მასალის ტონს, რაც გამოიხატება ფერის გამკრთალებაში ან გამუქებაში.

ქართული ხალხური მეთოდებით ღებვის დროს მთელ ამ პროცესზე გარკვეულ გავლენას ახდენენ მთრიმლავი ნივთიერებები, რომლებიც ტანინებს შეიცავენ. მართალია საღებარი მცენარეების უმრავლესობა პიგმენტების გარდა ტანინებსაც შეიცავს, მაგრამ ხშირად ღებვის პროცესში ხსნარს უმატებენ მუხის ქერქს, თრიმლს ან ტანინების შემცველ სხვა კომპონენტს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში, სადაც არ გვხვდება მთრიმლავი ნივთიერებების შემცველი მცენარეები, ისინი ბარიდან ამოქონდათ.

მცენარეული წარმობის საღებარი ნივთიერებები და მათი ქიმიური ბუნება – როგორც საზოგადოდ ცნობილია, მცენარეული წარმომობის საღებრებით შეღებილი მასალა უფრო მდგრადი, გამძლე და უხუნადია სინთეზური საღებრებით შეღებილთან შედარებით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი უძველესი კულტურის ძეგლების ფრესკები ბუნებრივი საღებრებითაა შესრულებული. ამიტომაა, რომ ათეული საუკუნის მანძილზე მათ შენარჩუნებული აქვთ როგორც ფერთა გარდამავლობა, ასევე ბრწყინვალება და სიმკვეთრე. მათზე მაინც ვერ უმოქმედია უამთა სიავეს, ქარს, მზეს, წვიმას, სიცხესა და სიცივეს მაგალითად, საოცრებაა დავით გარეჯის ფრესკები ღია ცის ქვეშ.

ხალიჩებისა და ნოხ-ფარდაგების წარმოებაში ხელოვნურმა საღებრებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, რადგან მალე ხუნდებიან და რაც მთავარია, ისეთ გარდამავალ ფერებს ვერ გვაძლევენ, როგორც ბუნებრივი საღებრები. ხალიჩა და ნოხი, როგორც ვიცით, წარმოადგენს განძს, რომელიც ათეული წლების მანძილზე ინახება და მით უფრო მეტად ფასობს. ხალიჩების წარმოებაში დღეისთვის 200-ზე მეტი ფერის მასალას იყენებენ. ამიტომ დღესაც მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება ბუნებრივ საღებრებს.

ორგანული წარმომობის ყველა საღებარი ნივთიერება ოთხ ძირითად განყოფილებაში თავსდება:

- კაროტინისეული საღებავი.
- დიარილმეთანური ნაერთები.

- იზოციკლური ნაერთები,
- ჰეტეროციკლური ნაერთები (ჟანგბადის შემცველი).

კრიპტოქსანთინი ისეთი სალებარი ნივთიერებაა, რომელიც საკ-მაო რაოდენობით მოიპოვება ყვავილების ჯამში და წითელ ნაყოფებ-ში ეთერების სახით. კრიპტოქსანთს შეიცავს ასევე ყვითელი სიმინდი და წითელი წინაკა.

რუბიქსანთინი ისეთი სალებარი ნივთიერებაა, რომელიც მოი-პოვება ასკილის (*Rosa canina*) ნაყოფში. რუბიქსანთინი მცენარეებში ეთერზეთის სახით მოიპოვება. ეს სალებარი ნემსისებური კრისტალის სახისაა და იგი 160°C ტემპერატურაზე ლდვება.

ლუტეინი ისეთი სალებარი ნივთიერებაა, რომელიც წარმოად-გენს ყვითელ ან წითელ ბრნეინავ პრიზმებს. იგი 185°C ლდვება. იგი მოიპოვება ცხენისნაბლის ფოთოლში, ჭინჭარში, წითელ სამყურაში, ყვითელ სიმინდში, ისაპანახსა და სხვ.

ჰელინინი სალებარი ნივთიერებაა წითელი ნემსისებური კრის-ტალებით, რომლის ლლობის ტემპერატურა 92 °C. ნაპოვნია მცენარე *Helenium autumnale* -ში.

ზეაქსანთინი ღია ყვითელი ფერის სალებარი ნივთიერებაა, ლლობის ტემპერატურა უდრის 215,5° C, იგი გვხვდებაა სიმინდში, ჭანჭყატაში, იაპონური ხურმის წითელ ნაყოფში.

დიაროილმეთანური ნაერთები, კურკუმინი გვხდება მცენარე – *Curcuma tinctoria*, *Curcuma longa* და *Curcuma viridisflora*-ს ფესვსა და ღეროში, გავრცელებულია ველურად.

კიდევ სხვა უამრავი ნივთიერებებია სხვადასხვა მცენარეთა სა-ხეობებში, რომელიც გამოყენება განსხვავებული ფერის მისალებად (შენგელია 1958, ახალკაცი მ. 2014).

ყვითელი ფერის მომცემი მცენარეები – ნატურალური პიგმენ-ტებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია ყვითელი ფერის შემცვე-ლი მცენარეები, თუმცა ყველა პოპულარული არ არის, რადგან ზო-გიერთი მცენარე ვერ გვაძლევს მდგრად ფერს, ადვილად ხუნდება მზის სხივების გავლენით და სწრაფად ირეცხება წყლით. (შენგელია, 1958, ახალკაცი მ. 2014).

ენდრო – (*Rubia Tinctorum*) მრავალწლოვანი 2-3 მ. სიგრძის, მხოხავი, დატოტვილი, ჩხვლეტია ბეწვების გამო ეკლისებრ-ხორცლია-ნი ღეროთი ბალახოვანი მცენარეა ენდროსებრთა *Rubiaceae* ოჯახი-დან. საქართველოში გავრცელებულია ქართული ენდრო (*Rubia*

Iberica Fisch. C. Koch). Mətəvəarəni ფესვი საკმაოდ ძლიერი აქვს, სილ-რმეში დატოტვილ-დანაოჭებული, ფესვის ზედა ნაწილიდან იზრდება მხოხავი, მერქნისებრი მრავალთავა ფესვურა, რომელზეც კვირტებია განლაგებული. ქვედა მხრიდან შებუსული ლანცეტა ან ფართო ელიფ-სური ფოთლები ვაწრო კვერცხისებრია, წაწვეტებული, ზომით ერ-თმანეთისაგან მეტად განსხვავებულ ფოთლზე თითო ბაზალური ძარღვია, ყვავილები წვრილი, ორსქესიანი, მომწვანო-ყვითელი, შეკ-რებილი კენწრულ და იღლიურ მრავალყვავილიან ნახევარქოლგებად. ნაყოფი კურკოვანია, ხორცოვანი, ჯერ წითელი, მწიფე ნაყოფი კი შა-ვია, წვნიანი, ერთი – იშვიათად ორთესლიანი. მისი წვენი მუქ ღვინის-ფერ ლაქებს ტოვებს. ენდრო ყვავილობს ივნის-აგვასტობში, ნაყოფი მწიფდება ოქტომბერ-ნოემბერში. მცენარე წარმოშობით ხმელთაშუ-აზლვის სანაპიროდანაა. ენდრო, რომლის ფესვებსაც დღეს უმეტესად საალდგომო კვერცხების შესალებად ვიყენებთ, უძველესი კულტურაა. ჯერ კიდევ ძველი რომაელები, ეგვიპტიელები და ბერძნები ამზადებ-დნენ მისგან მდგრად წითელ სალებავს შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებისთვის. მისი ექსტრაქტი, კრაპი, სარფიანად იყიდებოდა. ენდროს ხანა მე-19 საუკუნის დამლევს, ხელოვნური სალებავების შექ-მნის შემდეგ დასრულდა. სინთეზურმა ალიზარინმა ჩაანაცვლა ნატუ-რალური კრაპი და ენდროს მოყვანაც მიატოვეს. ენდრო სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეა. გავრცელებულია როგორც ზღვისპი-რეთში, ასევე მთის ფერდობებზე, თითქმის ყველა სახის ნიადაგზე იზ-რდება. ხშირად გვხვდება ღობის ძირებში, ვენახებში, ბალებში, რო-გორც სარეველა.

ნედლეულად ამზადებენ ენდროს ფესვურასა და ფესვებს გა-ზაფხულზე, მარტსა და აპრილში, ან ვეგეტაციის ბოლოს, სექტემბრი-დან წაყინვების დაწყებამდე. აშრობენ თხელ ფენად გაშლილს, ნედლე-ული უნდა ინახებოდეს მშრალ ადგილას. შენახვის ვადა 3 წელია.

ენდროს ფესვები შეიცავენ 5-6% სალებარ ნივთიერებებს (ექსიმე-თილსა და ოქსიანტრაქინონებს). მათ შორის რუბერიტრინის მჟავას, რუ-ბიადინს, ორგანულ მჟავებს, პექტინებს, ვიტამინ C, ნახშირნყლებს. მი-ნისზედა ნაწილი შეიცავს კუმარინებს, ფლავონოიდებს, პექტინებს, ფე-ნოლკარბონის მჟავას. სახელმწიფო ფარმაკოპეის მოთხოვნით ანტრაცე-ნის ნანარმები შეკავშირებული სახით უნდა იყოს არანაკლებ 3%-ისა.

ენდროსშემცველი პრეპარატები შლიან ფოსფატურ და ოქსა-ლატურ ქვებს თირკმელებსა და შარდის ბუშტები. აქვთ შარდმდენი და

სპაზმოლიტური მოქმედება. აძლიერებენ შარდსადენების მუსკულატურის პერისტალტიკას, რითაც ხელს უწყობენ ქვების გამოდევნას. ენდროს ფესვებისა და ფესვურის ნაყენი შედის პრეპარატ ცისტენალის შემადგენლობაში, რომელსაც უნიშნავენ ავადმყოფებს კენჭოვანი დაავადების დროს. ასეთი ნაყენების გამოყენება არ შეიძლება კუჭის ნყლულოვანი დაავადებისა და თირკმელების უკმარისობის დროს.

ძალლის ქინძი (Aethusa cynapium) — ქოლგოსანთა (*Umbelliferae*) ოჯახის ნარმომადგენელია. ძალლის ქინძი რუდელარული, ერთწლოვანი (ზოგჯერ ორწლოვანი) 1 მეტრამდე სიმაღლის მცენარეა დატოტვილი ღეროთი, სამუტხა დანაწერებული ფოთლებით, ყვავილები თეთრია, ნაყოფი მრგვალი, თესლი კი ბრტყელი. გავრცელებულია მცირე აზიასა და ევროპაში, კავკასიაში, საქართველოში გვხვდება მთის ქვედა და შუა სარტყელში ბუჩქნარებს შორის, დანაგვიანებულ ადგილებსა და გზის პირებზე. სამღებრო საქმეში იყენებენ ამ მცენარის ზრდადასრულებულ ფოთლებს, მათ შეგროვება უმჯობესია ყვავილობამდე ან ყვავილობის პერიოდში, რადგან დაყვავილების შემდეგ უფრო ნაკლები ღირებულების პროდუქტს იძლევა. მას იყენებენ შალის ქსოვილების შესაღებად, თუმცა დასავლეთ საქართველოში თეთრ აბრეშუმსაც ღებავენ. ძალლის ქინძი შხამიანი მცენარეა, მისი დროული გათიბვა და საღებარ საქმეში გამოყენება ორგვარი სარგებლობის მომტანია. ყვავილობაში მყოფი ახალი მცენარე გამოყენებულია ჰომეოპათიაში მკურნალობის მიზნებისთვის. ის შეიცავს ეთერზეთებს და ალკალინდებს.

კონახური (Berberis vulgaris) კონახურისებრთა *Berberidaceae* ოჯახის ნარმომადგენელია, სულ ცნობილია ამ ოჯახის 15 გვარის 570 სახეობა. საქართველოში გავრცელებულია გვარები *Berberis* — 2-3 სახეობით, *Gymnospermium* — 1 სახეობით, *Epimedium* — 3 სახეობით და *Bongardia* — 1 სახეობით. ოჯახი თავის მხრივ მიეკუთვნება ბაიასებრთა რიგს და ორლებნიანთა კლასს. იგი 1,5-3,0 მ სიმაღლის ბუჩქია, ძლიერი ფესვითა და გამერქნებული ფესვურებით. წვეტიანი ეკლებით მოფენილი ყლორტის ქერქი მონაცრისფროა. ტოტებზე ჯგუფებად განლაგებულია მწვანე უკუკვერცხისებრი, წამნამებით შემოსილი, წვრილად დაკბილულნაპირებიანი ფოთლები. ყვავილები ორსქესიანია, ოქროსფერ-ყვითელი, თავზაქინდრულ მტევნებად შეკრებილი, ფრიად მგრძნობიარე 6 მტვრიანათი. მტვრიანას ძაფზე ნემსით

შეხებისას იგი მყისვე ეცემა დინგს. მწერი ხორთუმით შეხებისას აღიზიანებს მტკრიანას, რომელიც თავზე ეცემა მწერს და მომწიფებულ მტკრის მარცვალს აპერტყავს. სხვა ყვავილის დინგზე თავით შეხებისას მწერი ხელს უწყობს ამ მტკრის იქ დატოვებას. ე.ი. ხელი ეწყობა ჯვარედინ დამტვერვას, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაყოფი წითელი წაგრძელებული კენკრაა. ყვავის მაის-ივნისში, მწიფობას აგვისტო-სექტემბრიდან იწყებს. მტკვნები ბუჩქებზე შუა ზამთრამდე ჰკიდია ხოლმე. მუავე, სასიამოვნო გემოს ნაყოფი ხალისით იჭმება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურადაც ფესვის სტოლონებით (ფესვურების ამონაყარი). საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ჭალებში, ძეგვიან-ლვიანებში, მეჩერ მუხნარებში, მთაში ზღვის დონიდან 200 მეტრამდე და ზოგან უფრო მაღლაც გვხვდება, მაგრამ დიდ სიმაღლებზე უფრო იშვიათია და თანაც ძლიერ დაბალი.

ნიადაგის ნაყოფიერებისა და სამშრალის მიმართ პრეტენზიული არ არის, იზრდება მშრალ, თხელ ნიადაგებზე, მაგრამ ოპტიმალური ზრდით ნოყიერ კირიან ნიადაგებზე გამოირჩევა. სინათლის მომთხოვნია, ამიტომ ხშირი ტყის საბურველის ქვეშ უსინათლობით ჩქარა იღუპება. ძალიან გამძლეა ყინვების და გვალვების მიმართ, შესანიშნავად იტანს მცხუნვარე მზის სხივების ხანგრძლივ ზემოქმედებას. ყოველივე ამასთან ერთად იგი მარილამტანიცაა, მხოლოდ ვერ ეგუება დამდგარწყლიან ჭარბტენიანობას.

ნაყოფები 5% – მდე ნახშირწყლებსა და 6-7%-მდე ვაშლის მუავას შეიცავენ. მათგან ამზადებენ მურაბას, ლიმონას, კანფეტებს, გამაგრილებელ სასმელებს, იხმარება კულინარიაში ისეთი ხორციინი კერძების შესაკაზმად, როგორიცაა კუპატი, ხინკალი, ქაბაბი და სხვ. ფართოდაა ცნობილი კონახურის ლიქიორი. ივნისში შეგროვებული ფოთლები შეიცავენ 120 მგ /პროცენტამდე ასკორბინის მუავას (ვიტა-მინ C-ს), ნაყოფმსხმოიარობისას კი დაახლოებით 40 მგ / პროცენტ ვიტა-მინ E-ს. გარდა ამისა ფოთლებშია ალკალინდები, მათ შორის ბერბერინი, რომელიც სისხლის წნევას დაბლა სწევს, იწვევს საშვილოსნოს შეკუმშვას და აძლიერებს ნაღვლის დენას.

ფოთლის ნაყენს სისხლდენის შესაჩერებლად და ღვიძლის დავადების დროს იყენებდნენ, ფოთლებს კი მარინადის მოსამზადებლადაც.

ფესვებისგან, რომლებიც 2-5 პროცენტ ალკალინიდებს შეიცავს, იღებენ პრეპარატ ბერბერინს, რომელსაც ქრონიკული ჰეპატიტის, ქლეცისტიტის და ნალვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს იყენებენ.

სამლებრო საქმეში კონახურს ქართველი ხალხი ოდითგანვე იყენებდა, როგორც საუკეთესო ყვითელი, ასევე მოქროსფერო ყვითელი ფერის მისაღებად. ლებვის დროს იყენებენ მის ფესვებსა და ქერქს, განსაკუთრებით ადრე გაზაფხულზე წვენთა მოძრაობის დაწყებამდე ამბობენ, რომ მისგან მიღებული საღებავი მდგრადია და უხუნადი, რაც გამოწვეულია მასში არსებული საღებავი ნივთიერების ბერბერიდინის არსებობით. მწვანე ნაყოფები შაბთან ერთად მატყლს, სელის ქსოვილსა და ქაღალდს ვარდისფრად, ფესვები კი მატყლსა და ტყავს ყვითლად ლებავს.

კონახური კარგი თაფლოვანი ბუჩქია, ამასთან მაღალდეკორაციული თვისებებითაც გამოიჩინა და ამიტომ ბალ-პარკებში საქმაოდაა დანერგილი, მაგრამ მისი ყველგან დარგვა არასასურველია, იმის გამო, რომ ხელს უწყობს პურეულის პარაზიტი სოკოს (ჟანგა სოკოს) გავრცელებას.

კონახურის ფოთლის ნაყენი 40 პროცენტიან სპირტზე 1:10-ზე შეფარდებით (1 ნაწილი ნვრილად დაჭრილი ფოთოლი 10 ნაწილ სპირტზე) მიღება ლინილისა და ნალვლელსადინარების დაავადებებისას 25-30 წვეთი დღეში სამჯერ, 2-3 კვირის განმავლობაში. ბერბერინის სულფატის აბები (0,005 გ) გამოიყენება ქლეცისტიტის დროს, როცა პროცესს თან ახლავს ნალვლის სადინარების დისკინეზია.

ფიტოთერაპიულ ლიტერატურაში იმის შესახებაცაა ცნობები, რომ კონახური კიბოს მკურნალობაში გამოიყენება. როგორც უკანასკნელი წლების გამოკვლევებით გამოირკვა, კონახურისაგან გამოყოფილი ალკალინიდ ბერბერინს სიმსივნის საწინააღმდეგო თვისება გააჩნია.

ამრიგად, საქართველოში ოდითგანვე გავრცელებული ტექნოლოგიები ნატურალური მცენარეებისაგან მიღებული საღებავების გამოყენების შესახებ აქტუალურია, ისინი წარმატებით გამოიყენება პროდუქტებისა და ნივთების შესაღებად, ფერწერაში. წითელი საღებრების წყაროს წარმოადგენენ – შინდი, ენდრო, ხახვის ფურცლები, კვრინჩი, თრიმლი, მაყვა-

ლი, კონახური და სხვ. შავი საღებრის წყაროა წენგო, მთის შროშანი, ანნლი... ბუნებრივი რესურსი საღებრების დასამზა-დებლად დიდი და მრავალფეროვანია ჩვენს ქვეყანაში, მათი გა-მოყენება ხაზს უსვამს პროდუქტის ნატურალობასა და უსაფ-რთხოებას, რაც თავის მხრივ ადამიანის ჯანმრთელობის საწინ-დარია

ნარკოტიკული მცენარეები

თამბაქო (Nikotiana I Tabacum) – Tobacco – Табак ნეკო (Nicotiana rustica) – Makhorka – Махорка

თამბაქო და ნეკო ბოტანიკურად ერთი გვარის *Nicotiana* ნარმომადგენლებია, რომლებიც ძალუყურძენასებრთა (*Solanaceae*) – ოჯახში შედის. ეს ოჯახი აერთიანებს 100-ზე მეტ ბოტანიკურ სახეობას. კულტივირებულია ორი სახეობა: კულტურული ანუ მოსაწევი თამბაქო (*Nicotiana I Tabacum*) და ნეკო (*Nicotiana Rustica*).

თამბაქო თავდაპირველად სამხრეთ ამერიკაში მცხოვრებმა მაიას ტომის ხალხმა აღმოაჩინა და დააგემოვნა. ისინი დაქუცმაცებულ თამბაქოს ამავე მცენარის ფოთლებში ახვევდნენ და რელიგიურ დღესასწაულებზე ეწეოდნენ. “ამერიკის აღმოჩენადამდე, – ნერდა ერთ-ერთი ისტორიკოსი, – თამბაქოს შესახებ არავითარი ცნობები არ არსებობდა. პირველად აბორიგენებმა თამბაქო კოლუმბს შესთავაზეს”.

თამბაქო ოცდაათამდე ინგრედიენტს შეიცავს. ფარმაკოლოგიურად აქტიური ძირითადი ნივთიერებებია ნიკოტინი და ფისი. ერთ ღერ სიგარეტში 9 მგ-მდე ნიკოტინი და თითქმის ორჯერ მეტი ფისია. მოწევისას ადამიანის ორგანიზმი 90-დან 10 პროცენტამდე ნიკოტინს შეიწოვს.

თამბაქო ევროპას კოლუმბმა გააცნო. იგი ამერიკიდან ევროპაში XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. პირველად დეკორატიულ და სამკურნალო მცენარედ მოაშენეს. რუსეთში თამბაქო XVII საუკუნის დასაწყისში გავრცელდა. საქართველოში კი XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. ეს გახდათ დაბალი ხარისხის ნეკო. მაღალხარისხიანი თამბაქო კი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა.

პირველად კოლუმბმა თამბაქო საფრანგეთში შეიტანა.

მსუბუქი ყოფაქცევის ფრანგი ქალები აღმოჩნდნენ პირველები, რომლებმაც სიგარეტი დააგემოვნეს. სწორედ თამბაქოს ექ-სპორტმა გადაარჩინა ჯეიმსტაუნი, მკვიდრი ინგლისელებით დასახლებული პირველი ქლაქი ჩრდილოეთ ამერიკაში. კოლუმ-ბი ფრანგებს მოუყვა, როგორ დახვდნენ აბორიგენები თამბა-ქოს ფოთლებით ხელში.

თამბაქოს ისტორია კიდევ ორ სახელთანაა დაკავშირებული. პირველი, როდრიგო დეჯირეზი, ლარიბი ახალგაზრდა იყო. თამბაქოს წევა ევროპაში პირველმა მან დაიწყო. როდესაც პორტუგალიის სამღვდელოებამ დაინახა, როგორ უშვებდა კვამლს როდრიგო ცხვირ-პირიდან, ეშმაკეულად ჩათვალა. ის დააპატიმრეს და მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ გაანთავისუფ-ლეს. ამ ხნის განმავლობაში მას ბევრმა მიბაძა, თუმცა ოფიცია-ლურად თამბაქოს წევა კიდევ დიდხანს იყო აკრძალული. მხო-ლოდ 1691 წლიდან დაიწყო მისი ოფიციალურად გატანა მთელ ევროპაში.

მეორე ადამიანი, რომლის სახელთანაც თამბაქო ასოცირ-დება, ფრანგი ჟან ნიკო გახლავთ. იგი საფრანგეთის სამეფო კარმა ქორწილის ორგანიზებისთვის ლისაბონში გაგზავნა. სწო-რედ იქ შეიტყო მან თამბაქოს სამკურნალო თვისებების შესახებ და მცენარე დედოფალ ეკატერინე მედიჩის გაუგზავნა, რომელ-საც შაკიკი სტანჯავდა. თამბაქომ დედოფალს შვება მოჰკვარა. ამის შემდეგ ეს მოსაწევი საფრანგეთშიც პოპულარული გახდა.

1828 წელს ფრანგმა ქიმიკოსებმა მისი აქტიური ინგრედი-ენტი გამოყვეს და ნიკოს პატივსაცემად ნიკოტინი დაარქვეს.

მხოლოდ 80 წლის შემდეგ დაამტკიცა ექიმმა ლეგარმა (საკუთარ თავზე ჩატარებული ექსპერიმენტის წყალობით) თამ-ბაქოს სამკურნალო ეფექტის მოჩვენებითობა. თამბაქოს მავ-ნებლობის შესახებ კაცობრიობამ მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიტყო. მანამდე კი ექიმებსაც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ თამბაქო სრულიად უვნებელი იყო.

თამბაქოთი ვაჭრობამ ხელი შეუწყო ამერიკის რევოლუციის

დაფინანსებას. ეს მცენარე ამერიკის პრეზიდენტებს, ჯორჯ ვაშინგტონსა და თომას ჯეფერსონს საკუთარი ხელით მოჰყავდათ და მოიხმარდნენ კიდეც. უფრო ახლო წარსულში ჰოლივუდი სიგარეტს რომანტიკულობის, მიმზიდველობისა და ვაუკაციობის სიმბოლოდ იყენებდა. ამერიკელი ჯარის კაცები სიგარეტს იმ ქვეყნის ადამიანებს აძლევდნენ, რომლებმიც ომობდნენ. ამბობდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წლებში სიგარეტს პარიზიდან პეკინამდე გაცვლა-გამოცვლის საგნადაც იყენებდნენ.

მოგვიანებით მდგომარეობა შეიცვალა. ამერიკის სახელმწიფო ჯანდაცვის მთავარმა ექიმმა 1964 წლის 11 იანვარს გამოსცა 387 გევრდიანი ნაშრომი მოწევით გამოწვეული დაავადებების შესახებ. სწორედ ამის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ აუცილებელი გახადა გაფრთხილება: “ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებით, მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის!”, რომელიც ამერიკაში გაყიდული ყველა სიგარეტის კოლოფს ეწერა. ახლა დადგენილია, რომ შტატებში წლიურად 434 000 ადამიანის სიკვდილის გამომწვევი მიზეზი მოწევაა.

12 წლის წინ კოლორადოში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა აიკრძალა. როცა ნიუ იორკის რესტორნებში მოწევა ოფიციალურად აკრძალეს, მეპატრონების მხრიდან ამას საპროტესტო აქციები მოყვა.

ასეა თუ ისე, თამბაქოს წევა ძირითადად მაინც XX საუკუნის ფენომენია. მას მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ეწევა.

მოზარდები თამბაქოს ჩუმად ეწევიან, ამიტომ სწრაფად ისუნთქავენ ბოლს, ასეთ დროს კი თამბაქოს კვამლში მავნე ნივთიერებები უფრო მეტია (ნელი მოწევისას კვამლში ნიკოტინის დაახლოებით 20% გადადის, ხოლო სწრაფი მოწევიას – 40%-ზე მეტი). ყველაზე მეტ შეამს სიგარეტის ბოლომდე მოწევის შემთხვევაში ჩავისუნთქავთ.

როგორც გამოკვლევები აჩვენებს, ადამიანები, რომლებიც მოწევას მოზარდობის პერიოდში იწყებენ (ასეთი კი მნე-

ველთა 70%-ია), 20-25 წლით უფრო ადრე იღუპებიან, ვიდრე ისინი, ვისაც არასოდეს მოუწევიათ.

ბოლო დროს წიგნებისა და ფსიქოლოგების დახმარებით ბევრმა შეძლო სიგარეტის გადაგდება, ბევრისთვისაც სიგარეტ-ზე უარის თქმა ძალიან ძნელია. ცნობილი მწერალი მარკ ტვენი წერდა : “მოწევისთვის თავის დანებება ძალიან ადვილი საქმეა. პირადად მე 74-ჯერ დავანებებ თავი“.

როგორც ავლნიშნეთ, საქართველოში თამბაქო XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. პირველად იგი აფხაზეთში გააშენეს, შემდეგ – აჭარაში და ბოლოს – აღმოსავლეთ საქართველოში – მარნეული, ბოლნისი, ყვარელი, ლაგოდეხი. მას უხსოვარი დროიდან იყენებდენენ მოსაწევად. უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქო გამოიყენება მედიცინაში სამკურნალი პრეპარატების დასამზადებლად (ვიტამინი PP). თამბაქოს ფართოდ იყენებს სახალხო მედიცინაც ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად, თავის ტკივილის დასაყუჩებლად (ბურნუთი), ხოლო ნახარშით მკურნალობენ პირუტყვის ქეცის დაავადებას.

თამბაქოს სავეგეტაციო პერიოდია 135-170 დღე. იგი სითბოსმოყვარული (თესლის გაღივებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 27-28 °C, ღეროსა და ფოთლების ზრდა-განვითარებისათვის 24-28 °C) და ტენის მომთხოვნი (განსაკუთრებით სრული შეფოთვლის პერიოდში) მცენარეა, საკვებ ნივთიერებებსაც დიდი რაოდენობით ითვისებს. კარგად ხარობს მსუბუქ და საშუალო შავმიწებზე, რუხსა და წაბლა ნიადაგებზე.

თამბაქოსგან დამზადებულ პრეპარატებს ხმარობენ სოფლის მეურნეობაში მავნებლების წინააღმდეგ. მისი ფოთლებიდან მიიღება ვაშლმჟავა, რომელიც გამოიყენება კვების მრეწველობასა და პარფიუმერიაში. თამბაქოსაგან მზადდება აგრეთვე მოსაწევი საპაპიროსე მასალა, სიგარები, სიგარეტები, საჩიბუხე თამბაქო. წეკოს ფოთლებიდან მიიღება ლიმონმჟავა, რომლის შემცველობა 3-დან 15%-მდეა. ფოთლის ნაწარმის ხარისხი და-

მოკიდებულია ცილებისა და ნახშირწყლების შეფარდებასა და ნიკოტინისა და ეთეროვანი ზეთების შემცველობაზე. თამბაქოს თესლი შეიცავს 30-35% ცხიმოვან ზეთს, რომელსაც იყენებენ საპნების და საღებავების დასამზადებლად.

თამბაქოს წევითი ღირსება, არომატი, სიმაგრე, გემო და წვის უნარი დამოკიდებულია ფოთლის ქიმიურ შედგენლობაზე. ეს უკანასკნელი კი ეკოსისტემის პარამეტრებზე. თამბაქოს მზა პროდუქტში მშრალი ნივთიერება 25 – 30%-მდეა, ხოლო წყალი 8 – 14%-ია. თამბაქოს ნედლეული შეიცავს 10 – 12% ცილას, წევოში კი მისი რაოდენობა ორჯერ მეტია – 20%-მდე აღნევს. თამბაქოს უმაღლესი ხარისხის ნადლეულში ნიკოტინის რაოდენობა 1,2-1,5%-ია, დაბალი ხარისხის თამბაქოში 2,0 – 2,5%, ხოლო წევოში კი 5 – 10%-მდე. თამბაქოს ფოთოლი მდიდარია ნაცრის ელემენტებით 12% – მდე, ფისებით-7%-მდე, ეთერზეთებით – 1,3% – მდე. მათი მონანილეობა მეტაბოლიტურ პროცესებში განსაზღვრავს კიდეც თამბაქოს არომატსა და სურნელებას ანუ ხარისხსა და სასაქონლო ფასს. საუკეთესო ჯიშებია – აფხაზური სამსუნი, დიუბეკი, რომლებიც მაქსიმალური რაოდენობით შეიცავენ ეთეროვან ზეთებს.

თამბაქო ერთნლოვანი მცენარეა მთვარლერძიანი ფევით, სწორი ცილინდრული ან დაკუთხული ღეროთი, რომელიც წვროსკენ, უფრო იშვიათად, ძირიდანვე იტოტება. **ღერო** მთლისიგრძეზე ბუსუსებითა დაფარული და ოდნავ წებოვანია. ის დამუხსლებია, მუხლითშორისები წვეროსკენ უფრო გრძელია, ფოთლები მჯდომარე, ნახევრად მჯდომარე ან ყუნწიანია. **ფოთლის ფირფიტა** საშუალოდ 10-50 სმ-მდეა. კვერცხისებური, ოვალური, ელიფსური, გულისებრი ან ლანცეტაა. **ყვავილედი** საგველაა, გამლილი ან შეკუმშული, ორსქესანია, ყუნწიანი, ჯამი მოგრძო ზარისებრია, უთანაბრო, ნაკვეთებიანი, გვირგვინის მილი თეთრია, ხოლო გადანაღუნი ვარდისფერი, წითელი, ყვითელი ან მომწვანო-ყვითელი, ხუთნაკვთიანი, აქვს 5 მტვრიანა, ნასკვი, ორნაკვთიანი დინგი. თამბაქო ჯვარედინად დამამ-

ტვერიანებელი მცენარეა. **ნაყოფი** ორბუდიანი, მრავალთესლი-ანი კოლოფია, მოყვანილობით ოვალური, კვერცხისებრი ან ნა-ხევრად სფერული, ორი საგდულით იხსენება. თესლი მუქი ან ღია მიხაკისფერია, წვრილი ოვალური, აზიდული ბოლოებით. 1000 მარცვლის მასა უდრის 0,33-0,30 გ-ს, ხოლო ერთ გრამში 4-დან 15 ათასამდე თესლია.

გვარი **Nicotiana** აერთიანებს მრავალ სახეობას, მაგრამ სამრეწველო გავრცელება და მნიშვნელობა ჰპოვა ორმა სახეობამ **Nicotiana Tabacum** და **Nicotiana Ristica**, სხვა სახეობებს არ აქვთ სამრეწველო მნიშვნელობა და ხშირად გარეულ სახეობა-თა სახით არიან ცნობილები.

Nicotiana Tabacum – ჩვეულებრივი თამბაქო – ერთწლო-ვანი ბალახოვანი მცენარეა, მისი ფესვთა სისტემა მთვარლერ-ძიანია, მძლავრი, მთავარი ფესვი უხვად იტოტება და ფუნჯა ფესვის სახეს ღებულობს.

ლერო – სწორია, ცილინდრული, გულგულით ამოვსებუ-ლი, მთელ სიგრძეზე ბუსუსებით შემოსილი, საკმაოდ მსხვილი, სიმაღლით 3 მეტრამდე, მთელ სიგრძეზე დამუხსლული, პირვე-ლი მუხლთშორისი მოკლეა, შემდეგი მუხლთშორისები თანდა-თან გრძელდება წვეროსკენ.

ფოთოლი კიდემთლიანია, დიდი ზომის ფირფიტის სიგრძე საშუალოდ 20-50 სმ-ს უდრის, სიგანით 8-30 სმ-ია, ფოთოლი მჯდომარეა, ნახევრად მჯდომარე ან ყუნწიანია, ფირფიტა ოვა-ლური, გულისებრი ან ოვალურ -კვერცხისებრია. ფოთლის ფუ-ძეს აქვს დანამატი-ბიბილო. ფოთოლი საშუალოდ ან ნაკლებად მახვილწვერიანია, ზედაპირი გლუვი ან მცირედ დაბურცული, ნერვაცია ნაზი ან საშუალოდ ნაზი. ფოთლების რაოდენობა 12-დან 50-მდეა. უმაღლესი ხარისხის საპაპიროსე ნედლეული შეი-ცავს 11-13% – მდე ნახშირწყლებს, 7% -მდე ცილებს.

ყვავილედი – მრავალყვავილიანი საგველაა, ფორმით შლილი, ფარისებრი რადიალური ან კონუსური.

ყვავილი – ორსქესიანია, ყუნწიანი. გვირგინის მიღი თეთრია, გრძელი ძაბრისებრი ფორმის, გადანალუნი ვარდისფერია ან მოწითლო-ვარდისფერი, ხუთი წაწვეტილი ნაკვთით.

ნაყოფი – ოვალური ან კვერცხისებრი მოყვანილობის და მრავალთესლიანი კოლოფია, რომელიც ორი საგდულით იხსნება.

თესლი – ღია მიხაკისფერია, წვრილი, ოვალური, ოდნავ აზიდული ბოლოებით, თესლის აპსოლუტური მასა $0,06 - 0,08$ გ-ს უდრის, ერთ გ-ში 10-15 ათასი თესლია, ხოლო თითო კოლოფში 4000-მდე. თამბაქოს თესლში 40%-მდე ზეთია.

Nicotiana Ristica – წეკო – ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მძლავრად განვითრებული მთვარლერძა ფესვით. საქართველოში შემოტანილია XVII საუკუნის დამლევს. მანამდე გავრცელებული იყო თრიაქის (ოპიუმის) წევა.

ლერო – სწორმდგომია, დაკუთხული, უხეში, სიმაღლით 60 სმ-დან 1,5 მ-მდე, მთელ სიგრძეზე ბუსუსებითაა დაფარული და ამოვსებულია ღრუბლისებრი ქსოვილით. მთელ სიგრძეზე დამუხლული, მუხლთშორისები შედარებით გრძელია.

ფოთოლი – დიდი, მომრგვალებული ფორმისაა, სიგრძე – სიგანით თითქმის თანაბარია, ღეროს ორივე მხარეზე მორიგეობით გაწყობილი ფოთოლი შეიძლება იყოს გულისებრი, სამკუთხისებრი, ნიჩბისებრი, ელიფსური. ფოთლების რაოდენობა მცენარეზე 8-დან 20-მდე აღწევს, ფოთლის იღლიებიდან თითო ნამხრევი ვითარდება.

ყვავილედი – მრავალყვავილიანი მომრგვალო საგველაა.

ყვავილი – ორსქესიანია, მოკლე ყუნწით, გვირგვინი ზარისებრი, გადალუნული, ფერით ყვითელი ან მომწვანო – ყვითელი, ხუთნასკვიანი, მტვრიანა ხუთი.

თესლი – შედარებით მსხვილია, მუქი მიხაკისფერი. 1000 თესლი მასა $0,2 - 0,3$ გ-ია, ერთ კოლოფში 3-4 ათასი თესლია. წეკო შეიცავს 1-15%-მდე ნიკოტინს და 4-15% ლიმონმჟავას.

ჩვეულებრივი თამბაქოსთან შედარებით ველური თამბაქოს ბუჩქი აღწევს 60 სმ-ს სიმაღლეში, ხოლო მისი ღერო უფრო

წვრილი და ელასტიურია. ველური თამბაქოს ყვავილედი არის მკრთალი ყვითელი ფერის, ხუთფურცლიანი.

Nicotinia Tabacum-ის ფარგლებში გამოყოფილია სამი მთავარი ჯგუფი:

- აღმოსავლური საპაპირუსე ტიპის ჯგუფი;
- ამერიკული საპაპირუსე ტიპის ჯგუფი;
- სასიგარე ტიპის ჯგუფი;

თამბაქოს დარაიონებული ჯიშები

სამსუნი – 27 – მისი ფოთოლი საშუალო ზომისაა, გავრცელებულია საქართველოს ზღვისპირეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყაზახეთში. იგი იძლევა მაღალ არომატულ, მაღალხარისხოვან, ნაზ და გემრიელ ნადლეულს. საშუალო სავეგეტაციო პერიოდის ჯიშია. გადარგვიდან წვერო ფოთლების მოწიფებამდე საჭიროა 90-100 დღე. ჰექტარზე იძლევა საშუალოდ 1,1-1,5 ტონა მოსავალს. სიმაღლე 150 სმ-ია. მაღალი არომატულობის გამო ის გამოიყენება საკუპაჟედ სხვა ნედლეულის გასაუმჯობესებლად, სამსუნებს შორის მაღალპროდუქტულ ჯიშად ითვლება.

სამსუნი – 1857 - გავრცელებულია საქართველის მეთამბაქეობის ძირითად რეგიონებში, სავეგეტაციო პერიოდი გადარგვიდან წვერის ფოთლების მომწიფებამდე დაახლოებით 120-125 დღეს უდრის, საგვანო ჯიშია.

სამსუნი – 989 – მიღებულია ჰიბრიდიზაციის გზით, დარაიონებულია აფხაზეთის დაბალ და საშუალო ზონაში, ნადლეული არომატულია, გემოვანი და მაღალი სასაქონლო გამოსავლით. სავეგეტაციო პერიოდი გადარგვიდან ყვავილობის დაწყებამდე 80 დღე, გადარგვიდან წვერის ფოთლის მომწიფებამდე 90-114 დღე, მაღალპროდუქტულია.

ტრაპიზონი – 93 – გავრცელებულია საქართველოს აღმოსავლეთ რაიონში, აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში. იგი

იძლევა ნეიტრალურ საჩონჩხე, ღია ყვითელ, საშუალო სიმაგრის, სუსტ არომატულ და სასიამოვნო გემოს ნედლეულს. სავეგეტაციო პერიოდი დარგვიდან წვეროს ფოთლის მომწიფებამდე დაახლოებით 98-120 დღეს უდრის. ჯიში საშუალო საგვიანოა, მაღლმოსავლიანი.

სანაპირო ტრაპიზონი – გავრცელებულია საქართველოს სანაპირო ზოლში, გამოყვანილია ტრაპიზონის პოპულაციიდან. იძლევა საჩონჩხე, გემოიან, შედარებით დიდი სიმაგრის და არომატის ნედლეულს. სავეგეტაციო პერიოდი წვეროს ფოთლის მომწიფებამდე უდრის 80-125 დღეს, საშუალო სავეგეტაციო პერიოდის ჯიშია, საკმაოდ მაღალპროდუქტული.

ტრაპიზონი 1268 (იგივე ლაგოდეხური ტრაპიზონი) – გავრცელებულია ლაგოდეხის არეალში, ასევე აზერბაიჯანშიც. გამოყვანილია ლაგოდეხის მეთამბაქოეობის საცდელ სადგურში. ის იძლევა ნეიტრალურ, საჩონჩხე, ღია ფერის და საშუალო სიმაგრის, სუსტ არომატულ ნედლეულს. ჯიში საშუალო – საგვიანოა, საშუალო მოსავლიანობა 1,8-2,3 ტ/ჰა.

დიუბეკი 44 – გავრცელებულია ყირიმში, ყაზახეთსა და უზბეკეთში. იგი იძლევა მეტად არომატულ, რბილი გემოს, მაღლხარისხოვან, მოყვითლო – ნარინჯისფერ ნედლეულს. ვეგეტაციის პერიოდი დარგვიდან წვეროს ფოთლის მომწიფებამდე უდრის 80-125 დღეს. საშუალო სავეგეტაციოს პერიოდის ჯიშია, საკმაოდ მოსავლიანი.

თამბაქო კარგად არის შეგუებული ადგილობრივ პირობებს, მისი სამრეწველო პლანტაციები გვხვდება მარნეულში, ლაგოდეხში, აჭარის მთიან ზონაში (ქედა, ხულო, შუახევი). შესაბამისი კლიმატი, ნიადაგების ტიპები და არსებული მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები განაპირობებს ამ ძვირფასი კულტურის მაღალ მოსავლიანობას, ნედლეულის და შესაბამისად პროდუქციის ხარისხს, ხოლო დარგის განვითარება უცხოური ვალუტის შემოსავლის წყაროს შექმნის, რადგან მაღალი ხარისხის თამბაქო ძვირად იყიდება.

თამბაქოს წარმოების მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა მაღალნაყოფიერი მოდელის შექმნა გარემო-ნიადაგი-მცენარე- სასუქი-მოსავალი-პროდუქცია:

- მეურნეობის მაღალპროფესიული მართვა და თამბაქოს კულტურის მოყვანისათვის სასოფლო-სამეურნეო კალენდრით გათვალისწინებული ოპტიმალური თარიღების დაცვა;
- კონდიციური თესლი (უნდა განვითარდეს მეთესლეობა და შეიქმნას თესლის ბანკი);
- ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება (უახლესი დანადგარების, უსაფრთხო შეამქიმიკატების, სასუქების ოპტიმალური და მცენარის განვითარების ფიზიოლოგიური ფაზების შესაბამისად დიფერენცირებული ნორმებით შეტანა, ხარჯვისა და სარგებლის პარამეტრების დიფერენცირება და სხვა);
- ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება -თესლბრუნვების გამოყენება;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გადამამუშავებელი მრეწველობა

თამბაქო **თვითდამტვერავი და სინათლის, ანუ გრძელი დღის** (ტრაპზონის გარდა) მოყვარული მცენარეა, თუმცა სიცხის დროს შესაძლებელია ჯვარედინი დამტვერვაც. არასაქმარისი სინათლის დროს სავეგეტაციო პერიოდი იზრდება, მცენარის საერთო განვითარება ფერხდება, რაც თავის მხრივ ნედლეულის ხარისხს აუარესებს. თესლი მუქი-ყავისფერი, წვრილი, 1000 თესლის მასა 0,06-0,25 გრამია. აღმოცენება ხდება $10-12^{\circ}$ -ზე, ინტენსიური ზრდისათვის აუცილებელია $25-27^{\circ}$. ზრდა-განვითარების ოპტიმალური ტემპერატურა $18 - 24^{\circ}$, სითბოს აბსოლუტური ოპტიმალური ჯამი $2500-3100^{\circ}$, ტემპერატურა 35° -ზე ზევით მცენარისათვის არაკომფორტულია, ხოლო აღმონაცენი იღუპება.

თამბაქო ზომიერად ტენისმოყვარული მცენარეა, ტენის უკმარისობა ინვექს მოსავლის შემცირებას, ხოლო ზედმეტი ტენი კი განვითარების შემცირებას, წარმოიქმნება სოკოვანი დაა-

ვადებანი. ზღვრული ტენტევადობის ოპტიმალური ვარიანტი 60-70%-ია. სავეგეტაციო პერიოდი დაახლოებით 170 დღემდეა.

თამბაქოსათვის საუკეთესო **ნიადაგებია** მსუბუქი და საშუალო შავმინები, რუხი და წაბლა ნიადაგები, ჰუმუსის მცირე შემცველობითაც. ფოთლის ნაწარმის ხარისხი დამოკიდებულია ცილებისა და ნახშირნყლების შეფარდებაზე, ნიკოტინისა და ეთეროვანი ზეთების შემცველობაზე. თესლი შეიცავს 30-35% ცხიმოვან ზეთს, რომელსაც იყენებენ ტექნიკური მიზნებისათვის (საცხები მასალისათვის).

სამრეწველო პლანტაციების შექმნისას აუცილებელია თესლპრუნვათა სქემა. წინამორბედები: მრავალწლოვანი ბალახები, მარცვლეული, პარკოსნები, შაქრის ჭარხალი. არ არის რეკომენდირებული მისი დარგვა მზესუმზირისა და ძალლყურძენისებრთა ოჯახის შემდეგ, რადგან იდენტური მავნებლები და დაავადებები გააჩნიათ. თავის მხრივ თამბაქო კარგი წინამორბედია თავთავიანი კულტურებისათვის.

მოხვნის სილრმე 25-27 სმ, გაზაფხულზე დადისკვა, 2-ჯერადი კულტივაცია ჩითილების დარგვამდე, წვრილთესლოვანი კულტურაა, მრავლდება ჩითილებით.

განოყირება – 0,25 ტ მოსავლის მიღებისას თამბაქოს 1 ჰა-დან გამოაქვს 150 კგ აზოტი, 40 კგ ფოსფორი, 96 კგ კალიუმი. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს NPK-ს თანაფარდობას. აზოტის დეფიციტისას მცენარის ზრდა ითრგუნება, მოსავალი და ხარისხი კლებულობს, ხოლო აზოტის სიჭარბისას იწყება ინტენსიური ზრდა, აქაც მოსავალი და ხარისხი კლებულობს. ფოსფორი და კალიუმი ოპტიმალურ ნორმებში ზრდის მოსავალს და ხარისხს, ხოლო ქლორი აუარესებს. განოყირების ერთ-ერთი ვარიანტი – 18-20 ტ/ჰა ორგანული სასუქი; 60 კგ/ჰა ფოსფორი – მოქმედი ნივთიერება; 60 კგ/ჰა კალიუმი – მოქმედი ნივთიერება; გაზაფხულზე 20-30 კგ /ჰა აზოტი, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ნიადაგის ტიპი და ნაყოფიერება, ანუ უნდა ჩატარდეს დიაგნოსტიკა სამრეწველო პლანტაციის გაშენების წინ.

ჩითილების დარგვისას აუცილებელია კვების არეს გათვალისწინება, მაგალითად – 70X30სმ 48 000 მცენარე/ჰა; 70X20 სმ 83 000 მცენარე/ჰა და ასე შემდეგ.

ეკოლოგიური რისკები:

ა) როგორც მდიდარი ბიომრავალფეროვნების ქვეყანა, საქართველო განსაკუთრებული რისკის ქვეშაა, როდესაც საქმე ეხება თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქციას. 2003 წლიდან საქართველოში მიმდინარეობს UNEP/GEF-ის პროექტი “ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება”, რომლის მიზანია საქართველოში ბიომრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის პროექტის შექმნა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადად ვიმსჯელოთ საქართველოში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული პროდუქციის მიმოქცევასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესახებ, ოფიციალური და არაოფიციალური წყაროებიდან დადასტურებულია გმო-ის იმპორტისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (სათესლე მასალის სახით) გავრცელების რამდენიმე ფაქტი. **ამიტომაც დარგის განვითარებისათვის აუცილებელია თამაჯოს თესლის ბანკის შექმნა.**

ბ) გავრცელების ძირითადი სამიზნე (ქედა, შუახევი, ხულო) ხასიათდება რთული რელიეფური და კლიმატური პირობებით, სახნავად ვარგისი მიწების სიმცირით, ეროზიისა და სხვა ეგზოგენური გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური პროცესების ინტენსიური განვითარებით, ხანგრძლივი დიდთოვლიანი ზამთრით და მდ. აჭარისწყლის ხეობის შუა ნაწილში ხშირი გვალვებით. ყოველივე ეს მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებს ქმნის მოსახლეობისა და ფერმერული მეურნეობებისთვის. სოფლის მეურნეობის დარგებიდან მაღალმთიან აჭარაში ძირი-

თადად განვითარებულია სამთო მეცხოველეობა და მემცენარეობა, მათ შორის დომინირებს თამბაქოს კულტურაც. უახლოეს წარსულში სხვადსხვა კულტურების ქვეშ ათვისებულ მიწებზე ათეული წლების განმავლობაში ინტენსიურმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ და ნიადაგდაცვითი ღონისძიებების უგულვებელყოფამ გამოიწვია ნიადაგის ნაყოფიერების მკვეთრი დაცემა. შედეგად, ხდებოდა მსგავსი მიწების მიტოვება, რაც, ერთის მხრივ, განაპირობებდა სახნავი ფართობების შემცირებას, მეორეს მხრივ კი მოსახლეობა და სახელმწიფო იძულებული იყვნენ აეთვისებინათ ახალი ნაკვეთები, უპირატესად ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე. 10-20 წლის შემდეგ ახლად დამუშავებულ ნაკვეთებზე არსებული ერთ დროს ნაყოფიერი სახნავი მიწები, ეროზიის განვითრების შედეგად, კვლავ გადადიოდა დაბალი კატეგორიის სავარგულებში (საძოვარი, სათიბი) და ამგვარად ყოველწლიურად მატულობს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული ნაკვეთების რაოდენობა. მოგვიანებით, მათზე სახლდება სარეველები და დაბალი ღირსების ბუჩქნარი. ეროზიის განვითარების ინტენსიობის და ნიადაგის ეროზიების კატეგორიის შესაბამისად, კლებულობს ნარმოებული კულტურების მოსავლიანობა, იზრდება მიღებული პროდუქციის თვითლირებულება და მცირდება ფერმერთა შემოსავლები.

მაღალმთიანი აჭარის რეგიონში ფერმერული მეურნეობები ძირითადად განთავსებულია ყვითელ-ყომრალ და ყომრალ ნიადაგებზე. აღნიშნული ნიადაგები ხასიათდებიან შედარებით მსუბუქი მექანიკური შედგენილობით და კარგი წყალგამტარობით, რის გამოც მათი ტენტევადობა დაბალია, გამოშრობის ინტენსიობა კი მაღალი. მიუხედავად იმისია, რომ ნალექების წლიური რაოდენობა საკმაოდ მაღალია, მათი არათანაბარი განაწილება და ნიადაგის აღნიშნული თვისებები სავეგეტაციო პერიოდში განაპირობებს დეფიციტური რეჟიმის ჩამოყალიბებას. რაც საჭიროს ხდის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვას.

ეროზია საწინააღმდეგო ღონისძიებები, რომელთა დაცვა

აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების და მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მოიცავს აგროტექნიკურ, სატყეო-მელიორაციულ და საინჟინრო-ტექნიკურ მეთოდებს. აგროტექნიკური ღონისძიებები მოიცავს:

- აგროტექნიკური ღონისძიებების მიხედვით ფერდობებზე ნიადაგის დამუშავებას, კულტურების განლაგებას და ყოველგვარი ოპერაციების განხორციელებას ფერდობის დახრილობის პერპენდიკულარული მიმართულებით;
- საჭირო ფართობის მიწის ნაკვეთის არსებობის პირობებში სპეციალური თესლბრუნვების შემოღება, რომელიც ითვალისწინებს თესლბრუნვის სქემაში მრავალნლოვანი ბალახების თესვას;
- მრავალწლოვანი ხე და ბუჩქოვანი ნარგაობის რიგთაშორისებში სასიდერაციო ბალახების თესვას;
- შერეული ნათესების მოწყობას მცენარეთა ურთიერთსასარგებლო ზეგავლენის გათვალისწინებით; ნიადაგდაცვითი თვისებების მიხედვით მინდვრის კულტურებს ყოფენ სამჯგუფად: პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ეროზისგან ნიადაგის ძლიერ დამცავი მცენარეები, მათ მიეკუთვნება მრავალწლოვანი მცენარეები; მეორე ჯგუფში შედის საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები, ნიადაგდაცვითი საშუალო თვისებებით; მესამე ჯგუფში გაერთიანებულია სათოხნი კულტურები, რომლებიც ვეგეტაციის განმავლობაში საჭიროებენ ნიადაგის მრავალჯერად დამუშავებას და ხასიათდებიან სუსტი ნიადაგდაცვითი თვისებებით. ეფექტურ ეროზიასანი-ნააღმდეგო ღონისძიებას წარმოადგენს მცირე ზომის ნაკვებზე, განსაკუთრებით მულჩის გამოყენება, რომელიც ითვლება ნიადაგის ტენის და ტემპერატურის მარეგულირებელ და ნიადაგის ეროზის პრევენციის კომპლექსურ ღონისძიებად. სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები მოიცავს ფერდობებზე ტყის შერჩევით ჭრას, ჩამორეცხილი ფერდობების, ხევების და მდი-

ნარეების სანაპირო ზოლების გატყევებას, ქარსაფარი და მინ-დორსაცავი ტყის სპეციალური ნარგაობების გაშენებას.

თამბაქოს სამრეწველო პლანტაციების გაშენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეს მეტად მტკიცნეული პრობლემა.

გ) გარემოს დაბინძურება მინერალური და ორგანული სასუქებით შეიძლება მოხდეს

მათი დატვირთვა-გადმოტვირთვის, გადაზიდვის და შეტანის დროს, ხოლო უკვე შეტანილი სასუქები შეიძლება დაიკარგოს სარწყავი და წვიმის წყლით გადარეცხვით და ნიადაგის ქვედა ფენებში ჩარეცხვით, ქარისმიერი ეროზით. აზოტიანი სასუქის დიდი ნანილი შეიძლება დაიკარგოს მათი არასწორი ზედაპირული შეტანის შემთხვევაში აქროლებით.

თანამედროვე აგროქიმიის ერთ-ერთ ამოცანას მინერალური სასუქების ეფექტურობის გადიდება და გარემოზე სოფ-ლის მეურნეობის ინტენსიური ქიმიზაციის ეკოლოგიური შემ-დგომ ქმედების შესწავლა წარმოადგენს. სასუქების გამოყენების თვალსაზრისით, გარემოს დაცვის პრობლემაში თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა დასავლეთ საქართველოს უხვ ნალექიან ზონებში და სარწყავი მინათმოქმედების პირობებში, სადაც ქიმიზაციის განვითარების სწრაფი ტემპები შეთანაწყობილია ნიადაგის წყლით გამორეცხის რე-ჟიმთან, მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებასთან და სა-სუქების შესანახი საწყობების არასაკმარის რაოდენობასთან. ამასთან, ზოგიერთ ზონაში მრავალი წლის განმავლობაში სასუქების ინტენსიური გამოყენებით, შეიქმნა აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის დადებითი საწყისი ბალანსი, რის გამოც მინერალური სასუქების გამოყენების ტემპები მნიშვნელოვნად ჭარბობენ მოსავლით საკვები ელემენტების გამოტანას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიგი მიკროელემენტებისა გადადიან უხსნად მდგომარეობაში, რითაც ირლვევა მეტაბოლიტური პროცესები, მცირდება პროდუქტულობა და ხარისხი. მიუხედავად ამისა, მომავალშიც სასოფლო_სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების მთავარ საშუალებად კვლავ დარჩება მინერა-

ლური სასუქების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მოსავლის 50 %-იანი ნამატის მიღებას. ზოგიერთი მნვანე მასის მომცემ მცენარეში (მაგალითად, თამბაქო, ჩაი და სხვ).

აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთა-დერთი სწორი გზა არის არა სასუქების გამოყენებაზე უარის თქმა, არამედ მინერალური სასუქების გამოყენების ტექნოლო-გიის ოპტიმიზაცია წინასწარი დიაგნოსტიკის შედეგად. აუცი-ლებელია ვიცოდეთ თუ როგორი გამოტანა ახასიათებთ მათ, რათა შემდგომში შევაფასოთ რამდენად სწორად შევიტანეთ სა-სუქი, მცენარის ბიოლოგიური თავისებურებების, კლიმატურ-ნიადაგური პირობების და პროდუქტულობის გათვალისწინე-ბით, რათა საჭიროების შემთხვევაში განვახორციელოთ სათა-ნადო კორექტივები.

თესლის ბანკი – თამბაქოს წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი არის მაღალმოსავლიანი, გარემო პირობებთან ადაპტირებული თესლის ბანკის შექმნა, რაც საკმაოდ რთული, შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია, რადგან მუდმივ განახლება-გა-უმჯობესებას მოითხოვს.

თესლის ბაზარი მკაცრად ლიმიტირებულ, ძვირ, თუმცა სტაბილურ შემოსავლიანად ითვლება უცხოეთში, ამიტომაც ხე-ლი უნდა შეეწყოს ჩვენში მის განვითარებას. თესლი მცენარის ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების მქონე ორგანიზმია, ამიტომაც მასზე არის დამოკიდებული მოსავლიანობა და ნედ-ლეულის, შემდეგ კი პროდუქციის ხარისხი.

მსოფლიო ბაზარზე 100 ცალი თესლის ფასი დაახლოებით 2-4 აშშ დოლარია, 1000 ცალი თესლი 0,10- 0,25 გრამია ანუ 20-40 აშშ დოლარი, ანუ 1 კგ თესლი დაახლოებით 12 000 აშშ დო-ლარია.

შეამიანი მცენარეები და მათი სამუშაოო გამოყვება

ჩვენი ქვეყნის მცენარეული საფარის გარკვეული ნაწილი შხამიანია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეებში შხამების შემცველობა დამოკიდებულია არეალსა და ეკოსისტემის პარამეტრებზე, ერთი და იგივე მცენარე ხშირად შხამს სხვადასხვა რეგიონში ან განსხვავებული ნორმით შეიცავს, ან საერთოდ არ შეიცავს, მაგ. ყაყაჩო, ტილჭირი, ხანჭკოლა ზოგან შხამიანია, ზოგან კი არა, რაც აიხსნება ეკოსისტემის პარამეტრების გავლენით მეტაბოლიტური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებზე და მცენარეთა ორგანოებში სამარაგო ნივთიერებათა დაგროვების რაოდენობაზე, თანმიმდევრობაზე, ხარისხსა და თვისებებზე.

შხამიან მცენარეთა უმრავლესობა ფარულთესლიანებია, შხამებს შეიცავს ძალლყურძენასებრთა, რძიანისებრთა, ბაიასებრთა, თუთისებრთა ოჯახებში შემავალი სახეობების დიდი ნაწილი, ხოლო რთულყვავილოვანთა და კაკტუსისებრთა ოჯახის წარმომადგენლებს შორის ასეთი მცენარეები მცირეა. ისინი ძირითადად უსიამოვნო სუნით, უგემური ან მომწარო გემოთი გამოირჩევიან, მათში დაგროვილ ტოქსიკურ ნივთიერებებს მიეკუთვნებიან: ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, მწარეები, ფისები და სხვ. ბევრი შხამიანი მცენარე წარმოადგენს სამკურნალო პრეპარატების წარმოებისათვის ძვირფას ნედლეულს და ამ მიმართულებით მცენარეული ტოქსიკოლოგია მჭიდროდ თანამშრომლობს ფარმაციასთან. განსხვავდება საკუთრივ შხამიანი მცენარეები: არსებობს მუდმივ შხამიანი და შეძენილი შხამიანი მცენარეები. ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, მცენარის რომელ ნაწილში ან განვითარების რომელ ფაზაში ხდება შხამიან ნივთიერებათა წარმოშობა-დაგროვება.

შხამიან მცენარეთა ტოქსიკოლოგია შხამების შესწავლის მეცნიერების ნაწილია, სწავლობს მათი წარმოშობის მექანიზმებს, სტრუქტურას, გავლენას ადამიანსა და ცხოველებზე, იძლევა ცნობებს ამ ჯგუფის მცენარეთა მორფოლოგიაზე, არეალსა და ბიოლოგიურ თავისებურებებზე, შხამიანი მცენარეებით მოწამვლის შემთხვევაში პროცესის კლინიკური მიმდინარეობის მექანიზმებსა და პათოლოგიურ ცვლილებებზე, დიგნოსტიკაზე, მკურნალობასა და პროფილაქტიკაზე.

მცენარეული ტოქსიკოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული ვეტერინარულ, ზოოტექნიკურ და სამედიცინო მეცნიერებებთან. ყველაზე უფრო მეტად იგი კონტაქტშია მეცხოველეობასთან, რადგან შხამიანი მცენარეების ცხოველთა ორგანიზმი მოხვედრა საკვების მეობებით ამ შემთხვევაში ხშირია. მცენარეული ტოქსიკოლოგია მიუთითებს შეცდომებზეც, რაც შეიძლება დაშვებული იქნას კვების ორგანიზაციის დროს, განსაკუთრებით მეცხოველეობაში და ხელს უწყობს მოწამვლის გამოვლენას. ამასთანავე შხამიანი მცენარეები განაპირობებენ ცხოველთა იმუნური სისტემის სისუსტეს და ნაკლებგამძლეობას სხვადასხვა დაავადებებთან დაკავშირებით.

შრობისა და დასილოსების დროს მცენარეთა ნედლ მასაში არსებულ ნაერთთა მნიშვნელოვანი ნაწილი იშლება, აქედან გამომდინარე მათში ტოქსიკურ ნაერთთა შემცველობა შეიძლება შემცირდეს ან სულაც გაქრეს. მაგალითად, აქროლადი ალკალოიდები და გლიკოზიდები შრობის პროცესში მცირდება. სწრაფად გამომმრალი მასა მოქმედ ტოქსიკურ ნივთიერებებს დიდხანს ინარჩუნებს, ამიტომ სწორად უნდა შეირჩეს შრობის რეჟიმი. შხამიანი მცენარეების მიზეზით მიყენებული ზარალის სახეობებიდან აღსანიშნავია “ცხოვლეთა დაცემა”, რის შედეგად ადგილი აქვს მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან შემცირებას, არსებობს

უამრავი ინფორმაციული მასალა შხამიანი მცენარეებით განპირობებული ეკონომიკური ხასიათის ზარალის შესახებ. მეცხოველეობაში არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შხამიანი მცენარების გავლენით შეიძლება „დაეცეს“ მსხვილ-ფეხა რქოსანი პირუტყვი, ცნობილია ღორის ბირკის მიზე-ზით ბატების „დაცემაც“. გამოვლენილია საშიში მცენარეების დიდი რაოდენობა, რაც მანამდე არ იყო ცნობილი მეცხოველეობაში და სავარაუდოდ აქ ადგილი აქვს ეკოსისტემის პარამეტრების გავლენას (კლიმატური ტესტების ცვლილება, მძიმე ლითონებით დაბინძურება). შხამიან მცენარეთა დიდი რაოდენობით საკვებში შერევა საშიშია მეცხოველეობის პროდუქტულობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისითაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობაში შხამიანი მცენარეებით მოწამვლის გამოვლენისას აღრიცხვა ძირითადად შემთხვევით მოპოვებულ მასალებზეა დაფუძნებული, სინამდვილეში ფაქტობრივი მდგომარეობა გაცილებით უარესია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შხამიანი მცენარეებით მოწამვლის შემთხვევების დიაგნოსტიკა არასწორად და დიდი დაგვიანებით ხვდება. არასწორი დიაგნოზის ბაზაზე მკურნალობის ღონისძიებებიც არასწორი და არაეფექტურია. მაგ. ლიტერატურაში გვხვდება მონაცემები, როცა ცხვრების ტილჭირით მოწამვლის შემთხვევა დიაგნოსტირებული იქნა, როგორც ციმბირის წყლული. აქედან გამომდინარე მკურნალობისა და პროფილაქტიკის ორინისძიებები შეცდომით იქნა რეკომენდებული.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შხამიანი მცენარეების გამოყენებას სამკურნალოდ მკაცრად რეგლამეტირებული ნორმებით, მათ შორისაა: დეზურას ბალახი, შხამას ფესურა ფესვურებით, ტილჭირის ბალახი, შმაგა ანუ კავკასიური ბელადონა და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცენარეული შხამების სოფლის მეურნეობაში გამოყენებას

მცენარეებისა და ცხოველების მავნე ორგანიზმებისაგან და-საცავად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეებში მავნე ორ-განიზმების მიერ მიყენებულ ზიანს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს კაცობრიობა უძველესი დროიდან აქცევდა ყურადღებას, დღეს მათ შესახებ ცნობებს ძირითა-დად არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვიღებთ. პირველი ცნობები მცენარეული შხამების შესახებ მიეკუთვნება ახალ ერამდე მეოთხე საუკუნეს, რომელიც გავამცნობს, ალექსან-დრე მაკედონელის არმიაში პარაზიტების წინააღმდეგ დალ-მაციური გვირილას ფეხნილი გამოიყენეს.

საქართველოში მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინა-აღმდეგ იყენებენ მცენარეთა დაცვის ხალხურ საშუალებებს – მათ შორის შხამიანი მცენარეების ნახარშებს, ნაყენებს, ფეხნილებს (ქრისტესისხლა, გულყვითელა, ტილჭირი, კონიო და სხვ.).

დეზურა (*Delphinium Elatum*) – Larkspur – Живокость

გვარი დეზურა საქართველოში წარმოდგენილია 17 სა-ხეობით, ბადენაყოფა დეზურა – მრავალწლოვანი ბალახოვა-ნი სწორი, დაუტოტავი მცენარეა 80-110 სმ სიმაღლით, თირ-კმლისებრ-მომრგვალო ფოთლები განლაგებულია მორიგე-ობით გრძელ ყუნწზე. შებუსული მეტნილად ქვედა მხარეს ძარღვებთან და კიდეებთან, გააჩნია ცისფერი ან მოთეთრო ყვავილები, ნაყოფი სამფოთლურია- 1-5 თესლით, ყავისფე-რი შეფერვით, ფესვი გახევებული, ღერძული.

შერეული დეზურა პირველი სახეობისაგან განსხვავდე-ბა მორფოლოგიური ნიშნებით: ფოთლის ფირფიტა უბესთან სოლისებურია და დაფარულია ორივე მხრიდან ბუსუსებით. ყვავილების ჯამის ფოთლები ისფერია. ამზადებენ ბადენა-ყოფა დეზურას ღეროების ზედა ნაწილებს ფოთლებითა და

ყვავილებით ბუტონიზაციის დროს და ყვავილობის დასაწყისში. ხოლო მეორე სახეობის ღეროებს ჭრიან მიწიდან 10 სმ-ის დაშორებით. დეზურას ყველა სახეობა შხამიანია.

ბადენაყოფა დეზურას ბალახი შეიცავს ალკალინოდებს – 0,5-1,3%-მდე, შერუული დეზურას ბალახში კი ალკალინოდების შემცველობა -0,7%-მდეა, დეზურას ალკალინოდები სამედიცინო პრაქტიკაში შემოიღეს, როგორც კურარეს შემცვლელები, რომელიც წარმოადგენს შხამს. მას სამხრეთ-ამერიკელი ინდიელები იყენებდნენ მონამლული ისრების დასამზადებლად. ამჟამად ბადენაყოფა დეზურასაგან ამზადებენ პრეპარატ მელიქტინს, რომელიც იწვევს კუნთების ტონუსის დაქვეითებას რიგი ნერვული დაავადებების და მამოძრავებელი ფუნქციის დარღვევის დროს.

დეზურას ნაყენს, ნახარშს და ფხვნილს იყენებენ ჩრჩილის, კუნელის, კომბოსტოს და ბოლოკის თეთრულას, კომბოსტოს ხვატრისა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ.

ტილჭირი (*Aconitum*) – *Aconitum* – Аконит

ტილჭირი 80-200 სმ სიმაღლის მცენარეა ბაიასებრთა *Ranunculaceae* ოჯახიდან, ფოთლები მომრგვალო-გულისებრი, განლაგებულია მორიგეობით, ყვავილედი კენწრული, მტევნისებრი, ყვავილები მსხვილი, მუქი ლურჯი შეფერილობით გვევდება, გააჩნია კონუსისებრი ფესვი, საიდანაც ვითარდება ახალგაზრდა ტუბერები და გაზაფხულზე მრავლდება ახალი მცენარეები, ხოლო ძველი ტუბერფესვი მიწისზედა ნაწილთან ერთად ხმება. მცენარე ძირითადად გავრცელებულია ტიან-შანის მაღალმთიან რაიონებში. ტრადიციულად სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენდა ტილჭირის ტუბერფესვი, რომელიც მზადდებოდა შემოდგომით. ამჟამად ნებადართულია მხოლოდ ბალახის გამოყენება, მას ჭრიან

ყვავილობის ფაზაში 30-40 სმ სიგრძით. გემოს და სუნს არ უსინჯავენ, რადგან მცენარე ძლიერ შხამიანია და საშიშია ჯანმრთელობისათვის.

მცენარე შეიცავს აკონიტურ ალკალოიდებს, რომელთა შემცველობა იცვლება სხვადასხვა ორგანოებში ფენოფაზების მიხედვით, მიწისზედა ნაწილში მათი შემცველობა მაქსიმუმია – 0,7% ბუტონიზაცია-ყვავილობის პერიოდში და ტუბერფესვებში კი შემოდგომით – 3,2%-მდე, როცა ხდება კი-დეც მათი დამზადება.

ტილჭირის ბალახის ნაყენი გარედან სახმარი ტკივილ-გამაყუჩებელი საშუალებაა რადიკულიტის, რევმატიზმის, ნევრალგიის დროს. მცენარის ექსტრაქტი ამულავნებს ანტიბაქტერიულ თვისებებსაც.

ტილჭირი ბაიასებრთა ოჯახის მრავალწლოვანი მომრგვალო ტუბერებიანი ბალახია. ყვავის ივლის-აგვისტოში გავრცელებულია საქართველოში თითქმის ყველგან. უმრავლესად გვხვდება სუბალპური სარტყელის ტენიან წინვოვანი ტყეებსა და შამბნარებში. ტყეებში, ძირითადად, ნაკადულის-პირებში გვხვდება.

აღსანიშნავია ამ მცენარის ძლიერი შხამიანობა, შხამიან ალკოლოიდებს ყველაზე მეტად ტუბერები შეიცავენ. მთლიანად მცენარე ძლიერი შხამიანობით ყვავილობის პერიოდში გამოირჩევა. მომწამვლელი თვისებებით ფრიად საშიშია როგორც ცხოველისთვის, ასევე ადამიანებისთვისაც. ამ მცენარით მონამვლის უშუალო შედეგია მთელი ორგანიზმის დაჩქარებული დამბლა, რომელიც გარდაუვალი სიკვდილით მთავრდება.

მისი უკიდურესი შხამიანობის მიუხედავად ფართოდაა გამოყენებული ჰომეოპატიაში სისხლდენისა და ლორწოვანი გარსების კატარალური დაავადების დროს.

ხალხურ მედიცინაში იგი ცნობილია როგორც გარეგან

ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად. ფრიად ეფექტურად მი-იჩნევენ რევმატული ტკივილების საწინააღმდეგოდ. ტუბე-რების სპირტზე ნაყენით იზელენ რევმატული ტკივილებით შეპყრობილ სახსრებსა და კუნთებს. რამდენიმე შეზელვის შემდეგ მტკივნეული იარები ჩნდება, ასეთ შემთხვევაში ნაყენის ხმარებას წყვეტენ მორჩენამდე. შემდეგ კვლავ იმეორე-ბენ შეზელვის პროცედურებს, მეორედაც მოსალოდნელია მტკივნეული იარების გაჩენა. ამ დროსაც წყვეტენ ნაყენის გამოყენებას მათ სრულ მორჩენამდე. შემდგომში გაგრძელებული შეზელვის პროცედურებით უკვე მოსალოდნელი აღა-რაა იარების გაჩენა.

ტიბეტურ მედიცინაში ზოგი სახეობის ტილჭირის ფხვნილის სხვა ბალახებთან შერევით ციმბირის წყლულსა და ფილტვების ანთებას მკურნალობენ. ჩინეთში, მაგალი-თად, ცნობილია ტილჭირი, როგორც კიბოს და სხვა დაავა-დების საწინააღმდეგო საშუალებათა შემადგენელი ნაწილი.

ხალხურ მედიცინაში ტილჭირის ტუბერების სპირტზე ნაყენი გამოიყენება როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუა-ლება მწვავე ტკივილების დროს (სამწვერა ნერვის ნევრალ-გია, რევმატული ტკივილები კუნთებსა და სახსრებში, გაციე-ბით გამოწვეული დაავადებები). აქ იგი ეფექტურად მოქმედ, მაგრამ ძალიან საშიშ საშუალებად მიაჩნიათ. ასევე გამოიყე-ნება ტილჭირის ფოთლებისა და ტუბერების წყლით გამონაწ-ვლილი სველი საფენების სახით რევმატიზმის, იშიაზისა და ავთვისებიანი სიმსივნის დროს.

ტილჭირის ფხვნილი და ნახარში წარმატებით გამოიყე-ნება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე მწერების წინააღმდეგ. ტილჭირის ბალახის ნაყენი ეფექტურია ვაშლის ბუგრის და ჟოლოს ხოჭოს მატლების წინააღმდეგ, ხოლო ფხვნილი კი რაფსის ყვავილჭამიას წინააღმდეგ

ლენცოფა (*Hyoscyamus Niger*) – Black Henbane – Белена Черная

მცენარე – ძალლყურძენისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, ორნლოვანი, 40-80 სმ სიმაღლით, ღერო სწორ-მდგომია, დატოტვილი, მოფენილი ბუსუსებით, ქვედა ფოთლები ყუნწიანია, წაგრძელებული-კვერცხისებრი ფორმის, გამოკვეთლი მსხვილკბილებიანი გარეგნობით. ღეროს ფოთლები მჯდომარეა, ქვედა ნაწილი ნაწილობრივ ღერომხვევია. ყვავილები შეჯგუფულია ტოტების დაბოლოებებზე, ძაბრი-სებრია, 3-4 სმ სიგრძის, მოყვითალო ფერის, ქოთნისებრი კოლოფა ნაყოფები კარგად მორგებული სახურავებით, მომურო-ნაცრისფერია. იზრდება შენობების მახლობლად, ბოსტნებში და მიტოვებულ ფართობებში, როგორც სარევე-ლა.

ლენცოფა შეიცავს ალკალიდებს – ფოთლებში 0,045-0,14%, ფესვებში 0,16-45%, ყლორტების დაბოლოებებში 0,07-0,01%. ალკალოიდებით მდადარია თესლები 0,1-0,18%. ძლიერი ალკალოიდების შემცველობის მიუხედავად ლენცოფა იშვიათად ხდება ბუნებრივად მონამვლის მიზეზი. საქონელი ჩვეულებრივ ლენცოფას არ ეკარება არასასიამოვნო სუნის გამო. ექსპერიმენტული კვების დროს მშიერი ცხენიც კი არ ეკარება ლენცოფას ფოთლებს. როგორც ჩანს, ნაკლებ მორიდებულია მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. თუმცა ლი-ტერატურაში ფიქსირებულია ძროხებისა, ხბორების, ღორების მონამვლა. სახითათოა ლენცოფის თესლი დიდი რაოდენობით მიღებისას. ლენცოფით მონამვლისას წინა პლანზე გამოდის ტვინის მუშაობის შეზღუდვით და გულის აჩქარებული მოქმედება. პირველი გამოიხატება ძლიერი აღგზნების შეტევის ფორმით და ცხოველის გაშმაგებით. ხშირია აჩქარებული სუნთქვა და კანკალი. მონამვლის მუდმივნიშნად აღი-

რიცხება თვალის გუგის გაფართოება, გაზების დაგროვება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენის ნაწლავებში. ლენცოფით მონამვლის სიმპტომები თავს იჩენს მისი მიღებიდან ორი საათის შემდეგ. ავადმყოფ ცხოველებში ალინიშნება აღგზნება, წყვეტილი სუნთქვა კრუნჩხვებით, თვალის გუგის ძლიერ გაგანიერება, მხედველობის მოშლა, არაკონრდინირებული სიარული. ავადმყოფობა 7-8 დღეს გრძელდება და გამოჯანმრთელებით მთავრდება.

ლენცოფას ფოთლები ატროპინის წყაროა, არის სპაზმოლიზური საშუალება, შედის ასთმის საწინაარმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ნაკრებებში, ამზადებენ ფოთლების ნაყენს ნუშის ზეთზე და იყენებენ გარედან დასაზელად ნევრალგიის, მიოზიტისა და რევმატიული ართრიტის დროს.

ლენცოფას ნედლეულის ნაყენი ეფექტურია ბუგრების, აბლაბუდიანი ტკიპას, ბალლინჯოების წინააღმდეგ.

ლემა (*Datura Stramonium*) – Thorn Apple – Дурман

ლემა ძალლყურძენისებრთა ბოტანიკური ოჯახის ერთნლოვანი ბალახოვანი წარმომადგენელია. მისი სიმაღლე 100-120 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ზედა ნაწილში ფინლი-სებურადაა დატოტვილი. ყუნწიანი ფოთლები 20 სმ-მდე სიგრძისაა, ფორმით კვერცხისებრი, ქვევით შევიწროვებული, კიდეებში უთანაბროდ დაკბილულია. ყვავილები დიდია, თეთრი ფერის, ფორმით ძაბრისებრი, სიგრძით 10-12 სმ-მდე. კვერცხისებური კოლოფა ნაყოფი მაგარი ეკლებითაა შემოსილი, იხსნება 4 საგდულით. თესლები თირკმლისებრია 3 მმ სიგრძის. გავრცელებულია მთელ კავკასიაში. იზრდება საცხოვრებელი სახლების მახლობლად, ნაგავსაყრელებზე.

მეორე სახეობა – უვნებელი ლემა ერთნლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ლერო სწორმდგომია – 150 სმ სიმაღლით,

ძლიერ დატოტვილი, ფოთლები და მთელი მცენარე მოფენილია ბუსუსებით, იგი ტროპიკული მცენარეა, ჩვენთან აშენებენ კულტურის სახით, კარგად იტანს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კლიმატს.

ლემა შეიცავს ალკალინიდებს: უმთავრესად ფოთლებში – 0,25%, თესლებში 0,2-0,5%. ფესვებში კი დაგროვილია 0,21-0,25%-ის რაოდენობით, ალკალინიდები ბევრია ღეროების დაბოლოებებში – 0,6-0,7%-მდე. ბუნებრივ პირობებში ლემათი მოწამვლის შემთხვევები აღინიშნება ცხენებში, მსხვილფეხა რქოსან საქონელში და ბატებში. მომწამვლელია როგორც ნედლი, ასევე ხმელი ბალაზი, ტოქსიკურია თესლებიც. მოწამვლის ძირითადი ნიშნებია საერთო ძლიერი აღგზნება, კრუნჩხვები და აღგზნების შემდეგ დაბეჩავება, ბოლოს დამბლა. დაავადებული ცხოველები განიცდიან შიშს, ხდებიან მოუსვენარნი, ცახცახებენ, არტყამენ ფეხებს. იღებენ თავდაცვით პოზიციას, ცდილობენ კბენას, შემჩნეულია ერთ ადგილზე ტრიალი. ზოგჯერ აღშფოთება ნამდვილ გაცოფებამდე აღწევს. ძვრებიან საკვებურებები, ეყრდნობიან კედელს, იყენებენ ჭრილობებს. ამასთან ძლიერ ოფლიანდებიან, შეიძლება სიცხემ მნიშვნელოვნად აიწიოს. ლემათი ძალიან მწვავე მოწამვლის შემთხვევაში ხდება ცხოველის დაცემა. სიკვდილი მოსალოდნელია მოწამვლიდან 4-6 სთ-ის განმავლობაში. უფრო დიდი ხნის (1-3 დღე) შემდეგ აღგზნებას დაბეჩავება ცვლის, ხდება სიარულის მოშლა. ცხოველი თავჩაქინდრული დგას.

ლემას ფოთლებსა და უვნებელი ლემას თესლს იყენებენ, როგორც სამრეწველო ნედლეულს სკოპოლამინის და ატროპინის მისაღებად. ლემას ფოთლებიდან ამზადებენ ასმათოლს, ასევე გარედან სახმარად „ლემას ზეთს“, ხოლო უვნებელი ლემას თესლებიდან პრეპარატ „აერონს“, რომელსაც უნიშნავენ ზღვისა და ჰაერის დაავადებისას. ჰო-

მეოპატიაში ნედლი მცენარის ესენციას იყენებენ კრუნ-ჩხვების, ეპილეფსიის, მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის შემთხვევაში.

ლემას ნედლეულის ნაყენი ეფექტურია ბუგრების, აბ-ლაბუდიანი ტკიპას, ბალლინჯოების წინააღმდეგ.

შმაგა (კავკასიური ბელადონა) (*Atropa Belladonna*) – Black Cherry – Беладонна

შმაგა ძალლყურძენისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, რომლის ღეროც ოდნავ შებუსულია. მისი სიმაღლე 1,5 მ-ს აღწევს. ფოთლები ღეროს ქვედა ნაწილში სათითაოდაა განლაგებული, ზედა ნაწილში კი წყვილ-წყვილადაა, რომელთაგან ერთი მოკლე ყუნწიანია მეორესთან შედარებით. ფოთლის ფირფიტა გარშემოწერილობით კვერცხისებრი, წაგრძელებულ-კვერცხისებრია. ვარჯში სათითაოდ მიმოფანტული, ყვავილები მილისებრ-ზარისებრია, რომელიც 3 სმ სიგრძისაა, გარედან ჭუჭყიან-იისფერ-მოწითალოა, შიგნით ჭუჭყიან-მურა ფერისაა ან ყვითელი, წავი – შავი კენკრაა. კულტივირებულია, როგორც სამკერნალო მცენარე. უფრო ხშირად გვხვდება მთა-გორიან ტყეებში, ტყეთა შორის მდელოებზე, ტყისპირებში, ბუჩქნარებში. კავკასიური ბელადონას ღერო ღრუა. მსხვილი ყვავილები თეთრია. გავრცელებულია მთის ტყეებში მთელ კავკასიაში.

ბელადონა დიდი რაოდენობით შეიცავს ტროპანულ ალკალოიდებს: ატროპინს, მის იზომერს ჰიოსციამინს, სკოპოლამინს. ალკალოიდების რაოდენობა მცენარის სხვადასხვა ნაწილებში სხვადასხვანაირია. ალკალოიდები განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ფესვებში 0,7%-დე, შედარებით მცირეა ფოთლებში – 0,05%, ღეროებში – 0,45%, ასევე ყვავილებში 0,03%. ნაყოფებში მათი რაოდენობა 0,042%-ს შეად-

გენს. ალკალიფები მაქსიმალური რაოდენობით ფოთლებსა და ლეროებში ბუტონიზაციის ფაზაში გროვდება თესლების განვითარებამდე, ხოლო მიწისქვედა ნაწილებში კი თესლების მომწიფების პერიოდში, ძირითადი ტოქსიკური თვისება ატ-როპინსა და ჰიოსციამინს აქვთ. ამასთან ჰიოსციამინი ფიზიოლოგიურად უფრო აქტიურია, ვიდრე ატროპინი. ისინი ორივე ძლიერ აღაგზნებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემას. კლინიკურად ვითარდება მოძრაობითი მოუსვენრობა, შფოთვარება, ხდება სხეულის ტემპერატურის მომატება, ხშირდება სუნთქვა. მოწამვლის შემთხვევაში სიკვდილიანობა სუნთქვის პარალიზებით ხდება. ტოქსიკოლოგიური მნიშვნელობის თვალსაზრისით ბელადონასადმი უფრო მგრძნობიარე ცხენებია, ცხენებისათვის საშიში დოზაა 120-180 გ. გამხმარი ბალახი. მსხვილფეხა საქონლისათვის 60 გ. თხები და ცხვრები ბელადონასადმი უფრო მედგარნი არიან. ისინი 750 გ. ბალახის მიღები დროსაც კი არ იჩამლებიან. ბოცვრები კი საერთოდ გამდენი არიან ბელადონას ბალახის მიღებისას.

მოწამვლის ძირითადი სიმპტომებია: პირის ღრუს სიმშრალე, ძლიერი აღგზნება, ცახცახი, ტემპერატურის აწევა, სუნთქვის გახშირება, გულისცემის გახშირება, თვალის გუგის გაგანიერება, მხედველობის მოშლა, ნაწლავების პერისტალტიკის შენელება, ყაბზობა და მუცელის შებერვა. ცნობილია ღორებისა და ბატების დიდი ჯგუფების მასობრივი მოწამვლა-დახოცვა. ღორები არ ეტანებოდნენ საჭმელს, აღნიშნებოდათ პირლებინება, არაკონირდინირებული მოძრაობა, ისინი სწრაფად დაიხოცნენ.

მოწამვლის შემთხვევაში დაუყონებლივ აძლევებ ტანინს ან ტანინის შემცველ საშუალებას, შემდგომ მკურნალობა განისაზღვრება ცხოველის მდგომარეობით. ძლიერი აღგზნების ჩანაცნობებას ახდენენ მორფით, ქლორპიდრადით არეგულირებენ გულის მოქმედებას.

შმაგას ფოთლების, ბალახის, ფესვების ალკალოიდებს და მათ პრეპარატებს ახასიათებთ სპაზმოლიზური მოქმედება. იყენებენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ქოლეცისტიტის, ნაღვლის ბუშტში კენჭების დროს, ატროპინი იწვევს თვალის გუგის გაფართოებას, მნიშვნელოვნი ადგილი უჭირავს ანესტეზიოლოგიაში, ამცირებს ბრონქული, კუჭის, სანერწყვე და საოფლე ჯირკვლების სეკრეციას. შმაგას ფართოდ იყენებენ ჰომეოპატიაში.

შმაგას ალკალოიდებით მოწამვლისას აღინიშნება ფსიქიკური აღზნებადობა, მოუსვენრობა, კრუნჩევები, ჰალუცინაციები, განსაკუთრებით ხშირია შმაგას ნაყოფით მოწამლის შემთხვევებიც.

სასარგებლო მცენარეთა მრავალფეროვნება საქართველოში (ფოტოები - თ.კაჭარავა)
Useful Plants' Diversity in Georgia (Photos by T. Kacharava)



ასკილი (Rosa Canina)



ანნლი (Sambucus Ebulus)



დიდგულა (Sambucus Nigra)



გველის სურო (*Vinca*)

ჭიაფერა (*Phytolacca*)

ნაოჭა (*Agastache*)



გოქმო (*Dipsacus laciniatus*)

კვლიავი (*Carum Carvi*)

დეკა კავკასიური (*Rhododendron Caucasicum*)



ონოსმა კავკასიური (*Onosma Caucasicia*)



შავბალახა (*Leonurus Quinquelobatus Gilib*)



ურთხელი, უთხოვარი
(*Taxus Baccata*)



სვია
(*Humulus lupulus*)



ბზა კოლხური
(*Buxus Colchica*)



ხავსი (*Musci, Bryophyta*)



ჩანგა (*Inonotus obliquus*)



ჯადვარი ((*Orchis iberica*)



შხამა (*Veratrum lobelianum Bernh*)



ქრისტესისხლა (*Chelidonium Muju*)



თავშავა (*Origanum Vulgare*)



ტუხტი (*Althaea*)



ქერიფქლა (*Verbascum Thapsiforme Schrad*)



აბზინდა მწარე
(*Artemisia Absinthium*)



მატიტელა ჩვეულებრივი
(*Polygonum Aviculare*)



კონახური (*Berberis Vulgaris*)



კენკეშა
(*Gadelia lactiflora* syn.
Campanula lactiflora)



ვარდვაჭაჭა
(*Cichorium intybus*)



კულმუხო
(*Inula helenium*)



მარმუჭი (Alchemilla)



დანდური (Portulaca)



ნალველა (Gentiana)



სალბი (Salvia officinalis)



ბეგქონდარა ((Thymus vulgaris))



ია (Viola)



მრავალძარღვა (*Plantago*)



ნინმატურა (*Capselia*)



ბაბუაწვერა, ბურბუშელა (*Taraxacum*)



კრაზანა (*Hypericum perforatum*)



ჟანგისფერი ფუტყარა
(*Digitalis ferruginea*)



შვიტა მინდვრის
(*Equisetum Arvense*)



ცხენის ნაბლი (Aesculus Hippocastanum)

მამარა (Asplenium trichomanes)



კავკასიური მოცვი
(Vaccinium arctostaphylos)



ლინიური მოცვი
(Vaccinium Uliginosum)



ნითელი კუნელი (Crataegus kytostyla Fing)



გვირილა (*Matricaria chamomilla*)



უცუნა (*Colchicum speciosum*)



სამყურა თეთრი
(*Trifolium repens*)



სამყურა წითელი
(*Trifolium pratense*)



მინდვრის პიტნა
(*Mentha arvensis*)



ლურჯი ნარი (*Eryngium*)



ფარსმანდუკი (*Achillea*)



ლავანდა (*Lavender*)



ჯინჭარი (*Urtica*)



ჯინჭრის დედა (*Lamium album*)



კოლხური კატაბალახა
(*Valeriana Colchica* Utk)



ნიორებილა კატაბალახა
(*Valeriana Alliariifolia* Adams)



კოლხური კატაბალახა
(*Valeriana Colchica* Utk)



სამკურნალო კატაბალახა (*Valeriana officinalis*) სამრეწველო პლანტაცია



სამკურნალო კატაბალახა
(*Valeriana officinalis*)



ნიორებილა კატაბალახა
(*Valeriana Alliariifolia* Adams)



საკოლექციო ნაკვეთი



სამკურნალო კატაპალახას ჩითილები



სამკურნალო კატაპალახას
თესლის აღება



კვლიავის
(*Carum Carvi*) თესლი



ბარამბო (*Melissa officinalis*)



კოლხეური კატაბალახა, პლანტაცია რაჭაში



ერთწლოვანი და ორწლოვანი პლანტაციები



გულყვითელა
(*Calendula officinalis*)



სამკურნალო კატაბალახა
(*Valeriana officinalis*)

გამოყენებული ლიტერატურა

- პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სა-
მინისტრო (2014) – საქართველოს მეხუთე ეროვნული ან-
გარიში ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი, თბილი-
სი, 89 გვ.
- საქართველოს დაცული ტერიტორიები (2012) – სიტუაციური
ანალიზი, WWF კავკასიის პროგრამ თვისი, 67 გვ;
- აგროკავკასია – Agrokavkaz.ge
- სახელმწიფო ფარმაკოპეა (2003) ტ. II – საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო,
თბილისი 454 გვ. .
- არევაძე თ. (2009) – საქართველოს სამკურნალო მცენარეები და
ხალხური მედიცინის ენციკლოპედია UDC: 633.88+
615.89(031) თბილისი, 312 გვ. .
- ახალკაცი, მ., მოსულიშვილი, მ., ქიმერიძე, მ., მაისაა, ი. (2008) –
სამცხე-ჯავახეთის იშვიათი სამკურნალო მცენარეების
კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება. ბიოლოგიურ მე-
ურნეობათა ასოციაცია ელკანა. თბილისი. 110 გვ.
- ახალკაცი მ. (2018) – ნატურა 2000 ჰაბიტატების მცენარეთა ბი-
ომრავალფეროვნების შენარჩუნება საქართველოში. ბო-
ტანიკის ინსტიტუტი, თბილისი, 445 გვ.
- ბაკურიძე ა., ბერაშვილი დ. (2016) – სამკურნალო მცენარეული
ნედლეულის დამზადების საფუძვლები, განათლების ხა-
რისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 294
გვ.
- ბიძინაშვილი რ. (2010) თბილისის მიდამოების სამკურნალო მცე-
ნარეები, ISBN 978-99940-861- 5-1, თბილისი, 221 გვ.

ბიძინაშვილი რ. (2013 წ.). საკვები და ხილ-კენკროვანი კულტურების სამკურნალო მნიშვნელობა-ISBN 978-9941-0-5515-7, თბილისი 461 გვ.

ბიძინაშვილი რ. (2013წ.)- ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა, ISBN 978-9941-0-5855-4, თბილისი, წიგნი ორ ნაწილად, I6 -303გვ. II6-295 გვ.

ბურდული მ. (2011) – ღვინით მკურნალობის ხალხური ტრადიციები საქართველოში, საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი, თბილისი.

გეგეჭკორი ა., მურვანიძე მ., შ. შეთეკაური (2011) – ბიომრავალუროვნება და კონსერვაცია – ISBN 978- 9941-0-3769-6, 225გვ.

გეგეჭკორი არნ., 2007. კავკასია – ბუნების საგანძური, ISBN 9789941100321, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 168 გვ.

დავით ბაგრატიონი. „იადგარ დაუდი“, თბილისი. 1985.

ერისთავი ლ. (2005) – ფარმაკოგნოზია, (სამკურნალო მცენარეები), ISBN 99940-0-605-3, გამომც. საქართველოს მაცნე, თბილისი, 676 გვ.

ვარშანიძე ნ., ვანიძე მ., ჯაფარიძე ი. (2009) – აჭარის სასარგებლო მცენარეები, ISBN 978-9941-0-1541-0, ბათუმი, 2009, 259 გვ.

თვალი თ. (2006)- უთხოვრის (TAXUS BACCATA L.) ბუნებრივი განახლების, დროში ზრდის მსვლელობის და მისი კორომების აღნაგობა-ფორმირების თავისებურებათა ზოგიერთი საკითხი – სადისერტაციო ნაშრომი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

კარაბადინი (2017) – ხალხური სამკურნალო რეცეპტების კრებული, გამომც. პალიტრა L, ISBN 978 994 124 447 6, 711გვ.

- კაჭარავა თ. (2009) სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეები, ISBN 978-9941-12-575-1. გამომც. უნივერსალი, თბილისი, 185გვ.
- კაჭარავა თ. (2009) – მინდვრის კულტურების ცნობარი, ISBN 978-9941-12-704-5. გამომც. უნივერსალი, თბილისი, 140 გვ.
- კაჭარავა თ., დოლიძე ც. (2014წ.) ღების ბიომრავალფეროვნება – ISBN 978-9941-436-93-2, გ. „ნეკერი, 2014. 248 გვ. სტუ – ს ცენტრალური ბიბლიოთეკა 615.3 (2)/ 19;
- კაჭარავა თ. – სამკურნალო, არომატული, თაფლოვანი, საღებავი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების სამრეწველო პლანტაციების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები (რეკო-მენდაციები), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიე-რებათა ეროვნული აკადემია, (2016 წ.) გამომც. „აგრო“, თბილისი, 67 გვ.
- კემპელი ნ., რისი ჯ. (2009) – ბიოლოგია – წიგნი მომზადდა ს მიერ და ქართულ ენაზე გამოიცა ილია ჭავჭავაძის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის მიერ, ISBN 978-9941-9116-4-4, 1497 გვ.
- კორახაშვილი ა. (2017) – აგროტექნოლოგიური ნორმატივები – ცნობარი შედგენილი და გამოცემულია გაეროს განვითა-რების პროგრამისა (UNDP) და სამხრეთ კავკასიაში შვეი-ცარიის თანამშრომლობის ოფისის მხარდაჭერით. ISBN 978-9941-0-9528-3; 2205გვ.
- კუჭუბიძე ჯ., ჯოხაძე მ. (2012) – ბოტანიკა (სამკურნალო მცენა-რეები), UDC (უაკ) 58(075.8)/კ.989, თბილისი, 375 გვ.
- კუჭუბიძე ჯ., გაგნიძე რ., ლვინიაშვილი ც., ჯოხაძე მ. (2016) – საქართველოს ფლორის ენდემური ყვავილოვანი მცენა-რეები, თბილისი, 214 გვ.
- მელაძე გ., მელაძე მ. (2020) – კლიმატის ცვლილება: აგროკლი-მატური გამოწვევები და პერსპექტივები აღმოსავლეთ სა-

ქართველოში, ISBN 978-9941-26- 652-2, გამომც. უნივერსალი, თბილისი, 201 გვ.

მეგრელიშვილი ნ. (2017) – წითელი ღვინის ქიმიური შედგენილობა და სასარგებლო თვისებები, სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალი „ქიმის უწყებანი“ ტომი:3, ნომერი:1, გვ. 15-18

ნაკაშიძე ნ. ჯაში დ. (2013) – ორგანული სოფლის მეურნეობა, ISBN – 978-9941-435-21-8 გამომც. „ალიონი, ბათუმი, 258 გვ.

შენგელია ზ. (1959) საქართველოში გავრცელებული ვეტერინარული სამკურნალო მცენარეები, გამომც. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 125 გვ.

კეცხოველი ნ. (1959) – საქართველოს მცენარეული საფარი, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 443გ.

შეთეკაური შ. (2013) – საქართველოს ბუნების ატლასი – მცენარეები და ცხოველები, ISBN 9789941158599, გამომც. ბაკურ სულაკაური, თბილისი, 152 გვ.

შენგელია ზ. (1959) საქართველოში გავრცელებული ვეტერინარული სამკურნალო მცენარეები, გამომც. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 125 გვ.

შათირიშვილი შ. (2005) – მეღვინეობა, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 169 გვ.

ქუთათელაძე ი. (1945) სამკურნალნამლო და ზოგიერთი ტექნიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში, საქმედგაბი, თბილისი, 84 გვ.

ქვაჩახიძე რ. (2003) – საქართველოს ბუნებრივი მცენარეული რესურსები- თბილისი, მეცნიერება, 131 გ. ISBN 99928-0-529-3;

ქვაჩახიძე რ., იაშალაშვილი კ. (2009) – საქართველოს მცენარეულობა – ISBN 978-9941-0-1206-8, 154 გვ.

ქვაჩახიძე რ. (2010) – საქართველოს გეობოტანიკური რაიონები თბილისი, მეცნიერება, ISBN: 978-9941-0-1945-6; თბილისი, 175 გვ.

ქვაჩახიძე რ. (2014) – საქართველოს მთის ტყეების აღდგენა, ISBN 978-9941-0 – 6564-4, თბილისი, 99 გვ.

ქვაჩახიძე რ. (2015) – გეობოტანიკური ლექსიკონი, ISBN: 978-9941-0-7589-6, თბილისი, მეცნიერება, 101 გვ.

წუნუნავა ნ. (1966) – საქართველოს სამკურნალო მცენარეები, UDC (უაკ) 633.88/581.6:615(47.922)+615.32(47.922), გამომც. განათლება, 226 გვ.

ჩიტაია გ. (2001) – .მეცენახეობა-მელვინეობა, საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში, ISBN 998-963-7-X ტ. IV. თბილისი, გვ. 137-150.

ახაკაცი მ., მაზმანიანი შ., ჩანქსელიანი მ. და სხვ. (2014) – მოგება დანაკარგის გარეშე: ეკონომიკური მცენარეების მდგრადი გამოყენება – სალებავი მცენარეები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 16 გვ.

Вавилов Н. И.(1987) Центры происхождение культурных растений, Л., "Наука",148 с

Бульф Е.В и др.(1969) – Мировые ресурсы полезных растений (пищевые, технические, лекарственные и др.) Наука. Л. 282 с.

Dhani Raj Chhetri (2015) – Medicinal Plants of the Himalaya: Production Technology and Utilization, ISBN-13:9788177545586, Publisher: Agrobios (India), 231p.

Dharamvir Hota (2007) – Bioactive Medicinal Plants, ISBN 81-89729-19-5, ISBN : 978-81-89729-19-6, New Delhi, India, 267p

Elaine Marshall (2011) – Rural Infrastructure and Agro-Industries Division Food and Agriculture Organization of the United Nations, Rome, Health and wealth from Medicinal Aromatic Plants, ISSN 1810-0775, Rome, 73 p.

- Eberhard Fischer, Andreas Groger, Wolfram Lobi (2018) – Illustrated Field Guide to the Flora of Georgia, ISBN 978-3-9820257-0-4, ISSN 1616-4784, 830 p.
- Farooqi A., B. Sreeramu, B.S. Sreeramu (2010) – Cultivation Of Medicinal And Aromatic Crops, ISBN 81 7371 504 1, india, 638 p.
- Korakhashvili A., Kacharava T., (2006) Catalog of Medicine and Aromatic Plants of Georgia Tbilisi, Georgia, 35 p
- Kacharava T, korakhashvili A. (2007) – Measures of Protection and Utilization Georgian Wild and Naturalized Medicinal and Aromatic Plants – Second Meeting of the ECP/GR on Medicinal and Aromatic plants. Report of a Worcing Group on Medicinal and Aromatic Plants, Second Meeting, 2004, Strumica, Macedonia FYR, Third Meeting, Olomouc, Czech Republic, p 110-111
- Korakhashvili A., Kacharava T., (2008) – Catalog of Medicine, Aromatic, Spicy @ Poisonous Plants of Georgia, Tbilisi, Georgia, 35p. ISBN 978-9941-0-1001-9
- Kacharava T, korakhashvili A. (2009) – Defence and Conservation of Gene pool of Medical and Aromatic Plants in Georgia, 4-rd Global Suumit on Medicinal and Aromatic Plants- 2009 “Medicinal and Aromatic Plants in Health Care“ Kushing, Sarawak, Malaysia, p 106, ww.COSMAP-4-CMU.COM.
- Kacharava T, korakhashvili A. (2010) – Ecological Standards of Medicinal, Aromatic, Spicery and Poisonous Herbs of Georgia, Advances in Environmental Biology, Volume 5, Number 2: January Special, ISSN 1995-0756, Jordan, p. 265-266
- Kacharava T, korakhashvili A. (2011) – Establishment and Upgrading of Pharmacological Gene Bank of Medicinal, Aromatic, Spice & Poisonous Plants, Bulletin of State Agrarian University of Armenia, ISSN 1829-0000, Per. N 211-200 00169, Yerevan, p 11-14

- Kacharava T. (2012) – Genetic Resources of Medicinal & Aromatic Plants and Their Stable Use in Georgia – -Genetic Resource of Origanum Vulgare L and Its Cultivation
- Kacharava T. (2013) – The Diversity of Genetic Resources Medicinal, Aromatic, Spicy, Poisonous Plants and Their Biological Parameters in Georgia, Abstracts of the 5th Global Summit on Medicinal and Aromatic Plants, Miri, Sarawak, Malaysia, p. 336
- Kacharava T. (2014) Medical Herbs and Plant Stress Proteins May Become Cordially New Alternative of Antibiotics and Synergistic feed Supplement, International Scientific Conference Science, technology and innovation in the era of power and happiness, Turkmenistan, p. 56-58
- Kacharava T. (2015) Sustainable Use Genetic Resources if Medicinal, Aromatic, Spicy, Poisonous Plants, International Conference “Applied Ecology: Problems, Innovations“ Tbilisi, ISBN 978-9941-0-7644-2, tsu.ge, p. 241-246.
- Kacharava T. (2015) – Upgrading of pharmacological gene bank of medicinal and aromatic plants in GeorgiaNew trends in the ecological and biological research International scientific conference, University of Prešov, Slovak republic Organizer: University of Prešov Faculty of Humanities and Natural Sciences Greek-Catholic Theological Faculty of Orthodox Theology, ISBN 978-80-555-1354-6, p. 39.
- Kacharava T. Epitashvili T. (2016)Medicinal, aromatic and spice plants` genetic resources, protection in Georgia , Sustainable, Utilization of Plant Genetic Resources for Agriculture and Food, ISBN 978-80-89417-69-8, International scientific conference, Pie-šťany, Slovak Republic, 2016, p. 34.
- Kacharava T. Koiava L , Kalandia A (2016) Phenolic compounds and Pectin consist of Vaccinium Corymbosum of Blueberry. International Journal of Advanced Research (2016), ISSN 2320-5407, Impact Factor: 6.118; IC Value 56.43; Volume 4,

Issue 7, 2231-2236; Journal homepage:
<http://www.journalijar.com> DOI: 10.21474/IJAR01

Aleksidze A, Japaridze G, Giorgadze A, Kacharava T . (2018) – Biodiversity of Georgia, Global Biodiversity, Volume 2, Selected Countries in Europe Environmental Science/Climate Change & Mitigation, ISBN: 9781771887175, 404 p.

Kacharava T, Varshanidze N . (2018) – Biodiversity of Medicinal Plants Containing Essential Oil and Their Spreading in Adjara, Universal Journal of Agricultural Research, 6(3): 99-104, 2018. DOI: 10.13189 /ujar. 060301

Korakhashvili A., Kacharava T., (2018) – Catalog of Medicinal, Aromatic, Spiciness and Poisonous Herbs of Georgia (Latin, Russian, Georgian, English) ISBN 978-5-93728-090-9, Moscow, 79 p.

Kacharava T., korakhashvili A., Epitashvili T. The Study of Biodiversity of Thirty Two Families of Useful Plants Existed in Georgia, ISSN:1307-6892, World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Biological and Ecological Engineering Vol:12, No:10, Japan.

Kacharava T (2019) Advances and Perspectives of Biodiversity Research and Conservation in Georgia – Proceedings of the 1st International Scientific Conference. ISBN 978-9941-8-1337-5; Tbilisi, 50-52p.;

Kacharava T., korakhashvili A., Epitashvili T. (2019) – Genetic Resources And Conservation Of Useful Plants In Georgia, The 6th International conference on Agriculture 2019 (AGRICO 2019) „Protective Farming and Sustainable Management“ ISBN 978-955-3605-35-1; Bangkok, Thailand.

Kacharava T., Epitashvili T. (2019) – Ethnobotanical Value of Cephalaria Syriaca, 4th Edition of Global Conference on Plant Science and Molecular Biology (GPMB-2019)“ to be held during September 19-21, 2019 at London, UK. P. 117

- Kacharava T., Epitashvili T. (2020) – Physiological and Chemical Characteristics of Lemon Balm (*Melissa Officinalis*) in Georgia, Journal of Research and Opinion, JRO, 7(1), 2618-2621(2020), ISSN (O): 2589-9058, ISSN (P): 2589-904-X, DOI: 10.15520/jro.v7i1.46.
- Máthé Akos (2015) – Medicinal and Aromatic Plants of the World, Scientific, Production, Commercial and Utilization Aspects, ISBN 978-94-017-9810-5, , Hangary, Budapest, 460 p.
- Tariq Aftab Khalid Hakeem – Medicinal and Aromatic Plants, 1st Edition, ISBN 9780128195901; ISBN 9780128227756, India, 464 p.
- Paul Chal P.K. (2009) – Medicinal Plants of Sarawak, Sarawak, Malaysia, ISBN 983-43255-1-7, 212 pp.
- Tuley De Silva (2006) – A manual on the essential oil industry, United Nations Industrial Development Organization, Vienna, Austria : United Nations Industrial Development Organization
- Mohamed neffati • Hanen Najja, Akos Mathe, (2017) –medicinal and Aromatic Plants of the World – Africa, Volume 3, ISSN2352-6831, ISSN 2352-684X, DOI10.10007?978-94-024-1120-1, 409 p.
- UNIDO and FAO (2005) Herbs, spices and essential oils, Post-harvest operations in developing countries, Vienna International Centre, P.O. Box 300, 1400 Vienna, Austria, Internet: <http://www.unido.org>, 61 p

თამარ კაჭარავა

საქართველოს სამარცვალო, არომატული,
საღეპარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი
მცენარეების გიომრავალუროვნება

Tamar Kacharava

Medicinal, Aromatic, Dye, Melliferous, Spice and Poisonous Plants Biodiversity in Georgia

Tbilisi
2020



გამოცემლობა „ენივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com